

8 (05)
მ 80

Handwritten notes and scribbles at the top of the page.

მოსამბე

თვიური ქურნალი

წელიწადი მეორე

4

№ IV

Handwritten signature or name, possibly 'Cavaliere'.

აკრილი, 1895



ტფილისი

საქართველოს მთავრობის ბრძანებით

1895

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Апрѣля 1895 года.

ფირალი დავლაძე

მ ო თ ს რ ა ბ ა

I

188... წ. მე მთელი მაისი სოფ. ს—ში გავატარე. კვირა დღე იყო. საღამოს ასე ხუთს საათზე, დაირის ხმა და სიმღერა გაისმა სოფელში. „ეე, დღეს თამაშობაა მინდორში! გზას ქვედათ და გზას ზედათ თამაშობენ!“ დაიძახა ჩემი მასპინძლის შეიღმა, პატარა გიგომ და მოჰკურცხლა მინდვრისაკენ. დაირის გაგონებამ გული შემიტოკა: მომაგონდა ჩემი წარსული ბავშვობა, ის ნეტარი დრო, როდესაც მეც, პატარა გიგოსებრ, მოუთმენლად გავრბოდი „სათამაშოში“. გულმა აღარ მომიტმინა, აედექ და გავსწიე იქით, საიდანაც სიმღერის ხმა მოდიოდა. ორღობეში დამეწია რამდენიმე ახალგაზდა ყმაწვილი ბიჭი, „სათამაშოში“ მიმავალი. ტკბილი „ხელხვევი“ სიცოცხლით სავსე ახალგაზდებისა გულსა მტაცებდა... აი „სათამაშოსაც“ მივუახლოვდით. მწვანით მოსილი მინდორი საამურად ბიბინებდა; ამ მინდორს ერთი მხრით ჩაუდის სასოფლო გზა, რომელიც ოზურგეთისაკენ მიიმართება; მეორე მხრით კი ჯაგნარი აკრავს; იქვე მშვენიერი, ანკარა წყარო ამოჩუხჩუხებს მიწიდან. მინდორში, თითქმის შუა ალაგას, სდგას ვეებერთელა კაკლის ხე, ცოტა მოშორებით—პატარა თხმელა. ხალხს ბლომად მოეყარა თავი. აგერ პაწია ბიჭები ბურთაობენ: ერთ მათგანს ბურთი მოუტაცნია და ძალზე გარბის, დანარჩენნი ჟივილ-ხივილით უკან გამოსდგომიან. „არჩქა, კოწიელავ, ჰა, ჰა, ჰა!“ გაიძახის ოფლში გაწურული პატარა ბიჭი; ის საშინლად

დაქანცულია, მაგრამ, გამარჯვების იმედით გატაცებული, მინც გარბის რაც ძალი და ღონე აქვს, რომ ამხანაგს დროზე მიეშველოს, თუ საჭირო იქნება... თხმელის ჩრდილში რამდენიმე გლეხი რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობს. კაკლის ქვეშ ახალგაზღობა მოგროვილა. ერთი მხრით სდგანან ქალები; ამათ პირდაპირ ყმაწვილი ბიჭები გატაცებით სიმღერას ამბობენ; სისიამოვნო კრიმანჭული ცამდინ ადის. სიმღერა გათავდა. „აგაშენათ ღმერთმა! კაი ხანია აღარ გამიგონია“, სთქვა ერთმა ახნაურშვილის მეუღლემ. ყმაწვილებმა თავაზიანად მადლობა გადაუხადეს. ჩქარა შესდგა მოცეკვეთა წრე. ერთმა ახალგაზღობა, მეტად შნოიანმა ქალმა აიღო ხელში დაირა. გაიმართა ლეკური. პირველად იცეკვეს პატარა ბიჭებმა; ამათ შემდეგ კოხტად გამოსრიალდა გურულად გამოწყობილი 20—21 წლის ალექსი სანდომიძე, სწრაფად ჩამოიარა წრე, მიცურდა მედაირე ქალთან და მოხდენილად თავი დაუკრა. ქალი არ გაჰყვა. ყმაწვილი კაცი მკვირცხლად შემოჭრიალდა, მეორედ შეჰაუარა წრეს, ისევ იმ ადგილზე მიფრინდა და ნაზად თავი დახარა. ამ დროს ქალს რაღაც წასჩურჩულეს ამხანაგებმა; მან დაირა სხვას გადასცა, გაისწორა თავზე აბრეშუმის ქსოვლი „ცახოცი“ და კეკლუცად გამოცურდა მწვანეზე. სწორედ საუცხოვო სანახავი იყო ეს ორი ახალგაზღობა. მე გატაცებით ვადვენებდი თვალს მათს მოხდენილს მოძრაობას, მაგრამ ამ დროს ერთმა სხვა მოულოდნელმა სანახავმა უყურად ბოლო მოუღო ჩემს სიამოვნებას: გზაზე გამოჩნდა ოთხი კაცი, ოხურკეთისკენ მიმავალი; სამი მათგანი თოფით შეიარაღებული გლეხები იყვნენ, ხოლო მეოთხე თეთრ-ყირმიზა 22—23 წლის ახალგაზღობა იყო. ეს უკანასკნელი კარგად გამოწყობილი იყო ჩახაში. მის ლამაზ სახეზე სიამაყე და გამბედაობა იხატებოდა. ამათ დანახავზე რამდენიმე გლეხმა და ახალგაზღობა ბიჭებმა აჩქარებით გზისაკენ იწიეს, რომ ეცნათ პატიმარი. უკანასკნელს ეს არ ესიამოვნა და პირზე ყაბალახი შამოიხვია. გაბრიელა გლეხმა სულ ახლოს ჩაუარა და თვალებში ჩაჰხედა პატიმარს, რომელიც ამით მეტად გაბრაზდა: „რას კრეჭ, ყაძახო, კბილებს!“ თვალების დაბრიალებით უთხრა მან გაბრიელას და გზას გაეშურა.

—კაცი რომ გაღირვეა და ვეღარ დიეტევა ღვთის გაჩენილ ქვეყანაზე, აბა კაი რავე დემართება იმას!—სთქვა გაბრიელამ და თვალები მე შემომამკვიტა.

—ვინ არის ეს ყმაწვილი?—დავეკითხე მე.

—მაი, ბატონო, ივანე დავლაძე გახლავს; გიორგი დავლაძე თუ მოგხსენდება, — შეილია იმის; მეზობელია, აქნაი დგანა აგერ, ყურის ძირში.

ამ პასუხმა დამაფიქრა. მე ვიცნობდი გიორგი დავლაძეს, პატარაობისას მისს ოჯახშიაც ვყოფილვარ; მენახა მისი პირმშო, ერთად-ერთი შეილი, პატარო ვანო; ესლა კი ეს ვანო, უკვე ახალ წვერ-ულვაშ აშლილი, სიცოცხლით საესე ქაბუკი, სატუსალოში მიჰყავდათ...

ესლა, როდესაც მე ამ ამბავს ვიწყებ, ივანე აღარ არის ამ ქვეყნად. მისი მოუსვენარი სიცოცხლე მეტად მოკლე იყო, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც ბევრი რამ მოხდა საყურადღებო.

სოფ. ნ—ი მას შემდეგ, რაც მე იქ პირველად ვიყავი, შესამჩნევად გამოიცვალა. თითქმის თვითუღოს ოჯახს სხვა ფერი დაედო ამ ხნის განმავლობაში. გიორგი დავლაძის კარ-მიდამო ზომ სულ ერთიანად განადგურებულია ამ ჟამად. გამკლელს აქ აღარა მოაგონებს-რა ამ ადგილის უწინდელ დროს; არც ერთი შენობა აქ აღარ მოიპოვება. ოდესღაც ამ ადგილს მრავალი სხვა-და-სხვა ხეხილი ამშვენებდა, მაგრამ დღეს არც ერთი შათვანი არ მოსჩანს, ყველა გადაუჩეხიათ. თვით ის რუტ, რომელიც დავლაძის ოდას გვერდით ჩაუბოდა და აქაურობას აცოცხლებდა, ესლა სრულიად ამომხმარა. როცა უყურებ ამ გაპარტახებულ კარ-მიდამოს, მე მაგონდება მისი წარსული, მაგონდება თვით გ. დ—ძე მისის ცოლ-შვილით და ამიტომ მსურს შეძლებისამებრ გავაცნო მკითხველს ეს ოჯახი და მისი თავგადასავალი, ვუამბო ის, რაც ჩემს მესხიერებას შერჩენია.

187... წელს გურიაში ცხელი ზაფხული იყო. მარიაობისთვე იდგა. მე მაშინ სკოლის შაგირდი ვიყავი. სწავლის დაწყებამდის ჯერ კიდევ ორი კვირა დარჩენილიყო და ეს დრო უნდა გამეტარებინა ჩემი მოყვარე ქალისას, სოფ. ს—ში, რად-

გან იქ უფრო გრილა და საუცხოვო ჰავაც არის. მეორე დღე იყო, რაც ს—ში ამოვსულიყავ ოზურგეთიდან. მე დავალებული მქონდა გიორგი დავლაძისას მისგლა და მისდა წერილის გადაცემა, რომელიც ერთმა ჩვენმა ნაცნობმა გამომატანა. ს—დან სოფ. ნ—მდინ, სადაც გიორგი დავლაძე ცხოვრობდა, დიდი მანძილი აღარ დარჩენილიყო, ამიტომ დაუყოვნებლივ ფეხით გზას ვავუდექი და გზის მაჩვენებლად ერთი პატარა ბიჭი წავიყვანე. მზე კარგა გადახრილიყო, როდესაც ჩვენ ნ—ის სასოფლო შუკაში შევედით. ჩემს თანამგზავს გზა დაებნა და აღარ ვიცოდით, საით წავსულიყავით. ამ დროს წინ შეგვეხეჩა ერთი მხარზე თოხ-გადებული გლეხი, რომელიც სადღაც მიეშურებოდა.

— გამარჯობა შენი!—მივაძახე მე.

— გაგზარდა ღმერთმა!

— გიორგი დავლაძე სად დგას?

— გიორგი დავლაძე აგერაა აქნაი. ამ შუკას რავაც გაათავებ, მაღალ ქისკარს დეინახავ და იმაში ჩადით. მარა ძაღლმა არ გიკბინოს, ჯოხი დეიკავეთ ხელში.

ჩვენ ჯოხები მოვიშზადეთ, მაღლობა ვუთხარით და წავედით. მართლაც, იმ შუკის თავში ერთი პატარა მინდორი გამოჩნდა და იქვე, მარჯვნივ, ყავრით დახურული ქისკარი. ჯერ ქისკარში არც კი ჩავსულიყავით, რომ ძაღლებმა შეგვამჩნიეს და ყვეფით ჩვენსკენ გამოიქცნენ. ჩვენ შეგვეშინდა და ლობებზე ავედით.

„ე, ბიჭო, ვინცხა ბაღნებია ეგერ, ძაღლებმა არ დაქამოს!“ ბოხის ხმით დაიძახა ვიღამაც. მსახური ჩქარა მოგვეშველა და ძაღლები გარეკა. ჩვენ ეზოში ჩავედით. აქ იდგა ერთი სამოთახიანი ოდა, სამხარეულო სახლი, სიმინდის ნალია და ბეღელი. ეზო სუფთა იყო, მწვანე ბალახით შემოსილი. ოდის აივანზე იჯდა მასპინძელი, ასე 45 წლის, ცოტა ჭაღარა შერთული, კაცი. მას წვერი მოპარსული ჰქონდა და გძელი უღვაშები რაღაც თავისებურ გამომეტყველებას აძლევდნენ მისსპირი-სახეს. იჯდა მოაჯირზე ნიდაყვ-დაყრდნობილი, ცალს

ხელში ჩიბუხი ეჭირა და თამბაქოს აბოლებდა. მე აივანზე ავედი, სალამი მივეცი და მისვლის მიზეზიც ავუხსენი.

— ვისი ხარ, ბიძია, შენ? დამეკითხა მასპინძელი.

მე ჩემი ვინაობა ვუთხარი.

— საწყალი სიმონ! — განაგრძო მან. — მამა შენი კი მეგობარი კაცი იყო ჩემი. ამ სიტყვებით წერილი ჩამომართვა და ოთახში შევიდა. მე აივანზე დავრჩი.

— აა, სოფიო, ნესტორს აგერ რაცხა წიგნი გამუუგზანია, წეიკითხე ერთი, — უთხრა გიორგიმ ცოლსა და წერილი მიაწოდა.

— რა მინდაო აწი ნეტაი! — გაიკვირვა სოფიომ.

— რა ვიცი მე! რაცხა უნდა, წიგნში იქნება.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— უი რაცხა! მოცლილი ყოფილა იგი, — დაიწყო სოფიომ.

— რა იყო?

— მოჯამაგირე ბიჭი მიშოვნეო, შამუუთვლია.

— ბიჭი ჩემდა ვერ მიშონია მე, — წაილულულა უკმაყოფილოდ გიორგიმ. — მისწერე მანც, რომ საცდელს არ დავაკლებ და, თუ გამოჩთა რამე ხეირიანი, გამოგიგზანი-თქვა.

— სად იშონი ახლა ბიქს ასთე უცბად? — შეეკითხა ცოლი.

— მისწერე, ოჯო, ვიშონი, თუ არა, მაინც ასე ჯობს.

— ვინ შეიტანა აი წიგნი?

— აგერ ბალანაია. შამოდი, ბიძია, აგერ ოთახში, — გამომძახა მასპინძელმა.

მე შევედი.

— აი ბალანაი საწყალი სიმონ ა — ლის შეილია, — დაიწყო გიორგიმ.

— დასტურ! რავა რაფერ გაბედა ამხელა ბალანამ ოზურგეთიდან წამოსლა. მარტუაი ხარ, თუ გახლავს ვინმე? — დამეკითხა სოფიო.

მე მინდოდა პასუხი მიმეცა, მაგრამ ამ დროს ეზოდან ბავშვის ტირილი მოისმა. ოღის კიბეზე ამოვიდა მოსამსახურე, ყმაწვილი ბიჭი, მას მოსდევდა ± — ნ წლის თმა ხუჭუჭა, მშვე-

ნიერის სახის ბავშვი, რომელიც ბიჭს ებლაუჭებოდა და ტირილით ეუბნებოდა: „მოამეცი, ბიჭო!“

მსახური ოთახში შემოვიდა. ხელში ღიდი დანა ჰქონდა.

— რას ატირებ; ბიჭო, ამ ბალანას?— გაუჯავრდა გიორგი.

— ა, ბატონო, დოუკავებია ხელში ამხელა დანა და უჩახუნებს ყოლიფერს, — დაიწყო მოსამსახურემ: — რომ რამე იტკინოს, მერე მე გამიწყრებით, რეი...

— უი შე დილენჯო, შენ! — გააწყვეტინა სოფიომ. — ამიზა აატირე მერე? ჩელტაძის მუნიანი ყაზილარი ხომ არ გგონია!

— ბატონო, რავე დანა გამუართვი ბალანას, სხვაი აფერი დამიშავებია მგონია. აგერაა აი დანა და რავეც გინდებიენ, ისე ქენით!

— ნუ ტლიკინობ ბევრს! — შეუტია სოფიომ მოსამსახურეს. — მოდი, ნენა, შენი ჭირიმე, ვინ გაგიბელა შენ ატირება, — მიუალერსა შეილს და მიაწოდა მას დანა. — მაგ გადათრეულს ვინ კითხავს, ნენა!

— აა, შენ... გლახავ... — ბუტბუტებდა ბავშვი, დედის სიტყვებით წაქეზებული და დანით ხელში მოსამსახურისაკენ იწევდა, დარტყმას ემუქრებოდა. ბავშვის ასეთის საქციელით კმაყოფილი სოფიო მივარდა შეილს, ხელში აიყვანა და დაჟინებით კოცნა დაუწყო; შემდეგ, როცა გული იჯერა, ტახტზე დასრ და მზრუნველობით შუბლზე ხელი გადაუსვა.

— დედავ, ცხელია ბალანაი, რა დიემართა, ღმერთო მომკალი! ლა ტივა, ნენა, შენი ჭირიმე? — მოქცეულის კილოთი ღაეკითხა დედა.

— რავე ბალანაი ამ ღლეი საღ დეიარება, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის და აბა ავათ გახდება, აბა კაი რავე დიემართება ვითამ! — უკმაყოფილოდ შენიშნა გიორგიმ.

— ნეტაი ახირებული ლაპარაკი არ იცოდე! — გაჯავრებით წამოიძახა სოფიომ, ბავში აიყვანა ისევ ხელში და ოთახში სიარულს მოჰყვა: — ე, ნენა, ძამიეი აგერ, — ანიშნა შეილს ჩემზე.

— ერთი დასწერე წიგნი ბარამლაი. აი ბალანაი იცდის,— მიუბრუნდა ცოლს გიორგი.

— ბიჭო, დამიძახე ერთი ციცას,— უბრძანა სოფიომ.

მოსამსახურე გოგოც შემოვიდა.

— წადი, ცავ, ბესარიონისას, ერთი საწერ-კალამი მათხუე-თქვა ელანძე, — უთხრა სოფიომ.

გოგო კარებისაკენ გაბრუნდა, მაგრამ პატარა ვანომაც მასთან წასვლა მოინდომა.

— მე წავეყობი, ნენა! იქინეი პაწაი კეკულებია *).

— არა, ნენა, შენ ავით ხარ, შენი ქირიმე, — დაუყვავა შვილს სოფიომ.

— აბა, მე მინდა, — ტირილით ამბობდა ბავშვი და თავის განთავისუფლებას ცდილობდა.

— კი, ნენა, ბატონო, კეკულას აქანათ მუყაყვანიებ, შენი ქირიმე. კამფეტი გინდა, ნენა, კამფეტი?

მაგრამ ბავშვს აღარა ესმოდა-რა დედისა, ის გაანჩხლებული ჰყვიროდა, ხელებს ასავსავებდა.

— აბა... აბა, არ მინდა... წავეყობი, — სულ ამას გაიძახოდა. დედ-მამა ვერას გახდნენ: ბავშვმა თავისი გაიტანა.

მე იმ ღამესვე დავბრუნდი ს—ში.

II

გიორგი დავლაძემ თითქმის მთელი თავისი ყმაწვილობა მილიციის ღრუთინაში გაატარა; ის ჯერ კიდევ 22 წლის ახალგაზდა იყო, როდესაც სამხედრო სამსახური დაიწყო. რამდენისამე წლის შემდეგ გიორგი „ვახანისტარი“ შეიქმნა და წმ. გიორგის ჯვარიც გულს უმშვენებდა. გიორგი ფიქრობდა ამით დაესრულებინა თავისი სამხედრო მოღვაწეობა, რადგან ახლა ცოლი შეერთო და ოჯახში ცხოვრება განიზრახა, მაგრამ მისი მეუღლე, სოფიო, ამის წინააღმდეგი იყო: „სანამდი ჩინს არ

*) კეკულას—ლეკვს ეძახიან გურიაში.

იზონი, სახლში მოსლა ტყულაი არ იფიქროა“, ასე ეუბნებოდა ის თავის ქმარს. მართალი რომ ვთქვათ, გიორგი თითონაც ხშირად ოცნებობდა „ჩინზე“; ამიტომ ცოლს დაეთანხმა და ჯერ კიდევ სამსახური ამჯობინა. ამ დროს რუს-ოსმალთა ომი ასტყდა. გიორგი, როგორც იყო, ეღირსა პრაპორშჩიკის ეპოლეტებს და, ომის გათავების შემდეგ, სრულიად დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან. გიორგი პირველად თავის უფროს ძმასთან, თედორესთან, ერთად დასახლდა. მაგრამ რძლები ვერ მოეწყვენ ერთმანერთს. სოფიოს უნდოდა ოჯახში უპირატესობა ჰქონოდა. უფროსი ძმის ცოლმა დიდ ხანს ითმინა, ბევრი შეურაცხება აიტანა, მაგრამ ბოლოს ამასაც დაეკარგა მოთმინება... სოფიო მუდამ იმას ჩასჩიჩინებდა ქმარს, რომ „ჩვენ წილი უნდა გვეკუთნოდეს საზიარო ქონებიდგან; შენი სამსახურში ყოფნის დროს თედორე სულ თავიზა ხარჯავდა ყოლიფერსო“. გიორგი ყოყმანში იყო: არ იცოდა, გაჰყროდა ძმას, თუ არა. „რა მენაღლება, მე კი ბატონისავეთ უნდა მარჩინო და შენ, თუ გინდა, რაც გაქ, იგიც გააჩუქეო“, ხშირად განუმეორებდა ქმარს გაბრაზებული სოფიო. ბოლოს ძმათა შორისაც უსიამოვნება ჩამოვარდა. ამის შემდეგ ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო. ძმებმა გაიყვეს საზიარო ქონება და სამუდამოდ გაიყარნენ. მამა-პაპეული ოდა უფროსმა ძმამ დაინარჩუნა; გიორგიმ თავის წილში ფული მიიღო; ამას ცოლის მზითვეიც დაუმატა და ამ ნაირად ლამაზად მოაწყო ოჯახი. მამულიც გვარიანად ჰქონდა, ასე რომ ერთს დროს გიორგი ღარიბ აზნაურად არ ჩაითვლებოდა გურიისში. მეზობლები ჰფიქრობდნენ, რომ ომიანობამ ძალიან უშველა გიორგისო: „პახოთობა არ შამოსწრებოდა, ნახავდა მის სეირსო“, ამბობდნენ ზოგიერთნი. სოფიოს ერთი შეილის მეტი არ გასჩენია; შშობლები თავს ევლებოდნენ პატარა ვანოს და ნებივრობაში ზრდიდნენ მას. ბავშვს რომ თავი წამოსტკენოდა, ერთს ალიაქოთს ასტეხდნენ, ათასს რამეს „შემოარებდნენ თავზე“, წირვას გადაუხდიდნენ, „ნაბრალები არ იყოსო“. როცა ვანო რვა წლისა გახდა, მამას უნდოდა დროებით სასოფლო სკოლაში მიებარებინა მაგრამ სოფიო ამის წინააღმდეგი

შეიქნა: „რა დროის მაგის სტავლაა ჯერ, ბალანამ ერთცახე წამეიზარდოსო“. დავლაძეებს უყვარდათ სტუმრობა; მათი ოჯახი ყოველთვის გულ-უხვი იყო სტუმრისათვის. 15 აგვისტოს, რაის ეკლესიის დღეობას, გიორგის მუდამ დიდი წვეულება ჰქონდა. მეუღლენი ამ დღისათვის დიდს სამზადისში იყვნენ და ცდილობდნენ უფრო რჩეული სტუმრები მიეწვიათ სადილზე. ამით სოფიოს დიდად მოჰქონდა თავი; იმას უნდოდა ყველაფერში პირველობა დასჩემებოდა, ამისთვის, რასაკვირველია, ხარჯსაც იმდენად არ ერიდებოდა. „ძალიანიც რომ მიჭირდეს, მტერის ჯინზე, მაინც არაფერს მევიკლებო“, ჰფიქრობდა სოფიო. ამასობაში ოჯახი თან-და-თან უკან მიდიოდა. გიორგის რაც ფული გააჩნდა, სულ შამოეხარჯა და მარტო მამულის ანაბარა დარჩა. მამულს პატრონობა უნდოდა, მოელა ეკირვებოდა; გიორგი კი მუშაობას ჩვეული არ იყო, ის მუდამ „პანოტობაზე“ ოცნებობდა, იმით აპირობდა გამდიდრებას. „ნეტაი ჩხუბის თუ რამე იყურება?“ ეკითხებოდა ის ყველას, ვისაც კი ვეროპულად ჩაცმულს შეხვდებოდა. საყარედ გაცემული მამული ვერ აკმაყოფილებდა ცოლ-ქმრის ყოველ სურვილს. ამიტომ მამა-პაპეულს მიწას მიჰყვეს ხელი და ცოტ-ცოტაობით ჰყიდდნენ მას...

გიორგი ცოლ-შვილს მუდამ პატივით ეპყრობოდა, მათი სურვილის წინააღმდეგობას როგორც ვერ ახერხებდა. სოფიომ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი და ამით ხშირად სარგებლობდა თავის ჟინის ასასრულებლად. მე თავის დღეში არ დამავეწყდებოდა ის უსიამოვნო შემთხვევა, რომელიც გიორგის ცოლის მიზეზით მოუყვია. ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა და ჭორები აღძრა ნ—ში. სულ უბრალო გარემოებამ კი გამოიწვია ეს უსიამოვნება: გიორგის მეზობლად ცხოვრობდა გლეხი, ტიმოთე კალაძე. სოფიოს ძალიან ეჯავრებოდა ტიმოთე, რადგან ის თევდორეს ჰმეზობლობდა და იმისი მხარე ეჭირა. „დღეა-მისის შვილია დააბიჯოს ჩემს ადგილში ფეხი, მტერობა რაეა უნდა ვაჩვენებ მე იმასო“, ამბობდა სოფიო. მართლაც, ტიმოთე მეტად შევიწროებული იყო გიორგის მიერ: საურმე

გზა დაკავებული ჰქონდა მისგან; ამაზე საჩივარი სწარმოებდა სამსჯავროში. შინაური პირუტყვი, თუ კი რამ გააჩნდა, შიმშილით ეხოცებოდა ტიმოთეს: საძოვარი აღგილი მას თავისი არ ჰქონდა და ეზოს იქით კი ვერ გაუშვებდა საქონელს, რადგან გიორგი ყველაფერს დაიჭერდა, რასაც კი თავის მიწაზე მოახელებდა. სოფიო გულზე სკდებოდა, რომ ტიმოთე, ეს ღარიბი და მეტად შევიწროებული გლეხი, წელეებზე ფეხს იდგამდა და შვილს კი სკოლაში ზრდიდა. „ქვეყანა რაღა არ დეიქცევა, რომ კიმოთაის შვილიც კლასში დეიარებაო“, ხშირად იტყოდა ბრაზ-მორეული სოფიო. ერთ დღეს პატარა ვანო მეზობლების ბავშვებთან თამაშობდა; საღამოზე ის მივიდა ტალახში ამოსვრილი და ტარილით დედას შესჩივლა: „კიმოთაის ნიკოიამ გამლახა და ტალახში ჩამაგდოო“. გიორგი შინ არ იყო. სოფიო ცეცხლივით აენტო, გაბოროტებული გარედ გამოვარდა, ტიმოთეს ეზოსთან მიიჭრა და ღანძღვა-გინება დაიწყო. ამას ტიმოთეს ცოლის პასუხიც მოჰყვა. რაღა საჭიროა იმისი განშეორება, რაც აქ ითქვა... ვიტყვი მხოლოდ, რომ სოფიო ამის შემდეგ კიდევ უფრო გაწიწმატდა; სწორედ ეზოში ჩაუვარდებოდა, ხელ და ხელ ეცემოდა ის თავის მოწინააღმდეგეს, რომლისაგანაც ასეთს კანდიერებას არ მოელოდა, რომ იქვე ტიმოთე არ შეემჩნია. ამასობაში გიორგიც მოვიდა შინ. სოფიო ოდის წინ იდგა და გაკაპასებული კიდევ იღანძღებოდა. ქმრის მოსვლა არ გაუგია მას.

— რა ამბავია?—იკითხა გაცეხულმა გიორგიმ.

— ოი, რეიზა ჩამაგდო ღმერთმა შენს ხელში, რეიზა დამსაჯა,—მიუბრუნდა ქმარს სოფიო.

— რა ამბავია-მეთქი, აღარ მეტყვი?

— წუწქმა მოჯალაბე ყაძახმა რომ თავი ეიგდო და...

— შენი მოჯალაბე შენ შინ გიგდია, შენ დასტურ წუწქო!—მოისმა მოთმინებიდან გამოსულის ტიმოთეს ხმა.

— ხომ გეყურება შენი დასავსები ყურებით?—მივარდა სოფიო ისევ ქმარს.—რაღა სასიცოცხლო ხარ ამას იქით, რომ ყაძახი გღანძღავს და შენ გაჩუმებული უყურებ,—ამბობდა გაცოფებული და თან ქმარს ანჯღრევდა.

— თუ არ გადირია აი ქალი! ყაძახს ეზოში რაფერ ჩაუვარდე?...— ამბობდა დაბნეული გიორგი.

— ოი, გამოგწყვეტს ღმერთი, გამოგწყვეტს!— გააწყვეტინა ცოლმა.— შენ თუ დაგაგლახებს შენი გამჩენი, მაშინ მე ვიცი რაც უნდა.— ამ სიტყვებით სოფიომ ხელი წამოავლო დიდ ქვას და გაექანა ტიმოთესაკენ, რომელიც თავის ეზოში ღობესთან იდგა. გიორგიმ აქ კი ვეღარ შეიკავა თავი. ცოლის ასეთმა საქციელმა მასზე დიდად იმოქმედა. ერთ წამს მან თავისი თავი შეურაცხყოფილად იგრძნო, სისხლი თავში აუვარდა და მთლად აირია. როგორღაც თავისდა შეუმჩნეველად მან იძრო ხმალი და თვალის დახამხამებაში ტიმოთეს ეზოსთან გაჩნდა, სადაც ამ დროს ერთი აღიაქოთი იყო: ცოლი ემუდარებოდა ქმარს: „ერთიცაზე უკან დეიწიე, მაგ შეჩვენებულს ნუ აყოფი, რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავსო.“ შეშინებული ბავშვები საზარლად ჰყვიროდნენ, მაგრამ ტიმოთე არავის ყურს აღარ უგდებდა, ის უძრავად ერთ ადგილზე იდგა. გიორგი მიუახლოვდა ტიმოთეს, ხმალი მოიმარჯვა და ის იყო გულში უნდა ეძგერებინა მისთვის, მაგრამ ამ დროს დიდმა როკის სარმა შეითამაშა ჰაერში და თავ-გატეხილი გიორგი თხრილში ჩაგორდა. მეზობლებმა დიდის გაჭირვებით მოაშორეს ამ ადგილს გაფითრებული ტიმოთე. „აა... შე... სიცოცხლე ხომ გამიმწარე და ახლა ჩემს ეზოშიც აღარ მაყენებ? ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა მან, როდესაც სახლისკენ მიჰყავდათ.

ამ შემთხვევის შემდეგ გიორგი მთელი თვე გარედ აღარ გამოსულა. „გათავებულია, ერთ დღეს მაინც შამომაკტება მიყაძახიო“, იტყოდა ის ხშირად.

ვანო ათი წლის გახდა; ჯერ კიდევ შინაობაში „ან-ბანს“ სწავლობდა. ერთხელ გიორგისას სტუმრად ამოვიდა ოზურგეთიდან ერთი შორეული მოყვარე ქალი. ამ მანდილოსანმა მეტად გაიკვირა, რომ ამოდენა ბავშვი მშობლებს აქამდის სკოლაში არ მიეზარებინათ.

— ვაი, მისი ჭირიმი, რამხელა გაზდილა!— დაყვავებით უთხრა მან ვანოს.— კი მარა აი ბაღანაი კლასში რიგზე არ შეიყვანეთ აქამდი? რაღას უყურებთ ნეტაი?— იკითხა სტუმარმა.

— სოფიოს რომ კითხო, ჯერ აღრეაო; რაე დაგიჯერებს რამეს, თუ რა გინდა!—სთქვა გიორგიმ.

— ჩემს მტერს დიემართა აი, ბატონო!—განაგრძო სტუმარმა.—ამხელა ბაღნები ახლა მეორე და მესამე „ადანალიაში“ არიან და თქვენ კილო აღრეაო იძახით. ახლავე მიეცი თხოვნა და ეკენისთვეში მიიღებენ,—მიუბრუნდა ის გიორგის:—მაგას ჩემს იქით არსად არ გუთუშობ და ხარჯსაც არ გამოგართუმ. ნეტაი მაგის სტავლა კი მეღირსებოდეს და რაე დავზოგავ რამეს! ხომ კბ ისტავლი, ნენა, კლასში?—დაეკითხა ვანოს.

როგორც იყო, მშობლებმა გადასწყვიტეს შვილის ოზურგეთში გასტუმრება; ენკენისთვეში ვანო მიღებულ იქნა სამოქალაქო სასწავლებელში. საცხოვრებლად ბავშვი, რასაკვირველია, დააყენეს მოყვარე ქალისას, რომელმაც, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა, ერთი-ორად მოითხოვა ხარჯის ფასი, თითქო ზრულიად დააიფყა თავისი დაპირებაო. გიორგიმ ყველაფერი აღუთქვა, ოღონდ „ბაღანას კარგად მოხედეო“. ვერიჩკამ (ასე ეძახდნენ მოყვარე ქალს), თუმცა დიდად დააიმედა გიორგი, მაგრამ თავისი მოვალეობა სრულიადაც არ შეასრულა. ბავშვი ხეირიან საქმელსაც კი მოკლებული იყო. მასპინძელი ხშირად გზავნიდა პატარა მოსწავლეს თავის საჭიროებისათვის: ხან ღუქანში და ხან „საპარასკეოზე“. აქ ვანომ ჩქარა გაიცნო ხილით მოვაჭრე ბიჭები, რომლებთანაც ის ხშირად მოდიოდა, მათთან თამაშობით ერთობოდა; აქ მას მოჰქონდა სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო ნივთები და ხილვეულობაში სცვლიდა. ვანო ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ სკოლა იმ თავიდანვე შეიძულა. გაკვეთილებს ხშირად აკლდებოდა, ხან რას მოიმიზეზებდა და ხან რას. სამი წელიწადი დაჰყო მან ერთსა და იმავე კლასში. ბოლოს დედ-მამას გამოუცხადა: „მე სასულიერო კლასი მირჩონია, იქინეი უფრო კარგად ვისწავლიო“. ამაზე მშობლებიც დასთანხმდნენ და ვანო სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს.

— ჩემი ბატონი, რეიზა გამეიყვანეთ ვანო სახორციელო კლასიდან?*)—ჰკითხა სოფიოს ერთმა გლეხის ცოლმა, რომელიც შვილის გაგზავნას აპირობდა ოზურგეთში, სასწავლებელში მისაბარებლად.

— ბეჩა, სახორციელო კლასი რათ ვარგა!—მიუგო სოფიომ:—კლასების მაგიორად იქინეი „ადანალიები“, პაწაი სტავლა! ჩვენ იქინეა კი არ შევიყვანდით ბალანას, მარა იმ დაწყველილმა ვერიჩკამ მოგვატყუა. კლასი ხუცის კლასია! ოთხი კლასია და ძალიანი დიდი სტავლაც არის; იქინეი ლათინურს ასტავლიან და სახორციელოში სადაა რამე!

მშობლების იმედი არ გამართლდა: სასწავლებლის გამოცვლამ საქმეს ვერ უშველა. ვანომ ვერიჩკას თავი დაანება და რამდენიმე ამხანაგებთან ერთად ცალკე სადგომი დაიჭირა ერთს მახლობელს სოფელში და თავის ნებაზე დაიწყო ცხოვრება. ამ დროს ვანომ ბევრი უკუღმართობა ჩაიდინა. მეზობლები არ ემადლიერებოდნენ მას, სასწავლებელშიაც ცუდის თვალით უყურებდნენ. არა აერთი და ორი გლეხი მისულა სასწავლებლის უფროსთან და შეუჩივლია მისთვის: „თქვენმა უჩინიკებმა ძალიანი შეგვაწუხეს, ერთის სიტყვით: ყანაში სიზინდი აღარ შეგვარჩინეს და ხეზე ყურძენიო“. დამნაშავეთა მოთავედ უფრო ხშირად დავლაძეს ასახელებდნენ. არც ერთი ბურთის თამაშობა „ლანველის მინდორში“ ისე არ გათავდებოდა, რომ ვანოს ვისმესთვის ჩხუბი არ აეტეხნა. ამასობაში მან მთლად აიცრუვა გული სწავლაზე.

— რაა, ბაბა, გუშინდელმა შესულმა ბაღნებმა რომ წინ გაგისწორეს, აღარ გცხონია?—უსაყვედურა ერთხელ შვილს გიორგიმ.

— უჩიტლები მემტერებიან და მე რა ვქნა! ყოლიფერო ვიცი, მარა მინც არ გადამიყვანეს,—მიუგო ვანომ.

სამოსწავლო წელიწადი გათავებული იყო, ზაფხული იწყებოდა. კვირა დღეს სასწავლებელში შეკრებილს მოსწავლეებს

*) გურიაში სამოქალაქო სასწავლებელს სახორციელო კლასს ეძახიან, ხოლო სასულიეროს—ხუცის კლასს.

საბედაგოგო საბჭოს დადგენილება წაუკითხეს და ნიშნებიც დაურიგეს. ვანო უკმაყოფილოდ დარჩა ცუდის ნიშნებით; მან მასწავლებელს შეურაცხება მიაყენა სიტყვით, თანაც დაემუქრა და ქუჩაში გამოვარდა. ამის შემდეგ მეორე კლასის მოსწავლე, 18 წლის ვანო დავლაძე, დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდან, როგორც „უნიკო“ და ცუდის ყოფა-ქცევის შაგირდი. სოფიო და გიორგი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმათს შეილს მასწავლებლები ემტერებოდნენ და ამიტომ ვანოს საქციელი არაფრად ვაჰკვირვებიათ.

— მე ქე ვაქვი, ხუცის კლასი არ ივარგებს-მეთქი, მარა შენ დუუჯერებ კაცს!— უსაყვედურა ცოლს გიორგიმ.— სახორციელო კლასში რომ ყოფილიყო ბაღანაი, იგი არ ჯობდა? სტავლა არააო დეიჩმა!

— ასეი იცი შენ! თუ რამე წახნდა, მე დამაბრალებ მაშვიანათე! მაშვინ სად იყავი, თუ ყოლიფერი იცოდი? ვერ შეიტყვე კარვად რაფერ იყო!— გაჯავრდა სოფიო.

III

გავიდა სამი წელიწადი, ვანომ, სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ, ბათუმში წასვლა მოისურვა; აქ ის რამდენიმე თვე უსაქმოდ ცხოვრობდა; თითონაც არ იცოდა, რისთვის ჩამოსულიყო ბათუმში. შრომა და სამსახური მას არა სურდა. მშობლებს კი სწერდა; „ამ პატარა ხანში სამსახურში მიმიღებენ, მარა ჯერ ფული მჭირია და რაცხაფერაი ადრე გამომიგზანათ, თვარა საქმე დამიკბოლდებოა“. გიორგის და სოფიოს სჯეროდათ შეილის სიტყვები, თავის სარჩო-საბადებელს ჰყიდნენ ცოტ-ცოტათბით და ვანოს ფულს უგზავნიდნენ. „ღმერთმა თუ იმის ჩინონიკობა კი მომასწრა, მერე რალა მიჭირს, ადგილსაც კი იყიდის და ყოლიფერსო“, ამბობდა სოფიო. მაგრამ ვანო ამაზე სრულიადაც არა ჰფიქრობდა; ის მხოლოდ იმის ცდაში იყო, რომ დღე და ღამე ლხინსა და ქეიფში გაეტარებინა ახლად გაცნობილ ამხანაგებთან ერთად. ვინ იცის,

რა მოუვიდოდა ვანოს ბათუმში (იქნება საპრობილეშიაც კი შებრძანებულიყო), რომ ამ დროს, მოულოდნელად, დეპეშა არ მიეღო მამისაგან, რომელიც აუწყებდა მას დედის ავადმყოფობას და საჩქაროდ სახლში იწვევდა. ენომ დედას ველარ მოუსწრო ცოცხალს. სოფიომ სიკედილის წინედ მოიხმო ქმარი და უთხრა: „შენ იცი რაღა მოხედავ იმ ბაღანას, კარგა შუუწყვე ხელი და კაი მზითვიანი ქალი შერთე, ფუტი არ გააცივო“.

ვანო, მამის თხოვნით, სახლში დარჩა და ვითომ ოჯახობას მიჰყო ხელი, მაგრამ უფრო დასაძინებლად თუ მოდიოდა შინ; დანარჩენ დროს კი მეზობლებში ატარებდა. ხშირად ოზურგეთში მიდიოდა და ხან-და-ხან მთელის კვირაობით იქ რჩებოდა...

ერთს კვირა ღდეს გლეხს სამსონ ტარაძეს ნათლობა ჰქონდა. სამსონ კარგად შეძლებული გლეხი იყო: საკმაოდ მოზრდილი ოდა, ორი სამზარეულო სახლი, ბედელი და ნალია ეზოს უმშვენებდნენ. ს— წინედ ვაჭრობდა ოზურგეთში და ერთს დროს შეძლებულ ვაჭრადაც ითვლებოდა. ამ დროს მან შეერთო აზნაურის ქალი, მაკრინე. მაგრამ ვაჭრობაში ს—ნს ბედმა მალე უღალატა; ის ერთობ გაღარიბდა; მაშინ ვაჭრობას თავი დაანება და ოჯახს მიუბრუნდა. მერე სოფლის მამასახლისად იქმნა არჩეული; ამ თანამდებობაში კარგად მოითბო ხელი, მაგრამ აღრე გაუგეს ეშმაკობა და გამოსცვალეს. ახლა ის იჯარებს იღებდა, გზებს და ბოგირებს აკეთებდა. ამისთვის საჭირო იყო ვინმე „ფულიანი კაცი“, რომელსაც ვაჭირვებაში დახმარება შესძლებოდა. ამისთანა კაცად სამსონმა აირჩია ნიკო კალაძე, შვილი ტიმოთე კ—ძისა.

ტიმოთემ თავისი უფროსი შვილი, 12 წლის ნიკო სასოფლო სკოლიდან გამოიყვანა და ოზურგეთში ერთს ვაჭარს მიაბარა.

— შენი ღვთის გულისა აი ბაღანია გამიზარდე, ვაჭრობაში გამოაჩივე და ხუთი-ექვსი წელიწადი ტყუილი იმსახურე; ეგება რამე დროში კაცი შეიქნეს, — შეევედრა ვაჭარს ტიმოთე.

ვაჭარმა მიიღო ბავშვი და დაჰპირდა ტიმოთეს, თუ ყოჩაღად იქნება და ბეჯითობას გამოიჩენს, სამი წლის შემდეგ ჯამაგირსაც დაუწინაშავო.

— შენ იცი და შენმა ღმერთმა! მე ერთი საწყალი კაცი ვარ და მაგ სიკეთეს ღმერთი თუ გადაგიხდის, თვარა მე სად შემიძლია, — უთხრა გახარებულმა ტიმოთემ.


ნიკომ ჩქარა შეისწავლა ვაჭრობის წეს-რიგი; ის ყოველთვის მკვირცხლად, ბეჯითად და დაუზარებლად ასრულებდა ბატონის ბრძანებას. ნიკო ვაჭრობაში კარგად გავარჯიშდა, მაგრამ ამასთან ბევრი არა-სასიამოვნო თვისებაც დასჩემდა. ამხანაგების წახედვით მან კარგად შეამჩნია, ვისგან შეიძლებოდა უფარვის საქონელში მეტი ფასის აღება. მან იცოდა, რომ სოფლელი ვერ არის დახელოვნებული ვაჭრობაში და სწორედ ამით სარგებლობდა ჩვენი პატარა მოვაჭრე და სრულიად უბრალო ნივთსაც კი მამასისხლად ასაღებდა. ამ ხერხს ხშირად ხმარობდა ის, რომ თავის „ხაზინის“ ყურადღება მიეპყრა. ამ უკანასკნელსაც მოეწონა ნიკო და ორი წლის შემდეგ ჯამაგირი გაუჩინა. ნიკო სულ იმაზე ოცნებობდა, რომ „ფულიანი კაცი“ გამხდარიყო როგორმე; ის შეეჩვია უფროსებთან თავის მოკატუნებას, მათდა სასიამოვნოდ არაფერს არ დაიშურებდა. წერა-კითხვა ნიკომ სასოფლო სკოლაში შეისწავლა, მაგრამ ახლა ამაზე აღარ ფიქრობდა, წიგნს ხელშიაც არ აიღებდა. ხუთის წლის შემდეგ ნიკო, უკვე ვაჭრობაში დახელოვნებული ახალგაზდა, ბათუმში გადავიდა; იქ ერთ მდიდარ ვაჭართან კარგს ჯამაგირში დადგა და შემდეგ მასვე გაუამხანაგდა. დღეს ნიკო 27—28 წლის ახალგაზდა კაცია და თავისი საკუთარი ვაჭრობა აქვს ბათუმში. იმას ჯერ დიდი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ თავის გამოჩენა კი დიდად სურდა. ბავშობიდანვე შესისხლბორცებული ჰქონდა ის აზრი, რომ „მტერის ჯინზე“ „კაცი“ გამხდარიყო და ეხლა ცდილობდა ქვეყნისთვის დაენახებინა, თუ რამდენად მდიდარი და შეძლებული იყო. ამიტომ ნიკო, შინაობაში თითქმის ძუნწი კაცი, გარედ, „ქვეყნის შესა-

ხედავად“, ყოველითვის თავ-მომწონედ გამოდიოდა. ის უფრო ევროპულ ტან-საცმელს ხმარობდა.

აი სწორედ ეს ნიკო გახლდათ ნათლია ს. ტ—ძისა. სტუმრები აივანზედ ისხდნენ და ნიკოს მოსვლას ელოდებოდნენ. შეკრებილ საზოგადოების ყურადღებას იქცევდა ახალგაზდა ქალი, ნინო ბედაძისა. მართლაც სასიამოვნო სანახავი იყო ეს ტურფა, მშვენიერის სახის ქალი; მისი მიმზიდველი, კეთილი თვალები გონიერად გაიმოიყურებოდნენ და რაღაც სანეტარო სინათლეს აბნევენდნენ გარშემო; გიშრის თმის ნაწნავი ბეჭს უმშვენებდა. მას ეცვა სადად, თითქმის ლარიზად, მაგრამ ისეთის მოხდენით, რომ სხვა, უფრო მდიდრულად ჩაცმულნი მანდილოსნები უნებლიედ რაღაც უხერხულობას გრძნობდნენ. ნინო იყო დისწული სამსონის ცოლის, მაკრინესი. ნინოს მამა, მაქსიმე, ერთ დროს კარგა შეძლებული აზნაურშვილი იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა გარემოებათა წყალობით, უმეტესი ნაწილი იმის მამულისა ვალში გაიყიდა: ეხლა მაქსიმე სოფლად, თავის პატარა მამულში, ლარიზად ცხოვრობდა; ის აღრე დაქვრივდა, მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ისევ დაქორწინდა. პირველ ცოლისაგან მას დარჩა ქალ-ვაჟი: ნინო და იმისი უმცროსი ძმა. ნინომ ჩინებულად დაასრულა ოზურგეთის საქალაქო სკოლა...

სამსონის სტუმართა შორის ჩვენი ნაცნობი ივანე დავლადე იყო, რომელსაც დღეს არაჩვეულებრივი აღელვება ეტყობოდა; ის მოუსვენრად ადევნებდა თვალს ნინოს, ყოველ მისს მოძრაობას. ვანო კარგად იცნობდა ნინოს; იყო დრო, როდესაც მას ეს ქალი მარტო ჟინის მოსაკლავად უნდოდა, მაგრამ ნინოს რამდენიმე შეხვედრამ, მისმა წყნარმა, მშვიდობიანმა სახემ და ღირსებით სავსე მიხვრა-მოხვრამ სულ სხვანაირად შესცვალეს ივანეს გული. ერთს დღეს „სათამაშოში“ ვანო საცეკვაოდ გამოვიდა და იქვე მდგომი ნინოც გამოიწვია; ესეც გამოჰყვა და თავისი მომხიბლავი თვალები ემაწვილ კაცს მიაპყრა. ვანო უნებლიედ შეკრთა; მას თითქოს შერცხვა თავისის უწინდელ განზრახვისთვის და უცბად რაღაც უცნობი გრძნო-

P. 6302



ბა დაებადა... ამ დღიდან მან გადასწყვიტა ნინოს შერთვა, მაგრამ როგორ? მაინც არ იცოდა როგორ მოეხერხებინა ეს საქმე. ეჭვი არ იყო, რომ მაქსიმე ისეთ კაცს მიათხოვებდა თავის ქალს, რომლისგანაც გაქორცვებაში დახმარების იმედი ექნებოდა; რასაკვირველია, უპირატესობას მისცემდა მდიდარს კაცს, თუ გინდ ეს კაცი მოხუცებული ან გლეხიც ყოფილიყო. მაშ რბ ექნა ივანეს? ძალა ეხმარა? ამაზედ წინად იქნება არც კი დაფიქრებულიყო: „ქალი ვინც უნდა იყოს, რავე ვერ ჩევიგდებ ხელშიო“, არა ერთხელ უთქვამს მას, მაგრამ დღეს ამაზე ფიქრსაც კი ვერიდებოდა. საკვირველი იყო ამ კაცის მდგომარეობა: ყოველთვის და ყველაფერში გაბედული და შეუზოვარი, ამ ჟამად სრულ უღონობას და, ასე გასინჯეთ, რაღაც დამცირებასაც კი გრძნობდა. „ვინ იცის, როგორ შეხედავს დღეს ნინო ნიკო კ—ძეს; იგი ხომ მდიდარი კაცია და კიდევაც ეცდება მოაწონოს თავი ყველას“, ჰფიქრობდა ვანო; მას სძულდა და ეჯავრებოდა ნიკო, რომელიც ბათუმშიაც ბევრჯერ ენახა. ასეთის იქვებით იტანჯებოდა ვანო; ის დადუმებული იჯდა, თუმცა სხვა სტუმრებს ამდროს გაცხარებული ბაასი ჰქონდათ. „ფუული! მე საჩქაროდ ფული უნდა ვიშონო და მაშინ ყოლიფერს ვიზამ,“ გაუელვა მას უეცრად. ამასობაში ნიკოც მოვიდა, მის დანახვაზე ივანე შეერთა და უსიამოვნოდ შეერჯოლდა, მაგრამ თავი შეიკავა. მასპინძელი მიეგება ნიკოს. აივანზე სტუმარს ნათლის-დედა შეხვდა.

— ჩემ სტუმრებს ყველას ვერც ქე იცნობ შენ!—მისაღმების შემდეგ უთხრა მან ნიკოს.

— ვისაც ვერ ვიცნობ, იმასთან რეკამანციას გამიწევთ, იმედია,—მიუგო ნიკომ.

— კი ბატონო, შენი ჭირიმე!—წარმოსთქვა მაკრინემ და სტუმარი ნინოსთან მიიყვანა:—ეს ჩემი დისწული გახლავს.

ნიკომ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა ნინოს. მეტე სხვებსაც სალაში მისცა.

— რა ამბავია, კაცო, ამდენ ხანს რომ გვაცთიე! პაწაი ადრე არ გეკადრებოდა მოსლა, სიძოური დიდი კაცი ხარ შენ?— ძალდატანებულის ხუმრობის კილოთი უთხრა ნიკოს ივანემ.

— შენთან კი ვარ უკაცრავად!— მიუგო მას ნიკომ ისეთის შედიდურის ღიმილით, რომელსაც ზოგიერთები ხმარობენ, როცა უნდათ ვისიმე დამცირება. ეს ღიმილი კარგად შეამჩნია ვანომ და პილპილივით აენტო.

— უკაცრავად კი ხარ, ყაძახო, მეტი თუ არაფერი!— წარმოსთქვა ივანემ გაბრაზებით. ნიკომ ოთახისაკენ გასწია, თითქო არც კი გაუგონია ივანეს უკანასკნელი სიტყვებიო. პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი უხერხულობას გრძნობდნენ.

— აბა ჩვენ ქე შევუდგეთ აწი საქმეს! ნეტაი წყალი თუა მზათ?— იკითხა მღვდელმა.

— კი ბატონო, რახანია მზათაა ყოლიფერი!— მიუგო სამსონმა. ბავშვი მონათლეს. ნიკომ მშვენიერი ოქროს ჯვარი დაანათლა ყრმას და ნათლის-დედასაც კარგი საჩუქრები მიართვა. „ნეტაი რა დაანათლა?“— წასჩურჩულა ერთმა მანდილოსანმა მეორეს. — „რა ვიცი, რაცხა კი შეინახეს შეხოული და არ მინახავს“,— მიუგო მეორემ.

ამასობაში სუფრაც გაშალეს და სტუმრები სადილზე მიიწვიეს.

— აგერ მობრძანდი, ნიკო!— წარმოსთქვა მასპინძელმა და ზაპატიო ადგილი ანიშნა ნათლიას.

— მობძანდი, მობძანდი!— დაუმატა მღვდელმა, რომელსაც სახეზე კმაყოფილება ემჩნეოდა. შენ პატივსაცემი კაცი ხარ.

ყველანი რიგ-რიგად დასხდნენ. სადილი მხიარულად დაიწყო. ჩქარა გაისმა მწყობრი „მრავალ-ჟამიერ“.

— ერთი მოყვარე კაცი მყავს ბათომში, თუ იცნობ; ივლიანე მ—ძე, ნეტაი რას შობა?— დაეკითხა ნიკოს ერთი სტუმართაგანი.

— რა უჭირს, ქია კარგათ,— მიუგო ნიკომ.

— მაგინი რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს! ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი!—დაიწყა სამსონმა.

— ახლანდელ დროში ფული ვისაც აქ, კაციც იგია,— დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი.

— ოჯო ცარიელი ფულიც აფერი არაა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა და პაწაი განათლება არ ახლავს!—შენიშნა მესამემ.

— „ნეტუელი“ შენ უფულოდ გააკეთებ რამეს, კაი განათლებულიც რომ იყო?—თავმომწონედ დაიწყა ნიკომ:—შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშეინ ხარ. რავა, რას უძახი შენ განათლებას? იგი კაცი კას ჭამს, კას სვამს, კარგათ აცვია და ახურავს, მტერს რიგიანად დაუხვდება და მოყვარეს. ერთის სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქ. ფული რომ არ ქონდეს, ამას ხომ ვერცეტს ვერ იხამს? ბევრი ვიცი მე იმისთანა კაცი, რომ განათლებულად მოაქ თავი და მჭადი ქე ენატრება!

— აბა მე გეტყვი შენ,—დაიწყა ივანემ ათრთოლებულის ხმით:—კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მუარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდი ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ შეიშლის!

— კი მარა ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას? რამდენია იმისთანაი აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლ-შვილს დააწინდრებს. კაი ხანია წვეიღა უწინდელი დროი! ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია; მარტუაი აზნაურშვილობა სულ აფერი არაა, იგი ტყულაი არ თქვას ვინმემ!—ცხარობდა ნიკო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ივანეს ფერი ეცვალა და თვალემა ბოროტად გაუელვეს. მღვდელმა შეამჩნია ეს და, ლაპარაკი რომ უფრო არ გამწვავებულყო, სთქვა:

— ბატონებო, კმარა ამაზე ლაპარაკი! კაი კაცი აზნაურიც ბევრია და მსახურიც. დღეს ნათლაა და მხიარულებაც გემართებს!

— შენ დაგლოცა ღმერთმა, მამაო! ამას არ ვჩივი მეც! — შენიშნა სამსონმა. — აბა, მომეხმარეთ, თქვით ერთი სიმღერა, — მიმართა მან ახალგაზღა ბიჭებს, რომელნიც სუფრის ბოლოში ისხდნენ და პირველი ხმა თითონვე დააწყა. სიმღერა გაჩაღდა, კიეინაც ზედ დაერთო. სტუმრები კარგა შეზარხოშდნენ. თამადამ ხუთი მობრდილი ქიქა დაამწკრივა თეთვზე, სუყველა ღვინით გაავსო. ჯერ თითონ დაცალა, მერე ისევ გაავსო და ივანეს მიაწოდა. ივანემ ღვინო დალია.

— მე ნიკო კალაძესთან ვარ ალავერდი, — სთქვა მან და ღვინით სავსე ქიქები მას გაუგზავნა.

— მე ვერ გიახლები მაგ ღვინოს, ტყულია ირჯები! ახლა აღარ მწყურია, — სთქვა ნიკომ.

— მე კი მწყუროდა, რომ დავლიე?

— იგი არ ვიცი მე! ალბად გინდოდა და იმიზე დალიე. მე ხვალეც ვიშონი ღვინოს და, ვისაც ენატრება, იმან ჩვირჩვეს შით!

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თვარა მუგ ქიქებს დაგაფხვნი დავზე! — შეუტია ბრაზ-მორეულმა ივანემ.

— რა საკადრისია, ივანე, მაგისთანაი პასუხი, ღმერთმა ჩემს მტერს დამართოს აი! — შენიშნა წყენით მაკრინემ.

— დედიშენის შვილი ხარ და გაბედაე რამ...

ნიკომ სიტყვა ვეღარ დაასრულა: თვალის დახამხამებში ივანემ ღვინით სავსე ბოთლი შიგ თავში მიართყა. ნიკო იქვე, სკამზე, გადაიქცა და თავ-პირი სისხლით შეეღებოდა ერთი ალიაქოთი შეიქნა. ივანეს მისცვივდნენ, მაგრამ ის რვეგოლვერით ხელში იდგა და გააფთრებული ჰყვიროდა: „არ მომეკაროთ სიახლოვეს, თვარა სულს გაგაგდებინებ ვინც მოხვალ, მაგ წუწკს გავათავებ ბარამლან!“ ნიკო გამოერკვა, ფეხზე წამოდგა და ივანესაკენ გაიწია, ზითომ სამაგიტროს გადახდას უპრობდა. ივანე ისევ გაშმაგებული ჰყვიროდა: „გამეუფვით ერთი, გემე-შვით, გავაპობ შვაზე მაგ ძაღლს!“ ნიკო მეორე ოთახში გაიყვანეს, იარა შეუხვიეს და დააწვინეს. ყველანი სწუხდნენ, თავზე

ადგნენ მას. ამით ისარგებლა ნინომ და, მიუახლოვდა რა ივანეს, დაყვავებით უთხრა მას:

— ჩემო ივანე, თუ ღმერთი გწამს, ამ წუთში წადი სახლში; აქ ნუ მოიციდი, ჩხუბი რა საჭირია!

ივანე ერთბაშად მოლბა.

— აბა მაგისტანა ყაძახს რაეა შევარჩენ თავის აგდებას, — სტქვა მან

— კიდევ გთხოვ, ეხლავე სახლში წახვიდე, — განუმეორა ნინომ.

— მე წავალ, ნინო, შენი თხოვნით, შარა შენც უნდა წახვიდე აქედან და შენ თუ მეიცადე, მაშინ მეც აქანაი დერჩები იცოდე და ვინცხას კი მოვკლავ დღეს! — წარმოსტქვა ივანემ მღელვარებით.

ნინო დასთანხმდა, მაგრამ, რადგან მათი ერთად წასვლა მოუხერხებელი იყო, ამიტომ ივანე პირველი უნდა წასულიყო. ამასობაში ოთახიდან სამსონიც გამოვიდა.

— უშადური გამყოფა ღმერთმა, ივანე დავლადე, რაფერ შენ წამამწარე დღემანდელი დღეი! თუ დალიე ორი ჭიქა ღვინო, ქე გაღირევი, გახელდები, უჩხუბრად და უდავიდარაბოდ ველარ გაჩერდები! რა ღმერთი გამიწყრა მე, შენ რომ დაგპატიე! — უსაყვედურა მან ივანეს.

— დეიკარგა საცხა შენი დაპატიება და უშენი თავი, შე ჯგლბო გადათრეულო! ძალიანიც რომ შემეხვეწო, მე კი მოვალ აწე შენსას? შენ შენისთანაი მუტაკიე გინდა! ყაძახი ღორის ჭყანში ხარ ყვალაი მოწათლული. აქანაი აფერს გიჩივი და სხოგან მე ვიცი, — სტქვა ეს ივანემ და შინისაკენ გასწია.

ივანეს წასვლის შემდეგ სამსონ ლანძღვა-გინებას და მუქარას მოჰყვა:

— მაგისტანა ნადირს რაეა ჩამუუშობს კაცი ეზოში! მარჯ მაკალოს, მაგიორი თუ ვერ უქნა, მაშინ მისი ფეხები დამაბაწნოს და ახლა რადი!

— ღმერთი დაღუბავს და შიჩვენებს იმ გადათრეულს, იმ წუწკს იმას! დედო ქვესკნელი ჭომაა, იქინეი წვევიდა იგი დღეს.

წორამდი, ღმერთის წყალობით, მე თუ იგი ამას არ მემართლებოდეს! — ბანს ეუბნებოდა ქმარს გაკაპასებული მაკრინე, რომელიც ის იყო აივანზე გამოვიდა სისხლში მოსვრილ პირსახოცით ხელში და წყილსკენ გაეშურა.

— რომ თქვას კაცმა, არც იგი თქვენი ნიკო ყოფილა თლა წმინდა წყალი! აუშვია თავი და რას ლაპარაკობს არ იცის! ვითამ ვინ მუუთმენდა, რაც იმან დღეს იყმედა? ახიც იყო იმაზე! — სთქვა ნინომ და სახეზე ოღნაფ წამოწითლდა.

სამსონ სახტად დარჩა: ის არ მოელოდა ნინოსაგან ივანესადმი თანაგრძნობას. „მაგენს რაცხა კი აქ ერთმანეთში“, გაიფიქრა მან.

— ტყული იყო, რაც უთხრა, თუ? — დაბნეულად წარმოსთქვა სამსონმა და სახლში შებრუნდა.

iv

ივანემ ღამე მოუსვენრად გაატარა; იმას ექვემდებარებოდა ნინოს და ნიკო ფიქრისგან არ განშორებოდა მას.

— რა ქენი, გუშინ, რავი მაინძელი იყო სამსონია? — დაუკითხა შვილს გიორგი მეორე დღით.

— რავი და ძგი! ყაძახის მასინძლობა კაი შეილია! — სთქვა უგუნებოდ ივანემ; ჯალაბი მისდღემში ჯალაბია! მარა იმის დერდი არ მაქ, რაც იყო; იყო და ერთი რაცხა უნდა გითხრა.

— რაა, ბაბა?

— რაა და ნასახლევეზე რომ მიწა იგი უნდა გავყიდოთ! ახლა რომ ერთი ოც და ხუთი თუმანი არ ვიშოვნო, არიქენება, იმისთანაი საქმე მაქ!

— რა საქმეა ახლა იმისთანაი; რჯო? აი ადგილი ამასობაში ქე ჩაგელია ხელში! საქმელი მქალი აღარ გვექნება, თვარა სხვას ვინ ჩივა! — სასოწარკვეთილებით შენიშნა გიორგიმ.

— მქალი თვარა გაგაკეთებს იგი მქალი მე ვიცი! მეტი რაღა გინდა ქვეყანაზე! ღორმა კი ჩააკტა ამისოფა სიცოცხ-

ლეს! ერთი თუმანი რომ გინდოდეს, იმას ვერ იშონი, ქვეყანა რომ დეიქცეს!—წამოიძახა გაჯავრებულმა ივანემ და ეზოდან გავიდა...

ათი დღის შემდეგ ერთს გურჯის სოფელში შემადრწუნებელი ავაზაკობა მოხდა: საკუთარს სახლში მოჰკლეს ერთი მემამულეთაგანი, რომელსაც ფულიანი კაცის სახელი ჰქონდა, გავარდნილი. ეს საზიზღარი კაცის-კვლა მოხდა ღამით, როცა მთელს სოფელს ეძინა. სახლის პატრონს გარდა სასიკვდილოდ დასჭრეს მისი მსახური ბიჭი, რომელიც გზაზე გადაეღობა ბოროტ-განმზრახველთ და სახლში არ უშვებდა მათ. მსუბუქად დაჭრილნი იყვნენ აგრედვე მემამულის ცოლი და იმისი ორი ქალი. ამ აღმაშფოთებელმა ავაზაკობამ მთელი სამაზრო აღმინისტრაცია შესძრა. დაპატიმრებულ იქმნა რამდენიმე კაცი და მათ შორის, ივანე დაელაძეც. ეს უკანასკნელი, როგორც ამბობდნენ, სამსონ ტარაძის „დანოსით“ შეიპყრეს. ივანე თავის გასამართლებლად ამბობდა: „მართალია, მე იმ ღამეს შინ არ ვყოფილვარ, მარა საქმე მქონდა, სხოგან ვიყავიო“. აქ ის-ერთ კაცს ასახელებდა: „მე იგი ღამე იმისას გავათიე, თვითონაც შინ იყოვო“. მაგრამ გამომძიებამ აღმოაჩინა, რომ დასახელებული კაცი სწორედ იმ ღამეს, როცა კაცის-კვლა მოხდა, ქუთაისში იმყოფებოდა. აშკარა იყო, რომ ივანე სტყუოდა; ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, უფრო სარწმუნოდ ხდიდა მისს დანაშაულობას. საპრობილეში ივანე პირველად ძალიან დაღონებული იყო; იჯდა მუდამ თავ-ჩაქინდრული, დაღვრემილი და რაღაც ფიქრებში გართული. რაც დრო მიდიოდა, მას უფრო მოუსვენრობა და სიბრაზე ემატებოდა; თიბქმის არავის არ ელაპარაკებოდა. გამომძიებელთან ხშირად დაჰყავდათ ის ჩვენების ჩამოსართმევად. ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა ივანე-როდესაც ის უკანასკნელად კიდევ მიიყვანეს, გამომძიებელთან, ველარ მოითმინა და მკვახედ უთხრა მას:

— რა ამბავია, რომ აღარ მომასვენეთ? ერთს და იმავეს ათასჯერ ახვეთ და მაინც აფერი გეშველა თქვენ!

— შე თქვენ გირჩევთ, მოთმინება იქონიოთ და თავ-დაპე-რილად მოიქცეთ!—მიუგო გამომძიებელმა.

— თავ-დაპერილათ, თვარა თავი არ გამაგდებოი აქნაი! რას მიზამ, თუ იცი? შენ ღმერთი გგონია შენი თავი. შენის-თანაი ათასი ჩამოთრ....

— მოწყალეო ხელმწიფე!—შეჰყვირა მოთმინებისაგან გა-მოსულმა გამომძიებელმა, ნუ დაივიწყებთ, რომ გამომძიებლის კამერაში ხართ და ვალდებულობა გადევთ ყოველს კითხვაზე დამწვიდებით მომიგოთ პასუხი!

— სრულებით არაფერის ვალდებული არ ვარ ქვეყანაზე! ისეი, თუ მაინდამაინც გინდა, ამ ერთი გზობა კილო მკითხე, მარა მეტს ველარ გიახლები სწორეთ! რაც გინდებთან, იგი ქე-ნით.

— აქ არის ერთი კაცი,—განაგრძო გამომძიებელმა,—რო-მელიც უკვე გამოტყდა, რომ თქვენთან ერთად მონაწილეობა მიუღია იმ ბოროტ-მოქმედებაში.

ივანე გაფითრდა.

— მაგისთანაი კაცი ჯერ არ დაბადებულა ქვეყანაზე!—წარმოსთქვა მან დაბნეულად.

— ეხლავე გიჩვენებთ იმ კაცს,—სთქვა გამომძიებელმა და თავის მწერალს რალაც ანიშნა. ამ უკანასკნელმა მაშინვე მეო-რე ოთახიდან ერთი ახალგაზდა პატიმარი შემოიყვანა, რო-მელსაც სამი თოფიანი ჯარის-კაცი შემოჰყვა.

ივანე ამაოდ ცდილობდა გულ-გრძილად დახვედროდა მო-პირდაპირეს და თავისი აღელვება როგორმე დაეფარა.

— ამ კაცს იცნობთ თქვენ?—დაეკითხა მას გამომძიებე-ლი და ახალ-მოსულზე მიუთითა.

— სულაც ვერა, მისდღემჩი არ მინახავს!

— ჰაი გიდი, ბიჭო!—დაიწყო ახალ-მოსულმა პატიმარმა.— ახლა ველარ მიცნობ და როიცხა მგზანიდი, შეიტყვე შენ რო-ის იქნება და რომელ ოთახში სძინავსო, მაშენ ხომ კარგად იცნობდი გოგია ზა—ძეს. ვინ დეიწყო უწინ მაი საქმე, ვინ მუუყარა ბიჭებს თავი, ვინ დალუპა ამდენი კაცი? შენ არ იყა-

ვი რომ ჩიოდი, მაგას ვერაფერი კაცი ვერ შეგვიტყობს, მაინც ფირალს დააბრალებენო? ფულები ყვალაზე მეტი შენ ჩეიხბრ-ალე ჯიბეში და ახლა მე დევიკარგო და შენ აქანაი ბძანდებოდე? ველარ მოგართვი სწორეთ!

ივანე სულ აირია.

— ჩემთან კილო გაქ თქვენ რამე საქმე?—დაეკითხა ის გამომძიებელს.

— რას იტყვით ამაზე?

— მაი ყაძახი... გალახული მყავს მე... სხვავი რომ ვეფერი მაწყინა, ახლა ამით უნდა გადამიხადოს... მარა... მაგას არ შერჩება მაი...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა ბრაზ-მორეულმა ივანემ და მრისხანედ გადახედა თავის მოპირდაპირეს.

გამომძიებელმა ჯარის-კაცთ ანიშნა და ივანე ისევ საპყრობილები წაიყვანეს.

ღაღიან

(შემდეგი იქნება).

უნუგუმო ყოფნა

იას, ბნელს სეკში მოსუელს,
 დიდი ჭანდრები ჭფარავდა,
 ეწადა დიდ ხანს სიცოცხლე
 წადილს აღარა ჭმალავდა:
 ინახებოდა, ჭკრთებოდა,
 მზის სხივს ელოდა მადლითა;
 შეჭფოფინებდა სამყაროს
 გაშტერებულის თვალითა.
 მზის სხივი აკლდა, ელოდა,
 მზე აღარ ამოდიოდა;
 ჩიჭილად მისი სხივები
 თავზე არ ეფინებოდა.
 ამოიკენეს ჩაგრულმა,
 გულ-მოკლულს ეტირებოდა.
 მზე კვლავ აწვდენს სხივებსა
 ბნელის ჯურღმელის წყვედიადსა,
 კერ უმთელებად წელულს გულსა
 ფერ-გახუნებულს იასა.
 ია სჭკნებოდა, კვდებოდა,
 მიწასვე ებარებოდა;
 გაღმა კი უკავილთა გუნდი
 სამოთხეს ედარებოდა.
 მზე უხვად ნათელსა ჭფენდა,
 ჯვარი არ ეკარებოდა.

ახს სიკვდილი ან დროსა
 მათ უფრო ეძინებოდა:
 ჭსედაეს, რომ სსუნა ღსინებენ,
 მას მიწა ევალებოდა.

გაყა-ფშეკელა

[The following text is extremely faint and largely illegible due to low contrast and blurring. It appears to be a list or a series of short lines of text, possibly related to the 'გაყა-ფშეკელა' section. Some faint words like 'მთაბე' and 'ფშეკელა' are visible.]

ზარქიპანოქიანთ ნინო

მოთხრობა საქართველოს ცხოვრებიდან

პ რ ტ უ რ ლ ე ი ს ტ ი ს ა

თარგმანი გერმანულით

XII*)

მეორე დილას ლევანი მარდად წამოდგა ლოგინიდან, რადგან გუშინდელი ფიქრები აღარ აწუხებდა. ჯერ ვენახი დაათვალიერა და მერე სათიბზედ გავიდა, რომ ენახა, თივა გამხმარიყო, თუ ჯერ არა. წრეულს ბალახი ჩინებული მოვიდა და უხაროდა, საკვები იმდენი მექნება, რომ საქონელს რამდენსამე თავს მოვუმატებო. სიმინდის ნათესებსაც არა უჭირდა-რა და კაი მოსავალს ჰპირდებოდა პატრონს. ეს ლევანმა შორიდანვე შეამჩნია და რა დანახა, რომ მოურავი სიმინდებიდან შინა ბრუნდებოდა, მისაგებებლად წავიდა. ყოველთვის ესიამოვნებოდა, როცა მოურავი კაი მოსავლის იმედს არ უქარწყლებდა და ეხლაც ამ საგნის შესახებ გამამხნეველ სიტყვას ელოდა. გზაში მხოლოდ თავის სიმინდებზედ და თივებზედა ჰფიქრობდა და როცა ისე მიუახლოვდა, რომ სახეში ჩახედა, მაშინ კი რაღაც შიშის მზგავსი უკმაყოფილება იგრძნო. მაინც ტკბილად მიეგება და რამდენიმე სიტყვის შემდეგ კვლავ გამხიარულდა. ისიც ვერ შეამჩნია, რომ დღეს მოურავი კვლავინდელზე უფრო ჩათიქრებული, შემკრთალი იყო, ნაკლებს

*) „მოამბე“ № III.

ლაპარაკობდა და ჩვეულებისამებრ ბატონის კითხვაზედ ვრცელს და დალაგებულს პასუხებს არ იძლეოდა. ლევანს უცებ, მოულოდნელად უნდა შეეტყო იმისთანა ამბავი, რამაც მთელი იმისი არსება შეარყია და შეეტყო მაშინ, როცა ნინოზე, ან გარელზე სრულიადაც არა ჰფიქრობდა. სათიბიდან რომ გამოვიდნენ და მათი ლაპარაკი პატარა ხანს შეწყდა, მოუთრავი უცებ მიუახლოვდა და შეკრთომით მოახსენა.

— წუხელის გარელი ჩვენს ხილის ბაღში იყო. მე დავინახე, რომ თქვენი მეუღლეც სწორედ იმ დროს იქ გაეშურა და მხოლოდ ნახევარ საათს უკან დაბრუნდა. მოვალე ვარ და იმიტომ გატყობინებთ, გაგაფრთხილოთ.

ლევანს ამ ამბის გაგონებაზედ კინალამ მუხლები ჩაეკეცა. მთლად გაფითრებულმა სახე მოარჩინა, რადგან ყოველმა ძარღვმა თრთოლა დაუწყა და საშინელი მდგლვარება ვეღარ დაიკბრო. რამდენიმე წამი ჩუმად მიდიოდა მოუთრავის გვერდით, თითქო არაფერი გაეგონა, ან გაგებულის მნიშვნელობას ვერ მიმხვდარიყო. უცბად მრისხანება მოაწვა გულზედ იმ კაცისადმი, რომელმაც გაზედა, ამისთანა ამბავი შეატყობინა და ერთის სიტყვით ბედნიერება მოუსპო, სიცოცხლე გაუნადგურა.

— „სტყუი!“ — უნდოდა ეთქვა, მაგრამ იცოდა, რომ არა სტყუოდა, რომ ის ძველი, ერთგული მეგობარი იყო იმისი, როგორც ოცი წლის განმავლობაში იმის მამისა ყოფილიყო.

ბოლოს გაჩერდა ერთ ადგილას, სიარულის ღონე აღარა ჰქონდა.

— ჩემო ერთგულო გიორგი, — უთხრა მან მოუთრავს ათრთოლებულის ხმით, — შენმა ნაამბობმა, მართალია, ენით უთქმელს ტანჯვაში ჩამადლო, მაგრამ მაინც გმადლობ, რომ არ დამიმალე. ერთხელაც იქნებოდა ხომ უნდა შემეტყო და რაც აღრე შევიტყობდი, ის უმჯობესია.

კანკალით ჩამოჯდა ლევან თივის ბულუღზედ და სახეზედ ხელები მიიფარა.

— ვარამს ნუ გაუტყდებით, ბატონო, — ანუ გეშებდა მოუთრავი, — ჯერ ყოველისფერი ნამდვილად შეიტყეთ, იქნება ისე სამწუხარო არა იყოს-რა.

— ნამდვილად შევეტყო! თითქო, რაც მიტხრა, სინამდვილეს მოკლებული იყოს! — თავ-ჩაღუნული ჰფიქრობდა ლევან.

პასუხი მოურავისათვის არაფერი მიუცია და იმან რომ ნახა, საჭირო აღარა ვარო, მარტო დასტოვა და მუშებთან წავიდა.

— ოჰ, ღმერთო, რა სირცხვილი ვქამე ამ კაცის წინაშე! — ბუტბუტებდა ყმაწვილი კაცი, მოურავი რომ ახლო ვედარ დაინახა. — ასე მოტყუება თავზედ ლაფის გადასხმა სწორედ! მერე იმისთანა სალაზანას უნდა გაემარჯვნა ჩემზედ! არა, არა, ეს ქალის საქმეა, ყველაფერი ქალის ბრალი!

მწარე ნაღველმა აიტაცა მთლად მისი არსება; უნდოდა წამოშტარიყო, მისულიყო შინ, ყველაფერი ეთქვა ნინოსთვის და გაეგღო.

წამოდგა კიდევ და შინისკენ გაემართა, მაგრამ ისევ გაჩერდა და მოურავის სიტყვებს დაუკვირდა.

— ჰო, უნდა ნამდვილად შევეტყო, — წარმოსთქვა თითქმის ხმა-მალლა, — უნდა ჩემის თვალითვე მასთან მიმავალი ვნახო.

მაგრამ ჯაშუშობა ეზიზღებოდა და დიდ ხანს იბრძოლა თავის ხასიათთან, ვიდრე ამას გადასწყვეტდა. მოუთმენლობა ისე სტანჯავდა, რომ თითქმის სურდა დღესვე მისცემოდა შემთხვევა და დალატი თავის თვალითვე განეცადა, რადგან ის უფრო გულს უკლავდა, ერთი ან ორი დღე გამოურკვეველ ყოფაში დარჩენილიყო, ვიდრე თვით ნინოს დაკარგვა. გრძნობდა, რომ ნინო მას აღარ ეკუთვნოდა, რომ მათ შორის გარდუვალი ნაპრალი დაიდო სამზღვრად.

უცბად შესდგა და უკან დაბრუნდა. დღეს შეუძლებელი იყო მისთვის ნინოს სჩვენებოდა, იმის სახეში ჩაეხედა.

— არა, ეხლა იმის შეხედვას ვერ ავიტან! — გაიფიქრა მან და გადასწყვიტა სალამომდე შინ არ დაბრუნებულიყო.

ჯერ უნდოდა სადილი იქვე მინდორში მიეტანინებინა, მაგრამ იმისი შეეშინდა, ასე უმიზეზოდ გარედ ყოფნა გაუკვირდებათო და ამიტომ ცხენი მოაყვანინა და ერთ მეზობელთან გაემგზავრა.

იმის აზრით, ეს ყველასა სჯობდა. მოურავს უბრძანა.—დედა-ჩემს შეატყობინე, ახლო სოფელში საქმე გამიჩნდა და მხოლოდ საღამოთი დავბრუნდებიო.

ლევან გაემგზავრა თავის კარგ მეგობარ რაფაელ მეგონიძესთან, რომელსაც ძალიან გაუკვირდა იმისი ასე ადრე მისვლა.

— მინდა ახლა მთაში ავიდე, ჩემი ცხვრების ფარები დავათვალიერო,— სთქვა მან, როცა თავის მეგობარს განცვიფრება შეამჩნია.

ცხვრის დათვალიერება სრულებით ფიქრად არა ჰქონია, უცბად მოუვიდა თავში, მაგრამ რაკი სთქვა, უნდა შეესრულებინა კიდევ და ერთის საათის შემდეგ, დასაუზმებელი გზას დაადგა. იქვე სოფელთან იწყებოდა მშვენიერი წიფლის ტყე, რომელიც ვინ იცის რამდენჯერ გაველო ლევანს მხიარულად მხარზედ თოფ-გადაგდებულს. ეს პირველად მოხდა, რომ აქ თავის სულის ტანჯვის დასამალავად წამოსულიყო და დღეს ბუნების მშვენიერება უწინდელსავეით აღარ მოქმედობდა მასზედ, ვეღარც კი ამჩნევდა. ეხლა ის ვერა ჰხედავდა ვერც მისს გარშემო ახოვანად ამართულს მცენარეობას, ვერც შორს გადაშლილს დიდებულს ბუნების სურათს. თითქო მთელს ქვეყანას სქელი პირბადე გადაეფარა და მისი გახელილი თვალები ჰხედავდნენ მხოლოდ ცვალებადს სურათებს, მისს აღელვებულ გონებისაგან შექმნილს და წარმოდგენილს.

ორი საათის ნელი სიარულის შემდეგ მიუახლოვდა იმ ალაგს, სადაც იმისი ფარები იდგნენ საძოვრად, მაგრამ უცბად დაზარდა იქ მისვლა, ჩამოხდა ცხენიდან და გაშლილ ალაგას ერთ მუხის ქვეშ წამოწვა, საიდანაც მთელი ყვირილას ხეობა მოსჩანდა. ჩინებული დასასვენებელი ადგილი იყო: გარშემო ხასხასი მწვანე გადაჰკვროდა მიწას და ყველაფერი გაზაფხულის პირველ დღეებსავეით ყვავოდა, მუხის ხის ახლო წყარო ჩამოჩუხჩუხებდა; ცოტა იქით მწვანე საძოვარი მინდვრები გადაფენილიყო, რომელთ უკან რაჭის შიშველი მთები შავ დევებსავეით ამართულიყვნენ; წინ კი, ღრმად ხეობაში მოსჩანდა იმის

საყვარელი სოფელი. ყოველი კლდე, ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი ნზეზედ საამოდ ბრწყინავდა.

მხოლოდ აქ, ამ განმარტოებულ მაღალ ადგილს აეხილა თვალეზი, მხოლოდ აქ განიცადა ბუნების მშვენიერება. აიხედა მაღლა და რა დაინახა მოღიშარი ცა, გულში თბობა მხიარულების შუქი ჩასწვდა, თითქო რაღაც ნუგეზი იგრძნო. დღემდის სიცოცხლეც ისე უღიშოდა, როგორც ეს ცა და ეხლა კი მისი არსება მწყვედიანა მოიცვა. ტკივილისაგან ამოიოხრა და ხელახლავ შავმა ფიქრებმა დაუწყეს გულის ქენჯნა. ათჯერ მეტად აუშფოთდა გული და ათჯერ მეტად სცადა მისი დამშვიდება იმ ნუგეზით, რომ ჯერ კიდევ განწირულებას არ უნდა მივეცე, იქნება ცხოვრებას ჩემთვის სიხარული რამ კიდევ შეენახოსო.

— გამხნვედი! — გამოეხმაურა თავის თავსვე, ნელნელა შემოიკრიფა მთელი ძალ-ღონე, წამოდგა, შეჯდა ცხენზე და წავიდა თავის ცხერის ფარებისკენ.

რამდენიმე კვირა ცხვარში არა ყოფილიყო და ამიტომ ერთი-ორი საათის სამყოფი საქმე იშოვა იქ. შემდეგ ჩამოჯდა ერთ ქოხის წინ და მეცხვარეებისაგან ხელად მომზადებულს სადილს შეექცა. თან ამბობინა სხვა-და-სხვა შემთხვევა ამ მიყრუებულ ადგილს მომხდარი და რაც უფრო ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს, მით უფრო დამშვიდება იგრძნო.

ეს ხალხი უბრალო მხიარული ხალხი იყო, თავის თავის კმაყოფილი და ვნებათ-ღელვას მოკლებული; ცხოვრებას ბევრს არასა სთხოვდნენ და ყოველგვარ უბედობას უდრტვიწველად იტანდნენ.

„რაც კაცს უწერია, იმის შეცვლა არ შეიძლება“, ჰფიქრობდნენ ისინი როგორც ნამდვილი ფატალისტები. ყველასა სწამდა ბედის-წერის უხილავი ძალა, რომელსაც კაცი წინ ვერ დაუდგებოდა.

ღევან, რასაკვირველია, შორს იყო ამ უბრალო მწყემსების შეხედულებასთან, მაგრამ მაინც იმათ ლაპარაკში ნუგეზი

ჰპოვა და როცა საღამო ეამს გამოეთხოვა, გადაწყვეტილი ჰქონდა, მხნედ ყოფილიყო და განწირულებას არ მისცემოდა.

— თუ მართლა მლაღატობს, გავეყრები და ახალ ცხოვრებას შევეუდგები, — ჰფიქრობდა თავისთვის. — ჩემი ტანჯვა მას არ უნდა გავაგებინო და მეტადრე არ უნდა გავაგებინო იმის საყვარელს.

ის ყოველგვარ ცუდ ამბისათვის მომზადებული იყო, როცა ბინდისას სოფლის განაპირად მდებარე ვენახებს მიუახლოვდა; წინაღვე გრძნობდა, რომ ღღეს კიდევ უარესი მეხი მოელოდა, მაგრამ არ უშინდებოდა და პირიქით თითქო სწყუროდა, მალე გამოეცადა ყოველისფერი, მალე წინ წაესწრო ფეხდაფეხ ადევნებულ უბედურებისათვის.

შინ რომ დაბრუნდა, დედა მარტო დერეფანში მჯდომარე ნახა და ქეთევან კი ზალაში ფორტეპიანოს უკრავდა. ნინო იქ არ იყო და არც იკითხა; მისვლის უმაღლვე ხილის ბაღში წავიდა. კი არ მიდიოდა, მირობდა. რადგან ყოველივე მისი წინად განზრახული უცებ გაჰქრა, თავი ვეღარ შეემაგრა და მთელი ტანი ისე უქანკალებდა, რომ რამდენჯერმე წაბორძიკდა. ბალი დიდი იყო და არ იცოდა, სად უნდა მოეძებნა, მაგრამ თითქო მიხვედრილობამ უწინამძღვრაო, მალე გეროვანს ადგილს მიაგნო.

დიად, ნინო გარელთან იყო, თავის თვალით დაინახა ისინი ლევანმა, თავის ყურით გაიგონა მათი დაბალი ლაპარაკი. ზჩრველ ხანში, თითქო მარწუხები ჩაუჭირესო, გულის გასკდობასა ლამოდა, მაგრამ თან და თან ცოტა მოსულიერდა. ეს მინც იყო, რომ თავის მდგომარეობა გაითვალისწინა, ექვს ადგილი აღარა ჰქონდა, ნალაღატევი იყო და უნდა ახალ ცხოვრებისათვის სამზადისს შესდგომოდა. ნელა დაბრუნდა სახლისაკენ, იქვე ახლო გაჩერდა და ელოდა ნინოს, რომ თავის გადაწყვეტილება შეეტყობინა.

ლევან შურისძიების სურვილს კი არა გრძნობდა, არამედ ბოროტ სიხარულს, სიამაყეს, რაკი იმდენი ძალა კიდევ შერჩა, რომ ცოლი ზიზლით გაეგლო და თავისი ენით უთქმე-

ლი ტანჯვა მისთვის არ განემხილა. ჯერ კიდევ კარგად მოფიქრება ვერ მოესწრო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ნინო უკან დაბრუნდა და რაკი ლევან ვერ შეამჩნია, შინსკენ გაემართა. ათრთოლებული, თითქმის ბარბაცით ლევან ქალს წინ გადაედგო.

— ამ საათიდან შენ ჩემი ცოლი აღარა ხარ! ხვალვე ჩემს სახლს უნდა გაშორდე. — წარმოსთქვა მან მტკიცედ, თუმცა ხმა ორდნავ უკანკალებდა.

ნინო შეშინებული შეკრთა, ჭკუა-შეშლილსავით შეჰხედა ლევანს და ქეითინით დაეშვა ერთს იქვე მდგომ სკამზედ. ერთი სიტყვაც არ გამოსულა იმის პირიდან: თვალ-და-თვალ სიტურუეს ვერ გაბედავდა და შენდობის თხოვნასაც ვერ მოახერხებდა. გრძნობდა, რომ არას გზით არ აპატიებდა, თხოვნა და ვედრება ამაოდ ჩაუვლიდა და ისევ სიჩუმე არჩია. იმაყად დე მტკიცე ნაბიჯით ლევანმა გვერდზედ აუარა და როცა შინ ავიდა, ქალს ცრემლები ღვარად წასკდა. ქმრისაგან ზიზლით მოქცევა ლახვარსავით დაესვა გულში, იმის სიმტკიცემ მთლად შიშის ზარი დასცა და თითქო გრძელის, ბორცვის სიზმრიდან გამოარკვია. ერთი საწყენი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაც არ აუმაღლებია. ასეთი სიმშვიდე და თავაზის მზგავსი რიდი ნინოს სინილის ჩასწვდა; გული გაუმწარდა და ის უკმაყოფილება, რომელსაც ეს უკანასკნელი დღეები გარელისადმი გრძნობდა, უეცრად მრისხანებად შეეცვალა. დღესაც მხოლოდ იმიტომ წასულიყო გარელთან, რომ ის დამუქრებოდა, თუ არ მოხვალ, სამუდამოდ გაგეყრებიო. გარელის სიყვარული აღარა სჯეროდა და თუ სრულიად არ იშორებდა თავიდან, ეს მხოლოდ სისუსტით მოსდიოდა. ჯერ კიდევ კარგად გონებაზედ არ იყო მოსული, რომ ქეთევანმა მოირბინა მასთან; ყელზე შემოეხვია და დაუწყო ხვეწნა, წადი ლევანსა სთხოვე გაპატივოსო.

— და გგონია მერე მაპატიებს? — დაეკითხა ნინო გამწარებით. — ის ამას არ იზამს, მე ვიცნობ იმის მტკიცე ხასიათს.

პატარა ხანს უკან მინც წამოდგა და ქეთევანს სასაღილო ოთახში გაჰყვა, სადაც ლევან წინ და უკან გაჩქარებულ

ლი დადიოდა. დედაც იქ იყო, ლევანს იმისთვისაც ყველაფერი შეეტყობინა და თან ეთხოვნა, ნურათფერს ნუ უსაყვედუღურებო: მე ჩემი უკანასკნელი სიტყვა ვუთხარ და რა საკადრისი იქნება, ამას კიდევ ზედ საყვედურები და კიცხვა-კრულვა დავაყოლოთო.

ლევანის დედამ რომ ნინო დაინახა, მაშინვე გავიდა, რომ არ დასწრებოდა იმისთანა ამბავს, რომელსაც გულ-ცივად, თავშემაგრებით ვერ დაუხვდებოდა.

— ლევან, ნუ გამწირავ, ნუ შემარცხვენ საქვეყნოდ! — შეევედრა ნინო შორი-ახლო მის წინ გაჩერებული. — ნუ მიმიყვან სასოწარკვეთილებმდე. სიცრუეს ვერ გეტყვი, შემცოდევარ, ბუნდი გადამეკრა თვალეზზედ, გონება დავკარგე და ჩემი თავა მევე ველარ ვიცან. მაპატივე და სიტყვას გაძღვე, შენს სულგრძელობას განუწყვეტელის ერთგულებით ვუმაგიერო და სიკვდილამდე შენი მორჩილი ვიყო.

— ხვალ დილით უნდა წახვიდე ჩემის სახლიდან! — წარმოსთქვა მან ხმა-მაღლა, ისე რომ ნინოსთვის არ შეუხვდავს.

— ღვთის გულისთვის, აგრე მკაცრად ნუ მეტკევი! — ქვითინით წარმოსთქვა ნინომ. — მომეც ნება აქ დარჩენისა და შენ თითონ დარწმუნდები, რომ პატროსანი გული მაქვს და შენს გაბედნიერებას კიდევ შევიძლებ. ლევან, ჩემო ძვირფასო ლეჴან! ერწმუნე ჩემს სიტყვებს და მაპატივე.

— შენ ჩემი საუკეთესო გრძნობა მომიწამლე და განაშოტევებაზედ ლაჴარაკი-ლა შეიძლება! — მიუგო ქმარმა. — შენგანვე შენის ნებით, ძალა-დაუტანებლივ აგებული საკურთხეველი ჩემის ბედნიერებისა ავაზაკებრივ ძირს დავც, გამინადგურე. წადი და ეხლა სხვა გააბედნიერე! შე ველარ გამაბრიყვებ. ეს ჩემი უკანასკნელი სიტყვაა!

ეს რომ სთქვა, გარედ გავიდა და ხმა-მაღლა უბრძანა მოჴრავს, ისე რომ ნინოსაც გაეგო, ხვალ დილით ეტლი მზად იყოსო.

გაქვევებულსავით რამდენიმე ხანი ნინო გაშტერებით იყურებოდა, მერე წამოდგა და საწოლს ოთახში გავიდა. იმედი

აღარა ჰქონდა ქმრის გარდაწყვეტილება მოეწოდებინა ედა ამიტომ პირველად წარმოიდგინა ის მდგომარეობა, რასაც თავიდან ვეღარ მოიშორებდა. შიშის ზარმა აიტანა, როცა თავის პაპაზედ გაიფიქრა და გულში სთქვა, იქნება ამ უბედურებას ვეღარც კი გაუძლოსო. მამისათვის არა სწუხდა: იცოდა, რომ მას ვერც მწუხარება და ვერც სიხარული ღრმად გულში ვერ ჩასწვდებოდა, მაგრამ პაპას კი ეს ამბავი მეტად შეაწუხებდა, მთლად გაანადგურებდა. მას თავის დიდ ნათესაობაში ისე ნაზად არავინ უყვარდა, როგორც ნინო; ეს იყო თითქმის ერთადერთი სიხარული იმის მოხუცებულობისათვის და ეხლა უნდა წამდგარიყო ნინო ამ მოხუცებულის წინაშე და ეთქვა, — იმ კაცმა, რომელსაც შენ ყველაზედ მეტად პატივსაცემ და აფასებ, მე გამომაგდო! არა, ეს მეტის-მეტი იყო! მაგრამ ხომ უნდა მოშორებოდა აქაურობას, აქ ხომ ვეღარ დარჩებოდა. ამ უმწეო ყოფაში ისიც კი გადასწყვიტა, ტფილისს, თავის ძალუასთან წასულიყო, მაგრამ იფიქრა, ასე შორს წასვლა სამუდამოდ განმაშორებს ლევანთან და შერიგება შეუძლებელი იქნებაო. მერე აზრად მოუვიდა გონიერებთან წასვლა და ამ განზრახვამ თითქმის სრულიად დაამშვიდა. თითქო იმედმა ამოუშუქა, რაკი წარმოიდგინა, რომ მოხუცი ვასილ გონიერი ამ უბედურ ყოფაში არ დამტოვებს და ყოველსავე ღონეს იღონებს ლევანს რისხვა გაუქარწყლოს და შემარიგოსო. ბევრს ელოდა ამ კაცისაგან და ამ იმედმა და ნდობამ მის მეგობრობისადმი თითქმის ის სირცხვილიც დააფიწყა, რომელიც ხვალ უნდა ეგრძნო, როცა მასთან მივიდოდა და თავის შეცოდებას გაუმეორებდა.

ამ მოფიქრების შემდეგ ლოგანში ჩაწვა, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭავს. თუმცა განწირულებას არ მისცემია და მხედ იტანდა ამ უბედურებას, მაინც მის გულში გაღვიძებული დარდი და მწუხარება მოსვენებას არ აძლევდა. ლევან მეტის-მეტად ეცოდებოდა: გული დაუკოდა, სიცოცხლე მოუწამლა და მას კი რა დაეშავებინა გულწრფელი მეგობრობისა და განუზომელის სიყვარულის მეტი. და ამ პატიოსანს, კეთილ-

შობილს კაცს მოუსპო ყოველივე ბედნიერება და მიანიჭა სხვას, რომელთანაც ვნებათ-ღელვა აკავშირებდა და რომელიც მხოლოდ სტკებოდა მასთან და იოტის ოდენს სიყვარულსაც არა გრძნობდა. რამდენიმე დღის წინად მართლაც სრულიად დარწმუნდა, რომ გარეღის ლტოლვილება მისდამი მხოლოდ გარყვნილების ნაყოფი იყო; მისმა მკვახე ქცევამ იმის გამო, რომ ქალი ყოველს თავხედურს მოთხოვნილებას არ ასრულებდა, ნინო მეტის-მეტად შეაძრწუნა, მაგრამ იმდენად სუსტი იყო, რომ სრულიად თავიდან მოშორება ვერ შესძლო. ჯერ კიდევ მისს ოცნებას ბოლო არ მოჰღებოდა, ეხლა კი გამოფხიზლდა, მოიძაგა გარეღი და ზიზღით ათრთოლდა, რაკი იფიქრა, ან ერთ დღეს როგორ მიყვარდა ის კაცი, ვინც ჩემს ნაზ გრძნობას ფეხით მითელავდა, არავითარი კეთილშობილება არ გააჩნდა და რომელსაც ყველანი უპატიოსნო კაცად იცნობენო. დიად, ნინო ეხლა სრულიად გამოფხიზლებული იყო, ყველაფერს კარგად ჰხედავდა და ვერასფერი თვალებს ველარ აუბამდა.

დილაზედ მისუსტებული და ტანში მოშლილი წამოდგა და ზოგიერთი ტანისამოსი ერთად შეჰკრა. მხოლოდ იმის წაღება დააპირა, რაც ხელად საქირო იყო, დანარჩენს ქეთევან გამომიგზავნისო. მაგრამ ეს უფრო იმიტომ მოსდიოდა, იმედი ჰქონდა, იქნება საქმე იქამდე არ მივიდეს და მალე უკანვე დაებრუნდეს.

დღეს კი წასვლა ეშურებოდა და მზის ამოსვლის უმაღლვე მეეტლეს დააძახებინა და შებმა უბრძანა. მეტის-მეტი თავის დამკირება იქნებოდა, ლევანს რომ ეკითხა, მზადა ხარ, თუ არაო. უნდა ამას დაესწრო, მაგრამ როცა ეტლი სახლის წინ მოიტანეს, ისე შეკრთა და შეშინდა, რომ კინალამ გულს შემოეყარა. ქეთევანიც მოვიდა, თვალეში ცრემლი მორეოდა და რა დაინახა, ნინო ამ რამდენსამე საათში როგორ გამოცვლილიყო, მღუღარება გადმოაბნია.

პატარა ხანს ჩუმად იდგნენ; მერე ნინომ ქეთევანს ხელი გაშოართვა და ათრთოლებულის ხმით უთხრა:

— ოჰ, ნეტა იცოდე, როგორ ვიტანჯები, რომ ასეთი საქმე დავმართე! ასე უთხარ, მე მას უწინდელზედ მეტად პატივსა ვცემ და ჩემს ღღეში იმისი მადლობელი ვიქნები. მე ავადმყოფი ვიყავ, ეხლა მოვრჩი და თუ მაპატივებს, მუდამ ქამს იმისთვის ვილოცავ, სულის ამოსვლამდე მეყვარება. შენცა გთხოვ, ქეთევან, ჩემზედ ცუდს ნუ იფიქრებ. მე დაცემული დედაკაცი არა ვარ, არა ვარ ისე ჩაფლული უწმინდურებაში, როგორც იქნება ლევანსა ჰგონია. მე სუსტი ვიყავ, მაგრამ სინიდისი ყოველთვის ფხიზლად მქონდა და უარსის დაცემისაგან მიხსნიდა.

არც ლევან და არც იმის დედა გასაცილებლად არ გამოსულან, ქეთევანმა კი ეტლამდე ჩააცილა და მწუხარედ დაუწყა ყურება, ვიდრე თვალიდან არ მოეთვარა.

XIII

— რა მოგსვლია, შვილო, რა დავმართანია, რომ აგრე გაფითრებულხარ?! — შესძახა მოხუცმა გარელმა, ნინო რომ იმის სახლის წინ ეტლიდან ჩამომხტარი დაინახა.

ნინომ ხმა ვერ ამოიღო, აკანკალებული გულზედ მიეყრდნო და ოთახისკენ ანიშნა წასვლა.

— არაფერი, არაფერი! — ამოიკვნესა მან, შინ რომ შევიდნენ და დაეშვა სკამზედ.

სული უგუბდებოდა და რამდენიმე ხანი ლოდინი დასჭირდა, ვიდრე სიტყვის თქმას მოახერხებდა. მასუკან უამბო ყოველისფერი ისე, როგორც მოხდა, თავის ბრალის შეუმცირებლად და შეევედრა, მიშველეთ რამე, დასაღუბად ნუ გამომიმეტებო.

მოხუცს ნაცრის ფერი დაედო ნინოს ამბის მოსმენაზედ, შუბლი დაენაოჭა, მაგრამ პირიდან ერთი საკიცხავი სიტყვაც არ ამოსვლია. როცა ქალმა თავის ამბავი დაასრულა და ყოველისფერი აღიარა, მოხუცს ლოყაზედ ცრემლი ჩამოუგორდა,

გამოართვა ხელი ნინოს და უთხრა:—უნდა გაპატიოს, შეილო, რადგან შენს ცოდვაზედ ვე სინანული უფრო ძლიერია!

გონელის ცოლიც მეტად ლმობიერად მოექცა ნინოს, არ შეიძინა გულმომსულობა და ურჩია თავის ქმარს, დღესვე ლევანთან წასულიყო, დაემშვიდებინა და მისი გარდაწყვეტილება შეეცვლევინა. ქმარიც მაშინვე დაეთანხმა, თითქმის თავის მოვალეობად ჩასთვალო, ასე მოქცეულიყო და ისე ჰქონდა გული დარწმუნებული. კეთილად დააბოლოებდა საქმეს, რომ ისიც კი არ იფიქრა—რა ექმნა, თუ უარი ეთქვა ლევანს. ამ უკანასკნელმა თავაზითა და ზრდილობიანად მიიღო, მაგრამ თავის გარდაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა და გამოუცხადა, შერიგებაზედ ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო.

— იმან გასწყვიტა და არა მე ის კავშირი, რომელიც ჩვენ გვაერთებდა,—უთხრა ლევანმა.—მე მომისპო ბედნიერება, სულის სიმშვიდე და მევე უნდა ხელი გაეუწოდო და ჩემს სახლში მივიღო? არა, ის ხელი ჩემს ხელს ველარ შეეხება, რომელიც მე უარ-მყო. მე იმდენი ღონე მაქვს კიდევ, ეს უბედურება ავიტანო და იმის სინანულიც კი არ არყევს ჩემს გარდაწყვეტილებას. ან რაც მოხდა, იმას სინანული რას უშველის? ვთქვათ სინიდისი დაუმშვიდოს, იმის შეცოდებას ხომ ვერ გააუქმებს. ჩემი სიყვარული, ჩემი ნდობა უწყალოდ ფეხით გასთელა, ჩემი დაუღალავი ცდა, რომ ის გამებედნიერებინა, სასაცილოდ აიგდო, და მე კიდევ უნდა იმის გვერდით ვიცხოვრო?! უნდა შევწირო ჩემი ღირსება და დავიხსნა სირცხვილისაგან ის, ვინც არ დამზოგა და ქვეყანაში თავი მომპრა?! არა და არას დროს, ეს ყოველად შეუძლებელია!

ბევრს ეცადა გონელი, მაგრამ ლევანთან ვერას გახდა და შინ საქმის გაურთიგებლად დაბრუნდა. მეორე დღეს დილა აღრონ მოხუც ვარიზანიძესთან გასწია, რადგან ეშინოდა ვაი თუ ჩემზედ წინად ვინმემ ყოველისფერი დაწვრილებით გაუფრთხილებლად უამბოს და შესაძლოა ესეთმა ამბავმა იმის ხანში მყოფი კაცი თანაც გადიტანოსო. ბარულში როცა მივიდა, მოხუ-

ცი მინდორში იყო და შინ მარტო ვახტანგ დახვდა, რომელსაც ყოველისფერი დაუძალავად აცნობა.

ვახტანგს შეწუხება არც კი დასტყობია; მხოლოდ გარეული გამოლანძღა და ისიც დაუმატა, დიდი ხანია ვამჩნევდი, რომ სალახანა უნდა ყოფილიყო და ეხლა მე ვიცი ამ ავკაცობას როგორც გადავუხდიო.

— არა, ლევან როგორ მოტყუვდა? განა თვალები არა ჰქონდა, ვერა ჰხედავდა, რომ ის არამზადა რაღასაც აპირობდა?

ვახტანგ ისე ჭკვიანურად ლაპარაკობდა, რომ ვასილს მწარედ გაეცინა იმის შესჯელობაზედ და კინაღამ ჰკითხა, შენ არ იყავი, რომ გარელს აღარ ეშვებოდი და სახლში გულითად მეგობარსავით მიღებულნი გყავდაო; მაგრამ თავი შეიმაგრა, არა უსაყვედურნია-რა და მინდორში მოხუცის სანახავად წავიდა. დიდი გასაველელი გზა არა ჰქონდა, მაგრამ მაინც კარგა დრო მოანდომა, რადგან დღეს ღონემ უღალატა და ხშირად დასასვენებლად, სულის მოსაბრუნებლად, უნდა გაჩერებულიყო. დიდი ხანი იყო, რაც ამისთანა უსიამოვნო მინდობილობა არა ჰქონია, არაფერი სანუგეშო წინ არა სჩანდა-რა, მალლა კი მზე ცაში მხიარულად კაშკაშებდა და გარეშემო ყოველისფერი ამწვანებულებიყო, ყოველი სულდგმული სიცოცხლითა სტკებოდა. კარგადა გრძნობდა, რომ მიტანილი ამბავი იმის მეგობარს სასიკვდილოდ გაუგმირავდა გულს და ამას იქით ორთავ მათთვის დღეები უნდა მწუხარედ გათენებულიყვნენ და მწუხარედვე დაღამებულიყვნენ.

— არა, ყველაფერს ვერ შევატყობინებ,— ბუტბუტუნდა თავისთვის გზად მიმავალი და არ კი იცოდა, რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს ავიდა ერთს გორაკზედ და თავის მეგობარი დაინახა. მოხუცი ვარძანაძე ქვაზედ ჩამომჯდარიყო და მეგუთნებს შესტკეროდა, რომელნიც გუთნის ხარებს მხიარულად დასდევდნენ და მალლა ლურჯ ჰაერში მფრინავ ტოროლებს თითქო სიმღერაში ეჯობებოდნენ. რამდენიმე დღის წინად დიდი წვიმა ყოფილიყო და ამისგანაც მიწა ჯერ კიდევ სველი

იყო და გადმობრუნებული ბელტები მზეზედ შავადა ბრწყინავდნენ. ოჰ, როგორ სიამოვნებით უყურებდა მოხუცი გუთანს, ხელშეუშლიელად მსუქან მიწაში შექრილს!

— ჩემო მშვენიერო, ჩემო წმინდავ, ჩემო ნაყოფიერო მიწავ!—ბუტბუტებდა ხშირად თავისთვის და ძალზედ ისუნთქავდა ჰაერს, რადგან ახლად გაქრილი მიწის სუნის უყვარდა და აგონებდა მრავალს საამოდ გატარებულს ჟამს ნაყოფიერის მუშაობისას, მრავალს სიხარულისა და შრომის წამს, მისს გრძელს ცხოვრებაში გამოვლილს. ყოველ მინდვრის ნაჭერს მისთვის თავისი ისტორია ჰქონდა, ბევრი მოგონება იყო მასში შენახული, თვით ბავშვობასაც კი ბევრი რამ გაახსენებდა ხოლმე. ვინ იცის, რამდენჯერ ყოფილა აქ თავის მამასთან ერთად. რამდენჯერმე სეირნობის დროს აქამდე დედაც გამოჰყოლია, დედა, რომელიც, ვინ იცის რამდენი წელიწადია იქ, სასათუაოზედ, მყუდრო ძილს მისცემია. განა არ უნდა ჰყვარებოდა ეს ძვირფასი, წმინდა, ნაყოფიერი დედამიწა?

მოხუცი ამ ფიქრებში ისე იყო გართული, რომ ვასილ მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როცა კარგად მიუახლოვდა. გახარებული წამოდგა ზეზე, ღიმილით მიეგება და ჩვეულებისამებრ მეგობრულად მისვალმა.

— აი, ეგ, კარგად გიქნია, ჩემო ძმაო!—ამ მშვენიერ დილით ერთმანეთის ნახვა სტუმარსაც ახარებს და მასპინძელსაც.

— დროა, თუ არაო?—გაითიქრა ვასილმა და მაშინვე დააპირა თქმა, რომ ლოდინით გულზედ დაწოლილი საიდუმლო გაემქლავნა, მაგრამ დაწყება ვერ მოახერხა.

თავის თავს ძალაც დაატანა, მხიარულად სჩვენებოდა, მაგრამ ამან უფრო გააძნელა იმის საქმე, რადგან იმის მეგობარიც თან და თან უფრო გამხიარულდა და საშინელება იქნებოდა ეს მხიარულება უცებ მოეწამლა ვისმე და სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო. მთელი ერთი საათი ისხდნენ ქვაზედ და ბაასობდნენ და მხოლოდ როცა ჩამოცხა, წამოდგნენ და ნელის ნაბიჯით შინისკენ გაემართნენ. ვასილმა ველარ მოახერხა

თავის მოუთმენლობასთან ბრძოლა და გადასწყვიტა ეთქვა, ვიდრე მარტო იყვნენ და ყურს არავინ უგდებდა.

— ძმაო გრიგოლ,— დაიწყო ვასილმა და მხარზე ხელი დაადო,— მე იმის შესატყობინებლად მოვედი, რომ ლევანს და ნინოს უსიამოვნება მოსვლიათ ერთმანეთში: საქმე სალაპარაკოდ არა ღირს, ცოლქმრობაში ვინ იცის რამდენი ამისთანა ამბავი მოხდება და არც კი გაგაგებინებდი, სწორე გითხრა, გუშინ რომ ნინო ჩვენსა არ მოსულიყო. ლევანზედ გაჯავრებულია და ამბობს, სანამ თვითონ წასაყვანად არ მოვა, შინ აღარ დავბრუნდებო.

ვარიზანიძემ თვალეხი გაოცებით დააშტერა თავის მეგობარს და გაქვავებულსავით ყურს უგდებდა. ბოლოს მოუთმენელად ჰკითხა;

— რა იყო მერე მიზეზი იმათის უსიამოვნებისა?

— სრულიად უბრალო. ლევან ცოტა ეჭვიანი შეიქნა ამ ბოლოს დროს. გუშინ-წინ საღამოს გარეღზედ ჩამოგდლო ნინოსთან ლაპარაკი და რაკი ნინო წამოსარჩლებოდა, ლევანს ეჭვი შეეტანა. ამ გარემოებას ისე უსიამოვნოდ გაეხადა ნინო, რომ გუშინ ვითომ ჩვენს სანახავად წამოსულიყო და უკან დაბრუნებას აღარ აპირობს, სანამ ლევან თვითონ არ მოვა ჩემს წასაყვანადაო.

— ჰმ! მერე ლევან ჯერ არ მოსულა წასაყვანად?— იკითხა ვარიზანიძემ აღელვებით.

— არა, მაგრამ შექველია მოვა; დღეს რომ არ მოვიდეს, ხვალ ხომ მოვა. ბევრი, ბევრი სამს დღეს გასტანოს მათმა ბუტილობამ.

— ჰმ! აღბად მართლა აწყყინა რამე, თორემ რად გაუშვებდა სხვავან!— ჰფიქრობდა თავისთვის მოხუცი.

თუმცა ნამდვილს ჯერ ვერ მიხვედრილიყო, მაგრამ გაგონილმა ამბავმა კი ძალიან უსიამოვნოდ გაჰხადა და გადასწყვიტა მაშინვე ნინო თვითონვე წაეყვანა ლევანთან და დაემშვიდებინა; მაგრამ ვასილმა დააჯერა, ცოტა შევიცადოთ და თუ შეუძლებლობა იქნება საჭირო, ხვალისათვის, ან ზეგისათვის გადავ-

დოთო. ვარიზანიძე დაეთანხმა, მაგრამ დიღანდელი გულის სიმ-
შვიდე ვეღარ დაიბრუნა. ის აწუხებდა, როგორ მოხდა, რომ
მათს მყუდრო ცხოვრებას შფოთი გამოერიო; მას ეგონა, სიკე-
დილამდე ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემაში გაატა-
რებდნენ დროს და პირველ ხანშივე კი ესეთი უსიამოვნება
ჩამოვარდნოდან! სადილ შემდეგ გონელი შინ დაბრუნდა და
მოხუცმა ვარიზანიძემ სცადა თვალი მოეტყუა, მაგრამ ფიქრებ-
მა არ დააძინა. მალე ისევ ზეზე წამოდგა, ბალკონზე გავიდა
და ტახტზე ჩამოჯდა. ყველგან სიჩუმე სუფევდა, მუშაობა შემ-
დგარიყო და ყველას ჩრდილი მოექცებნა, რომ დაესვენა და გა-
გრილებულიყო. იმის შვილს ვახტანგსაც ეძინა და ღია ფანჯ-
რიდან ისეთი ხვრინვა მოისმოდა, რომ მოხუცს ჯავრიც კი
მოუვიდა.

— ამისთვის სულ ერთია!—გაიფიქრა მოხუცმა და გულ-
მოსულმა თვალ-გაშტერებით დაუწყო ცქერა მის წინ გაწო-
ლილს ხეობას, სადაც იგივე სიჩუმე იყო, როგორც სახლსა და
ეზოში. მშვენიერი ნაცნობი სურათი ბუნებისა, რომელიც დღეს
დილით ისე ახარებდა, ეხლა ბუნდად მოეჩვენა და სასიამოვნო-
ნოს აღარასა ჰხედავდა მასში. შვილისაგან ატეხილს საზრუნავს
ახალი მიემატა: ნინომაც უღალატა, იმანაც სიცოცხლე აუშ-
ღვრია. მართალია, არა სჯეროდა, რაიმე ცუდი ბოლო ჰქო-
ნოდა ამ ამბავს, მაგრამ ისიც მეტის-მეტად აღელვებდა, რომ
ნინო შინიდან წამოსულიყო და ლევანს ჯერ კიდევ არ მოე-
კითხა.

— არა, რატომ ჩვენსა არ მოვიდა?—დაეკითხა კიდევ თა-
ვის თავს, თუმცა პასუხი დიდი ხანია თვითონვე მონახა. ამ საკი-
ნებვისა:

— ჩემი რცხვენთან, იცის, რომ მე ჩხუბი და უსიამოვნო-
ბა არ მიყვარს.

ორს საათზედ მეტი ბალკონზედ ჩამომჯდარი იყო და ნი-
ნოზედ ფიქრს ერთს წუთსაც ვერ დაანება თავი. სახლში და
კარმიდამოში ყველა თავის საქმეს დაუბრუნდა, მხოლოდ ვახ-
ტანგს კიდევ ეძინა და ხვრინავდა. უეცრად ალაყაფის კარები

გაიღო და სიკვარიძის ქვრივი შემოვრწა. იმის მოსვლამ მოხუცი სრულიადაც არ გააკვირვა, რადგან ახლო მეზობელი იყო და კვირაში რამდენჯერმე მოდიოდა ბებიას სანახავად. საჩქაროდ მალლა ამოვიდა, მოხუცი მოიკითხა, ყურადღებით მიიხედ-მოიხედა და ვახტანგი იკითხა.

— ვახტანგსა სძინავს, — აუხსნა მოხუცმა ცოტა დარცხვენით.

— აკი ყოველთვის გეუბნებოდით, რომ ის გარელი საზიზღარი სალახანაა და ერთს უსიამოვნებას დაგმართებთ-მეთქი!

— მერე რა მოხდა? — დაეკითხა აღელვებით ვარბანძე.

— მაშ არაფერი იცით?

— ეიცი, მაგრამ ისეთი უსიამოვნო ამბავი არა არის-რა, როგორც იქნება თქვენა გგონიათ.

— ბატონო ჩემო, გრიგოლ, — წამოიძახა სიკვარიძის ქვრივმა თითქმის გულ-ნატყენმა. — განა მაგაზედ მეტი უსიამოვნება-ლა იქნება! კაცს ცოლი სახლიდან გამოუგდია და არა კმარა!

— როგორ თუ გამოუგდია! ვის გამოუგდია! — დაიძახა კანკალით მოხუცმა.

— ლევანს უთქვამს, ჩემს სახლში მოსვლა აღარ გაბედოა, მოხუცი ჩამოჯდა ტახტზედ, აღელვებისაგან რომ ფეხზედ დგომა ვეღარ შესძლო.

— რისთვის მერე? რა აწყენია მაგისთანა? — იკითხა მან აბრთოლებულის ხმით.

— მაშ არაფერი არა გცოდნიათ-რა. ეს ერთი თვეა, რაც გარელთან კავშირი ჰქონია თურმე. ყოველ საღამოთი ბაღში ნახავდნენ ხოლმე ერთმანეთს და გუშინ ღამ ლევანს მიუსწვრია.

მოხუცს თითონვე გაუკვირდა, როგორ შესძლეს ჩემმა ყურებმა ყოველ ამის გაგონებაო. ამ უეცარმა ვარამმა კინაღამ ცრემლები გადმოაყრევინა, მაგრამ დარღს გაუკერპდა და გულმოსულმა იკითხა:

— საიდან იცით ეგ ყველაფერა?

— მთელმა მეზობლობამ იცის, გუშინ გონელი ლევანთან ყოფილა, ცდილა, რომ ეპატივებინა, მაგრამ ლევანს გადაწყვეტილი უთქვამს, ნინოს ჩემს სახლში აღარ გავატარებო.

მოსაუბრის ყოველი სიტყვა მოხუცს გულს სადგისავეით უგმირავდა და ისეთი სისუსტე იგრძნო, რაც თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, დიდი ავადმყოფობის შემდეგ გამოცვლო; მაგრამ მაინც გაფითრებული ხმა-ამოუღებელივ ყურს უვლდება ამ საზარელ ამბავს.

— ოჰ, ეს მეტის-მეტია ჩემთვის! — წარმოსთქვა მან ბოლოს ამოხვრით; ხელები მალლა ამართა, ჩემად ღმერთს შეევედრა, მერე წამოდგა და ბარბაცით ჩავიდა ეზოში, რომ მეტლემ მოენახა.

მაშინვე ეტლის შებმა უბრძანა, ქული მოათინა და ქვეით დაუწყო ცდა, რადგან სიკვარძის ქვრივისაგან გაგონება აღარაფრისა უნდოდა. თხუთმეტი წამიც არ მოსდომნია გზას, ჯერ კიდევ არ მოსულიერებულყო უეცირის აღელვებისაგან და მეგობრის წინაშე კი იღვა და ევედრებოდა, ყოველისფერი მითხარ, ნუ დამზოგავ, ნურაფერს ნუ დამიმალაგო.

— ნურაფერს დამიმალაგ! მე ვიცი, რომ ბევრად უარესი ამბავია, ვიდრე შენ დღეს დილით თვალ-წინ დამისახე. მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ შენგან მინდა კიდევ გავიგო, მარტო შენ გენდობი, სხვას არავის.

ვასილი პირველში ცდილობდა კიდევ გაქარწყლებას, მაგრამ რომ აღარ მოეშვა, ყველაფერი უამბო, თანაც დაუმატა, ნინო დიდ სიწინაულობა და იმედი მაქვს, ლევან ბოლოს შეურიგდებაო.

— თუ გინდა, — განაგრძო მან, — მე და შენ ერთად წავიდეთ ლევანთან. შენს სიტყვას უფრო დაიჯერებს.

— არა, ძნაო, მე მაგას თავის დღეში არ ვიზამ. ან სირცხვილით როგორ-ღა უნდა ვეჩვენო! და ამას გარდა სწორედ ღირსიც იყო გაგდებისა. მეც კი აღარ ვინახულებ იმ უნამუსოს, იმის ფეხი ჩემის კარის ღირეს ვეღარ მიეკარება. განა თავის ნებით არ შეირთო? განა არ დავეკითხეთ, ხომ არავინ გი-

ყვარსო და თითონ პირველზე არ დავთანხმებ ლევანს ცოლ-ქმრობაზე. მე სწორედ იმ დროს მივედი, როცა მოლაპარაკებულნი იყვნენ და საქმეც გათავებული. დიად, თავის ნებით გაჰყვა და ეხლა კი მოატყუა, უღალატა და იმისთანა კაცს გადაეკიდა, რომელიც ლევანის ფეხბილის ღირსიც არ არის. ჩვენს ოჯახს, ჩვენს უმანკო სახელს ჩირქი, ამოუშლელი ჩირქი, მოსცხო და მე უკანასკნელი ნუგეში მომიხპო, ჩემო საყვარელო ძმაო, ეხლა სასიხარულო ჩემთვის აღარა არის-რა, ჩემი მზე ჩაესვენა და მალე, მალე გულზედ მიწასაც მომაყრით.

— როგორ იქნება, გრიგოლ, აგრე გულის გატება! მხიარული ღღეხები კიდევ დაგიბრუნდება შენცა და შენს ოჯახსაც, ოღონდ იმედს ნუ დაჰკარგავ.

— ვილას იმედი უნდა მქონდეს, რაკი ნინო დავკარგე!— უთხრა მოხუცმა გამწარებით.— მხოლოდ იმას შეეძლო სააქაოს ჩემი გახარება, რადგან დიდი ხანია ვახტანგის იმედი აღარა მაქვს-რა. ეხლა ჩემთვის ყოველისფერი გაჰქრა და დავრჩი მარტო, უმწურო, და ის ნუგეშიც აღარ შემრჩა სიკვდილს წინ, რომ ჩენი ერთად-ერთი შვილი კეთილი და უმანკო დარჩენილიყო. ოჰ, უნამუსო, უსინდისო, როგორ გამოიმეტე ვერე! ფუი, საზიზღარო! დეე, დაბრუნდეს თავის ძალუჯსთან, თავის აღმზრდელთან! ჩემს სახლში ის ვეღარ შემოვა, ვერა-შეაქი, ღღეხის იქით ის ჩემს ოჯახს აღარ ეკუთვნის!

— ჩემო საყვარელო ძმაო, ჩაუფიქრდი შენს სიტყვებს!— გააწყვეტინა სიტყვა ვასილმა.— განა შესაძლოა შენი სისხლი და ხორცი მოიწყვიტო? არა, აგრე მკაცრად ვერ მოექცევი. მაშინ ხომ უნამუსობის მორევში ჩაადგებ და ერთი-ათად უფრო უბედურს გახდი.

— ჩემო ვასილ, ჩემი სიტყვა, სიტყვაა!— მიუგო ვარბანძიმ და წამოდგა წასასვლელად.— ასე მეგონა, გული ამომგლიჯეს-მეთქი, როცა ეს წარმოვთქვი, მაგრამ სხვაფრივ მოქცევა არ შემიძლიან. ჩენი შვილი აღარ დაერქმის მას, რადგან სახელი შეგვირცხენა და ღღეხის იქით ჩვენ და ის უცხონი ვართ ერთმანეთისათვის.

ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი ვარიპანიძე ეტლში ჩაჯდა და შინისკენ წავიდა.

XIV

გაიგო თუ არა პაპას მოსვლა, ნინო აღელვებული ბაღში გაეშურა, რომ არ დანახებოდა. დაიწყო წინ და უკან ტორტმანით სიარული და თრთოლვით მოელოდა, დაუძახებდნენ, თუ არა. ნინომ იფიქრა, პაპა იმისთვის თუ მოვიდა, რომ მომელაპარაკოს, ან აქედან წამიყვანოსო და თუმცა შიშობდა შეხვედრას, მაინც მოუთმენელად სწყუროდა მისი ნახვა, რადგან მხოლოდ მას შეეძლო შეველა ამ გაჭირვებულ დროს, მას, რომელსაც იგი ნამდვილის სიყვარულით უყვარდა. ნინო ისეთს განწირულებაში ჩავარდა, რომ მზა იყო თავი დაემცირობინა, პაპას ფეხ-ქვეშ ჩავარდნოდა და მიტევება ეთხოვნა, თუ ამითი დაამშვიდებდა და თავის ვარაშს ცოტათიც არის დააყურებდა. ოჰ, როგორ ებრალებოდა თავისი მოხუცებული პაპა! როგორ უყვარდა იგი და ჩუმჩუმად ლოცავდა ყოველ იმ სიკეთისაფვის, რაც ამისთვის თავის ღლეში არ დაუშურებია.

კარგა ხანი სულ-განაბული თითქმის დარბოდა წინ და უკან, მერე ჩამოჯდა და ყური დაუგდო, ხომ არავინ შეძახისო. მაგრამ არავინ არ ეძახდა, არავინ არ მოსულა მის წასაყვანად. გაიარა თხუთმეტმა წამმა, ნახევარ საათმა და ნინო თითქო არავის მოჰგონებია; ეხლა იგი სრულიად მარტო იყო განდევნილსავე. ბოლოს გაიგონა ეტლის რიხინი, ეგონა პაპა-ჩემი ჯერ კიდევ არ ჩამჯდარა შიგაო და მოუთმენლობისაგან წაქეზებული გაბრუნდა უკან, რომ მოტევება ეთხოვნა, ეთხოვნა ჯერ კიდევ დარჩენილიყო. უეცრად თავში გარბენილმა აზრმა, რომ პაპას იმისი ნახვა არ უნდოდა, მოუსპო სრულიად ქაღს შიში. იგი აიჭრა სახლში, მაგრამ პაპა იქ აღარ დახვდა, — გზას კიდევ გასდგომოდა.

— არ მოინდომა მაშ ჩემი ნახვა? — ჰკითხა მან ვასილს.

— არ მოინდომა, ჩემო საყვარელო ნინო. მეტად გაჯავრებულია და მეშინიან, არა აუტყდეს-რა.

— არც მიკითხა?

— გიკითხა, მაგრამ ნახვა კი არ ინდომა. ეხლა იმასთან ვერც წახვალ, მეტად გულ-მოსულია. ერთი, ან ორი კვირის შემდეგ თუ სცდი შერიგებას. ეხლა ტყუილი იქნება.

ნინო რამდენსამე წუთს ერთს ალაგას გაშეშდა, მერე შევიდა თავის ოთახში, შლიაპა დაიხურა და სახლიდან გავიდა ისე რომ არავისთვის-რა შეუტყობინებია.

— ამდენი ცდა გამაგიეებს!—წაიბუტბუტა მან და გადასწყვიტა მაშინვე ბარულში პაპასთან წასულიყო.

— უნდა მაპატიოს, ხომ ვერ გამაგდებს და ვერ გამწირავს!—ჭფიჭობდა თავისთვის და ეს ფიქრი მხნეობას უმატებდა.

მტკიცე და ჩქარის ნაბიჯით გაემგზავრა ნინო და თუმცა შიში გულში არ გამოლევია, მაინც რალაც იმედი უღვივოდა:

სოფელში რომ შევიდა, განმარტოებული გზა აირჩია ვენახებ შუა, რომ არავის დაენახა და ისე მიაღწია ვარიანძიანთ ეზოს.

ალაყაფის კარებ წინ შემინდა, სიმხნე დაჰკარგა და დაბრუნებაც კი დააპირა, მაგრამ ისევ გული გაიმაგრა და შევიდა ეზოში.

მოხუცი ის იყო მისულიყო და გულის დასამშვიდებლად ბალკონზედ იჯდა. ნინო რომ დაინახა, თავის თვალებს არ დაუჯერა, ეგონა ვცდებიო და უკეთ გასარჩევად კიბესთან მივიდა, რომლის ახლოც ნინო გაჩერებული იდგა.

— გადი აქედან, უნამუსო!—შეჰყვირა მან აღელვებულის ხმით.—შენ ამ სახლში აღარ გედგომინება. შენ ღღვის იქით უცხო ხარ ჩემთვის!

— ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო პაპა!—ევედრებოდა ნინო, მაგრამ მოხუცი გაბრუნდა და ბარბაცით ოთახში შევიდა.

რამდენსამე წამს ნინო კიბის მოაჯირზედ მიყუდებული დარჩა. სახეზედ მკედლის ფერი ედო და საშინელმა კანკალმაც აიტანა: ასე ეგონა, აი საცაა აქვე წაიქცევი და სულს დავლევო.

ეხლა კი ნამდვილად განდევნილი იყო, უნამუსობის დაღდასმული. ერთად-ერთმა არსებამ, რომლისაგანაც შენდობასა და შევლას მოელოდა, რომლის სიყვარულზედ ამყარებდა მთელ თავის იმედს, ზურგი შეაქცია. ეს ამბავი მესხავით ზარ-დამცემი იყო მისთვის.

უიმედობამ ისე არია, რომ კინალამ უკან გამოუდგა, მაგრამ სირცხვილმა შეაყენა. ჯერ კიდევ იმისი სიტყვები ყურში უბუჟოდა, სწვავდა და წიწკნიდა, ჯერ კიდევ თვალ-წინ ედგა მისი ზიზლით მოჩერებული სახე და ახლად შეხვედრას შეუშინდა. დევნულსავით გაიჭრა ეზოდან და ორღობეებში სიარულით სოფლის ბოლომდე მივიდა. გზაში მარტო ბავშვები შეხვდნენ, სხვა არავინ უნახავს და ამოკენსით ღმერთს მადლობა შესწირა, რადგან იქნება სირცხვილს გადაეტანა კიდევ, რომ რომელსამე მეზობელ ქალს შეხვედროდა. როცა მინდორში გავიდა და შორიდან გონელის სახლი დაინახა, დიდ გზას თავი დაანება და სასაფლაოსკენ გაუხვია. უეცრად საშინლად მოუწდა დედის საფლავი ენახა, რამდენიმე თვე იქ არა ყოფილიყო. მზე ჩასული იყო, როცა მიყრუებულს და გავერანებულს სასაფლაოსთან მივიდა, რომელსაც არც ერთი ხე, არც ერთი ყვავილი არ ამშვენებდა. საფლავებს ამწვანებულ ბუჩქნარების ნაცვლად ეფარა გრძელი, ნაპირებზედ მორგვალეებული, მწვანე ზოლებით აჭრელებული ქეები, რომელნიც შორიდან კუბოებსა ჰგვანდნენ. ნინოს დედის საფლავზედაც ყვავილი არა სჩანდა-რა. მხოლოდ ქვა უფრო დიდი იყო და ლამაზად ამოკრილი წარწერა ამშვენებდა: „წმინდად და უმანკოდ დაეწესა სული მისი სამყოფსა მართალთასა“, ასე ეწერა ნინოს დედის სახელის ქვემოდ.

ლონე-მიხდილი და თითქმის ავადმყოფი ტანჯვისაგან დაეშვა ნინო საფლავთან და დაიწყო მწარედ ტირილი. ეხლა ის მართ-

ლა რომ მომნანიებელი იყო თავის შეცოდებისა. იმის მკრთალს, გვემულს სახეზედ წარიხოცა უკანასკნელი კვალი მშვენიერებით სიამაყისა; მისს დიდრონ თვალებში აღბეჭდილი იყო მხოლოდ მწუხარება, მწუხარება ენით უთქმელი და ნინოს თავის საოცარი სილამაზე ფიქრადაც არ მოსდიოდა. მაგრამ ეხლაც კი, როცა უბრალო შავ კაბაში მტერიან მიწაზედ იჯდა და ფერ-მკრთალს ლოყებს უხვად მონადენი ცრემლები უღარავდა, მაინც საკვირველება რამ იყო და მის წარმოსადევს, ბრწყინვალე შეხედულობას უწინდელი მიმზიდველობა მთლად და უკლებლად შერჩენოდა.

— დედავ, საყვარელო დედავ, ილოცე ჩემთვის, ღმერთს შეევედრე!— ბუტბუტებდა თავისთვის ხელების მტვრევით.— მაპატივე ჩემი შეცოდება და მეც შენსავით კარგი და უმანკო შევიქნები. ოჰ, დედავ, ჩემო ნუგეშო, რად წამართვა შენი თავი ღმერთმა ასე ადრე! შენს წმინდა მთარველობის ქვეშ მე ჯეროვანად დავაფასებდი, შევიყვარებდი ყველას კარგსა და კეთილსა და არას დროს არ მივაყენებდი ესეთს ტანჯვას მას, ვინც სააქაოს საუკეთესო მეგობარი იყო ჩემი.

ნინოს გულამოსკვნილი ტირილი კაცს ბავშვის ტირილი ეგონებოდა. უცებ გაახსენდა გარელი, ზიზლით აკანკალდა, მისწვდა იქვე ამოსულს ეკალს და ისე მაგრად დაუწყყო ტუჩებით სრესა, ვიდრე სისხლი არ გამოუვიდა.

— ეს ტუჩები უნდა ნაკუწ-ნაკუწად დამეგლიჯა და იმისთვის კი საკოცნელად არ მიმეშვირა!— გაიფიქრა მან და ტანჯვით ხელი ხელს მაგრად მოუჭირა.

ეხლა იმის აღერსის მოგონება აღარ აწუხებდა, ეხლა ის ეზიზღებოდა, ეზიზღებოდა თავის თავიც; ისე სულელი როგორ ვიყავ, რომ იმის სიყვარულს ვერწმუნე და პატიოსნებით სავსე ლევანი კი უსინიდიოდ მოვატყუეო. ლევან ეხლა მას გამუდმებით თვალ-წინ ედგა და რაც უფრო გარელი შეეჯავრა, მით უფრო ეს საყვარელი არსება შეიქმნა მისთვის. ბევრი ჩინებული, უწინ ვერ შემჩნეული ხასიათი ლევანისა ეხლა გაახსენდა მას და თუმცა ის შორს იყო, სათითაოდ თვალ-წინ წარმოიდგინა და ეს

ფიქრი; რომ ეხლა ლევან დაკარგული იყო მისთვის, თავ-ზარსა სცემდა. ბინდდებოდა, როცა შინ წასასვლელად წამოდგა, მაგრამ მაინც ნელის ნაბიჯით გაემართა სოფლისკენ მიმავალ დაქანებულ ბილიკზედ. სისუსტის გამო რამდენგანმე გაჩერდა და მოწოლილი ცრემლები თვალებს უბნებდა. აღარათფერი არ ანუგეშებდა, უცბად მოსმენილმა სოფლის გოგოების სიმღერამაც ვერ გაამხიარულა, უფრო ააღვლევა და ერთმა მათგანმა მეტადრე გული მწარედ დაუკოდა.

ცაში მე იმდენს ვარსკვლავს ვეწივებდავ,

რასაც აქ ცეცხლით ადგზნებულს თვალებს,

მთუმც მარტო ერთის წყვილმა თვალებმა

ჯერ მომაშუქეს, მერე მომწამლეს.

ეს ლექსი ლევანს ხშირად უმღერია და იქნება ეხლაც აფრთხილებულის ხმით ამასვე ზუზუნებდა. ოჰ, როგორ ებრალებოდა ის ეხლა, როგორ სწუნდა იმის ასე გაუბედურებას!

მეორე დღეს ნინო გვიან ადგა. იმის მამა მისულიყო და უცდიდა, რომ გრძელი საყვედური ეთქვა. ვახტანგ თითქო მართლა გაჯავრებულიყო, შეწუხებულიყო და პირველმა ნინოსადმი მიმართულმა სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ქალზედ, მერე კი თავის თავი ზნეობის დამრიგებლად წარმოიდგინა, მოჰყვა ქადაგებას მეუღლეთა კავშირსა და ერთგულებაზედ და იმისი სიტყვა ბოლოს მხოლოდ სიცილს გამოიწვევდა, თუ რომ ყველანი შეწუხებულნი არა ყოფილიყვნენ. ისიც დაუმატა, მე არც შემძლიან და ჩემს რწმუნებასაც არ ეთანხმება, ლევანს თავისი სიტყვა გადავათქმევინო და კაი საუზმის მირთმევის შემდეგ შინ დაბრუნდა.

— ფუი! მაგისთანა მამასაც რა ვუთხრა! — ამ სიტყვით მიუბრუნდა კონელის ცოლი თავის ქმარს, ვახტანგის წასვლის შემდეგ. — სიტყვებს არახუნებს და გულში კი გრძნობის ნაბერწყალიც არ უღვივის. თვითონვე მაგ ყბედმა უნდა ყოველ დილით თავისი თავი დაარჩოს, ქადაგებით მიმართოს, წინ სარკვე აიყუდოს, რომ თავისი უმზავსობა კარგად დაინახოს!

რამდენიმე დღის შემდეგ ეახტანგ კიდევ დაბრუნდა გონე-
ლისას იმ განზრახვით, რომ ნინო ტფილისში ძალუხსთან წაე-
ყვანა, მაგრამ გონელი და იმისი ცოლი არ დაეთანხმნენ და
ნინომაც გადაწყვეტით გამოაცხადა, მე ამათ სახლიდან არ წა-
ვალო. მხოლოდ აქ ეგონა იპოვიდა ნუგეშსა და მოსვენებას,
მაგრამ ვერც ნუგეშს ეღიროსა და ვერც მოსვენებას, რადგან
ცოტათი დამშვიდდებოდა თუ არა, მოვიდოდა რამ ახალი ამ-
ბავი, რომელიც ხელახლავ აღელვებდა, ასევედიანებდა. მისმა
შემთხვევამ პაპაზედ ისე იმოქმედა, რომ მოხუცი თითქმის ლო-
გინად ჩავარდა და ჩქარის ნაბიჯით საფლავისკენ გაემართა. ბე-
ზიაც ამ უბედურმა შემთხვევამ კინაღამ თან გადაიტანა, თავის
ოთახიდან ველარ გამოდროდა და დროს ლოცვაში-ღა ატარებ-
და. ყოველ დღით ნინოსა კითხულობდა, იმისი ნახვა სწყუ-
როდა, მაგრამ ყოველთვის პასუხად ეუბნებოდნენ, ტფილისში
ძალუხსთან წავიდა და მხოლოდ შემოდგომაზედ დაბრუნდებო-
ნინო გონელისგან ტყობულობდა ყოველისფერს, რაც იმის მა-
მის სახლში ამბავი ხდებოდა, მაგრამ ლევანის შესახებ არაფერ
არ იცოდა. ლევან არავის ეკარებოდა და უწინდელზედ უფ-
რო განმარტოებით სცხოვრობდა. ერთი კვირის შემდეგ ნინოს
წასვლისა, მთელი იმის ბარგი გაუგზავნა და ამ დღიდან ლევან
მოწყვეტილსავე იყო ნინოსაგან და თუმცა ბევრსა ცდილობ-
და, მაინც ვერაფერს ტყობულობდა, თუ როგორ ატარებდა
დროს ლევან, ან რა გუნებაზედ იყო დამდგარი.

ძლივს გადარჩა ნინო ამ საშინელს აღელვებას და თუმ-
ცა კვლავინდებურად ღონე მოიკრიფა და აღარაფერი სტკიო-
და, სევდა და მწუხარება არ ეშვებოდა და გულს უღრღნიდა
ის ფიქრი, რომ ლევან გავაუბედურე და იქნება პაპასაც სიკვ-
დილი მოვუსწრაფეო, დიდიდან სადამომდე ცდილობდა საქმე-
ში გართულიყო, შველოდა გონელის ცოლს ოჯახის მოვლას
ან კითხულობდა რასმე, მაგრამ მაინც დღეები წელა და სევ-
დიანად იღვეოდნენ და ხშირად ნატრობდა, ღამე, მალე დად-
გეს, ეგება დამეძინოს და აღარაფერზედ ვიფიქრო, აღარაფერ
არ ვიგრძნო. ესლა დამშვიდებისა და მყუდროების მეტი აღა-

რა სწადლ-რა და როგორც გძელი ზამთრის დამლევს გაზაფხულის მოსვლა სწყურიათ, ისე მოსწყურდა მასაც დაკარგული ბედნიერების დაბრუნება, ლევანის გვერდით ყოფნა.

ყოველ კვირა-დღეს მიდიოდა თავის დედის საფლავთან და დაბრუნებაზედ გადაუხვევდა ხოლმე გზას, ადიოდა ერთ სერზედ და იქიდან მშვენიერის ხეობის ყურებითა სტკებებოდა. აქამდის ბუნების მშვენიერებისათვის მას თითქმის ყურადღებაც არ მიექცია, ეხლა კი სიამოვნებით უყურებდა და თითქო შვებისა და ნეტარების სიო ეფინებოდა მის დატანჯულ გულს; ცის ბრწყინვალე ლაქვარდი და გაბაღრული დედამიწა გულში სიმხნეს უნერგავდა. მალე ეს უსიტყვო ძზერა ბუნებისა მოთხოვნილებად გადაექცა, ამაში პოულობდა გამაცხოვლებელს ძალას, რაც სხვაგან ვერ მოენახა და შეუმჩნევლად შეიყვარა ბუნება, შეიყვარა ხეები, ყვავილები, რომელთ გვერდით ვინ იცის რამდენჯერ უყურადღებოდ გაუვლია და ეს გრძნობა ართობდა მას, ახალისებდა. ყოველი გასაშლელად მომზადებული კოკორი ახარებდა მას, რადგან თვითონაც გრძნობდა ძლიერს წყურვილს ახალის ცხოვრებისას და თითქო ევედრებოდა ბუნებას, შეესრულებინა მისი ნატვრა, იმედი გაემართლებინა. როცა სხვა ყვავილების გან დაჩაგრულ ყვავილს ნახავდა, უთუოდ მოუვლიდა; ბავშვსაგვით უხაროდა, თუ მისგან მოვლილი თავს აიღებდა და მშვენიერად გადიფუქნებოდა. მთელი საათობით დადიოდა ბაღში, რწყავდა ყვავილებს, მარგლიდა ცუდ ბალახს, ჰკვეცდა ხეებს და ეს ისე ასიამოვნებდა, რომ თავის დანებება აღარ უნდოდა. ამ საქმემ მთლად ერთიანად გაართო ნინო და მხოლოდ საღამოობით, როცა თავის ოთახში მარტო იჯდა, ერეოდა სევდა და განწირულებით ტიროდა. ეხლა მიხვდა, თუ ლევან რა სიამოვნებასაც ჰგრძნობდა, მიხვდა, რომ კაცმა შეიძლება ბედნიერება დამშვიდებულ შრომაში ჰპოვოსო და მოერია ენით უთქმელი სურვილი ლევანსაგვით ეშრომნა და იმის გვერდით ახალ ცხოვრებას შესდგომოდა.

XV

მოხუცი ვარიზანიძე აღარ გამოდგა ამ უბედურ შემთხვევს შემდეგ, სრულიად დასუსტდა და თან იგრძნო, რომ იმისი დღეები დათვლილი იყო. დილიდან საღამომდე იჯდა თავის საყვარელ სკამზე კაკლის ხის ქვეშ, რადგან ახლო-მახლო გასეირნებაც ლალავდა და როცა ხანდისხან სცდიდა ხოლმე მინდვრისაკენ წასვლას, იძულებული იყო მალე სახლშივე დაქანცული და ოფელში გაწურული დაბრუნებულიყო. გონელი ხშირად მიდიოდა მასთან და მხოლოდ იმისი ლაპარაკი ანუგეშებდა, ცოტაოდნად მანც ართობდა. თითონ ნინოზედ ლაპარაკს ერიდებოდა, მაგრამ როცა გონელი იმაზედ სიტყვას ჩამოაგდებდა და უამბობდა, თუ როგორ გამოიცვალა, ხასიათები როგორ გაუკეთდა, ან რა მოთმინებით იტანდა თავის ბედ-იღბალს, მოხუცი სიამოვნებით ყურს უგდებდა, სახე უბრწყინდებოდა და ბოლომდე სიტყვას არ აწყვეტინებდა. გულიდან არა ჰყავდა მანც ნინო ამოგდებული, მთელს ქვეყანაზედ იმაზე ძვირფასი და საყვარელი არსება არ გააჩნდა და ავადმყოფობით მისუსტებულს ხშირად უფიქრია, — ისე არ უნდა მოვკვდე, რომ შეცოდება არ ვაპატიო.

— რატომ ლევანმა კი არ უნდა აპატიოს, რაკი შეიტყობს, როგორ ნანობს თავის ცოდვას, როგორა ცდილობს იმის სიყვარულისა და პატივისცემის დაბრუნებას, — ფიქრობდა მოხუცი ამისთანა წამებში.

ოჰ, რომ შესძლებოდა და ეს დაეჯერებინა ლევანისათვის! ორნივე რომ ტკბილად შეერთებულნი ენახა კიდევ, იქნება ამ ბედნიერებას კვალად ფეხზე დაეყენებინა. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, შერიგებაზე ვერ დააყაბულებდა, ლევანმა ყოველივე შუამდგომლობა უარ-ჰყო და მოხუც გონელს გამოუტხადა, ნინომ რომ შეინანოს კიდევ, მანც არ შევურიგდებო.

ასე მწარედ ზიდავდა ამ უსიამოვნო ტვირთს მოხუცი ვარიზანიძე და თან გრძნობდა, რომ ძალ-ღონე ელეოდა და მა-

ლე წუთის-სოფელსაც გამოესალმებოდა. ეხლა თავის სიკვდილზედ ხშირად ლაპარაკობდა, მაგრამ ლაპარაკობდა უშიშრად, სრულიად დამშვიდებული.

— ვახტანგ, — უთხრა ერთ დღეს თავის შვილს, — სიკვდილის დრო მომიხსლოვდა და გთხოვ ჩემის მშობლების საფლავთან დამმარხო, იქ ჩემთვის არის ადგილი დარჩენილი. ვგონებ ამ ზამთარს ველარ გავატან და დროა ყოველ ამაზედ მოვილაპარაკოთ.

ვახტანგ შეკრთა ამ სიტყვებზედ. უეჭველი იყო, რომ იმის მამა მართლა გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას. თვალებს სიცხოვებლად დაეკარგათ, ძალა სრულიად გამოაღწეოდა და უწინდელი მხიარული ხასიათიც აღარსად იყო. რამდენიმე კვირის წინადვე შეემჩნია ყველა ეს ვახტანგს, მაგრამ მხოლოდ დღეს მოუვიდა ფიქრად მამის სიკვდილი და შესწუხდა. გაეღვიძა შიში განმარტოებისა, სახლის დაცალიერებისა, თავისი თავი მართა წარმოიდგინა, მარტო, უიმეცოდ, რომელიც თითქმის ერთად-ერთი საუკეთესო მეგობარი იყო და მთელ სიცოცხლეში განუშორებლად გვერდში უდგა. თან წარმოუდგა, რომ თითონაც ჩქარის ნაბიჯით საფლავისკენ მიეშურებოდა, მალე ესეც უნდა გამოსთხოვებოდა ქვეყნიერობას და ეს ფიქრი უღვიძებდა არა-ჩვეულებრივ მოსაზრებასა. ეხლა ჰხედავდა, რომ ამაოდ ეცხოვრა, არა გაეკეთებინა-რა, რომ მამულს არავითარი კვალნი არ ეტყობოდა იმის მხნეობისა და შრომისა და ერთხელ კი აზრად დაჰქონდა ეშრომნა თვით მთელი კაცობრიობისათვის და დაეტოვებინა იმისთანა მონადეაწვევი, რომელიც მომავალ თაობაში მოუპოვებდა სახელსა და პატივს. პირველად ჩაუკვირდა თავის თავს და რა თვალი გადაავლო თავისსავე ნამოქმედარს და ასწონ-დასწონა, თუ რამდენი უსიამოვნობა მიაცენა თავის მამას უკანასკნელ წლებში, მეტად დასევდიანდა. მიხვდა, რომ ბრალეული იყო და ეს ბრალი მის სინილის მძიმე ლოდევით შემოაწვა, მაგრამ გვიან-ლა იყო, საქმის გასწორება აღარ შეიძლებოდა: მამა ნუგეშს საჭიროობდა, რომ სიკვდილის წინად ერთხელ კიდევ სიხარული და ბედნიერება და-

ბრუნებოდა და ამას კი არაეითარი ნუგეშის შიცმამ არ შეეძლო.

— ლევან და ნინო რომ შევიარო, იქნება კიდევ მოცოცხლდეს, — გაიფიქრა ვახტანგმა და უცებ დაებადა აზრი, რომელიც აქამომდე შეუსრულებელი ეგონა, აზრი ცოლ-ქმრის შერიგებისა.

რაკი იცოდა, რომ გონელის დაუხმარებლად ვერას მოახერხებდა, მეორე დილასვე მასთან ამ საგანზედ მოსალაპარაკებლად წავიდა.

— ეხლა მეც იმედი მაქვს, ლევან დათანხმდება, — წარმოსთქვა გონელმა — გუშინ-წინ ჩემი და ყოფილიყო იმის დედასთან და როცა ვამბნა, თუ ნინო როგორ უბედურად ატარებს თავის ცხოვრებას, როგორ ნანობს, რომ ასეთი უსიამოვნება მიაყენა ლევანს, თურმე ცრემლები მოერია. არა ეთქვა-რა, მაგრამ ჩემს დას შეემჩნია, რომ ლევანს ეხლაც ძალიან უყვარს ნინო, იქნება უწინდელზედ მეტადაც. ლევანმა ისიც იცის, რომ ნინო სრულიად გამოიცვალა და შეუძლიან იმის სიყვარულს სიყვარულითვე თანაუგრძნოს. ეხლა იმედია-მეთქი, შევიარებთ, მაგრამ ჩვენი შუაქაობა საჭირო არ არის, ერთად შევყაროთ სადმე და თვითონვე მონახავენ ერთმანეთს. ეხლაც ჩემს დას მივსწერ, ხვალ სადილად ლევანი დაჰპატიჟოს. ნინოც ჩემ ცოლთან ერთად იქ წავიდეს და იმედი მაქვს ეს შეხვედრა დაგვიხსნის ამ უბედურ ყოფისაგან.

ვახტანგმა გაიფიქრა, თუ ლევან ოდნავაც არის მიგვიხვდა განზრახვას, სადილად აღარ ეწვევა გონელის დასაო, მაგრამ შესცდა. მართლაც ლევან მოვიდა და თან თავისი და ქეთევან მოიყვანა, რომელიც მოსვლის უმალვე გონელის ცოლმა გაიხმო მეორე ოთახში, სადაც ნინო იყო დამალული. ერთმანეთის დანახვაზედ, ორთავ ცრემლები წასკდა და ისე აღტაცებით ყელზე მოეჭიდნენ ერთმანეთს, რომ კინაღამ დააღრჩეს. პირველმა აღელვებამ რომ გაიარა, ქეთევან ხმის ამოუღებლად თავის ძმის შემოსაყვანად გავიდა.

— აქ მოდი, ლევან, რაღაც მინდა გითხრა—უთხრა მან თავისებურ ტკბილის, მტკიცე კილოთი.

ლევან აღარა ჯავრობდა, წამოდგა და გაჰყვა ქეთევანს. ნინო რომ დაინახა, გაფითრდა და ენით გამოუთქმელმა აღელვებამ აიტანა; ცოტა უკანაც დაიწია, მაგრამ არ კი გასულა და დაანება თავი, რომ ქეთევანს კარები ჩაეკეტა. არა, ეხლა აღარ გაურბოდა ნინოს დანახვას, ეხლა ის რყო ბედნიერი, ბედნიერზედ ბედნიერი, რომ ნინოს ჰხედავდა და კანკალებდა სურვილით, მალე თავის გულზედ მიეკრა. ნინოს დანახვამ საშინელი შთაბეჭდილება იქონია ლევანზე, ერთსა და იმავე დროს ტკივილიც იგრძნო და ნეტარებაც, რადგან ლევანდლისთანა მშვენიერი ნინო არსად ყოფილა, თუმცა ისე გაფითრებული და გამხდარი იყო, რომ მეტის-მეტად შეეცოდა ყმაწვილ კაცს.

— ლევან, ჩემო ძვირფასო ლევან, მაპატივე, შემინდე, კმარა ჩემთვის ამოდენა ტანჯვა!—წარმოსთქვა ნინომ ქვითინით და ლევანმა რომ ხმა არ გასცა, მიეყრდნო გულზედ და ხელები ყელზედ მოხვია.

ლევანმა აღარ მოიხრია ნინო, რამდენსამე წუთს უძრავად დარჩა გაშეშებული და მხოლოდ მაშინ, როცა იმის სიახლოის ნეტარება იგრძნო და ზღვიად მომსკდარმა გრძნობამ დასძლია, მოხვია იმანაც ხელები ქალს და თავის გახურებული ტუჩები იმის გაფითრებულს ლოყებს დააწება.

— დიდი ხანია, ნინო, რაც გაპატივე!—ეუბნებოდა დაბალის ხმით ცოლს.—და ეხლა ის-ლა დამრჩენია პირბადე გადავაფარო ამღვრეულს წარსულს. ნულარაფერს ვიტყვით იმაზედ, რაც მოხდა!

ნინოს უნდოდა ეთქვა რამ, თავი გაემართლებინა, მაგრამ ლევანმა ძალით წაიყვანა ზალაში, სადაც ყველანი სიხარულის კივინით მიეგებნენ. ნახევარ საათ შემდეგ ბარულს ჰაპასი.ან გაეგზავრნენ. მოხუცმა არაფერი იცოდა ამ სასიხარულო ამბისა

და ამიტომ ისე იმოქმედდა მასზედ, თითქო უბედურება რამ დამართოდესო. ორნივე ერთად მიმავალნი რომ დაინახა, მოჰყვა კანკალს და კრინტი ვეღარ დასძრა, მხოლოდ ილიმებოდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა მათ.

— დაილოცოს ღმერთი, რომ ამ სიხარულს კიდეც შემასწრო! — წამოიღულღულა მან ბოლოს. — ეხლა მოვიპოვე ის ნუგეში, რომელსაც ჩემი გული საჭიროობდა და ვიცი, რომ თქვენ სიკვდილამდე კმაყოფილნი და ბედნიერნი იქნებით. ჩემო კარგო, კეთილო ლევან, ეხლა მე თითონ ნინოს მაგიერად შემოგფიცავ განუწყვეტელს სიყვარულს და ერთგულებას, რადგან ვიცი რომ ის ეხლა სულითა და გულით შენია და ყოველთვის იმის ცდაში იქნება, შენ გასიამოვნოს, გაგაბედნიეროს. მეტად მწარე ტანჯვა გამოიარა თავის შეცოდების გამო, მაგრამ ამ ტანჯვამ მთელი მაგისი არსება განსწმინდა, განასპეტაკა და ახალი ცხოვრებასათვის შეამზადა. წაიყვანე ეგ შენს სახლში, ენდე მაგას და მერწმუნე, რომ დღეიდან ეგ შენი მფარველი ანგელოზი იქნება.

მოხუცი გამხიარულდა, გამხნევედა, ეგონა ჩემი ძალა კიდევ შემოვიკრიფეო, მაგრამ სცდებოდა. რამდენიმე კვირის შემდეგ უარესად შეიქნა და ერთს თბილს, მხიარულს დეკემბრის დილას იგრძნო, რომ მის აღსასრულის დღე მოსულიყო. მაშინვე მღვდელი და გონელი დააბარებინა და სავარძელში ჩამოხადარი დამწვინებით და სასოებით ელოდა თავის უკანასკნელს წამს. თავის დღეში სიკვდილისა არ ჰშინებია და არც ეხლა უგრძენია ეს შიში. მთელი ერთი საათი ელაპარაკა ის მღვდელს და რა გარდახედა თავის გრძელს ცხოვრებას, იგრძნო, რომ დამწვინებით შეეძლო საიქიოს წარდგომა, რადგან არა მარტო თავისთვის ეცხოვრა, ბევრის სხვისათვის შემწეობა გაეწია, ბევრისათვის ხელ-გაშლილი მეგობარი და მზრუნველი ყოფილიყო.

ლევან და ნინო რომ მოვიდნენ, მოხუცმა თავისთავს ძა-
ლა დაატანა, გამხიარულდა და არწმუნებდა, უკეთ შევიქენიო.
სწადდა ამით დაემშვიდებინა, მაგრამ მალე იგრძნო, რომ უნდა
იმათი სმენა სიკვდილის გავონებისათვის შეეჩვია, რადგან სი-
კვდილი რამდენიმე საათით-ღა იყო მისგან დამორებული. ზო-
გიერთი ცხოვრებაში გამოსადეგი რჩევა-მისცა და დაარიგა, ერთ-
მანეთის ერთგული იყავით და ყოველთვის კეთილის დაუესასა
კდილობდეთო.

— სიკვდილის წინად ნუგეშს მხოლოდ კეთილ საქმეში
ვპოულობთ; წყარო ამ ნუგეშისა სხვების სიყვარულია, რო-
მელთათვისაც გიშველია, დახმარებიხარ. ბევრისათვის სიცოც-
ხლე ტანჯვაა, მაგრამ თვით უბედნიერესთაც შეხვდებათ იმის-
თანა დღე, როცა შეწუხებულნი სხვების შემწეობას საჭირო-
ბენ; ნეტარ არიან მხოლოდ ისინი, რომელნიც გაჭირვებულს
შველიან, თავისსა და სხვის სატკივარს ერთგვარადა გრძნობენ.
თქვენც თვალები ღია გქონდეთ, რომ სხვათა შეწუხება დაი-
ნახოთ და ყურები ღია, რომ მათივე ჩუმი კენესა არ გამოგეპა-
როთ. ფუჟია ცხოვრება აგებული თაემოყვარებობაზედ, იგი გა-
ჭკრება და წავა, როგორც მზის ჩასვლის დროს მოელვარე
ღხივთა კრომა, მაგრამ კეთილი საქმე, გამშრალი ცრემლები,
დაყუჩებული ტკივილი საუკუნო სახსოვრად დარჩება კაცობ-
რიობას. კეთილნი იყავით, შვილნო, კეთილი სთესეთ და მაშინ
თქვენც ჩემსავით იგრძნობთ სიცოცხლის სატკაობას!

მასუკან ყველა თავისიანნი დალოცა, დალოცა მოსამსა-
ხურებიც და ყველას მიტევება სთხოვა, თუ რამე შეგცო-
დეთო.

— მწარეა, როცა შეურაცხებას მოგაყენებს ვინმე, მაგრამ
სამაგიეროდ გულწრფელი შენანება ამ შეურაცხებისა ტკბი-
ლია, — დაუმატა მან.

მერე თავის სავარძელი ფანჯარასთან მიატანა და დიდ
ხანს უყურა ნაცნობს მშვენიერს ხეობას და თოვლით დაფა-
რულს მთებს, რომელნიც ტკბილ, ძველ მეგობრებად მიჩნდა.

ვინ იცის რამდენი წელიწადია დღე-მუდამ მათ შესცქეროდან ყოველ ცვლილებას ყურადღებით ამჩნევდა და ისე შეეჩვია მათ, რომ თითქმის ცოცხალნი არსებანი ეგონა, მათთან ხარობდა და მათთან მწუხარებდა; მართლაც, ეს მშვენიერი მთები ნამდვილად იღიმებოდნენ, როცა მზის ოქროს ფერო სხივები მათს მწევანე ფერდობებს მოეჟინებოდა და ცის ლაქვარდი ლამაზად ეხამებოდა ზურმუხტის ფერს, კალთებს და მწუხარებდნენ, როცა გარშემო ბნელი ღრუბლები ეხვეოდა.

სიკვდილი ისე ნელა უახლოვდებოდა, რომ დრო ჰქონდა კიდევ საამოდ განვლილი დღეები მოეგონა და მისუსტებული გონება ამ მოგონებით უკანასკნელად ესიამოვნებინა. საღამომდე ცნობიერება არ დაჰკარგვია; მაშინ კი გონება დაუბნელდა, ძილი მოერია და შუალამის შემდეგ პირველ საათზედ მშვიდად და უბრძოლველად სული განუტევა. სახლში საშინელი სიჩუმე სუფევდა, მოსამსახურენი და მეზობლები ყველანი იქ იყვნენ თავ-მოყრილნი და ჩუმად ლოცულობდნენ, მაგრამ როცა უკანასკნელმა წამმა დაჰკრა და მოხუცის გული საუკუნოდ შედგა, დამსწრეთ მაღალი ხმით ტირილი მორთეს და სახლში ყველანი აირივ-დაირივნენ, თითქო სასოებით მოსმენილი წირვა დასრულებულაო.

ელვასავით მოიბრინა ახლო სოფლებში მოხუცის სიკვდილის ამბავმა. ყველა მიეშურებოდა ვარიანძიანთსა, რომ ერთხელ კიდევ ჩაეხედა მისს გაშეშებულს სახეში და სამუდამოდ გამოსთხოვებოდა და როცა სამის დღის შემდეგ საფლავს მიაბარეს, არც ერთს თვალები მშრალად არ დარჩენია, რადგან ყველანი გრძნობდნენ, რომ ნამდვილი და კეთილშობილი მეგობარი დაჰკარგეს.

*
* *

ნინო მართლაც ლევანის მეარველი ანგელოზი შეაქმნა და როცა შვილი დაებადა, ორთავ გული ისე შეეკავშირა ერთმანეთს, რომ მათი განშორება შეუძლებელი იყო. მამის ქონე-

ბა ნინოსვე შერჩა, რადგან ლევანმა, რომელსაც ვახტანგმა მთელი მამულის პატრონობა ჩააბარა, სხვა-და-სხვა სასარგებლო ცვლილება შემოიღო და ცოტა ხანში რაც ვალები ჰქონდა, ყველა გაისტუმრა. ქეთევანის ქმარმა, ლეონიძემ, საუკეთესო ექიმის სახელი გაითქვა. გარეღმა თავის ქონების ნაშთიც გაჰყიდა და მსახიობად წავიდა, თუმცა მსახიობაშიაც ისევე გაიმარჯვა, როგორც დრამებისა და კომედიების წერაში.



წ ყ ა რ მ

(იღმოსავლეთის ხალხთა თქმულებიდან)

ზაფხულის მნათობს გოლეიანს
ცეტსლი ანთო ცაზედა
და თავის სსიკებს გულ-ფიტსებს
სმელეთს აფენდა თავზედა;
ცსელი, შდუღარე ჭარი
განთსეულაფო სოფლად
და ყეკგან ფრინეულ-ცსოკლნი
იწურებოდნენ ოფლად.
ძირს დასრლიყენენ ფოთლები,
ჭკნებოდა ყვაკილი გროკანი;
მიმკადარინებულ ჭკეუანას
თავს აწკა სეკდა-გლოკანი.
მსოლოდ ერთს ალაგს, გზის პირად
ტბილის ჩუსხუსით, წყნარ-წყნარა,
მოსჩქეფდა გერცხლის საკადად
ჭკის ძირას წყარო ანკარა.
სჩქეფდა და კისკის-მსაზუნით
აზობდა მინდვრებ-გორებსა,
უნებს ზვირთავდა, კლდეს ჭბანდა,
კელს რწყავდა შორით-შორესა.
გარშემო კელო არშიად
მდელო, ყვაკილი სათუთი,
კისაც კი მიუწკედებოდა,
ჭკებავდა თავის ძუძუთი.

შიგ სთავეში სე ედგა
 რტო-სშირი, განსჯდ გაშლილი
 და მასგან კადმონაყენი
 მუდამ თავს ედგა წყალს ჩრდილი.
 აქ სამი მგზავრი წყაროს შიჩს
 ისინდნენ, ჩრდილოდნენ ჩეროსსა,
 ჭმადლოდნენ გამზენს, რომელმაც
 ეს სე ფორალებით შემოსა;
 აქ მიჭმადლოდნენ მზის სსიკებს,
 შუბლს იგრილებდნენ მასკრალნი,
 წყურვალს იკლავდნენ წყაროს სმით
 დაღლილნი, სასა-გამძალნი.
 ამ დროს იქ ერთმა მათგანმა
 სსიკებს მიუთითა ქვასედა:
 ქვა წყლის სთავეს ეუდა
 და ეს ეწერა მასედა:
 «ვისც ამ სის ძირში მოხვიდე
 და ან აქ წყარო დალიო,
 იუაგ იგეთი, როგორიც
 ეს ნაკადული არიო!»
 მძიმედ ხაფიჭდნენ მგზავრები...
 უკუღს იმ იეიჭრით დხებოდა,
 რომ ეცნა: ქვასედა ნაწერში
 რა ზნორ იფარებოდა...
 ერთმა სთქვა: «ისცანი. ყოველი,
 რაც რომ აქ იფარება:
 წყარო სსიქეს შუქნებულად,
 არა აქვს მოსკენება;
 შორეს კელ-მინდორს ჩაურბის,
 სსიკის წყლებს თვისში ირთავს,
 დადება, დარბაისლდება,
 სმუდეის სიმძიმით სტვირთავსო.

კაციც მას უნდა ჰბაძავდეს,
სიმწრის ოფელს; უნდა ღვრიდესო,
რაცა აქეს, იმას სულ-მარჯვედ
მუდამ დღე უნდა ზრდიდესო!

სადაც დასძლიოს, მოხვეტოს,
შენაშენს კიდეე ჰმატოსო
და წყაროსავით გაივსოს,
გადიდდეს, გაიმეტოსო!»

მეორემა სთქვა: «ეს გუფი
გი სულ სსხა რიგად აზობსო:
ხომ სედაე წყარო მიწიდან
რა წმინდა მოკამკამობსო!

მკვირცხლ ზვირთებს მოაკისვიტებს,
შიგ სატავს სხეუბის სახესო,
გუფით გადაჭყრის ტვირთ-მიძმეს
დაძღსა და სივავლასესო;

წმინდა წყალს ასმეეს მწეურვალეს,
მამკრალს უტრილებს გუფსაო,
მეურნალ მალამოდ უსდება
ტანჯუფს და წამებუფსაო.

კაციც მას უნდა ჰბაძავდეს...
არვის რამ უნდა აწოსო
და თავის სუფი სიწმინდით
ამ წყაროს დამკვანოსო!»

მესამემა სთქვა: «წარწერას
აი რა აზრი უდევსო:
წყარო ამოსჩქეფს მაწიდან
და ზვირთი ზვირთებს მისდევსო,

ცხოველთ წყალს ასმეეს, უანებს რწეავს,
ასხურებს მინდორ-ვეფსაო,
მაგრამ ამისთვის არ იღებს
არვისგან სასუიდეფსაო;

კაციც მის უნდა ჰბამედეს:
 უნდა სწეალობდეს ყველასო
 და არ ითხოვდეს არვისგან
 სამცეთერს შეკლასო!»

ცახელი

სიხსლითა და მახვილითა

რომანი

გენრიკ სენკევიჩისა

XV *)

დესპანი გულის კანკალით ელოდა ბრძოლის დასასრულს. რმას ეგონა, რომ ხმელნიცკი გეტმანთა შეერთებულს ჯარებს შეებრძოლაო.

მაგრამ სალამოზედ მოხუცმა ზაქარმა ყოველივე გაუმეღავენა ჰან სქშეტუსკის. ქშეჩოვსკის ღალატის ამბავმა ღრმად შეაძრწუნა ახალგაზდა რაინდი. ერთს ღალატს მეორე უნდა მოჰყოლოდა. დესპანმა კარგად იცოდა, რომ გეტმანთა მხედრობაში უფრო ყაზახნი იყვნენ ჯარის-კაცებად. დარდი თან და თან უფრო შემოაწვა, ხოლო სიხარული და ძლევა-მოსილება იმიერ ქორომეთის ჯარისა ერთი-ორად აძლიერებდა მის ავადმყოფობას. ყოველივე თითქო სულ მის გულის გასახეტქად მოეწყო. თავადის ამბავი არა არის-რა, ხოლო გეტმანებს, ცხადია, საშინელი შეცდომა მოსვლიათ: იმის მაგიერ, რომ მთელის თვისის ძალითა და ღონით მიემართნათ კულაკისათვის, ანუ ელოდნათ უკრაინაში, ერთს ალაგას დაბანაკებულებსა და შემოსანგლოულ-შემოსაფრულებს, დაანაწილეს თვისნი ჯარნი, შეასუსტეს თავისი ძალ-ღონე და ფართოდ გაუხსნეს გზა მოლალატობასა და ფიცის გატეხა-უპირულობასაო. მართალია, იმიერ-ქორომელთა ბანაკში რაღაც მითქმა-მოთქმა იყო, ეს

*) «მოამბე» № II

ქშეჩოვსკი, ეს ცალკე ჯარი სტეფანე პოტოცკის მთავარ-სარდლობითაო, მაგრამ დესპანს საიმისოდ არა სჯეროდა ეს ჭორები. ახლა კი, ვაი რომ ქშეჩოვსკის ღალატის გამო ხმელნიცკის მხედრობა გაძლიერდა, ხოლო ახალგაზდა პოტოცკის საშინელი განსაცდელი მოეღისო. შემწეობა-მოკლებულს, უდაბნოში გზა-დაკარგულს პოტოცკის ხმელნიცკი შემოერთების გარშემო და სულ ამოჟღერტავს მის ჯარსა და ჯამაათსაო.

ერთად-ერთი იმედი ლუბნის თავადი-დაა. ხმელნიცკის ვარსკვლავი ჩაესვენება მხოლოდ მაშინ, როცა ის წამოვა თვისის ლაშქრითა. ვინ იცის, ახლა იქნება იერემია შეუერთდა კიდეც გეტმანებს? ათასი ძლიერიც იქოს ხმელნიცკი, ათასი შემწეობაც აღმოუჩინოს ტუღაი-ბეიმ, თუნდ ყირიმის ყვენამაც შეუსრულოს თვისი დაპირება და მთელის თვისის ჯარით მოვიდეს, თუ ვინიცობაა გაუჭირდათ მეამბოხეთა, მიანც არა მკონია, რომ ერთს ყაზახს შეეძლოს შეარყიოს მთლად რესპუბლიკა, გასტეხოს მისი ყოვლადი ძლიერებაო. „ეგ ზვირთი ზედ შეასკდება უკრაინის ნაპირებს და სულ მიიბნ-მოიბნევაო, — ჰფიქრობდა გულში დესპანი. რითი თავდებოდა განა მულამ ყაზახთა მღელვარება? ამბოხება იფეთქებდა თოფის-წამალივით და ჩაჭკრებოდა ხოლმე მაშინვე, როგორც კი გაჩნდებოდნენ გეტმანები. ასე იყო ხოლმე აქამდე. როცა შეებრძოლებოდნენ ერთმანერთს ერთის მხრით ბრბო ქვემოურ მძარცველთა და მეორეს მხრით ძალ-ღონე იმ დიდის სახელმწიფოსი, რომლის კიდეებს ორი ზღვა ელამუნება, წინდაწინვე შეიძლება თქმა, რაც უნდა მოჰყვეს ამისთანა საქმეს. ქარ-ტეხილი ვერ გასტანს დიდ ხანს; გრივალი გადივლის და მზე კვლავ გამოანათებს“. ეს აზრი აძლევდა ღონეს პან სქშეტუსკის; ეს კიდეც ცოტაა — ამხნევებდა ისე, რომ მუხლთ აღარ ეკვეთებოდა აუტანელის ღიმძიმის ტვირთ ქვეშე. გრივალმა იქნება გადიაროს, მაგრამ ააოხრებს კი მინდვრებს, დააქცევს სახლებს; დაატრიალებს ენით გამოუთქმელს უბედურებასაო. მეგ გრივალმა კინაღამ მეც სიცოცხლეს გამომასალმა, სისხლისაგან დამცალა, ძალ-ღონე გამომიღია და ჩამაგდო მწარე ტყვეობაში სწორედ იმ დროს,

როცა თავისუფლება სიცოცხლეზედ ძვირფასია ჩემთვისაო. როგორ აიტანენ ყოველ ამას სუსტნი არსებანი, ისინი, ვისაც თავი არა აქვს მოიგეროს მტერი? ვინ იცის, რა ამბავია რაზლოგში, რა ყოფაშია ელენეო?!

მაგრამ ელენე ახლა ლუბნში უნდა იყოს. რამდენჯერა ვნახე სიზმარში. გარშემო სულ კეთილის-მყოფელნი ეხვივნენ. თვით თავადი და კნენა გრიზელდა სიყვარულით ეპყრობოდნენ, მაგრამ ელენეს მაინც ჩემი დარდი აწუხებდა, სადღაც სეჩს დავკარგე საქროგო. გარნა მოვა სანატრელი დრო და გუსარი დაბრუნდება თავის ქვეყანაში. თვით ხმელნიცკიმ აღუთქვა თავისუფლება... ყაზახთა ზვირთი სულ მიგორავს და მიგორავს რესპუბლიკის სანაპიროთაკენ; როცა ეს ზვირთი ზედ შეეღეწება ამ სანაპიროებს, მაშინ მოეღება ბოლო მწუხარებასა და მოუსვენრობასაო.

ხოლო ზვირთი სულ მიგორავდა და მიგორავდა. ხმელნიცკი დროს არა ჰკარგავდა და მიდიოდა, რომ გეტმანის შვილს წინ დაჰხვედროდა. ახლა დიდი მხედრობა ჰყვანდა ხმელნიცკის: ქმეჩოვსკისა და ტულაი-ბეის ჯართან ერთად მისი მხედრობა ოც და ხუთი ათას კაცამდე იქნებოდა; მერე ყველანი სულ რჩეულნი, ომსა და ბრძოლაში ნაცადნი და გამოჯეკილნი იყვნენ. პოტოცკის ჯარის რაოდენობისა ნამდვილი არავინ იცოდა. ლტოლვილნი ამბობდნენ, რომ ორი ათასი ცხენოსანი ჯარი ჰყავს და რამდენიმე პატარა ზარბაზანი აქვსო. ამისთანა გარემოებაში შებრძოლების შედეგი მაინც, ცოტა არ იყოს, საეჭვო იყო; ხშირად მომხდარა, რომ პოლონის საშინელ გუსართა ერთის შეტევით უკუუქცევიათ ათჯერ მეტი მხედრობა მტრისა. პან ხოდვევიჩმა, მაგალითად, ლიტვის გეტმანმა, სულ ზურგზედ ბოლი აადინა ერთხელ კარხპოლმს ახლო თვრამეტი ათასს რჩეულს ქვეითსადა ცხენოსანს ჯარს სამი ათასის გუსართა; ერთმა ჯავშნიანთა რაზმმა კიდევ ერთის საშინელის კვეთებით გაჰფანტა კლუშინს ახლო რამდენიმე ათასი ინგლისელთა და შოტლანდელთა დაქირავებული მხედრობა. ხმელნიცკიმ იცოდა ესა, მაგრამ მაინც წინ მიიწვიდა, მგმატი-

ანეს თქმულებისამებრ, დიდის დაყოვნებითა და სიფრთხილითა: „თვისთა გონებისა მრავლისა თვალითა, ვითარცა გამოცდილი მონადირე, აქეთ-იქათ იცქირებოდა გაფაციცებული და ჰგზავნიდა ჯაშუშთა რაზმებს, შეიტყუეთ მტრის ამბავიო“. ასე მიუახლოვდა ხმელნიცკი ყვითელ წყალსაო. აქ შეიპყრეს ორი ლიტველი ჯარის-კაცი. იმათა სთქვეს, რომ სახელმწიფო ჯარები ცოტაა და რომ კაშტელიანი უკვე გამოსცდა ყვითელ წყალსაო. რაკი ეს გაიგო, ხმელნიცკი შესდგა მაშინვე, ამოაღებინა თხრილები და ჩასაფრდა შიგ. გული სიხარულით უტემდა. თუ იერიშის მოტანა ვაჰბედა პოტოცკიმ, დაიძლევაო. ყაზახნი ვერ გაუმაგრდებიან ჯაეშნიანთ მინდორში, ხოლო საფარ-სანგლებიდან შევნივრად იბრძვიანო, და რაკი რიცხვითაც ჩვენ მეტნი ვართ, უკუ-ვაქცევთ ზედ-მოსულთაო. ხმელნიცკის იმედი ჰქონდა პოტოცკის ახალგაზღობისა და გამოუცდელობისა, მაგრამ ახალგაზდა კაშტელიანს თან ახლდა მოხუცი ჯარის კაცი, უფროსი ჟივეცკისა, ჰან სტეფანე ჩარნეცკი, გუსართა პოლკოვნიკი. ამ პოლკოვნიკმა დაინახა, რომ აქ ხეირი არა იქნება-რაო და ურჩია კაშტელიანს, უკან დაებრუნდეთ ისევ, ყვითელ წყალს იქითაო.

ხმელნიცკის მეტი გზა აღარა ჰქონდა, უნდა ფეხ-და-ფეხ მიჰყოლოდა კაშტელიანის ჯარს. მეორე დღეს, როცა ჯარები გასცდნენ ყვითელ წყალთა ჭაობებს, დაიწყეს დარაზმვა და დაზანაკდნენ ერთმანეთის პირის-პირ.

მაგრამ არც ერთს მხედართ-მთავარს არ უნდოდა პირველად შეჰბმოდა მტერს. მტრები თხრილების ამოღებას შეუდგნენ აჩქარებით. შაბათი იყო, მეხუთე დღე მაისისა. მთელს იმ დღეს დიდი წვიმა მოდიოდა. ცა ისე იყო მოშავებებული, რომ თითქმის ბნელოდა შუადღისას. საღამოზედ წვიმამ უფრო უმატა. ხმელნიცკი სიხარულით აღარ იყო.

— ერთი კარგად დალბეს კი ეს მინდორი, — ეუბნებოდა ქმეჩოვსკის, — და მერე გუსარების ფიქრი ნულარ გვექმნება. სულ ტალახში ჩაიხრჩობიან ისინი თვისის მძიმე საომარის საქურველითა.

წვიმა თავისას არ იშლიდა და მოდიოდა ძირ-მოდგმითა, თითქო თვით ცას უნდოდა დაჰხმარებოდა იმიერ-ქორომეთს.

ჯარები ზოზინითა და უგულოდ იკეთებდნენ საფრებს ავდარში. ცეცხლის გაჩაღება შეუძლებელი იყო. რამდენიმე ათასი ცხენოსანი განშორდნენ ბანაკს და თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ პოლონიის ჯარი არ გაიქცეს ამ ბნელს ღამეში და მით თავს არ უშველოსო. შეიქნა შუა-ღამე და ჩამოვარდა დიდი მღუმარება, რომელსაც მხოლოდ წვიმის შუილი და ქარის ქროლა არღვევდა. თვალი არავის მოუხუჭუნია არც ერთს ბანაკში.

განთიადისას პოლონელთა ბანაკში დაჰკრეს ნალარა და მოისმა ხმა დოლისა. თენდებოდა დღე მწუხარე, ბნელი, უამინდო; თავ-სხმამ გადილო და წვიმამ დაიწყო ცრა.

ხმელნიცკიმ ბრძანა, დასცალეთ ზარბაზანიო. პირველს გასროლას მოჰყვა მეორე, მესამე, მეათე... სქუმეტუსკიმ უთხრა თავისს მფარველ ანგელოზს—ყაზახსა:

— ზაქარ, წამიყვანე და თხრილის ბექზედ დამაყენე, მინდა ვნახო, რა ამბავია.

თვით ზაქარასაც ძლიერ უნდოდა ნახვა ბანაკისა. ორივენი ბექობზედ ავიდნენ. იქიდან, როგორც ხელის გულზედ, ისე სჩანდა მინდორი, ყვითელ წყალთა ქაობები და ორივე ბანაკი. პან სქუმეტუსკიმ სწრაფად მოავლო თვალი ყოველსავე, იტაცა ხელი თავში და დაიძახა:

— ღმერთო! იმათ ხომ ერთი მუქა ჯარი ძლივსა ჰყავთ.

მართლაც, ყაზახთა ბანაკს უშველებელი ადგილი ეჭირა, ხოლო პოლონელების ბანაკი ერთი ბეწვა ადგილზედ მოთავსებულიყო. ცხადადა სჩანდა, რომ გამარჯვება ყაზახთ უნდა დარჩენოდათ.

დესპანს გული დაეწვა. აჯანყებულთა დასჯის წამი ჯერ არ დამდგარიყო; ხოლო რაც მოსალოდნელია, ის ძლიევით შეჰმოსაგეს ამათაო.

ცალკ-ცალკე შებრძოლება უკვე დაიწყო და ზარბაზნებმაც მორთეს გრგვინვა და ქუხილი. ცხენოსანნი, ან პატარ-

პატარა ჯგუფებად, ან სათითაოდ ეკვეთებოდნენ ერთმანეთს. თათარნი ებრძოდნენ პოტოცკის ჯარის კაცებს, რომელთაც წითელ-ყვითელის ფერის ტანისამოსი ეცვათ. ცხენოსანნი ხან დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, ხან განშორდებოდნენ; ან დაახლოვდნენ ერთმანეთს დამბაჩებს, ან ცდილობდნენ ქამანდი ეკრათ. შორიდან მაცქერალს ტურნირი ეგონებოდა, მხოლოდ იმაზედ თუ მიხვდებოდა კაცი, აქ ხუმრობა აღარ არისო, რომ ხან აქეთ მიჰქროდნენ ცხენები უმხედრებოდ, ხან იქით.

თათარნი თან-და-თან უფრო ბლომად გამოიფინნენ; მალე მთლად მინდორი გაივსო იმათის რაზმებით. მაშინ პოლონელთა ბანაკიდანაც გამოჩნდნენ ახალ-ახალნი მხედარნი და დაიწყეს რაზმ-რაზმად დაწყობა თხრილებ წინა. ისე ახლო იყო ყოველივე ესე, რომ პან სქშეტუსკის შორს-მჭვრეტელი თვალთ ადვილად არჩევდა აღმებსა, დროშებს, თითქმის იმ როტმისტრებისა და ცხენოსანთა პირი-სახეს, რომელნიც გვერდზედ მოუდგებოდნენ ხოლმე რაზმებსა.

პან სქშეტუსკის სულ ბაგა-ბუგი დაუწყოა გულმა; იმის დატეტკილს სახეს სიწითლე დაეტყო. თავ-დავიწყებაში ჩავარდა და ატაცებით ჰყვიროდა ყოველ ახალის რაზმის გამოჩენისათანავე:

— აი დრაგუნები პან ბალაბანისა! — ჩერკასში მინახავს ეგენი!

— აგერა ვოლინის დროშა, რომელსაც ზედ ჯვარი აქვს გამაგრებული.

— ოჰ, აი ქვეითი ჯარიც დაიძრა!

— აგერა გუსარნიცა! — გუსარნი პან ჩარნეცკისა!

მართლაც, გამოჩნდნენ გუსარნიცა; ზედ უამრავნი ფრთენი დაჰფენიათ და აუარებელი მშვილდ-ისარი მოსჩანს კაპარქებიდან: მშვილდ-ისრები ზოგან ყვითლად მოვარაყებულთა და ზოგან შავ-მწვანე სურათებით არის შემკული. გამოვიდნენ საფრებიდან და დაეწყენენ თხრილებ წინა, ისე დამშვიდებულნი, ძლიერნი, ყოჩაღნი, რომ პან სქშეტუსკის თვლებში ცრემლი მოერიდა და ერთს წამს ველარა დანახა-რა ამ სურათისა.

თუმცა შორი-შორს იყო რაოდენობა პირის-პირ მდგარის ჯარებისა, თუმცა რამდენისამე სადროშოს მხედართა წინააღმდეგ აუარებელ იმიერ-ქორომელთა და თათართა გუნდებს შავად გაჰქონდა ღელვა, პან სქშეტუსკის მაინც სჯეროდა, რომ პირველნი გაიმარჯვებნო. პირს ღიმილი მოუვიდა, სახეზედ ნათელი გადაეფინა; ძალ-ღონე ისევ დაუბრუნდა, თვალები ცეცხლით აენტო.

— ეი, ვაჟბატონო! — წაიბუტბუტა მოხუცმა ზაქარმა, — გინდა განა სამოთხეში შეხვიდე?

ამ დროს რამდენიმე გუნდი თათართა ყიყინითა და ღრილით გაექანენ მტრისკენა. მტერმა თოფები დაუშინა. მაგრამ თათარნი მხოლოდ შესაშინებლად გადაერივნენ ასე. პოლონელთ რაზმებამდე არ მისულან და ისევ უკანვე გამობრუნდნენ, მიიფანტ-მოიფანტნენ და შეერივნენ თავიანთ ჯარებსა.

მაგრამ აი დაჰკრეს დიდი დოლი სეჩისა და იმ წუთსვე უზარმაზარი ფრთა თათარ-ყაზახთა გაიშალა ნახევარ მთვარესავით და მიეტია მტერს. ხმელნიცკის, ეტყობოდა, სურდა გაეგო, ერთის შეტევით დავამარცხებ, თუ არა მტრის ჯარსო. საერთო არეულობა და შემფოკება რომ მომხდარიყო პოლონელთა ბანაკში, შესაძლო იყო, ვეღარ გაეძლო იმათ ჯარს, მაგრამ პოლონელთა რაზმნი იდგნენ გულ-დამშვიდებით და მზად იყვნენ საომრად; ზურგთ უკან ფიქრი არასი ჰქონდათ, რადგან თხრილები იყო, ხოლო აქეთ-იქიდან ზარბაზნები იდგა; ისე რომ თავ-დასხმა შეიძლებოდა მხოლოდ წინიდან. პირველში კაცს ეგონებოდა, რომ დაუცდიან იმათ მისვლას და ისე შეებრძოლებიანო, მაგრამ როდესაც ყაზახ-თათართა რაზმებმა ნახევარი მანძილი გაიარეს, სანგლებიდან მისცეს ნიშანი იერიშის მიტანისა და ის იმოდენა შუბები პოლონელთ სულ ძირს დაიღეს.

— გუსარნი მოდიან იერიშით! — შეჰყვირა პან სქშეტუსკიმ.

მხედარნი მოიხარნენ ოდნავ წელში უნაგირებზედ და გაემართნენ წინ; მათ მოჰყვნენ დრაგუნთა სადროშონი და მთლად საომრად მომზადებული წინა წყება ჯარისა.

საშინელება იყო კვეთება გუსართა. პირველად ეკვეთნენ სამს კურენს და ერთის თვალის დახამხამებაში გააქრეს. საზარელმა ღრიალმა და გმინვამ მოალწია სქშეტუსკის ყურებამდე. ცხენები და კაცი, რომელთაც ვერ გაუძლეს რკინის მხედართა სიმძიმეს, დაეცნენ ძირს და ისე გაერთხნენ მიწას, თითქო მოთიბული ბალახიაო. ისე, უცბად მოჰხდა ყოველივე ესე, რომ სქშეტუსკის ეგონა, თითქო რაღაც უშველებელმა გველეშაპმა გადაჰყლაპა ეს სამი რაზმიო. მერე ეს სამი რაზმი იყო თვალი და ჯავარი მთლად უკრაინის მხედრობისა. ცხენები, რომელიც დააფრთხო ფრთების შრიალია*), უფრო მეტად აძლიერებდნენ უწესობას იმიერ-ჭორომელთა შორის. ხუთი სხვა რაზმი ხმელნიცკისა სულ შეჰკრთნენ, გონება დაჰკარგეს და უწეს-ურიგოდ იწვედნენ უკან-უკან, მტრისაგან დაჯობნილები. ხოლო ამ დროს გაჩნდნენ დრაგუნთა რაზმნი და დაიწყეს სრვამტრისა. მთელი ერთი კურენი ისე შეშინდა, რომ სისწრაფით ივლტოდა უკან. შუა-გული ხმელნიცკის მხედრობისა გონს ველარ მოვიდა და იმდენი დრო ველარ იპოვნა, რომ კვლავ დარაზმულიყო.

— ეშმაკნი და ქაჯნი არიან და არა ლიახნი! — შეჰყვირა მოხუცმა ზაქარმა;

სქშეტუსკი თითქო დაათრო ამ სანახაობამ. მძიმე ავადმყოფი იყო და ამიტომ ველარ შეემაგრებინა თავი, თან იცინოდა და თან სტიროდა, ხოლო ხან-და-ხან იძახდა ბრძანების სიტყვებს, თითქო მე ვარ მხედართ-მთავარი სადროშოსიო. ზაქარმა ძლივს მოახერხა და შეიმაგრა პან სქშეტუსკი.

ბრძოლა ისე მოახლოვდა ყაზახთა ბანაკისაკენ, რომ შესაძლო იყო ადვილად გაერჩია ადამიანს სახე მებრძოლთა. საფრებიდან განუწყვეტლივ ისროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ ყუმბარანი ეცემოდა ხან თავისიანებსა და ხან მტრებში და მით უფრო ძლიერდებოდა უწეს-ურიგობა.

*) პოლონელების გუსართა ზურგს უკან ლითონის ფრთები ჰქონდათ ხოლო მე მიმაგრებულნი.

გუსარნი შეეფეთენ პაშკოვის კურენსა, რომელიც საგეტ-
მანო გვარდია იყო და რომლის შუაც იმყოფებოდა თვით
გეტმანი. უცბად საშინელი ხმა აღმოხდათ გულიდან იმიერ-
ქორომელთ: დიდი მაყვლის-ფერი დროშა შეირყა და დაეცა-
ძირს.

მაგრამ ამ დროს გრივადივით ჩაერია ბრძოლაში ქშეჩოვ-
სკი თვისის ხუთი-ათასის ჯარის კაცითა. უზარ-მაზარ ჩაღის-
ფერ ცხენზედ იჯდა, მიჭკოდა ყველაზედ წინ უქუდოდ, ხალ
ამოწვდილი და ამხნევებდა შემკრთალ ქვემოურებს, რომელ-
ნიც უწესოდა და ურიგოდ ბრუნდებოდნენ უკან თავ-თავიანთ
ალაგების დასაქერად. ომი კვლავ დაიწყო შუა მანძილზედ და
შენივთდა ბრძოლა.

ხმელნიცკის მხედრობის არც მემარცხენეთა და მემარჯვე-
ნეთ უღიმოდა ბელი.

თათრებს, რომელნიც ზარჯელ იქმნენ უკუ-ქცეულ ვლა-
ხეთის სადროშოების ჯარითა და პოტოცკების რაზმებითა, სულ-
დაეკარვათ ხალისი ბრძოლისა. ტულაი-ბეის ორი ცხენი მოუ-
კლეს. ცხადი იყო, რომ გამარჯვება ახალგაზდა პოტოცკისა
რჩებოდა.

თავ-გამეტებულმა ბრძოლამ დიდ ხანს ველარ გასტანა. წვი-
მამ კოკი-პირულად დაუშვა და მინდორი ტბად გადააქცია:
ესე ჩამოხნელდა თანა, რომ ორს ნაბიჯზედ აღარა სჩანდა-რა.
წვიმის შულისაგან ჯარის უფროსთა ბრძანება აღარ ისმოდა.
შესწყდა სროლა დასველებულ ჯაზაირებისა და მოკლე თო-
ფებისა. თვით ცამ შესწყვიტა ბოლოს ეს ჩეხა-ყლეთა.

ხმელნიცკი დაბრუნდა თავის ბინაზედ მთლად დასველე-
ბული, გამძვინვარებული, გაალმასებული. არავისთან ხმა, კრინ-
ტი არ დაუძრავს. საჩქაროზედ დასცეს მისთვის კარავი აქლე-
მის ტყავებისაგან და აქ შეაფარა მან თავი მარტოდ-მარტომ,
გამწარებულმა, შავ-ბნელის ფიქრებით გვემულმა.

განწირულება ისადგურებდა ნელ-ნელა მის გულში. მხო-
ლოდ ეხლა მიხვდა, რა საქმესაც მოჰკიდა ხელი. ხმელნიცკის
სძლიეს, გაათახსირეს... და მერე ვინა? ერთმა მუქა მტერმა!

მან კარგად იცოდა ძალა რესპუბლიკისა, წინდაწინვე ივარაუ-
და ყოველივე, მაგრამ ეტყობა დაავიწყდა რამ ანგარიშის დროს.
ასე ჰგონებდა ამ წუთს მაინც და უიმედობით შეპყრობილი
მალ-მალ იტაცებდა ხოლმე თავში ხელს; მზად იყო თავი ეხა-
ლა რისთვისმე ამ საათში და ბოლო მოელო თვისის სიცოცხ-
ლისათვის. რაღა მომელის მაშინ, როცა მომიხდება შებრძო-
ლება გეტმანებთანა და მთლად რესპუბლიკასთანაო?!

ტულაი-ბეიმ შეაწყვეტინა ეს მწარე ფიქრნი და ზრახვანი.
გაცოფებულს თათარს თვალები უბრწყინავდა სიბრაზით, სახე
გადაჰფითრებოდა, კბილები უბრწყვიალებდა თხელ უღვაშებ
ქვეშა.

— სად არის დავლა, სად არიან ტყვენი, მოკვეთილნი თავნი
მხედართ-მთავართა? — ეკითხებოდა იგი გახრინწიანებულის ხმით.

ხმელნიცკი ზეზედ წამოხტა.

— იქ არის, იქ არიან! — ხმა-შემალღებით უპასუხა მან და ხე-
ლი გაიწოდა სახელმწიფო ჯარის ბანაკისაკენ.

— მაშ წადი იქ, — დაიღრიალა ტულაი-ბეიმ, — თორემ თვი-
თონ შენ წაგათრევ ყირიმს გათოკილსა!

— წავალ კიდეცა! წავალ ეხლავე, ავიღებ დავლას; წამო-
ვასხამ ტყვეებს, მაგრამ შენ კი ყენს მისცემ პასუხს, იმიტომ
რომ დავლას ეძებ და ომს კი გაუბრი.

— ძალღის გვარისავ, — შეჰყვირა ტულაიმ, — შენ ჰლუპავ
ყენის ჯარსა!

ორივენი პირის-პირ უდგნენ ერთმანეთს. ისევ ხმელნიცკი
შოვიდა გონს პირველად.

— დამშვიდდი, ტულაი-ბეი, — უთხრა ბოლდანმა. — წვიმამ
შეგვიშალა ხელი, როცა ქშეჩოვსკიმ უკვე შეარყია დრაგუნ-
თა რაზმი. მე კარგად ვიცნობ იმათ. ხვალ ისეთის გამძვინვარე-
ბით ველარ იომებენ. დედა-მიწა დაღბება. ხვალ სულ ჩვენ ხელთ
იქმნებიან.

— აბა რა, დიდი თანხაა ცარიელი ლაპარაკი!

— ჰნახავ, რომ თანხაა. გამიგონე, ტულაი-ბეი, მეგობარო!
ყენმა ჩემდა შესაწევრად გამოგგზავნა და არა ჩემდა სავაგლახოდ!

— შენ მე გამარჯვება აღმითქვი და არა დაძლევა.

— რამდენი დრაგუნი დაგვრჩა ტყვედ. თუ გინდა შენ მოგცემ იმათ.

— მომეცი. ვუბრძანებ, რომ მარგილზედ ჩამოაცვან.

— ნუ იზამ მაგას. თავისუფლება მიეცი. უკრაინელები არიან ბალაზანის სადროშოსი; განუტევოთ, რომ იქნება დრაგუნები ჩვენს მხარეზედ გადმოიყვანონ. ისევე მოჰხდება, რაც ბარაბაშის საქმეში მოჰხდა.

ტულაი-ბეის სიამოვნებით გაუნათლდა სახე, დააქკერდა ხმელნიცკის და წაიტუტუნა ბუზლუნითა:

— გველო...

— ცბიერობაც იმდენად ჰლირს, რამდენადაც მამაცობა. თუ მოვახერხეთ, რომ დრაგუნებმა უღალატეს, მთელს ბანაკში ერთი აღარ გადაგვრჩება ცოცხალი და ტყვედ შეუპყრობელი. გეყურება თუ არა?

— პოტოცკის მე წავიყვან.

— იმასაც შენ მოგცემ და ჩარნეცკისაცა.

— კარგი, მაშ ახლა არაყი დამალევინიე... ცივა...

— ეხლავე.

კარავში ქშეჩოვსკი შემოვიდა. პოლკოვნიკს თავ-პირი ჩამობნელებოდა. უფროსობა, კაშტელიანობა, ციხე დარბაზნი და საუნჯენი დღევანდელ ომის შემდეგ ისე გაჰქრა, როგორც კვამლი. შესაძლო იყო, რომ ამ კვამლში ხვალ თვალ-წინ წარმოსდგომოდა ბნელი სურათი მახვილისა ანუ სახრჩობელასი. ის ნემენცები რომ არ გაწყვეტილიყვნენ, იქნება პოლკოვნიკს აღარ დაეყოვნებინა, ეღალატნა ხმელნიცკისათვის და თვისის ჯარით პოტოცკის მხარეზედ გადასულიყო. მაგრამ ახლა გვიანდა იყო.

ყაზახთა მხედართ-მთავარნი ხმა-გაკმენდილნი შემოაუსხდნენ არაყით სავსე ჭურჭელსა. წვიმამ უკლო. დამდებოდა.

პან სქშეტუსკი დაასუსტა სიხარულმა და გაფითრებულნი უძრავად იდო ურემზედ. ზაქარს უკვე შეუყვარდა დესპანი და უბრძანა მხლებლებს გადაეჩარდახებინათ ურემი. სქშეტუსკი

უგდებდა ყურს წვიმის ერთკილოვანს შუილს და გული არხე-
ჩნადა ჰქონდა, სიამოვნების სხივით გაშუქებული. გუსარებმა
დიდი მხნეობა გამოიჩინეს, რესპუბლიკა ღირსეულად დაუხვდა
მტერს, როგორც შეეფერებოდა მის ღიღებს და ყაზახთა მღელ-
ვარების პირველი ზვირთი ზედ შეეღეწა სახელმწიფოს ჯართა
სიმტკიცესაო. შემდეგ კიდევ თავადი ერემიაა მზად, გეტმანები,
შლიახტა, ამოდენი ძალ-ღონე, ხოლო ყოველ ამათხედ უმაღ-
ლეს არის ბოლოს მეფე, — *primus inter pares*.

გულ-მკერდი სქშეტუსკისა აღიოდა და ჩადიოდა თავისუ-
ფალის, თავ-მოწონებულის სუნთქვისაგან. ასე ეგონა, რომ ყო-
ველივე ეს ძლიერება საკუთრად მე მაქვსო.

თვისის დატყვევების შემდეგ პირველად ახლა შეებრალა
დესპანს ყაზახნი. დამნაშავენი არიან, რალა თქმა უნდა, მაგრამ
თან დაბრმავებულნიც არიან, რადგან ეიჩხისათვის წაუვლიათ,
ხელი და იმითი გამოდიან დათვის წინააღმდეგაო, — გაივლო მან
გულში. — დამნაშავენი არიან, მაგრამ ამავე დროს უბედურნიც
არიან: აპყენენ ისეთს კაცს, რომელიც ცხადად ჰლუპავს ამ სა-
ცოდავებს.

დესპანის ფიქრი სხვაგანაც ჰრბოდა. დადგება მშვიდობია-
ნი დრო და მაშინ ყველას ნება ექნება იზრუნოს საკუთარის
ბედნიერებისათვისაცაო. რა ამბავია ნეტავი ახლა იქ, რაზლოგ-
ში? მღელვარება იქამდე, რასაკვირველია, ვერ უწყევს, ხოლო
თუნდა ასეც იყოს, ელენე ახლა, ეჭვი არ არის, ლუბნში
იქნებაო.

მეორე დღეს კვირა იყო და თოფი არ გავარდნილა, მშვი-
დობიანად გაიარა. სქშეტუსკის ეგონა, რომ უთუოდ ყაზახებს
აღარ უნდათ ომის დაწყებაო. ეაი რომ ასე არ იყო! დესპანმა
არ იცოდა, რომ ამ ხანად ხმელნიცკი, რომელიც „თვისის გო-
ნებისა მრავლითა თვალითა იყურებოდა გარშემო“; ცდილობ-
და, იქნება ბალახანის დრაგუნნი ჩემსკენ გადმოვიყვანო. რო-
გორმეო.

ორშაბათს განთიადისასვე შეებნენ ერთმანერთს მოპირის-
პირენი. სქშეტუსკი, როგორც წინად, ახლაც მხიარულებითა

და ღიმილით შეჰყურებდა ამ შებრძოლებასაცა. სახელმწიფოს ჯარის რაზმნი კვლავ დაეწყენენ საომრად თხრილებ წინა, მხოლოდ ესლა იერიშით აღარ მიდიოდნენ, არამედ ადგილობრივე აძლევენ მტერს პასუხსა. მინდორი სულ ქაობად გადაიქცა. მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანთა ჯარი ადგილიდან ვერ იძროდა და ეს გარემოება დიდს უპირატესობას აძლევდა თათართა და იმიერ-ქორომელთა სუბუქ რაზმებს. ღიმილი თან და თან ჰქრებოდა სქმეტუსკის სახეზედ. სახელმწიფო ჯარებს იმოდენა მტერი დაესხა თავს, რომ სულ ჩანთქა კინალამ; აგერ საცაა თითქო გასწყვეტენ ამ სუსტს ჯაქვს და იერიშს მიიტანენ თვით საფრების ასაღებადაო. პან სქმეტუსკი იმის ნახევარ ხალისსაც ველარა ჰხედავდა, რა ხალისითაც იბრძოდნენ პოლონიის ჯარნი ორის დღის წინად. მართალია, ესლაც მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ პირველად თვით აღარ ესმოდნენ თავს მტერსა და ერთის შეტევით აღარ სცემდნენ რისხვასა. წვიმისაგან დამბალი დედა-მიწა აღარ უშვებდა წინ, ხოლო ხმელნიცკი ამასობაში სულ ახალ-ახალ რაზმებსა ჰგზავნიდა საომრად. თვითონ ჩნდებოდა ყველგან და თვისის მაგალითით ამხნევებდა იმიერ-ქორომელთ, რომელნიც ათასობით ესხმოდნენ თავს სახელმწიფო ჯარის რკინის კედელს და, უკუქცეულნი, კვლავ ეწყობოდნენ რაზმ-რაზმად ხელ-ახალის იერიშის მისატანად. მათთა მკვდართა გვამით მოიფინა მინდორი, მაგრამ რესპუბლიკის ჯარიც ნელ-ნელა სუსტდებოდა.

შუა დღისას იმიერ-ქორომელთა მთელი ჯარი ჩაება ბრძოლაში. ისე გაცხარდა ომი, ისეთის გამძვინვარებით შეიბნენ მტერნი, რომ მათ შუა კვლავ ხორა დადგა კაცთა გვამებისა და ცხენთა მძოვრისა.

ყოველ წუთს ყაზახთა ბანაკში ბრუნდებოდნენ გუნდ-გუნდად დაჭრილნი და დაკოდილნი, სისხლით-შესვრილნი, ტალახით მოთხუზულნი, ძალ-ლონე მიხდილნი, მაგრამ ბრუნდებოდნენ მხიარულად, სიმღერითა და ყიჟინითა. იმათ სახეზედ იხატებოდა მხიარულება და რწმენა, რომ გამარჯვება ჩვენიო. სიკვდილის პირად მყოფნიც კი ამასა ჰყვიროდნენ: „სიკვდილი

მტერსაო!“ ვინც ბანაკში დარჩენილიყო, ისინიც საომრად იწვევდნენ.

პან სქშეტუსკი მოიღრუბლა. პოლონელთა სადროშონი ბანაკში ბრუნდებოდნენ. აღარ შეეძლოთ უკვე გამაგრება და სასწრაფოდ იხევდნენ უკან. ყაზახებმა რომ ეს დაინახეს, დასცეს მხიარული ყიჟინა. იმიერ-ქორომელთ კვლავ მიიტანეს იერიში და გამძვინვარებით ეკვეთნენ პოტოცკის ჯარის-კაცთა, რომელნიც იფარავდნენ ბანაკად მიმავალ, უკუ-ქცეულ თვისს ჯარებსა. მაგრამ ზარბაზნებმა, ჯაზირების სეტყვისავით დაშენილმა ტყვიამ უკუაქცია ისინი. ერთს წუთს შესწყდა ბრძოლა.

პოლონელთა ბანაკიდან მოისმა ხმა შერიგების საყვირისა.

მაგრამ ხმელნიცკის გაგონებაც კი არ უნდოდა შერიგებისა. თორმეტის კურენის ჯარის კაცნი ჩამოხდნენ ცხენებიდან, რათა ქვეითა ჯართანა და თათრებთან ერთად მიეტანათ იერიში მტრის სანგლებზედ.

ქშეჩოვსკი უნდა მიჰშველებოდა სამი ათასის ქვეითის ჯარით, როცა გაჭირდებოდა საქმე. საყვირთა ხმამა, განგაშთა და ბობლანთა ცვიმამ დაჰფარა ცოტას ხანს ხმა ყიჟინისა და ჯაზირების გრიალისა.

პან სქშეტუსკი გულის კანკალით შეჰყურებდა, როგორ ჯაჭვის რგოლივით ერტყმოდა გარშემო პოლონელთა ბანაკს იმიერ-ქორომელთა ჯარი. მიდიოდა ეს ჯარი წინ და ეხვეოდა ხშირს თეთრს კვამლში, თითქო ვილასაც უზარ-მაზარ მკერდს უნდა ასეთის კვამლის ბერვით გაჰფანტოს ყოველ-მხრიდან მოსული გუნდი უამრავის კალიისაო. ზარბაზნების ყუმბარანი უფრო გახშირებით შეიჭრებოდა ხოლმე ამ გუნდში და მომაკვდინებელს კვალს ავლებდა იქ. თოფების სროლამ უფრო და უფრო უმატა. გრიალი თოფ-ზარბაზნების სროლისა ერთს წუთს არა სცხრებოდა, მაგრამ ჰინჰვლის გორა, თუმცა ნელ-ნელა, მაინც დოსტოლრივ მიიწვედა წინ. აი მიახლოვდა კიდევცა! აი თითქმის თხრილთან მიცოცდა და ზარბაზნებს ზნევა აღარა შეუძლიანთ-რა! პან სქშეტუსკიმ თვალები დაჰხუჭა.

ელვასავით გაურბინა ფიქრად ამ აზრმა: დავინახავ-ლა კიდევ თუ ვერა, როცა გავახელ თვალებს, პოლონიის დროშებ-საო? დავინახავ... ვერ დავინახავ? ყიჟინა უფრო და უფრო ძლიერდება, ჟივილ-ხივილია არა-ჩვეულებრივი... აღბად, რაღაც დიდი ამბავია იქ. ყვირილი შუა-გულ ბანაკიდან მოისმის. რა ამბავია? რა მოჰხდა?

— ღმერთო მოწყალეო!

პან სქშეტუსკის გმინვა ამოხდა გულიდან: თხრილებზედ, ოქროს-ფერ სარესპუბლიკო დროშის მაგიერ, ფრიალებდა მაცვლის ფერი დროშა მთავარ-ანგელოზის მხატვრობითა.

პოლონელთა ბანაკი აღებულ იქმნა.

მხოლოდ საღამოზედ გაიგო დესპანმა ზაქარასაგან ყოველივე დაწვრილებით. ტყუილად კი არ ეუბნებოდა ტულაიბეი ხმელნიცკის, გველი ხარო: სწორედ გაჭირების დროს გადვიდნენ იმის მხარეზედ ბალაბანის დრაგუნები, რომელნიც ეკვეთნენ თავისიანებს და ხელი შეუწყეს მტერს მათს მოსრავაში.

საღამოზედ დესპანმა ჰნახა ტყვედ-შეპყრობილნი და დაესწრო ახალგაზდა პოტოცკის სიკვდილსა. საწყალობა ქაბუქმა, სასიკვდილოდ დაქრილმა ისრითა, ძლივს უთხრა ნელის ხმით სტეფანე ჩარნეცკის: „უამბეთ მაშასა, რომ, როგორც რაინდი“... და განუტევა სული. დიდ ხანს ახსოვდა შემდეგ სქშეტუსკის მისი გაფითრებული სახეცა, მისი ცის-ფერი თვალებიცა, მიზყრობილი ცად მიმართ. პან ჩარნეცკიმ აღთქმა დასდო ამ გაცივებულ გვამის წინაშე, რომ, როგორც კი ღმერთი შემეწევა და თავს დავაღწევ ტყვეობას, სისხლის რუებით ჩამოვრეცხავ დღევანდელს დამარცხების სირცხვილს და შურს ვიძიებ ჩემის მეგობრის სიკვდილისათვისაო. მოხუცს მხედარს თვალები გაღმრალი ჰქონდა და მხოლოდ გაფითრებულ სახეზედ ეტყობოდა ცხადად, რასაცა ჰგრძნობდა. თავის დროზედ შესრულა კიდევ თავისი აღთქმა, ხოლო ამ ხანად ანუგეშებდა, როგორც კი შეეძლო, სულითა და ხორცით ავადმყოფს პან სქშეტუსკის. „რესპუბლიკამაო,—ამბობდა პან ჩარნეცკი,—ბევრი მწარე დღე ჰნახა, გარნა ძალი მისი მაინც აღურაცხველია და არა ყაზახთა

ამბოხებას არ შეუძლიან შეარყიოს მისი ძლიერება. მართალია, დამარცხება დიდია, მაგრამ ვინ იქმნა დამარცხებული? გეტმანები? სახელმწიფოს მხედრობა? არა! ქშემოესკის ლალატის გამო ერთი მუჟა ხალხი-ლა დარჩა და, რასაკვირველია, იმისთვის ძნელი იყო იმოდენა მხედრობას გამკლავებოდა. აჯანყება გავრცელდება მთელს უკრაინაში,—ყაზახნი იქ მუდამ მზად არიან აჯანყდნენ, თუ კი შემთხვევა რამ მიეცათ,—მაგრამ უკრაინაში აჯანყება ახალი ამბავი არ არის და მალეც ჩაჰქრება დიდის ხნით გეტმანთა და თავად ერემიას მეოხებით. მხოლოდ სულმოკლე კაცს შეუძლიან დაიჯეროს, რომ ვითომ ერთს ავაზაკატამანს შეეძლოს, თათართა მურზის შემწეობით, მუჟარა დაუწყოს დიდს ერს. ცუდი ნიშანი იქმნებოდა, რომ რესპუბლიკას მთელი თვისი ძალ-ღონე შეეკრიბა ყაზახთა აჯანყების გავრცელებისათანავე. უნდა გამოვტყდე, უგულოდ წამოვედით ამ ლაშქრობაში და, თუმცა გვძლიეს, მაინც მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ გეტმანები ხმლითა და იარაღით კი არა, მათრახებით შეიძლებენ ამ აჯანყების მოსპობას“.

კაცს ეგონებოდა, რომ ყოველსავე ამას ამბობს არა ტყვე, არა ჯარის-კაცი, რომელიც დამარცხდა ეს არის ეხლაო, არამედ გულ-ზვაგი გეტმანი, დარწმუნებული, რომ ხვალ გამარჯვება ჩემიაო. მისი იმედიანობა ნელ-ნელა პან სქშეტუსკისაც გადაედო. მეტის-მეტად ახლოდან უტყქროდა ხმელნიცკის ძლიერებას და ამან, ცოტა არ იყო, თვალები აუბა, მით უმეტეს, რომ ხმელნიცკის ბედი სწყალობდა მუდამ. გარნა პან ჩარნეცკი მართალი იყო, გეტმანთა მხედრობა ჯერ არ გამოასულიყო საბრძოლველად, ხოლო მათ შემდეგ კიდევ მთელი რესპუბლიკა იყო.

ზაქარმა, რომელმაც მოუხერხა პან სქშეტუსკის ნახვა ტყვეებისა, უფრო მეტად ანუგეშა გზაში უკან დაბრუნებული დესპანი. „ახლოვანდა პოტოცკის დაძლევა ადვილი იყო, აი გეტმანების დაძლევა საქმე!—ჩიოდა ზაქარა.—ჯერ მხოლოდ დაწყებულ იქმნა საქმე და, ვინ იცის, რა ბოლო მოჰყვება! ეჰ, აივსნენ ყაზახნი და თათარნი პოლონელთა სატუნჯით, მაგრამ

საქმე აღება კი არ არის, საქმე შენახვაა. შენ ტყვილად ნუ სწუხარ, გულოს ნუ იკლავ, მიიღებ თავისუფლებას და დაპბრუნდები შენიანებთან.. ჩემი მოხუცი თავი კი უნდა მოწყენილი ეგდოს აქ უშენოდ. ეჰ, სიბერე ძნელი ყოფილა! გეტმანებთან ძალიან გაჭირდება საქმე, ძალიან!“

მართლაც, ეს გამარჯვება, რაც უნდა უფრო ძლიერა-მოჭილიც ყოფილიყო, ვერ უზრუნველ-ჰყოფდა ჯერ კიდევ ხმელნიცკის მომავალს ბედსა, იქნება უფრო ენოა კიდევცა, რადგან გეტმანი შურს იძიებდა შვილის სიკვდილისათვის და აღარას არ დაჰზოგავდა იმიერ-ჭორომელთ ამოსაწყვეტად. დიდს გეტმანს არ უყვარდა თავადი იერემია, მაგრამ ახლა ყოველივე მტრობა უნდა დადუმებულიყო; პან კრაკოველი პირველი გაუწოდებდა ხელს შერიგებისას სახელ-განთქმულს მხედართ-მთავარს და თვის მხედრობასაც იმისას შეუერთებდა. ამისთანა ძალ-ღონეს ხმელნიცკი ჯერ არ შეჰპბრძოლებოდა და ვერც გაჰბედავდა შებრძოლებას. მან გადასწყვიტა, გავაშურებ უკრაინისაკენ, საჩქაროზედ მივიტან იქ გამარჯვების ამბავს ყვითელ წყალთან და, ვიდრე თავადის მხედრობა მოვიდოდეს, მანამ დავესხმი თავს გეტმანებსაო.

რიგიანად აღარ დაასვენა თავისი ჯარები და შემორე დღესვე უბრძანა ლაშქრად წასვლა. ასე ეგონებოდა კაცს, რომ გეტმანიც გაჩქარებით ილტვის და მით უნდა დააღწიოს თავი განსაცდელსაო. ყაზახთა ჯარის რიცხვი გზა და გზა თან და თან მატულობდა; ყოველ დღე ემატებოდნენ უკრაინიდან ლტოლვილნი. მოჰქონდათ თან გეტმანთა ამბავიცა, თუმცა კი ერთმანერთის საწინააღმდეგო, ერთნი ამბობდნენ, რომ თავადი ჯერ ისევ ღნებრს გაღმა დაბანაკებულიო, მეორენი—უკვე შეუერთდა სახელმწიფოს ჯარებსაო. უეჭველი იყო მხოლოდ ის, რომ უკრაინა ჰდელავდა და დიდს ცეცხლში იყო. იქაურნი მკვიდრნი, არამც თუ ყრუ-მინდვრებში მირბოდნენ ხმელნიცკისთან, არამედ ცეცხლს უკიდებდნენ დაბა-სოფლებსა, ეწინააღმდეგებოდნენ პანებსა და ყველგან იარაღში სხდებოდნენ. ქალაქში მცხოვრებნი ყაზახნი მხოლოდ ნიშანს-ლა ელოდნენ

მეამბოხეთა თანა შესაერთებლად. ხმელნიცკის ყოველ ამის იმედი ჰქონდა და ამიტომ უფრო ჩქარობდა.

ბოლოს ჩიგირინამდეც მივიდა. ჩიგირინმა კარი გაუღო და ყაზახთა მეციხვანე რაზმი მის ღროშებ ქვეშ დადგა. ბრბომ გაძარცვა სახლი ჩაპლინსკისა და ამოსწყვიტა ერთი მუქა პოლონელი თავად-აზნაურობა, რომელიც ამ ქალაქში ეძებდა ხსნასა. სიხარულის ყრიაშულსა, ზარების რეკვასა და ლიტანიით სიარულს დასასრული არა ჰქონდა.

აჯანყების ცეცხლი უცებ მოედო მთლად ამ მხარეს. ყოველივე, რაც კი სცოცხლობდა, ხელს ჰკიდებდა ცელებსა და შუბებს და უერთდებოდა იმიერ ქორომელთ. აღუარცხველნი ბრბონი იკრებდნენ თავს ყოველ მხრიდან ყაზახთა ბანაკში; მოვიდა სასიხარულო ამბავიცა, რომ თუმცა თავადი იერემია დაჰპირდა თვისსა შემწეობას გეტმანთა, მაგრამ ჯერ არ შეერთებულა იმათთანაო.

ხმელნიცკიმ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

დაუყოვნებლივ გასწია წინ გრიგალივით და, საცა გაიარა, მოაოხრა ყოველივე. გზა, მისგან გავლილი, მოფენილი იყო ადამიანთა გვამითა და ცეცხლის მიერ შთანქმულ სადგურთა დანაცრებულ ნანგრევებითა. მიდიოდა, როგორც შურის-მძიებელი, როგორც საარაკო გველეშაპი.

ჩერკასში დააბანაკა თვისი უმთავრესი მხედრობა, ხოლო წინ გაჰგზავნა თათარნი ტულაი-ბეისა და განადირკაცებულის კრივონოსის წინამძღოლობითა. კორსუნთან დაეწივნენ ისინი გეტმანებს და აღარც აიღეს, აღარც დაიღეს, დაესხნენ თავს, მაგრამ ასეთი გაბედულება ძვირად დაუჯდათ. საშინლად ძლეულნი იძულებულნი იქმნენ უკან დაეხიათ უწყსოდა და ურიგოდ.

ხმელნიცკი წავიდა ახლა იმათ მისაშველებლად. გზაში მოუვიდა ამბავი, რომ პან სენიავსკი შეუერთდა გეტმანებს, რომელთაც დასტოვეს კორსუნი და მიდიან ბოლუსლავისაკენაო. ხმელნიცკიმ უომრად აიღო კორსუნი, დასტოვა იქ თავისი ბარგი-ბარხანა და სუბუქად გამოეკიდა სახელმწიფო ჯარებსა.

ღრმა ხევთან ხმელნიცკის მოწინავე დარაჯნი თავს წაადგნენ პოლონელთა ბანაკსა.

ჰან სქშეტუსკის არ შეემთხვა ამ ბრძოლის ნახვა; ბარგ-
თანა და ბარგის ხალხთან ერთად კორსუნში ღარჩა ისიცა.
ზაქარმა დააბინავა დესპანი ერთის ჩამოხჩობილის შლიახტიჩის
სახლში და მიუჩინა დარაჯნი, რადგან ბრბო სცარცვავდა იქა-
ურობას და ჰხოცდა ყველას, ვინც კი ლიახად მიაჩნდა. ჰან
სქშეტუსკი თავის სახლის გატეხილ ფანჯრიდანა ჰხედავდა, რო-
გორ გადადიოდა ერთის სახლიდან მეორე სახლში, ერთის
დუქნიდან მეორე დუქანში ბრბო სასმელებისაგან გაღეკებულ,
ჩისხლით შესვრილ ყაზახთა, ურევედა და აქოთებდა იქაურობას.
ხან და ხან მოისმოდა ყვირილი და ეს იმისი ნიშანი იყო, რომ
ჩვენმა ძებნა-ჩხრეკამ ამაოდ არ ჩაიარაო, ესე იგი ვიპოვნეთ
შლიახტიჩი ანუ ურიაო. ამისთანას, სულ ერთია, ვინც უნდა
ყოფილიყო, — მამაკაცი, დედაკაცი, თუ ყმაწვილი, — გამოი-
ყვანდნენ ბაზარში და დაუწყებდნენ წამებას. ბრბოს ჩხუბი
მოსდიოდა ერთმანერთში გვემულის გეამის ნაქერთათვის, უგუ-
ნურის ხარხარით ისვამდა პირზედ და გულზედ სისხლს, იხვევდა
კისერზედ თბილ-თბილ ნაწლევებს. ყაზახნი წაავლებდნენ ხელს
ფეხებში ურიის პატარა ბავშვებს და შუა-შუა ჰგლეჯდნენ და-
მსწრეთა დიდად სასიამოვნოდ. ბრბომ რამდენჯერმე სცადა გაე-
ძარცვა ის სახლებიცა, საცა იყვნენ უფრო პატივისცემნი ტყვე-
ნი; დარაჯ-მიჩენილნი. იმიერ-ჭორომელნი ანუ თათარნი, დარა-
ჯად მიჩენილნი, ჯოხებითა და კომბლებით დაირეკავდნენ ხოლ-
მე ბრბოს. ასე მოხდა ჰან სქშეტუსკის სახლთანაცა. ზაქარმა
უბრძანა დარაჯთა, შეუწყალებლად სცემეთ ქუჩის მაწანწალა
ჩაწლსაო და ისინიც დიდის სიამოვნებით ასრულებდნენ ამ
ბრძანებას.

ბაზარში ბრბო გამძვინვარებულნი იყო. საღამო-ყამდებო-
და. წაუკიდეს ცეცხლი ბაზარს, ეკლესიას და მღვდლის სახლ-
სა. ბედად, ქარი მინდვრისაკენ უბერავდა და უშლიდა ცეცხლის
გაძლიერებას. მაინც ბაზარში ისე ნათელიოდა, თითქო დღეო.

შორიდან მოისმოდა ხშირი სროლა ზარბაზნებისა. ცხადი იყო, რომ ღრმა ხევთან ბრძოლა უფრო და უფრო ცხარდებოდა.

— ღილი სიციხე ადგიათ იქ ჩვენებს! — სთქვა მოხუცმა ზაქარმა. — გეტმანები არა ჰხუმრობენ. პან პოტოცკი გამოცდილი მხედარია, — ზაქარმა თითი ფანჯრისაკენ გაიშვირა. — ახლა ისინი ჯაერსა ყრილობენ, ხოლო თუ აჯობეს ბოლდანსა, იმის ჯაერსაც ამოიყრიან!

ამ ღროს მოისმა ცხენების თქარა-თქური და ბაზარში შემოვიდა რამდენიმე ცხენოსანი. პირისახე სულ გამურული ჰქონდათ თოფის-წამლის კვამლისაგან, ტანისამოსი კიდეც უწესოდ ეცვათ, ეტყობოდათ, რომ პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოსულიყვნენ.

— ხალხო! ვისაც ღმერთი გწამთ, თავს უშველეთ! ღიახებმა აჯობეს ჩვენებს! — მოისმა ხმა-მაღალი ძახილი.

ასტყდა საერთო არეულობა. ბრბო ჯერ შეტბორდა, ვით მოარევი შავის ზღვისა და მერე, როგორც ზვირთი, რომელსაც ქარმა დაჰქროლოს, გაექანა ერთის მხრისაკენ. მაგრამ ქუჩები ყველგან საესე იყო ხალხით, ხოლო ერთი ნაწილი ბაზრისა ცეცხლში იწვოდა, ისე რომ არსაით გაქცევა არ შეიძლებოდა...

დესპანმა გაიგო ეს ამბავი და კინალამ ჰკუაზედ შეიშალა სიხარულით.

— მე კი არ ვიცოდი, რომ ეგ აგრე იქნებოდა! — აღტაცებით ამბობდა პან სქშეტუსკი და დარბოდა ოთახში. — აქ გეტმანები არიან, მთლად რესპუბლიკა!... მაგრამ რა ამბავია?

ბაზარში კვლავ ატყდა ხმაურობა, დგანდგარი. გამოჩნდნენ რამდენიმე თათარნი; ისინიც, როგორც ცხადად სჩანდა, ბრძოლას გამოაჰქცეოდნენ და მორბოდნენ თავ-გადადგლეჯილნი. ბრბო წინ გადაელობა; ისინი ზედ აყენებდნენ ცხენებს და მიერეკებოდნენ ჩერკასის გზისაკენ.

— ისე მოჰქრიან, თითქო ქარიაო! — დაიძახა ზაქარმა.

ძლივს წარმოსთქვა ეს სიტყვები, რომ ახლა მეორე რაზმი, მოიქრა, იმას მიაჰყვა მესამე. იმ დარაჯუთაც, რომელნიც მი-

ჩენილნი ჰყვანდნენ ზოგიერთს სახლებს, გაქცევა უნდოდათ, ზაქარა კარში გამოვარდა.

— გაჩერდით! — დაუყვირა მან თავის მირგოროდელებს.

კვამლი, სიცხე, ცხენების თქარა-თქური, ხმა მოუსვენრობისა, ღრიანცელი ბრბოსი, რომელსაც ანათებდა ცეცხლ-წაკიდებულ სახლების ალი, — ყოველივე გადაიქცა ერთ საშინელ სურათად, რომლის მზერითაც შეეძლო დესპანს დამტკბარიყო თავის სახლის ფანჯრიდანა.

— რა ღვთის-რისხვა და ზარი უნდა იყოს ახლა იქა, რა ზარი! — იძახდა სიხარულით დესპანი და ვერა ჰხედავდა, რომ ზაქარა არ თანაუგრძნობდა მის სიხარულს.

ზარბაზნების გრიალი არ შეწყვეტილა ერთს წუთსაც.

უცბად ვიღამაც დაიძახა იქვე სახლთან განწირულის ხმით:

— თავს უშველეთ! ბოლდანი მოჰკლეს! ქშეჩოვსკი მოჰკლეს! ტული-ბეი მოჰკლეს!

ბაზარი საშინელს სურათს წარმოადგენდა, კაცს ეგონებოდა, ქვეყნის აღსასრულის დღე დადგაო.

ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მრავალნი თვითონვე სციოდნენ ცეცხლში. დესპანმა დაიჩოქა და ხედნი აღაპყრა მალა:

— ღმერთო, ყოვლის შემძლებელო! ღმერთო დიდო და მართალო! გმადლობ შენ!

მისი ლოცვა ზაქარას მოსვლამ შესწყვიტა.

— გამოდი კარში, — ჰყვიროდა ზაქარა ქაქანიითა. — და აღუთქვი პატივება მირგოროდელებს. მირბიან ისინიც, და თუ ისინი წავიდნენ, ხალხი შემოცვივა აქა.

სქშეტუსკი გამოვიდა აივანზედ. მირგოროდელნი შეჯგუფულიყვნენ ერთად და ჩერკასისაკენ აპირობდნენ გაქცევას. შიშმა შეიპყრო ყველანი ქალაქში. ახალ-ახალნი ძლეულნი რაზმნი უფრო და უფრო გახშირებით მორბოდნენ ქალაქში. მორბოდნენ გლეხნი, თათარნი, ქალაქელი ყაზახნი და იმიერ-ქორომელნი. ხოლო უმთავრესი მხედრობა ხმელნიცკისა, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ეწინააღმდეგებოდა მტერს. ბრძოლა არ გათა-

ვებულოყო, რადგან ზარბაზნები გაორკეცებულის ძალითა გრი-
ალებდნენ ისევ.

სქშეტუსკიმ მიმართა მირგოროდელებს.

— რაკი მე მდარაჯობდით, რალა საჭიროა გაქცევით და-
იფაროთ თავი,—სთქვა მან თავ-მოწონებით. —სიტყვას გაძ-
ლევთ, რომ გეტმანი გაპატივებთ ყოველსავე.

მირგოროდელებმა ყველამ ქედები მოიხადეს.

რა ცვალეზადობაა ბედისა! ჰან სქშეტუსკი, წედანდელი
ტყვე, ისე იღვა თავზედ ხელ-ადებულ ყაზახთა შორის, რო-
გორც ბატონი თავის ხელქვეითთა წინაშე.

— შეგვიწყალებ, ჰანე!

— როგორც გითხარით, ისე იქნება,—მტკიცედა სთქვა
დესპანმა. სახე სიხარულით უბრწყინაედა. „აგერ ომიც გათავ-
დება,—ჰფიქრობდა სქშეტუსკი.—ჰან ჩარნეცი მართალს ამ-
ბობდა: დიდი ძალა აქვს რესპუბლიკას, დიდია ქარი და ძლი-
ერება მისი!“

და გრძობამ თავ-მოწონებისამა და ამპარტანებისამ გაავ-
სო მისი გული, იმ უღირსმა გრძობამ კი არა, რომელსაც ეძ-
ლევა კაცი, როცა მოახლოვებულია ჟამი შურის-ძიებისა, არა,
ჰან სქშეტუსკის თავი მოსწონდა მით, რომ შეიღვი ვარ იმ
ძლიერის, ძლევა-მოსილის რესპუბლიკისა, რომელსაც შეუძლიან
ადვილად მოიგეროს ყოველ-გვარი მტერიო. თავი მოსწონდა
მით, რომ შლიახტიჩი ვარო, რომ იმედმა და სასოებამ არ მი-
მტყუნაო. შურის-ძიების ფიქრი გულშიაც კი არ გაუტარებია.

„დასაჯა, როგორც მეფემ, შეიწყალებს, როგორც დე-
დაო“,—ჰფიქრობდა იგი.

ზარბაზნები კი მაინც ჰქუხდა და ჰქუხდა შეუწყვეტილ-

აი კვლავ მოისმა თქარა-თქური ცხენოსნებისა ჩივირინის
დაცარიელებულს ქუჩებში. ბაზარში მოიქრა ყაზახი, რომელიც
უბელო ცხენზედ იჯდა, პერანგის ამარა იყო, თავზედ ქუდი
არ ეხურა და პირი-სეხე შეუაზედ ჰქონდა გაჩეხილი ხმლითა;
მოიქრა ჰენებით, შეაყენა ცხენი და დაიძახა მისუსტებულის
ხმით:

— ხმელნიცკიმ აჯობა ლიახებს! დაიძლიენენ ბრწყინვალე პანები, გეტმანები და პოლკოვნიკები, რაინდები და კავალერები.

ყაზახი დასუსტდა და ჩამოვარდა ცხენიდან. მირგოროდელები მისცვიდნენ საშველად.

პან სქშეტუსკი გაფიქრდა.

— რას ამბობს ეგ კაცი?—კანკალითა ჰკითხა მან ზაქარას.—რა მოხდა? ეგ შეუძლებელია! ვფიცავ ღმერთს, რომ ეგ შეუძლებელი საქმეა!

სიჩუმეა. მხოლოდ ცეცხლს გააქვს ქახა-ქუხი და ისერის აქეთ-იქით ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწყლებს; ათასში ერთხელ კიდევ დაიძახებს ამა თუ იმ სახლის ბანის დამწვარი ქერი და ჩამოაცივა ძირს.

აი ახალნი შიკრიკნიცა.

— იძლიენენ ლიახნი, იძლიენენ!

შიკრიკებს მოსდევნ თათართა რაზმნიცა. თათარნი მოდიან ნელ-ნელა, არხენად, იმიტომ რომ გარს არტყიან ქვეითა ჯარის-კაცთა, რომელნიც, ალბად, ტყვენი არიან.

პან სქშეტუსკის არა სჯერა, რასაცა ჰხედავს. ამჩნევს, რომ ზოგიერთს ტყვეს გეტმანების გუსართა ფერის ტანისამოსიაცვია, მაგრამ მაინც არა სჯერა-რა და აჟინებით იმეორებს რაღაც უცნაურის, არა საკუთარის ხმით:

— ეგ შეუძლებელია! ეგ შეუძლებელია!

ზარბაზნის სროლის ხმა ისმის მაინც კიდევ. ომი არ გათავებულა. აი მოდიან მრავლად იმიერ-ქორომელნი და თათარნი. პირი-სახენი გაკვამლულნი აქეთ, ქაქანებენ დაღლილობის მიზეზით, მაგრამ მაინც მოდიან მხიარულად, სიმღერით, ძლივე-მოსილებით. ასე ბრუნდებიან მხოლოდ გამარჯვებულნი ჯარის-კაცნი.

დესპანი უფრო და უფრო ფითრდებოდა.

ქშეჩოვსკის ჯარის-კაცი მოდიან და მოაქვთ მრავალი დროშა-ალამი. მოსულნი ჩერდებიან შუა-გულ ბაზარში და ჰყრიან ძირს დროშა-ალამებსა.

ოჰ, პოლონიის დროშა-აღმებია!

ზარბაზნებმა შესწყვიტეს თვისი გრიალი. ისმის ქრიალი ოთხ-თვლიან ურმებისა. წინ მოდის ერთი მალაღი ყაზახური ურემი; იმას მოსდევს მრავალი სხვა; ყველას გარშემო არტყიან ყვითელ-ქუდებიანი ყაზახნი პაშკოცის კურენისა; გვერდზედ გაუარეს იმ სახლს, საცა ტყვე სცხოვრობს. ჰან სქუმეტუსკიმ ხელეები თვალეზედ მიიფარა—თვალსა სჭრის ცეცხლის ბქყვრი-ალი—და დაუწყა დაშტერებით თვალიერება ამ ტყვეთა, რომელნიც პირველ ურემში სხედან.

— იესო, მარიამ! ეს ხომ გეტმანები არიან!

დესპანმა გონება დაჰკარგა და უგრძნობლად დაეცა ზაქარას ხელზედა.

რამდენსამე წუთს შემდეგ კორსუნის მიედანზედ გაჩნდა აუარებელი რაზმი, რომელსაც წინ მიუძღოდა სამი მხედარი. შუალა, წითელ-ტანისამოსიანი, ოქროს კვერთხით ხელში, იჯდა თეთრს ცხენზედ და თავ-მოწონებით, თითქო მეფეაო, ისე იხედებოდა გარშემო.

ის იყო ხმელნიცკი. ხმელნიცკის აქეთ-იქიდან იყვნენ ტუღაი-ბეი და ქშეჩოვსკი.

რესპუბლიკა ძირს იყო გართხმული ყაზახის ფეხ-ქვეშ, მტვრად ქცეული და სისხლით შესვრილი.

XVI

გავიდა რამდენიმე დღე. რესპუბლიკა იღუპებოდა თითქო ყვითელი წყლები, კორსუნი, განადგურება სახელმწიფო ჯარებისა, დატყვევება გეტმანთა, ცეცხლი ამბოხებისა, რომელიც მოედო მთელს უკრაინას, ძარცვა-რბევა, კაცის-კვლა, რის მსგავსიც ისტორიაში არა მომხდარა-რა—ყოველივე ესე ისე მოულოდნელად მოსდევდა ერთმანერთს, ისე სასწრაფოდ მოხდა, რომ არ გაგონილიყო, დაუჯერებელს ამბავსა ჰგვანდა. ბევრს არცა სჯეროდა, ბევრი გააშეშა შიშმა და ძრწოლამ, ბევრი კკუაზედ შეიშალა, ბევრი წინასწარმეტყველებდა, ანტიქრისტე

დაიბადა და მოახლოვდა დღე საშინელის განკითხვისაო. კავშირი, რომელიც აერთებს ადამიანთ ერთმანერთ-შორის, საზოგადო, საოჯახო, მოდუნდა. ხელმწიფება თვის ძალას არ იჩენდა, განსხვავება კაცთა შორის მოისპო, განჰქრა. ჯოჯოხეთმა აუშვა ყველა თვისი ჯაჭვით დაბმული ურჩხული—დაე თავისუფლად ინავარდონ ქვეყნადაო,—და ძარცვა-რბევამ, კაცის-კვლამ, ლალატმა და ფიცის-გატეხამ დაიჭირა ადგილი გარჯისა, სარწმუნოებისა, ბჭობისა. კაცს ეგონებოდა, რომ ამიერიდან კაცობრიობამ უნდა იცხოვროს არა კეთილითა, არამედ ბოროტითა, რომ გული და გონება ადამიანისა გარდაიქმნა და წმინდად ის მიაჩნია, რაც წინად სამარცხვინო რყო, ხოლო სამარცხვინოდ იმასა სახავს, რაც წინად წმინდად მიაჩნდაო. მზე აღარ დაჰნათებდა დედა-მიწას,—კვამლი ცეცხლ-მოდებულის ქვეყნისა გადაეფარა ზედა;—ხოლო ღამ-ღამით, ვარსკვლავთა და მთვარეს მაგიერ, სჩანდა სინათლე ცეცხლ-მოკიდებულ დაბასოფლებსა. ადამიანთ დაჰკარგეს ნიჭი მეტყველებისა და, ლაპარაკის მაგიერ, ჰკენესოდნენ, ან-და ჰღმუოდნენ, ვითა ქოთაქნისი ცოცხლემ დაჰკარგა ყოველივე თვისი ფასი. ათასობით იღუპებოდნენ კვალ წმინდად, გამოუტირებლივ, ცრემლ-დაუყრელად. ხოლო ყოველ ამ ვაგლახსა და უბედურებაში, სიკვდილსა, ოხვრა-კვნესასა და ცეცხლ-შორის სჩანდა მხოლოდ ერთი კაცი, რომელიც სულ მალლა-მალლა მიდიოდა, იზრდებოდა-საარაკო გმირივით, კინაღამ აბნელებდა დღისა, სინათლეს და ჩრდილსა ჰფენდა ზღვიდან ზღვამდე.

ის ერთი კაცი იყო ბოდან ხმელნიკცი.

ორასი ათასი კაცი, შეიარაღებულნი ფერხით თხემამდე, თავ-ბრუ დასხმულნი და დამტკბარნი ძლევა-მოსილებითა, მზად იყვნენ ცას შებრძოლებოდნენ, ოღონდ კი იმ კაცს ენიშნებინა. მდაბიოთა ბრბო ჰღელავდა ყველგან; ყაზახნი იმ კაცს უერთდებოდნენ ყოველ მხრიდან. მთლად ქვეყანა ამბოხების ცეცხლით იყო აღგზნებული. აჯანყება ვრცელდებოდა პოდოლისა, ბრაცსლავისა, ვოლინისა, კიევისა და ჩერნიგოვის სა-მოურავიებში. ძლიერება გეტმანისა მატულობდა დღითი-დღე-

არასოდეს რესპუბლიკას ყოველად ძლიერის მტრის წინააღმდეგაც არ გამოუყვანია იმის ნახევარი ლაშქარიც კი, რაოდენიც ეხლა ჰყავდა თოფ-ქვეშა. ასეთი მხედრობა არა ჰყოლია წემენცების კეისარსაც კი. გრიგალის ძლიერებამ ბევრად გადააჭარბა ყოველსავე მოლოდინსა. თვით გეტმანმა არ იცოდა პირველში, რაოდენად ძლიერი იყო, არ ესმოდა, რაოდენად მალლა-მალლა მიდიოდა. ჯერ კიდევ თავს იკატუნებდა და ფარად იმასა ჰხმარობდა, რომ ერთგული ვარ რესპუბლიკისა, კანონიერების აღსადგენად ვმოქმედობო, რადგან არ იცოდა, რა გვარის დაუსჯელობით შეეძლო ფეხ-ქვეშ ეთელია რესპუბლიკაცა და კანონიერებაცა. ესეც კია, რომ გაძლიერებისათა-ნავე, ძლიერდებოდა მისი უზომო, არ-გაგონილი თავ-მოყვარება. კეთილი და ბოროტი, ბიწიერება და სათნოება, ძალ-შომრეობა და სამართლიანობა ახლა ხმელნიცკისათვის აღარ არსებობდა: მისთვის სუფევდა ქვეყნად მხოლოდ პირადი სარგებლობა, კერძო შეურაცხ-ყოფა. ვინც ჩემთან არის—ის კარგია, ვინც ჩემი წინააღმდეგია, ის მოლაღატეა და ავაზაკიო. ხმელნიცკი მზად იყო მზე დაეტუქსნა და დიდ შეურაცხ-ყოფად მიეღო, ჟუკეთუ დაიწყებდა ქვეყნის განათებას იმ დროს, როცა ეს გეტმანს არ ეპრიანებოდა. ეს იყო ის სათავე, საიდანაც მომდინარეობდა ყოველი მოქმედება ხმელნიცკისა—ავიცა და კარგიცა. თუ ზომა არა ჰქონდა მის მტარვალობასა და შეუბრალებლობას მტერთა წინაშე, სამაგიეროდ, უზომოდ მადლობელი იყო ყოველს, თუნდა სულ უმნიშვნელო, დავალებისათვის. როცა დაითვრებოდა, მხოლოდ მაშინ ივიწყებდა ყოველსავე და, გრგვინავდა-რა გამძვინვარებით, ათრთოლებულის ხმით იძლეოდა ბარბაროსულს ბრძანებას ბრძანებაზედ და მერე კი ისევ თვითონვე ჰნანობდა. ხოლო უგონოდ თვრებოდა უფრო ხშირ-ხშირად, იმის და კვალად, რაც უფრო ეწეოდა ბედი. რაღაც უცნაური მოუსვენრობა აწუხებდა. თითქო იმ სიმაღლეზედ აუყვანიათ, რომელზედაც დგომისათვის თვითონვე თავი არ ელირსებაო. ძლიერება მისი აკვირვებდა ყველას და უპირველეს ყოველისა თვითონ იმასაც. აჯანყების ბუმბერაზმა მკლავებმა,

რაკი ერთხელ ჩაიხვიეს, გააქანეს ელვასავით სწრაფად, უკან მოუხედებლად, საბედისწერო აუცილებლობით, გარნა საით? რითი უნდა გათავებულიყო ყოველივე ეს? როცა ააფრიალადროშა აჯანყებისა იმის გამო, როგორ გამიბედეს და მაწყენინესო, შესაძლოა ეს ყაზახთა დიპლომატი ასე ჰფიქრობდა, რომ ბედის პირველ გაღიმების შემდეგვე ანუ პირველ დამარცხების შემდეგვე, ვეცდები მოვუტირებდე მთავრობას და ისიც შემიწყალებს, იქნება კიდევაც დამაჯილდოვოსო. ხმელნიცკიმ კარგად იცოდა ამბავი რესპუბლიკისა, მისი უნარი მოთმინებისა, მისი მოწყალება, უზომო და სამზღვარ-დაუღებელი, რომელიც არ იყო შედეგი მისის უძლურებისა. ნალივაიკას, რომელსაც უკვე გარშემო რესპუბლიკის ჯარები ერტყა, უკვე სამუდამოდ დაღუპულს, მაინც კიდევ შეწყალება აღუთქვეს. გარნა ახლა, ყვითელ წყლებზედ გამარჯვების შემდეგ, შემდეგ გეტმანთა ჯარის ამოწყვეტისა, შემდეგ ძმა-ძმის მკვლელის ომის ატეხისა სამხრეთის ყველა სამოურავოში, საქმე ძლიერ შორს წავიდა, შედეგმა ძლიერ გადააქარბა მოლოდინს; აწ ბრძოლა უნდა მომხდარიყო მედგარი, შეუბრალებელი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ან სიკვდილი ან სიცოცხლე. ვის დაჩქება მკრე გამარჯვებო?

ხმელნიცკი აკითხვინებდა მკითხავეებსა, ასტროლოგებსა და თვითონაც ცდილობდა განეჭვრიტა მერმისი, გარნა მერმისი იგი ისევე ბნელი იყო, როგორც სამარე. ხან და ხან საშინელის მოუხსენრობისაგან თმა ყალბზედ დაუდგებოდა ხოლმე, ხოლო გულში გამძვინვარებული განწირულება დაუწყებდაღუღილსა. რა იქნება ნეტავ ბოლოს, რა მომელისო? ხმელნიცკიმ ყველაზედ კარგად იცოდა, რომ რესპუბლიკას არ ეხერხება მოხმარება თვისის ძალ-ღონისა, არც კი იცის, რა ძალ-ღონეცა აქვს, არ იცის, რა საშინელის ძლიერებით არის შემოსილიო. რომ ვინმე ჩაიგდოს ხელში ეს ძლიერება, ვინ-ღა აღუდგება იმას წინ? ვინ იცის, რომ მოახლოვება უბედურებისა არ გააერთიანებს კვლავ დაქსაქსულ და დას-დასად დაყოფილს თყვად-აზნაურობას? მაშინ რესპუბლიკა შეიძლებს ნახევარ-მი-

ლიონი, სულ რჩეული ჯარი გამოიყენოს საომრად, სულ ამამტვეროს, თუნდა ყირიმის ყენი კი არა, თვით ხონთქარიც ჩემი მომხრე და მშველელი იყოსო.

ამ მიძინებულ ძალ-ღონის ამბავი, ხმელნიცკის გარდა, კარგად იცოდა განსვენებულმა მეფე ვლადისლავლამაცა და ამიტომ იღვწოდა მთელს თვისს სიცოცხლეში, რომ მომზადებულიყო და თავ-განწირვით შეჰბოდა ყოვლად ძლიერს მტერს, რათა გაეღვიძებინა ის მიზინარებული ძალ-ღონე. რაკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რა ძალის პატრონიც იყო რესპუბლიკა, ამიტომ არ ეშინოდა, თუ ნაპერწყალი გაღუვარდებოდა ყაზახთა თოფის წამალში.

ხმელნიცკიმ იცოდა აგრედვე, რა ძალა ჰქონდა წინააღმდეგობისა იმავე რესპუბლიკას. რამდენჯერ დაეჯახა ამ რესპუბლიკას, უწყეს-ურთგოს, მტკიცედ შეუერთებელს, შინაურცს შფოთით გაწამებულს, მრისხანე ზვირთი ოსმალოს ჯარებისა, მაგრამ ვერ გასტეხა მისი კლდესავით მაგარი გული. ასე იყო ხოტინს ახლო, რაიცა თითქმის თვისის თვალითა ჰქონდა ნახული ხმელნიცკის. და მაინც, ეს რესპუბლიკა, ესაა უძლიურებისასაც კი, აღმართავდა ხოლმე თვისსა დროშას სხვათა, სამეუფო ქალაქთა ზღუდეებზედა. ხოლო რა წინააღმდეგობის ძალას გამოიჩინს ახლა? რას არ შესძლებს, თუ განწირულებაში ჩაეარდა, თუ იძულებულ იქმნა ან გაიმარჯვოს ან მოჰკვდესო?

თუ ასეა, მაშ თვითეული ჩემი გამარჯვება მოახლოვება ჩემისავე დაღუპვისა, მოსწრაფებაა იმ წუთისა, როცა გაიღვიძებს მთვლეწავი ლომი, მოსპობაა შერიგების ყოველისავე იმედისაო. გამარჯვების ფიალას ძირში სიმწარეა ჩამალული. ყაზახთა გრიგალს მოჰყვება გრიგალი რესპუბლიკისა. ხმელნიცკის თითქო ელანდებოდა კიდევ, აგერ საცაა ამოვარდება ქარტახილიო. აგერ მოზღვაუდება დიდის პოლონიიდან, პრუსიიდან, მაზოვიიდან, მცირე პოლონიიდან ჯარი სპათა! მხოლოდ სპასპეტი და ამირ-სპასალარი-ღა აკლიათო.

ხმელნიცკიმ ტყვედ შეიპყრო გეტმანები, მაგრამ აქაც რაღაც ბედის-დაცინვამ იჩინა თავი. გეტმანები გამოცდილნი მხე-

დარნი იყენენ, ხოლო არც ერთი არ იყო მათ შორის ისეთი, როგორსაც მოითხოვდა ეს ქამი ქუხილისა, ძრწოლისა, სიკვდილისა.

ასეთ სპასპეტად მხოლოდ ერთს კაცს შეეძლო ყოფნა:

იმისი სახელი იყო იერემია ვისნევეცკი.

და თუნდ მარტო იმიტომ, რომ გეტმანები დატყვევებულ იქმნენ, არჩევანს ხელი ამ თავადისათვის უნდა დაედო. ხმელნიცკის, როგორც დანარჩენთაც, ექვი არა ჰქონდათ, რომ ეს ასე იქმნებოდა.

ამასობაში კორსუნს, საცა გეტმანი იმიერ-ქორომეთისა დასასვენებლად იღგა, ხმა მოდიოდა იმიერ დნებრის მხრიდან, რომ მრისხანე თავადი უკვე გამოემართა ლუბნიდან, გზა-გზა უწყალოდ ჰთრგუნავს ამბოხებას, საცა ის გაივლის, ქვა-ქვაზე აღარ რჩება დაბა-სოფლებისა და მათ მაგიერ ამართულია მარტილნი და სახრჩობელანიო. შიში ერთი ორად აზვიადებდა იმის მხედრობის რიცხვსა. ამბობდნენ, რომ თხუთმეტი-ათასი ჯარი მოჰყავს და თავადის მხედრობისთანა ხომ მხედრობა არ არის მთელს რესპუბლიკაშიო.

ყაზახთა ბანაკი ყოველს წუთს ელოდა იმის მოსვლას. ღრმა ხევთან ბრძოლის გათავებისათნავე გაისმა ძახილი ყაზახთა შორის: „ერიომა მოდისო!“ და ამ ძახილმა შიშითა და ძრწოლით აავსო გული მდაბიო ხალხისა. ყოველივე ესე იყო მიზეზი, რომ ხმელნიცკი ღრმად ჩაუფიქრდებოდა ხოლმე თავის ყოფასა და ბედს. ახლა ორში ერთი უნდა აერჩია: ან უნდა გალაშქრებულიყო მთელის თვისის მხედრობით თავადის წინააღმდეგ და ეძებნა იგი დნებრ-გალმა-მხარეში, ან არა და შეჭრილიყო შიგ რესპუბლიკის შუა-გულ ქვეყნებში.

თავს დასხმოდა თავადს, საშიში იყო. შეჰპმოდა კიდევ პირდაპირ იმისთანა მხედართ-მთავარს, თუმცა ბევრად იმაზედ მეტი ჯარი ჰყავდა, ვაი თუ დამარცხებულიყო და მაშინ ხომ დავილუპე და დაენეღდიო. იმ ბრბომ, რომელიც იყო უმეტესინაწილი ხმელნიცკის ჯარისა, ცხადად დაანახვა, რა საშიში იყო იმ ბრბოსთვის მარტო სახელი ერემიასი. რამდენი დროა ჯერ

კიდევ საჭიროა, რომ ეს ბრბო დარაზმულ და გაწვრთნილ ჯარად გადაიქცესო.

მეორეს მხრით, შესაძლოა, რომ თავადი პირის-პირ არ შეპბრძოლებოდა ხმელნიცკის და დაჰჯერებოდა ციხე-დარბაზთა დაცვას და თარეშობას. ასეთი ომი დიდ ხანს გასტანდა, თუ რამდენიმე წელიწადი არა, რამდენიმე თვე მაინც გავიდოდა, ხოლო ამასობაში რესპუბლიკა შეაგროვებდა დიდს ჯარს და მიეშველებოდა თავადს.

ხმელნიცკიმ გადასწყვიტა, მივანებებ თავს ვისნევეცკის დნებრ-გალმა-მხარეში, ხოლო მე გავმაგრდები უკრანას, დერაზმავე და გავსწორთნი ჩემს ჯარს, გავემართები რესპუბლიკის წინააღმდეგ და ვაიძულებ მშვიდობის ჩამოგდებასაო. ხმელნიცკის იმისი იმედი ჰქონდა, რომ თავადს ძალიან გაუჭირდება დათრგუნვა აჯანყებისა იმიერ დნებრის მხარეშიო.

ან შესაძლოა მორიგება დავუწყო თავადს და გავაჭიანურო ეს საქმე იმ დრომდე, ვიდრე მისი ძალ-ღონე სრულიად არ გამოილევაო. აქ ხმელნიცკის მოაგონდა სქშეტუსკი და ბრძანა, მომიყვანეთ ის კაციო.

ეს ამბავი მოხდა იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ღრმა ხევთან იყო. ხმელნიცკიმ მიიღო ტყვე მხოლოდ ქშეგოვსკის თანადასწრებით, — ქშეგოვსკი დიდის ხნის ნაცნობი იყო სქშეტუსკისა; მიიღო ტკბილად, თუმცა-კი ეტყობოდა ის მედიდურებაც, რომელიც იმის დღევანდელს როლს შეეფერებოდა.

— ჰან პარუჩიკო სქშეტუსკი! — უთხრა დესპანსა, — იმ სიკეთისათვის, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ, დაგიხსენით ტულაიბეის ტყვეობიდან და თავისუფლება აღგიტკვით. ახლა დროა, ჩემი აღთქმა შეევსრულო. მოგცემთ ზეჩნაჩს*) თავისუფლად მგზავრობისათვის და დარაჯთა რაზმს, რომელიც დაგიფარავთ ბრბოს რავ-დასხმისაგან. შევიძლიაფნთ დაბრუნდეთ თქვენს თავადთან.

სქშეტუსკი სდუმდა: იოტის ოდენი სხივიც კი სიხარულითა არ გადაეფარა მის სახეს.

*) კვერთხი უახანთა პოლკოვნიკებისა, რომელიც უზრუნველყოფის სიგელის და ფირმანის მაგიერობას სწევდა.

— შეგიძლიანთ თუ არა გაუდგეთ გზას? თვალგზედ გატყობთ, რომ ავადა ხართ.

მართლაც, პან სქშეტუსკი საშინლად გამოიცვალა. წყლულებმა და უკანასკნელმა ამბებმა ნიათი გამოუღია ახალგაზდა მდევსა. პირი-სახე გაჰყვითლებოდა, ხოლო შავი, დიდის ხნის გაუკრეპელი წვერი, უფრო მეტად სდებდა სიბერის იერსა. ბევრი ვაი-ვაგლანი გამოიარა ამ ბოლოს დროს. მოსდევდა ყაზახთა ლაშქარს და მოწამე იყო ყოველისავე, რაც მოჰხდა სენსა. ჰნახა შერცხვენა რესპუბლიკისა, ჰნახა დატყვევება გეტმანთა; ჰნახა ძლევა-მოსილება ყაზახთა; ყორენი, აგებულნი ამოჟღეტილ მხედართა თავებისაგან, შლიახტიჩები, ნეკნებით ჩამოკიდულნი ხეებზედ, ძუძუ-დაქრიონი დედაკაცი, ძალ-დატანებით გაშბილებულნი გასათხოვარნი ქალნი, ჰნახა ყოველივე, იტანჯებოდა ყოველ ამისათვის და იტანჯებოდა მით უფრო მეტად, რომ აჩემებითა ჰვიქრობდა: იქნება თვით მე ვარ მიზეზი ამ უბედურებისა, რადგან მე, და მხოლოდ მე გადავარჩინე სიკვდილს ხმელნიცკიო! მაგრამ რაინდმა-ქრისტეანემ რა იცოდა, რომ შემწეობა მოყვასისა ასეთს ნაყოფს გამოიღებდა! ისეთს მწვავე ტკივილსა ჰგრძნობდა ყოველ ამის გამო, რომ სულ გული უკვენსოდა, მთლად ჯანი სტკიოდა.

ახლა ისიც კი აღარ ახარებდა, რომ მალე სრულიად თავისუფალი იქნებოდა, ხოლო მედიდურება ახალ-გამომცხვარ გეტმანისა აინუნშიაც არ მოსდიოდა. ხმელნიცკიმ შეჰნიშნა ესა და კოპები შეიკრა.

— ისწრაფეთ და თქვენდა სასარგებლოდ გამოიყენეთ ჩემი სულ-გრძელება, ვიდრე ჯერ კიდევ არ გადამიტქვამს, რაც ვგრძნავ. მხოლოდ ჩემი გულ-კეთილობა და ის ფიქრი, რომ წმინდა საქმეს ვადგივარ, არის მიზეზი ასეთის ჩემის გაუფრთხილებლობისა, თორემ ვინ განუტევებს მტერს. ძალიან კარკად ვიცი, რომ შემდეგ ჩემს წინააღმდეგვე დაიწყებთ ბრძოლას.

— დიადაც, თუ ღმერთმა ხელი მომიმართა და ღონე მომცა, — სთქვა პასუხად პან სქშეტუსკიმ.

სთქვა ესა და ისე გაუყარა თვალი თვალში გეტმანსა, რომ ხმელნიცკიმ ძირს დაიწყო ცქერა და სდუმდა პატარა ხანსა.

— კარგი, აგრე იყოს. იმდენად ძლიერი ვარ, რომ ერთი მეტი კაცი მტრის ჯარისა ვერას დამაკლებს. უამბეთ თავადს, თქვენს ბატონს, რაც აქ ჰნახეთ და გააფრთხილეთ, რომ აბუჩად არ დამიჭიროს, თორემ, თუ მოთმინების ძაფი გამიწყდა, იქ ვინახულეზ, დნებრს გაღმა და არ ვიცი, რამდენად სასიამოვნო იქმნება მისთვის ჩემი სტუმრობა.

სქმეტუსკი სდუმდა.

— მითქვამს და ერთხელ კიდევ ვიმეორებ, — განაგრძო ხმელნიცკიმ, — რომ რესპუბლიკას კი არ ვეომები, არამედ პანებსა. ხოლო თქვენი თავადი მოთავეა იმათი. ის არის მტერი ჩემი და რუსეთის ერისა, განკვეთილი ჩვენის ეკლესიისაგან და მტარვალი. ამბობენ, რომ სისხლით აქრობს ამბოხების ცეცხლსაო; ფრთხილად იყოს, რომ თავისი სისხლი არ დააქციოს.

ხმელნიცკი უფრო და უფრო ცხარდებოდა. სახე აუჭარხლდა, თვალები ცეცხლივით გაუხდა. ეტყობოდა, რომ მოსდიოდა კვეთება განრისხებისა, როცა სრულიად ჰკარგავდა ნიქს მსჯელობისასა.

— ვუბრძანებ კრივონოსსა, რომ ყელზედ საბელ-მოზმული მომიყვანოს აქა! — ჰყვიროდა ხმელნიცკი. — ფეხ-ქვეშ გავთელავ, უზანგოდ გარდავაქცევ და ისე დავიწყებ ცხენზედ შეგდომასა!

სქმეტუსკიმ ჯერ შეჰხედა გაწიწმატებულს ხმელნიცკის და მერე სთქვა გულ-დამშვიდებითა:

— ჯერ სძლიეთ და...

— ბრწყინვალეო გეტმანო, — ჩაერია ლაპარაკში ქმეჩოვსკი, — დაე წავიდეს ეს ტრაბახა და ფაფხურა შლიახტიჩი, იმიტომ რომ თქვენის ღირსებისათვის შეუსაბამო საქმეა ასე უყადრებდეთ ამას თავსა. რაღაი აღგითქვამთ თავისუფლება, ესეც ელის, რომ არ გასტეხავთ თქვენს სიტყვას, ან არა და იძულებულნი იქმნებით ყური უგდოთ ამის კადნიერ ლაპარაკს.

ხმელნიკი გონს მოვიდა, ამოიოხრა რამდენჯერმე და სთქვა:

— დაე წავიდეს და ახსოვდეს, რომ ხმელნიკი სიკეთისათვის სიკეთეს უწევს ყველას. მივცე, როგორც ვსთქვი, პერნახსა და ორმოცს კაცს თათარსა... ხოლო თქვენ, პან პარუჩიკო, იცოდეთ, რომ ქვითნი ვართ. შემიყვარდით ძალიან, თუმცა მეტად ჰკადნიერობთ... თუ კიდევ ჩამივარდით ხელში, აგრე აღვილად ვეღარ წაბძანდებით.

სქშეტუსკი და ქშეჩოვსკი ერთად გამოვიდნენ გარედ.

— რაკი გაგანთავისუფლათ გეტმანმა, — უთხრა ქშეჩოვსკიმ, — გირჩევთ, ძველის ნაცნობობით, ვარშავისაკენ წახვიდეთ, და არა იმიერ დნებრის მხარეს, საცა დაილუპებით აუცილებლად. თქვენის ბატონობის დრო წავიდა. თქვენი გონება რომ დაბრმავებული არ იყოს, ჩვენ შეგვიერთდებოდით... მაგრამ, ვიცი, რომ არა გამოვა-რა და ამიტომ არა ჰღირს თქვენთან ლაპარაკი ისევე ამაღლდებოდით, ისევე მაღლა ახვიდოდით, როგორც ჩვენ ავდივართ.

„სახრჩობელაზედ აღიხართ“, — სთქვა გულში სქშეტუსკიმ:

— ლიტინის უფროსობაც არ მომცეს და ახლა კი, რომ მოვინდომო, თუნდ ათს უფროსობას ვიშოვი. ყველა ამ თქვენ ბატონებს, ამ კონცეპოლსკებს, პოტოცკებს, ლიუბომირსკებს, ვისნევეცკ-ზასლავსკებს და მთლად აზნაურშვილობას გავრეკავთ აქედან და ჩვენ დაევატრონებით იმათ ავლა-დიდებას.

სქშეტუსკის აზრი შორს, ძლიერ შორს ჰქროდა ამ დროს. პოლკოვნიკის როშვას სრულიად ყურს არ უგდებდა.

— როცა ჩვენის გამარჯვების შემდეგ ვინახულე მისი ბრწყინვალეობა პან გეტმანი რესპუბლიკისა, იუდა და საზიზლარი დამიძახა. მე ვუთხარი პასუხად: „პან მოუტრავო-მეთქი! მახსოვს თქვენი სიკეთე და ამიტომ, როცა თქვენს ციხე-დარბაზებში გამოვიჰიმები, — აღმითქვით მხოლოდ, რომ არ ილოთებთ, — და ჩემს თანაშემწედ დაგნიშნავთ მეთქი! „ღიად! ტუ-ლაი-ბეი უფროხილდება თავის დავლას, თორემ მე და ხმელნიკი სხვაფრივ დაუფუცებდით იმათ ლაპარაკსა... აგერა თქვენი

ურემიცა და თათრებიცა, სულ მზად არის ყოველივე. საითა გსურთ წახვიდეთ?

— ჩიგირინისაკენ.

— როგორც გინდოდეთ. თათრები თუნდა თვით ლუბნამდე მიგიყვანენ,— ასე აქვთ ნაბრძანები. ეცადე მხოლოდ, რომ თქვენმა თავადმა მარგილზედ არ ჩამოაცვას. ყაზახებს უთუოდ ჩამოაცვამდა და ამიტომ ურდოს ხალხს გატანენ თან. გეტმანმა ბრძანა თქვენი, რომ ჩემი ცხენი მიეცითო. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ; ავად ნუ მოგვიხსენიებთ, თქვენს თავადს სალამი მოახსენეთ, ხოლო თუ თავისუფალს დროს იპოვნით, დააჯერეთ, რომ მოვიდეს და თავი დაუკრას ხმელნიცკის. იქნება შეიწყალოს კიდევცა. შვიდობით იყავით!

სქშეტუსკი ჩაჯდა ურემში და გაუღდა გზას. ბაზარში გავლა საკმაოდ ძნელი იყო. სულ ყაზახებითა და მდაბიო ხალხის ბრბოთი იყო ავსებული. ზოგნი მხიარულად ლაპარაკობდნენ ერთმანეთში, ზოგნი ქაშსა ჰხარშავდნენ და ამბობდნენ სიმღერებს ყვითელ წყლებისა და კორსუნის გამარჯვებისას. უსინათლო მეფანტურეთ უკვე გამოეთქვათ ლექსები და მოგონათ შესაფერი სასიმღერო კილო ამ შემთხვევისათვის. აქა-იქ, დანთებულ ცეცხლებ შორის, ეყარნენ გვამნი ტანჯვითა და წამებით დახოცილ დედა-კაცთა, ან ეხროვა ყორე დახოცილ ჯარის-კაცთა მოკვეთილ თავებისა. გვამნი უკვე ასუნებულ იყო, მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ აწუხებდა მეიდანზე შეკრებილ ხალხს. ქალაქს ცხადად ეტყობოდა ნიშნები მოოხრებისა და იმიერ-ქორომელთ გამხეცებულის ონავრობისა: სახლების ფანჯრები ჩალეწილი იყო, კედლები დაქცეული, ღობე-მარგილები შემკული ჩამორჩობილთა მიერ, რომელთა შორისაც უმეტესი ნაწილი ურიანი იყვნენ. ბრბო მხეცურის ყინით აუპატიურებდა უკვე გაცივებულ გვამებსა.

ბაზრის ერთ მხარეზედ ჯერ კიდევ ჰბოლავდა ნანგრევები და ავსებდა ჰაერს სულის შემხუთავის მწარე კვამლითა, მერე იდგა კაშვევის სახლი, ხოლო მის ახლო იყვნენ თავ-მოყრილნი ბრბონი ტყვეთა, გარშემორტყმულნი თათარ-დარაჯთავან.

ვინც ჩიგირინისა, ჩერკასისა და კორსუნის ახლო-მახლო ვერ გადარჩა, ის ან მახვილის მსხვერპლი შეიქმნა, ან ტყვედ იყო დაქერილი. ტყვეთა-შორის იყვნენ ჯარის-კაცნიცა, უკანასკნელს ომში შეპყრობილნი, და გარშემო სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ მიემხრნენ მემამოხეთა, აზნაურ-შვილობა და გლეხ-კაცი ორისავე სქესისანი. მოხუცი არ ერიდნენ ტყვეებში; იმათი გაყიდვა ზარფა არ იყო და ამიტომ თათრები უწყალოდ ჰხოცავდნენ ხანში შესულებს. თათრებით აივსო რუსთა სოფელნი და ხმელნიცკი ხმის გაცემას ვერ უზღედავდა იმათ. ზოგან ისე მოხდა, რომ მამა-კაცობა ყაზახთა ბანაკში იყო წასული, ხოლო თათრებმა ამისთანა საქციელის ჯილდოდ ცეცხლი წაუტიდეს იმათ სახლებს და დაატყვევეს მათნი ცოლ-შვილნი. მაგრამ ამ საყოველთაო არევ-დარევის დროს, ამას არავინ-და აქცევდა ყურადღებას. მდაბიო ხალხის ბრბო, რომელმაც მახვილს წაავლო ხელი, უარ-ჰყოფდა სამშობლო სოფელს, სახლ-კარს, ცოლ-შვილს. იმათ სტაცებდნენ ცოლებს, მაგრამ სამაგიეროდ ისინი იტაცებდნენ და უფრო უკეთესობასაც იტაცებდნენ, იტაცებდნენ პოლონის ქალებს, ძღებოდნენ იმათის შვენებითა და მერე ან ჰხოცავდნენ, ან ჰყიდდნენ ურდოს თათრებს. ტყვეთა შორის ცოტანი არ იყვნენ უკრაინელნი ყმაწვილნი ქალნიცა, რომელნიც ერთის თოკით იყვნენ გადაბმულნი აზნაურ-შვილთა გასათხოვარ ქალებთან ერთად. ყველგან ისმოდა ყრუ კენესა და გმინვა ტყვეთა, რომელთაც შეუბრალებლად ჰხოცავდნენ ტანჯვითა და წამებითა სულ მცირედის წინააღმდეგობისათვის. ტყლა-შუნი შოლტისა და მათრახებისა შეერთებოდა ტკივილისგან გამოწვეულს ყვირილს, დედაკაცთა ქვითინსა, ყმაწვილების ტირილს და ცხენთა ჭიხვისსა. ტყვენი ჯერ განაწილებულნი არ იყვნენ, წასაყვანად მომზადებულნი და ამიტომ ერთად აელინთათა ყველანი. ურმები, ცხენები, სხვილ-ფეხი საქონელი, მამაკაცი და დედაკაცი მხოლოდ გაყოფა-განაწილებას ელოდნენ. ამასობაში მოდიოდა და მოდიოდა კიდევ ახალ-ახალი ქარავანი ტყვეთა და საქონლისა; როსის მდინარეში გაჰქონდათ და

გამოჰქონდათ მძიმე ბორნები. კაშვეგოის სახლიდან გამოდიოდნენ თათარნი და სტკებოდნენ ამ ნაალაფევის რაოდენობითა. ძალზედ მთვრალეები, უცნაურ ტანისამოსით მორთულნი, რუსთა მღვდლების ანაფორებ-ჩაცმულნი, ქალების კაბებითა და სამკაულით აჭრელებულნი იყვნენ და უკვე ჩხუბი მოსდიოდათ, არა ჩემია ესა თუ ის ნადავლი, არა ჩემიო.

პან სქშეტუსკი გასცდა, ბოლოს, როგორც იყო, ამ ცუცხლსა და ჯოჯოხეთსა. ეგონა, რომ ამას იქით პატარა თავისუფლად ამოვისუნთქავო, მაგრამ ახალმა საშინელმა სანახაობამ ატკინა ახლა თვალები. მინდორში, ჩერკასის გზაზედ, ახალგაზდა მხედარნი მიზანში ისრის სროლით ერთობოდნენ და ჰხოცავდნენ დასუსტებულ, ან ავადმყოფ ტყვეებსა, ერთის სიტყვით, ყველა იმათ, ვინც ვერ აიტანდა ყირიმში მგზავრობის სიძნელესა. უკვე რამდენიმე მოკლული ეყარა გზაზედ. ვინც მიზნადა ჰყვანდათ, ხელებით ეკიდნენ გზის აქეთ-იქით არიგჩარიგებულ ხეებზედ და გაჰქონდათ კონწიალი. მათ შორი ერივნენ ღრმად მოხუცნი დედა-ბერნიცა. ყოველ ისრის კარგად გატყორცნასა და მიზანში მორტყმას მოსდევდა ხარხარი და ტაშის კვრა ნიშნად ქებისა:

— იახში იეგით—ყოჩად მხედარო!

— უქ იახში კოლ!—ისარი კარგს ხელს უქირავს!

პაპანაქება სიცხე იყო, მზე საშინლად იკბინებოდა. მხოლოდ ერთს საათს შემდეგ გაიმინდვრა პან სქშეტუსკიმ თავის მხლებლებითურთ. ყველგან გზა-გზა სჩანდა ნიშნები მაოხრებელთა გავლისა: მინგრეულ-მონგრეული სახლები მოსახლეთა; გაძოვილი ყანები, გადაჩეხილი ბაღები ხეხილისა. გზა-გზავე ეყარა გვაშნი ადამიანთა და მძოვრი ცხენებისა, ხოლო ზედ ტყრცილით ეხვეოდა გუნდი ყვავთა და ყორანთა. სისხლით-შესვრილი საქმე ხმელნიცკისა ყოველგან თვალში ეჩხირებოდა კაცს და ძნელი გასაგები იყო, რა სწადდა ამ კაცს, როცა უპირველეს ყოვლისა მისი მშობელი ქვეყანა ჰკენესოდა ასეთ აუტანელ უბედურების ტვირთ ქვეშე.

მღევევი პან სქშეტუსკის კიდევ შეხვდნენ ახალნი რაზმნი თათართა ტყვეებითურთ. დაბა ესე სულ განადგურებული იყო, გადარჩენილიყო მხოლოდ მაღალი სამრეკლო და მუხა, რომელსაც საშინელი ნაყოფი მოესხა: მისი ტოტები დახუნზული იყო ურიების ყმაწვილებითა. ეს პატარა ურიები სამის დღის წინად ჩამოეხრჩოთ. აზნაურშვილობა კონოპლიანკისა, სტაროსელისა და სხვა დაბა-ქალაქისა სულ ერთიან ამოეყლიტათ. ერთი ქალაქი სულ ცარიელი იყო: მამა-კაცნი ხმელნიცკისთან გაქცეულიყვნენ, ხოლო დედა-კაცნი, ყმაწვილები და მოხუცებულნი ტყეში გახიზნულიყვნენ და თავად ერემიას ელოდნენ.

მესამე დღეს პან სქშეტუსკი მივიდა ჩიგირინს და უნდოდა გავეო რამ ამბავი, მაგრამ არავინ არა იცოდა-რა სრულიად. დესპანი გავიდა დნებრში, რათა დაუყოვნებლივ წასულიყო რაზლოგისაკენ. რაკი დარწმუნებული იყო, რომ მალე გავიგებ, რა ამბავია ელენეს თავსაო, გამხნევდა და ჯან-ლონე მოემატა. ურემს თავი დაანება, შეჯდა ცხენზედ და გაექანა ნიაფქარივით; თან აქეთ-იქით იცქირებოდა, იქნება დაეინახო ვინმეო. მაგრამ გარშემო ჭაჭანებად არავინ არ იყო.

მხოლოდ ერთგან თათრებმა შეიპყრეს ორი სრულიად დედი-შობილა კაცი და მოუყვანეს პან სქშეტუსკის.

— სადაურები ხართ?—ჰკითხა პან სქშეტუსკიმ.

— არც სადაურები, ბატონო!—უპასუხა მოხუცმა. — დავდივართ სოფელ-სოფელ, მე ფანტურით და ეს—მუნჯია, მე ღავყავარ.

— საიდან მოდიხართ ეხლა, რომელ სოფლიდან? თქვი გაბედვით; არავინ რას დაგაკლებს.

— ჩვენა, ბატონო, ყველა სოფელში დავდიოდით, ვიღრე ერთმა წყეულ-შეჩვენებულმა კაცმა არ გავგძარცვა. წაღები გვქონდა კარგი—წაგვართვა, ქულები—წაგვართვა, ფანტურიც კი არ დავციტოვა.

— შე სულელო, მე იმას გეკითხები, რომელ სოფლიდან მოდიხარ-მეთქი?

— არ ვიცი, ჰანე, მათხოვარა ვარ. შიშველ-ტიტველნი ვართ, ღამე ვთაოქანებთ სიცივით, ღღისით ვეძებთ მოწყალე ხალხს და შევსთხოვთ შეგვემოსონ და გაგვიკითხონ.

ცხადი იყო, რომ მოხუცმა ვერ გაიგო, რა კაცს ელაპარაკებოდა და უნდოდა თვალები აეხა დესპანისათვის. ბანზედ აგდებდა სიტყვასა.

— რაზლოგში იყავი, იქ, საცა თავადნი კურტევიჩნი სცხოვრობენ?

— რა მოგახსენოთ.

— ჩამოახრჩეთ ეს კაცი, რახან არაფრის თქმა არ უნდა! — ბრძანა ჰან სქშეტუსკიმ.

— ვიყავი, ვიყავი, ჰანე! — შეჭლრიალა მოხუცმა, რაკი მიხვდა, რომ მე აქ ვერას გავყიდიო.

— რა ჰნახე მერე იქ?

— ამ ხუთის ღღის წინად ვიყავი იქ! ხოლო შემდეგ ბროვარკებში გავიგონეთ, რომ იქ რაინდნი მოვიდნენო.

— ვინ რაინდნი?

— რა მოგახსენოთ, ჰანე! ზოგნი ამბობენ — პოლონელიო, ზოგნი კიდევ — ყაზახნიო.

— გაუდღგეთ გზას! — შეუძახა ჰან სქშეტუსკიმ თვისთა თათართა.

პატარა გუნდი ცხენოსანთა, როგორც ჩიტი, ისე გაფრინდა. საღამო-ჟამი იყო, სწორედ ისეთი, როცა დესპანმა პირველად ჰნახა ელენე და კალამლიკიც სწორედ ისევე ბრწყინავდა წითელ-ყვითლად. მხოლოდ მაშინ გული სქშეტუსკისა აღსაესე იყო სიხარულითა და იმედებით და ეხლა კი ისე მიდიოდა, თითქო მსჯავრ-დადებულთა სიკვდილით დასასჯელადაო, გაწამებული რალაც სამძიმო წინად-გრძნობითა. ხმა განწირულებისა და სასოწარკვეთილებისა ჩასჩურჩულებდა: „უთუოდ ბოგუნმა გაიტაცა ის ქალი, ველარა ჰნახე იმასაო!“ „არა, თავადი მოვიდა რაზლოგში! ელენე მოჩენილა!“ — ჩასჩურჩულებდა იმედი.

გავიდა ერთი საათი, მეორე. ამოვიდა სავსე მთვარე. ჩვენი ცხენოსნები მიჰქროდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ და აღარ იბრალეზდნენ ცხენებსა. აგერ მათ ახლო გამოჩნდა ტყე, ტყის იქით ხევი და რაზლოგიც ხომ იქვეა. ერთი წუთიცა და ბედი რაინდისა გადაწყდებოდა. ქარი ზუზუნებს და უქედავს ყურებს, ქუდი მოეხადა და სადღაც გადაუფარდა გზაში, ცხენი ჰკენისის, თითქო ეს-ეს არის წაიქცევაო. ერთი წუთი კიდევ, რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და ხევიც გაილევა... აგერ! აგერ!

უტბად საშინელი, განწირული ხმა აღმოხდა პან სქშეტუსკის გულიდან.

სახლი, ამბარ-ბელელი, თავლა-გომურთი, მესერი, ალუბლის ბაღი,— ყოველივე გამქრალიყო.

მკრთალი ნათელი მთვარისა დაჰნათოდა ამაღლებულს ბეჭობს და ზედ მიყრილ-მოყრილ ნანგრევთა გროვას, რომელსაც კვამლი და ბოლიც კი აღარ ასლიოდა.

სამარის მღუმარებას არაფითარი ხმა არ არღვევდა.

პან სქშეტუსკი იდგა თხრილ წინა, დამუნჯებული, უგონოდ და მხოლოდ რაღაც უცნაურად იქნევიდა თავს აქეთ-იქით.

თათრებმა შეაყენეს ცხენები. დესპანმა მოსძებნა ნაშთნი გადაბუგულის ადგილისა, გადავიდა თხრილს იქით ზედ გარდი-გარდმო გადებულ ხეზედ და ჩამოჯდა ქვაზედ ეზოს შუა-გულ. მიიხედ-მოიხედა გარშემო, თითქო პირველადა ჰხედავს აქაურობასაო. ხმა, კრინტი არ დაუძრავს, ერთხელ არ დაუკენისია, ჩაჰლუნა მხოლოდ თავი, დააყრდნო იდაყვებს და, თითქო გაქვავდაო, იყო ისე. მის გონებას ჯარივით ესეოდა რაღაც გამოურკვეველნი ლანდნი და სურათნი. ჰხედავდა თითქო ელენეს იმ სახით, როგორც ჟამსა გაყრისასა, მხოლოდ კარგად ვერ არჩევდა მის ფერსა და იერს, რადგან გარშემო რაღაც წყვილიანი შემორტყმიდა ვითომ. უნდოდა განებნია ეს ნისლ-ბურუსის მსგავსი წყვილიანი, მაგრამ არ შეეძლო ვითომ. მერე მის თვალწინ გამოჩნდა ბუნდად ჩივირინის ბაზარი, მოხუცი ზაცვილი-ხოვსკი, ლოთობით დასივებული სახე ზავლობასი; ეს სახე აღარ

შორდებოდა თვალთავან, ვბრემის მაგიერ არ წარმოუდგა მოშავ-
ბედებული, კუშტი სახე გროძიკისა. კულაკი... ქორომები... ომი
ხორტიკისა... სეჩი... მთელი გზა, ყოველი ამბავი და გარემოება
უკანასკნელ წუთამდე... შემდეგ რაღა უნდა ყოფილიყო, აღა-
რა იცოდა-რა და მხოლოდ უკუნეთს სიბნელესა და წყვილიდა
ჰხედავდა. რა ამბავი იყო მის თავს, აღარ ესმოდა, განურკვევლად
ჰგრძნობდა, რომ ელენესთან მივიღივარ რაზლოგშიო, მაგრამ
დავიღალე და აი ვისვენებ. ახლაო. უნდოდა წამომდგარიყო და
და განეკრძო მგზავრობა, მაგრამ რაღაც უცნაური სისუსტე
აღარ უშვებდა.

იჯდა სულ ასე. ღამე გატყდა. თათრებმა უნაგირები მოჰ-
ხადეს ცხენებსა, დაანთეს ცეცხლი, ივანშმეს და დაიძინეს.

მაგრამ ერთ საათსაც არ გაუვლია, რომ მოისმა შორიდან
ხმა შორიდან ჯარის მოახლოებისა.

თათრები ფეხზედ წამოხტნენ, მიაბეს თეთრი ხელსახოცი
მაღალს ლატანს და შეშა მიუმატეს ცეცხლს.

ხმა ცხენების თქარა-თქურისა და იარაღის ჩხარა-ჩხურისა
უფრო და უფრო გარკვევით ისმოდა. ბოლოს, გამოჩნდა გზა-
ზედ რაზმი გვარდიისა და მაშინვე შემოერთყა თათრებს. გაი-
მართა სასწრაფო ხან-მოკლე მოლაპარაკება. თათრებმა სთქვეს,
რომ ვაცილებთ დესპანსაო, ხოლო ვისი დესპანია და ან ვის-
თან იყო გაგზავნილი, არ ვიცითო.

რაზმის უფროსი ავიდა ბეჭობზედ რამდენიმე ამხანაგითა
და, მოჰკრა თუ არა თვალღ უძრავად მყოფს კაცსა, მაშინვე
შესძახა სიხარულით:

— სქშეტუსკია! ღმერთსა ვფიცავ, ეს სქშეტუსკია?
დესპანმა თავი არ აიღო მაღლა.

— ჰან დესპანო, ველარა მცნობ? ბიხოვეცი ვარ. რა დაგე-
მართათ?

დესპანი კვლავ მღუმარებდა.

— გამოფიზლით, ღეთის გულისთვის! ეი, ამხანაგო,
აქ მოდიო, აქა!

მართლაც, ის კაცი ბიხოვეცი იყო და თავად იერემიას ჯარის პირველ-მიმსვლელ-მცემელ რაზმს მოუძღოდა.

ამასობაში მოვიდნენ სხვა რაზმნიცა.

ამბავი სქშეტუსკის გამოჩენისა ელვასავით მოიფინა ყველგან. ყველანი მიისწრაფოდნენ ამხანაგისა და მეგობრის სანახავად. პატარა ვოლოდიევსკი, ორპიშევსკი, მიგურსკი, ლენცი, პან ლონგინუს პოდბიჰენტა და მრავალი სხვა აფიცრები სირბილით აცვინდნენ ბეჭედ. მაგრამ ამაოდ ელაპარაკებოდნენ, ამაოდ ანჯღრედდნენ და ცდილობდნენ, იქნება დავძრათ როგორმე ადგილიდანაო, — პან სქშეტუსკი შესცქეროდა იმთ დაქყეტილის გოცებულის თვალებით და ვერავის ვერა სცნობდა. მაგრამ არა: თითქო სცნობდა, მაგრამ ეტყობოდა, თითქო ყველანი უცხონი არიან მისთვისაო. მაშინ კი, ყველანი, ვინც იცოდნენ, როგორ უყვარდა სქშეტუსკის ელენე, მიხვდნენ, რა ადგილი იყო ის ადგილი, საცა შავად იცქირებოდა გადამწვარ გადაბუგული მიდამო და ყოველივე ცხადი შეიქმნა მათთვის.

— მწუხარებისგან კკუაზედ შეშლილა, — სთქვა ნელის ხმით ერთმა.

— ქსენძთან წავიყვანოთ. იქნება, როცა იმას დაინახავს, გონებაზედ მოვიდეს.

პან ლონგინუსი სულ ხელებს იმტვრევდა, ყველანი შემოეხვივნენ დესპანს და გულ-მტკივნეულობით დაჰყურებდნენ.

ბევრს თვალები მოუტკრემლიანდა. უცბად ვილაც ახოვანი კაცი გამოერჩია ამ ხალხში, მივიდა დესპანთან და დაადო თავზედ ხელი.

ის იყო ქსენძი მუხოვეცი.

ყველანი დადუმდნენ და ყველამ მუხლი მოიდრიკა სასწაულ-მოქმედების მოლოდინშია, ხოლო ქსენძი კი არავითარის სასწაულ-მოქმედების ქმნას არ აპირობდა. მან მხოლოდ აღმართა თვალნი ცად, საცა ქახქახი გაჰქონდათ ვარსკვლავებს და ასე სქშეტუსკის თავზედ ხელ-დადებულმა დაიწყო მაღალის ხმით „მამაო ჩვენო“ ლათინურად:

— Pater noster, qui es in coelis! sanctificetur nomen Tuum, advenit regnum Tuum, fiat voluntas Tua...

მღვდელი შესდგა პატარა ხანს და გაიმეორა უფრო ხმა-
მალა და უფრო მეტის ღალადებით:

— Fiat voluntas Tua...

გამეფდა დიდი მღუმარება.

— Fiat voluntas Tua! — მესამედ წარმოსთქვა ქსენძმა.

მაშინ სქშეტუსკის აღმოხდა გულიდან კვნესა უიმედობისა
და განწირულებისა:

— Sicut in coelo, et in terra!

და რაინდი გულ-ამოსკვნილის ქვითინით დაეცა ძირს.

გვ. ყ—მე

დასასრული პირველი ნაწილისა

გ ა ნ თ ი ა ლ ი

მოთხრობა ექისა

III *)

ბოლგარეთის ბედ-იღბალი ბევრს საინტერესო რასმეწარმოგვიდგენს. ერთ ღროს დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და, ამასთან, სახელმწიფო ძლიერი. შემდეგ დაეცა, და აქ გასაკვირველიც არა არის-რა, — ასეთია ბედის-წერა ბევრ ღიღთა სახელმწიფოთა. რაკი დაეცა, ყველამ დაივიწყა, და თვითონაც დაივიწყა თავისი თავი. მერე ისე მკვიდრადაც დაივიწყა, რომ არც ისტორიასა, არც გეოგრაფიასა, არც სტატისტიკასა, არც ეტნოგრაფიასა, არც მწერლობაში არავის მოჰკონებია. ბოლგარებიც იმ კატეგორიაში ჩასთვალეს, როგორც პოლონელები, პეჩენეგები, ხოზარები; სწავლულებს წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ჰეროდოტეს სკვითეთის მცხოვრებნი, ხოლო ოსმალოს პროვინციის სახელს უბრალო საადმინისტრაციო მნიშვნელობა-და ჰქონდა. ერთის სიტყვით, ყველამ დავიწყებამისცა ბოლგარეთი, და საყურადღებო ის იყო, რომ თვითონვე დაივიწყა თავისი თავი. ამ საუკუნის დამდეგს ბოლგარეთი თავიერთავს ბოლგარელად არა სთვლიდა: ის მხოლოდ „რაია“ იყო უფლებით, ვალდებულებით, ჩამომავლობით, და იმასავით კარგად, წესიერად, სინიღისიერად არავინ იშენებდა იმას, რაც უკვე მოხდა, და იმასავით არავინ იქცეოდა გარემოებათა თანა ხმაღ.

ეტყობა, ასეთია ჩემი ბედი: ძაღლი ძაღლად დაბადებულა და რაია კიდევ — რაიადო! წერას კაცი ვერსად წაუვა: ბოლგარელიც თავისს ხვედრს სამაგალითო თავმდაბლობით ითმენდა და ფადი-შაჰის უერთგულესი ქვეშევრდომი იყო. შფოთავდნენ და უკმაყოფილებას აცხადებდნენ ბერძნები, სერბიელები, ალბანელები; ბოლგარეთი კიდევ ომის მოედნად არა ერთხელ ყოფილა; ოსმალეთი იშლებოდა, სუსტდებოდა, ბოლგარელები

*) «მოამბე» № III.

კი ისევ ყურ-მოჭრილ ყმებად რჩებოდნენ: მხოლოდ 1850 წელს იწყეს გამოფხიზლება და შეუდგნენ ზრუნვას თავისუფლების მოპოვებისთვის. საკმაო იყო მხოლოდ ჩასახვა ამ მოთხოვნილებისა, — ცხოვრება თავის-თავად მიდიოდა წინ. ეროვნულ დამოკიდებულების თესლი, სადღაც სიღრმეში მიმალული, მთელის საუკუნოების განმავლობაში უძრავად იყო და, აი ახლა, თესლმა საკვირველის ღონითა და სისწრაფით იწყო აღმოცენება, და ამასთან, დასტამბულის სიტყვის მეოხებით, მთელს მხარეში ფესვები გაიდგა, ტოტები აიყარა! სრულიად ახალი საგნები გაჩნდა. ბოლგარელებმა ეროვნულ ეკლესიებსა და საპოლიტიკო უფლებაზე დაიწყეს ლაპარაკი. პირველ საქმეს ცარეგრადში მწერლობა შეუდგა; მეორე საქმის განმარტებას საზღვარ-გარედ დაწერილ და დაბეჭდილს წიგნებსა, ჟურნალებსა და წიგნაკებში ჰპოულობდნენ. გარედან და შიგნიდან ყველანი ხალხის გამოფხიზლებას ცდილობდნენ ასის წლის ძილისაგან. ამასთან, თვითონაც თვალებს იფშენებდნენ. იღვიძებდნენ სხვა-და-სხვა წოდების წარმომადგენელი. მაგრამ განსაკუთრებით მემამულენი და გლეხნი იღვიძებდნენ. ხალხს ახალი, ჯერ მისთვის უცნობი, გრძნობა დაებადა გულში: — სამშობლოს სიყვარული! სამშობლო! ეს ცნება ბოლგარელათვის 1850 წლამდე არც კი არსებობდა, ამ წლიდან კი მათს შორის ფეხის მოკიდება იწყო. 1860 და 1870 წლებში სამშობლოს სიყვარულმა საქმიტაც თავი იჩინა, ხოლო სამოც და ათს წლებში სისხლის მორევში სცურავდა ეს სიყვარული. ოც და ათის წლის განმავლობაში ეს აზრი ისე გაიზარდა, გამაგრდა და აპყვავდა, რომ ახალგაზღვრა გაგიყვებით მიეცა ამ აზრს, და მთელის არსებით გაიტაცა იმ მომჯადოებელის რომანტიზმითა, რომლისათვისაც მსხვერპლი აუცილებელია და რომელიც ამაგრებს, ამტკიცებს კაცთა ხასიათს.

ამ გვარად გატაცებულთა გუნდს ეკუთვნოდა სტოიანიცი, კრივენელ მიკიტნის შვილი. როცა ჰაჯი დიმიტრიმ (1868 წ.) წინდაუხედველად და თავგანწირულებით ააჯანყა ხალხი, სტოიანი ჯერ ისევ ყმაწვილი იყო და, მისგან დამოუკიდებელ მიზე-

ზთაგამო, საქმეში მონაწილეობას არ იღებდა. მაშინ ბუქარესტში სწავლობდა, და წინდაწინ არაფერი შეუტყობინებიათ, რადგან „მალომომჩე“-დ (ბავშვად) მიაჩნდათ. იმისთვის რომ გეკითხნათ,—სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის დასადგებად სრულს ღონესა ვგრძნობო. სტოიანმა რაკი შეიტყო ასეთი სამწუხარო შედეგი აჯანყებისა, მაშინადვე რუმინის დედა-ქალაქში არსებულ კომიტეტის ერთ წევრთან მივიდა და ჰკითხა:

— რატომ მე კი არ მაცნობეთ თვის დროზე?

— იმიტომ რომ ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისაზე მეტი არა ხარ.

— რა ვუყოთ, რომ არა ვარ! ჯანთ მაკლია თუ ღონე?

— მართალია, მაგრამ ისიც უნდა გითხრა,—დაუმატა კომიტეტის წევრმა:—დიდი წინ-დაუხედაობა იყო ის აჯანყება.

— წინდაუხედაობაო!—წამოიძახა გაბრაზებით სტოიანმა.

— ცდამ უნაყოფოდ ჩაგვიარა.

— უნაყოფოდ?!

ყმაწვილი გაცოფდა: სახლიდან გამოვიარდა, დაიწყო ტირილი და დიდს ხანს არ დამშვიდებულა. დიმიტრისა და მისის ამხანაგების ზვედრი რატომ მეც ვერ გავიზიარეო? გული უკედებოდა, ბრაზი აბრჩობდა; ეს გრძნობანი მისს ხასიათს შეესისხლხორცა; მათთან ერთად იზრდებოდა; უზიარებდა თვისის სულის კვეთებას მამას, დიდდას, დედას, დას, ყოველთვის, როგორც კი ბუქარესტიდან შინ ბრუნდებოდა. ამგვარად, თვის ოჯახს, თვის სოფელს გულში სამშობლოს სიყვარულს უღვიძებდა, ხოლო ამ უკანასკნელთაგან შეითვისა ის უნარი მამულ-დედულის დაფასებისა, რომელსც საკოსმოპოლიტო აზროვნებისა და შეხედულებების ადამიანს უსუსტდება ხოლმე. სასწავლებლად ბუქარესტში იყო, ევროპულ ქალაქში; მამა ხარჯს არა ზოგავდა, ამიტომ კარგად ცხოვრობდა, ნაცნობობა და მისვლა-მოსვლა ჰქონდა განათლებულებთან და შეეძლო ნათლად დაენახა და დაეფასებინა განსხვავება განათლებულ ქალაქისა და კრივენის სამიკიტნოში ცხოვრებას შორის. მის გულში სამშობლოს სიყვარულის გრძნობას რო ფეხი არ მოეკიდნა,—ცხადია, თავისს სო-

ფელს ადვილად მოშორდებოდა, მაგრამ მარტო თავისი თავი ექმნებოდა საზრუნავი. სტოიანი თავის თავს მხოლოდ იმიტომ ივიწყებდა, რომ ეს აზრი გულში დაემკვიდრა და გონების ხელმძღვანელად გაუხდა. სამაგიეროდ მისთვის მამა ზრუნავდა, და როცა, სწავლის დამთავრების შემდეგ, შინ დაბრუნდა, მოხუცმა პირდაპირა ჰკითხა:

— აბა... ახლა როგორღა მოვიქცეთ?

— როგორ თუ, როგორ მოვიქცეთ?—თავის მხრივ ეკითხებოდა შვილი.

— რას აპირობ?

— ჯერ არც მე ვიცი.

— არ გინდა, მექანეში ჩემი მაგივრობა გასწიო?

— არა... არ მინდა.

— არც მე დავითმობდი ამ საქმეს. ჯერ კიდევ ერთს ოცს წელიწადს ადვილად შემიძლია დახლში ვიდგე და ყავა ვაღულო. ორივეს სამყოფი საქმე კი აქ არა გვაქვს. რა, რადგან მხოლოდ ბაზრობასა მჭირდება ხოლმე თანაშემწე.

— მე ხომ აქ არ დავდგები?

— მაშ სად მიხვალ, რისთვის?

— არ ვიცი სად... სამუშაოს ძებნას დაჭიწყებ.

— არ გინდა, მზა-მზარეულ საქმეს მოჰკიდო ხელი?

— დიდის სიამოვნებით.

— რუშჩუკში რო ცხოვრობს, ჰაჯი ქრისტოს ხომ იცნობ? უკვე მოველაპარაკე და თანახმაა, დავთრების რუმელიურად და გერმანულად მიწერ-მოწერის წარმოება შენ მოგანდოს.

სტოიანმა თანხმობა გამოაცხადა და რამდენისამე დღის შუკან რუშჩუკში გადავიდა და ვაჭრობის საქმეს შეუდგა. ჰაჯი ქრისტოს ბევრს ადგილას ჰქონდა საქმე დაქერილი, ტრანსილვანიაშიც კი. სტოიანი ძალიან მოეწონა ვაჭარს. ახალგაზდა კაცს ვაჭრობა არც ისე იზიდავდა, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებდა, სანამ ახალი საპოლიტიკო მოძრაობა არ დაიწყო, რომელიც განგრძობა იყო ოსმალებისაგან დათრგუნვილის მღე-

ლვარებისა. რადგან ოსმალებმა მხოლოდ მოძრაობა შეაჩერეს და არა თვით მიზეზი ამ მოძრაობისა, ამიტომ ამ უკანასკნელს ხელ-ახლა უნდა ამოეყო თავი. ასეც მოხდა.

ოსმალოს იმპერიის სამზღვარგარედ, ბუქარესტში, ბელგრადში და სხვაგან, კომიტეტები საიდუმლოდ მუშაობდნენ; ამ კომიტეტებს სხვა-და-სხვა სახელები ერქვათ: ცენტრალური; რევოლუციონური, საერო, სლავიანური, მაკედონიის ლიგისა და მებრვე სხვა. ყველას დიდი გავლენა ჰქონდათ, მხოლოდ პირდაპირ არა. იმათი გაზეთები, მოწოდებანი, პროკლამაციები—ყოველივე ხალხში ვრცელდებოდა. ყველას მკითხველები უჩნდებოდა. მაგრამ ყოველივე ეს ხალხს დარიგებას აძლევდა, გზას უჩვენებდა, ხოლო ნამდვილი საქმე, მოქმედება ოსმალების თვალ-წინ, შიგ ბოლგარეთში, უნდა მომხდარიყო. ამ მოქმედების თავი და თავი ადგილი ქალაქებში იყო: სკოლებში, ეკლესიებში, წიგნთ-სამკითხველოებში, სადაც კი არსებობდა ან ერთი, ან მეორე და ან მესამე.

ამისთანა სამკითხველო რუშჩუკშიაც იყო და სტოიანი მუდამ იქ დაიარებოდა.

სამკითხველოს ქალაქის მაღალი წოდება ინახავდა თვის ხარჯით, და წარმატებულს მდგომარეობაშიაც იყო. სამკითხველოს სახელზე დაბარებული იყო ჟურნალ-გაზეთები და მასთან ერთად წიგნთ-საცავიც არსებობდა, საიდანაც შეიძლება ბოდა წიგნების წაღება სახლში საკითხავად. ზედამხედველად ბოლგარელ საზოგადოების მამასახლისი იყო და დავალებული ჰქონდა, ფაშის წინაშე პასუხი ეგო, თუ ვინიცობაა წიგნთ-საცავი ბოლგარელებს უხნეო გონებრივს საზრდოს მიაწვდიდა. ამ საზრდოს რაოდენობასა და ღირსებას ჰსაზღვრავდა გაზეთი „დუნაი“, რომელიც რუშჩუკში გამოდიოდა, და რომლის დანიშნულება იყო—მკვიდრნი უცხო გამრყენელ გავლენისაგან დაეფარა და განემტკიცებინა მათ შორის კანონისადმი პატივცემა და რიდი. აი ამგვარი იყო სამკითხველოს ოფიციალური დანიშნულება. არც მაგიდებზე, არც განჯინებში სჯეჟო სახისა არა იყო-რა. ოსმალებში რაც გაზეთები

იბეჭდებოდა ფრანგულსა, იტალიურსა, ბერძნულსა, ოსმალურსა და ბოლგარულს ენებზე, პირდაპირ ფოსტით მოდიოდა სამკითხველოში: სამზღვარგარეთის გამოცემანი ჯერ ყონახში მიჰქონდათ, სადაც განგებ ამისთვის მიჩენილი მოხელე სინჯავდა და ყველა საეჭვოდ ცნობილ ნომერს იჭერდა. ამიტომ ყოველსავე დასტამბულში, რომელიც სამკითხველომდე მიაღწევდა, კეთილ-საიმედო აზრები იყო გამოთქმული; ყველაში, ჯერ ხონთქრისა და მერე იმის ფაშების ქება იყო დაწერილი, შემდეგ ყველა დიდ-ხარისხოვან და წვრილმან მოხელეებისა, ბოლოს საზოგადოდ ყველასი დი ბოლგარელებისა ცალკე.

ოსმალთ მფლოფელობის უკანასკნელს ხანებში, რუმუჟუკი, რკინის გზის წყალობით, რომელიც უმოკლესი გზა იყო შიდა ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ წასასვლელად, ევროპულ ქალაქად იქცა, და რადგან, ამას გარდა, ფაშაც აქა სცხოვრობდა, ამიტომ სატახტო ქალაქის სახე მიიღო. ქალაქში ევროპიული ქვითკირის სახლები აღმართეს, გადაჭიმეს სასტუმროები, და იმედი იყო, დასავლეთის გავლენა მარტო თავ ქუჩას, რკინის გზის სადგურიდან ნავთ-სადგურამდე მიმავალს, არ დააჩნდებოდა, არამედ სხვა დანარჩენ ქუჩებიდანაც განდევნიდა ოსმალების ქოხ-მახებს. მცხოვრებთაც დაეტყოთ ცვლილება, და საეჭვო არავისთვის იყო, რომ ევროპა აზიაზე გაიმარჯვებდა. მკვიდრთა შორის ქრისტიანები იყვნენ: რუმინელები, ბოლგარელები, ბერძნები და სომხები; არა-ქრისტიანებს ეკუთვნოდნენ: ოსმალონი, ჩერქეზნი და ებრაელნი. ჩერქეზებს გარდა ყველა მიეტანა ცივილიზაციას; თვით ოსმალოს ქალები კი უფრო ცნობისმოყვარულნი გახდნენ, ხოლო ქრისტიანთა ქალნი ქუჩაში უჩადროდაც ჰხედავდნენ გამოსვლას. რუმინელი და ბოლგარელი ქალები დიდის ხალისით ირთვებოდნენ ევროპულად, კაცებიც აგრედვე. ერთის სიტყვით, თავისებური აჯანყება მოხდა და მცხოვრებნი ორ ბანაკად გაიყვნენ: ზოგნი, სიფრთხილით, ჩვეულებას არა ჰღალატობდნენ; სხვები, ვინც უფრო გაბედულები იყვნენ, არ ჰმორჩილობდნენ ჩვეულებას და უნდოდათ წარსულთან, როგორც მონობის ნიშანთან, ყო-

ველივე კავშირი გაეწყვიტათ. მოქალაქეთა შორის კონტაობის მიმდევარ ქალებისა და ვაჟების წრეც გაჩნდა; სტოიანსაც, როგორც ბუქარესტში ნასწავლს, სრული უფლება ჰქონდა ამ წრეში ჩარიცხულიყო. ის გარემოება, რომ მიკიტნის შვილი იყო, ამ მხრივ დაბრკოლებას სრულიად არ წარმოადგენდა. იმ საზოგადოებაში, რომელსაც ჩამომავლობითს უფლებასა და უპირატესობაზე წარმოადგენდა არა ჰქონდათ, ჩამომავლობას და გვარიშვილობას ყურადღებას არავინ აქცევდა. ბოლგარეთში არც გრაფები ყოფილან და არც ბარონები, და მარტო ერთი ეოგორიდეისი სთვლიდა თავადად თავის თავს, მაგრამ ისიც მალე არც თუ ბერძნად გადაიქცა, არც თუ რუმინად.

სტოიანი საზოგადოებას არ გაუბოღდა, მაგრამ არც ნაშეტნად ეტანებოდა: რალაცა სხვას რასმე დაძებდა.

სამკათხველოში აღგილობრივ განათლებულ საზოგადოების წარმომადგენელნი ყველა გაიცნო. ყველანი ერთსა და იმავეს ლაპარაკობდნენ: — ღმერთმა უარესი დღე ნუ გვიჩვენოს; მაშინ, იქნება, უკეთესს ბედს ვეწიოთო.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ჰაჯი ქრისტოც და „მიზლინუს“ (ქალაქის საბჭოს) ყველა წევრი, ბოლგარელ „მალლის“ (საზოგადოების) ამორჩეული. ამ ნაირისავე აზრისა იყო უმრავლესობაცა. პირველ ხანებში ამან ძალიან გააოცა სტოიანი. ჩუმად უგდებდა ყურს ბჭობას სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეების შესახებ, რომლებზედაც ბოლგარებს ლაპარაკი უყვარდათ. დანარჩენი ახალგაზდა კაცებიც ყურს უგდებდნენ. ამ უკანასკნელთა შორის ერთი ოცის წლის ყმაწვილიც ვერია, რომელიც, საზოგადოდ, შაბათობით მოდიოდა სამკათხველოში და კვირაობით მთელი დღე იქა რჩებოდა ხოლმე. სტოიანმა შენიშნა, რომ ეს ახალგაზდა კაცი სხვების ლაპარაკს საოცარის გულმოდგინებით უგდებდა ყურს, მაგრამ უფრო გულმოდგინებით კითხულობდა წიგნსა. კვირაობით, რა დროსაც არ მოსულიყავით, სულ ერთავად წიგნი ეკირა ხელში. ტანთ ღარიბულად ეცვა, ამისთან კაცს აოცებდა კიდევ მისი ნახევრად ბოლგარული და ნახევრად ევროპული ჩაცმულობა! მა-

ყურებელი მაშინათვე იმას იფიქრებდა, ალბად სხვა-და-სხვა კაცის ნაჩუქებ ტანისამოსს ატარებსო. ფეხთ ქალამნები ჭცვა. ერთხელ სტოიანმა სამკითხველოს გამგესა ჰკითხა:

— ეს ვინ არის?

— არ ვიცი, — უთხრა მან პასუხად: — სახელად ნიკოლას ეძახიან. შაბათ საღამოს მოდის და ორშაბათ დილამდე რჩება... ითხოვა, და ნება დართეს.

— მაშ რა ღამეს სამკითხველოში ათევს?

— ჰო, ღამეს აქ ათევს, და ამიტომ იატაკის რეცხვა იკისრა, თან სანთელი მოაქვს და, როგორც ეტყობა, მთელი ღამე წიგნს ხელიდან არ აგდებს.

— ცნობისმოყვარე კაცი ყოფილა!

სტოიანს ძალიან ენტერესებოდა ნიკოლა. მოიწადინა დაახლოვებოდა და ამ აზრით სამკითხველოში როგორღაც საღამოზე გვიან მივიდა. სამკითხველოში ნიკოლას გარდა არავინ იყო. მაგიდაზედ დახრილი რაღაცასა სწერდა.

— გამარჯვება, — მიესალმა სტოიანი.

← გაგიმარჯოს, — უპასუხა ნიკოლამ.

— ე რასა სწერ ღამ-ღამობით?

ახალგაზდა კაცმა თავი მალლა აიღო, შეჭხედა სტოიანს და უპასუხა:

— დღისით მოცლა არა მაქვს.

სტოიანი ახლოს მივიდა და ნიკოლას წინ ლექსიკონი დაინახა.

— ე რასა სწერ?

— აი ეს უნდა გადავსწერო.

— ლექსიკონი?

— ოჰ, ლექსიკონი.

— მე რე, რად გინდა?

— ამის სასყიდელი ფული არა მაქვს, და სწავლა მინდა.

ლექსიკონი ფრანგულ-რუსული იყო, 1846 წ. ბელგრადში დაბეჭდილი. ნიკოლა ანბანურს რიგზე ბოლგარულ-ფრანგულად აკეთებდა, ყველა სიტყვებს კი არა სწერდა. სტოიანი

დაკვირვებით დააქერდა და შენიშნა, რომ სიტყვების ჩაწერა წეს-რიგს მოკლებული არ იყო. ეტყობოდა, ნიკოლა გადაწერის დროს გონებასაც ამუშავებდა.

— მაშ ფრანგულს ამ გვარადა სწავლობ?

— ჰო, — უპასუხა ნიკოლამ.

— სიტყვებს იზებირებ?

— მაშ; ჯერ სიტყვებს დავისწავლი და მერე ლაპარაკსაც ადვილად შევსძლებ.

— ისიც ხომ უნდა ისწავლო, ეს სიტყვები როგორ გამო-სთქვა ან როგორ შეაქსოვო ერთმანეთს.

— ეს რაღაა?

— აბა, ეს სიტყვა წაიკითხე. — სტოიანმა სიტყვა „pain“ (პენ) უჩვენა. ნიკოლამ „პაინ“-ად წაიკითხა.

— ასე იწერება, მაგრამ გამოთქმა კი სხვანაირად უნდა. — სტოიანმა როგორც უნდოდა, ისე გამოსთქვა. — ხომ ჰხედავ, შენ კი სულ სხვანაირად დაისწავლიდი.

— ეჰ, ღმერთო! — ამოიოხრა ახალგაზდა კაცმა.

— ლაპარაკიც გინდა ისწავლო განა?

— ლაპარაკიც უნდა ვისწავლო და კითხვაცა.

— იმ შემთხვევაში საჭიროა გრამატიკაც გაიცნო, და ვინ-მემ სიტყვების გამოთქმა უნდა გასწავლოს.

— გრამატიკა რაღაა?

— რა და, წერასა და ლაპარაკს გვასწავლის.

— ნეტავი მასწავლა-და!

— მაგრე რიგად რად მოგდომებია?

— რად?.. ღმერთმანი მეც არ ვიცი, — უპასუხა ნიკოლამ.

— რა ხელობისა ხარ?

— აბაჯისთან (დერციკთან) ვარ,

— დიდი ხანია?

— საცაა წელიწადი შესრულდება,

— სადაური ხარ?

— კოტლედი.

— შენს სოფელშიაც დერციკთან იყავი?

— არა, ეს ხელობა მხოლოდ აქ დავიჭირე. დერცოცს მას შემდეგ მივებარე, რაც რუშჩუკიდან ჩამოველ.

— წინად რაღას აკეთებდი?

— ცხვარი მყავდა.

— წერა-კითხვა სადღა ისწავლე?

— პატარაობაში, მერე კი...

— მერე რა?

— წიგნები მქონდა, და როცა ცხვარს დავდედი, მინდორში ვკითხულობდი.

— რა წიგნები გქონდა?

ნიკოლამ ჩამოთვალა: „განსაცდელი ნეტარის თეოდორესი“, „ჩვენებანი ღვთის-მშობლისანი“, „სასწაულთ-მოქმედებანი წმ. ღვთის-მშობლისანი“. პირველ ამათგანში აწერილია, როგორ ცხონდა ცოდვილი მხევალი ლოცვითა და სინანულითა; მეორეში მოთხრობილია ის ტანჯვა-წვალებანი, რომელნიც ღვთის-მშობელმა ჯოჯოხეთში დაინახა; მესამეში დაწვრილებით ჩამონუსხულ არიან ოთხმოც და ცხრაშეტი სასწაულნი ღვთის-მშობლისანი. ბოლგარულს მწერლობას პირველში მარტო ამისთანა წიგნები შეადგენდა. ამისთანა წიგნები განსაკუთრებით იმ წრეში იყო გავრცელებული, სადაც წერა-კითხვის მეტს არასასწავლიდნენ. ასეთს წრეს ეკუთვნოდა ნიკოლაც.

— ეს წიგნები ყველა წაკითხულები მაქვს, და ასე მეგონა, სხვა წიგნები არც არის-მეთქი. მინდვრად როცა ვიყავ, მარტო მე ვკითხულობდი, სოფელში კი სხვებსაც ვუკითხავდი... მაგრამ ერთხელ, როცა კრავები ბაზრობას ვარნაში ჩამოვრეკე, ნაყიდი კრავი ფრანგების ელჩმა თვის სახლში წამყვანინა და იქ მთელი ხროვა დავინახე წიგნებისა... მას შემდეგ მოსვენება არა მქონდა... ცხვარს თავი-დავანებე, მოვედი ვარნაში და ელჩის სახლში მოსამსახურობა ვითხოვევი, მაგრამ არ ამიყვანეს... რამდენსამე ხანს ცულდა დავხეტებოდი ქალაქში და ბოლოს გავიგე, რუშჩუკში წიგნები არისო.

— ვარნაში ფრანგების ელჩს გარდა აღბად სხვასაც აქვს წიგნები?

— შეიძლება... მაგრამ ვარნაში შიმშილმა საქმე გამიჭირა. ვიმედოვნებდი—ელჩთან რასმე საქმეს ვიშოვი-მეთქი, და იმედი კი გამიცრუვდა, მეტი რა ჯანი იყო.

— სხვაგან არ გიძებნია ადგილი?

— ვეძებე, ვიშოვე კიდევ, მაგრამ წიგნები არა ჰქონდათ.

— შენ კი უეჭველად წიგნები გინდოდა?

— ჰაი, ჰაი რო მინდოდა,—უპასუხა ნიკოლამ:—წამდაუწუშე წიგნების მეტი არა მაგონდებოდა-რა, სიზმარშიაც კი წიგნები შელანდებოდა... ისე მეგონა, თუ წიგნი ვერ ვიშოვე, მოვკვდები-მეთქი...

— მერე წიგნები ასე რამ შეგაყვარა?

— გამიგონია, წიგნებით კაცი ყველაფერს ისწავლისო.

— ჰმ... რუშჩუკში როგორ მოხველ?

— ერთმა ყმაწვილმა კაცმა მითხრა, აქ სამკითხველოა და შიგ ბევრი წიგნები არისო.

— მეტი არაფერი?—ცნობის-მოყვარეობით ჩააცივდა სტოიანი.

— მეტი რა უნდა ყოფილიყო?... როგორცა ჰხედავთ, უარნიდან რუშჩუკში ამოვყავ თავი.

— ფეხით?

— ჰო... ჯიბეში გროში კაპეიკი არ მომეძებებოდა, რო რკინის გზის ბილეთი მეყიდნა... გზას მთელი ოთხი დღე მოვუნდი. საქმელსაც კეთილი კაცები მაძლევდნენ; ამ გვარად მოვედი კიდევ. ვიკითხე, სამკითხველო სად არის-მეთქი; ისიც მიჩვენეს, და, მადლობა ღმერთს, ერთი დერკიკიც გამოჩნდა და დამპირდა, ხელობას გასწავლიო; და მანამდე კი მარტო პურის ფულს მაძლევს... მთელი კვირა იქა ვმუშაობ, შაბათობით კი სამკითხველოში მოვდივარ, და ამგვარად მთელი დღე, კვირა, და ორი ღამე ჩემს განკარგულებაშია. ბოლგარულად ვკითხულობ, მაგრამ ფრანგულ წიგნების კითხვაც მინდოდრ მესწავლა.

— მაშ სწავლა გინდა?—ჰკითხა სტოიანმა.

— მერე რა რიგად! — უბასუხა ნიკოლამ, და მთლად აენტოა*).

— გინდა, მე გასწავლი?

ნიკოლამ მეტად მადლიერის თვლით შეჰხედა. სტოიანი გვერდთ მოუჯდა და ფრანგულ სიტყვების გამოთქმის აღსნა დაუწყო. სწავლება ნახევარ საათს გაგრძელდა და შემდეგ ისევ ლაპარაკი დაიწყო:

— რაღა პირველადვე ფრანგულის სწავლა ამოგიჩვევია? — ჰკითხა სტოიანმა.

— მითხრეს, ფრანგულს ენაზე უფრო ბევრი წიგნებიაო.

— გეტყობა, წიგნების კითხვა გიყვარს და ფრანგულის შესწავლა იმიტომ გინდა, რომ მეტი წიგნები წაიკითხო?

— არა, მარტო მაგისტრის როდი მინდა, — უთხრა ახალგაზ-
და კაცმა.

— მაშ კიდევ რაღად გინდა?

— წიგნებში წამალი უნდა ვიპოვო.

— რის წამალი?

— ოსმალების ბატონობის მოსპობისა, რომ ჩვენს სამშობ-
ლოდან გავაძევოთ.

— ბიჭოს! მაშ მაგასა ჰფიქრობ! — გაიკვირვა სტოიანმა.

— ვითომ-და რატომ არაო? წიგნებში იმისთანა სიტყვებია თურმე, რომ მათის შემწეობით შეიძლება კაცმა ყოველსავე უბედურებას წამალი მოუძებნოს... ასეთი სიტყვები ჯერ არსად მსმენია... აი, კიდევ ამიტომ ჩავკირკიტებ სხვა-და-სხვა წიგნებს, ეგებ როგორმე მოვსძებნო.

სტოიანმა ცოტა დაფიქრების შემდეგ უთხრა:

— საქმე სიტყვებში კი არ არის, მეცნიერებაშია; ყველგა-
ნაირ-საღსარს ეს გვაძლევს.

— მეცნიერებაში?... ეს ხომ მისწავლია!

— რა?

— წერა-კითხვა... ჯერჯერობით ბოლოგარული წერა-კითხვა
ვიცი და, საცაა, ფრანგულსაც ვისწავლი...

*) აქ დასურათებული მწყემსი ნამდვილად იყო ბოლოგარიაში.

— ეგ მხოლოდ დასაწყისია... ენები ბევრია და ყოველის მათგანის სწავლა მხოლოდ საშუალებაა მეცნიერების შესასწავლად.

— ე მეცნიერება რაღაა?

სტოიანმა დაასახელა და შეეცადა განემარტებინა, თუ რაში მდგომარეობდა სხვა-და-სხვა მეცნიერებათა დანიშნულება. ნიკოლა თვალს არ აშორებდა და სულ თვალ-წარბში შესცქეროდა.

— მასწავლე!— წამოიძახა მან ბოლოს.

— ბატონი ხარ, მაგრამ დრო კი გექნება?

— შაბათობით მთელის კვირის გასაკვეთი მომეცი ხოლმე.

— კარგი და, წიგნებმა ხომ შენს ხელობას მოგაცდინა?

— სულაც არა! ვკერავ და თან ჩემთვის ვიფიქრებ; როცა კერვას მოვჩჩები, წიგნში ჩავიხედავ და საფიქრებელი ხელახლა მექნება.

— კარგი, როგორც გიჯობდეს,— გაიმეორა სტოიანმა.

ახლა სტოიანმა სახალისო საქმე იპოვა. ამ წყემსმა წინ მთელი ახალი მეცნიერება გადაუშალა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ზერედ-ქვერედ იცნობდა, თუმცა ამგვარ ქვეყნიერობის ჭაქმეს მამის მექანეში ყოფნის დროსაც აკვირდებოდა. სტოიანს ფიქრადაც არ მოსვლია, თუ სოფლად ნიკოლას მსგავსნი მოიძებნებოდნენ. ოსმალოების მონობისაგან განთავისუფლების სურვილი ადვილი ასახსნელი იყო. ერთის მხრით სერბია განთავისუფლდა ამ მონობისაგან, მეორეს მხრით— რუმელია. ამ აზრით ბრძოლა იმართებოდა, ხალხში ათასი სხვა-და-სხვა წინასწარმეტყველება ვრცელდებოდა, და ბოლოს თავ-გამოდებული ამბოხება ჰაჯი დიმიტრისა (1868 წ.) და ამ ამბოხების ალაგმვა ხალხის ტვინს სამოძრაოდ იწვევდა. ნიკოლას მსგავს ტიპის გამოჩენა მინც ამოცანადა რჩებოდა. საიდან გამოტყვრა?

ნიკოლა მეტად ნიჭიერი გამოდგა: ყველაფერს ადვილად იგებდა, ითვისებდა და იმახსოვრებდა. სტოიანი თან-და-თან უფრო-და-უფრო კმაყოფილი რჩებოდა. თვისს შაგირდს უამბო დედა-მიწის მოყვანილობა, უჩვენა რუკა. ნიკოლამ ყვე-

ლაფერი მალე გაიგო და შემდეგში გეოგრაფიას თავის-თავადა სწავლობდა. დიდის ცნობის-მოყვარეობით აკვირდებოდა რუკაზე დახატულ მთებისა და მდინარეების მიმართულებას, ხმელეთის მოხაზულობას, იმანსოვრებდა სახელმწიფოთა სამზღვრებს.. ამ ნაირადვე ეადვილებოდა არითმეტიკა. ასე იტყოდით, ამ კაცს თავში მთელი გროვა ცნობებისა აქვს, უწყესრიგოდ შეთვისებული, რომელთაც მხოლოდ რიგზე მოყვანა უნდაო. ნახევარ წელიწადს შეისწავლა: მარტივი და ათეული ნაწევარი, დამოკიდებულებანი, პრაპორციები, სამეული კანონი და შექმლო ალგებრა და გეომეტრია დაეწყო. ყველაზე მეტად მისს ყურადღებას ისტორია იპყრობდა, რომელსაც არ სწავლობდა, ჰყლაპავდა. ფრანგულშიაც დიდი წარმატება დაეტყო: შეისწავლა გამოთქმა, იცოდა მრავალი სიტყვები და გრამატიკას მიჰყო ხელი. ერთს შაბათს სახელდახელო ოსტატს შავირდი მეტად მხიარულს გუნებაზე დახვდა.

— რა ამბავია?—ჰკითხა სტოიანმა.

— ჩემს დერციკს თავი დავანებე.

— მერმე და რა გაგხარებია მაგრე!

— როგორ არ გამხარებია? ახლა პარიჟიდან მოსულ დერციკთანა ვარ. სახელოსნოს კარებზე წარწერაც ფრანგული აქვს და ყველანი ფრანგულად ლაპარაკობენ.

— მართლაც, გასახარელი იყო: ჯერ ერთი, პირველ დერციკთან ნიკოლა უჯამაგიროდ იყო, ახლა კი ჯამაგირს აძლევდნენ; მეორედ, ახალ ოსტატთან, გარდა იმისა, რომ იმ ენაზე ილაპარაკებდა, რომლის შესწავლაც უნდოდა, თავისუფალი დროც ბევრი რჩებოდა. ბოლგარულ დერციკთან დღე და ღამე სახელოსნოში უნდა დარჩენილიყო; ფრანგი დერციკი კი ღამ-ღამობით ანთავისუფლებდა, სტოიანმა გულდადებით მოუსმინა ახალ ადგილის უპირატესობის ამბავი.

— ბინა გაქვს?—ჰკითხა სტოიანმა.

— არა; შენ უნდა გთხოვო...

— ...რომ ერთად ვიცხოვროთ, განა? ძალიან კარგი.

— არა, მე მინდა ღამე სამკითხველოში ვრჩებოდე ხოლმე... მარკო (სამკითხველოს გამგე) მაინც ნებას მაძლევს, შაბათს და კვირა ღამეს აქ ვიყვე.

— მიდი და მოელაპარაკე.

— ვუთხარი, მაგრამ უარზე დგას. მეუბნება, ჰაჯი ქრისტომ რო შეიტყოს, ღამეს აქ ათევ, გაჯავრდებაო.

— მაშ ჰაჯი ქრისტოს მე მოველაპარაკები.

— შენი ჭირიმე, უთხარი!—ემუდარებოდა ნიკოლა.

ჰაჯი ქრისტო სამკითხველოს მმართველობის თავმჯდომარე იყო. სტოიანის თხოვნა თავის დღეში ძირს არ დაუშვია, ესეც რომ არ ყოფილიყო, ლაპარაკიც კი არა ღირდა ამ საგნის შესახებ, რადგან სამკითხველოს საწინაღმდეგო არა იყო-რა: მისის წესდების არც ერთი მუხლი არ უკრძალავდა ვისმე სამკითხველოში ღამის გათევას, რაც აღკრძალული არ არის, იმის ნება-დართვაც ადვილია. ამ საბუთის ძალით, ჰაჯი ქრისტომ სტოიანს მიანდო, მარკოსთვის ეთქვა, რომ ნიკოლას შეეძლო ღამე სამკითხველოში დარჩენა, მხოლოდ წასვლის წინ ყოველ დღე დაასუფთავოს ხოლმე იქაურობაო. ამ გვარად ყველა მოგებაში დარჩა: სამკითხველოცა და ნიკოლაცა. ნიკოლასათვის სარტა ის იყო, რომ ახლა უფრო დალაგებით შეეძლო მეცადინეობა. ყოველ დღე, მზის ჩასვლიდან მოყოლებული, ღამის თორმეტ საათამდე, სწავლაში იყო გართული, და დამშლელი არავინა ჰყავდა, რადგან რუშჩუკში, თუმცა ევროპულ განათლების ნიშნები ცოტ-ცოტად შემოდრიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ ოსმალური წესწყობილება არსებობდა, რომლის ძალით მცხოვრებლებს შებინდების შემდეგ ქუჩაში სიარული აღკრძალული აქვთ. ამიტომ რაკი დღე და ღამე გაიყრებოდა, სამკითხველოდან ყველა გამოიკრიფებოდნენ ხოლმე, და ნაშწყემსარს სრული თავისუფლება ეძლეოდა ეწერა, ეკითხნა და რაც უნდოდა, ხმამაღლაც განემეორებინა. ყოველ დღე სამ საათამდე მეცადინეობდა; ბევრის შესწავლა შეიძლება, დღეში სამის საათის მეცადინეობითაც, თუ კი კაცი მუყაითად ეკიდება საქმეს. წიგნის სწავლასთან ერთად ცხოვრებასაც სწავლობდა, რადგან დღისით ყოველთვის ყურს უგდებდა საზოგადო საქმეების შე-

სახებს ლაპარაკს; გაზეთებშიაც გულმოდგინედ თვალ-ყურს ადევნებდა ახალს ამბებს და, ამგვარად, ახლად შექმნილი ცოდნა შეეძლო ცხოვრებასთან შეეფარდებინა, მისთვის შეეწონა.

მართალია, ეს ცოდნა პირველ-დაწყებითი იყო, მაგრამ გამოუღმებით ცხოვრებასთან შეფარდება ამ ცოდნას ავსებდა და სახალისოდ ჰქმნიდა. რაც რამ სამეცნიერო ცოდნა მიეღო, ყველასა სწონავდა, პირსა და სარჩულს უსინჯავდა: ყველასგან რაიმე სარგებლობა უნდოდა გამოეტანა ბოლგარეთისათვის. ამგვარად გულში ჩაესახა, განუვითარდა და განუმტკიცდა საშობლოსათვის თავდადების გრძნობა. ამ გრძნობის გავლენით კაცი თვისის სულთამხუთავის მტერს ადვილად უკავშირდება. შევიწროებისა და დევნის ლოლიკა ამას მოითხოვს. რა წამსაც ბოლგარელებმა ოსმალებისადმი თავიანთი დამოკიდებულება შეიგნეს, მათ შორის ამგვარ მამულის-მოყვარეობამ ფეხი მოიკიდა კიდესაც; ნიკოლა ერთი წარმომადგენელთაგანი იყო ამ გრძნობისა.

ჩქარა სამკითხველს სანიღუმლოებაშიაც ჩაიხედა. მაგიდაზე, მართალია, გაზეთები ელაგა, განჯინებში ოსმალოს ცენზურის მიერ ნება-დართული წიგნები ეწყო; მაგრამ გარდა ამისა ცენზურის ნება-დაურთველი და აღკრძალული გაზეთები და წიგნებიც ჩნდებოდა, განსაკუთრებით რუსულს ენაზე და აგრედვე სერბიულსა და ბოლგარულს ენებზე დაბეჭდილებები ბუქარესტსა ან ბრაილაში; სამკითხველოში მოსიარულე „საიმედონიც“ გულმოდგინედ ჰკითხულობდნენ ამებს. ამგვარი წიგნები საიდან ჩნდებოდა სამკითხველოში? დუნაის ნაპირებზე ოსმალების დარაჯები იღვნენ და უპასპორტოდ და წინასწარ-გაუსინჯავად არავის უშვებდნენ. აღკრძალული წიგნები და გაზეთები მანინც შეუწყვეტლად მოდიოდა და მოდიოდა.

IV

რუშუკის სამკითხველოში აღკრძალული გამოცემანი საიდანა ჩნდებოდნენ?—ეს არც სტოიანმა იცოდა, არც ნიკოლა.

ლამ და არც მარკომ. მარკოს ამისათვის ჰაჯი ქრისტო ხშირად საყვედურსაც ეუბნებოდა ხოლმე.

— ეს ვინ მოიტანა?—ჰკითხულობდა თავმჯდომარე, როცა ხელში აღკრძალული გამოცემა რამ ჩაუვარდებოდა.

— მე რა ვიცი!—უპასუხებდა გამგე.

— თვალყური კარგად აღევნე.

— ვადევნებ, მაგრამ ვერას გაეხდის... ყველა მოსულ წიგნსა თუ გაზეთზე დაკრულ ფოსტის ბეჭედსა ვშინჯავ ხოლმე.

— ფოსტიდან ხომ არ მოდის?

— არა.

— ალბად ვიღასაც მალულად მოაქვს,—იტყოდა ხოლმე მიხედვრილი ჰაჯი ქრისტო.— შენ მხოლოდ გაიგე— ვინ არის, დაიჭირე, და მერე მე ვიცი. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ, ამ ამბავმა ფაშის ყურებამდე რო მიადწიოს, ყველას ხათაბალაში გაგვხვევენ და სამკითხველსაც დაგვიხურამენ.

უკანასკნელი საბუთი მარკოს ძალიან აშინებდა და თვისი გულმოდგინება გააორკვეცა. მაგრამ ამ გულმოდგინებითაც ფონს ვერ გავიდა. რა უნდა ექმნა? ხალხი შემოდოდა, თამბაქოს ეწეოდა, კითხულობდა. როგორ უნდა შეემჩნია, აღკრძალული წიგნი ან გაზეთი ვინ მოიტანა და მაგიდაზე დაყრილ წიგნებში გაურია? მარკო მთელ საათობით უდარაჯებდა, მაგრამ დამნაშავე მაინც ვერ დაიჭირა. სამკითხველოში „აღკრძალულის“ არსებობას იმით შეატყობდა კაცი, რომ იმ წიგნს გულმოდგინედ ჰკითხულობდნენ. ყველა ცდილობდა ჩქარა წაეკითხა, და სახეზე იმის დაგვარი შთაბეჭდილება ეხატებოდა, თუ რასა ჰგრძნობდა მისის წაკითხვის დროს. ერთი ილიმებოდა, მეორეს შუბლი ეკვრებოდა, მესამე ბრაზზე სკდებოდა და ილიანძღებოდა კიდევ. „აღკრძალული“ ხელიდან ხელში გადადიოდა, და როცა წაიღო-წამოვიდოდნენ, წიგნი მაგიდაზე რჩებოდა. გამტყუნება არავისი შეიძლებოდა. მეტი ჯანი არ იყო, საბედისწერო „აღკრძალული“ მარკოს საღმე უნდა მიეჩქამა და გაჩუმებულ იყო; ჰაჯი ქრისტო კი უფრო და უფრო ხშირად უმეორებდა:

— ჰა, ფრთხილად, თორემ ცუდი დღე დაგვადგება.

„ჯანი უნდა გავიღებინო და დამნაშავე ან დამნაშავენი უეჭველად უნდა ვიპოვო“, — ამბობდა მარკო. ამ აზრით, ერთ-ხელ „აღკრძალული“ დაძალა და როცა ნიკოლა, ჩვეულებისამებრ, სალამოზე სამკითხველოში მოვიდა, მარკომ უთხრა:

— იცი, აქ რა ამბავია?

— რა?

— შეიძლება, სამკითხველო დაგვიხურონ.

— მიზეზი?

— ეს ხომ ძალიან სამწუხარო იქნებოდა?

— დიდაც რომ იქნებოდა!

— ამიტომ უნდა ვეცადოთ, ხიფათი თავიდან ავიცილოთ.

— რა ხიფათი? — ჰკითხა ნიკოლამ.

— შეჭხედე! — უბასუხა მარკომ და შენახული გაზეთი ხელში მიაჩჩია.

ნიკოლას, რადგან სალამოზე გვიან მოდიოდა სამკითხველოში, „აღკრძალულის“ ხელში ჩაგდების შემთხვევა ჯერ არა ჰქონოდა, ამიტომ პირველად ნახულმა წიგნმა დიდად გააოცა. საჩქაროზედ თვალი გადაავლო ფურცლებს და ჰკითხა:

— შენ წაკითხული გაქვს, მარკო?

— მე?... არა... მე არ ვკითხულობ.

— რადა?

— როგორ თუ რადა?... მე მხოლოდ იმას ვასრულებ, რაც ვიკისრე, წიგნების კითხვა არ მიკისრნია.

— ცნობის-მოყვარეობით მაინც?

— ჩემგან ცნობის-მოყვარეობას არავინა თხოულობს. ჩემი საქმე თვალ-ყურის დევნებაა და მეც ჩემს საქმეს ვასრულებ, მაინც სამკითხველოში იმისთანა გამოცემანი მოდის შეუწყვეტლად, რომელთაც აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ.

— მაშ რიდას სამკითხველოა?

— სამკითხველოს წიგნები ბეჭედ-დაკრულებია და ეს კი — და მარკომ თვალებით ანიშნა ის, რომელიც ნიკოლას ხელში ეჭირა, — ვილასაც მალვით მოაქვს... შენ ხომ მთელი კვირა-დღე აქა ზიხარ, უნდა მომეხმარო.

— იმის მომტანი უნდა დაგაქვინო?—გაკვირვებით ჰკითხა ნიკოლამ.

— მაშ... შენ თვალი მოჰკარ... და მითხარი... მეტს არასაგებოვ.

— მერე რას უზამთ?

— პასუხს ჰაჯი ქრისტო გასცემს... ვეცადოთ, ძმაო, ოსმალებმა სამკითხველო არ დაგვიხურონ... სამწუხარო იქნება, სამწუხარო...

— განა არ ვიცი...—უპასუხებდა ნიკოლაც:—მაგრამ ისიც სამწუხარო იქნებოდა, ასეთი წიგნები რომ მოგვესპოს.

მარკო ამ სიტყვებს კარგად ვერ მიუხვდა ნიკოლას. სამკითხველოს გამგე იმ კაცთა გუნდს ეკუთვნოდა, რომელნიც მაშინ ბოლგარეთში მრავლად იყვნენ და რომელთაც წიგნის კითხვა სრულებით თავისებურად ესმოდათ: ჰკითხულობდნენ იმიტომ, რომ ანბანი და ასოების შეერთება სცოდნოდათ.

— ყური დამიგდე, — უთხრა ნიკოლამ და გატაცებით წაიკითხა „აღკრძალულიდან“ ის ადგილი, სადაც ბოლგარეთში ოსმალების ბატონობის უსამართლობა იყო აწერილი.

— გაიგე?—ჰკითხა ნიკოლამ, როცა გაათავა კითხვა.

— მესმის...—უპასუხა მარკომ.

— ამაზე როდისმე დაფიქრებულხარ?

— არა:

— და თავის ჯღეშიაც ვერ გაიგებდი, მე რომ არ წამეკითხნა?

— ვერ გავიგებდი.

— ახლა ხომ ხედავ, რომ ამისთანა წიგნები სამკითხველოში უნდა იყოს... მართალია თუ არა?

— რა თქმა უნდა, საქიროა... მაგრამ ჰაჯი ქრისტოს რაღა ვუყოთ?

— შენ ნურც ჰაჯი ქრისტო გეკითხება და ნურც ფაშა. ისე უნდა მოახერხო, რომ ფაშამ ვერ გაიგოს და რომელმამე მისმა ჯამუშმა ვერ დაგვაბეზლოს.

— ჰკუთხე ახლოა, — უპასუხა მარკომ.

— ამისთანები ხომ არიან აქ?

— არიან... — სამკითხველოს გამგემ რამდენისამე კაცის სახელი ჩამოსთვალა.

— ეგ კიდევ უკეთესი!.. ჰაჯი ქრისტოს უთხარი, აი სწორედ ისინი გვაპარებენ „აღკრძალულსა“ — თქო.

— კარგი... მაგრამ როგორა ვქნა?.. — დაფიქრდა მარკო.

— შენ იმას კი ნუ ეტყვი — ნამდვილად ასეაო, უთხარი მხოლოდ, რომ მე ასე მგონია — თქო... მართლაც — და, ეს ქკუაზე ახლოს იქნება... შეიძლება, ისინი განგება გვეტრობენ, რა არის, როგორმე შარი მოგვღონ და სამკითხველოზედ ხელი აგვადებინონ.

— ეს კაი აზრია! — უთხრა თითქმის დაბეჯითებით მარკომ.

— ცოდვა არაფერი იქნება, პირდაპირ უთხარ — ასეა — თქო.

— კი, უეჭველად იმათი ოინი უნდა იყვეს.

ამგვარად მარკო ნიკოლას ნათქვამს ღრმად ჩაუფიქრდა და ბოლოს სრულიად დარწმუნდა, „აღკრძალულს“ ბოროტგანზრახულებით ფაშის ჯამუშები აპარებენ სამკითხველოშიო. ჰაჯი ქრისტოს შეხვდა თუ არა, მაშინათვე ის უთხრა, აღკრძალული წიგნები ფაშის ჯამუშებს მოაქეთო, და ზოგიერთება დაუსახელა კიდევცა.

— აა!.. — გაიკვირვა ქრისტომ, დაფიქრდა, და ცუტა ხანს შემდეგ წარმოსთქვა: — ჰმ...

— ალბად ორმოს იმიტომ გვითხრიან, რომ სამკითხველო დაგვიხურონ, — განუმარტა მარკომ.

— კარგი და, როგორ უნდა მოვიქცეთ? ...

— სამკითხველოში ნუ შემოვუშვებთ.

— არა, ეგ არ იქნება; ისე კი უნდა მოვახერხოთ; რომ ამისთანა წიგნები, მოიტანონ თუ არა, მაშინვე დავმალოთ, თუ ვინცოთაა ზაფთიებმა (ქანდარმებმა) სამკითხველო გავვიჩხრაკეს, ხელში საბუთი არ მივსცეთ. გაიგე?

— გავიგე, — უპასუხა მარკომ.

— მეც სულ მუდამ ასე ვიქცეოდი... წიგნები, საზოგადოდ, კვირაობით მოჰქონდათ და სალამოზე, მილაგების დროს, დაინახავდი თუ არა, მაშინათვე ცეცხლში ვუკრავდი თავსა.

— სალამომდეც არ უნდა დაუცადო: ძვალის მოჰკრა თუ არა, მაშინათვე შიგ ცეცხლში შეუძახე.

— რომ...— დაიწყა მარკომ.

— რა?

— რომ მხოლოდ გადაეყარა?

— რაც გინდა, ის უყავი; მხოლოდ რაიმე ხათხალა არ გადაგვაცვა თავზედ.

ამ გვარად, სამკითხველოს გამგე სრულის უფლებით შეიმოსა და შეეძლო ყოველგვარ სიფრთხილის ღონე ეხმარა. ამის შემდეგ გულისწმინდით რჩევისათვის ნიკოლას მიჰმართა. ნიკოლამაც ყველაფერი სტოიანს უთხრა.

სტოიანს ამისთანა გამოცემანი ჯერ კიდევ ბუქარესტში არა ერთხელ წაეკითხა; იქ მათს კითხვას არავინ უშლიდა, ამიტომ აღკრძალულ ხილის ყოველივე მიმზიდველობა დაკარგული ჰქონდა და მათი მკითხველიც გულდამშვიდებულია. ნიკოლა კი თვის ხელმძღვანელს აღტაცებით უამბობდა, თუ რა ღვიად ასიამოვნა „აღკრძალულის“ კითხვამ.

სტოიანი ეთანხმებოდა; წიგნებში, რომელიც აქ აღკრძალული იყო, ბევრს მართალსა ჰხედავდა, მაგრამ ყოველსავე ამას, დაახლოვებით, ისე უყურებდა, როგორც მუსიკის მოყვარე არაერთხელ გაგონილ ოპერის წარმოდგენას.

— დიად, — უპასუხა სტოიანმა, — ყოველივე ეს მართალია და კარგად დაწერილია.

— ამის შემდეგ, ამისთანა წიგნის დაწვა განა შეიძლება?

— მერე ვინა სწვამს?

— ჰაჯი ქრისტომ მარკოს უბრძანა, — დასწვიან სადაც გინდა, იქ გადაყარე! მე კი ამისთანა გახეთქებს ოქროს ჩარჩოში ჩავსვამდი და იმათს მომტანს კიდევ დიდად დავაჯილდოვებდი.

— ხომ არ იცი, ვის მოაქვს?

— არ ვიცი; ვინმე ყოჩაღს თუ გამოჰუვა ხელიდან მაგის-
თანა საქმე. — სტოიანი ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მიხვდა, რაღაც
მალული მოძრაობა არისო, და ხელახლა გაეღვიძა ის წყურ-
ვილი, რომელიც ჯერ ისევ ყმაწვილობაში დაებადა და რო-
მელიც აქამდე ვერ მოეკლა. მიხვდა, აღკრძალული გამოცემა-
ნი რუშჩუკში კონტრაბანდით შემოაქეთო, მაგრამ იმ კონტრა-
ბანდით კი არა, რომლისგანაც მისნი მიმდევარნი გამორჩენას,
სარტყას მოელიანო. სურვილი აღეძრა, ოსმალოს წინააღმდეგ
შეთქმულების თანაზიარნი ეპოვნა. ამის მიზეზი უბრალო-ცო-
ბის-მოყვარეობა როდი ყოფილა, — უნდოდა ხელი გაემართნა
მათთვის და დახმარება აღმოეჩინა.

ნიკოლასაც უნდოდა შეთქმულების კვალისათვის მიეგნო,
მაგრამ მისს სურვილს ცოტა სხვა სარჩული ედო. იგი მათში
გარევეს კი არა ფიქრობდა, მხოლოდ უნდოდა სამკითხველო-
ში აღკრძალულ გამოცემათა მომტანისათვის მადლობა გამოე-
ცხადებინა; ამისთანა კაცი, მისის წარმოდგენით, გმირის სახი-
სა უნდა ყოფილიყო, მარტო იმისთვის კი არა, რომ სამკით-
ხველოში გაზეთები და წიგნები მოჰქონდა, იმისთვის, რომ ასე
ოსტატურად მიჰყავდა საქმე და ოსმალოების დარაჯების გა-
ცურების უნარს იჩენდა. ნეტავი, როგორ ახერხებს? ალბად,
წიგნებისთვის რო მიდის, თავით-ფეხებამდე იარაღშია ჩამჯდარიო;
რა თქმა უნდა, სატყვარიც ექმნება, დამბაჩაცა, ფიშტოცა; ვინ
იცის, რამდენჯერ ჩავარდება განსაცდელში, ვინ იცის; ხანდის-
ხან იძულებულია კიდევ — მტერს შესაფერი ჰასუხი გასცეს...
ნიკოლას უნდოდა ყველაფერი შეეტყო, რომ გმირის წინაშე
მოწიწებით მუხლი მოედრიკა და თავიანი ეცა. მოაგონდა სცევო-
ლა, რომლის ამბავი ერთს წიგნში აღმოიკითხა; უცნობი გმი-
რი, უქველია, იმასავით არ დაზოგავს თვისს ხელს დასაწვა-
ვად, თუ ვინცობაა დარაჯებს ხელში ჩაუვარდა.

ამ სახით, თუმცა ორივეს სხვა-და-სხვა მიზეზი ამოქმედებ-
და, სტოიანსაც და ნიკოლასაც ერთი და იგივე სურვილი დაე-
ბადათ, და თვალყურის დევნება დაიწყეს. ეს სურვილიც ჩქარა
განუხორციელდათ; რამდენსამე ხანში წადილს ეწივნენ და

ჩრვიემი ერთსა და იმავე დროს მისწორეს დამნაშავეს: ის იყო, სამკითხველოში ხალხი გროვდებოდა, სტოიანი და ნიკოლა კი ერთად ისხდნენ და გულდადებით შინჯავდნენ შემომსვლელთა ჩქარა შენიშნეს კიდევ, რომ ერთმა სახელოდან გაზეთი გამოაცოცა და მაგიდაზე დაყრილ გაზეთებს ქვეშ ამოსდო, შემდეგ იმ ადგილს გაეცალა და შორს დაჯდა. ნიკოლამ სტოიანს იდაყვი წაჰკრა და ყურში ჩასჩურჩულა:

— ამისგან კი მიკვირს, აი!

სტოიანმა მხრები შეიშმუშნა.

ნიკოლა სრულებით არ მოელოდდა, თუ მისის წარმოდგენის-მიერ დახატული გმირი ასეთი ბეჩავის სახისა იქმნებოდა! გარეგნობით იოტის ოდენა ვაჟკაცობა არ ეტყობოდა; შშვიდი, ჩუმი, მასთან ცოტა კოკლი, სტანკო რადოვი, სამოქალაქო სკოლაში უმცროს მასწავლებლის თანამდებობის აღმასრულებელი, ერთბაშად ის დამნაშავე კი გამოდგა, რომელსაც ნიკოლა ისეთს აღტაცებაში მოჰყავდა.

„რა თქმა უნდა, — გაიფიქრა ნიკოლამ, — ეს დუნაის იქით მხარეს წასვლას და ოსმალოებთან ბრძოლას თავის დღეში ვერ გაჰბედავს, არც ხელს დაიწვავსო“.

— ყელაფერს მოვიფიქრებდი და იმას კი ვერა, თუ სტანკო ამას გაჰბედავდა, — ჩასჩურჩულა ნიკოლამ ყურში სტოიანს.

— რატომ? — ჰკითხა სტოიანმა.

— ბეტად ბეჩავი რამ არის.

— მართალია, გარეგნობით გლახასა ჰგავს, მაგრამ მეტად ძლიერის სულის პატრონია.

— შეიძლება, — უბასუხა ნიკოლამ და ახლა სტანკო სულ სხვანაირი ეჩვენა. ყმაწვილ კაცის მკვირცხლ გონებას ერთს წუთში იგივე საგანი სხვა-და-სხვა სახით წარმოუდგა, იმის-და-მისხედვით, თუ რა წრებედ დააყენებდა გარეშე რამ გარემოება ახლაც: ასე მოხდა: საცოდავი მასწავლებელი სულ სხვანაირი ეჩვენა. სტანკო ვერაფერს ამჩნევდა, წაიკითხა გაზეთები, იქ მყოფთ ქვეშ-ქვეშ შეჰხედდა და მალე გავიდა კიდევცა.

— მოდი, დავედევნოთ! — წასჩურჩულა ნიკოლამ სტოიანს..
ორივენი ერთად წამოდგნენ და სტანკოს მალე მოეწივნენ, რა-
დგან ყმაწვილი კაცი არა ჩქარობდა. სტოიანი მიესალმა, ნი-
კოლამ პირდაპირ უთხრა:

— სტანკო, შენ გმირი ხარ!

— მე?! — ჰკითხა გაკვირვებით სტანკომ.

— შენა, მაშ... შენ ღუნაის იქით დადიხარ!

— ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არა ვყოფილვარ ღუ-
ნაის იქით.

— სამკითხველოში რომ წიგნები დაგაქვს, საიდან ეზიდე-
ბი, თუ არ იქიდან?

ამ სიტყვებში სტანკო არია; შეჰხედა ნიკოლას და ჰკითხა:

— შენ შემნიშნე თუ?

— ორივემ შეგნიშნეთ.

— რაზან აგრეა... დღეის იქით გაზეთს აღარ მოვიტან.

გმირი უცბად დამცირდა ნიკოლას ფიქრით. სტოიანი ამ
საქმეს სულ სხვანაირად უყურებდა; ლაპარაკში ისიც ჩაერია.

— ჩვენ იმიტომ კი არ გითვალთვალებდით, რომ შენი
დაწყებული საქმე შესწყვიტო, არა, ჩვენც გვინდა დაგეხმა-
როთ... ხომ ხედავ, მარტო რომ არ ყოფილიყავ, ვერც დავი-
ქვრდნენ, ჩვენ კი დავფარავთ, და, როცა საჭირო იქმნება, მო-
გეხმარებით კიდევცა...

— დაგეხმარებით! — გატაცებით წამოიძახა ნიკოლამ.

— ჩუმაღ! — უთხრა სტანკომ: — ქუჩაში ნუ ჰყვირი.

— სსს... — განხმორა ნიკოლამ და პირზე ხელი მიიღო.

— ჩემთან წავიდეთ, — სთქვა სტოიანმა. — ცალკე ოთახი მი-
ჭირავს... იქ თავისუფლად შეგვიძლია ვილაპარაკოთ.

სტოიანი ჰაჯი ქრისტოს სახლში ცხოვრობდა, ბოლოგარე-
ლების უბანში, ქალაქ განაპირას. ჰაჯი ქრისტოს სახლს ქუ-
ჩის გაყოლებად დიდს სიგრძეზე ეჭირა ადგილი. სახლს ვრცე-
ლი და რიგიანად მოვლილი ბალი ჰქონდა მიკრული, ხეხილე-
ბით სავსე. შიგ ისეთი ალუბალი, ქლიავი, ვაშლი და მსხალი
მწიფდებოდა, რომ თვით ხონთქარის ცოლნიც კი არ დაიწუ-

ნებდნენ, ნუში და ბროწეულიც იყო. ხეები უწყესრიგოდ იზრდებოდა, — უფრო ჩეროიან ქალას აგონებდა კაცს; წინ კიდევ მწვანით მოსილი მინდორი ყვავილებით აჭრელებულიყო. ყვავილები ბევრნაირი ეთესა, ვარდის ბუჩქებიც ერია ყვავილებში. ბოლგარეთი ვარდების სამშობლოდ ითვლება: ვარდსავით არც ერთს ყვავილს არ უვლიან, და, სხვათაშორის, ვარდი ერთი წყაროა სიმდიდრისა. ყვავილების კვლებსა და ხეებს შორის ბლომად იყო ვიწრო ბილიკები, საიდანაც კაცი პირდაპირ ვაზების ტალავრებში შედიოდა. ერთი ტალავერი ბაღში შესავალთან ახლო იყო. მეორე კიდევ — მეორე მხარეს. ხეები, ტალავრები, ბუჩქები ჰფარავდნენ საიდუმლო გასავლელებს და გასაქცევებს, რომლებსაც ბოლგარები ოსმალოთა პატრონობის დროს თავიანთს სახლებში იკეთებდნენ. ჰაჯი ქრისტოს ხის ორ-სართულიან სახლს კარი მაღალ ქვეთკირის კედლით შემოაზღუდულ ეზოდანა ჰქონდა. მთელ ეზოში ერთიმეორეზე მიშენებული იყო ბეღლები, ხულები, ფარდულები, თავლები და გამურები, სადაც ცხენი, ძროხა და ღორი ისე ემწყვდია, რომ ერთბაშად კაცი ვერც კი შეამჩნევდა. ეზოს ერთს კუთხეში არაყის სახდელი ქვაბები იდგა.

სახლის ქვედა სართულში სამხარეულო და საკუჭნავეობი იყო; ზედაში — ათამდე ოთახი, ლაბირინთოს მსგავსად გამწყკრივებულები, და მარტო შინაურებმა თუ იცოდნენ, რომელი ოთახი სად იყო. ყველა კედლებს შიგნიდან განჯინები ჰქონდა დატანებული, ხოლო ოთახების გაერთებულ კარები, აგრედვე განჯინებისაც, დაფარულები იყო. ვინც არ იცოდა, რომელი ოთახი სად იყო, კიბეზე აღიოდა, კიბიდან აივანზედ ამოჰყოფდა თავს და იქიდან კიდევ ვრცელს, ექვს ფანჯრიან, მუსოფარდიქად წოდებულ ოთახში შედიოდა. აქ, ჩვეულებრივ, სტუმრებს იღებდნენ, იატაკზე ნახი ეფინა, კედლების ირგვლივ რბილი, განიერი, აბრეშუმ-გადაკრული ტახტები იდგა. ფანჯრებზე ძვირფასი ფარდები ეკიდა, კარები მშვენიერის ხელობის ნახარატევით იყო აჭრელებული. ყოველივე სახლის პატრონის სიმდიდრეს ჰმოწმობდა.

სტოიანმა სტუმრები მუსოფირლიქში არ შეიყვანა. ეზოში შევიდა თუ არა, გაჩერდა და თითქოს თავის თავს უთხრაო — კედლებს ყურები ასხია.

ოღონდაც, რო კედლებს ყურები ასხია და ფანჯრებს კედლე თვალები; ამის საბუთიც თვალ-წინ წარმოუდგა. სტოიანმა მიიხედ-მოიხედა და მაშინვე დაინახა, რომ ერთ ფანჯრიდან ქალი გადმოსჩერებოდა; მან თავი დაუყრა, ხოლო ქალმა იმ ღიმილით გაუღიმა, რომელსაც საშინელი მიმზიდველი ძალა აქვს ხოლმე: ამ ღიმილის შედეგიც ის იყო, რომ სტანკომა და ნიკოლამ თვალი ვერ მოაშორეს და პირი დააღეს. მოკრძალებული მასწავლებელი ანბანისა და გატაცებული ნამწყემსარი, ახლა კი დერციკი, გონება დაკარგულები იდგნენ და, თითქოს თვალები დაუბნელდათო, თავის-თავისთვის ანგარიში ვერ მიეცათ, საიდან გამოტყვრა ეს მოჩვენებაო. შესტკეროდნენ და სტოიანის ნათქვამი, მგონი, ვერც კი გაუგონიათ:

— ბალში შეიძლება?

— შეიძლება, — გადმოსძახა ქალმა. სტანკოსა და ნიკოლას რალაც ზეციურ ჰანგად ჩაესმათ ყურში ქალის ხმა.

— შიგ ხომ არავენაა? — ჰკითხა სტოიანმა.

— მგონი არავენაა, — გაიწკრიალა ზარის მსგავსმა ხმამ.

— წავიდეთ! — უთხრა ამხანაგებს სტოიანმა.

სამივენი ბალისაკენ გაემართნენ. ბალის შესავალთან ნიკოლა მიბრუნდა და ფანჯარისკენ ხელ-ახლა მიიხედა, მაგრამ ჩარჩოების მეტი არაფერი დაინახა.

სტოიანმა სტუმრები ტალავერთან მიიყვანა დასვა, ჯერ თამბაქო და პაპიროსის ქალაღლი შესთავაზა და მერე დაიწყო.

— აქ თავისუფლად შეგვიძლიან ვილაპარაკოთ... აბა, სტანკო, რას იტყვი?

— რა უნდა ვსთქვა? — იკითხა მასწავლებელმა.

— ჩვენ შენი თანაშემწენი ვიქმნებით.

— ჩემის ფიქრით, უკეთესი იქმნებოდა, ჩემი მაგიერობა გეკისრნათ.

— როგორ?

— აი როგორ; იშოვნეთ, დაატარეთ, დაარიგეთ; მე კი სხვა საქმეს დავადგები.

— ძალიან კარგი, — უპასუხა სტოიანმა.

— თუ ძალიან კარგია, მეტი სალაპარაკო არაფერი გვაქვს.

— გვითხარდი, საიდან ვიშოვოთ.

— ჰო... ეგ კი ჯერ მე თვითონ უნდა შევიტყო და ვიკითხო... ეგ ხომ ჩემზედ არ არის დამოკიდებული.

— მა ვიზნა?

— მაგას კი ვერ გეტყვია.

— ნუ ჰმალავ! — ეუბნებოდა სტოიანი.

— არა, არა! — შეაყენა სტანკომ: — არც თქვენ, არც ვინმე სხვას, არც მეგობრობით, არც შინით ოსმალებს, თუნდაც გაღვივებულს ნაკვერჩხლებზე მომხრაკონ... არავის ვეტყვი. პირობა მივეცი, და პირობა ხომ წმიდა რამეა.

მეტად სადად, დამშვიდებით ლაპარაკობდა, თითქოს საქმე გაღვივებულ ნაკვერჩხლებს სრულებით არ ეხებოდა და თითქო ნაკვერჩხლებზე ჯდომასა და ტალავერის ქვეშ ჯდომას შორის მხოლოდ ცოტა განსხვავებააო.

— ჰო, პირობა მიმიცია, — განიმეორა მასწავლებელმა.

— ჯვარზე ხომ არ დაგიფიცნია? — ჰკითხა სტოიანმა.

— არა, სიტყვა მიმიცია, მორჩა და გათავდა... მკითხეს: „არ იტყვი?“ — მეტი არაფერი... მაგრამ... — უნდა და განეგრძო და ერთბაშად შეჩერდა. — ტალავერში სწორედ ის ქალი შემოვიდა, რომელიც ფანჯარასთან დაინახა, ხელით ლანგარი მოჰქონდა, ზედ ბროლის სამურაბეები, ლამბაქები და ქიქები იდგა, სამურაბეებში შურაბა იყო, ლამბაქებზე ვერცხლის კოვზები ეწყო, ქიქებში კიდევ წყალი იდგა.

ქალი მასწავლებელს მიუახლოვდა და უთხრა:

— ზაფამ (გთხოვთ).

ეს სიტყვა რუმინულია, ფრანგულად ითარგმნების: „S'il vous plait;“ უნგარულად — „Teszek“; პოლონურად — „Proszę“. ქალის თხოვნაზე მასწავლებელმა კოვზით მურაბა აიღო, პირში ჩაიღწა,

წყალი დააყოლა და ჭიქა ისევ ლანგარზე დასდო. ქალი ნიკოლასთანაც მივიდა. ნიკოლამ აიღო კოვზი, ჩაჰყო სამურაბეში, მაგრამ უკანვე ვერ ამოიღო. ასწევდა კოვზს თუ არა, სამურაბე და მურაბა ორივე ერთად კოვზს აჰყვებოდა. სცადა ერთხელ, სცადა მეორეჯერ, ბოლოს ილაჯი გაუწყდა და კოვზს ისე აჰკრა, რომ სამურაბე მურაბიანად ლანგრიდან გადმოათრია. სამურაბე, ბოლოს, კოვზს მოშორდა და მიწაზე ტყაპანი კი მოიღო. რა თქმა უნდა, დაიმსხვრა, ნატეხები აქეთ-იქით გაიფანტა და მიწაზე შარბათის თეთრი გუნდა დარჩა.

პირველში ნიკოლამ თვითონაც არ იცოდა, რა ექმნა, მერე მწარედ ამოიოხრა, დაიხარა, შარბათს ორივე ხელი ჩასჭიდა და ყოყმანში იყო, — არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— **ზარან ფაქ!** (არაფერია, ნუ სწუხდებით)! — ანუგეშა ახალგაზდა ქალმა, მის წინ მდგომარემ, და „ტკბილი“ ხელახლა გაუწოდა.

— **ზოფიმი.**

ამით უნდოდა მიეხვედრებინა და სხვა მურაბა აელებინებინა. მაგრამ ნიკოლას ეს არ შეეძლო, ჯერ იმიტომ, რომ მეტად შერცხვა და გარდა ამისა, ხელში საბედისწერო შარბათი ეჭირა.

— **ზარან ფაქ!** — ნუგეშს აძლევდა ქალი, მაგრამ ამ ნუგეშს ახალგაზდა კაცი უხერხულ მდგომარეობისაგან ვერგამოჰყავდა.

— დააგდე და! — მოუბრუნდა სტოიანი.

ნიკოლაზე ვერც მეგობრის რჩევამ იმოქმედა: ეგონა — „ტკბილი“ ისევ ლანგარზე უნდა დავდოვო. და ეს ისე ჩქარა მოახერხა, რომ ქალმა ვერც კი მოასწრო დაეშალა, და შარბათის გუნდა იმავე ადგილას მოექცა, სადაც ცოტა ხანს წინად სამურაბე იდგა. ქალმა გაიღიმა, ნიკოლას ისევ მოუბრუნდა და განუმეორა:

— **ზოფიმი.**

— არა, ახლა კი არ მინდა... — უთხრა ნიკოლამ, და შარბათში ამოგანგლულ თითებს ლოკვა დაუწყო. — წყალს კი დავლევ;

რაიცა შეეხება სამურაბეს... ფიქრი ნუ გაქვს: ეს ჩემი საქმეა.
—მერე წყალი დალია, და თითქმის თავისთვისა სთქვა:

— აი ბიჭობაც ასეთი უნდა! ეშმაკსაც წაუღია ეგ ჭაღაც
„ტკბილია“, რომელსაც კოვზი ზედ ეყინება... არა უშავს-რა,
მეორედ ჭკუას ვისწავლი.

ქალმა ლანგარი სტოიანს გაუწოდა; თვისი საქმე ყველა-
ზე მარჯვედ ამან შეასრულა.

— ყავა?—ჭკითხა ქალმა.

— დიდად დაგვავალებთ,—უპასუხა სტოიანმა.

ქალი წავიდა. ნიკოლამ მწარედ ამოიოხრა.

— ამან, ამან!..—ძახდა ნიკოლა,—ი ქალთან მაინც არ
მეკვამა სირცხვილი, თორემ სხვას ვინა სჩივის!

— დიდი რამ მომხდარა!..—უპასუხა სტოიანმა.

— რას იფიქრებს? არ იტყვის, გაუთლელი ყოფილაო?!

— ნეტავი შენ... რაც უნდა, ისა სთქვას!

— რა ლამაზია!..

მართლაც ეს ქალი, ასე იტყოდით, ღმერთს იმიტომ გა-
უჩენია, რომ მისს მჭვრეტელს სამოთხის ნეტარება აგრძნობი-
ნოსო. ბოლგარელი ქალები, საზოგადოდ, ლამაზები არიან,—
ის კი ლამაზთა დედოფალი იყო. იმისს გარეგნობას იოტის
ოდენა კილსაც ვერ უპოვიდა კაცი: ვერც მისს იის ფერ თვალებს,
ვერც ვერცხლის ფერ ბრწყინვალე თმის მსხვილ ნაწნავებს, სახის
ნაქვთებს, ვერც ცოტაოდენად გადასხვაფერებულ ოსმალურ
ტანისამოსის ქვეშ დამალულ ტანადობას. ფერად ზოლებიანი
აბრეშუმის მსუბუქი შარვალი ეცვა; წელსა და ბეჭებს აბრე-
შუმის სარტყლით შემოჭერილი ხალათი უფარავდა. ეს ტანი-
სამოსი მშვენივრად ადგა და ლამაზად აჩენდა მისს ტანადობას.
მისს საოცარს შვენებას ზედ აღნებოდა აბრეშუმის ტანსაცმე-
ლის ნაოჭები.

— რა ლამაზია!—აღტაცებით ამბობდა ნიკოლა და თან
თითებს ილოკავდა.—ამისთანა ლამაზ ქალის მნახველი ჯერ
არა ვარ; ნეტავ ვინ არის?

— ქალი-შვილია,—უპასუხა სტოიანმა.

— ვისი? —
 — ჰაჯი ქრისტოსი.
 — სახელი... სახელი რაღა ჰქვია?
 — ილენკა.
 — ხონთქარმა რო ნახოს, იმასაც კი მოეწონებოდა.
 — რა თქმა უნდა, — ჩაილაპარაკა სტანკომ.
 — ღმერთო, რა ლამაზია! თუ ძმა ხარ, ამ სამურაბესაბრის
 ნუ შესწუხდება... იმისი ბრალი არ არის.

ნიკოლას, იქნება, სულ ამ კილოზე გაება ლაპარაკი, მაგრამ სტანკომ სიტყვა გააწვეტინა.

— მაშ მე ისე ვეტყვი, რომ ყველაფერს თქვენა ჰკისრულობთ. ძალიან კარგი. ამისთანაში გარევა ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ რა მექნა, სხვა არავინ იყო, და მეც მოვკიდე ხელი. ჩემის სამშობლოს გულისთვის მზადა ვარ ყოველივე ვიკისრო; მაგრამ მე თუკი ჩემ სიცოცხლეს ფასსა ვსდებ, თქვენ კი, — ჰკითხა სტანკომ, — მზადა ხართ, სიცოცხლე უასწიროთ?

— მზათა ვარ, — უპასუხა სტოიანმა: — თავის დადება არ მეძნელება.

— მეცა! — წამოიძახა ნიკოლამ.
 — მაშ თქვენს შესახებ ყოველიფერს ვეტყვი და მერმე თქვენც გაცნობებთ, მანამდე კი ერთ-ერთს თქვენგანს სამკითხველოსთვის დანიშნულ წიგნებსა და გაზეთებს გადმოგცემთ.

— მე გადმომეცი! — წამოიძახა ნიკოლამ.
 — ჩემთვის სულ ერთია, — უპასუხა სტანკომ.
 — მაშ სალამ-სალამობით შენთან შემოვივლი ხოლმე.
 — კვირაში ორჯელს ოთხშაბათობით და შაბათობით. გაგიგე?

— აქ გაუგებარე რა არის! მხოლოდ დახსნიება უნდა: ოთხშაბათი, შაბათი, ოთხშაბათი, შაბათი... — იმეორებდა ნიკოლა თავისთვის.

ილენკის სილაჟაზე ნიკოლას, შესაძლოა, ისე არცკი მოსწონებოდა, რომ ბროლის სამურაბე არ შემოსტეხოდა; ამ სამურაბეს ვამო წამლაუწუმ ის ქალი ედგა თვალ-წინ. ზოგჯერ სულ მცირე შემთხვევა დიდის, საქმის მიზეზია ხოლომე. სამურაბის გატეხის შედეგი დიდ ამბად არამც და არამც არ ჩაითვლებოდა ვსაკვირველი და შეუძლებელი არა მომხდარა-რა. ლამაზი ქალი ახალგაზდა კაცს ძალიან მოეწონა, და იმ შემთხვევაში კიდევ უფრო ფრთხილად შეასხა მისს გრძნობას.

— სამურაბე მე გავტეხე, — იმეორებდა თავისთვის ნიკოლა: — ამით ვაწყენინე... იმ ქალს!...

იმ ქალს, „ეს ქალი“: ასე განურკვეველის სიტყვებით ხშირად იგონებს ყმაწვილ კაცი ქალს, — ეს პირდაპირ იმის ნიშანია, რომ აღბად ის ქალი ისეთი არსება ყოფილა, რომელსაც ყმაწვილ კაცის გული ჯერ თუ სრულიად არ შეუპყრია, ყოველ შემთხვევაში, შეპყრობა შეუძლია.

— ის ქალი... ოჰ...

დერციკის სახელონროში მუშაობდეს დროს ეს ნაცვალ-სახელი ნიკოლას მოსვენებას არ აძლევდა. მაგრამ პირველში იმისის ფიქრის საგანი სამურაბე იყო. იმდენს ფულს იგებდა, რომ ყოველ თთვე ათ-ათის ყურყურს (ათრს შაურის) გადადებდა შეეძლო. იანგარიშა თვისი ფული და ხუთი მანეთი აღმოაჩნდა. ეს ფული ტანისამოსის სასყიდლოდა ჰქონდა შენახული.

— რა დროს ტანისამოსია!.. — ეუბნებოდა თავის თავს: — ტანისამოსი არსად გამეჩქევა. ახლა კი ჩემი ფული სამურაბეს ყიდვას უნდა მოვანხარო. გატეხილი სამურაბე სულ თვალ-წინ ედგა დარწმუნებული ვარ, ჭურჭლის მაღაზიაში იმის მსგავსს ადვილად ვიყიდო. შუადღისას ოსტატი მუშებს ერთის საათით ითხოვდა. ნიკოლამ დრო იხელთა და მაშინვე დუქანში გაიქცა.

— სამურაბე გაქვს?

ვაჰარმა ათვალა იერა და ჰკითხა: — შენთვის გინდა?

— არა, გამიტყდა და მაგიერი უნდა ვიყიდო.

— როგორი გინდა?

— რა ვიცი... ლამაზი უნდა იყოს.

ვაჭარმა უბრალო მინის სამურაბე აჩვენა.

— არა, მაგისთანა არ მინდა, — ეუბნებოდა ნიკოლა.

ვაჭარმა ფერადი სამურაბეები უჩვენა: მწვანე, ცის-ფერი, ვარდის ფერი; მაგრამ ნიკოლა ერთსა და იგივეს გაიძახოდა: — არა, მაგისთანა არა!

— ბროლისა ხომ არ გინდა? — ჰკითხა, ცოტა არ იყოს, გაჯაფრებით ვაჭარმა.

— ალბად ბროლისა იყო, — უპასუხა ნიკოლამ.

— ფული რამდენი გაქვს?

— ორმოც და ათი ყურუში.

— მაშ წადი და დანარჩენი ორმოც და ათიც მოიტანე და მაშინ ვივაჭროთ.

რამდენი დუქანიც არ დაიარა, ყველადან ხელ-ცალიერი გამოვიდა. ერთს ალაგას აჩვენეს გატეხილ სამურაბეზე ძალიან მისგავსებული სამურაბე, მაგრამ სამოც და ხუთი ყურუში სთხოვეს. შეიძლება, ვაჭარს დაეკლო, მაგრამ ნიკოლა დარწმუნებული არ იყო, სწორედ გატეხილისთანა გამოდგებოდა თუ არა, ამიტომ ყიდვას ვერა ჰბედავდა. ძალიან-კი დაღონდა. თავის-თავს უსაყვედურა — რატომ ნატეხები არ ავკრიბეო: ახლა სხვებს შეეუდარებდი მაინცაო; დადიოდა თავჩალუნული და ხან სამურაბეზედა ჰფიქრობდა და ხან ქალზედა.

ამასობაში მეორე კვირას აი რა მოხდა: როცა ახალ-გაზა და-კაცი, ჩვეულებისამებრ, სამკითხველოში იჯდა, მოვიდა სტოიანი, გვერდთ მოუჯდა და წასჩურჩულა:

— სტანკოსთან იყავი?

— ღმერთო, მომკალ, სულ გადამავიწყდა! — უპასუხა ნიკოლამ.

— აკი ესთქვი!

— ღმერთმანი, არ ვიცი, როგორ დამემართა! — სრულიად დამავიწყდა.

— გუშინ ხომ შაბათი იყო?

— ჰო... შაბათი, ოთხშაბათი, შაბათი... ოთხშაბათი, შაბათი... დამავიწყდა... სალამოზე წავალ.

— მერე რა იცი, სახლში დაგხვდება?

— ჩემის თავისა ვერა გამიგია-რა, როგორ დამავიწყდა?— მერე ხმა უფრო დაიმდაბლა და ჰკითხა:— ილენკა როგორ არის?

— როგორ უნდა იყოს?— დაეკითხა, ცოტა არ იყოს, გაკვირვებით სტოიანი.

— მიწყრება განა?

— რისთვის უნდა გიწყრებოდეს?

— ის სამურაბე რომ გავტეხე!

— ნეტავი შენ!..— დაამშვიდა სტოიანი.

ნიკოლამ ამოიოხრა. ცოტა ხანს შემდეგ ისევა ჰკითხა:

— ამის ნახვა ხომ შეიძლება?

— რატომ!

რამდენსამე წუთს უკან სამკითხველოდან გამოვიდა და პირდაპირ ჰაჯი ქრისტოს სახლისაკენ გაემართა. ეზოში რო შვეილა, თვითონაც არ იცოდა, როგორ მოეხერხებინა ქალის ნახვა. იმის იღბალზე, მოსამსახურე გოგო გამოვიდა და ამანაცა სთხოვა, ილენკა გამოიმხმეო.

— რად გინდა?— ჰკითხა გოგომ.

— სათქმელი მაქვს რამე.

— რა?

— ბროლის სამურაბესი.

— აი მანდეთკენ წადი!— უთხრა გოგომ და კარი უჩვენა ნა,— წავალ და მოვახსენებ.

ოთახში, სადაც ნიკოლა შვეილა, ტახტებს გარდა, სხვა არავითარი სამკაული არ იყო. ეს ოთახი სამუსაიფოდ იყო დანიშნულად; თუ უბრალო კაცი მოვიდოდა, ჰაჯი ქრისტოსთან საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად, აქ შემოჰყავდათ. ჰაჯი ქრისტოს ცოლიც ვაქარ ქალსა და კაცს აქ ურიგდებოდა. ასე რომ, ეს ოთახი უფრო მისაღები ოთახი იყო. გოგოს ნიკოლა ქურჭლის დუქნის ნოქარე ეგონა; ალბად, ილენკას მოუხშია

სავაჭროზე მოსალაპარაკებლად, და ამიტომ! ეს ოთახი უჩვე-
ნა. ნიკოლა, ის იყო, ტახტზე ჩამოჯდა და ამ დროს ილენ-
კაც შემოვიდა. ყმაწვილი კაცი ადგა.

— ააა!... — ცოტა გაცეებით წარმოსთქვა ქალმა.

— მოვედი, — დაიწყო ნიკოლამ...

— გამარჯობა!

— მხოლოდ ერთის წუთით შეველ საქმისათვის...

— რა საქმისათვის?

— რა და... — ლულულულით განაგრძო, — სამურაბე...

— სამურაბე? — მაშინ რომ გასტეხე, ისა?

— დიად! მინდა გკითხოთ: იმისი ცალი ხომ არა გაქვთ?

— გვაქვს, — უპასუხა ქალმა, ცოტა პრ იყოს; გაკვირვე-
ბით!

— სწორედ იმისთანა?

— დიად.

— არ შეიძლება, მაჩვენოთ?

ქალმა გაცეებით შეჰხედა და მერე უპასუხა:

— კარგი... ცოტა დაიცადე, „ტკბილსა“ და წყალს შე-
მოვიტან... და მაშინა ჰნახავ.

— არა, — უთხრა ნიკოლამ. — არც „ტკბილი“ მინდა და
არცა წყალი; მხოლოდ სამურაბე მინდა ვნახო, რომ სხვანაი-
რი არ ვიყიდო.

— რა ძალიან მოგწონებია ის სამურაბე?

— სამურაბე სრულიადაც არ მომწონებია და არც იმი-

ტომ ვყიდულობ.

— მაშ, რისთვის?

— არ მინდა, ზარალი ჰნახოთ. მე გავტეხე, — მაშასადამე,
მევე უნდა ვიყიდო.

— ნეტავი შენ! — უთხრა ილენკამ. — რა დროს ეგაა?

— ხომ მე გავტეხე?

— მარტო შენ ხომ არ გაგიტეხია?

— მაშ, სხვა ვინ იყო?

— ორივემ... მე და შენ, ჩვენ ერთად....

— „მე და შენ, ჩვენ ერთად!“ — განიმეორა ახალგაზღდა კაცმა, თითქოს ამ სიტყვების შეხამება ეუცხოვო.

— ორივემ გავტეხეთ, — დაასრულა ილენკამ.

— არა! — უპასუხა ნიკოლამ.

— როცა სამურაბეს კოვზს მალლა ასწიე, მე უნდა ვამეფურთხილებინე; თუ მკითხავ, შენზე მეტი დამნაშავე მე ვარ.

— რა ბრძანებაა, — უთხრა ნიკოლამ, — თქვენა სცდებით... მე გავტეხე და მევე უნდა ვიყილო; ამას სამართლიანობა მოიყბოვს, მოვალე ვარ.

— მოვალე? — განიმეორა ქალმა და დაფიქრა. — შენ უმაგი-სოდაც გაქვს მოვალეობა: ბოლგარეთს ემსახურე — აი შენი მფალეობა!

— ეჰე! — წამოიძახა ნიკოლამ. — ეგ აქ რა მოსატანი იყო?

— შენი ამბავი ყველაფერი მიაშო სტოიანმა. ამიტომ, ჩემის აზრით, სამურაბესათვის ზრუნვა შენი საქმე არ არის. შემდეგეთან (სამშობლოსთან) შედარებით სამურაბე რა სახსენებელია!

— ოღონდაც, ოღონდაც, — განიმეორა ნიკოლამ.

— მაშ, პირობა მომეც, რომ სამურაბეს დაივიწყებ.

— დავივიწყებ, დავივიწყებ, მაგრამ...

— მაგრამ რა? — ჰკითხა ილენკამ და აღერსით შეჰხედა.

— შენ კი ვერ დავივიწყებ...

ქალმა თვალეზი ძირს დაჰხარა, გზუმდა, მერე ცოტა მორცხეობით უთხრა:

— განა მე სამურაბეზე მეტი ვლირვარ სამშობლსთან შედარებით?

— შენ?... სამშობლსთან შედარებით? არ... ვიცი... არ... ვიცი...

— სამშობლსთვის, თუ ქეშმარიტი ბოლგარელი ხარ, სიცოცხლე არ უნდა დაიშურო.

— სიცოცხლეს განა შენთვის არ გავწირავდი?... ჰა?...

— ბოლგარელმა ასე როდრ უნდა ილაპარაკოს, — უპასუხა ქალმა და წასვლა დააპირა.

— შოცა! — გააჩერა ნიკოლამ.

ქალი გაჩერდა.

— სამურაბეს დავიფიწყებ... ვეცდები, შენც დავიფიყო, მაგრამ... არ ვიცი, შევძლებ თუ არა. მინცა ვცდი: ამიერიდან შენზე ძვირფასი ჩემთვის ბოლგარეთია... ვნახოთ, ბოლო რა იქმნება... მანამდე კი... ეჰ! — გააქნია მან თავი და თითქოს რაღაც აზრს იშორებდეს: — არა... მშვიდობით!

— მშვიდობით, — უპასუხა ილენკამ.

ილენკა საჩქაროზე მაღლა მუსოფირლიქში შევიდა, მოეფარა ფარდს და ფანჯრიდან ნიკოლას დაუწყა ცქერა. ნიკოლა კიდევ ეზოდან გავიდა და აჩქარებით გასწია. თითქოს უკან ვინმე მისდევდაო, ისე მირბოდა დეზნაკრავ ცხენსავითა ზურგზე თითქო მხედარი უზისო, მაგრამ მხედარს სადავე მიშვებული ჰქონდა. გზაში თხრილი რომ შეხვედროდა — გადაბტებოდა; ღობე რომ შეხვედროდა — ზედ გადაევლებოდა; ოსმალო რომ შეხვედროდა — ფეხქვეშ გაიტანდა. რაღაც ვაჟაკობის ჟინმა შეიპყრო მთელი მისი არსება. მის ბედზე, არც თხრილი დაჰხვდა სადმე, არც ღობე და არც ოსმალო შეეხება; შეიპყრა სამკითხველოში და მხოლოდ მაშინ მისცა თავის თავს ანგარიში.

— ნეტაქ ასე გამწარებით რას მოვრბოდნი? — სთქვა თვის გუნებაში.

დადლილობის ნიშნები აშკარად ეტყობოდა, და ყველანი გაკვირვებით დააცქერდნენ; შემწვარ კიბოსავით გაწითლდა და აჩქარებულ ქშენისაგან თავს ვერ იქერდა.

— მორბოდი? — დაეკითხა მეზობელი.

— არა, — უპასუხა ნიკოლამ.

— ჰპანს ეწეოდი?

— არა.

— მაშ, მკედლის საბერველივით რაღაზედ ჰქმნავ. და ან რამე გავაწითლა?

— ეჰ! — ამოიოხრა ნიკოლამ.

— გარედ არც მაგრე ცხელა?

— მე კი მცხელა და!

— ხომ არ გაუცივებია?

— არა!.. ისე, რაღაც მომივიდა.

— გაიქეცი, მკითხავი ნახე.

ნიკოლამ ხელი გაიქნია, ამოიოხრა და უნდოდა წიგნის კითხვაში გართულიყო. აიღო ერთი გაზეთი, აიღო მეორე, მესამე, ყველა გადაიკითხა, მაგრამ სრულიად ვერა გაიგორა. მხოლოდ ასოებს, სიტყვებს და ბწკარებს ხედავდა, მაგრამ გაგების თავი კი არა ჰქონდა, გონება-დაუტანებლად კითხულობდა; ბოლოს მიიხედ-მოიხედა, თითქო ვილასაც დაეძებსო.

მართლაც ეძებდა სტოიანს, მაგრამ ის იქ არ იყო.

„აღბად, სახლშია წასულიო“, — იფიქრა ნიკოლამ და, როგორც აქამდე კითხულობდა გონება-დაუტანებლივ, იმ გვარადვე გონება-დაუტანებლივ წამოდგა და ქალაქში წავიდა.

ახლა კი აჩქარება არ ეტყობოდა: მიდიოდა ნელა, ყველას გზას უქცევდა, რაღაცას ჰფიქრობდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, და მანამდე იარა, სანამ იძულებული არ შეიქმნა, გაჩერებულიყო. ერთს დიდს ჯურღმულს მიადგა: ზედ თავი მაღლა აიღო თუ არა, დაინახა დუნაია და დუნაიას გაღმა — ვეება, თვალ-გადუწვდენელი ვაკე, მწვამე ზღვის მსგავსი. ამ ზღვაზე, შორს, შავი წერტილები ბრწყინავდა, მაგრამ ნიკოლამ ყურადღება არ მიაქცია. უყურა, უყურა, და ბოლოს ვერაფერს ვეღარას არჩევდა. ჩამოჯდა უფსკრულის ნაპირას, აზიურად მოიკეცა, მუხლებზედ იდაყვით დაეყრდო, ნიკაპს კიდევ მუშტები შეუწყო და მთელი საათი, იქნება მეტიც, ამგვარად იჯდა. ასე იტყოდით, რაღაცას ჰფიქრობო, მაგრამ რო გეკითხათ, თვითონაც ვერ გეტყოდათ: „რასა?“ ბვალ-წინ რაღაც სურათები ეხატებოდა, სიზმარსავით რაღაც ელანდებოდა... ყველაზე მკაფიოდ ბოლგარეთსა ჰხედავდა, რომელიც ლამაზ, ქერა, ილენკას მსგავსის, ქალის სახით უდგებოდა თვალ-წინ. თან და თან აზრები დაჟღავნდა, და ბოლოს, როგორც იყო, თვისის სულის მდგომარეობა შეიგნო და ასეთის სიტყვე-ბით გამოჰხატა:

— იმან (ილენკამ თუ ბოლგარეთმა?) რომ მითხრას—აქეთგან ღუნაიაში გადავშვიო... მაშინვე გადავშვებოდი.

მწარედ ამოიოხრა.

მაგრამ ასეთის თხოვნის ასრულება ყოვლად მოუხერხებელი იყო, იმიტომ რომ ამ ადგილიდან ღუნაიაში გადახტომა არ შეიძლებოდა: უფსკრულის ძირსა და მდინარის ნაპირს. შუა სანაპირო ვაკე იყო, სულ უკანასკნელი, სამოც ნაბიჯის სიგრძეზედ, ამისთანა ნახტომი გამოჩენილ ჯამბაზსაც კი გაუძნელდებოდა. მაგრამ ეს ნახტომი მხოლოდ გულგაუტეხელ კაცისათვის იყო შესაძლებელი, — ასეთის კაცისათვის მანძილი არ არსებობს. ასე იყო თუ ისე, ყოველივე ესე ამას ამტკიცებდა, რომ ნიკოლას ახლა აზრები დომხალივით არეულ-დარეული არა ჰქონდა, არამედ—ერთის საგნისაკენ მიმართული. ამ მიმართულებას შედეგად მეორე, უფრო დიდი, უაზრო წადილი მოჰყვა და ეს წადილი იმას გვეუბნებოდა, რომ, მიუხედავად წინად მწყემსად ყოფნისა და ახლა დერკიკის სახელოსნოში მუშაობისა, მიუხედავად იმ დაულალავის ჯაფისა, რომლის მეოხებითაც ნიკოლამ ცოდნა შეიძინა, ერთის სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულ ცხოვრების მორცეში სტურავდა, ნიკოლა მაინც იდეალისტი იყო, ამაზე მეტიც—რომანტიკი!

ნიკოლამ შორს გედების გრძელი ქარავანი დაინახა. ლურჯს ცაზე ისე მოსჩანდნენ, თითქო თეთრი ზოლიაო, და, ჯარივით, მწყობრად მიჰფრინავდნენ, მაგრამ შავ რაზმებად კი არა, — კლაკნით, მოპარპაშე სპეტაკ ლენტვივით. ნიკოლამ უყურა, უყურა და ბოლოს გედებს შესძახა:

— ეჰ, გედებო, გედებო, ნეტავი თქვენთან ერთად მეც შემეძლოს ფრენა!

ამისთანა აზრი, საკვირველია, საიდან დაებადა? მაგრამ ეს აზრი სულ უკანასკნელი შედეგი იყო იმ ფანტასტიურ მიმართულებისა, რომელიც მიიღო მისმა, წეს-რიგზე მოსულმა აზრებმა: ნიკოლა რაღაცას უფრო გამორკვეულს ნატრულობდა, მაგრამ მისის ნატვრას საგანს სამზღვარი არა ჰქონდა... გედებთან ერთად ფრენა რომ შესძლებოდა, მაშინ გზას უწყენებდა, მაგ-

რამ ქაობებისაკენ კი არ წაიყვანდა, არა, — ცარეგრადში, პირდაპირ სულთანის სასახლეში შეიყვანდა... აი, სულთანი ბაღში დასეირნობს. ამ დროს, ვნახოთ, მთელი გუნდი გედებისა მოჰყვინდებიან და სულთანს შემოეხვევიან... მაშინ აბდულ-აზიზი იჯდა ტახტზე, რომელიც თავისი დიდრონის თვალებით იყო სახელგანთქმული და კიდევ იმითი, რომ პატარაობაში ინდოურების თავის მოჭრა ძალიან ართობდა. სადიუ-ფაშის სიტყვით, შესანიშნავი კაცი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ათი-ათას გედებისაგან თავს-დასხმა განწირულს მდგომარეობაში ჩააგდებდა.

— ეჰ, გედებო, გედებო! — იმეორებდა ნიკოლა.

მართლაც და რა უნდა ეგრძნო მის უდიდებულესობას, ყველა გედს თითო ნისკარტი რომ ჩაეკრა? რა თქმა უნდა, მოიგერებდა, რამდენსამეც თავსაც მოსჭრიდა, მაგრამ ამით მაინც თავს ვერ უშველიდა და ბოლოს იძულებული იქმნებოდა, წამოეყვირნა: „ამან, ამან! გედებო, რა გინდათ ჩემგან?“ მაშინ ნიკოლა წინაღვე დაწერილ ფირმანს ამოიღებდა და ეტყოდა:

— ან ამ ქალაღზე ხელი მოაწერე... ან გედებმა უნდა დაგკორტონ.

სულთანიც, რა თქმა უნდა, ქალაღზედ ხელს მოაწერდა.

ფირმანში დაწერილი იქნებოდა ბრძანება: რომ ყველა ფაჟშები, ქაიმაქანები, მუღირები და, საზოგადოდ, ყველა სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები ბოლოგარეთს საჩქაროზედ გასცლოდნენ. აი ამას ოცნებობდა ახალგაზდა კაცი; მაგრამ ეს მხოლოდ ოცნების დასაწყისი იყო. მერე თვალ-წინ იღენკა წარმოუდგა. ნიკოლა ხელში ფირმანს დაიჭერდა და აი-რა სიტყვით მიჰმართავდა:

— ხომ ჰხედავ!... ეს ჩემი საქმეა... მოკავშირეებად ჩვენებური ფრინველები გავიხადე..

— ეჰ, გედებო, გედებო! — წიმოძახა კიდევ ნიკოლამ, როცა დაინახა, რომ თეთრი ზოლი დაიხარა და ღუნაის ქაობებზედ დაეშვა. ერთბაშად გამოფხიზლდა.

ვილაც დაეკითხა:

— აქ რა გინდოდა?

ნიკოლამ მოიხედა. მის გვერდით, ცოტა უკან, დედა-კაცი იდგა, ეტყობოდა, იქითკენ მიდენილიყო და გაჩერებულიყო. ეს დედაკაცი ნიკოლას ბევრჯერა ჰყვანდა ნახული.

ნიკოლამ შეჰხედა და უპასუხა:

— ისე, ჩემთვისა ვზივარ....

— აქ ნუ ზიხარ; შვილო.

— რატომ?

— ეს ადგილი ცუდია: თავ-ბრუ დაგესხმის... განა ჯერ თავ-ბრუ არ დაგხვევია?

— არა,—უპასუხა ამ კითხვით გაოცებულმა ნიკოლამ.

— გედებს რომ უძახოდი, რა გინდოდა იმათგან?

ამ კითხვამ ჩვენი გმირი წამოაწითლა.

— ეჰ...—განაგრძო დედაკაცმა.—გირჩევნია გედებს თავი დაანებო... შენს თხოვნას არ შეისმენენ.

— განა ვსთხოვდი რასმე?

— ისე ელაპარაკებოდი, როგორც ახლა მე მელაპარაკები. გირჩევ, თავი დაანებო... აქედან ადე... განა საქმე არა გაქვს?

— მე?... საქმე არა მაქვს?

— შეჰხედე... ღამდება.—დედაბერმა ცაზე მიუთითა,—დასავლეთისაკენ გაწითლებული მზე ჩასავალს იყო.

— ჰო, ღამდება,—განიმეორა დედაბერმა,—დღე მიიწურა და ყველამ, რაც საქმე აქვს, უნდა გაათავოს. დავიჯერო, ხელი არათურისთვის მოგიკიდნია?—ჰკითხა მოკრამ.

ნიკოლა ადგა, შეჰხედა დედაბერს და უპასუხა:

— მე, დედი, საქმეში ვარ.

— აკი გითხარ!.... წადი, შენს საქმეს მიჰხედე, ვაჟ ჯდომი ხელს არ მოგცემს. მაგრამ, რა ვიცი, თუ ნება მოგცეს....

დედაბერმა მოკრამ ნიკოლას იმ ნაირის კილოთი დაუწყო ლაპარაკი, რომ ურჩობა არ შეიძლებოდა. ამიტომ ახალგაზნდა კაცი სიტყვა-შეუბრუნებლივ მის ბრძანებას დაჰყვა.

დედაბერი დარჩა, ნიკოლა კი წავიდა.

როცა დედაბერს ეუბნებოდა—მე საქმეში ვარო, ნიკოლას ფიქრად ბოლგარეთის საქმე და სამსახური ჰქონდა, ის

საქმე — ილენკა რომ ელაპარაკებოდა. ამ ბაასმა ახალგაზდა კაცი გააბრუნა, აზრები დაებანდა, და როცა გონზედ მოვიდა, ორჯერ ბრიყვეულ გადაწყვეტილებას დაადგა.

რა თქმა უნდა, პრაქტიკულის თვალით რა შეგებენდათ? მისი გადაწყვეტილებანი სიბრიყვე იყო. მაგრამ ეს სიბრიყვე ზევრ არაფრით იყო იმ სიბრიყვეზე უარესი, რომლის წყალობით კაცობრიობას მთელის საუკუნოების განმავლობაში ყოჩე-ლიცე სასწაულებრივი სწამდა, სწამდა აგრედვე ისიცა, რომ მისს შინაურს, დღიურს ცხოვრებაში რალაც სხვა, გარეშე ძალა ურევიაო. კაცობრიობაც ხომ ერთს ღროს ბავშვი იყო: თავის თავს სარწმუნოებას უწესებდა და იმ სარწმუნოებაზე უსამზღვ-როდ დაყრდომილი იყო. ნიკოლა კაცობრიობისაგან იმით ირჩეოდა, რომ თავის თავს სარწმუნოებას არ უწესებდა, მხო-ლოდ ოცნებობდა და, ამასთან, მისს ოცნებას სათუო, საეგებიო ხასიათი ჰქონდა. „იმას“ რომ ებრძანებინა, კლდეზედ გადაე-შვებოდა; გედად რომ გადაქცეულიყო, სულთნის ფირმანს მოი-ტანდა. არა სწამდა, მხოლოდ ოცნებობდა. დედაბერს რომ არ დაეშალა, ამ ადგილასვე დარჩებოდა და, შეიძლებოდა, მთელი ღამე იქ გაეტარებინა. მაშინ, სიბნელის გავლენით, მისს ოცნე-ბას, უეჭველია, სხვა ფერი დაედებოდა. მაგრამ დედაბერი მო-ვიდა, უბრძანა და ისიც დაემორჩილა, წავიდა და, როცა უფ-სკრუტულს კარგა მანძილზე გასცილდა, მხოლოდ მაშინ დაეკი-თხა თავს: რად დავიჯერე მისი სიტყვა, რად დავემონე დედა-ბრის ზნეობრივს გავლენასა? დედაბერი მოკრა! რალაც გაუგო-ნია იმისი, მაგრამ ახლა კი ვერა მოიგონა-რა.

ამ ფიქრში გართული, სტანკოს სახლში მიდიოდა „აკრძა-ლულის“ წამოსადებად.

სტანკო სკოლაში სცხოვრობდა, ან, უკედ, სკოლა მისს ორთვალთან სახლში იყო მოთავსებული; ერთ თვალში ბავ-შვებს ასწავლიდა, მეორე თვალი სამზარეულოდა ჰქონდა. სა-კლასო ოთახში ვერც სკამებსა ჰნახავდით და ვერც მაგიდებსა. თაროზე წიგნები, ელაგა, შუაში დაფა იდგა, და კედელზე კი-დევე ვეროპის რუკა ეკიდა, — ესენი რომ არ ყოფილიყო; ვერა-

ვინ იფიქრებდა, აქ კლასიაო. შევირდები იატაკზე სხდებოდნენ. რადგან ნიკოლას მოსვლის დღე კვირა იყო, სტანკოს ჯალაბობა კლასში მოთავსებულ იყო: ცოლი და ხუთი წვრილი შვილი, — სულ უფროსი ქალი რვა წლისა იყო.

— გამარჯვებათ! — უთხრა ნიკოლამ.

სტანკო მიესალმა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა: ერთი ბავშვი ხელში ეჭირა, მეორე მუხლებზე ეჯდა, მესამე კიდევ ზედ ეკვროდა.

— მე გუშინ მოგელოდი, — უთხრა სახლის-პატრონმა.

— მათატივეთ, — უპასუხა ნიკოლამ. მერე გვერდთ მოუჯდა, შუბლზე ხელი დაირტყა და დაუმატა: — აი ამ თავის ბრაღია... დამავიწყდა!...

— შენს თავს ნურც მაგრე უჯავრდები... ყველანი კაცნი ვართ!... მეხსიერება... ჰმ... მხოლოდ მეშვიდეჯერ თუ მიეკრობა თავს! შენ მხოლოდ პირველჯერ დაგავიწყდა... სრულებით არ გამკვირვებია... მაგრამ აი რა მეგონა: ეგებ გადაიფიქრამეთქი.

— ტყუილადა გგონებია! — შეება ნიკოლა.

— განა არ იცი, რომ ამისთანა შემთხვევაში კაცის სიცოცხლე ბეწვზედა ჰკიდია, და თავის დადება ხომ ყველას არ შეუძლია!

— თუ კი შენ, შვილების პატრონს, არ გეშინიან?

— ჰმ... — უპასუხა სტანკომ: — ეგ სულ სხვა საგანია.

— რა სხვა საგანი უნდა იყოს?

— ისა, რომ ეს ჩემი ხელობაა. ჯერ ანბანით ვიწყებ, მერე კი სულ წინ-წინ მივდივარ... ბავშვებს — ანა-ბანას ვასწავლი... დიდებს ვეუბნები: წაიკითხეთ-მეთქი... და, ამ გვარად, გაიჩაღხა საქმე; ახლა წიგნებს დავატარებ, იმისთანა წიგნებს, რომლის მიკარებაც კი ეშინიანთ ზოგიერთებს... მაგრამ საფრთხეში თავის ჩადდება არ მინდა... მე ისე მეჩვენა, სიცოცხლე არც შენ მოგბეზრებია-მეთქი.

— რა თქმა უნდა, არ მომბეზრებია.

— მაშ მოისაზრე; ეგებ გადაიფიქრო!

— მე როდესაც გადავიფიქრო, შენ ისევ მოჰკიდებდი ამ საქმეს ხელსა?

— არა... მე უკვე შემნიშნეს.

— თუ შენ არ იქმნები, ვინმე სხვა ხომ უნდა იყოს?

— მართალია, მაგრამ იმისთანა კაცი კი უნდა იყოს, რომ, როგორც ჰაჯი ქრისტოს ბაღშიაცა ვსთქვი, ცეცხლშიაც რომ ჩააგდონ, რაც იცის, არა სთქვას.

— მაგაზედ ხომ გვექონდა ლაპარაკი?

— გვექონდა, მაგრამ ხომ კარგად იფიქრე?

— ვიფიქრე ცოტაოდენი.

— შენ ის მითხარ, ხომ მთელი კვირა ამასა ჰფიქრობდი? ეს კითხვა, ცოტა არ იყოს, ნიკოლას არ ესიამოვნა. ამ კითხვაზე პასუხი არ მისცა. სტანკომ ცოტა სხვა სახით განუმეორა.

— ამ კვირია რასა ფიქრობდი?

— სამურაბეს დარდი მქონდა და იმასა ვფიქრობდი, — უპასუხა ნიკოლამ.

— აა!.. — გაიკვირვა სტანკომ.

— მე როდესაც ვაგტყებ, იმ სამურაბის დარდი მქონდა.

— რა მაგრე ჩაგრჩენია ხსოვნაში?

— იმისთანავე მინდოდა შეყიდნა.

— მერე?

— არც ფული მქონდა, და ვერც იმისთანა ამოვარჩიე; ამიტომ დღეს ჰაჯი ქრისტოს ქალთან ვიყავ, სამურაბე მაჩენენ-მეთქი.

— მერე?

— მერე ისა, რომ საკირეშიაც ჩამავდონ, მაინც არავითარს როშვას არ დავიწყებ.

— ლამაზია განა! — შეჰნიშნა სტანკომ და ჰკითხა: — ჩემზე და „აღკრძალულზე“ ხომ არა გითქვამს-რა მისთვის?

— ხმა-კრინტი არ დამიძრავს.

— ბარაქალა! მაშ თუ გადაწყვეტილი გაქვს, უნდა მანამდე დაიცადო, სანამ ნებართვა გამოვიდოდეს.

— ნებართვა?...— განიმეორა ნიკოლამ:— დღეს ეს მეორედ მეუბნებიან, ნებართვაო.

— სხვამ ვინ გითხრა?

— ახლა შენ მელაპარაკები და რამდენისამე წუთის წინად მაგას დედაბერი მოკრა მეუბნებოდა.

— სადა ჰნახე?

— უფსკრულის თავს ვიჯექე. მოვიდა, მიბრძანა, წადი აქედანაო და დაუმატა, როცა ნებართვა გამოვა, შენც შეგეძლება აქ ჯდომაო.

— ჰმ...— წაიღუდუნა სტანკომ:— იცნობ, რა დედაკაცია?

— რალაც-რალაცები გამიგონია.

— ცოტა ახირებულია, მაგრამ ძალიან ჭკვიანო დედაკაცია. მთელი რუსიური იცნობს: არც აღისა ეშინიან, არც თვით ფაშისა.

— მაგას კი მაშინადვე შეატყობს კაცი.

სტანკოს კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ თავი დააქნია და ცოლს დაუძახა, რომელიც სამზარეულოში ვახშამს ამზადებდა.

— ეს ბავშვი გამომხრთვი, — უთხრა სტანკომ და მძინარე ბავშვი ვადასცა. — ამ წრჩნების საქმე უნდა გავათავო.

ცოლმა ბალღი გამოართვა. სტანკო ადგა და გარედ გავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა, — იტყოდით, ხელცარიელიაო; ნიკოლას გვერდით მოუჯდა, სახელოდან რამდენადმე გაკეცილი გაზეთი და წითელ-ყლიანი წიგნაკი გამოიღო. ნიკოლას წინ დაუღაგა და უთხრა:

— აიღე და სახელოში ჩაიწყვე.

ნიკოლამ ბრძანება აღასრულა.

— როცა ქუჩაში გაივლი, ფრთხილად იყავ, ზათიებმზარ დაგიჭირონ და საპატიმროში არ ჩაგაგდონ.

— რაზედ უნდა დამიჭირონ?

— რაზედაო? ვინ იცის; ეგებ საეჭვოდ მიგიჩნიონ. დაგიჭერენ, ჯიბეებს გაგიჩხრეკენ, რაცა გაქვს, ყველაფერს წაგართმევენ, თუ ფული დაგინახეს; უფულოდ გამოგიშვებენ; თუ

„აღკრძალული“ დაგინახეს, მაშინ სატუსალოდან პოლიციის
ში გათრევენ, პოლიციიდან — სატუსალოში; გამოკითხვას დაგი-
წყებენ, მუჯღლუგუნსაც ბევრს შამოგთავაზებენ, შიმშილითა და
წყურვლით სულს ამოგხდიან, გაწამებენ, ან არა — და აკრაში
(St. Jean-d'Acre) დაგალპობენ, გაიგე?

— გაიგე!.. — უბასუხა ნიკოლამ წარბ-შეკმუნნილად.

— ახლა, იცი, ხელს რა საქმესაცა ჰკიდებ?

— ვიცი, მაშ!

— თუ იცი, გაფრთხილდი და ღმერთმა ხელი მოგიმარ-
თოს!

— ოთხშაბათს შემოიარე, და ახლა გესმის? — აიშვირა სა-
ჩვენებელი თითი და ნიკოლას ყურადღება მუეძინის სიმღერას
მიაქცია, მახლობელ მინარეთიდან რომ მოისმოდა: — სალა-
მოს ნამაზია... ნახევარ საათს უკან მხოლოდ კატებსა, ძალ-
ლებსა და ზაფთიებს შეეძლებათ ქუჩებში სიარული... გაეშურე.
ნიკოლა ადგა და წავიდა.

დიდი ფაცა-ფუცი იყო; ყველა თავთავის სახლში მიეშურე-
ბოდა. ამისთანა დროს, განსაკუთრებით, კვირასა და დღესასწაულ
დღეებში, დარაჯნი ხშირად დადიოდნენ, რომ მთვრალეები წა-
ეყვანათ დასაბანაკებლად და საეჭვოები დაეჭირათ. ნიკოლას
თავისი თავი საეჭვოდ მიაჩნდა და ადვილად გაებმოდა მახეში,
რომელსამე ზაფთიას დაკვირვებით რომ შეეხებინა. მაგრამ ბედმა
არ უღალატა. სამკითხველომდე მშვიდობით მივიდა და ამ გვარად
თვისს ახალს სამსახურს მარჯვედ შეუდგა.

თ. სახოკია

(შემდეგი იქნება)

...
 ...
 ...
 ...
 ... (თა. ხ-ის. პ.)

* * *

ქინედან

სკების ჩრდილს ქვეშ მიმოვიდოდი,
 თან მდევდა განუწყველი ნაღველი,
 მსწრაფელ მომავლნდა ძველი წისნუბა
 და გულს მომესვა, ვითარცა ბიგელი.

ცისა მგოსანსო! შემატეობინეო,
 ვისგან ისწავლეთ ჩემი სიმღერა?
 აწ რა ვისმენ მას—გაგაღად შსამსა ესვამ
 და სასიკვდილოდ გააქს გულს ძვერა.

სასიკვდილოდ გააქს გულს ძვერა
 ამ სიმღერასა სშარად ამბობდა,
 უური დაუგვეთ და დაკისწავლეთ...
 იმ სიმღერითა მთა-ბარს ამბობდა.

გაწუძით, ცბიერო ფრინველებო!
 ვიცი, ვიცი მე, რასაც მიწირებთ:
 ჩემი ნაღველი გსურთ წარიტაცრთ,
 მაგრამ მე იმას არ დაგანებებთ.

ი. ბაქრაძე



უილდა

(არქეოლოგიური წერილი)

სოფ. შილდა ეკუთვნის თელავის მაზრას და მდებარეობს მდ. ჩელთის ნაპირზე, რომელიც ერთგვარად ალაზნის მარჯვენა მხარეს. ბატონი-შვილი კახუშტი ქარტაში კი აღნიშნავს შილდას სწორედ იმ ადგილას, სადაც ნამდვილად მდებარეობს იგი, მაგრამ თავისი გეოგრაფიულს აღწერილობაში კი არსივეს ამბობს ამ სოფელზე. მოიხსენიებს მხოლოდ მდ. ჩელთის ამგვარად:

ყვარლის წყლის შესართავს ზევით ალაზნისავე ერთგვარად ჩელთის-წყალი, გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე (ვახუშტი. გეოგრ. გვ. 514).

ქართლოსის შთამომავალთა მიერ აღსენებულ ცისე-ქალაქთა შორის ძველს მატინებში მოხსენებულა ქ. ჩელეთი, რომელსაც პირველად რქმევია სასელად «ბერ». შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ქალაქი მდებარეობდა ან იქ, სადაც ესტა სოფ. შილდას გასენებული და ან მისი ხსლო-მასლო მიდამოებში, მდ. ჩელთის პირად.

შილდა თითქმის სულ მოლად გარეშემო შემოფარებულია კაკასიის მთის კალთებით. მას საზღვრავს ჩრდილოეთით კაკასიის უმთავრესი მთა-გრესილი, დასავლეთით საბუე-ენისილი თავისი ადგილ-დედუღით, სამხრეთით—სოფ. ფაშანსი და აღმოსავლეთით ს. უვარელი. სიგძით ს. შილდა, რომ არ გაიანგარიშეთ მისი სასხა-სათესი მიწები, დასავლეთით იქნება 2 კერსი, მხოლოდ სიგანით—1 კერსი. ამგვარი სიდიდე მისი სივრცისა იმით აიხსნება, რომ შილდას

მცხოვრებით მომეტებულ ნაწილად ზედ კარსედვე აქვთ კენახები და ბაღნი. ამისათვის საფხვლში შორიდან რომ შემოტყეოდეს კაცმა შილდას, შენობებს კერც ვი დაინახავს, რადგანაც სულ ძალიად სოფელი ჩამაფულია ამწკანებულს და გაფოთლილს ბაღნა-კენახებში. ჭყარი შილდისა არ არის დამცდელი. წყალიც აქ ძლიერ უსკია. ყველასე მოზდილი შილდის წყლებში მდ. ჩელთია, რომელიც ჩამოედის შილდას დასავლეთით და რომელსაც სმარობენ შილდელები როგორც სასმელად, ისე წისქვილების საბრუნებლად და ბაღნა-კენახების სარწყვავად. ჩელთიდან არის გაყვანილი სამი დიდი რე, რომელთაგან ერთი ჩასდევს სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში სიკეცე, მეორე სოფლის შუა და შესამე დასავლეთ ნაწილში. ამ სამ რეზეა მრავლად გამწვანებელი შილდის წისქვილები და აქედანვეა გაყვანილი შატარ-შატარა რეები კენახებისა, ბაღნიებისა და ბოსტნების მოსარწყვავად. ამ სამ უმთავრეს რეს დაკვარად შილდაში ჩასდევს თავიდან ბოლომდინ სამი უმთავრესი შარა-გზა. შილდაში ამ უამად 600 კომლი მცხოვრები იქნება. სასნავ-სათესი მიწები თუქრა სსვა სოფლებზე ნაკლებად არა აქვთ შილდელებს, მაგრამ ესენი მანაც სსვა სოფლების მამულებსაც ჭნსავენ. სთუკენ მომეტებულ ნაწილად ჰურს, ქერს, სიმინდს და ფეტვს. უმთავრესი წყარო მათის ცხოვრებისა ეს არის—სენა-თესვა და მუქისაობა. შილდის შენობები მომეტებულ ნაწილად ქვითკირისა და ფიცრისა დასურული კრამიტით. იშვიათია აქ მოწნული და ჩაღა-დასურული სასლები. მრავლად მოიპოვება ფანჯარა-აივნისანი, ბურისანი და იატაკისანი სასლები. ყველა სახლს თავისი საკუთარი ეზო აქვს და ზოგს ეზოსთანვე ბაღის ან კენახი, ხოლო ეზოში: მარანი, ბუდელი, გომური, საბძელი და საქათმო. კალოებიც აქამდინ შიგ ეზოში ქჭონდათ გამართული, მაგრამ ეს კარგა ხანია აუკრძალეს და ესლა ყველას სოფელ კარედ აქვთ გატანილი. შიგა და შიგ სოფელში დაჩინილია ძველი ქვითკირის კოშკები, რომელნიც თურმე დიდსა და აუცილებელს საჭიროებას შეადგენდნენ უწინდელს დროში, როდესაც ლეკები მუდამ თავს ესხმოდნენ შილდელებს და ეს უკანასკნელნი ამგვარ კოშკებით იცვავდნენ თავს. აქვე შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ცინე-კოშკები: ბუიკელანთ კოშკი, სასარულანთ

ცისკე, მამუკიანთ ცისკე, ბახუნთ ცისკე და სს. უმთავრესი სასოჯადო-გალაჯანი შილდისა ვაშენებულთა სოფლის დასავლეთ მხარესკე, მდ. ხელთისი პირას. ხალხის გარდამოცემით ეს გალაჯანი აუშენებია კი-ლატ ლექს სოხაისხის იმ დროს, როდესაც თურმე შილდა ლექებს სწერათ. შილდის მცხოვრებნი ეროვნებით არიან ქართველები და სომხები (რამდენიმე კოპლი), ხოლო წოდებით—გლესნი, სასული-რონი და თაკანნი. უმეტესობას შეადგენენ გლესები. თავადიშვილები არიან: რუსიშვილები, გურგენიძეები, გასკასიშვილები და ანდრონიკაშვი-ლები. უკანასკნელნი თუიჭა საცხოვრებელად შილდაში არ არიან, მაგრამ მამულები იქა აქვთ. რუსიშვილები და გურგენიძეები ძველნი მცხოვ-რებნი და მეამუღლები არიან შილდისა, ხოლო დანარჩენები—ახლად შემოსულნი. შილდის თავადებს ძმური განწყობილობა აქვთ დანარჩენ წოდების ხალხთან. მათს ხაისათში, მოქმედებაში და ცხოვრებაში სრუ-ლებით არ ისატება რამე მედიდურობა და ამყობა ან თვისი გზა-როვნობით ან ცხოვრებით. პირიქით, იქაური თავადი ისე სცხოვრობს გლესთან, ისე სწამს მასთან ჰურს, ისე ღისინობს, ისე დროს ატარებს, ისე შილდის და შილდის მასთან, როგორც თავისი ტოლ-ამხანაგთან და მეგობართან. გლესებიც, რასაკვირველია, ჰგონობენ ამკარს მიმართუ-ლებას თავადებისას და ესენიც თავისთ მსრავ უცხადებენ მათ ზატი-ვისცემას და სიყვარულს. სტუმრის მოყვარეობა, სოფრასე ღისინი და დროს გატარება პირველი თვისებაა შილდელებისა. ორი-სამი კაცი ჰურს არ სწამს ისე, რომ ზედ სოფრული, გძელი მრავალ-ყამიერი და სსკა-და-სსკა ძველებური სიმღერები არ დაყოლონ. მუშაობის დროს ხომ, რასაკვირველია, აუცილებელი საჭიროებაა სიმღერა. ყო-ველს-გვარს მუშაობას თავისი საკუთარი სიმღერა აქვს. მგის დროს სსკა სიმღერაა, კენახის თიბვის დროს სსკა, ურმული სსკაა, კენა-ხის შესარგა-მეოხვის დროს სსკა; მუშები რომ ბრუნდებან სახლში სამუშაოდან, მაშინ მღერიან სსკა სიმღერას, რომელსაც ეძახიან ძეუ-შურსა და სსკ. სახსავად რომ მისვიდე აქაურ კაცთან, დიდ სირცხვილად ჩასთვლის, რომ ჰურ-უქმელი გამოგიშვას. უკველად, თუ ჰური ვერ გატყამს რამე მიზენასა გამო, სსკა რიოიმე მანც გაგიმსმინ-ძლდება. ნათლობაზე, ქორწილზე, მიცვალებულის დამარსავსე და კვ-რედ-წოდებულს რიგებსე ანუ მიცვალებულთა სოფლის მოსახსენებელ

სადილეზე აუარებული საზღვი იციან. ისეც სომ, რასაკვირველია; თუნდა არაფერი შემოსივსაჲ ჭქონდეთ, სშირად იციან წვეულება, ერთ-მანეთის დახატელება და დიდი ჭეიფი და დროს-გატარება. აქვე უნდა ვსთქვათ, რომ მეტის-მეტად ბერი ღვინის სმა იციან შილდაში. ყველაფერი კი თავის დროს იციან: საფსულში გასურებული მუშაობას შილდაში მკა და ლეწვა; ამას მოსდევს შემდეგ რთველი. გაათაკებენ თუ არა ყველა ამ საქმეებს და შემოიტანენ შინ თავიანთ წლის საწარ-სახადებულს, იწეებენ შემოდგომასე ვერ რიგებს ანუ მიცალალებულთა სულის მოსასსრულებელ წირვებს და სადილებს, და შემდეგ რიგების მოჭყეება ქორწილები და უკუელ დღე და დამე გაისმის მთელს სოფელში დაფა-ზურნის სმა და მშენიერი მყურული და სხვა-და-სხვა სიმღერები. ყველა შილდის ქალნი და ვაჟნი, ვინც კი მომზადებული არიან, ამ დროს იწერენ ჯვარს, რადგანაც ეს არის დრო ქორწილებისა.

შილდის სომსებს აქვთ თავიანთთვის ერთი ჰატარა ფიწროლთ ეკლესია, რომელშიაც ღვთის-მსახურება სრულდება დრო-გამოსვებით, რადგანაც საკუთარი მღვდელი არა ჭყავთ. იმ მიზნისე მდებარე ყველა სოფლებს, სადაც კი სომსები ცნობილებენ, ერთი საზოგადო მღვდელი ჭყავთ. ქართველებს აქვთ სამი შტატის ეკლესია: ღვთის-მშობლის შობისა, ძელ-ჭეშმარიტისა და ღვთაებისა.

ა) ყველასე მოზდილი ღვთის-მშობლის შობის ეკლესიას, გაშენებული სოფლის თავში. შიგნით-გარედ გაღვილია თეთრად და დასურული კრამიტით. სამსრეები აქვს: სრდილოეთით, დასავლეთით და სამსრეთით. სრდილოეთის სამსრეში მოთავსებულია კიდევ სხვა ჰატარა კვირანცხოლის ეკლესია და ამ ეკლესიაში ერთი საფლავი, რომელშიაც არ ვიცით ვისი გვამია დაკრძალული. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უნდა იყოს დამარსული ვინმე წარსინებულთაგანი. შუა ეკლესიაში დასაფლავებულია ნინია მოურავი რუსაშვილი, დასავლეთის შესავლ კარების წინ, ცოტა მარჯვნივ. საფლავის მარმარიალას ქვაზედ, რომელიც დამტვრეულია და ნამტვრეების ჩასმული, ამხსენია კიდევ: „1852 წ. 70 წლისა“. მოურავობა ძველად არსებობდა საქართველოში. კერძოდ ვასეთში, როგორც სჩანს ქართლის ცნობებიდან, ეს თანამდებობა დაწესებულია მე XV საუკუნიდან, გიორგი I მეფის დროს (1471—1492 წ.), რომელმაც

მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მკირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდემდე. მოურავი ქისიყისა, ელისე-ნისა, წუჭეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, კიაურისა, შილდა-ყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა. (ქ. ცხ. II, გვ. 103).

ნინია რუსიშვილი, როგორც გამიგია მოსუცებულთაგან, ყოფილა უკანასკნელი მოურავი შილდისა, ამასთანავე შესუქულობით წარმოსადგეი და ფრად გაკლენიანი შირი, სალსაც თურქე დიდის ხატი-გისტემით და სიყვარულით ეპყრობოდა მას. სამსრეთის სამსრეშია ერთი საფლავის ქვა შემდეგის ზედ-წარწერით:

ქკს უოგ ქ. ზედა დამკურეტთა ჩემისა და მფარველისა ლოდისათა მსიტყველთა უტყვი გეტყვი ბგერითა უკმო მრუბით სავანით ორდანო დახ-სნით მყოფი ჩემთა ამბავთა ყოვლად შესაწყალებთა მტრფობდენ მშობე-ლნი ძესა ჰაბუჟსა მყოფსა აჩრდილსა ქვეშე პალატთა სამფეთთა ნერგსა შქონებსა რტოთა ჩვილთასა გარნა დამიჭნო ყვავილნი სიჭაბუქისა ჩემისანი ზორშაკმან სიკვდილისამან და მისცნა ოთხნი გლოვასა მწარესა რომელი ვყავ სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის გურგენიძე მორდლის გიორგის ძე მორდალ ლაშქარნივისი სვიმონ წლისა ლ გვედრებით აღმო-მკითხველთა ლმობით ოხანი მაგეთ აღვესრულე თვესა ფებერვალსა კს.

ამავე სამსრეთში მეორე საფლავის ქვა ზედ:

უდროთ განველ ამ სოფლით საფლავს ვიკეთებ სახალათა, დედას რას უგდებ სანაცვლოდ სული ღმერთს უძღვენ ახლათა გარნა არა მხოლოდ მე ვარ ყოველთ ეს გვიძეს სამძღვართა და მე გრიგოლ გურგენიძე სიკვდილმან ესრეთ დამხლათა ვინცა სიკვდილს არ ახსენებს ან სოფელსა რათ ენდობა რადგან არის სულ ამას სიმდიდრე და თვით მეფობა ერთსა ადლსა შავს მიწასში გვაქეს საუკუნო მყოფობა და მე ესრეთ უბედურსა ძმანო მიბძანეთ შენდობა.

შობილამ ით წლისა აღსრულდა ჩყლა დეკემბერსა ივ-ს.

გურგენიძეები, როგორც ზეკითაც მოვისსენიეთ, იყვნენ ძველ-ნი თავადნი შილდისანი, უკანასკნელი წარმომადგენელი ამ საგვარეულოსი—გურგენ გურგენიძე ამ სამი-ოთისის წლის წინად გარდაიცვალა და ამ-გვარად თითქმის სულ მთლად ამოსწოდა გურგენიძეების მამრობითი ნათესაობა. გურგენიძეებს შილდაში ეძახოდნენ კიდეც „მორდლიანთა“, რადგანაც მათნი წინაპარნი ძველად მორდლებად

ყოფილან. მორდალი—სამეფო ბეჭდის მტკელი ანუ შეზნა სველი. (ის. Сборн. Зак. рус. царя Вахтанга VI, გვ. 19. შენიშ.) ამავე ღვთის-მშობლის შობის ეკლესიის გაღვანის გარედაზრის ერთი საფლავის ქვა, რომლის წარწერაში მოხსენებულია კიდევ ერთი მორდალი იოანე გურგენიძეების გვარობისა. აი თვით წარწერა:..

საფლავსა მდებარე ვარ თავადის იოანე მორდლის გურგენიძის კნენი ნაინა მხილველნო შენდობა ბძანეთ ჩუღბ.

ეკლესიიდან რამდენსამე სუენზე, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრივ აღმართულია ძალიან ოთხ-კუთხიანი ქვითკირის კოშკი, რომელსაც ესლასამრეკლოდ სძარობენ. ამ კოშკში, როგორც მოგვითხრობენ მოსუტეულები, გამაგრებული ყოფილა აღექსანდრე ბატონი-შვილი იმ დროს, რომელსაც რუსის ყარა შეივის წინამძღოლობით მოსდგომდა შილდას ასახსრებლად. აქ არის დაცული ერთი ძველი წარწერა შემდეგის ზედ-წარწერით:

ქ. შილდას ღვთის-მშობლის ეკლესიისათვის ჩამოვასხმევიწე ნეკრესელმა ამბროსიმ დინარჯა ამაზედ ხუთი თუმანი ავგისტოს, ქკს უზბ.

ამავე მხარეზე დაჩენილია ძველი ნასახლარები, სალო ეპორე მხარეზე, ე. ი. სამსრეთ-დასავლეთით—ძველი მარანი. ქვეყნობით ეკლესიას გარს ატყუა ქვითკირის გაღვანა, რომლის დასავლეთის შესავალ კარებთან მარჯვნივ ატყუა შემდეგი ხუტური წარწერა:

უგვ. ყდ სამღვდლო ნეკრესელმა ამბროსიმ მიქაძემ აღვაშენე გალავანი ესე დროსა რუსეთის მართებლობისასა და სხვანიცა მადლისა ღვთისათა.

გაღვანის გარედაზრის წისქვილი, რომელსაც შესავალ კარების თავში გარედან აქვს შემდეგი ხუტური წარწერა:

უგვ. წისქვილისა რუსხმულით და სხვათაცა ეკლესიის ხარჯით გამრჯელი ნეკრესელი ამბროსიმ მიქაძემ.

ეს წისქვილი ესლასახლებულია. ამბროსიმ ნეკრესელი იყო უგანასენელი ეპისკოპოსი ნეკრესის ეპარქიისა, რომლის სამწყსოსა შეადგენდა კახეთის გაღმა-მხარე და დიდოეთი, სადაც ქრისტიანობა შეტანილ იქნა ნეკრესის პირველ ეპისკოპოსის აბაბოსაცან: (ის,

Бакрадзе. Кавк. въ древн. памятн. христіан. гв. 112). ამბროსის დრომდე საქებისკაზოსო კათედრა ნეკრესში იყო, მაგრამ მე-**XVIII** საუკუნის გასულს შილდის თავში გააკეთა ამბროსიმ ესლანდელი ღვთის-მშობლის შობის ეკლესია, იქ გადმოიტანა საქებისკაზოსო კათედრა და თვითონაც იქ გადმოსასლდა, რადგანაც ნეკრესში ლეკების შიშის გამო შეუძლებელი იყო ცსოვრება. შემოდმოყვანილი წარწერები ცსადად ამტკიცებენ, რომ ამბროსი ნეკრესელი გვარად მიქაძე იყო.

ბ) ღვთაების ეკლესია აშენებულია შუა სოფელში. მისს ჩრდილოეთის კარების თავში გარეაან შემდეგი მხედრული წარწერაა:

ჩყჲ: წე: ხეკ: კ: აღშენებულ არს ღვთაების ეკლესია ესე შილდის ცხეთის ყმათაგან: აღმაშენებელი სავაია ქეშეშოლი: მშრომელნი სოსია: გიორგი ახალბედოვი: სოლომონ ასაბოვი და ივანე ლომაური: ღმერთმა აცხონოთ.

როგორც გამოვივა, შილდაში ყოფილან წინადა სამ-გვარსი ყმანი: საეკლესიოანი, სასელმწიფოანი და საბატონანი. საეკლესიო ყმანი ზოგნი ვეკოვნოდნენ მცხეთის ეკლესიას და ამათ ექასოდნენ «საკათალიკოზოანთ», ზოგნიც—ნეკრესის მონასტერს და ესენი იწოდებოდნენ «ნეკრესლანებად». ესლაც შილდის ერთს უბანს «ნეკრესეღიანთ» ექასიანს.

გ) ძელ-ქეშმარიტის ეკლესია გაშენებულია მდ. ჩელთის პირას. წარწერები აქვს: კასეკელის მაცნოვრის სატსე მსედრულად:

შამოგწირე მაცხოვრის ხატი მე ბერუა შერგიროვმა მეოხად სული-სა-ჩემისა საოხად.

ვკარის გამოჩინების სატსედ:

ჩემ-სა წელსა თიბათვის ა-სა მეცადინეობითა ბლალჩინის დანიილ ზურიევისათა დადგმულ იქმნა წმინდა კანკელი ესე.

ოდიკსედ:

ვარლამ მიტროპოლიტი მცხეთისა და ტფილისისა და ექსარხოსი ყოვლისა საქართველოსა და იმერეთისა. (ესეც მხედრულად არის წარწერილი).

დანელ სურიაევი ბლადონინად ყოფილა გელმა-მსარში 1840 წლებში და ამასთანავე გასკედ საეკლესიო მამულებისა. თვით ეს ეკლესია იმის დროს განუხსლებათ და კანკელიც მასინ გამოუცვლიათ. მიტროპოლიტი კარლამ ერისთვის შიელი ექსარხორობდა საქართველოში 1811—1817 წლამდე.

გარდა ამ სამი შტატის ეკლესიისა შავ შუა სოფელში არის კიდევ მეოთხე ეკლესია წმ. ნინოს სახელობაზე აშენებული, რომელიც ესლა გაუქმებულია. მისს დასავლეთის კარების თაკში, გარედან შემდეგი მხედრული წარწერაა:

ქ. ეხე ეკლესია აღვაშენე წმინდის ნინოს სახელზე მე იორდანეში-ღმა ნიქოლოზ ღვდელმა უფლ.

იორდანეშელები შილდის მცხოვრებნი არიან. ამ საგვარეულოს ერთი წევრი—ბართლომე იორდანეშიელი მღვდლად იყო შილდის დეოთების ეკლესიაში და ამ ხუთი-ექვსი წლის წინად გარდაიცვალა. წარწერაში მოხსენებული ნიქოლოზ მღვდელი პაპა ყოფილა ბართლომე იორდანეშიელისა. ამათ შილდაში ექსიანს კიდევ «სალთ-ხუცინთ», რადგანაც მათ წინაპართაგანი ვიღაც სასლთ-უხუცესად ყოფილა შილდაში.

აბრამადი ანუ სალთ-ხუცესი და ამისი ხელისა იყო სამეფო შემოსავალი და განსავალი. ამან უწყობდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა და თათბირობა სამეფოსი, და სახსონი მეფისანი. (იხ. ვახუშტი. გეოგრ. გვ. 18.).

სოფელს კარედ ბეკრი ძველი ეკლესიების დარჩენილი ტყეში, მაგრამ ამათში უფრო ყურადღების ღირსია რაი: კარედ-წოდებული ბარცანის ღვთის-მშობლის ეკლესია და ნეკრესის ღვთის მშობლის მონასტერი. პირველი გაშენებულია სოფლის ჩრდილოეთით ტყეში იდ. ჩელთის მარჯვენა მხარეზე. საღსის თქმულება ამ ეკლესიის აღშენებას მიაწერს თამარ-მეფეს. გარეგანი სახე მისი ჯვარედინია. შუა ეკლესიაში დაშვებულია გუმბათი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ნასკვარზე ჩამონგრეული იყო და ესლა მგონი სულ ჩამოინგრადა. სიგტე ეკლესიისა დასვლეთით 18 არშ. იქნება, სოლო საგანე—15 არშ. თუმიცა ყამთა კიაარების უღმობელს ძაღას

სიძველის ბეჭედი ძალიან დაუტყვიან, მაგრამ მაინც კიდევ ისე შედრად დუროდ გამოიყურება, რომ სჩანს ოდესმე ამ ეკლესიასაც დიდბეული ცხოვრება ჰქონია. ეკლესიის გარედ მიწაში დარჩენილია ძველი ქვევრები. ბუკრი ვათავლიერეთ, მაგრამ წარწერა კერავითარი კერ აღმოვაჩინეთ. საღსა მოგვიითრობს, რომ ამ ეკლესიის იატაკზედ წინად ადამიანის ფეხი ეტუებოდაო; ოდესაც უშენებიათ ეს ეკლესია, თამარ დედოფანს სასსოკრად ფეხი დაუკრავს იატაკზედ და დასტყობიაო. ზოგნიც ამბობენ, კითომ ეს ფეხი თამარ დედოფლისა კი არა, თვით ეკლესიას ამშენებულ კალატოზისა არისო.

ნეკრესის მონასტერი გაშენებულია კავკასიის ქედის კალთის ერთს გორასზედ, რომელიც მდებარეობს შილდიდან აღმოსავლეთით, სს. უჯარღისა და შილდის შუა. ამ გორას ანუ კალთას «ნაზვრეკსა» უწოდებენ ესლა, რადგანაც აქ ოდესმე დიდა ზვარი ყოფილა გაშენებული. ესლაც არის დარჩენილი ძველი გაზრები ეკლესიასთან ახლოს. ნეკრესის უმთავრესი ეკლესია ამშენებულია ღვთის-მშობლის სასკლოზაზე, რომლის სსენებას შალდა-უჯარღის მცხოვრებნი დღესასწაულთბენ დეკემბრის 25-ს. ეს ეკლესია არის უგუმბათო, მოგორ და სიგძევე შეკრულის თაღით. სამსრეება აქვს: ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამსრეთით. ჩრდილოეთის სამსრე ესლა დანგრეულია. კანკელი აქვს ქვითკირისა. შიგნით კედლებზე მშენიერი მსატარობა ზოგან კიდევ ეტყობა. საკურთხეკლის კამარაზე ეტყობა მშენიერის სელაგნებით გამოხატული ღვთის-მშობელი მჟდომარე ცხენზედ, რომელსაც ფეხები უწევიან ოთხ-ფეხიან სკამზე. ამის ქვევით, საკურთხეკლის უჯანა კედელზე გამოხატულია თორმეტი მოციქულია, რომელთა წარწერები, გარდა სამიანისა და ჰეტრესი, აღარ ეტყობა. საკურთხეკლის აღმოსავლეთ ფანჯარაში გამოხატულია ორი ექვს-ექვს ფრთიანი ანგელოსი. ეკლესიის სამსრეთის კედელზედ ეტყობა ორი ადამიანის სასკე: მამა-კაცისა და ღვთა-კაცისა, რომელთაც სელაგნზე უდგათ ეკლესიის გეგმა. წარწერები აღარ უჩანთ. შეიძლება ვაფიქროთ, რომ ესენი იყვნენ: მეფე ტირდატი, ნეკრესის ეკლესიის ამშენებული, და ცოლი ამისი. საკურთხეკელში დარჩენილია ქვის ტრავზები და ტრავზების უჯან ეპისკოპოსის დასავლეთში. ეკლესიას არავითარი წარწერა აღარ აქვს, თუმიც კი შეუძლებელია, რომ ამისთან-

ნა შესანიშნავს მონასტერს რამე წარწერა არა ჰქონდა. ამ ეკლესიის სამსრეთით და სამსრეთ-დასავლეთით ბევრი სსკა-და-სსკა ორ-სარ-ო-უღიანი შერობებია დარჩენილი. აქვე არის მარანი ქვევრებით სავსე. დასავლეთით არის კიდეკ ერთი ოთხ-კუთხიანი შენობა, საიდანაც გზა ჩაიდებს ძირს: მიწაში. ხალხის თქმულებით, ეს ვითომ წყლის გზა ყოფილა დაბლა სეკამდინ. ამავე მხარეზე არის მეორე ეკლესია მთავარ-ანგელოზისა განიერის გუმბათით. კანკელი აქვს ქვეითვირისა. მხატვრობა ცოტა-ღა ეტეობა. წარწერა არც აქვს.

სოფ. ძველად ნეკრესი ჰქმნიდა კასეთის ერთს ქალაქს, რომელიც აუშენებია ივანჯომ მეფეს (112—93 წ. ქრ. წ.) «იწყო (ივანჯომ) შენებად კასეთს ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს სეკრესი». (იხ. ქ.-ცხ. I, გვ. 34).

შემდეგში, საქართველოს მეფეს ტირდატს (379—405 წ. ნეკრესში აუშენებია ეკლესია დეთის-მშობლისა, სოფო აბიბოსს, ერთს ათცამეტთა სირიელთა წმიდა მამათაგანს, ეს ეკლესია უქრევის სავსიკობოზო კათედრად (Бакрадзе. Кавк. въ древ. памят. христ. гв.-112). მე-XVIII საუკუნის გასვლამდე ნეკრესის ეპარქიას თვისი ეპისკოპოსები ჰყოლია, რომელთაგან უკანასკნელი იყო სემოდ-მოსენებელი ამბროსი ნეკრესელი მიქაძე.

სოფ. შილდას თავისი არსებობის დროს განმავლობაში ბევრი მწარე დღე უნახავს. ბევრი ტანჯვა-ვაება, ბევრი შეწუხება, ბევრი უბედურება და კაი-გაგლასი დასტეისა თავს. არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა განადგურებული და გასრული მისი ნიადაგი და არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა მის მკვიდრთა მუუდრო ცხოვრება შერყეული და შეძრწუნებული გარეშე შტერთაგან. ჯერ ამ საუკუნეში თვით რუსებისაგან ძალზედ არის აოსრებული, ამტკრებული და დამწვარ-დადაგული ს. შილდა. კეთილხელს ეცოდინება, რომ მე-XIX საუკუნის დასაწყისი, შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ფრთად არეული და მოუსვენარი დრო იყო ჩვენის ერის ცხოვრებაში. მიზეზი ამგვარის მოკვლისა იყო ის, რომ ხალხი, რომელსაც ისევე თვალ-წინ ედგა თვისი წარსული, რომელიც დრმად იყო გამსჭვალული თვისის მამულისა და თავისუფლების სიყვარულით, ქართველთა მეფეთა შატრის-ცემით და ერთგულობით, ძალე

კერ შეურიგდა ახალს ხალხს და ახალს წეს-წყობილებას; ამისათვის სწორად დღეებოდა და წინააღმდეგობას უწევდა რუსის მმართველობას. ამგვარს ღვლეება-აჯანყებაში და წინააღმდეგობაში წილი სდებია კეროდ ს. შილდსაც. სასკელდობრ რომელ წელში ყოფილდა შილდაში აჯანყება და მისი ახსრება რუსებისაგან, 1812 წ. თუ 1829—30 წლებში, დაბეჭდილებით არ ვიცით. უფრო, კვანებით, 1812 წ. უნდა მამხდაჩიყო ეს ამბავი. ამას გვაფიქრებინებს ჩვენ შემდეგი გარემოება: ამ რამდენისამე წლის წინად ს. შილდის მინდვრებში ჩვენს ვნახეთ ერთი საფლავის ქვა, რომლის ძალიან გადსულ მხედრულ წარწერაში გავაჩნეთ მხოდლოდ შემდეგი:

აქა დაფარულ ვარ მტვერი მოკლოლისა შინა სოფელსა შილდასა 20-ს სექტემბერსა 1812 წელსა პორუტიჩისა იოანე გრეცკისა (?) ჰმანხურებდა სახელმწიფოსა და მამულსა წელიწადსა და 23-სა (?) წელსა და აღსრულდა ღმერთო ყოვლად სახიერო, შეივედრე სული მისი წილისა შენსა და დაამკვიდრე, სადაც განუშხადე მოყვარეთა სახლისა შენისათა ვედრება ჩვენი და მონასა შენსა, დამდებსა სიცოცხლისა მამულისათვის სასუფეველი შენი.

ამ საფლავის ქვას ხალხა უწოდებს ესლა «შეივის ქვას», რომლის შესახებ ერთმა ღრმად მოსუტებულმა შილდის გლეხმა, იაკო მიხილაშვილმა, მომსწრემ შილდის ახსრებისა რუსებისაგან გადმომცა შემდეგი ისტორია: «მე კარგად მახსოვს ალექსანდრე ბატონიშვილი; ის გამკრებული იყო ლეკის ჯარით შილდაში. ხალხა კი, როდესაც გაიგო, რომ მოდის რუსის ჯარი, გაიხიზნა მთებში. მოვიდა შევი რუსის ჯარით და დახანკდა შარმახანთან მინდორში. (შარმახანასანი შილდის მცხოვრებნი არიან, შეივის ქვა ამათ ადგილშა). სამი დღე და ღამე იდგა აქ შევი ოპისი ჯარით. ერთს ღამეს ალექსანდრემ მიიტანა იერიში შეივის ჯარზე, მოჰხდა მათ შორის დიდი ბრძოლა, მაგრამ კერც ერთმა კერ დასიღია, ამ ბრძოლის დროს ალექსანდრე ბატონიშვილის ჯარიდან შეივის ჯარში გადავიდა უხუმრად ერთი საბუელი კაცი. მეორე დღეს, როდესაც შევი ემხადებოდა, რომ სოფ. შილდა აკმტკრებია თოფ-ზარბახეებითა, იტყვა უცხად საბუელი კაცის თოფმა და შევი უსულოდ მიწაზე დაეცა. მკვლელი, რასაკვირველია, მაშინვე გაიქცა, კერც კი მოასწრეს მისი დატყრა».

ხოლო გვამი მოკლულის შეთვის იქვე დასაფლავეს და ამისათვის მისს საფლავს დღეკანდღამდის ეძახიან «შეთვის ქვას». ამის შემდეგ, განრისხებული რუსის ჯარი მიადგა ს. შილდას და ისე უწყალოდ აიკლო, ისე შეუბრალებლად გადაწო და გაანადგურა, რომ ქვა-ქვასკედ აღარ დაწინებია. წინააღმდეგობას ვინღა გაუწევდა ამ უზატრონოდ დატოვებულს სოფელში? ალექსანდრე ბატონიშვილი იმ დროს შილდაში აღარ იყო. პირველის იერიშის მატანის შემდეგ შტერსე, რა იგრძნო, რომ შეფი უეჭველად შემოესევს შილდას და აიკლებსო, დაჭყრას ფეხი და გაიქცა დაღისტანში.

ლეკებისაგან სამ სრულებით მოსჩვენება არა ჰქონდა არა მართლ შილდას, არამედ მთელს კახეთის გაღმა-მხარს მე-XVIII საუკუნეში და მე-XIX საუკ. პირველ ნახევარში. წინად, როდესაც საქართველო წარმოადგენდა ერთს მჭიდროდ დაკავშირებულს სამეფოს, ლეკები ვერას ხდებოდნენ ქართველების წინააღმდეგ, რადგანაც ეს უკანასკნელნი საერთო ძალით ყოველთვის შესაფერის ზსუსს აძლევდნენ მათ. მაგრამ, მე-XV საუკუნიდან, როდესაც ეს საერთო კავშირი ძალიან შესუსტდა ქართველთა შორის, როდესაც ეს ოდესმე მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს სამეფო დასწილდა სამ სამეფოდ და სუთ დამოუკიდებელ სამთავროდ, ქართველები ისე დასუსტდნენ და დაუძლეურდნენ, ისე შეაღიეს ერთმანეთს თავიანთი ძალ-ღონე, რომ იმათაც კი ვეღარ უწყდნენ წინააღმდეგობას, რომელნიც ოდესმე მათის შაშათ თრთოდნენ და მათნი მოხარკენი იყვნენ. თვით ლეკები მე-XVIII საუკუნეში ისე გაძლიერდნენ და გათამამდნენ, რომ სრულებით თავისუფლად და შეუზღურად თარეშობდნენ იმისთანა დაშორებულს ქვეყანაშიაც კი, როგორც იყო ძველი სამცხე-საათაბაგო და, რასაკვირველია, უფრო უარესს დღეში იქნებოდა იმათგან იმისთანა დახლავებული მხარე, როგორც არის სასოგადოდ კახეთი და კერძოდ გაღმა მხარი, სადაც მდებარებს თვით ს. შილდაც. მართლაც, მე-XVIII საუკუნეში და მეცნარამეტეშიაც მთელი გაღმა-მხარი და სამეტნაკად შილდედნი შეთოფ-იარაღებულნი დღე-ღამე იყვნენ იდგნენ თავიანთი მამულისა და ცოლ-შვილის დასაცველად ლეკთაგან, რომელნიც მრავალჯერ ესხმოდნენ თავს ამ კუთხეს საქართველოსას, უწყალოდ და შეუბრალებლად სთელავ-

დნენ მისი ნიადგის, შეკავებდნენ და შეურაცხველობდნენ მისი წმი-
და ადგილებს და სალოცავებს, უწყალოდ ჭსოვდნენ და უღეტდნენ
მისი მტნოვრებლებს, მრავალიც ტყვედ მიჰყვანდათ და ამკვარად
სამეფნად ამოიკრებდნენ თავიანთი მიწა-წყალს, თავიანთ ნათესა-
ვებს და ხაზრბებს, თავიანთ სახლსა და კარს. ამკვარად თავისი-
ყვანი თარეშობა და ხაზრდობა ლეკებისთვის უფრო წაფსოვლო-
ბით იყო ადგილი, დღისით ისინი ადგილად იმალებოდნენ გაფო-
თილეს ტუეში, სიდაც, თუ მოასწრობდნენ ვისმეს, არას დაჭრო-
გავდნენ, მხოლოდ შებინდებოდა თუ არა, გამოდიოდნენ ტყვიან
და იშლებოდნენ შიგ სოფელში სამარცხვარად. ამ დროს, რასაკვირ-
ველია, ადამიანი შიშით კარზე კერც კი გამოვიდოდა; ეგვიპტელია,
იქვე სადმე კროში ან ბაღის-გუბანში ჩასაფრებულები იქნებოდნენ
ლეკები და კარზედ გამოსულს ადამიანს რამე სიფათს შეამთავრებდნენ.
უკანასკნელად დიდად საგრძნობელი თავ-ზარი დასცეს ლეკებმა მთელს
კასეთს 1854 წ. შამილის წინამძღოლობით და ეგვიპტე მეტად
ეს თავ-ზარ დატოვა და აკლეს-განადგურება შილდას ჭსკვრა წილად.
ქანის დრანისეს სატყვეთ, შამილი ოცის წლისა არც კი იყო,
როდესაც შეაერთა თავისი ბრძანებლობის ქვეშ ეგვიპტე ლეკებისა
და ჩაჩნების ტომნი და ამ დროდან დაწყებული ცდილობდა მიუ-
კვალ კავკასიის მთების შემწვობით დაერკვა თავისი ქვეყნის დამოუკი-
დებლობა. ტანით შამილი იყო მალაღი; წვერი ჭქონდა ქერა (სურთ-
თში უფრო შავი წვერი უჩანს), ტუჩები ალიოგური, კბილები ლამაზი,
სელები ზატარა და თეთრი, თვალები ლურჯი და მოკმო. აღსრდა
მიიღო ერთს წარჩინებულ ზირთან ჟამალ-ედინთან, რომელმაც შემ-
დეგში თავისი ქალი ზაიდეთი მისცა ცოლად. შამილი იყო ბუნებით
დიდი ჭკუის ზატრონი, შესანიშნავი სარდალი და კანონმდებელი.
მომეტყველს დროს იგი მუშაობდა თავისი წიგნებით სავსე კაბი-
ნეტში. (იხ. ПЛѢНИЦЫ ШАМИЛЯ. Воспоминанія г-жи Дрансе-
гге 87—88.). წაქეზებულმა ოსმალეთის ხონთქრისაგან 1854 წ.
დამდეგს შამილმა იწყო მზადება კასეთზე გასალაშქრებლად. ამ
დროს შილდაში და შილდის მიდამოში ქართველი მილიცია იდგა
ამკვარად: ფოხალის-თავის კოშკში გამაჯრებელი იყო ერთი ურია-
დნიკი 25 კაცი; ამათი წინამძღოლი იყო ზ. ჭავჭავაძე; შუა-

გორის კოშკი—ერთი ურადნიკი 29 კაცი; ნათლის-მცემლის კოშკი—ერთი აფიცერი და ერთი ურადნიკი 25 კაცი; ხანდოში—სუთასი კაცი. ნათლის-მცემლის კოშკი მდებარებს ს. სახუის თავში, სოლო ხანდო, შუა-გორი და ფოსალი—შილდის თავში, დადის-ტინის გზის აუღლებს. 1854 წ. ივლისის 2-ს შიშილი დიდის ჯარით გადმოდგა გაგასიის მთა-გრესილის ქედზე და დაბანაკდა ფოსალის კოშკის მახლობლად. შაქარია ჭავჭავაძე, რომელიც ამ დროს ფოსალის კოშკში იყო გამაგრებული, აფრინა მამინადვე რთხი შიკრიკა ს. ყვარელში და ხანდოში დავით ჭავჭავაძესთან. შიშილი თვითონ მთაზე დაჩნა და დაუწყო ფოსალის კოშკს თოფების სროლა, სოლო მომეტებული ნაწილი ჯარის თავისის შვილის ყანი-მაჭმაღის და დანაელ ბეგის წინამძღოლობით გამოსწავნა შილდისკენ. გზად მათ ჩამოიარეს შუა-გორის კოშკი, საიდანაც ქართველებმა თოფების სროლა დაუწყეს, მაგრამ ამით ლეკები არ შეჩერებულენ, აქ მსოლოდ ყანი-მაჭმაღმა მცირე ნაწილი ჯარისა დასტოვა, დანარჩენი ჯარით კი ისევ თავისი გზა განაგრძო და ჩავიდა ხანდოში (იქვე სოფ. შილდის თავში). აქ ამ დროს ქარველი ჯარი აღარ დაჰსკედრია, რომ წინააღმდეგობა გაეწია ლეკებისათვის. ამისთვის ივლისის 3-ს დიდის შვიდ საათზედ ლეკები თავისუფლად შევიდნენ შილდაში და იწყეს უწყალოდ მასი აკლებს და განადგურება. ამავე დროს ზევით მთაზედ ორი კოშკის ბედილობა სწყდებოდა: ფოსალისა და შუაგორისა. ორივე მტერს წაუვარდა სელში. (ყველა ეს ცნობები შესასებ ლეკების გადმოსვლისა შილდაზე იხ. ვოლსკის რისტორია ქართველთა ქვეითის დრუინისა-ში). შილდის ხელსი, ელდანცეში ამ სამხელის მრისხანე მტრისაგან, ვინც მოასწრო, წივილ-კივილით გაიქცა ტყეში; დასტოვეს უმატრონად თავიანთი სხსლები და საჩო-სახადებელი. მაგრამ ამისთანა მრისხანე და სასტიკ დროს კისდა აგონდებოდა სახლ-კარი? ყველანი მარტო იმის ცდაში-და იყენენ, რომ როგორმე სიკვდილს გადაერჩინათ თავიანთი თავი და ცოლ-შვილი. როგორც მოგვითხრობენ ამ ლაშქრობის მომსწრე მოსურებულნი, მამა-კაცები ბეგრნი შივ სოფელში დაჩნენ და ორღობებში ჩასაფრებულნი შეიძლებისა დაგვარად წინააღმდეგობას უწყდნენ მტერს, თვითონ

იულიტებოდნენ, მაგრამ არც მტერს აყრიდნენ სეარს. ლეკები თუძმე ერთი კვირა იდგნენ ხანდოში და აქედან თარეშობდნენ შილდაში და მისს მიდამოებში. აქედანვე გაკიდნენ ალაზანს გაღმა, ს. წინანდალში და ტყვედ წამოიყვანეს თ. დ. ა. ჭავჭავაძის სასლობა. ლეკები მხოლოდ მასშინ წაივდნენ, როდესაც შილდა კარგად გადაწყვეს, როდესაც საღვთის ქონება და საჩხო-საბადებელი მთლად აიკლეს და გაანადგურეს. თუმცა ასე უწყალოდ მოექცა მტერი შილდას, თუმცა ასე უმოწყალოდ გამოაცალა სელიდან შილდის საღვთის მისი ნაწიკუნდაგი ჭინწისული და ვეკლაფერი, რაც კი რამ ებადა, მაგრამ მაინც შილდედს ამგვარის უბედურების და თავ-ზარ-დაცემის მნასკეონი სასო-წარკვეთილებას არ მისცემინ და არ დაუკარგავთ მათ იმედი ცხოვრების განსაღებისა. შემდეგ ლეკების დაბრუნებისა ელდა-ნაცემი ხაღსა, ცოტა არ იყოს, დაშოშმანდა, გული მოაბრუნა, დაბრუნდა ტყე მინდვრებიდან თავისს აოსრებულს და დამწყარ-დაბუგულს ბინა-ზე და იწყო სელ-მეორედ სასლ-კარის მოშენება და საჩხო-საბადებელი უბეკება.

ეს თავ-ზარ-დაცემა და თავ-დასსმა ლეკებისა, როგორც ზემო-დაც მოვიხსენიეთ, უკანასკნელი იყო. ამის შემდეგ მფლობელი დაღისტინისა—შამილა შეპერობილ იქმნა და ამით ლეკების თავისუფალს თარეშობას კახეთის სოფლებში ბოლო მოეღო, სოლო ჩვენს ხაღსს შვეა და მოსკენება მაენიჭა. თუმცა ამ უკანასკნელს დროსაც, როდესაც 1877—78 წლებში რამი იყო რუსეთსა და ოსმალეთს შუა, ლეკებიც, ცოტა არ იყოს, აწინაქოდნენ, მთაზედაც ამოვიდნენ და მეცხვარები დასოცეს, მაგრამ მაინც იმოდენა ძალა ვეღარ გამოიჩინეს, რომ უწინდებურად დაწოკებისათ კახეთის გაღმა-მხარე. მაგრამ შილდელები მაინც გაინიხნენ: ზოგნი შილდის გაღვანში და ზოგნიც ალაზანს გაღმა. ლეკების დასამშვიდებლად მთავრობისაგან გაბოგ-ზავნილ იქმნა რუსის ჯარი, რომელსაც სხვა სოფლებთან ერთად მიემატნენ შილდედნიც და დიდი გაუ-კაცობა და გულადობაც გამოიჩინეს ასასოს ციხეზე იერიშით მისვლის დროს შილდის თავადის ნ. რუსიშვილის წინამძღოლობით. ამის შემდეგ სრული მშვიდობიანობა და მყარებული შილდაში; კხლა შილდედნი სრულიად უზრუნველ-ყოფილნი არიან კარგე მტრისაგან,

სრულიად მოსკენებულნი და გულ-დადინჯებულნი ცნსოვრებენ თავიანთ მიწა-წყალში, მათის ცნოვრების წარმატება და წინ-სვლა ესლად დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ მათივე ურთი-ერთ შორის დამოკიდებულობაზე და მათს სიმსნე-გარჯობაზე. ვისურვებთ მხოლოდ იმას, რომ ამ სოფელს არ მოაკლდებოდნენ შეგნებულნი, სწავლა-ცოდნით აღჭურვილნი პირნი, წარმატების გზისა, ნაყოფიერის შრომისა და ცოდნა-განკითხვების მაგალითის მასწავლებლნი. ამგავრს სამსახურს, რასაკვირველია, უნდა უწყებდნენ ადგილობრივნი. სასულიერო მწყემსნი და მასწავლებლნი. ამათი კადია იზრუნონ იმაზე, რომ ხალხში შეიტანონ სწავლისა და ცოდნის შუქი, დაიცვან და განამტკიცონ ხალხის საწმენობა და ზნეობა. დაბალი ხალხი, ჯერ კიდევ გაუნათლებელი და საჭირო სწავლა-ცოდნას მოკლებული, უგუკველია, ძალიან წინ გერ-წავა ცნოვრების სარბიელზე. თუ იგი დაჩნა მართლ თავის ანაბარად და არ იქმნა მიღებულ მოწინავე პირთა მსრუნველობის ქვეშ. არ შეიძლება ითქვას, რომ შაღდის ხალხი მოკლებული იყოს სწავლა-განათლების შექმნის ხალხსს. აქ ამ უმად ორი სასწავლებელია: ერთი სამინისტრო და ერთიც სამრეკლო, და ორივეში მეონი მცირედ არ დაიაბებან მოსწავლენი, როგორც ვაჟნი, ისე ქაღნი.

ბოლოს, მეტი არ იქნება, შოკიყვანოთ ზოგერთი ძველი სკლნაწერი წიგნები, დოკუმენტები და მიწერილობანი სსვა-და-სსვა წიგნებზე, რომელიც ჩვენა ვნასეთ შილდაში:

ა) „საქრისტიანო მოძღვრება“. ეს სკლნაწერი შეიცავს 46 ნაწერს ფურცელს. თვითეული ფურცელი სიგძით ექვსი გოჯია, სოლო სიგანი—ხუთ გოჯზე ცოტა ნაკლები. ნაწერია გადუმელის მსედარულით, მოსქო ჭაღაღდზედ, შავის მეღნით, სოლო სათაური და მეთაური ასოები წითელის მეღნით. სასძელია ტყავით გადაკრულს უღაში. მიწერილობანი აქეს: თავში:

ქ. რავედნი იყენენ კვისარნი პირველსა შინა ეამსა:—ათორმეტნი. ავეღსტო. ტიბერია. კალიდულა. კლავდია. ნერონ. ღალბა. ოტტონ. ვიტელლია. ბესპასიანე. ტიტე. დომენტიანე. და ნერვა: ავეისტო იხელ-მწიფა ორმოცდა ათშვიდმეტ წელს: ეამსა მისსა. იშვა ქრისტე. ოცდა მეცხრეს წელსა მის ხელმწიფობისსა.

ქ: რასა შინა იმყოფებოდა დაუპყრობელობა მისი: ღელიოლაბალს ენება ამათი აღმატება მამა პაპათათვის და სკამდა ყოველთა დღეთა—ბიბი-ლოსა მამლისასა, ენასა ფარშეანგისასა, კვერცხსა გნოლისასა, თავსა სირა-ქლემისასა, და ტვინსა. შროშნისასა, მაშიათა თვისთა შეამკობდა აღმასი-თა, და ტბათა შინა ასხემდა კეთილ საყნოსელთა წყალთა. ცხენთა თვისთჳ ნაცვლად ბურდოსა ბძანებდა დაგებად ზაფრანისა.

ქ. რასა შინა უდიდესად იმყოფებოდა უსჯულოება მისი: ა) ფუცა, სახელსა ქესა აღნოცად სრულიად: - ბ) ქეს მაცხოვარსა ჩვენსა უწოდა გალილეველად: და ნაზარეთის ხუროდ: გ) ოდეს ივნა ღი ჰკითხა ქრისტიანეთა მღვდელსა რომელსამე, რით შექცევისო თქვენი ნაზარეთისა ხურო: მაშინ მიუგო მღვდელმან შენთვის კუბოს აშენებოს:

ქ. მაქსიმიაწე კეისარი, იგი იყო დიდი უზომოდ, ხოლო ზომიერე-ბით ოთხი მწყრთა სიმაღლით, გინა სამი აღლი და მოთხედი რუესულისა ზომითა, ყოველსა დღესა სკამდა ხუთ ლიტრას ხორცსა, და ოთხს თუნგს ღვინოს სდ და ლევდა დღესა შინა:

ქ. სპარსეთის მეფემან საფირ ტყვედ ესე კეისარიი, და ხმარობდა ნაცვლად სკამისა, ოდეს ცხენსა ზედა შეჯღის და უკანასკნელ ბძანა, მისი ტყავისა გახდად:

ქ. კეისარს აქუნდა წვერი მოწითანო და ამას ზედა ეწოდა ბარბაროსად: ეს სამოთხის კარი მიხაილ ბერისა შდ ზაქარია: - ქს აქეთ, ჩლოპ:

ბოლოში:

განსრულდა სადიდებლად ღვთისა, დაბასა შილდისას:—ოცნდობერს, კე: - ქს აქთ: - ჩლოპ:

აღვსწერე ხელმან ცოდვილისა მიხაილ უნდოსა მონაზონისამან, და მხილველნო ყოველნო დაღმაოკითხველნო გაფუცებ იესოს რათა შენდობას ღირს მყოთ და არა დამაგდოთ, მე ფრიად სარგებელ მექმნების და თქვენ უზრუნველ იქმნებით: - ქს აქთ: ჩლოპ:

ქ. დასამაბითგან: აქს მოსვლამდე, ქართულის რიცხვითა გარდახდა წელიწადი: ხუთი ათას ასოთხმოცდა ათვრამეტი: 5198 რღუნის შდ ქსამდე: წელნი ორი ათას ცხრაას ორმოცდა ათშვიდმეტი: 2957 აბრაჰამის შობის შდ ვე ქსამდე წელნი: ორი ათას ათხუთმეტი: 2015. მოსეს ეგვიპტით ქსამდე წელნი ორი ათას ხუთას: ათხუთმეტი: დავითის ცხები-დამ ქსამდე, წელნი ათას ათორმეტი: - (ციფრით 1018 სწერია.).

ქ. ალა მამადხან მოვიდა, ქალაქზე და კიდეც წახდინა, სეკნდებერს: ია, ამ. წელს, ქს, აქთ, ჩლყე.

ქ. ამ. წელს, ჩყე, შევიდა ბელაქანში რუსი, კიდეც წახდინა მარტს: თ: - ქ, ამ წელს მიცვლა ბებურის შვილი თამაზი, ფებერვალს მეშვიდე დღე თენდობდა პარასკევი, ქს, აქეთ, ჩყს:

ქ. დარეჯან მიცვალა. სეკნდებერს. იბ. ქს. აქეთ ჩყს.

ბ) „ღვეითნი“ შეიცავს 207 ნაწარს ფურცელს. სიკძით ოთხ გოჯზე მეტია, სოლო სიკანით — სამ გოჯზე ცოტა ნაკლები. ნაწერია სუტურად შაკის მეღნით, სოლო სათაურები და მეთაური ასოები წითელის მეღნით. ჩასმულია ტყავით გადაკრულს ყდაში. მიწერილობანი აქვს: თაკში მსედრულად:

ქ. რუსეთს ხემწიფე: მიცვალა: დენკებერს კე: მიგ: ქკს: ჩღმბ.
ქ. გახემწიფდა პეტრე ხემწიფე ქკს: ჩღმბ:

ქ: ლოცვა. გველისა. ნაკბენისა. სარო სანთე: ფოტნათე: იგი: რო-
მე აგარა: ზიზმინამან. ეს. ლოცვა. ვერცბლის. ჭურჭელზე. დასწერეთ. და
ღვინით. მორეცხე და. შეასვი. ის იყოს. თუ ძმა. ან. ნათესავი მოციქული.
დაერგოს შეწევნითა: ღვთისა.

მოიხსენე უფალო დამწერი ამის დავითნისა მონა ღვთისა პატროსანი
მღვდელი გაბრიელ მირიანაშვილი, ჩღმე მიცვალა. იანვარს: კს: ბატონი-
შვილი ლევან.

ბოლოში მსედრულად

ქ. ესე დავითნი არის მირიანაშვილი გაბრიელ მღვდლისა ვინც ამის
პარვად ანუ მძლავრებით ხელ ყოს წყეულ და შეჩვენებულ იყოს მღვთი-
საგან ამინ ივან შირიანოვი.

მირიანაშვილები შილდის მცხოვრებნი არიან. აქ მოსსენებული
გაბრიელ მირიანაშვილი მღვდლად ყოფილა შილდის ღვთის-მშობ-
ლის შობის ეკლესიასი და გარდაცვლილა 1836 წ., როგორცა
სწანს მისს საფლავის ქვის წარწერიდან:

ესე საფლავი მირიანაშვილი მღვდელი გაბრიელ მხილველნო შენდო-
ბა ბძანეთ ჩყლოვ.

გ) „წამება წმიდისა დიდებულისა მთავარ-მოწამისა დი-
დისა გიორგისა“ ეს სელსაწერი შეიცავს სეით ფურცელს. თვითე-
ული ფურცელი ნასეკარ თაბასის ტოლას. ნაწერია მსედრულად, მოს-
ქო ლერჯე ქაღალაზე, შაკის მეღნით, სოლო მეთაური ასოები
(სუტურია) წითელის მეღნით. ბოლოში სწერია ტექსტის სელით:
ადიწერა სელითა კერძო ანდრასითა და ვითხოვ მხილველთაგან
შეცდომის მოტეკებას:

თთვის მისსა 12 ქრისტესისთ 1816 ხოლო ქართულსა ქორონიკონსა: ფდ.

დ) „ახსნა პორფირის შეყვანილებისადმი“. შეიცავს 104 ფურცელს. სიგძით არის ექვსი გოჯი, სოლო სიგანიო—ოთხ გოჯზე ცოტა მეტი. ჩასმულია ტყავით გადაკრულს ყდაში. ნაწერია მსედრულად, შავის მეღნიო.

ე) „კონდაკი“. შეიცავს 103 ფურცელს. სიგძით 6 $\frac{1}{2}$ გოჯია, სიგანიო 4 $\frac{1}{2}$. დაწერილია სურგურად, შავის მეღნიო, ორ სვეტად, მოსქო ქაღალდზე; უკანასკნელი ფურცლები აკლია.

ვ) „სწავლა მღვდელთ მთავართან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ“. შეიცავს 21 ფურცელს. სიგძით არის 6 გოჯი, სოლო სიგანიო—5. ნაწერია მომსსო სურგურით, შავის მეღნიო, სოლო შიგ და შიგ მეთაური ასოები—წითელის მეღნიო.

ზ) „მღვდელ-მთავრისა ლიტურგიის განმარტება“. ეს სელ-ნაწერი შესდგება მარტო 7 ფურცლისეგან და თვითიული ფურცელი სიგძით 7 გოჯია, სოლო სიგანიო—5. ბოლო აკლია. ნაწერია ლამაზი წვრილის მსედრულთ, სქელს მოღურჯო ქაღალდზე, შავის მეღნიო, სოლო სთაური და შავა და შიგ მეთაური ასოები (სურგურია) წითელას მეღნიო.

ც) ქ. დედოფალ მარიამ გიბძანებ. ოთიაშვილო ნიკოლაოზ ნაცვალო და ჩახტაურო პაპიავ ნაცვალო მერმე ჩვენი ყულუხჩები ხიმშიაშვილო ნიკოლაოზ. და ილარიონ გამოგვიგზავნია მანდა ლალის ასაღებათ და ახლა თქვენ იცით როგორც მოიქცევით და ან როგორც აიღებთ ლალას თქვენთან უნდა გაყვეთ. და თქვენ უნდა უჩვენოთ. ვისაც ნახნავი ჰქონდეს და ესენი. აიღებენ. ნაშანშარი შუა უნდა მოკცოთ და რაც ჩვენს. ფარგალში და მიჯნებში დაყვება. იმ ადგილების ყველა ლალა უნდა. აიღოთ. ახლა თქვენ იცით როგორც გაირჯებით ღთის მოწყალებით ყველა მანდაური საქმე კარგა. გვირიგდება უბრალო. კორს ნუ აყვებით ამ ცოტას ხანში ჩვენი შვილებიც მოვლენ ხელმწიფის ღიდის მოწყალებით და მანდ ჩვენის მტრების ყოფას მაშინ აჩვენებენ მარიამობის იხ. ქს უბთ.

ბოლოში ახის მარიამ დედოფლას ბეჭედი. ოთიაშვილები და ჩახტაურისშვილები შილდის მცხოვრებნი არიან. ერთი ძველელა გიორ-

გი ჩახტაურაშვილების საგუარაულოდან, როგორც კამიგია, პირველ მოთავედ ყოფილა შილდის აკანკების დროს რუსების წინააღმდეგ: ამისათვის იგი სსხვა მოთავეებთან ერთად ციმბირში გაუტყვევინათ და ბქვე გარდაცვლილა.

ა) ქ. მათის. უმაღლესობის. ბედნიერის ხელმწიფის წინაშე. მოსახსენებელი მათის. მონის. შილდიდამ. ნიკოლოზ. ნაცვლისა.

მე. ვაჭირიდამ ავიყარე. გიანელ. შილდას. ოთიაშვილის. მამულზედ. დავსახლდი. შარას. ზემოთ. ერთი. კვალი. მიწა. არა მაქვს. სახასოში. მაქვს. წილიც. ჩახტაურებში. ავილე. სახნავისა. სულ მინდორი. ამიშენებია. ვენახი. ბახჩა. მარანი. და. სასახლე. სულ. სახასოთ. დაილო. მე. ჩემს. მამულზედ ხელის. ამღები. არა ვარ. ნება. თქვენი. ათავდეს. მაისის. ილ. ქკს უპპ

ამ ქაღალდის ბოლოში აზის გიორგი მეფის ბეჭედი, ხოლო თავში აწერია:

ქ. ჩვენი ბრძანება არის ამ არზის პატრონო ნაცვალო ნიკოლოზს. მერე შენ შენის ძმითა. და სახლით რაცა დღეს აქამდის მამული გპერიოთ ჩვენი სახასო ის მამული ისევ შენთვის წყალობა გვიქნია. და ჩვენს სახასო ყმად უნდა იყო რომ შენთან სხვას საქმე არავისა აქვს იმ მამულზედ უნდა იდგნეთ შენ და შენი ძმა მარკოზა და ჩვენი ყმანი უნდა იყვნეთ. მაისის. კბ. ქკს უპპ.

ი) ქ. ჩვენი ბრძანება არის ფარეშთხუცესო ჩახტაურების და ჩვენის სახასოს მოურაო ანდუყაფარ და ნაცვალო ნიკოლოზს მერე თქვენ ამაზედ დიდათ ბეჯითი უნდა იყოთ რომ. რაც. ჩვენი ღალა. არის სრულებით ბეჯითის მოქცევით აილოთ და არა დაკარგოთ რა. პური ქერი. ფეტვი. და თუ სხვა რამ ყველა. რიგიანად უნდა აილოთ მაისის კბ ქკს უპპ.

ბოლოში აზის გიორგი მეფის ბეჭედი. ფარეშთხუცესი ანდუყაფარ, გუარად ბანცურიშვილი, შილდის მოურავი ყოფილა. ამ გუარონობისა შილდაში ამ ყმად არავინაა. ვგონებ, თუ არა ვცდებით, ბანცურიშვილები ს. აწუერის მცხოვრებნი უნდა იყვნენ, თელავის მცხოვრები.

ფარეშთხუცესი. ამისი ხელისა იყო ფარეშნი, ნოხნი, კარავნი, ოთანნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიბნი, სკამნი, სავარძელნი, სრა-ფარდაგნი და მნენი მისნი, და მერწყულნი. (იხ. ვახუშტი. გეოგრ. გვ. 22).

ია) ქ. ჩენი ბძანება არის. კალაურის მოურავის ჯანდიერის შვილო როსებ. მერე ყვარელნი და შილდელნი სამების საყდარზე რომ დაობდნენ. იმათი განაჩენი რომ დავსწერეთ, იმათი იასაული ხომ შენ იყავ. ახლა შილდელთ რომ დაიფიქს რაც გამოუფიქრავთ ის ადგილი ხომ კარგათ იცი და ახლა წიწრია შვილს ნაცვალს საყდარი უკუერთებინებია ნეკრესლისათვის. ის საყდარი თუ ამ შილდელთაგან გამოფიქრულს ალაგში შიგნით დარჩეს ხომ შილდელნიც უნდა მოვიდნენ და ილოცონ და ყვარელნიცა, და თუ შილდელთაგან გამოფიქრულში არ არის ის საყდარი და საყვარელსაკენ არის და ის ყვარელისა იქნება და ნეკრესლის ყმას საქმე არა ექნება რა და სალოცავათ შილდელთ ყვარელნი მოსვლას ვერ დაუშლიან მაგრამ დასამწყალობლოთ კი შილდელ მღვდელთ საქმე არა ექნებათ რა. ყვარელთ მღვდელთ უნდა დამწყალობლონ. ეს როგორც გვიბძანებია ორთავ ასე გამოუცხადე და ამზედ ასე დააყენე და ყადაღა უყავ რომ შფოთი აღარა მოიყვანონ რა თორემ სამღვდელთადაც და ერის კაცთაც დიდათ გარდავახდევინებთ დაჯერებულნი იყვნენ. დეკემბერს იგ. უპზ

ბოლოში აზის გიორგი მეფის ბეჭედი. სამების ეკლესია გაშენებულია კაკვასიის ქედის კალთის ერთ გორაზე, რომელიც მდებარეობს სს. ყვარლისა და შილდას შუა. ამ გორას ხალხი უწოდებს სამების ტერს. ეკლესია მართლა ზედ ყვარლისა და შილდას მიჯნაზეა, ამისათვის ამ სოფლების მღვდელთ უოკელთაგან ცილობა ჭქონდათ ერთმანეთში შემოსავლის შესახებ, მაგრამ ესლა კი დახეკითებით არ გიცით, ამ შემოსავლით ორივე სოფლის მღვდელნი სარგებლობენ თუ მარტო ყვარლისანი.

იბ) ქ: მირიანაშვილს აღამ მღვდელს, ჩენის ეკლესიისათვის რადგან გარჯილობა და სამსახური აქვს ოფში თავის ნამუშავალს გარეშეში ათხუთმეტის დღის მიწა უნდა მიეცეს. ჩვენ დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია და ამისი წინააღმდეგი ნურავინ იქნება და ნურცავინ უარს იტყვის დეკემბერს ივ: ქკს. უყვ. ყოვლად სამღვდლო ნეკრესელი ამეროსი+ეს რომელიც გვიბოძებია, საბოლოოდ და სამკვიდროდ გვიბოძებია: ამეროსი+ეს ბოძება, ჩემის კრების თან დასწრებით მიგვიცია, ჩენი დეკანოზი იოსებ+მღვდელი იობ+მღვდელი იესე+სალბუცევი კუპრაშვილი დემეტრე+ნაცვალი იანქოშვილი დავით მღვდელი+და ჩენის ეკლესიის ყმანი მრავალნი+ამეროსი (ხელჩართულია).

დეკანოზი იოსები და მღვდელი იესე გვარად მირიანაშვილები ყოფილან, სოლო მღვდელი იობი—აღნაშვილი. ყველას შილ-

დის ღვთის-მშობლის შობის ეკლესიაში უმსახურნიათ. იოსებ დეკანოზის შთამავალთ შილდაში «დეკანოზიანთ» ექსიან. კუპრაშვილები და ინჭოშვილებიც შილდის მცხოვრებნი არიან. შილდაში ამ უამად სტხოვრობენ გლეხები გარდა დაკითვლადღის შვილები; შვილებს ვიფიქროთ, რომ შემოდ-მოსესეული დაკით მღვდელი ამითი წინაზარი იყო. ადამ მირიანაშვილი, რომლისათვისაც ამბროსი ნეკრესელს ჯილდოდ 15 დღის მიწა მიუტია საბოლოოდ და სამკვიდროდ, მღვდლად ყოფილა შილდის ღვთის-მშობლის შობის ეკლესიაში თვით ნეკრესელს დროსვე. ამ უკანასკნელისა ადამი ძალიან დასწლოებული პირი ყოფილა. ამბროსა მას თურმე «მატარს მენიერს» ექსოდა. მართლაც, როგორც გამოვია, ადამი ძალიან გონიერი და ბუნების მოკვინებათა მტოდნე კაცი ყოფილა.

ადამ მღვდელს სწავლა-განათლება მაუღია თვით ამბროსი ნეკრესელთან. ამისგან შეუსწავლია ფიზიკა, დოღმატიური ღვთის-მეტყველება, ფილოსოფია და სსკა საბუნების-მეტყველო საგნები. ადამის დედა ბარბარე ღარიბი დედაკაცი ყოფილა. მას ჭყოლია ორი ფერი. ერთი ფერით თურმე თვითონ იკეპებოდა და ერთიდანაც სან რქეს და სან მწონს ამბროსის უგზავნიდა შვილის აღზრდაში, მაგრამ ამბროსი არ მიიღებდა და ეტყოდა სოდემ: «შენ თვითონ ღარიბი ხარ, შენტვის შეინასე». ადამი უკრ დიანკანად ყოფილა ამბროსისთან, შემდეგ მთავრად და ბოლოს მღვდლად. შვიმლება ვიფიქროთ, რომ ადამ მირიანაშვილს, როგორც გონებით განკითარებულს და საბუნების-მეტყველო საგნების მტოდნეს, ჭქონდა რამე ნაწერები, მაგრამ უკრ-უკრობით არა სჩანს-რა. ადამი დასთვლავებულია შილდას ღვთის-მშობლის შობის ეკლესიასთან, საკურთხეველის ძირში, გარედან, სამხრეთის მხრივ. მისს საფლავს ქვასედ შემდეგი წარწერაა:

განველ ჟამსა ცხოვრებიდამ საუკუნესა და დავეფალ ლოდსა ამას ქვეშე სოფლის შილდის ღვთის მშობლის შობის ეკლესიის მღვდელი ადამ მირიანაშვილი ბ-ს აპრილსა ჩყლ-ის წლისასა, ოვ-ს წელსა შობიღვან დამტევებელი მეუღლისა ერთისა ძისა მთავარ დიაკვნისა და ორის ასულისა მი ღმერთო ღირს მყავ განსასვენებელსა შენსა საუკუნესა.

ადამის შთამავალთ მეტ სასულად ექსიან შილდაში «ადამ-ღვდლიანთ».

იგ) წარწერა ორბელიანის სელ-ნაწერ ლექსიკონსუ:

ქ. ნეკრესელი ამეროსი. ვსწერ. რაც ჩემს შეწირულობის წიგნებშია სწერია, რომელიც შემოწირავს წიგნი დაბადებისა: წიგნი კარგი კურთხე-
ვანი და ჟამნი. და ხატი წმიდა გარდაქმნისისა და ორჯელ ათორმეტის
თვისა წლის ხატი და კიდევ სხვები სახლის სამკაული და ავეჯულობა
და ეკლესიაზე. და აქაურობის მეორეთა. და მესამედ შენობაზე დიდად
ხარჯითა, და გარჯითა: ესეები სულ ფასით, და სყიდვითა მორთმეული,
და ჩემგან შეწირული: და ახლა ეს ლექსიკონის წიგნიცა სამს თუნად
ნასყიდი, და ეგრე შემოწერილი წიგნებიცა. და სხვები ზოგი დამიწერია
და ყველას ვერ დავსწერდი: და ან აქ რაღა დავსწერდი: ესეები შევძელ
უწინაცა, და ახლა ამ დამწვარ დაქცეულობაშიცა: გავრჯილვარ და დავ-
მაშვრალვარ, და თუ კიდევ მოწადინე ვყოფილვარ, და ვარ დღესცა ჭეშ-
მარიტებით, თულა სოფელმა მაცალა, მაგრამ მეტმა აქურმა მწუხარებამაცა,
და სნეულებამაცა, და აწ მოხუცობამაცა სიცოცხლის ღონე მომტაცა: და
ესეები მაინც დარჩეს ჩემს მოსახსენად ამ წმიდას შილდას ეკლესიაში, და
გლოცავ მამანო და ძმანო ცოდვილი მოხსენებასა ჩემსა: წილწენლ მან-
გლელ ყოფილი იქ წელსა ნეკრესელი ამეროსი. წელსა ჩვიგ ავგისტოსს.
(1813 წ.)

ეს წიგნი ამ უახად ბუქანიანის მუგდლას ახარია მირიანაშვილის
სელშია. წადებუღია შილდიდან. წარწერა ცხადად არღვეეს იმ ახრს,
კითომ ამბროსი ნეკრესელი გარდაცვლილიყოს 1808 წ. (იხ. ამბ-
როსი ნეკრესლის ქადაგებანი გვ. VI.)

იღ) წარწერა ერთს სუტურად დაბეჭდილს დაბადებასუ:

ქ. ამ წმიდას წიგნს მეორედ ამეშალნენ და არ დავანებე დიდად
საკმაროვნობისათვის და კიდევ მივეც. ქ: არამედ დრომან და ჟამან გან-
სდრიკა ყოველივე და წელსა ჩვიბ ქმნილიყო აქაურობა აფოლხნებულ და
მე ცოდვილი მეორედ აქავ მომიწოდეს და ესე მხოლოდ დარჩომილიყო
სადმე და შევსწირე უღირსმან ნეკრესელმა ამეროსი ესე და კურთხევანი
ფასით რვა მინალთუნი და ჟამნი ათექვსმეტი მინალთუნი ფასით ნასყიდი
შილდის ეკლესიას. ეგრეთვე გარდამოხსნა. ეგრეთვე წლისა თორმეტის
წლის სურათი. ეს კიდევ მეორედ შევსწირე ესე და ეკლესიის სამკაული
და ჩემგან და ზოგი დოსითვისისაგან ნაღვაწი სახლის სამკაული, ად
წარტყვენილიყო და ეგრეთვე ჩემი უწინდელი ათვრამეტს წელს წაშენები
შვიდი სახლი და წისკილს გარდა კოშკით და ფიცრულის შენობით,
სრულებით ყოველივე დამწვარი და დაქცეული იყო: და ეგრეთვე ყოველი-
თურთ უწყალოდ აღეოხრებინათ. წელსა, ჩვიბ. ამისი შდ გაოხრებულზე

მე უღირსი კ'დ მომიწოდეს, და ესე ვითარად მხედველმან მტირალ მგლო-
ვარემ კ'დ პირველის მსგავსად, და უმეტესად ვიზრომე ეკკლესიის კურ-
თხევიტა თუ შეწირვიტა და თუ შენობიტა, ა'დ კჷმან მწუხარებისა და სი-
ბერისამან განმიცნა გული ცხოვლობა ჩემი და გვედრები მამანო და ძმა-
ნო რათა არა ვინ შლად კელ ჰყო და წერილ შეწურულობასა ჩემსა, რომელ
ლექსიკონიკ სახმარი არის და სამი თუმანი დამწერს მივეც და ესე
ესრეთ ვიღვაწე და მომიხსენებდეთ ცოდვილსა, რამეთუ შშრომელი წარ-
ვალს და ნაშრომი ეგების, აგვისტოს თევსა და წელსა ჩყოგ. ამეროსი.

ამაკე წიგნზე:

ქ. ნეკრესელმა ამეროსიმ წმიდის ღვთის მშობლის შობის ეკკლესიას
შლიდას, ორს თუმნად ვიყიდე, იენისს დ ქ'კს უბზ არა ჰქონდა და კე-
თილად უწყით სახმარი არის. ამეროსი. მიბრკმა და ამისმა მომსყიდველმა
ერთს თვეს უკან ხუთი მინალთუნი კიდევ გამომართო დიდად დამჭირნო
იყო ჩემთვის რომ აქ არა ჰქონებოდათ რა მექნა.

აქ მოყვანილი ზირკელი წარწერაც იმას ამტკიცებს, რომ 1813 წ.
ამბროსი ნეკრესელი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. გარდა ამისა,
ამბროსი თავისს წარწერაში რაღაც აოსრებას უჩვენებს შილდაში
1812 წ.; გვანებთ, ეს უნდა იყოს შალდის აოსრება და დაწყა-
დაბუკვა რუსებისაგან 1812 წ., რომელსედაც ჩვენ მოვისინებთ
სემოდ.

იე) წარწერა ერთს სუცუტად დაბეჭდალს სასარებასზე:

ქ: ოდეს მსჯავრითა, სამარლად ცოდვათა ჩენთათვის მხილებითა,
ქალაქი ტფილისი ყოველითურთ იავარ იქმნა. და წარვიტყვენენით, უს-
ჯულოსა აღამახმადისაგან. მაშინ ნეკრესთა ღვთისმშობლის მადლიტა,
ღირს ვიქმენ თავყენისცემად, შილდას კ'დ წმიდისა ღვთის მშობლისა.
ეკკლესიისა. და შეესწირე წმიდა ესე სახარება: მიქაქმე ნეკრესელის ამეროსის
ასულმან თინათინ: და ამის პირველ შეესწირე, წმიდას ტრაპეზზედ დასა-
სვენებელი. ჯვარი წმიდა, ზისა ბერძული, მოკედილი ვეცხლ ოქრო ფერ
ჯაჭვილიტა: საოზად სულისა ჩემისა, და ძეთა ჩემთა აღსაზრდელად, მიზა-
ილისა. და ნიკოლაოზისა: და გამოსახსნად ძისა ჩემისა ზებედესა უსჯუ-
ლოთა მათ კელთაგან: ფებერვალს. კპ. ქ'კს უბდ.

გარდა ამისა, როგორც გამიგია ადგილობრივ, შილდის სსკა-
და-სსკა კერძო ოჯახებში და ღვთის-მშობლის შობის ეკკლესიაში
ბეკრი ძველი ქართული წიგნი ყოფილა დაცული, მაგრამ შამილის

კახეთზე დაცემის დროს 1854 წ. მთელი ეს გორებით საუნჯე შემუსრულა და ამგვარად სამუდამოდ წყალსა და ნიაგს მისცემია. უკვლავ ეს, მე მგონია, იმის მომასწავლებელი და დამასახუთებელი უნდა იყოს, რომ შილდა რაღაცე სამწერლო მოღვაწეობის ადგილი უფიქრად და ამ სამწერლო მოღვაწეობაში, უეჭველია, თვით შილდელებსაც რამე მონაწილეობა ექნებოდათ მიღებული, როგორც ეს კიდევაც სხანს იკითხვამოკვანდ სელსაწერების მიწერილობებიდან. არც არის ეს საკვირველი. ვიცი, რომ ხალხის განათლებაში და მისი წინაშის აძლევა-განვითარებაში ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მონასტრებს საქართველოში. ესენი იყვნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების დრომდე უშიშროდესნი ადგილნი, საიდანაც განათლების შუქი უსვამდ ეფინიოდეს საქართველოს კუთსებებს და ამგვარად ხალხის ჭკუა-გონებას აყენებდა წარმატებას და განვითარების გზაზე. ამგვარი მონასტერთა გუნდს ეკუთვნოდნენ, სხვათა შორის, მონასტრები დაარსებული აიცამეტათ სოციალთა მამათაგან და მათ შორის, უეჭველია, ნეკრესის მონასტრიც არ იქნებოდა მოკვლეული ამგვარს მნიშვნელობას ხალხის განათლების საქმეში; უეჭველია, ნეკრესის მონასტრიც და იქ მცხოვრებნი და მომქმედნი განვითარებულნი ჰიყვნენ, როგორც იყვნენ მაგალითად მე-XVIII საუკუნეში მჭერ-მეტყველი მჭადგებელი ამბროსი ნეკრესელი მიქაძე და ფილოსოფოს-ლეთის-მეტყველი დონიოლოზ ჩერქეზიშვილი, არ დარჩებოდნენ ისე, რომ ხალხში სწავლა-ცოდანს არ გაეგრძელებინათ. დაუმატოთ ამას ის გარემოებაც, რომ მე-XVIII საუკუნის უახლეს, როგორც უკომლად მოვიხსენებ, ამბროსი ნეკრესელმა საქმისკომპორო კათედრად და დონიოლოზის მიერ დაარსებული ნეკრესის სკოლა ნეკრესიდან შიგ სოფელ შილდაში გადაიტანა, ამის შემდეგ თვითონაც იქ მცხოვრებდა და მოღვაწეობდა თავისის მჭერ-მეტყველურის სიტყვით, და ამას უფრო, რასაკვირველია, მეტი გაკლენა და უედ-მოქმედება ექნებოდა შილდის ხალხის გამოფხილებასე, მისი გონებრივის და წინაშის რიგს წარმატებასე; უეჭველია, ამგვარის გარემოების წყალობით შილდის ხალხში უფრო მეტად გავრცელდებოდა სწავლა-ცოდანა,

შოდდის ხალხს უფრო უსკად მოუფინებოდა წსავლა-განათლების
 შუქი და უფრო ადვილად დაიბადებოდნენ იმგვარნი განვითარებულ-
 ნი და სწავლა-ცოდნით აღჭურვილნი პირნი, რომელნიც შესძლებდნენ
 თავის გამოჩენას და მოღვაწეობას მწერლობის ასპარეზზედ.

ე. შიღდელო



სახალხო პოეზია

და

მისი საპოეზოგიო, საისტორიკო და საფილოსოფიო მნიშვნელობაზე

VI *)

იყო ისეთი დრო, როცა ისტორიკოსები იყვნენ მინდობილნი მხოლოდ მატრიანეებზე და მათის წყალობით ეგონათ დაჰხატავდნენ კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრების სრულს სურათს. აქ, როგორ პირველ შეხედვაზე ეგონება კაცს, არ იყო დარღვეული კაცის ჭკუის კანონები, რადგან ასეთი ოპტიმისტური შეხედულება მატრიანეებზე იყო დამოკიდებული იმაზე, რომ ამ ისტორიკოსებს მემატრიანეებსავე თათვისებურად ესმოდათ თვით ის ცხოვრება, რომლის გამოხატვასაც იგინი აპირებდნენ. მათის წარმოდგენით, საკმარისი იყო ისტორიკოსისათვის, თუ იგი ქრონიკას წაიკითხავდა და, რაც იქ იყო აწერილი, მხოლოდ სხვა ენით და შემოკლებით, გადაკეთებით გადმოგვეცემდა; ან, კიდევ, ამ მატრიანეს შეუდარებდა მეორეს და უფრო სრულს მოთხრობას გვიძღვნიდა. მაგრამ რას ვხედავთ, საზოგადოდ, მატრიანეებში? ჩვენ, ქართველებს, მაგალითებზე, გვაქვს ისეთი სქელი მატრიანე, რომ, პირველ შეხედვით, ეგონება, ვითომც აქ უნდა იყოს უკანასკნელი ქვა, ჩიტი, ქიანჭველა, ჩვეულება და სხვ. აწერილი. მაგრამ რას ვხედავთ, ამის მაგიერ? აიღებ ამ ვეებერთელა წიგნს, ჰკითხულობ და ჰპოვებ შიგ მხო-

*) მოთხრობა № III.

ლოდ ომებს, ჯარებს, ციხეებს, თოფებს, ისრებს, ფაშებს, ხანებს, სულთნებს. ერთის სიტყვით, მხოლოდ მხედრობას და ომიანობას. მაგრამ განა მარტო მასში მდგომარეობს ხალხის ცხოვრება? განა ხალხს მარტო ჩინგისხანები და შაჰაბაზები ახსოვს? არა! მას უნდა სმა, ჭამა, ღვთისნიერობის დაკმაყოფილება, მაშასადამე, ეკლესია, სამღვდლოება, ხელოვნება; მას უნდა განათლება, სკოლები; წესწყობილება, კანონი, სჯული; ერთმანეთში მორიგებ-მოთავსება, ოჯახობა და სხვა. მაგრამ ეს შემატიანეს ხშირად ავიწყდება და მარტო იმას ჰხედავს ცხოვრებაში, რომ ირაკლი შაჰს შეებრძოლა, ამდენი ჯარი ჰყავდა, დაეჭიდა და იქმნა ნაჯოზნი!

ახალს დროს ასეთი მეთოდი ისტორიკოსს ვერ დააკმაყოფილებდა. ამისათვის მიექცა ყურადღება ცხოვრების ყოველ მხრივ შესწავლას. ისტორიკოსს დაევალო გამოკვლევა საპოლიტიკო წვლილთან ერთად სარელიგიოსიცა, საკულტუროსიცა, სოციოლოგიისაცა, იურიდიულისაცა და სხვებისაცა. გაჩნდნენ მეცნიერები, რომლებმაც შეიგნეს ეს და მშრალს მათიანებს მიუმატეს ახალი წყაროები, საიდანაც შეეძლოთ ამოეღოთ ის, რაც მათიანეს აკლდა. ამ მეცნიერების გონებრივი თვალი ამ გამოღვიძების შემდეგ პირველად დააქკერდა სხვა-და-სხვა ერთა ენებს, დიალექტებს და იდიომებს. იწყეს მუშაობა, რომელსაც მოჰყვა უძლიერესი მეცნიერება—კომპარატიული, ანუ შედარებითი ფილოლოგია (*philologia comparativa*).

მართლაც, რა უნდა ექმნა მათიანეს? რა იცოდა მან კაცობრიობისა? მწერლობა ახალ დროს გაჩნდა, კაცობრიობა კი სთვლის თვისის არსებობის წელთ საუკუნოებითა, ათასი და ათი ათასის წლოებით. როგორ გავიგოთ ამა თუ იმ ერის ბედ-იღბალი ამ ხანგრძლივ დროს განმავლობაში? ეს შეგვიძლია, ამ ფილოლოგების აზრით, შედარებითის ლინგვისტიკისა და ფილოლოგიის წყალობით. ენა არის ერის სულის გამომჟღავნება, გამომზევება; ენა ერისა არის მისი სული და მისი სული არის მისი ენა. „კაცის შინაგან არსებაში არა არის-რა ისეთი ღრმა და ისეთი ფართო, რომელიც ენით არ გამოითქმოდეს და არ სტოვებ-

დეს თვისსა კვალს ამ ენაში. ენას ენათესავება, ეახლოვება ყოველივე, რაც კი რამ სულშია; ხოლო სულში არ არის არაფერი, არც დიდი, არც პატარა, რომელიც არ იცოდეს ენამ“¹⁾. მაშასადამე, ენა ყოფილა სარკე ცხოვრებისა, წყარო, მატინე, სადაც ყველაფერს შეხვდები, რაც რამ გააჩნდა ხალხს. თუ ასეა, მაშ ენათა ნათესაობა ყოფილა ერთა ნათესაობაცა, მათი მზგავსება—მათა პატრონთა მზგავსებაცა. აქედან შეიძლება, მაშასადამე, გამოირკვეს ის მიზნელეული ხანა, რომლისასაც ისტორია არას არ გვეუბნება. ენათა წყალობითვე შეგვიძლია მოვინახოთ უმთავრესი დედა-ენა, წყარო და საფუძველი სხვა ენათა და მით მოვინახოთ ამა თუ იმ ერს ნათესაენი, მეგვარტომე-მეთვისტომენი. აი ამ აზრით გასულდგმულეულნი სამეცნიერო ასპარეზზე გამოდიან და აუწყებენ ქვეყანას სრულიად ახალს ქეშმარიტებას ურიცხენი ფილოლოგნი, როგორც, მაგალითებრ: ბოპპი („Сравнительная Грамматика“), გრიმმი (Geschichte der Deutschen Sprache, 1868, Leipzig; Deutsche Grammatik 1—2 Tleiel. Berlin, 1870), ცეისი (Die Deutschen und ihre Nachbarstämme, 1837), კენი (Zur ältesten Geschichte der indogermanischen Völker, 1845. Berlin), ადელუნგი, ცოტა ადრე (Mithridates oder allgemeine Sprachen kunde, 1806. 1—3 Band. Berlin), შლეგელი (Sprache und Weisheit der Inder, 1808), კლაპროტი, პოტტი (indogermanischer Sprachstamm; Beitrage zur Vergleichenden Sprach Wissenschaft), Сравнительное языкознание (Переведено на р. языкъ), (Etimologischen Forschungen და სხ.), ლასსენი (Indische Altertums kunde, 1847), ესგოფი (Parallele de langue de l'Europe et de l'Inde, 1836), შლეიხერი (Der wirtschaftliche Culturstand der indogermanischen Urvolkes, 1863; Die Deutsche Sprache, 1860). მ. მიულლერი (Chips from a German Worksh'op, 1867). ვ. ჰუმბოლდტი (Ueber die Werschiedenheif des menschlichen Sprachbaues und ihren Einfl. auf die geissige Entwikelung des Menschen geschlechs) და სხვა

¹⁾ В. Гумбольдтъ—Всеобщее языкознание (Жур. Мин. Н. Пр. 1858 ч. 97—99; შედარე ენგოფი—Parallele des langues de l'Europe et de l'Inde 1837. წინასიტყვაობა; Шрадаръ—Сравнит. языковѣдѣніе. СПб. 1886. 14.

მრავალი, როგორც: რენანი, შტეინტალი, ბენფეი, ლაცარუსი და სხვ. ეს მეცნიერნი დააკვირდნენ ენებს, მათს ფონეტიკურს შეწონებას, ურთიერთ-შორისს დამოკიდებულებას და მოჰნახეს პირველი აკვანი მრავალთა ერთა²⁾, დაჰყვეს ნათესავებად და დაადგინეს რამდენიმე ჯგუფი ამ ნათესავ ენათა; უჩვენეს გზა იმათის აზიიდან მსვლელობისა და სხვ. ამასაც არ დასჯერდნენ. თუ კი ენას ასეთი ისტორიული მასალობა შესძლებია, მაშ მანვე უნდა გვიჩვენოს ერთა შინაგანი ცხოვრებაც, კულტურა, ფორმა საპოლიტიკო, საოჯახო, სარელიგიო ცხოვრებისა, ნაბიჯნი მისის კულტურულის მსვლელობისანიო. მართლაც, დააკვირდნენ სხვა-და-სხვა საგნების პარალელურ სახელებს, სახელ-წოდებათა სხვა-და-სხვა ენებში და ყოველი ზემო-ხსენებული საეგებო აზრები გაამართლეს ფილოლოგებმა. ენაში იპოვეს მრავალი სხვა ენებიდან ნასესხი სიტყვები. რას ჰნიშნავდა ეს? უთუოდ, ეს ხალხი ყოფილა იმ ხალხთან დაახლოვებული, ყოფილა მისის გავლენის ქვეშაო. ენებში გვხვდებიან ამა და ამ ხანაში ერთნაირი სახელწოდებანი მდინეულებისა, მაშასადამე, აქაც ნათესაობა და კულტურა მტკიცდება. ამისათვის საუკეთესო ლინგვისტებს ვრცელი გამოკვლევანი აქვთ ამ სახელწოდებათა:³⁾ ასეთივე მნიშვნელობა აქვს ისტორიისათვის სახელებს შინაური პირუტყვებისას⁴⁾, მიწის იარაღებისას, თევთა, რწმუნებათა და სხვანი⁵⁾.

¹⁾ Schlegel—Sprache und Weisheit der Inder, 1808. B. II, H. 3. Seit. 170—80. ლინკი—Die Welt und das Altertum erlaüttert durch die Naturkunde. Berlin. 1821. ამ მეცნიერის აზრით, ინდო-გერმანელების აკვანი კავკასიაზე შეადარე Adelung. Mithridat. Band. I. Seit. 4—6.

²⁾ იხ., მაგალითებრ, Jakob. Grimm—Geschichte der Deutschen Sprache erst. Band. Dreite Auflage. 1868. Leipzig. Seit. 6—10; სადაც ოც და ათამდის სხვა-და-სხვა ენას უდარებს ერთმანეთს; შლეგელი „ინდოეთის ბიბლიოთეკაში“ იკვლევს ამავე საგანს სპეციალურად. B. I. S. 238—246; იხ. Шрадеръ—Сравн. языковѣд. СПБ. 1886. 13 და 228—324.

³⁾ I. Grimm—Geschichte der Deutsche Sprache. 1865. Berl. B. I. S. 20—38; Шрадеръ—Сравн. языкови. 1886, стр. 360—374.

⁴⁾ Grimm B. I. S. 38—89; Шрадеръ—374—390; 457—469.

არა ნაკლები ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული იურიდიულის ცხოვრებას. ერთა ლექსიკონშიაც გვხვდება ისეთი სიტყვანიცა, რომელთაც დიდი იურიდიული მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ფილოლოგიამ აღმოაჩინა, შედარებითის მეთოდის წყალობით, რომ იურიდიული ტერმინები მრავალ ერს თითქმის სრულებით ერთნაირი აქვთ. მაშასადამე, ამ ერთა შორის არ შეიძლება რაიმე ნათესაობა არ იყოს. თუ ეს არა, კულტურული კავშირი, ერთმანერთზედ რაიმე გავლენა მაინც უსათუოდ უნდა ყოფილიყო; მაშასადამე, ოდესმე ეს ერნი ან ერთად ცხოვრებდნენ, ან. ერთმანერთისაგან ახლო-მახლო მოსახლეობდნენ.

მაგრამ ფილოლოგიას თვითონ იურიდიული მეცნიერებისათვისაც აქვს სპეციალურად მნიშვნელობა. ზოგიერთ ენებზე შვილს ჰქვიან ისეთი სახელი, როგორიც ჰქვს, მუცელს. მაგალითებზე, ბერძნების ლექსიკონში ἀδελφός არის ძმა, ἀδελφή — და; მუცელს კი ჰქვია ძელძა, ან კიდევ სანსკრიტში რომელისამე პირის სახელი უჩვენებს ჰქვს, რომელზედაც ის იყო მიბმული დედის მუცელში. რას ჰნიშნავს ეს გარემოება? მხოლოდ ერთს, მაგრამ იურისტებისათვის მეტად საყურადღებოს: თუ შვილებს, ქალია თუ ვაჟი, ისეთი სახელი აქვს, რომელიც გავონებს „დაბადებას“, „მუცელში“ ყოფნას, დედასთან კავშირს და მამაზე კი არაფერი არ არის ნათქვამი, აქედან ცხადია ყველასათვის, რომ ამ ერთა შეხედულებით შვილთან დედა უფრო ახლოს მდგარა ნათესაობით, მაშასადამე, მას ოჯახში და საზოგადოებაში უფრო მეტი ადგილი სჭერია, უფრო პატივისცემაში ყოფილა, ვიდრე მამა⁶⁾.

⁶⁾ В. Соколовскій—Къ ученію объ организаціи семьи и родства въ первобытныхъ обществахъ (Жур. Мин. Н. Пр. 1881. ч. 224). შედარებით Kuhn. zur ältesten Geschichte der indogermanischen Völker, 1845, სადაც ფილოლოგიურს გამოკვლევას დროს პირველს ყურადღებას აქცევს სხვა-და-სხვა ნათესავ პირების სახელს და აქედან გამოკყავს, რომ ოჯახური ცხოვრება, იურიდიული წეს-წყობილება ინდო-გერმანელებს განვითარებული ჰქონდათ; შედარებით I. Grimm—Geschichte der Deutschen Sprache, Leipzig. 1868. erst. Band. Seit. 90—112. Becht- und Sitte. შედარებით შრადერი—Сравнит. языкозн. 1886, СПб. стр. 403—420. „Семейство, нравственность, государство“.

ეს შესძლებია ფილოლოგიას, ენათა შედარებას. მაგრამ თუ ეს ასეა, ეს სასიხარულოკიდევ ისე არ არის ამ მხრით, როგორც იმ მხრით, რომ აქ იხსნება მეორე გზა, ჩნდება ახალი წყარო ისტორიულ ცნობებისა, ჩნდება ახალი მეთოდი, რომელიც დიდს ნაყოფს ჰპირდება მეცნიერებას. რაშია საქმე? აი რაში. ზევით ვსთქვით, რომ კაცის შინაგან ბუნებას განუწყვეტელი კავშირი აქვს ენასთან. მაგრამ მეორე მხრით, ასეთივე კავშირი აქვს ამ ენას, როგორც ფორმას, ხალხის აზროვნებასთანაც, ცნებათა და შეხედულებათა თანა, ესე იგი, ფორმას შინაარსთან, სიტყვას აზრთან. „კაცი იმიტომ ჰქვია კაცს,—ამბობს შესანიშნავი ფილოლოგი ეილჰელმ ჰუმბოლდტი,—რომ მას აქვს ლაპარაკის ნიჭი და იმისთვის კი, რომ სიტყვა შეჰქმნას მან, იგი უკვე უნდა იყოს კაცი“⁷⁾. ამისათვის, სახელოვანის რენანის სიტყვით, „ენა და აზრი განუყოფელი არიან, იგინი ერთი მეორის თანამედროვე არიან, უნოდ არ არის გონიერება, უგონებოთ კი არ არის ენა—ეს არის აქსიომა. მათი გაცალკეება ჰნიშნავს ორთავეს სიკვდილს“⁸⁾.

თუ ეს ასეა, როგორც ავტორიტეტები გვარწმუნებენ, მაშასადამე, აქ უნებურად უნდა დაგვებადოს ის აზრი, რომ ფილოლოგიასა და, მაშასადამე, ისტორიასაც კიდევ მეტს სარგებლობას მოუტანს სიტყვის მეორე ნაწილის, ესე იგი, შინაარსის გამოკვლევა. მაგრამ რადგან ეს შინაარსი ხალხის ენისა უფრო უკედ და ვრცლად არის ახსნილი და გამოარკვეული მის გონებრივ ნაწარმოებში, პოეზიაში, ამისათვის შეგვიძლია ასე ვსთქვათ: ამ მხრით ფაქტობრივად ანაწილები და მეტად მნიშვნელობა შეცნაურებასათვის აქვს სასახლო პოეზიას.

მართლაც, ეს მოსაზრება მეცნიერებისა ბედნიერი მოსაზრება არის! არიან, სპენსერის სიტყვით, ისეთნი ტომნი, რომ-

⁷⁾ იხ. „Дарвинизмъ“. Чешены. Одесса. 1892 г. стр. 373.

⁸⁾ ibid. შედარე რენანის „О происх. языка“, перев. Чудинова. Воронежъ. 1866 г. Гл. III—IV.

მელთა რწმუნებანი და სხვა-და-სხვა შეხედულებანი კაცსა, მცენარეებსა, გარეშე ბუნებასა და სხვა საგნებზე წარმოსდგენ მხოლოდ იქიდან, რომ ამ ხალხებმა ენის სიღარიბის გამო ვერ გაარჩიეს სახელი თვით საგნისაგან. ეს ხალხები ბავშვებს არკმევენ გარეშე საგნების სახელებს. ამათ ჰქვიათ: „თოვლი“, „სეტყვა“, „ქუხილი“, „ქარი“, „აყვავებული ხე“, „ბამბა“, „თამბაქო“, „ხოხბის დედა“, „უბედობის დედა“, „მამა სიმარლისა“ და სხვა. როდესაც უნდოდათ ლამაზი ქალი შეემკოთ, ხშირად უწოდებდნენ და ახლაც უწოდებენ მრავალნი: „მთვარე“, „მზეო“, „ვარდო“, „სულო“⁹⁾. ასეთი მაგალითი ჩვენ დროსაც შეგხვდებათ. მაგალითებრ, ჩვენში ხმარობენ ეპიტეტებად მშვენიერი არსების შესამკობად: „კუნწულა“, „სულის კლიტე“, „ალვის ხე“, „ლერწამო“, „სულიკო“, „ყაყაჩო“ და საგინებელად: „დათვო“, „ხე“, „მხეცო“, „ლორო“, „მგელო“, „ეშმაკო“, „ქაჯო“ და სხვ. დღეს ამ სიტყვების შერევა იმ საგნებთან შეუძლებელია, რადგან კაცის გონებაც განვითარებულია და ენაც. მაგრამ სრულებით ადვილი იყო არევ-დარევა პირველ ხალხისათვის და იმ ველურათათვის, რომელნიც არც დღეს წაწეულან კულტურულად წინ. „ამ მაგალითების სახით, — ამბობს სპენსერი, — ჩვენ ვაქვს ისეთი ფორმანი სახელებისა, რომელნიც შემდეგ ხანებში, თუ მართლად ვერ იქმნენ შეგნებულნი, მისცემენ ადგილს იმ რწმუნებათა, რომ კაცი წარმოსდგა ვითომ არა თუ მართო ცხოველებიდან, არამედ მცენარეებიდანაც და სხვა საგნებიდანაც“¹⁰⁾. მართლაც, ამ სოციოლოგის და სხვებისაცა მოწმობით, მრავალ ხალხს აქვს ასეთი თქმულებანი, რწმუნებანი. ესა და ეს ხალხი გამოვიდა ტყიდან და დაესახლა სხვა ადგილას, მაგალითად, მინდვრად. ეს ამ ხალხს ახსოვდა და ჩამომავლობასაც გარდასცა. მაგრამ ენა უშლიდა აზრის ცხადად და მტკიცედ გამოხატვას. ამისათვის, როცა კარგა დიდი დრო გავიდა და ხსოვნა მისუსტდა, გავრცელდა სარწმუნოება, რომ ეს ხალხი ბებებისაგან წარმოსდგაო, მისი წინაპარნი ხენი იყვნენო! ან კი-

⁹⁾ Г. Спенсеръ—Основ. социологии, СПб. 1876. XXIII.

¹⁰⁾ ibid, стр. 390.

დევი კაცს უწოდებდნენ, როგორც ზევითა ვსთქვით, „დათუნას“ ვინც ეს უწოდა, იმან კარგად იცოდა, რას ჰნიშნავდა ესა. მაგრამ ჩამომავლობამ ეს ძაფი ხსოვნისა გასწყვიტა და ეგონა, რომ ამ „დათუნას“ ჩამომავლობა ნამდვილ დათვისაგან არის წარმომდგარიო! ამ მოვლენას რელიგიური შეცდომაც მოჰყვა თან. კაცს უწოდებდნენ „მზეს“, რომელი ეპიტეტიც მან დაიმსახურა თავისი ღირსებით. როცა ის კაცი მოკვდა, იგი კერპად დაისვენს ოჯახში, ჩვეულებრივ, და ლოცულობდნენ მის წინაშე. მაგრამ, როცა მოუწოდებდნენ, ისევ იმ „მზეს“ ხმარობდნენ. ბოლოსა და ბოლოს ეს „ეპიტეტი“ მიიღეს ნამდვილ მზედ და წინაპრის თაყვანისცემა გადიქვა მზის თაყვანისცემად, საბეზმად¹¹⁾. ასეთი მოვლენანი ყოველ ნაბიჯზე შეჰხვდება მკვლევარს. როგორ გამოარკვიოს ჭეშმარიტება კაცმა? სიტყვა ყველგან ან არ შენახულა, ან თუ შენახულა, ძნელი გასაგებია. აქ კაცი იძულებულია მიჰმართოს თვით გარდმოცემას ხალხისას, მის თქმულებათა, მითოლოგიას, ერთის სიტყვით, პოეზიას, და, მისი შესწავლითა და შედარებით სხვა ერთა პოეზიასთან, გამოარკვიოს ჭეშმარიტება, აღადგინოს ნამდვილი ფაქტი.

ამნაირად, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რამდენად საიმედოა ისტორიკოსისათვის შედარებითი ფილოლოგია. მაგრამ რა უნდა ფილოლოგს ამისთვის? რომელი სიტყვები უნდა გამოარკვიოს მან? ის სიტყვანი, რომელნიც რომანებშია და ახალ-ახალ ლექსებში, ან ისინი, რომელნიც ახალ აზრებს მოჰყოლია თან და წინაღ კი არ ყოფილან, თუ ის სიტყვანი, ის ფორმები გრამატიკისა, რომელნიც იყენენ იმ ძველ ხანებში შემუშავებული და რომლითაც სარგებლობდა პირველი ხალხი თავის გონებრივის მუშაობის დროს? რაღა თქმა უნდა, რომ მას ასეთი სიტყვა-ფორმები უნდა და არა ახალი, რომელსაც დღეს ისტორიკოსისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გარნა სად არის ეს ძველი ნაშთები ენისა, გრამატიკისა? ლექსიკონში ყველას ვერ იპოვით, რადგან უმეტეს ნაწილად იგი არის მწერ-

¹¹⁾ ibid.

ლობის შემწეობით შედგენილი და მწერლობაში კი, როგორც მითოლოგიასთან, შედარებით ახალს მოვლენაში, უმეტესი ნაწილი ამ არხაიული ფორმებისა ირ მოიძებნება. მაშასადამე, ისტორიკოსი იძულებულია მიჰმართოს იმ ძველს ფორმათა, რომელნიც სრულიად და სავსებით არიან დაცული ხალხის ძველს თქმულებათა შორის. აქედან, თავის რიგზე, უფრო საყურადღებოა ისტორიკოსისათვის ის ხალხი და ის კუთხე, რომლის რწმუნებანი და ენა ახალს ცივილიზაციას არ შეურყევეა, როგორც მაგალითებრ, კავკასიის მთიულნი, ამერიკის ტომნი, კუნძულელნი და სხვანი. აიღებთ, მაგალითებრ, რომელსამე გაშალაშინებულს სიტყვას, რომელიც, თუმცა ძველად არის შექმნილი, მაგრამ ისე გაუშალაშინებია დროს, რომ თითქმის აღარაფერი სჩანს ისეთი, რომელიც იმ ძველს ფორმას და დროს მოგვაგონებდეს. აიღებთ ამავე სიტყვას იმ ფორმით, რომელიცა აქვს რომელსამე მთიულს ხალხს დაცული თავის ჰოეზიაში და შეადარებთ სხვა სიტყვებს. ეს ძველი ფორმანი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მოგაგონებენ დაძმას, დედა-შვილს და აღტაცებით წამოგაძახებინებს: „èpuxa!“ დიალ, თქვენ ჭნახვით, რომ ეს ხალხნი, რომელთაც ეს ორი სიტყვა ეკუთვნის მონათესავე, ან სრულებით სხვა-და-სხვა ხალხნი არიან.

ამას დაეუმატოთ ერთი მოსაზრებაც. ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ შედარებითს ფილოლოგიას იურიდიული ცხოვრების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვსო. მაგრამ ხშირად ფილოლოგია აქაც თავის უძლურებას იჩენს. ამ შემთხვევაში მის შემწედ ჩნდება ისევ ის სახალხო სიტყვიერება. სიტყვა არ შენახულა, ან თუ შენახულა, დროთა ვითარებას ისე წაუღესია, გარდუქმნია, რომ ვეღარ იგებ, ეს სიტყვა სხვა ენიდან არის ნასესხები, თუ თვით ხალხის გულიდან არის ამოღებული. მაგრამ თვალწინ გაქვს ჩვეულებანი ხალხებისა. სიტყვა აქ აღარ გინდა, შეჰხედე, როგორი დამოკიდებულება აქვთ ოჯახის წევრთ, დედ-მამას შვილებთან, ნათლიებს, ბიძა-ძმისწულს, სასულიერო და სამხედრო კაცს და ცხადად გაიგებ, თუ როგორი ფორმა ყოფილა ამ იურიდიულ ცხოვრების წინად. მაგალითებრ,

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ზოგიერთის სახელი ამას თუ იმას ნათესაობით უკავშირებს უფრო დედას, ვიდრე მამას. რით გინდა დაამტკიცო, რომ ეს ასეა? მიჰმართავ ხალხს, გამოიკვლევე ჩვეულებას, მის პოეზიაში შეჰკრებ მაგალითებს და იტყვი, თუ როგორ უცქერის ეს ხალხი ამა და ამ ადამიანს, რა ადათი შეეუქმნია მის გონებას და ზნეობრივს განვითარებას, რას აფასებს და რას აძაგებს, რას მისდევს და რას გაუბრძის.

მართლაც ასეა. ზოგიერთს ერს ისეთი ჩვეულება აქვს, რომ შვილზე გადადის გვარი დედისა და არა მამისა. გვარის გადასვლა არის სახელის მიცემა, დიპლომი საზოგადოებაში ცნობისა, პატივისა, მაშასადამე, ის, ვისიც გვარი შვილზე, ან საზოგადოდ მეორეზედ გადადის, მალლა მღვარა ამ ხალხის შეხედულებით, მეტი ფასი ჰქონია. მაშასადამე, არა ყველგან ჰქონია შედარებით უფრო მეტი ფასი მამა-კაცს საზოგადოდ და მამას კერძოდ. ვიდრე შედარებითს შითოლოგიას მიჰმართავდნენ, სრულებით სხვა აზრს ადენენ სპეციალისტები. მაგრამ ერთა ადათების შესწავლამ ზოგიერთ მეცნიერს, მაგალითებრ, ვ. მილლერს (*Очерки арийской мифологии*), ტელონს (*La mere* და *Les origines de la famille*), ლენანს (*Studies in occienthistory* და *Primitive marriage*) დაბეჯითებით ათქმევინა, რომ დედას უფრო დიდი უფლება ჰქონდა ძველს ოჯახში, ვიდრე მამასო, რადგან აღმოჩნდა, რომ მრავალი ერი ამყარებდა ნათესაობას დედით და არა მამით¹²). ამას ცხადად ამტკიცებენ კავკასიური თქმულებანიც. ზემონაჩვენები უფლება დედისა ცხადად აღმოჩნდა, მაგალითებრ, ინგუშების ოჯახში. მათის გარდმოცემით, დედის ძმა (ბიძა) თითქმის მამაზე მალლა იღვა მათს ოჯახში. მაგალითად, თუ მამა ცოლის ძმას, ესე იგი, შვილის ბიძას მოჰკლავდა, შვილიც უსათუოდ სისხლს უზღავედა და მამას მოჰკლავდა; ამას გარდა ინგუშებს თავისი გვარი დედისაგან აქვთ

¹²) Шрадеръ—Сравнительное языкознание, 1886. СПб. 403. „Семейственность, государство“; შეადრე В. Сокольский—Къ учению объ организации семьи и родства въ первоб. общ. (Жур. М. Н. Пр. 1881. ч. 224).

და არა მამისაგან¹³⁾. ასეთი კვალი ეტყობა დღესაც ჩერქეზთა და კაბარდოელთა ცხოვრებასაც, როგორც ესა სჩანს იმათ თქმულებათა და ჩვეულებათა მიხედვით¹⁴⁾. ამათ გარდა სხვა ათასი ერი მოიძებნებიან, რომელთა ჩვეულებაში ამასვე ვხედავთ.

ავილო უფრო ცხადი და კონკრეტული მოვლენა. კავკასიის მთის ტომთა აქვთ გმირული პოეზია, რომელშიაც შეხვედებით ასეთს მაგალითს: გმირი-რაინდი ხშირად შეეყრება გზაზე ემეგენს-ქალს—დევს. ემეგენები ნარტებზე თუმცა უფრო ტუტუტუცები არიან, მაგრამ ჯანი და ღონე მათზე მეტი აქვთ. ამისათვის გმირს-ნარტს უსათუოდ შესჭამს ემეგენი. ეს ნარტმაც იცის კარგად. მაგრამ მან იცის აგრედვე იურიდიული ფორმა თვისის ცხოვრებისა. იგი უწოდებს უცბად პირ-დაღებულს ემეგენს ქალს „დელას“ და ამით იცილებს თავიდან სიკვდილს! მაგ. ნარტი ალაგუნი საცოლოს ეძებს: შეჰხვდა ემეგენს-ქალს, ვეებერთელა არსებას, რომელიც მიწასა ჰკერავს. შიშისაგან ნარტს თავზარი დაეცა. მაგრამ გონება არ დაჰკარგა მანცა. მიეპარა ჩუმად, გამოართვა ხელი და თითები უცბად ჩაიდვა პირში, უქბინა ცოტათი და მით გადარჩა სიკვდილს. თითის ჩადება პირში შვილობილობის ნიშანია. ემეგენი დალონდა: „შვილად არ მომკიდებოდი, გიჩვენებდი სეირსაო; მაშინვე შეგჭამდიო!“ ასეთივე მნიშვნელობა დედაშვილობას აქვს ჩვენშიაც.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს ხალხურს თქმულებაში ქვრივს. იგი ხშირადს ტვირთულობს აღმზრდელის როლსა; იბარებს ობოლს, როგორც შავირდს, წრთენის და თუ სადმე ისტუმრებს, ჰლოცავს, როგორც დედა ამირანს, ილია მურობელს და სხვანი¹⁵⁾.

¹³⁾ В. Сокольскій—Архангелскія формы семейной организации у кавк. горцевъ. (Жур. М.-Н. Пр. 1881 ч. 218).

¹⁴⁾ Ibid.

¹⁵⁾ Тойлоръ—Донет. бытъ народовъ и начало цивилиз. X гл. стр. 388. Ср. Буслевъ—Народн. поэзія—Рус. богат. эпосъ. VI и XI главы. Розовъ—О пропех. русск. быд., стр. 193.

თუ ასეთი ადგილი უჭირავს დედაკაცს, სახელდობრ დედას, დედობილს, ქერივს და სხვ. სახალხო პოეზიაში, არ შეიძლება ისიც აგვიხსნას ამ პოეზიაზე, თუ რა ზნეობრივ ვითარების წრეზედ იღვა ხალხი ნათესაობის შენახვასა და დაცვაში, ან სხვანაირად, რა შეხედულება ჰქონდა ამ სისხლ-ხორციით ნათესაობაზე? სახალხო პოეზია აქ მტკიცე კავშირით არის გადასკვნილი, როგორც სალინგვისტიკო ფაქტებითა, აგრედვე ისტორიასთანაც. ამ შემთხვევაში არა წყარო არ მოგვითხრობს იმდენს და ისე ცხადად, რამდენსაც და როგორც ეს პოეზია გვიამბობს. ინდუსებს დიდ ცოდვად მიაჩნიათ, მაგალითებრ, და-ძმის შეუღლება, სპარსთა შეხედულებით, წინააღმდეგ ამისა, ასეთი კავშირი სამღრთო და წმინდა რამ არის, საქმები და მისაბაძი. ბერძნულს მითოლოგიაში გერას აზას ერთსა და ამავე დროს ცოლიცა და დაც ზევსისა. გერმანელების მითოლოგიაში აგრედვე ნება აქვს დართული კაცს დის შერთვისა. რომაელები, წინააღმდეგ ამისა, სასტიკად უკრძალავდნენ სისხლის შერევას (in cesta ¹⁶).

ამაზე უფრო საინტერესო აქ ის არის, რომ ზოგიერთ ტომთა შეხედულებით, სისხლის არევ-დარევა ისეთი გარყვნილობა რამ არის, რომ დაქორწინება აღკრძალულია თითქმის მთელ გვარეულობაშიც კი, ერთის გვარის ქალი და კაცი ვერ შეუღლდებიან. ასეა ფშავეთსა და ხევსურეთში. აქ შენი თემის ქალსაც არ მოგატაცებინებენ დაუსჯელად ¹⁷). შესანიშნავი ის არის აქ, რომ ეს ჩვეულება გვხვდება თითქმის ქვეყნის ყველა ნაწილებში, მაგალითებრ, ინდოეთში, ჩინეთში, სუმატრას კუნძულზე, საათარეთში, ოსტიაკებში, ტუნგუზებში, სამოედებში, სპარტაში და სხვაგან ¹⁸). ამ ადათის დამრღვევი, ამ ერის უმეტესი ნაწალის შეხედულებით, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ასეთივე ფიცხელი კანონებია გავრცელებული და-ძმის

¹⁶) Шрадеръ—Сравнительное языкознание, стр. 409—110.

¹⁷) ნ. ურბნელი—ეტიმოლოგიური წერილები; წერილი მეექვსე. (ჯივრია) 1887 წ. № 8).

¹⁸) Тейлоръ—Доист. бытъ нар. и начало цивилизации. тд. X. ст. 388.

შესახებაც. დასასრულ, სახალხო თქმულებანი ცხადად უჩვენებენ ცხოვრების საზოგადო სახესაც, ფორმასაც. ზოგს ტომს აქვს ჩვეულებანი, რომელნიც მოგაგონებენ აგნატიზმს, კოგნატიზმს, ან კიდევ გეტერიზმს; როგორც ეს განგვიმარტეს ზოგიერთმა სპეციალისტებმა, მაგალითებრ, კლენცემ, რაინმა, ლანგემ, ბახოფენმა და სხვებმა¹⁹⁾, თქვენ კითხულობთ, მაგალითებრ, რომელსამე სახალხო ნაწარმოებს და ჰხედავთ შიგთითქმის მთელს სამსჯავროს, მსაჯულებს, კანონმდებლობას, დამნაშავეს, მომჩივანს და, ბოლოს, აზრსაც ერისას, რომელიც ნათლად აცხადებს, თუ როგორის იურიდიულ შეხედულებისა არის ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. ზღაპრებსა და მითებში გამოდის კაცი, რომელიც, მაგალითებრ, ცოლს ჰყიდის, შვილებსა ჰკლავს²⁰⁾; ან ჰხედავს, რომ ნათესავზე შემცდარა და სიკვდილითა სჯის ამისთანას. ასეთი შეხედულებანი შეგხვდებათ ქურდობასა, სიმბდალესა, სიცრუესა და სხვა უზნებობაზედაც. ხშირად გმირი-მამა შვილს ჰგზავნის საომრად და წინდაწინ სცდის მის ბიჭობას, მაგრამ როგორ? თვითონ ბერიკაცი ექიდება და სინჯავს: თუ მოერია, ლაჩარი ყოფილა და არაფრით არ ჰზოგავს ისეთს შვილს. ასეთი სცენა სახალხო პოეზიიდან ამოიღო გოგოლმაც, რომლის მოთხრობაში: „ტარას ბულმა“²¹⁾, როგორც ისპანურ პოემაში სიდზე, ტარასი შვილებს იმიერ-ქორომელთა ომის წანად ჰიდაობით სცდის. პოემაში სიდზე, ალფონსი გამოდის მსაჯულის როლში, რომელიც ასამართლებს წაჩხუბებულთ სიდსა და კორრიონის ინფანტებს²²⁾...

როგორც ჰხედავს მკითხველი, სახალხო ნაწარმოებს შესძლებია ათასგვარ, ან უკეთ, ყოველგვარ ცნობათა მიწოდება მცენიერისათვის. იგი აძლევს მასალას ფილოლოგს, სოციოლოგს, ეტნოგრაფს, იურისტს, მორალისტს, პოლიტიკოსს,

¹⁹⁾ В. Сокольскій—ibid.

²⁰⁾ Шрадеръ—Срavn. языковн. стр. 412—13.

²¹⁾ იხ. შგ. Журналъ Новь. За 1886, кн. 22. Крoварад мeсть. Евгeнiя Маркoвa.

²²⁾ Ө. Буслаевъ—Нарoдн. пoэзия. 373—375.

ღვთის-მეტყველს, ანტროპოლოგს, ისტორიის უწინარეს, პირ-
ვანდელ კულტურის მკვლევარს და სხვას. ეს მეცნიერებანი ჩა-
მოვთვალე იმიტომ, რომ ყველანი სარგებლობენ იმ მასალით,
რომელიც ჩვენ ვნახეთ სახალხო ნაწარმოებში. ეს მასალასჭი-
რდება ღვთის-მეტყველს, რადგან მისი საქმეა გაიგოს, როგორ და
რას ჰფიქრობს ხალხი ღმერთისა, კაცისა, ქორწინებისა, ქალი-
სა და ზნეობისას; რა თქმულებანია დატული მათ ნაწარმოებ-
ში ქვეყნის შექმნისა, წარღვნისა და სხვ. იგივე მასალა სჭირ-
დება პოლიტიკოსს, რადგან იმასაც უნდა გამოიკვლიოს, თუ
რა გრადაცია ყოფილა საპოლიტიკო ცხოვრების ფორმებში;
სჭირდება სოციოლოგს, რადგან იგი შეეხება ცხოვრების ყო-
ველსავე მხარეს: პოლიტიკას, სარწმუნოებას, ეკლესიას, ოჯახს,
ჩვეულებას და სხ. აგრედვე აქვს მნიშვნელობა ქმორალისტიკა-
თვის იმ საგნის ასახსნელად, თუ როგორი მორალური შეხე-
დულება აქვთ სხვა-და-სხვა მოქმედებაზე, რა პროგრესი სჩანს
მორალურ იდეების განვითარებაში და სხვ. აი იმიტომ გერ-
დერი სახალხო პოეზიას უწოდებს „არხივს მეცნიერებისას, სარ-
წმუნოებისას, თეოგონიისას და კოსმოგონიისას, მამა-პაპათა მო-
ქმედებისას და ისტორიულ ამბებისას და სხვ.“

ასეთი მნიშვნელობა სახალხო სიტყვიერებისა როცა გაიგეს,
ყოველ ქვეყნის მეცნიერთ მიატანეს ამ წყაროს, იწყეს კვლე-
ვა, რომელსაც მოჭყვავ თან დაბადება სხალის მეცნიერებისა, ესე
იგი, შედარებითი მითოლოგიასა.

თუ არის ისეთი მეცნიერება, რომელმაც ბევრი რამ სა-
სწაული მოიქმედა ჩვენს დროში, — ამბობს ერნესტ რენანი
თავის თხზულებაში: *de Evangiles*, გვერდი IV—V, — ეგ მეცნიე-
რება შედარებითი მითოლოგიააო²⁸).

ცდა გვიჩვენებს და შედარებითა მეთოდმაც აღმოაჩინა,
რომ მრავალ ისეთ ერთ, რომელნიც ძალიან არიან ერთმანეთს
დაშორებულნი, როგორც გეოგრაფიულად, აგრედვე, გონებ-
რივდაც, აქვთ ხშირად ერთის შინაარსისა და ფორმისაც კი

²⁸) იხ. ციტატი A. Веселовский—Разыскания... 1883 г. VШ.

თქმულებანი. მაგალითებრ, შედარებითი მითოლოგია ქველგან ჰჰოულობს გარდმოცემას მკედრების გასავალ ხიდისას, იმ ხიდისას, რომელიც უნდა გაიაროს საიქროს გამგზავრებულმა მიცვალეზულმა: ასეთი თქმულებანი აღმოაჩინა ამ მითოლოგრაჰმურებში, ინგლისელებში, თათრებში, ჩრდილო-ამერიკელებში, დიდის ოკეანის კუნძულებებში²⁴), ქართველებში და საზოგადოდ კავკასიის ყველა ტომთა შორის²⁵), რუსებში²⁶), ნემეცებში, (Jakob Grimm—Deutsche Mythologie. Seit. 694), ვლახელთა, რუმინთა, ბერძენთა, რომაელთა²⁷) შორის და სხვ. ამ მეცნიერებაზე აღმოაჩინა მრავალ ხალხში თქმულებანი თავის კბილისა, ქურქიან ბაყაყისა, რომელიც მზეთ-უნახავად იქცევა ბოლოს და ხელმწიფის შვილის ცოლად ჯდება²⁸); გვხვდება აგრედვე უფრო გავრცელებული თქმულება მკედლისა, კვერისა; მადნეულისა, როგორც ზევით აღვნიშნეთ. რას მოასწავებს ეს საკვირველი მოვლენა? ყოველივე ეს ვერ აიხსნება შემთხვევით. მაგრამ ხანდისხან ძნელი დასამტკიცებელი არის ისტორიული კავშირი ამა თუ იმ ტომთა შორის. ამ შემთხვევაში რით ავხსნათ ასეთი პარალელური მოვლენანი? ვი ამ საკითხმა გამოიწვია მეცნიერთა მიერ მეთოდის შემუშავება; შემუშავება იმ მასშტაბისა, რომლითაც უნდა გაეზომათ ეს მოვლენანი:

ზოგნი ამბობენ, რომ პირდაპირ უნდა მივმართოდ პარალელურს მოვლენას, რომ იმის წყალობით ავხსნათ ჩვენ მიერ აღებული მოვლენა. ასეთის აზრისა იყო იაკობ გრიმიც, მაგრამ ეს მეთოდი მოკლებული იყო კრიტიკის ელემენტსა. შეიძლება მათის მზავსება აღმოჩენილიყო ისეთ ხალხთა თქმულებათა შორის, რომელთა მეზობლობა და კავშირი ისტორი-

²⁴) Тейлорь—Донет. быть нар. и нач. цивил. стр. 480.

²⁵) ფშაური ლექსები. 242.

²⁶) Потемня—О муо. знач. и вк. обры и суверит. 1865.

²⁷) А. Веселовский—Разыскания... VI, 32—35.

²⁸) Потемня—стр. 200—203; ср. Сборникъ матеріаловъ по этногр. Дашк. Музея; Сборникъ армян. народн. сказокъ Халатянца, 160—165. ქართული ზღაპრები, აზნაზ. გამოცემა, 25 გვ.

ულად არ არის დამტკიცებული! როგორ გინდათ ამ შემთხვევაში ისარგებლოთ იმ მოვლენით, რომელსაც თქვენს საგანთან არაერთგვაროვანად კავშირი არა აქვს? მაშასადამე, ჯერ უნდა გააჩვენოთ საკითხი: ეგ მზგავსება არის ნათესავობით, გავლენით, თუ შემთხვევით? მერე გაიგებთ: შეიძლება იმითი ხელმძღვანელობა, თუ არა? ამ მეთოდის შემუშავებაცა და აღმოჩენაც ეკუთვნის ბენფეის და მის სკოლას²⁹⁾. ამ აზრს, ბენფეისგან გამოთქმულს სტატიაში: „მანკრატელი ინდოგერმანულ დროს“, მიჰყენენ ყველანი. ზოგიერთნი მოსაზრებანი, რომელნიც ახალ მეთოდშია, ცალცალკე წინადაც იყო გამოთქმული ზოგიერთ მეცნიერის ნაწერში. ჩვენ, შეძლებისა დაგვარად, ყველა მოსაზრებას მივაქცევთ ყურადღებას და ამ მეთოდს შედარებითი ფილოლოგიისას დავახასიათებთ შემდეგის მუხლმუხლედობით:

I. თუ ორს ხალხს აქვს ერთნაირი ნიჭი, ვითარებანიცა ცხოვრებისა: ზნეობრივი, სოციოლოგიური, ფიზიკური, პოლიტიკური, გეოგრაფიული, საკვირველი არ არის, რომ ამ ორს ტომს ასეთს ერთგვარს ვითარებაში ერთნაირი, ერთმანეთის მიმზავსებული კულტურა შეექმნათ. თუ მოქალაქობაც ერთია, მაშინ უერთმანეთოდაც შექმნიან იგინი მიმზავსებულს კულტურას³⁰⁾.

II. ამა თუ იმ კულტურის მზგავსება აიხსნება აგრედვე მით, რომ კაცის ბუნება ძირეულად ერთნაირია. მაგალითებრ, ყველა ხალხებს ის თვისება სჭირს, რომ თავის ნაწარმოებში უცნობს საგანს აღარებს ნაცნობსა; მაშასადამე, შედარებაც მიმზავსებული იქნება. შეიძლება სხვა-და-სხვა ადგილას იყო ლაპარაკი ერთსა და იმავე საგანზე: ცხენებსა, მჭედელსა, ტანფებსა, მადნეულსა, შტრობასა, შურსა და სიყვარულზე. ამ საგნებზე მსჯელობა ყველგან შეიძლება და, მაშასადამე, არ უნ-

²⁹⁾ Bonfey—Rasiermesser in indogermanischer Zeit. (Allgemeine Zeitung 1875. № 96). Ср. Жур: М. Н. Пр. 1892. ч. 220. „Библиография“ Любимиле; ср. Шрадера—Срвни. языкозн. стр. 54—60.

³⁰⁾ Тейлоръ—დასახელებული თხზულება, 497; А. Розовъ—О происх. русск. былинъ. 114.

და ვიფიქროთ, რომ ამისთანა საგნის შესახები თქმულება ყოველთვის ნასესხებია ერთის ერის მიერ მეორე ერისაგან⁸¹).

III. ხშირად მზგავსება წარმოსდგება არა მარტო იქიდან, რომ ორი ხალხი კულტურის ერთს წრეზედ სდგას, არამედ იქიდანაც, რომ ეს წრე ამავე დროს არის წრე პირვანდელის ყოფა-ცხოვრებისა, პირველი ბიჯი, და რადგან აქ კოსმიური ელემენტი ძლიერია, პირველს როლს თამაშობს და ცხოვრება ამიტომ ისეთივე ერთფეროვანია, ერთ-კილოვანი, ამისათვის შეიძლება, ორის ხალხის კულტურაც ერთფერი იყოს. ნადირობის ხანა ყველგან ერთფერია; აგრედვე მწყემსობის ხანაც, ხვნა-თესვის ხანაც და სხ. მაშასადამე, მზგავსი შეხედულებანი ყოველთვის არ უნდა მივიჩნიოთ იმის საბუთად, რომ უთუოდ იგი შეხედულებანი ერთმა მეორესაგან ისესხა⁸²).

IV. ამისათვის სხვა-და-სხვა ერის ნაწარმოებს, თქმულებას სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, რათა ერთს არ შევწამოთ; თუ თვით შეუქმნია რამ საკუთარის ძალ-ღონითა, სხვისაგანა გაქვს მიღებულია; ანუ თუ სხვისგან მიუღია, არ ვიფიქროთ, რომ თვით შექმნაო.

ამერიკელების ზოგიერთს თქმულებაში არის, მაგალითებრ, მოხსენებული ტყვია. კაცს ეგონება, რომ წინადაც სკოლით ტყვია-წამლის ხმარებაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ისტორიაც გვიმტკიცებს, რომ ტყვია-წამალი და მისი ხმარება ამერიკელებმა ევროპელებისაგან გაიცნეს⁸³). ამისათვის ამ შემთხვევაში უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რამდენად შესანიშნავია ეს მზგავსება: ნასესხები მაშინ იქნება კულტურა, თუ მზგავსება მისი მეორესთან არის სისტემატური და გასაოცარი, ძლიერი, ღრმა⁸⁴).

V. დასასრულ, საყურადღებოა აგრედვე ის საგანი, თუ ვინ როგორ უნდა უცქეროდეს ველურ ერთა სხვა-და-სხვა წარმო-

⁸¹) Розовъ—ibid.

⁸²) О. Буслаевъ—Р. бот. эпохъ. 321.

⁸³) Тейлоръ—Докт. 6. нар. 451—2.

⁸⁴) ibid. 541—3.

დგენას. ზოგი მკვლევარი ჰზომავს ამ წარმოდგენათა ევროპულ-ლის ლოლიკის კანონებით და, როცა ხშირად ამ ლოლიკით ტუტუცობა გამოდის იმ ველურთა მსჯელობაში, ზიზლით უყურებენ და არ ჰკიდებენ ხელს, გამოაკვლევის ღირსად არა სთვლიან მათს მსჯელობას. ეს დიდი შეცდომაა. „ძველის კაცობრიობის სჯა-წარმოდგენათა მკვლევარნი, ამბობს შესანიშნავი სოციოლოგი სპენსერი, სცდებიან ისე, როგორც ახალთაობის მასწავლებლნი... ძველის ლეგენდების მომთხრობნი და ველურების ცრუ-მორწმუნეობათა მკვლევარნი არ სტოვებენ თავიანთ აზრსა და გრძობას, რომელიც არის ნაყოფი ცივილიზაციისა და, როცა მისის მიხედვით განიკითხავენ ველურებს და არა გამოადისრა, მაშინ ან ცვიფრდებიან, რომ ველური იმათებურად არა ფიქრობს და ან მისს აზრებს არკვევენ იმ სახით, რა სახითაც სრულებით შეუძლებელია ველურის შეხედულებათა გარკვევა. გარნა დავანებებთ თუ არა თავს ველურის კაცის მონაგონის პროცესების გამოხატვას ჩვენის ტერმინებით, მაშინვე ჰქრება ის დომხალი“³⁵) (რომელსაც მკვლევარი ჰხეჴ დაელა იქ, შემცდარის მეთოდის წყალობით).

აი ის რამდენიმე მოსაზრება, რომელიც გვხვდება სხვა-დასხვა მეცნიერის თხზულებაში შესახებ მითოლოგიისა. როგორც ზევეთაცა ვსთქვით, ზოგიერთი ამ მოსაზრებათაგანი უფრო ადრინდელია, ვიდრე ახალი მეთოდი ბენფეის სკოლისა. მაშაჴ სადამე, ბენფეის დროსთვის და სრულის მეთოდის შემუშავებხათვის მითოლოგებს არ უყურებიათ და, სცნეს რა მნიშვნელობა მითოლოგიისა, შეუდგენენ მის კვლევას და ხელმძღვანელობდნენ აქ ჯერ მხოლოდ თავიანთის მოსაზრებით.

მართლაც, უკანასკნელის საუკუნის სივრცეზე გამოდიან ურიცხვნი მეცნიერნი, რომელნიც ეფინებიან სხვა-დასხვა ხალხებს და ადგილობრივ იკვლევენ მათს ზნე-ჩვეულებებს, ზებირსიტყვიერებას.

ისევე ის ფილოლოგნი არ იფიწყებენ ამ მნიშვნელობას პოეზიისას და ან იმ მასალას, რომელიც ამ პოეზიაში აღმოჩნ-

³⁵) Г. Спенсеръ.—Основ. социологии. СПб. 1876. Глава XXVI. с. 443.

და და რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ მოკლედ. ასევე და-
კავშირება ფილოლოგიისა, ისტორიისა და მითოლოგიისა ეტყო-
ბა ბევრ ზემო-დასახელებულ მეცნიერების თხზულებათა. მაგა-
ლითებრ, ფრიდრიხ შლეგელი 1808 წელს სწერს თხზულებას:
Sprache und Weisheit der Indier („ენა და სიბრძნე ინდუსებისა“),
რომელმაც მიიქცია მთელის ევროპის ყურადღება და გამოი-
წვია დიდი მოძრაობა მეცნიერებაში. აქ ფილოლოგია, ისტო-
რია და მითოლოგია ხელი-ხელ ჩაკიდებული მიისწრაფიან ერ-
თის საგნის, ინდო-გერმანულის წარსულის გამოსარკვევად.
ავტორი თუ თვისის აზრის დასამტკიცებელს საბუთს ისტორია-
ში ვერ ჰპოვებს, მიჰმართავს ამა თუ იმ ერის თქმულებათა და
მინც გამოსჩნდეს ქეშმარიტებას. ასეთსავე მეთოდს ვხვდებით
პოტტის მრავალს თხზულებაში (indogermanischer Sprachstamm;
Etymologischen Forschungen); ლასენის „ინდიურს არქეოლოგია-
ში“ (Indische Alterthums kunde); ასეთს გზას ადგია ბოლცოგენი
(„ინდოგერმანელების აზიურის ჩამომავლობის დამტკიცება“).
უმთავრესი „დამტკიცება“ მოჰყავს არიელების მითოლოგიიდან;
ინდრას და აგის ომი უმტკიცებს, რომ ხალხი ყოფილა დაბო-
ნავებული ცხელ ქვეყანაში, უდაბნოში; გველეშაპები კი ჩრდი-
ლოეთის მითოლოგიებში არიან ყინვის წარმომადგენელნი; მა-
გრამ რადგან აქ გველეშაპისაგან (ზამთრისაგან) მზის (სიცხის)
მოკვლა უადგილოა და ბრიყვეულიც (რადგან ასეთი სიცხე აქ
არ იქნებოდა), ამისათვის საზრეთის თქმულება უფრო ძველია,
როგორც უფრო შეფერებული ბუნებასთან და ლოლიკურიც.
ბოპში „შედარებითს გრამატიკაში“ ხშირად სარგებლობს სა-
ხალხო თქმულებით, შეხედულება-ცნებითა; გრიმი (Geschichte
der Deutschen Sprache, 1865. Berlin. 3 Aufl.), ფრიდრიხ მილლერ-
ი (Allgemeine Ethnographie, 1873.), მაქს მიულლერი „შედარუ-
ბითს მითოლოგიაში“, კუნი (საკუთარ ჟურნალში Zeitschrift
für vergleichende Sprachforschung auf dem Gebiete der Deutschen,
Griechischen und Lateinischen.), ვესტფალი (Zur vergleichenden Me-
tric der indogermanischer Völker), ბენფი, ვეიზნი, გენი Cultur-
pflanzen und Haustiere in ihren Ubergang von Asien nach Griechen-

land und Italien და სხვ.) ყველა ესენი აღგანან თავიანთ ნაწერებში იმ აზრსვე, რომ ფილოლოგია, ისტორია და მითოლოგია უერთმანერთოდ ვერ გასძლებენ.⁸⁶) ამ მეცნიერთა გარდა, რომელთა შორისაც ზოგს წმინდა ფილოლოგიური თხზულებანიცა აქვთ, როგორც მაგალითებრ მ. მიულლერს, შლეგელს, გრიმს (Deutsche Mythologie), არიან კიდევ სხვანიცა, რომელნიც, არა ნაკლებ დასახელებულ მკვლევართა, იკვლევდნენ მითოლოგიას, როგორც, მაგალითებრ, შელლინგი, ჰერდერი შირსონი, გერრესი, კრეციერი, ბოგენესი, რენანი⁸⁷); რუსეთში ორესტ მილლერი, ვსევოლრდ მილლერი, ვესელოვსკი, ბუხლაევი, სტასოვი, პოტებნია, პიპინი და სხვ.

მეორეს მხრით, რა კი აღმოჩნდა, რომ ახალს მეცნიერებას დიდი კავშირი აქვს იურიდიულ მეცნიერებასთანაცა, რასაკვირველია, იურისტებსაც უნდა ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის და დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სახალხო ნაწარმოების შესწავლას იურიდიულის მხრით. ამისათვის აქაც გამოდიან მეცნიერნი, რომელნიც აგრედვე ჰზრუნავენ მითოლოგიის შედარებითის მეთოდისათვის, რადგან მხოლოდ ამ მეთოდით შეიძლება კაცმა გამოიკვლიოს ეს უხვი მასალა და, მაშასადამე, იმ გზით შეადგინოს მეცნიერებამ და სახელმწიფომ, მთავრობამ ცხადი აზრი იმის შესახებ, თუ რა კანონი შეესაბამება ამა თუ იმ ხალხს, რას უფრო შეიფერებს, რას დასრულებს, რითი მოაწყობს თავის ცხოვრებას უკეთ, რა ააღორძინებს იურიდიულს ურთიერთობას საზოგადოების წევრთა შორის და სხვ. მაშასადამე, წინად უნდა შეისწავლო ის, თუ როგორი ფორმა იურიდიულის ცხოვრებისა აქვს თვით ხალხს ჩვეულებად, ადათად, თქმულებათა მიხედვით და სხვ., როგორი წარმოდგენა აქვს სისხლზე, დედაზე, მამაზე, ძმაზე, შვილზე, ამა თუ იმ მოქმედებაზე და სხვ.

⁸⁶) Шрадеръ—Сравн. языковн, 1886. 1—140.

⁸⁷) М. Карьеръ—Искусство въ связи съ общ. разв. культуры, V, 365 და 405.

ეს აზრი გამოსთქვა პირველად საეინიმ, რომელმაც პირველად მიჰმართა ისტორიულს მეთოდს³⁸). საეინისა და მისთა მოწაფეთა აზრით „უფლება“ საზოგადოდ იბადება ხალხურს ნიდაგზე. აქ იზრდება იგი თან-და-თან, ხალხის შეხედულებასთან ერთად, ხალხის გონებრივსა და ზნეობრივ ნაწარმოებისათანავე, მისის ცხოვრების ვითარების მიხედვითა. მაშასადამე, პირველი ფორმა, ნიმუში, ნაშთი, მაგალითი ამ უფლებისა აქვს თვით ერს თავის ჩვეულებასა და პოეზიასა, ადათებსა და სიზბოლურს აქტებში. საეინის გარდა, ასეთს აზრს ადგენენ აგრედვე ეიხგერი, კუნი, გრიმმი³⁹), ლარსენი, პიქტი, მიულლერი გენი და სხვ.

საზოგადოდ, როცა ძველის მიმართულების (ე. ი. საცა შედარებითი მეთოდი არ იყო) უვარგისობა და სისუსტე შეიგნეს შედარებითის მითოლოგიის წყალობით და ეს შედარებითი მეთოდი ამ იურიდიულ მეცნიერებაშიც გადმოიტანეს, გაჩნდა ორი მიმართულება, ორი სკოლა. პირველის სკოლის წარმომადგენელნი იყვნენ: მენი, ფრიმენი, გირნი, ფიუსტელ-დე-კულანჟი, რომელნიც ყურადღებას მარტო არიელებს აქცევენდენ, რადგან სემიტებსა და თურანებს ამდაბლებდნენ და შესწავლის ღირსადაც არ სთვლიდნენ⁴⁰).

ეს ცალ-კერძი მიმართულება და, მაშასადამე, საგრძნობელი ნაკლულევენებაც შეავსო მეორე სკოლამ. ამ სკოლას ეკუთვნიან: ლებბოკი (le primitive civilisation; primitiv mariage), მაკლენანი, ლაეღე (De la propriété et de ses formes primitives), რაინი (Das Priwatrecht der Roemer. Leipzig 1858), ლანგე (Roe-

³⁸) მის სკოლას ეკუთვნის სახელოვანი პუბტა, ვენგეროვი, კელლერი. ბრუნსი, ვინდშეიდი, ბეკკონგი და სხ. იხ. Муромцева—„Гражд. пров. др. Рима“. Москва. 1883. стр. 8, § 38.

³⁹) Карьеръ—V. 450; ср. Grimm—Geschichte der Deutsche Sprache. 1865. Berlin. 3 Aufl. B. I. Seit. 90—112. „Recht und Sitte“; ср. Шрадеръ, стр. 403, 420.

⁴⁰) В. Сокольскій—Къ ученію объ организаціи семьи и родства. (Жур, М. Н. Пр. 1881. ч. 224).

rische Alterthümer), ბახოფენი (Das Mutter recht), ვირო-ტე-ლონი, ჰოსტი, ციმმერი, ვებერი და სხვა... ამ მიმართულე-ბის ნაყოფი იყო იმ სავნების ახსნა, რომელიც ჩვენ აღვ-ნიშნეთ უკვე, როცა ვლაპარაკობდით ამ მეცნიერების კავ-შირის შესახებ ფილოლოგიასთან და მითოლოგიასთან, სხელ-დობრ, ახსნა ძველის დროის ოჯახთა ორგანიზაციისა და გა-მოკვლევ-გამოძიება მათის სხვა-და-სხვა იურიდიულ შეხედულე-ბათა⁴¹). ახლა განვიხილოთ სხვა მხარე ამავე საგნისა.

ბევრი მკვლევარი ამას ამტკიცებს, რომ ეს სიტყვა მხოლოდ იტალიურ ენაშია გავრცელებული. მ. კელ—მე

ეს სიტყვა იტალიურ ენაში გავრცელებულია მხოლოდ იტალიურ ენაშია გავრცელებული. მ. კელ—მე

ეს სიტყვა იტალიურ ენაში გავრცელებულია მხოლოდ იტალიურ ენაშია გავრცელებული. მ. კელ—მე

ეს სიტყვა იტალიურ ენაში გავრცელებულია მხოლოდ იტალიურ ენაშია გავრცელებული. მ. კელ—მე

⁴¹ H. C. Schlegel — Die germanische Sprachen des Nordens. Berlin, 1811. S. 115. R. H. Schlegel — Die germanische Sprachen des Nordens. Berlin, 1811. S. 115. R. H. Schlegel — Die germanische Sprachen des Nordens. Berlin, 1811. S. 115.

მრიმღე მმსაზრმზა

ქართულის ენისა და ზრამატიკის ზმსახე



კან არ იცის, რომ ქართული ენა ოდესმე ფრად მდიდარი, განვითარებული და წარმატებული ენა იყო. ამის ამტკიცებს სიმდიდრე ჩვენის ძველის მწერლობისა, საეროსი, თუ სასულიეროსი. სწორედ გასაკვირვებელია და გასაოცარი ჩვენთა ძველთა მწერალთა ენა-წყლანობა, ენა-მწეობა. ამის საბუთად ისტყ გმარა, რომ გავიხსენოთ «ვეფხვის-ტყალანია», «ვისრამიანია» და სამღუთო. წერილის წიგნები.

თუმიტა ერთიცა, მეორეცა და მესამენიც მე-XII საუკუნეზე გვიან არ არის. დაწერილი, მაინც დღესაც ადვილად გასაკება. ესლანდელსა და მასინდელს ქართულს შორის დიდი განსხვავება არ არის; მხოლოდ თითო-ორლჯა საგრამატიკო ფორმა შეტკლილან. ამიტომ, ვინც კარგად იცის ქართული, დღესაც დიდას სიამოვნებით ისმენს ძველებურს ქართულს და მის ყურს სრულად არ ეხოთი-რება წყობილება და ჭარმონის ძველის ენისა. შიგა და შიგ მხოლოდ თითო-ორლჯა სიტყუა და ფორმა ცოტაოდნად ძნელად გასაკები, აწრი კი ცხადია, ნათელი, საკმაოდ ადვილად მისასკედრი. ის ორიოდუ გადასსკაფერებული ფორმა, რომელიც სემორე მოვისსენეთ, საიმისოდ არას უშლის ყურთა-სიმენას და სრულადაც არ აძლიერებს ძველის ქართულის გაუგებრობას.

ესლანდელის ქართულის ყოფა და ვითარება სულ სსკა არის. ჩვენის მწერლობის დღევანდელ ენის კვლავ აღორძინებას და წარმატების იმ სიმადლეძლე ასკლას, რა სიმადლეშკედაც სდგას ძველი

ქართული, ბეგრე რამ აკლია. ეს, რასაკვირველია, იმის ბრალის, რომ ჩვენი ენა დღეს ისეთის საკსებით აღარ ვარჯიშობს, როგორც ვარჯიშობდა ძველად, როცა იგი იყო ერთადერთი იარაღი ცხოვრებაში.

საცა ენა არა ვარჯიშობს, ფრთა არა აჭკს გაშლილი, თავისუფლად და ვეელგან წყაროსავით არა ჩუხჩუხებს, იქ ენას, თუძცა თვისი საზოგადო ბუნება არ ეცვლება, თვისი ატეულება არ ეკარგება, მაინც ძალი და მხნეობა უსუსტდება, ცხოველ-მეოფელობა ნაკლები-და აჭკს, ელფერი თითქო უცვდება, უსუნდება.

ენაც, მცოდნეთა აზრით, ორგანიზანს არსებასა ჭკაკს: იმასაც ვარჯიში ავითარებს, აძლეურებს, ხოლო უვარჯიშობა ადუნებს, სიტაცხლის ძალას უსუსტებს, ენერჯიას აკლებს.

საცა ენა ერისა ისმის ეუელგან—მართვა-გამგეობის საქმეშიც, მხედრობასა, სასამართლოსა, სკოლასა და ეუელა სსკა საზოგადოებურსა და კერძო დაწესებულებაშიც, როგორც ძველად საქართველოში იყო, იქ ენა მსხვედრება, ცხოველდება, მდიდრდება, ძლეურდება და გულ-ხალჯათადა ჭშლის ფრთებს, მრავლად უვავილ-დასსმული.

ამხსთანა ერის ენა გზამამებუელია და მტოსანთა ხელში ღაღად ჭტელებს და ჭნაპარდობს, კოწიაწობს, იწმაწნება, კამარსა კამარსედა ჭტრავს, მოსელებთ ხელში—ჭდინჯობს და ჭდარბაისლობს; მხედრობის ხელში—მხნეობს, ჭკუეკაცობს, ჭკულ-კაუობს; უურსალი-სტების ხელში—ცეცხლს იკიდებს; სახლიმებრ მტუნებარებს; ამოწვდილის მახვილივით ელვარებს; ორატორთა ხელში—სტექს, ჭჭუსს, ჭტრეკინავს. და მეცნიერთა ხელში კიდეკ—გულჭმართლობს, სიმტკიცეს იჩენს, ზედ მიწეწინდს სიმტკიცეს.

ჩვენში კი, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ქართულს ძალიან ჰატარა წრე აჭკს გარემომოწერილი, ჰატარა ბაზარი აჭკს, მცირე სხვარეში აჭკს სავარჯიშოდ, ფრთის გასაშლელად. როგორც კიციო, ჩვენი ენა თითქმის არსად არა ვარჯიშობს; არც მართვა-გამგეობის საქმეში, არც ჯარისა და მხედრობაში: არც სასამართლოში და არც საზოგადო დაწესებულებაში, თითო-ორი-ორი კერძო დაწესებულებას გარდა.

ქართულს დარჩენია მხოლოდ სოფელი, მწერლობა, პირველ-დასაწყისი სკოლა და ოჯახი, მაგრამ აქაც თავისუფლად ვერა ჰქონდა თავს, რადგან რამდენიმე მოცილე და მეტოკე ჰყავს, მეტად-რე სკოლასა, ოჯახსა და მწერლობაში.

ისევე სოფელი და სოფელური ოჯახია დღეს ერთად-ერთი ციხე-დარბაზი, საცა ჩვენი ენა თავს აფარებს, საცა თავისუფლია, ცოტად თუ ბევრად, თითქმის წყაროსავით ანგარა და წმინდა, შეუ-რეგულ-გაურყენელი. იქ, სოფლად, ქართული მანაც ჰმეფობს, რამდე-ნადაც კი შეიძლება ჩვენს ყოფაში, რისამე ჩვენებურის მეფობა, მანაც ჰბატონობს და სულს ითქვამს ისე, როგორც მისი ნამდვილი ხსიათი და ბუნება მოითხოვს.

სოფელს შემდეგ, ქართული აფარებს თავს მწერლობაში. მწერ-ლობა მეორე ძიძა და ლაღაა დედა-ენისა, ის დიდი კერაა, საცა მწელია, თითქმის ყოველად შეუძლებელია მისი გაქრობა, ისე როგორც შეუძლებელია გაქრობა მისი სოფლად.

მწერლობის დიდს კერაში ჰღვივის განუქრობლად ცრესლი იმ ციხით მონიჭებულის მადლისა, რომელსაც დედა-ენა ეწოდება, მწერ-ლობას მისი ძველი, მისი ხმალ-ამოღებული დარაჯი.

ასეა ყველგან, საცა კი ერს თავზედ ხელი მოუხედავს, შეუგნია თავისი ყოფარა და თავისის საკუთარის წარმატების ვითარებაცა, საცა ჰქეყანს მიხედრილა, რა დიდი ძალა და მნიშვნელობა აქვს დედა-ენას, საკუთარს მწერლობას და მის ყოველ-განს დარჯის აღორძინებას დედა-ენას საშუალებითა.

ამისთანაჲ ჰქეყანაში, თუმცა ყოველივე ხელს უწყობს ენის აღორძინებას, წარმატებას და თვითონაც გამუდმებულს ვარჯიშობა-შია, მანაც კიდევ მთავრობა და საზოგადოება დიდად ჰზრუნავს უაღრესად მისის წარმატებისათვის და არას არ იშურებს, რომ დედა-ენის აღორძინების საქმე კიდევ უფრო გარკად მოაწყოს და მის განკეთილებისათვის რამდენიმე ცალკე ორგანოც კი დაარსოს.

თუ ასეა იქ, საცა უამისოდაც ენა ყოველ-მსრივ ხელ-შეწყო-ბილია, ვარჯიშობაში ჩაყარდნილი და თავისუფლად ფრთა-გაშლილი, ცხადია, რამდენად უფრო მეტად საზრუნველი უნდა იყოს ასეთი საქმე ჩვენში, საცა, ხელს უწყობს კა არა, ყოველივე ისეა მიმარ-

თული, რომ სული შეუშლას, დაახრკოლოს მისი წარმატება, მისი გაძლიერება. ამიტომ ჭმართებს ჩვენს მწერლობას და საზოგადოებას ერთი-ათად და ერთი-ასად უფრო მეტი სრულგა დედა-ენის სიწმინდისა და კანონიერებისათვის.

II

ჩვენი მწერლობა, რასაკვირველია, სცდილობდა და დღესაც სცდილობს, რამდენადაც გარემოება ნებას აძლევს, ამ დიდად სასრულგა-სრულს საქმეს ზირ-ნათლად გაუძღვას. ჩვენი უფრანღ-გაზეთობა წინა-დაც და ახლაც იმ ფიჭვში იყო და არის, რომ მისი ქართული სუფთა იყოს, კანონიერი და არ იბღალებოდეს, არ ირყენებოდეს უცხო ენათა ზედ-გავლენით. უნდა შევნიშნათ საზოგადოდ, რომ ჩვენის ახალ მწერლობის ენამ ნელ-ნელა წინ წაიწია, თვისთა უკეთესთა წარმოდგენელთა მეხსებით, ამ ოცნისა და ოცნა ათის წლის განმავლობაში. ჩვენმა, ზრათ უკეთესმა მწერლებმა, არამედ შუათანა ნიჭისა და გონების მწერლებმაც კი, უფრო უკეთ შეითვისეს ქართული და მისი ბუნება. საზოგადოდ, ჩვენი მწერლები, ამ ათისა და ოცნის წლის წინად, უფრო უვარგისის ენითა სწერდნენ, ვიდრე სწერენ დღეს, ამდენის ხნის კარგის შემდეგ. მწერლობაში, შედარებით, დღეს უფრო კანონიერი, უფრო წმინდა ქართულია, ვიდრე იყო ამ ათისა და ოცნის წლის წინად, როცა ის-ის იყო დაიწყო აღორძინება ახალმა ქართულმა მწიგნობრობამ. ეს გარემოება ფრთხილად სასიამოვნოდ და სანუგეშოდ ამხავია; სამწუხაროდ მხოლოდ, რომ ჩვენს მწერლობას ჯერ კიდევ მანც ბევრი მეტადინება ჭმართებს, ვიდრე მისი ენა სრულიად გაიწმინდებოდეს, განსუბუტავდებოდეს და ისე-თივე წმინდა შეიქმნებოდეს, როგორც არის ენა ძველის ქართველებისა, ეკრძის ამა თუ იმ წარმატებულის. ერისა.

მანც ჩვენს მწერლობას ეტყობა ახლა, რომ გემო გაიღო კანონიერის ქართულისა; მწერლობა მისჯდა, რომ, თუ არ კანონიერის ქართულით, მისი ნაღმანაკევი და ნაქადაგევი საზოგადოებას გულს არ ჩასწვდება, მის უფრადლებას არ დაამსახურებს. ამისი მიზეზი, სსკათა-შორის, ჩვენი საზოგადო გამოფხიზლებას, საეროვნო გრძობის გაა

ძლიერებას, ძველთა მწერალთა შესწავლას უფრო მეტის გულმოდგინებით, მეტის დაკვირვებათ და კიდევ ის რომ, ცოტად თუ ბევრად, ქართულის ცოდნასაც ფასი დაედო.

მწერლობასა და საზოგადოებაში უფრო სშირდადნას ასლს ლაშარაკი, სჯა და კამათი ქართულის ენისა და მისის სიწმინდისა, მისის განხიერებისათვის.

ერთმა ამისთანა სჯა-კამათმა ანუ პოლემიკამ, როგორც მოგეხსენებნთ, თითქმის ნასკვარს წელიწადს გასტანს შარშან და ისე გამწვანდა ბოლოს, რომ კინაღამ სულ-ნართულ ომად გადაიქცა. მებრძოლთ ბოლოს სულ გადავიწყდათ სავამათო საგნები და ერთმანერთის ღანძლვას მიჰქუეხ სელი. თვით ის საგანიც, რომელმაც ეს დაჯა გამოიწვია, კამათად არა ჰღიერდა თითქმისა და ამიტომ საიმისო ნაყოფიც არა მოიტანარა. მთელი დაჯა, თუ არა ესცდებით, ტრიალობდა ყოკლად მცირე, თითქმის სრულად უმნიშვნელო საგრამატიკო გარემოებაზედ. «კალიარო» უნდა თუ «აღვიარო», «ჰკვიანი» თუ «ჰკვიერი», «სვინიფისიანი» თუ «სვინიფისიერი», «სწორი» თუ «სწორეო» და სხვ. აი თითქმის სულ ამისთანა საკტიმოლოგიო წკლილი და კინი გასდა საგნად დაკიდარბისა და დაუსრულებელის ბრძოლისა, რომელსაც ზედ დაერთო სურვილი მებრძოლთა ერთმანერთის წყენისა, გაბაზრუებისა, გათანსიერებისა.

იქნება ესცდებოდეთ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ასე ატუხა და წარმოკუს დაჯა-კამათისა უნის სიწმინდის დასაცველად, ენის განკეთილებისათვის, სრულიად მცირე და თითქმის უმნიშვნელო საქმეა. ამისთანა წვრილმანები უფრო მართლ-წერას შეეკება, ორთოგრაფიას, ტრანსკრიფციას, ვიდრე ენის სისუფთავისა და განხიერების საქმეს, ვიდრე სინტაქსისს, ანუ იმ ნაწილს გრამატიკისს, რომელსაც ეჭმედებატება ეს და მისი სიცოცხლე, მისი ბუნება - ატუბულება. ამისთანა წვრილმანების გადასწავლად, ამისთანა საყო-ნიტიკო და სამორფოლოგიო საგნების გასარკვევად, წერაში ერთფერობის დასამყარებლად სრულიად სავამათო მოიკრიბონ თავი რედაქციების წარმომადგენელთა, სასკლემდონელო წიგნების მბეჭდველთა და კორექტორთა და გადასწავლით, რომ აი ასეთი და ასეთი მართლ-წერა დაიცვათ, ეს სიტუება ასე ვსწეროთ, ეს ასეო,

ეს ასო ასე—და ეს ასეო. ერთის სიტყვით, ამისთანა გრებაზედ, თუ მონდომს და სურვილი იქნება, არ არის ძნელი გამოიჩქაროს და დამუარდეს საფორტიფიკაცია და სამხრეთოლოგია სავსეები ენისა, ასე თუ ისე წერს თითოეულის სიტყვისა, თითოეულის სიტყვის ასოსი. თუ არა და ჭლინის განა დავა-კამათი, მოცდენა და სარკვეა მელნისა და ქადაღდისა იმაზედ, როგორ სჯობიან ვსწროთ ისეთი სიტყვისა, რომელთაც ორნაირი და სამნაირი ფორმა აქვთ და რომელთაც ერთი მწერალი ასე სწერს, მეორე ისე? მაგალითად: ილია სწერს: წინად, იკანე—წინეთ, გოგია—წინედ; ჰეტრე სწერს: სოფლიდგან, ჰავლე—სოფლიდან, სიკა—სოფლითგან, ტეტიკა—სოფლიდან. ჩვენის აზრით, არც ერთი ფორმა უკანონო არ არის: ყველა ერთნაირად განხილვინა, როგორც კანონიერია: კაცები და გაცნი, სენი და სეები, წიგნთა და წიგნებისა და სსკ. საქირთა მსოფლიდ ერთ-ფორმა დაარსდეს მწერლობაში, რომ შემდეგმა თაობამ დრო აღარ დაჰკარგოს და აღარ იფაქროს, რომელი სჯობიან: წინედ, თუ წინადაო. სოფლი რომ ორივე ფორმა განხილვინა, ამას მარტო ის გარემოება ამტკიცებს, რომ მთელი ქართლ-კახეთი ამბობს «წინადა» და მთელი იმერეთი და დასავლეთი-საქართველო ამბობს და სწერს «წინეთ». ამისთანა წვრილმანი სხვა-და-სხვაობა ჩვენს ენაში ბევრისაგან ბევრია და მაგარედ რომ ვიდავით, წუთი-სოფელი გამოგვიღამდება და ვეღარას გერ მოკეწვივით; რაც უმთავრესია ენის დღეგრძელობისა და მისის სისუფთავის, მისის განხილვების საქმეში, ის სულ სულიდან გამოგვიღება.

აი ამისთანა წვრილმანი სხვა-და-სხვაობა და სრულიად განხილვინი ორ-სამ ფორმისობა ზოგაერთის ქართულის სიტყვისა: წინეთ, წინედ, წინად; რათგან, რადგან; აგრეთვე, აგრედვე; ესლან, ხსლან; შვეიდა, შვიდა; მევიდა, მოვიდა; მაიტა, მეიტა, მოიტა; იუკეს, იუოს; თაის, თაისს; ვიდე, ვიდე; ძლიან, ძან, ძლან; ძრიელ, ძლიერ; შვიდმეტე, ჩვიდმეტე; თვანმეტე, რვა-მეტე; მომწვანე, მომწვანო; უკეთ, უკედ და სხვანი, რომელთა რიცხვი, კიმეობით, მრავალია.

ამ ფორმებში ზოგს საქართველოს ერთს გუთხეში ჭმარობენ, ზოგს-მეორეში და, მაშასადამე, ორივე ფორმა განხილვინა, სამართლიან-

ნი, ენის ფუნქციისა და მორფოლოგიის მიერ შეწყნარებული და არავის არაკითარი არც ნება აქვს და არც შეუძლიათ მოითხოვოს, ასე იხმარეთ ეგ სიტყვა და არა ისეო. გრამატიკა თავის-თავად კი არ არსებობს, იგი ცოცხალს ენას ეჭვემდებარება და იმის ფუნქციებს აღნიშნავს მხოლოდ.

ორ-სამ ფორმის სიტყვებში ზოგი მათი საფუნქციო და სამორფოლოგიო ფორმა უკვე უარ-ყოფილია საუბარშია და მწერლობაშიც, ზოგი განდევნილია და ექსორია ქმნილი რედაქციებიდან. თუ რომელიმე ფორმა, ძველი გინა ახალი, ჰბოგინობს კიდევ სადმე სოფლად, პრაქტიკაში, დაე, იბოგინოს, იცოცხლოს; ვის რას უშაგებს, ან რითია უკანონო, როცა სოფელ-ჭკუენა ჰხმარობს, იშენებს; სოფო ის ფორმები, რომელიც სოფელშიც უარ-ჭყო, ქალაქშიცა და მწერლობაშიც, დაე, განდევნილი იყოს და მიეცეს განსვენებას წილთა შინა წარსულ საუკუნეთა წყვილადისათა. მაგით არა დაკლდება-რა არც ქართულს და არც ჭკუენას. ან რა სადავიდარაბოა, თუ აქა, ან იქ დღესაც ამობენ: ჭკუე, ეუ, სოფელშიცა, სოფელში, სოფელშიდ, თოლი, ცხორი, მოკადის, წავიდის და სსუ. ამით არაკითარი ზიანი არ ეძლევა და არც მიეცემა ქართულს. ზიანი კი არა, პირ-იქით, უფრო გამდიდრდება ენა, გამდიდრდება ლექსიკონი, იმატებს მასალა ენისა. სითრთხილით ხმარება პრაქტიკალურის, არა თუ სიტყვებისა, ფორმა-მიმოსვრისადაც კი, მეტადრე პოეზიასა და ბელეტრისტიკაში, აუცილებელია საჭიროებაც კია; უამისოდ ჰქმნარიტი საეროვნო პოეზია შეუძლე ბელია.

ჰემოხსენებული საგრამატიკო დაკა და კამათი კი სწორად ან ამისთანა უბრალო, უდანაშაულო ფორმებს გამოეკიდა, ან უფრო უდანაშაულო ასოებსა და მარცვლებს მოუყვა ხსრეკასა, და ტაბა მათის გადასმა-გადმოსმის კანონების ძეხნაში.

ამ გარემოებაში გავსახსენა ნეტარ-ხსენებული წარსული დრო, როცა ერთი ვაი-ვაგლასი და დაკა იყო ატესილი ჩვენს ძველსა და ახალს თაობას შორის. უნ ბრეგუსა, ხარასა, ჭიესა და ჭიესა გამო. ამ ორმოცოდე წლის წინად კიდევ რუსეთში იყო ასეთივე დაკა ატესილი. III, III სს და სსკა ამ გვარ ასოების გულისათვის იქამდე მივიდნენ, რომ გულის-სეთქით ამტიკებდნენ III-ს საჭიროებას, ეგ ასო რომ

განვადგინოთ, როგორ-ღა დავწეროთ სხსელ-წოდება ჩვენის საყვანკ-
ლის საჭმლისა «შისისია». მაშინ სომ რაი ასო დავჭკირდება
144-იო.

თქვენი არ ვიცი, და მე ვი მჯობია, რომ გინდამ ამისთანა დავა-
კამათისა ჰგავს ის დავა-კამათიცა, რომელიც ისეთის რისითა
და თავ-მოწონებით სწამობებს სოფელს სემიოდ ჩვენს
მწერლობასა და საზოგადოებაში. ამ სხსით, ქართულის ენის სიწმინ-
დას დაცვა, თავ-გამოდება მისის კანონიერებისა და სისუფთავისათვის
გადაჭტევა სოფლი უნაყოფოა, სასჭოლასტიგო დავი-დარბად, იმ გვარ
დავი-დარბად, რომელიც ისეთის მასვილ-გონიერებით აივდო სასადი-
ლოდ უგებავს მოლეირმა ერთს თავისს კომედაში, საცა რაი
შუა-საუგუნეთა სჭოლასტივი — მანკრტი და მარფურიოსი — აუინებთა
და ასირებით ვებრძვიან ერთმანერთს... მეუ რისთვის? როგორ უნდა
ვსთქვათ, რა უფრო კანონიერია: ფოქმა ქუდისა თუ ფიგურა ქუდისაო?

მაგ წერილმანების გადაწყვეტა, ვიმეორებთ, არ არის ძალიან მხელი.
საქმე მონდომა მსოფლიდ ჩვენის მწერლობის მკთაურებისა. ზოგს რომ
ჩვენ თვითონ ვეცადოთ, ზოგს დრო ეცდება, დრო მოიტანს და ერთ-ფე-
რობა დამყარდება მართლ-წერაში: ზოგი ასო და მარცვლი დამკვიდრ-
დება, ზოგს თითონ ენავე მოიშორებს თავიდან, განვადგინის და უარ-
ჰყოფს. მოამბესა რედაქციამ, მაგალითად, გადასწყვეტა, რომ იმ რთ-
ფორმაში, რომელიც ერთნაირად კანონიერია და რომელიც ერთსა და
მეხვე შემთხვევაში ახმარება, ისმაროს სოფელს მსოფლიდ ერთი იმ
რთს შორის და ასეც იჭტევა. იმის მაგიერ, რომ სან სოფლიდან
სწეროს, სან სოფლიდგან, სან სოფლიდამ, სან სოფლიდგან,
სწერს: სოფლიდან. ვისაც კამათის სალერელი აქვს ამლიდი,
მოცალება აქვს და სხვა გვარს, უფრო დიდს ჩვენს გაჭირებულს
ვერს ჰხედავს, შეუძლიან მთელა წელიწადი იდავოს და იხს-რბოს:
სოფლიდან ვი არ უნდა, სოფლიდგან უნდა, ეს უფრო კანონიერია
გრამატიკითა, განსა, სკლ ქვეშ რომ ვსთქვათ, ეს დავა და
ხსუბი აუინება და ჭირვეულობა იჭნება, წყლის ნაყვას ეკვანება და
სხვას არაფერს.

რასაკვირველია, ერთფერობა და ერთგვარობა ჩვენს მართლ-წე-
რაში ფრიად სასურველია, მაგრამ, ვიდრე ეს მოჭხდებოდეს, მანცა

და მანც, დიდს არაფერს უძღვის არავის ორისა და სამის ერთგვა-
რის ფორმის ერთად არსებობა. არც ენის სისწორესა და სისუ-
ფთავეს დააკლდება რაჟი ამით მანცა და მანც. ამ სამსა და ოთხს
ფორმასი ჩუმი ბრძოლა იწარმოებს, ბუნებრივის შეჩვევის კანონით,
გულ-მოდგინე რედაქციებ-გორაკტორების მეხსებით, და ერთ-ერთი
გამარჯვებს მათ შორის, სოლო დანახეხნი იქმნებიან უარ-ყოფილ
და განდევნილ უდავიდანბოდ, თავ-პირ დაუმტკრეკელად, ყიჟინა და-
ცემილად.

III

ქართულის ენის საჭირ-ბორცოტო საქმე, მისი დიდი ტკივილი
დღეს სულ სხვა არის და ვაი რომ სწორედ ამ საჭირ-ბორცოტო
საგანს, ამ ტკივილს აუხვიეს გვერდი ქართულის ენის სიწმინდი-
სათვის თავ-გამოდებულმა ჩვენმა მეთაურმა მწერლებმა.

ჩვენის თეორიით, ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათ-
ვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები ვი არ არის, საქმე
თვით ბუნებას ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმდევრა, მისი
ზოგადი აკუბულება. თვითთუელი სიტყვა, თვითთუელი ასო და მარცვა-
ლი თითქმის არაფერია. იგი მხოლოდ მასალაა ენისა. საქმე სიტყვები
ვი არ არის, საქმე სინტაქსისია, ლექსითა-თხზულებას, ანუ ის კანონები,
რომელსაც ემორჩილება სიტყვებს ენისა, მისი არსებობა. შედარებით
რომ კითხვით, სიტყვები ენის ანატომიის მასალაა; სოლო ლექსითა-
თხზულება იგიზილოგოია ენისა. როგორც იგიზილოგოიამ იცის,
რა კანონების დაქვემდებარებით ზბოგინობს სიტყვებს ამა თუ იმ არსე-
ბისა ქვეყნად, ისე ლექსითა-თხზულებამ იცის, რა კანონებს ემორჩილება
ესა თუ ის ენა და მისი არსებობა. სიტყვები ლექსიკონია მხოლოდ.
შეიძლება მთელი ლექსიკონი ამა თუ იმ ენისა იცოდეს კაცმა
ზეპირად, მაგრამ ენა ვი მანც არ ეცოდინება. ამისთანა კაცი ვერც
ლანბარკს მოასერებს და ვერც წერას. უფრო მეტს ვიტყვით, შეი-
ძლება კაცმა ეტიმოლოგოიან კარგად იცოდეს, სინტაქსისიც თითქმის
სულ გაუზიარებული ჰქონდეს, მაგრამ ენა ვი არ იცოდეს. ენის ცოდ-
ნისათვის კაცი უნდა მიხედრილი იყოს ენის სულსა და ბუნებას...

ამ აზრის ნათლად წარმოსადგენდა და დასასხებუთებლად ცოტა ქვემოდ მაგალითებსაც მოვიღებთ, სოლო მანამდე სუბან მაკრემ ჩემს თავს ერთს შედარებას ვიდრე მივმართო. მართო ოდენ სიტყვათა იგივეა ენასათვის თითქმის, რაც ქვა და ქვიშა, აგური და სურდა შენობასათვის. მასალის სიკეთესაც, რასაკვირველია, მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქვა ქვაა, აგური აგურაა და ვაინ კერ წაუგა, სოლო ისიცა და ისიცა არაფრის მასწისა, სრულიად გამოუსადეგარია, ვიდრე ახარვია ერთს ადგილას და სული ოსტატისა არ შეჭსებია თვით შენობის ასაკებლად თვისის შიმშა-შეუღლითა, ღარიითა და გონიოთი. რაც უნდა ჯარითი ქვა იყოს, ვირი იმასაც ისე გამოაყენებს, როგორც უუღამაზეს ქვას. ერთისა და იმავე მასალით ერთი ოსტატი ააკებს შეენაურს, ღაზთიანს შენობას, სოლო მეორე—უმცავეს ყორეს, ყოველს შნოს მოკლებულსა. ენის მცოდნეც იგივე ოსტატია. სელოკანია, სედ მიწვეწალია მცოდნე ენის სუფისა და გულისა, ენის შეენებისა და სიკეთისა, როგორც სელოკანი სურათ-მოდღარია, აკებს უტურთესს შენობას, სწორს: საუკეთესო ქმნილებას, ზარზად თუ ლექსად, სოლო უნიჭო, რომელმაც არ იცის, როგორ გამოიყენოს მდიდარი მასალა ენისა, სითათნის ერთს რაღაც უბადრუკს სვინს, რომელსაც არც სურათი უგარვა, არც სილამაზე აქვს.

მაგრამ ჩვენ აქ ნიჭს შევესეთ, ოსტატობას, სელოკანებას. ეგ ვიდრე სსვა სსქმა, ეგ ვიდრე სსვა მადლია და მაგას ცალკე გამოკრეკვა ეჭირება. ესე იგი, გამოსარეკევი აქ ის არის, რომ შეუძლებელია თითქმის ნიჭიერმა კაცმა, იმ კაცმა, რომელსაც უნარი აქვს შემოქმედობისა, ენის შეთვისების უნარაც არ გამოაჩინოს და, რაც უნდა უსერიო მცოდნე იყოს ენისა, არ ეცადოს, იმდენად შეიმუშავოს ენა, რომ სედ-მიწვეწით, შნოიანად ჭსატაკელს თვისს აზრსა და გრძნობას.

აიღეთ უგათანა ნიჭის ზატრონები, ისეთი ოსტატნი, რომელთაც, ვითქვამთ, ერთნარი, თანაბარი ნიჭი აქვთ, სოლო ცოდნა შენობის აკებისა, სურათ-მოდღარებისა ერთს მეტი აქვს, მეორეს—ნაკლები. მივით ამ ორს ერთი და იგივე მასალა და ჭნასეთ, როგორ შენობას დასდგავს ერთი და როგორს ააკებს მეორე. ერთას

შენობა იქნება შნოანის, ღაზათიანის, სოლო მეორისა—უშნო, უღა-
ზათო.

ასევე ენის ცოდნაშააც. ენის საქმეში საზოგადოდ გრამატიკა,
ანუ უფრო ლექსთა-თხზულების სელოვნება იგივე სურათ-მოდვერე-
ბას; იგივეა, რაც არსიტექტურა შენობათა აგების საქმეში.

დაიდ, ვიმეორებთ, რომ გრამატიკის ცოდნა და ენის ცოდნა
ერთი და იგივე არ არის. შეიძლება გრამატიკაც გაიზიაროს კაცმა,
მაგრამ ენა კი არ იცოდეს; დავითნოს სხაზა-სხუპით წაივითხავს
სოგოერთი დიაკვანი, მაგრამ შინაარსი კი არ ესმას. უგრამატიკა-
დაც შეიძლება კაცმა იცოდეს ენა ვარჯიშისა და პრაქტიკის შემწეო-
ბით, შეიძლება ყუართა-სმენა ისე ჭქონდეს მინიველი ენის კანონებებისა
და სიტყვათა წყობილებისათვის, კონსტრუქციისათვის, მუსიკი-
სათვის, რომ არ გამოეპაროს რაიმე უჯერობა, უკანონობა, დარღვე-
ვა კეთილ-სძოკანებისა. მანც კი ასეთი ცოდნა მთლად გრამატი-
კის უცოდნელად მოკლებულაა ცნობიერებას და სიმტკიცეს, სათეო-
რიო საფუძველს.

IV

ამ სახით, საქმე სიტყვები კი არ არის, საქმე მიმო-
ხვრას, აგებულება, ბუნება ენისა, საქმე სოლია მისი, ის მე-
ლოკა, რომელსაც ჭქმნის მსოლოდ ასეთი თუ ისეთი შეწეობა სიტ-
ყვათა, ასეთი თუ ისეთი დალაგება სიტყვათა და წინადადებათა, ისე-
თი შეწეობა და დალაგება, რომელიც შეეფერება და შეეწონება ბუნე-
ბას ამა თუ იმ ენისას.

ვინც ამბობს: ყოველივე შეკერილ-დაფარულიაო—კითომ шито-
крыто-ყო, ქუდებაში ვისხედითო—сидѣли въ шапкахъ, ითავაზებს
შუბლში ტეკას—гостить себя пулюю въ лобъ-ო, იმან ქართუ-
ლი ნაკლებად იცის; ან იქნება ქართული კარვად იცის, მაგრამ
უყურადღებობით ემორჩილება რუსულის გაკუნას და იმას აღარა
ჭივიჭრობს, რომ ამით ამასინჯებს ენას, ჭრეკნის, ჭბაღწავს.
უბირსა, არა-მწერალს მეტყეება ესა, სოლო მწერალს კი არასო-
დეს. ის ქართველი მწერალი არ არის, რომელიც რუსულად მოფიჭ-

რებულ ფრანსის გამოსასხატავად იმავე რუსულის ფრანსის აგებულებას
 კმკემდებრება.

ამისთანა მაგალითები მრავალია ჩვენს მწერლობაში. აი-
 დეთ წოგეერთი ქართული წიგნი და თუნდა ვურსალ-გასეთიცა
 და ცოტა არ შეგვსჯდებათ ზემოსწებულისთანა დამასინჯებელი, გა-
 წბილებული ქართული. თითო-ოროლა მწერალს გარდა, ყველანი კოლ-
 ლობთ ამ მსრივ ჩვენში, ყველანი გბორძივობთ; გბორძივობთ უფრო
 ისინი, ვინც გულ-მადგისკედ ჯრ კაკვირდებით, რა ღრმა განსწავება-
 ქართულსა და ამას თუ იმ უცხო ენასა შუა; ვისაც არ შეგვიგნია, რომ
 სულ სსკაა ბუნება ქართულისა და სულ სსკაა—ბუნება და სსსათა
 ამას თუ იმ უცხო ენისა. ვინც არ აჩვენებს, რომ ესა და ეს მიმო-
 ვრს უცხო ენის მიმოხვრსა და არ გამოისატება ქართულად იმ მიმო-
 ხვრისაკე მიხასივრთა და მისედულებით, იმას ნაგლებად გაუთვალისწი-
 ნების თვისება დედა-ენისა და მისი განსწავებელი სსსათა. მაგალი-
 თად, სშირად ვამზობთ და ვწერთ: გულზედ ხელი დაიდუ და ისე
 სთქვიო. ჩვენის ფიქრით, ეს სიქართულია და არა ქართული.
 თუმიცა სიტყვებიც აქ ქართულია, გრამატიკაც სწორკა და არც ერთი
 ფორმას მისი დარღვეული არ არის, სმასიეროდ, შეზღბულია სული და
 ბუნება ენისა. ამ ფრანსით სათარგმნისა ჰირდაზირ, სიტყვა-სატ-
 ყვით რუსული იდიოტიზმი: *положа руку на сердце*. ასე ჰირ-
 დაზირ თარგმნს რუსულის ფრანსისა არ შეიძლება, თუ არ გვინდა
 დავამასანჯროთ ქართული, თუ არ გვინდა გავრყვინათ დედა-ენა და
 ჩირქი მოვცხოთ ტამარსა წმინდას.

აი ის სსჭირ-ბოროტო სსგანი, აი ის დიდი ტვივილი ჩვენის დე-
 და-ენისა, ჩვენის ქართულისა, რომლის შესასებაც ზემოდ მოგასსენეთ.
 ამ ხვრს ადგილსა, ძაღლის თაკი ჭმარსიაო, ამასკედ იტყვიან სწო-
 რედ! და სწორედ ამას გუსკვეთ გვერდს და ისეთს წვრილმასებს
 გამოკვიდებივართ, ესა და ეს ასო წინ უნდა უჯდეს ამ ზმნისა, თუ
 შესაო და ამის გამო ერთმანერთს უზატიურად კევიდებით, შეურაცს-
 ყოფას ვაქუნებთ. აქაო და ესა და ეს სიტყვა კანონიერად არ
 დაგიწერია, ამიტომ ქართული არ გცოდნია, ბრიყვი სარ, უზრ-
 დელიო. იმის მაგიერ, რომ მართლს უკანონობა გვიჩვენონ ქართუ-
 ლის სუსტად მცოდნეთა, გაგვისწორონ, თუ ქართულს მიმოხვრსა

გერ კასერსებთ, თუ გვემელება, რა ბრუნვით უნდა იყოს დაწერილი სიტყვა ამ და ამ ზმნისა და თანდებულის გავლენის გამო, რა დასრის ზმნა როდის იხმარება, რა კონსტრუქციით უნდა იქმნას ატებული წინადადება, ჩვენი მექართულენი ერთმანერთს ჭლანძლავენ და იმ ანდასისამებრ იტყვიან, რომელიც ამბობს: ჩიტი ბღვსანად არა ჭლირდა, დეკნა მეტი იყოო.

ჩვენს მწერლობაში კი ათასია იმისი მაგალითი, თუ როგორ ვაფუჩებთ და ვრყენით დედა-ენას ჩვენისავე დაუდევრობისა და უძებრებით, როგორ ვლუზავთ ამის გამო მოსწავლე, მოზარდს თაობას, რომელიც ჩვენს ნაწერებს ეწაფება იმ აზრით, რომ ქართული ვისწავლოო და ითვისებს კი ამ დროს, დედა-ენის სიტყბოს მაგერ, შესმს, ითვისებს ისეთს უბადრუკს ენას, რომლის ნიმუში მრავლად შეიძლება აინუისოს. ავსუსსავთ კიდევ რდესივე, თუ მოცალდება გვეჩება. ავსუსსავთ ისე, რომ არავის არა ვაწყენინოთ-რა. ამ აზრით, მწერლის სახელს არ დაკასსავლებთ, არც იმ ნაწერის სათაურს და ადგილს, საცა დაბეჭდილია იგი ნაწერი. არ დაკასსავლებთ იმ წიგნებსაც, საიდანაც ამოკერებთ იმ მარგალიტებს. ყოველსავე ამ ცნობას წარუდგენთ მხოლოდ რედაქციას. დაე, მართლ მან და თვით დამწერმა იცოდეს, კისიც აჩის ის მარგალიტები, ის «საჩხვი დაუღვენელი».

ამ სახად კი მოვიღებთ აქ მხოლოდ რამდენსავე სასელდასელო ნიმუშს უკანონო ქართულისას.

1. „შვეიცარიის ოჯახში გაკეთებული საათებით და ყველით მოჭარბებულია მთელი ევროპა“ — კითომ *переполнена вся Европа*. მოჭარბებულია რა და არა რით? ეს წინადადება ასე უნდა ითქვას: შვეიცარიის ოჯახში გაკეთებული საათები ჭ ყველი მთელს ევროპას მოჭარბებული აქვს; ან ასე: შვეიცარიის ოჯახში იმდენს აკეთებენ საათებსა და ყველს, რომ მთელს ევროპას თავსა სდის.

2. „არც ქურდებისაგან არის უჩინო ჩვენი ქალაქი“. რას ჭნიშნავს ეს უჩინო, გერ მივსვდით.

3. „ეს წესია დადგენილი იმ ძირეულ დედა-აზრიდგან“.

რა ქართულია, ერთი მიბრძანეთ! რისგან არის შედგენილი კი ვაკვიგონია და ეს რისგან არის დადგენილი ეს წესი — ამისათვის მიმოსვრას ქართულში არ ვკეკულებს.

4. „...ჩეხარიომ უთხრა პატრონს, ის მიდის იქ, სადაც მიიწვევს მას გარემოება“... ეს ფრანსუა რუსულისა და აქ ქართულის ნიშან-წყალიც არ ურეკია, თუმცა სიტყვები ფრანსუას სულ ქართულია. რუსულად ზღბდა ასე იყო: ...Чезаріо заявилъ хозяйну, что онъ идетъ туда, куда призываютъ его обстоятельства. ეს წინადადება ქართულად ასე უნდა გამოთქმულიყო: ...ჩეხარიომ უთხრა პატრონს, რომ მივდივარ იქ, სადაც მიმიწოდებს გარემოება. ჩვენის ფიქრით, ესე თქმა უფრო ქართული იქმნებოდა და უფრო ადვილად გასაგებიცა!

5. ...„მაგრამ დასარწმუნებლად ამ შემთხვევისა“... რა უბედურებაა ეს «დასარწმუნებლად ამ შემთხვევისა»? ალბად, ავტორს უნდოდა ეთქვა: რათა დავრწმუნებულყოფი, მართალი იყო თუ არა ეს შეითხვევა და სსუ. ამის დასწერს გაუგონია, მოკლედ მოკლეს სიტყვისა კარგაო და იმასაც მოკლედ მოკლეს; ამის გამო ქართულის მაგიერ ჩიქორთული ფრანსუა მოსკლია. დაჭვიწვიები დალოცვილს, რომ სან გრძლად სჯობანს სიტყვის თქმა; სან სჯობანის, შორს მოუაროს კაცმა და შინ მშვიდობით მივიდეს.

6. „ზნით ვიცანია“, კითომ по голосу узналъ, ქართულად, გგონებ, ასე უნდა: სმასკედ გიცან, ტანისამოსკედ გიცან.

7. ...„სწორედ ეს გარემოება გაუშვა მხედველობიდან“... წმინდა რუსულია: именно это обстоятельство упустилъ онъ изъ виду.

8. „მეწამულ ზღვაზედ გასვლა“. ჩვენის ფიქრით, ზღვაზედ გასვლა არ ითქმის; რადღა ზმნა გასვლაა ნასმარი, ეს ზმნა ამ ბრუნვას არ იშენებს: გაკლედ წყალში, მდინარეში და არა წყალზედ, მდინარეზედ; გასვლა ზღვაში და არა ზღვაზედ.

9. ...„ამ საქმემ აზიანა ყმაწვილებს“... სალასი რუსიციზმია—повредило дѣтямъ. აზიანა რა, ვინ და არა რას, ვის? ამ საქმემ აზიანა ყმაწვილები; აზიანა, აზარალა, დააზარალა რა, ვის? ზმნა «აზიანა» რომ უოფილიყო, მაშინ სსკა იქმნებოდა: აზიანა ვის, რას?—ყმაწვილებს.

10. ...„ყოველ გვარ შეურაცხყოფას ურიოდება“... „...დიად, არქელესი ყოველთვის მას ეკუთვნის, როგორც თვით ეს ძას“. აი უღრესი ჩიქორთული! ჩვენის ენის ერთი დამასისიათებელი თვისება ის არის, რომ ნაცვალ-სასვლები არ უყვარს. სშირად სმარება ნაცვალ-სასვლებისა ჭირივითა სძულს. „ქალმა დაიგდო კანკალით ზემოსასხამი“... „ამის შემდეგ ცილევ შინ?“ ...„იმ წამებში, რომელიც მე ისე

დაბლად, ქურდულად მომეპარა“... ღმერთო ჩემო, ეს რა ქართულია, ეს რა ენათა არეკაა და რა ჩვენის ცოდვის კიოსკაა?

სწორედ იმ წიგნიდში, სადა ეს ჩიქორთული ამოკვიტოსეთ, გზოკეთ შემდეგი, სელის-სელ საგოგინებელი მარგალიტებიცა: „რქიანო ქმარო“, „როლებს ჩავატარებთ“, „ამაყად გასწორდა ფეხხედ“, „დაჰყვირა“ და „გემებიც დამწვარია“—იმ აზრით ვითომ, სსკა გზა აღარა მაქქს-რა-ა—всѣх корабли сжегъ за сорою და სსკ.

ერთი ნიშუში კიდევ და გავათავოთ.

...და მიმართა თხზულებათა ავტორს თხოვნით, რომ მას (?) თავისი თხზულება დაეთმო საზოგადოებისათვის... ამ პირმაც თანხმობა განაცხადა ამაზედ(?). მაგრამ დაუმატა, რომ იგი (გაკონილას ამდენი ნაცვალ-სასული და ისიც ქართულში!) თავის თხზულებას გაათართოვებს“... ამასთანვე გვთხოვა ჩვენ მან, რომ ჩვენ თუ რამე მასალა გვეგულუბოდა(?) ამ კითხვის შესახებ, მიგვეწვდინა მისთვის თავის გამოკვლევაში შესატანად“.

აბა, დააკვირდით ამ ქართულს, თუ ერთს ცოცხალს, ერთს ნამდვილს, კანონიერს მიმოხედას იშკოვით. სულ რუსიტიჩებები, სულ ჩიქორთული, სულ ღვთის წყრომა და ღვთის რისხვა!

...რა ენა წარბდეს,

ერთი დაეცეს:

ჩირქი მოცხოს ტაძარსა წმინდას!

V

ენა რა არისო?—იცინს ზოგეორთებმა ჩვენში.—საქმე ენა კი არ არის, აზრიაო. შენ აზრი გვითხარ, შინააზრი, თორემ ენა, ეგ სომ გარეგანი რამ არის, ეგ სომ სიმოსულია და არა შინააზრი, ეგ სომ ფორმაა, კანია, ქერქია, სორცია და არა სულიო. ენა მოლოდ საღსარია, იარღია ცოდნის შესაძენად, ჭკუის საწურთვებლადო. ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი შემდგარი აზრია. ამ მკენებელ მოძღვრების მქადაგებულთ ჯიწყდებათ, რომ ენა, იმას გარდა რომ იარღია ცოდნის შესაძენად, ამასთანავე თვით ცოდნაა. ცოდნა ენისა ნაყოფია ხანგრძლივის შრომისა და გამრეკულობისა, ნაყოფი ისევე ტუბილი, როგორც ყოველივე ნაამბგარი, ნაჭირისასულიევი, როგორც გრძნობა მამა-პაპათა პატრიარქებისა, სიყვარული მამულისა; ტუბილია ისევე, როგორც თვით სულია ტუბილი. არ უნდა გვაიწყდებოდეს,

რომ ენა ტაძარია და ტაძარი წმინდა, რომელშიაც სული ტრიალებს; იმდენად უფრო დიდებული ტაძარია, რამდენადაც მისი შემოქმედი კრი უფრო დიდებულია, ვიდრე შემოქმედი ჩვეულებრივის ტაძრისა; ტაძარია განცხორებული, მადლ-მოხილი, უკვდავება-მინიჭებული.

თუ რომლისამე გენიოსის სურათ-მძღვრისა და მქანდაკებულის ქმნილებაში, რომელისამე დიდებულის ჰოეტის ნაწარმოებში გარეგანობა და შინაგანობა, სული და სორტი, სიტყვა და აზრი ერთად აზის შექსრული, ერთად აზის ჩაგრესილი და ჩაწნული, განუყოფელია ერთმანერთისაგან, ისე როგორც შაქარი და სიტკობა, ყინული და სიცოცხე, მით უმეტეს ასევე და უფრო უმეტესად განუყოფელია იქნება ყოველივე ესე იმისთანა უფდიდებულებს ქმნილებაში, როგორც აზის ენა ერისა. ენაც, ვამერებთ, ნაყოფია ერის შემოქმედობისა, მისის გენიოსობისა და, როგორც ყოველს დიდებულს ქმნილებასა და ნამოქმედანს, ამასაც სული აქის ჩადგომული, სული ცხორული, ტკბილი.

აი ამიტომ უნდა გაფრთხილება ენას. ამიტომ ეუფრობიან ნასად და სათუთად ამ განძს სასელგანნი მწერალნი და მგონანნი. ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად ჩვენმა ჰოეტმა სემორე მახსენებული წყობილი სიტყვა და გეითსრა მით, გაუფრთხილდით ენასა, თუ ენა წარსდა, კრიც გაჭჭრება.

აზა ყოფილა თითქმის არც ერთი ნიჭიერი და მადლიანი მწერალი, რომელსაც დიდა ყურადღება აზა ჭქანიყო მიქცეული ენის სიწმიდისათვის, ენის ღაზათასა და შნობისათვის. გოგოლმა იცოდა, ათჟერ გადასწერდა თავისს თსწულებას და ყოველ გადაწერის დროს აკეთებდა და აღამაზებდა ენას; ივლობერი, — ეს შესანიშნავი ავტორი «მადამ ბოკარისა», — კი აზა სწერდა, აზამედ მღვდელ-მოქმედებდა თურმე. რუსოს ნაწერები. სომ ისე ნასწორები, ნაკეთები, წაშლილ-წამომლილები იყო, რომ კაცი ძნელად გაანჩვედა და მლიკს წაიკითხავდა მის სელ-ნაწერს, მის ავტორაფს. ვისაც ესმის რამე და ან დედა-ენას აფასებს, ან თავისს სამწერლობო სასელს უფრთხილდება, ასე იქცევა ისიც; სოლო ვისაც ყოველივე სუბუქად უჭირავს, იმას დედა-ენის დაწდით აზა აქეს: ოღონდ მწერალი მეტყვას, სასელი გამივარდეს მწერლისა და, ბოდბელისა არ იყოს, თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ იქნება.

სასოფლო სამეურნეო ამხანაგობანი

საზრანგეთში

(წერილი ცაქნისა*)

I

დღევანდელ საპოლოტიკო დასთა ბრძოლას ევროპაში თან და თან ის სარჩული ედება, რომ იგი დასნი იბრძვიან უფრო მშრომელ, გამრჯელ, ხელ-მოკლე ხალხის საეკონომიო და საზნეობო ვითარების განკარგებისათვის თითქმის ყველგან, ხოლო საფრანგეთში უფრო განსაკუთრებით. ყველა საპოლიტიკო დასთა მხნე წარმომადგენლნი, ასე გასინჯეთ, ყოველგვარნი მონარქიელნი და კლერიკალნიც კი, სოციალისტებს ეჯობებინან, აბა ვინ უფრო მეტად იზრუნებს მშრომელთა ბედის გაუმჯობესობისათვისაო. ეს დასნი თავიანთ პროგრამებსა, მანიფესტებსა და საარჩევანო სიტყვებს იმით ავსებენ, რომ სხვა და სხვა საეკონომიო რეფორმების შემოღებას ჰპირდებიან მუშა დემოკრატიას. სოციალიზმი თან და თან ძლიერდება და თვალწინ უყენებს ყველას მრისხანე ლანდს საეკონომიო კრიზისისა და აი ეს გარემოებაა, სხვათა-შორის, იმისი მიზეზი, რომ როგორც მონარქიელთა, ისე სარესპუბლიკო დასთა მეთაურნი გონზედ მოდიან და რწმუნდებიან, ცარიელის, ლიტონის საპოლოტიკო ფორმულებით ველარას გავაწყოფო, ათასიც რომ ვიძახოთ, თავისუფლება და თანასწორობა, თუ კი ამ თავისუფლება-თანასწორობით მოსილს ზურგი არ გავუმაგრეთ და ქონებრივი

*) იხ. „Рус. Богатство“, 1894 წ. № 12.

კეთილ-დღეობა არ შეეძინეთო. თვით ერის უმრავლესობასაც ნდობა დაეკარგა ცარიელ სიტყვებისა და დაპირებისა და ამიტომ, თუ გვინდა, ერი და მისი უმრავლესობა მოგვეყვეს ჩვენ უკან, თუ გვინდა ავაცილოთ იგი უმრავლესობა სოციალ რევოლუციის პროპაგანდასაო, უთუოდ საეკონომიო რეფორმებს უნდა მოვაქციოთ ყურადღება, უთუოდ უნდა დავუთმოთ რამე ერს, რომლის ბედი და გამგეობა ჩვენ გვიტვირთნიაო. სხვა-და-სხვა დასნი სხვა-და-სხვა გვარად ჰფიქრობენ ამ სატკივარს წამალი დასდონ, ხოლო ყველანი ერთნაირად აღვიარებენ, რომ წავიდა უკვე დრო საეკონომიო თავისუფლებისა და სახელმწიფოს ჩაუტრეველობისა ერის ქონებრივ ცხოვრებაშიო, რომ უმრავლესობა აღარ სჯერდება თავისუფლებას, რომელიც ხელ-საყრელია მხოლოდ ძლიერის უმცირესობისათვის და იმასა რჩეობს, ისევ ცერცვის შექამანდი მიჩვენია მუცელ-ცარიელ უფროსობასაო.

თუმცა წლითი-წლობით ძლიერდება თანაგრძნობა საფრანგეთის მუშა ხალხისა დღევანდელ რესპუბლიკის მიმართ, მაინც ცოტა არ იყოს სამღურავსაც ამბობს, იმიტომ რომ სულ სხვა რამეს ელოდა ერი რესპუბლიკის მთავრობისაგან. მუშა დემოკრატიის აზრით, პირველი და სამღვთო მოვალეობა მთავრობისა ის უნდა იყოს, რომ მან იზრუნოს ერის კეთილ-დღეობისათვის. მან უნდა უზრუნოს მუშა-კაცს სამუშაო და ისე მოაწყოს მუშაობა, რომ მისი ვითარება შეეფერებოდეს ადამიანის ღირსებას, არ იყოს მეტად სამძიმო და აუტანელი. კერძო კაცთა თაოსნობის გარდა, თვითონაც უნდა თაობდეს და იწყებდეს სხვა-და-სხვა დიდს სამრეწველო საქმეებს, რომელსაც უნდა უნდებოდნენ თავისუფლად, უსაქმოდ დარჩენილნი მუშანი და ამ საქმეებში ისე უნდა იყოს მოწყობილი მუშაობა, რომ ნიმუშად და სამაგალითოდ ჰქონდეთ კერძო კაცთა და კერძო თაოსან მრეწველთა. რესპუბლიკის მთავრობამ უნდა შეამოკლოს დღე მუშაობისა, დააწესოს, გადაჰკვეთოს უმცირესი ფასი ღლიურის მუშისა, ისეთი ფასი, რის ნაკლებაც ვერავინ ჰბედავდეს შეაძლიოს მუშას; მანვე უნდა იზრუნოს, რომ კუჭ-

ნაძლარი; მართებული ცხოვრება ჰქონდეთ მუშა მოხუცთა, დაშავებულ-გახეიბებულთა, მათ ქვრივ-ობოლთა, რომ უფრო მეტად დააწაფოს ახალ-მოზარდნი თაობანი განათლების, კულტურის სიტკბოებას, რომ აძლიოს ამ მოზარდ თაობასა უკეთესი გონებრივი და სახელოსნო განათლება.

ყოველივე ესე ანაბანაა საფრანგეთის უბინაო, ბოგანო ხალხისათვის, რომელიც თავის მარჯვენითა და დღიურის შრომითა სცხოვრობს. და რამდენსაც აგვიანებს ამ საანბანო საქმის გაკეთებას მთავრობა რესპუბლიკისა, იმდენად უფრო ძლიერდება უკმარობა, სამღურავი საფრანგეთის მუშა-ხალხისა. სოციალისტების მეთაურნი, რაკი ჰხედავენ საეკონომიო უწყეს-ურიგობას, უსწორ-მასწორობასა და კრიზისებს, რის გამოც მრავალი ბოგანო მუშა რჩება უსაქმოდ და უღუკმა-პუროდ, იხვევენ ხელზედ ყოველს შესაბამს გარემოებას და აქეზებენ მუშებს საბურჟუაზო, პარლამენტარიზმის წინააღმდეგ. მეგრ თვით საპოლიტიკო დასნიც დაქსაქსულნი არიან, დაძაბუნებულნი, ერთმანერთის ქიშპობაში ამოსდით სული, ერთმანერთსა სჭამენ და საკუთარის ჭკუა-მოკლე თავ-მოყვარულობის მეტს არასაჭთეპრობენ და ესეც ხელს უმართავს სოციალისტების მეთაურებს. ამას ზედ ერთვის უნიჭობა და შეცდომა ზოგიერთ შესამჩნევ საპოლიტიკო მოღვაწეთა, ათასი ჭუჭყიანი და საზიზღარი საქმე საფინანსო სკანდალებითურთ. ყოველ ამის გამო იგი მეთაურნი სოციალისტებისა, თუმცა ჯერ ვერ არიან კარგად დაწყობილ-დარაზმულნი, მაინც ახერხებენ ქალაქის მუშა ხალხის მომხრობას და მისის გულის მონადირებას. მათის მეოხებით უკვე დამყარდა დასი, რომელსაც იმედი აქვს ადრე თუ გვიან ხელში ჩაიგდოს უფლება და ხელმწიფება ქვეყნის მართვა-გამგეობისა. 1892 წელს საქალაქო თვით-მმართველობის არჩევანებზედ სოციალისტ კანდიდატების სასარგებლოდ 160,000 კენჭი იყო მიცემული 91 უბანში. პალატის საზოგადო არჩევანებზედ 1893 წელს მარტო პარიჟში მიიღეს იმავე 100,000 კენჭი, ამდენივე მიიღეს პროვინციაში. საფრანგეთის დეპუტატთა პალა-

ტაში უკვე რამდენიმე წევრია, რომელთაც თავიანთ დროშაზედ სრულიად სოციალისტური პროგრამა აქვთ წარწერილი.

რასაკვირველია, ესენი მხოლოდ პირველი პიონერები არიან, რომელნიც აგონებენ ბურჟუაზიას, რომ დროა იზრუნოთ თქვენის ღარიბის მოძმესათვისაცა, რომელიც შეგეწიათ და სიმდიდრე და ძალა ჩაგივდოთ ხელშიო. თუმცა ასეა, მათ მაინც მოახერხეს და გააბეს თავიანთ ბაღეში ის მუშანი, რომელნიც დიდს სამრეწველო ადგილებში არიან მრავლად, მიაღებინეს თავიანთი პროგრამა მუშათა სინდიკატებისა ქალაქებში და ახლა ცდილობენ, რომ მიიმხრონ სოფლის მკვიდრნიცა, ის მკვიდრნი, რომელთა შორის, 3,500,000 მცირე მამულის პატრონია და ამდენივე უმიწა-წყლო მუშაა და რომელთაც ჯერჯერობით იმდენი განვითარება და შეგნება არა აქვთ ჯერ, რამდენიცა აქვთ ქალაქის მუშა ხალხს საზოგადოდ. სოფლის ბინადარი ხალხი საფრანგეთში, თუ მეტი არა, ნახევარზედ ნაკლები არ არის დანარჩენ ერზედა. გონივრული შემუშავება და დიდხანაყოფიერება მამულისა კარგს შემოსავალს იძლევა იქ. სოფლად იშვიათია, რომ მუშა უსაქმოდ დარჩეს, რაიცა მოჰყვება ზოლმე ვაჭართა და მექარხნეთა გაკოტრებას ქალაქ-ადგილებში. მაგრამ მაინც აქაც იშვიათი არ არის ისეთი უბედურება, როგორც, მაგალითად, მოუსავლობა, ფილოქსერა, საქონლის ქირი, შემოტანა უცხოეთიდან იაფ-ფასიან სამრეწველო მცენარეულობისა, შემოსევა სოფლად უქმად დარჩენილ ქალაქის მუშათა, რომელნიც ძალა - უნებურად ამცირებენ სამუშაო ხელ-ფასსა და ხელადან ჰგლეჯენ სამუშაოს სოფლის უმიწა-წყლო კაცსა. ყოველივე ესე ხანდაზმით აღელვებს მიწად-მოქმედ საფრანგეთის მშვიდობიანს ცხოვრებას, ჰბადავს სოფლის პროლეტარიებ შორის გაფიცვას, მუშაობის აკვეთას, შიმშილს, უწყესობას, რაიცა საუკეთესო ასპარეზია სარევოლიუციო პროპაგანდისათვის. ასეთი იყო, მაგალითად, გაფიცვა შეშის მჭრელთა ნიევრსა, შერსა, ალლიესა და ლოარში, რაიცა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ უეცრად დაიწია სამუშაო ფასის რაოდენობამ და, რაკი მრავლად მიაწყდა სოფელს გაჭირვებული

მუშა-ხალხი ქალაქებიდან, სოფლებს ერთს მანათზედ მეტს აღარაინ აძლევდა ღღემი მუშაობისათვის. პარიჟის სოციალისტებმა იფიქრეს, აი ახლაა, ჩვენი დრო, რომ ვიმოქმედოთ იქაო და გაპგზავნეს იმ ადგილებში თავიანთი ორატორები და მქადაგებელნი, დამარაგებულნი ბროშურებით, პროგრამებითა და მანიფესტებით. ამით პირველად სცადეს ისე დაეწყოთ საქმე მუშებისა სოფლებში, როგორც ქალაქ ადგილას არის დაწყობილი საქმე მუშათა სინდიკატებისა. თუ ამ ცდას საიმისო დიდი ნაყოფი არა მოჰყვარა, მაინც გამოათხიზლა მუშა ხალხი სოფლისა და აფიქრებინა, იზრუნოს თავის დაცვისა და საურთიერთო დახმარებისათვის. ამ საქმეში, რაკი მეტი ღონე არ იყო, ჩაერივნენ წარმომადგენელნი სოფლის მთავრობისანიცა და დაედო საფუძველი რამდენსამე სოფლის მუშათა ამხანაგობას: შეშის მქრელთა, მომკალთა, მთიბავთა და სხვათა, რომელთაც უმთავრეს საგნად დაჰსახეს, შევეწეოდეთ ჩვენთა წევრთა გაჭირვებასა და ავადმყოფობაში, ვმოგობდეთ მათთვის სამუშაოს, ვსცდილობდეთ, რომ ფასმა არ დაიკლოს დღიურის მუშაობისამაო, ხოლო ვუშლიდეთ ხელს, რომ ერთგან არ მოგროვდეს მრავლად მუშა ხალხიო, გავანაწილებდეთ მათს რიცხვს იქ, საცა უფრო უჭირთ იმათი თავიო, ვზრუნავდეთ ქვრივთა, ობოლთათვის და სხვა ამ გვარი.

ამ სოფლის მუშათა ორგანიზაციის დაწყებამა და ჩასახვამ იმ სახით, როგორც ნარჩევი იყო ქალაქ ადგილებიდან, ცოტა არ იყო, შეაფიქრიანა მიწად-მფლობელნი და პროვინციის საპოლიტიკო მოღვაწენი: ვაი თუ სოციალური აზრები მოგვესიოს სოფელში ქალაქიდანაო. ამ შიშმა აფიქრებინა შემდეგი: თუ გვინდა ავიცილოთ თავიდან ასეთი საშიშროება, დაიწყოთ ორგანიზაცია სოფლის მკვიდრთა და ეს ორგანიზაცია დავამყაროთ საურთიერთო დახმარების საფუძველზედ, როგორც ქაწებრივად, ისე ზნეობრივად. სინდიკალური წყობილება მუშათა ქალაქ ადგილებში კარგი გამოსაყენებელი ნიმუში იყო ამისათვის. იგი წყობილება მხოლოდ მცირეოდნად იქმნა.

შეცვლილი და შეწონილ-შესაბამებულო სოფლის მხენელ-მთე-სველთა ვითარება-საჭიროებასა.

სასოფლო-სამეურნეო სინდიკალური წყობილება სადემოკრატიო მიმდინარეობაა, მიმართული სოფლის მკვიდრთა უმრავლესობის საკეთილ-დღეოდ და ამიტომ, როგორც ეს მიმდინარეობა, ისე ქალაქის მუშათა საამხანაგო წყობილება, ვითა ყოველგვარი სხვა, იღვით მოსილი მოძრაობა, დაიბადა განსაკუთრებით განათლებულთა და ქონებრივად უზრუნველ-ყოფილთა თაოსნობით, ესე იგი სამრეწველო და სამიწად-მოქმედო ბურჟუაზიის მეთაურობით. ამ ბურჟუაზიას დიდი ინტერესი აქვს, რომ ასეთმა მოძრაობამ ფეხი მოიკიდოს, არა ისე კერძოდ და საკუთრად თვისის პირად სარგებლობისათვის, რამდენად სოციალურად, რათა მისის წყალობით შეიქმნას ისეთი კმაყოფილი, უზრუნველ-ყოფილი გარემო-ვითარება, რომელსაც გული აღარ ექმნება „სხვა-და-სხვა გვარ სოციალურ ილლიუზიებისათვის“ და რომელიც საიმედო ციხე-ბურჯად გადაიქცევა ამა თუ იმ „სარეგულირებო ცდათა“ საწინააღმდეგოდ. ამასთანავე, არც იმის უარ-ყოფა შეიძლება, რომ ამ საქმის მეთაურთ, ბურჟუაზიისა და სოციატარებს საზნებო მისწრაფებაც არა ჰქონდეთ გულში: სასოფლო-სამეურნეო სინდიკალური მისწრაფება რაოდენადმე საკაცთ-მოყვარეო და მდაბიო ერის სიყვარულით გამოწვეული მოძრაობაცაა, რომელიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს საფრანგეთის უფლება-მოსილს საზოგადოებაში და რომელიც ძალას ატანს მრავალს მათ შორის, მიეშველოს მდაბიო ერს მკურნალისა, ადვოკატისა, ფინანსისტისა, აგრონომისა და საკომერციო აგენტისა და სხვათა მოღვაწეთა სახით; თუმცა ამასთანავე ისინი თავს არ ანებებენ ინტელიგენტის საუპირატესო მდგომარეობას და საჭიროდ არ მიაჩნიათ უეჭველად მუშა-კაცის ტანისამოსი ჩაიცვან. ვარწმუნებ მკითხველს, რომ თუმცა ასე დასცინიან საფრანგეთის ინტელიგენტ საზოგადოებას ბურჟუაზიისა და კერძო თავ-მოყვარულობისათვის, მაინც ერის სიყვარული, მისთვის სამსახურის აზრი ამ საზოგადოებაში ბევრად უფრო ძლიერია, მტკიცე და ხელ-საყრელი ვიდრე სხვაგან; ეს კია, რომ გოდება

და ცრემლის ღვრა; გულში-ცემა ხელისა და ბნელი, მოშავბე-
დებული მისტიკობა აქ ნაკლებ იცინა.

მაწ, ასე. თაოსნობა და პირველი მოწყობა სამხანაგოდ
სოფლის მკვიდრთა ბურჟუაზიისა და ინტელიგენციის საქმეა.
მაგალითად, შერისა და ინდრას დეპარტამენტში სამიწად-მომ-
ქმედო ამხანაგობის დაარსება ითავეს რადიკალმა დეპუტატებმა
ბოდენმა და ტიერიემ; დაწყობა და დაფუძნება ერთის პირვე-
ლის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატისა ვიენში ითავა სამიწად-
მომქმედო სკოლის დირექტორმა სავენ-დე-ლარკლოზმა; ერთს
ამისთანა სინდიკატს კიდევ ჰმეთაურობს დეპუტატი პალატისა,
მარკიზ დე კორნულიე. შარტრის სამიწად-მომქმედო ამხანაგო-
ბას განაგებს, ვითა თავს-მჯდომარე, სენატორი ვინე; ერთს
დიდს სასოფლო ამხანაგობას განაგებს კიდევ დეპუტატი დემუ-
ლენ-დე-რიოლი; ყოვლად-მდიდარი საკოოპერაციო საზოგადო-
ება ქვემო-შარანტის დეპარტამენტისა დაფუძნებულთა მარსელის
საფინანსო ტუზის არტურ როსტანის დეაწლითა და მხნეობათა.
ამ პატიოსანმა კაცმა მთელი თვისი სიცოცხლე და საკომერ-
ციო ენერჯია შესწირა სინდიკალურს კავშირს და საკოოპერა-
ციო საზოგადოებას და ამის გამო თავისი საკუთარი საქმეები
სულ მიატოვა. სინდიკატების კავშირთა უმრავლესობას ჰმეთაუ-
რობენ დეპუტატები, სენატორები, ბანკირები და წარმომდგენელ-
ნი დიდის სავაჭრო სახლებისა, როგორც, მაგალითად, დევილი,
მიწად-მომქმედების მინისტრალნამყოფი, კრისტოფლი, გამგებელი
დიდის ბანკისა Credit foncier, პოლ ლერუა ბოლიე, სენარი და
სხვა წევრნი ინსტიტუტისანი, პროფესორნი საპოლიტიკო
ეკონომიისა, აგრონომიისა და სხვ. ერთის სიტყვით, მეთაურობა
და პირველობა სასინდიკატო საქმეებში ეკუთვნის ბურჟუაზიასა
და ინტელიგენციას; ხოლო სიკეთე ამ საქმეებისა ეფინება ყო-
ველ-გვარ სოფლის მემამულეთა და მუშათა, ყველას, ვინც
სასოფლო წარმოებაშია ასე თუ ისე ჩაბმული; უფრო კი წვრილ-
წვრილ მამულის პატრონთა და მწარმოებელთა, რომელთა-
თვისაც დიდი ანგარიშია იაფად და კარგის ღირსების სამეურ-
ნეო იარაღი იყიდონ, სასუქი შეიძინონ, რაც სოფლად მათთვის

საჭიროა, ყოველივე სოფლადვე მოიპოვონ და თვისი ნაწარმოებიც სარგებლიანად გაჰყიდონ სინდიკატის შემწეობით, იმ სინდიკატისა, რომელსაც მიწერ-მოწერა აქვს ბაზარ-ადგილებთან და შეუძლიან დააცდევინოს გამყიდველს იმ დრომდე, ვიდრე კარგი მაზანდა დადგებოდეს, კარგი ფასი გადიკვეთებოდეს. ათი და ასი ათასი წევრი ამ ბაღესავით მოფენილ სინდიკატებისა ისე ვერ შეგროვდება, თუ არ წვრილ-წვრილ მამულის პატრონთაგან, სახლის პატრონთა, სოფლის ხელოსანთა და მუშათაგან; იაფი სასმელ-საჭმელი და ნუზლ-სანოვაგე, იაფი და მცირე კრედიტი, შემწეობა და დახმარება ავადმყოფობაში და აგრედვე პენსია მოხუცებაში, თავშესაფარნი და სკოლები ეჭირებათ მხოლოდ ხელ-მოკლეთა, რომელთაც თვითოეული თავიანთი გროში გამოანგარიშებული აქვთ და ასე იოლად მიაქვთ თავიანთი საქმე, რადგან წინაღვე ვერა გადუღვიათ-რა შავის დღისათვის. ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო სასინდიკატო კავშირთა აზრად აქვთ განკარგება უუღარიბესს სოფლელების ყოფა-მდგომარეობისა და აი ამათ შორის იკრიბება უმეტესი ნაწილი ამ კავშირთა წევრებისა. გარნა დაწესებულება ესე საყოველთაოა, ყოვლად სადემოკრატო, მიმართული კულტურის ასამაღლებლად, შრომისა და ნაწარმოების სყიდვა-გასყიდვის ვითარების განკარგებითა. დიდმა მემამულეებმა შეიგნეს, რომ ჩვენი საკუთარი წარმატება და მოსვენება მტკიცედ დამოკიდებულია უამრავ წვრილ-წვრილ მამულის პატრონთა და სოფლის პროლეტარიის კეთილ-დღეობაზედაო და ამიტომ ურჩიეს, შეეკრათ კავშირი საუროთიერთო დახმარებისაო; წვრილნი მემამულენიცა და მუშა ხალხიც, რომელმაც შეიგნო აგრედვე, რა ძალა და ქარი აქვს შეერთებას, შეკავშირებას, მიემხრნენ კავშირის დადების საქმეს, რაკი ცხადად ჰხედავდნენ, რა სარგებლობაცა ჰქონდათ და რა ადვილად და იაფად იკმაყოფილებდნენ უუსაჭიროესს მოთხოვნილებათა. სასინდიკატო კავშირნი, რასაკვირველია, ვერ გადასწყვეტენ სოციალურს საქმეს, ვერ შესცვლიან საეკონომიო წეს-წყობილების საფუძველთა, გარნა ცხადად უმსუბუქებენ ცხოვრების ტვირთს.

შრომის შედეგად, შედეგებით უფრო მოწყობილ ცხოვრების ღონეს აძლევენ და ხელს უწყობენ უმრავლესობის უფრო სასურველად წინ-სვლას სულიერის წარმატების გზაზე, რაიცა დიდად სასარგებლო საქმეა საზოგადოების ყველა წოდებათათვის, მთლად ქვეყნისა და ერისათვის.

აზრი და არსება ქალაქის მუშათა სინდიკატებისა შემდგომია. სასინდიკატო დამხანაგება ამქრობის კვალობაზედა სწარმოებს. თვითოეული ამქარი ცალკე ამხანაგობად გადის და იღებს წევრად ყოველს მუშა-კაცს, რომელსაც კი 19 წლამდე მიუღწევია. ახალს ამხანაგს შეაქვს ამხანაგობის კასაში შესვლისათანავე რამდენიმე აბაზი და რამდენ-რამდენიმე აბაზი შეაქვს კიდევ შემდეგ თვე და თვე. ამხანაგობა ირჩევს ბიუროს ანუ კომიტეტს, რომელიც შესდგება თავს-მჯდომარისა, მდივნისა, ხაზინდარისა და რამდენისამე წევრისგან, რომელიც განაგებს ამხანაგობის საქმეებს და წარმომადგენელია მისის ინტერესებისა. აზრი და მოღვაწეობა სინდიკატისა ის არის, რომ გააერთიანოს მუშანი და ხელოსანი ამა თუ იმ ამქრისა, ხელობისა და იზრუნოს ყველა მათ საერთო ინტერესებისათვის, თვალყური ადევნოს თავის წევრთა მუშაობას მათს ხელობა-პროფესიაში, ყური უგდოს, რომ ქარხნებმა და სახელოსნოებმა შეასრულონ ის წესნი, რომელიც ნაბრძანებია კანონით, ძლიერ არ დაიწიოს შრომის ფასმა, დაიცვან ინტერესები თავის ამხანაგობის წევრთა კანონისა და სახელოსნო ქარხნების პატრონთა წინაშე, თუ ვინიცაა დიდი რამ უსამოვნო და წინააღმდეგობა ატყდა მათ შორის და სხვ. ამას გარდა, სინდიკატი ტვირთულობს, შეძლებისამებრ, სამუშაოს შოვნას თავის ხელობის წევრთათვის, დიურ სამუშაო ფასის გადაკვეთას, ჰზრუნავს, რომ ზნეობრივ და გონებრივ განვითარდნენ მისნი წევრნი, ხელობაში კარგად მოემზადნენ, აარსებს ბიბლიოთეკებს, სკოლებს, ჰმართავს ლექციებს, ცდილობს შემწეობა აღმოუჩინოს ავადმყოფთა, ქვრივ-ობოლთა, მოხუცებულთა; ჰმართავს სამედიკატორო სამართალს განსაბჭობადა და განსაკითხავად უსამოვნებისა და შეხირებისა, ან წევრთა შორის ან წევრთა და

სახელოსნო-ქარხნის პატრონთა შორის და ცდილობს კავშირი და მიწერ-მოწერა იქონიოს სხვა სინდიკატებთან, თუ საერთო რამ საქმე გაჩნდა იმ სინდიკატებსა და საკუთარს სინდიკატს შორის. მარტო პარიჟში 500 ამისთანა სინდიკატია და მრავალია კიდევ სხვა ქალაქებში. ზოგიერთი ამისთანა სინდიკატი, მაგალ. სინდიკატი მესტამბეთა, მექუდეთა, კალატოზთა უზარმაზარ ამხანაგობად გადაიქცა, დიდ-ძალი ფული და შეძლება აქვს და დიდადაც ჰშველის თავის წევრთა. კანონმა აკუთვნა ამ სინდიკატებს იურიდიული უფლება ადამიანისა და მით მისცა ძალა და ღონე, რომ მოლაპარაკება დაუწყოს მთავრობის კაცთა და დაწესებულებათა, რათა კანონიერის გზით იქმნას დაკმაყოფილებული საჭიროებანი და საჩივარნი მუშათა.

სოფლად სინდიკალური წყობილება და ამხანაგობათა შედგენა, სულ ათი წელიწადია, რაც დაიწყო. 1884 წლამდე, როცა გამოიცა კანონი იურიდიულის უფლების მინიჭებისა სინდიკატებისათვის და როცა იგი სინდიკატები სახელმწიფომ მიიღო თვისის მფარველობის ქვეშე, თითქმის სულ არა ისმოდა-რა მათი. ძალიან მცირეთი დაიწყეს მათ თვისი მოქმედება სოფლად. სამიწად-მომქმედო კრიზისმა, რომელიც დაატყდა საფრანგეთს, რადვან ბაზარში გაჩნდა მეტად იაფი სოფლის ნაწარმოები ხელ-უხლებისა და უტების ქვეყნებისა—ამერიკისა და ავსტრალიისა,—აიძული საფრანგეთის სოფლელნი, ეზრუნათ თავიანთ ნაწარმოების გაიფებისა და მიწის მოსავლის გაძლიერება-გამატებისათვის. დაიწყეს ლაპარაკი, რომ ჩვენი კულტურა უკან ჩამორჩენილია, ხელ-საწყო იარაღნი მეტად ძველებური გვაქვს, რომ სასუქი და პატივი მცირეაო და სხვ. სასუქად ყველას ისა ჰქონდა, რაც საკუთრად მის საქონელს მიეცა. ხოლო ხელ-შექმნილი, განზრახ მოგონილი სამინერალო სასუქი ცოტა იყო, ან თუ იყო, ისიც ძვირად ჰღირდა და არც ვარგოდა.

საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოებამ 1884 წელს დაიწყო ქადაგება, რომ საჭიროა სამინერალო სასუქიო. რამდენმამე მემამულემ ლუარისა და შერისამ შეადგინეს ამხანაგობა,

ერთად, საამხანაგოდ ვიყიდოთ სასუქი, გავაიაფოთ ეს მინერალი, მოვსპოთ გაყალბება სასუქისა და მოტყუება მზენელ-მთესველისა და ვურჩიოთ ყველას, რამდენი და რა ღირსების სასუქია საჭირო სხვა-და-სხვა გვარის ნიადაგის გაპატივებისათვისაო. კარგ დროს დაიბადა ეს საზოგადოება, სწორედ იმ დროს, როცა ყველგან სასუქის თაობაზედ იყო ლაპარაკი; ამიტომ მისთა წევრთა რიცხვმა დაიწყო სწრაფად მატება, მრავალმა მოსთხოვა, ამდენ-ამდენი სასუქი მინდა, დამიბევეთ, დამიკვეთეთო. ერთის წლის შემდეგ საზოგადოებამ უკვე ის აზრი დაისახა, რომ უნდა ვიტვირთო დაცვა ჩემთა წევრთა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ინტერესებისაო. დღეს საზოგადოებას უკვე 4000 წევრი ჰყავს და აზრად აქვს: გავრცელება წესიერ სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა; ნარდად სყიდვა სასუქისა, კარგის თესლისა, ჭამეურნეო იარაღისა და ყოველისავე, რაც საჭიროა სოფლის კხოვრებაში მზენელ-მთესველისათვის; ხელ-საყრელი გასყიდვა წევრთა სოფლის ნაწარმოებისა, შოვნა ბაზრისა და გამართვა საზოგადო საწყობთა სასოფლო ნაწარმოების შესანახავად.

აი ასე მცირედ დაწყებულმა საქმემ გამოაღვიძა მიბინარებული ძალ-ღონე სოფლისა საფრანგეთში; გამოაღვიძა, აღბად, იმიტომ, რომ სწორედ დრო იყო ამისათვის დამდგარი და ეს მაგალითი შეიქმნა მისაბაძი მრავალის ამგვარის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დამაარსებელთათვის, რომელნიც ბოლოს დიდად გაძლიერდნენ და გააფართოვეს კიდევ თვისი მოღვაწეობა.

ზემოხსენებულ საზოგადოების შემდეგ მალე დაიბადა „სინდიკატი ინდრას მიწად-მომქმედთა“, რომელსაც ჰყავს ამ ჟამად 35000 წევრი და რომელსაც, როგორც აშბობს მისი პროგრამა, აქვს შემდეგი აზრი და საგანი: „თვალ-ყური ვადევნოთ, შევისწავლოთ და შევიმუშავოთ ის საეკონომიო რეფორმები, რომლების შემოღებისათვის უკვე დრო მოსულია და მომწიფებულია და რომლებიც შეეხება საადგილ-მამულო ბეგარას, გზებს, ტარიფებს, ბაჟს, სავაჭრო ხელ-შეკრულობას და სხვ. და ასე შესწავლილი, გამოკვლეულ-გამოძიებული საქმე რე-

ფორმისა წარუდგინოთ ხოლმე მთავრობასაო. ხელი შევეწყუოთ სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელებას და ვავრცელოთ სატეხნიკო ცოდნა სოფლის მეკიდრთა შორის სკოლების დაარსებით, ლექციების კითხვის გამართვით, პატარ-პატარა წიგნების ბეჭდვით და სხვ. ხელი მოვუმართოთ და წავაქეზოთ შემოღება კულტურის ამა თუ იმ ახალის დარგისა, ახალის წარმოებისა, განკარგებულ მაშინებისა, ახალის წესისა, რომლითაც უფრო სახეიროა გაბატონება მამულისა და საზოგადოდ ყოველისავე იმისი, რაც აადვილებს შრომას, აძლიერებს მოსავალს, და აიაფებს ნაწარმოებს. წავაქეზოთ დაარსება, დავაარსოთ კიდევ და ხელმძღვანელობა გავუწიოთ სამიწად-მოქმედო კრედიტის საზოგადოებათა, ურთიერთის დახმარების საზოგადოებათა: მწარმოებელ და მომხმარებელ ამხანაგობათა, საზოგადოებათა ნაწარმოების ნარდად სყიდვისა ჭ გასყიდვისაო. გავწიოთ შუამავალ-შუაკაცობა სხვა-და-სხვა ხეობის მსყიდველ-გამსყიდველთა შორის და ხელი შევეწყუოთ ერთმანერთში გაცვლას იმისას, რაც რამ საუკეთესო იქმნება მოყვანილი ამა თუ იმ ხეობასა და მაზრაში. ვაძლიოთ რჩევა და დარიგება ყოველგვარ საგნის გამო, რომელიც კი შეეხება მიწად-მოქმედებას და ვიყვნეთ შუამავალ, შუაკაც და მომრიგებელ ყველა იმ საკამათო საგნის გამო, რომელიც გამოიწვევს საზოგადოების წევრთა შორის დავას, უსიამოვნობას, ჩივილსა და დრტვინვას“...

მაღე გაჩნდნენ ზედი-ზედ ამისთანა საზოგადოებანი და მოჰტინეს მთელი საფრანგეთი და ალჟირი. 1892 წელს ოფიციალურის სტატისტიკით ამისთანა საზოგადოებათა რიცხვი უკვე 1100-მდე ავიდა, მაშინ როდესაც 1884 წელს, როცა ისინი იყო დაიწყო დაარსება მათი, სულ 5 ამისთანა საზოგადოება იყო მთელს საფრანგეთში. თესლმა, დროზედ განზნუღმა მომზადებულს ხნულში, მოიტანა ნაყოფიცა დიდი. ამ 1100-მა სინდიკატმა ცხრა წლის განმავლობაში შემოჰკრიბა და დაამხანაგა 600,000 კაცი, რომელთაც დიდი და ცხოველი ინტერესი აქვთ, რომ ამხანაგობათა საქმენი კარგად და ნაყო-

ფიერად წარიმართებოდეს. ზოგიერთს მათ შორის, როგორც, მაგალითად, ვინისას, ქვემო შრანტისას 10,000 წევრი ჰყავს და ყოველწლივ ასი-ათასობით ფულს ატრიალებს. მათ წევრთა შორის მრავალია მსწავლეული, საპოლიტიკო მოღვაწე, სენატორი, დეპუტატი, საქალაქო მმართველობის წარმომადგენელი, იმას გარდა, რომ კიდევ უფრო მრავალია დიდი და წვრილი მემამულე, მხენელ-მთესველი, ფერმერი, იჯარადარი, სოფლის მუშა-კაცი და საზოგადოდ ის, ვისი ცხოვრებაც პირდაპირ უახლოვდება მამულის მოსავლის საქმეს.

სინდიკატის დაარსებას არავითარი დაბრკოლება არ ელბება წინ. ადმინისტრაციის მხრივ. საკმაოა შესდგეს ჯგუფი, დასწეროს ქალაქდზედ თვისი წესდება და აღნიშნოს აზრი და საგანი საზოგადოებისა, წარუდგინოს იგი წესდება ადმინისტრაციას და საზოგადოება უკვე დაარსებულთა იურიდიულად. წევრნი აღირჩევიან თვითთავის მიერ სურვილის გამოცხადებითა და დამფუძნებელ წევრთა რეკომენდანციით, იძლევიან გადაწყვეტილ ერთხანობითს შესატანს და მერე იხდიან გადაწვეტილსავე სათვე-და-თვეო გადასახადს. სინდიკატის განსაგებლად ირჩევენ ბიუროს, რომელშიაც უნდა იყოს თავმჯდომარე, მდივანი და წევრნი საბჭოსი, და ამათ მიენდობა ყველა უფლებანი სინდიკატისა. წელიწადში ერთხელ ან ორჯელ მოუწოდებენ საზოგადო კრებას სინდიკატის წევრებისას. ამ კრებას წარუდგენენ ფულის ანგარიშს საზოგადოებისას და სხვა-და-სხვა მოსაზრებას კომიტეტისას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იწარმოვოს საქმემ შემდეგში. საზოგადო კრება გადასწყვეტს სამერმისო ბედს საზოგადოებისას, გააგრცვლებს ანუ შეამცირებს მისის მოღვაწეობის ფარგალს, იღებს ახალ წევრთ, ირჩევს სანდო კაცთა საზოგადოების წარმომადგენლებად და აკენტებად და სხვ. ხაზინა სინდიკატისა შესდგება ერთხანობითის შესატანისა, საყოველთვეო გარდასახადისა და შეძლებულ წევრთა შეწირულებათაგან. სინდიკატებს ხშირად თვით-მმართველობის გამგეობაც აძლევს შემწეობას; აძლევს აგრედვე შემწეობას არა-იშვითად თვით მიწად-მოქმედების სამინისტროცა, თუ

კი ჰხედავს, რომ სინდიკატი ამა და ამ ხელობა-მაზრისათვის სასარგებლო სამეურნეო მოღვაწეობას ადგიაო. უფრო შეძლებული სინდიკატები ჰბეჭდავენ და უგზავნიან თავიანთ წევრთ საყოველ-კვირაო გაზეთ-ჟურნალს და შიგ აცხადებენ, როგორ მოღვაწეობს სინდიკატი, აძლევენ სხვა-და-სხვა სამეურნეო რჩევა-დარიგებას, აუწყებენ, რა ფასი რა ნაწარმოებსა სდევს, სად რა ბაზარია და რას თხოულობს რა მაზნდითა, ჰბეჭდავენ, თუ რომელიმე ამხანაგი შეეკითხა რასმე, ან წერილი რამ გაუგზავნა და ბოლოს შიგვე მოაქცევენ ხოლმე საზოგადო მიმოხილვას იმ მაზრის საეკონომიო წარმოებისას, რომელშიაც ჰმოქმედებს სინდიკატი.

„ეკონომიურად გავანათლოთ, განვაფიქროთ მიწად-მოქმედი და ვუშველოთ, რომ მან უკეთ და უფრო იოლიანად მოაწყოს თვისი ოჯახობისა და მეურნეობის საქმენიო“—აი დღეიზი სამიწად-მოქმედო სინდიკატების უმეტესის ნაწილისა, მათი ძირითადი აზრი და სურვილი. მოქმედებას მით შეუდგენენ, რომ ნარდად დაიწყეს ყიდვა ბლომ-ბლომად სასუქისა და პატივისა, თქლისა და იარაღისა და მერე წვრილ-წვრილად ჰყიდდნენ იაფად თავიანთ წევრთ; შემდეგ კი განავრცელეს ეს თვისი მოქმედება, თუმცა ძირითადი მისი საეკონომიო ხასიათი მით არ შეიცვალა და წინანდელივე დარჩა. ყურადღების ღირსია, რომ ცხრა წლის განმავლობაში ფასმა სამინერალო სასუქისამ იკლო 30%-ი, რაც წინად მანათი ჰღირდა, ეხლა 70 კაპ.-ლა ჰღირს, ხოლო ღირსებამ იმატა. იმიტომ რომ, რაკი სინდიკატები ჩაეროვნენ ამ საქმეში, სრულიად მოსპეს ბაზარში უფარვისის სასუქის ტრიალი. სასუქის ხარჯმა იმატა კიდევ ხუთჯერ: თუ წინად მილიონი ფუთი იხარჯებოდა, დღეს 5 მილიონი იხარჯება, სიტყვაზედ. 1875 წელს ჰყიდულობდნენ ამ სასუქს საფრანგეთში სულ 52 მილიონ ფრანკისას; ამ ჟამად, თუმცა მისმა ფასმა იკლო, მაინც ჰყიდულობენ 250,000,000 მილიონ ფრანკისას. იმის მეოხებით, რომ გაიაფდა კიდევ და ადვილად საშოვნელიც შეიქმნა მაშინები სინდიკატების მეცადინეობით, მათი ხმარებაც გაძლიერდა, გაძლიერდა ასევე ხმა-

რება განკარგებულის თესლისა, საქონლის საკმელ ჩენჩო-ბურ-დოსი, მავნებელ მწერთა გასაწყვეტ ფხვნილ-წამლებისა და სხვ. ზოგიერთი სინდიკატი, როგორც მაგალითად ვიენისა, ჰყიდულობს სხვა-და-სხვა საჭირო საქონელსა და სავაჭროს თვისთა წევრთათვის ერთის მილიონის ფრანკისას, ხოლო საერთო ჯამი ყველა სამეურნეო სინდიკატის ნასყიდ საქონელ-სავაჭროსა ყოველ წლივ აღებატება 100 მილიონ ფრანკს.

თვითოეულს სინდიკატს აქვს ცალკე ბიურო, რომლის დანიშნულება ის არის, რომ მიიღოს და განიხილოს თვისთა წევრთა წერილები, თუ ვის რა უნდა, რის შეძენა და რის დაკვეთა, დაბეგება. წარსულის წლის გამოცდილებით, სინდიკატმა იცის, დაახლოვებით, რამდენი რა სავაჭრო მოუნდება თვისთა წევრთათვის და ამიტომ, ხშირად აღარც კი ელის წერილებს, თვითვე ჰყიდულობს წინდაწინვე საჭირო სავაჭროს, იბეგებს ამა თუ იმ მასალას, იარაღს და ან გამყიდველთანა სტოვებს დრომდე, ან თუ შეძლება აქვს, მოაქვს და აწყობს ცალკე მოთხოვნილებაში განგებ ამ საქმისათვის აგებულს ფარდულებში. რომელს სინდიკატსაც შეძლება ნებას აძლევს, ჰყიდულობს სამეურნეო ძვირფას იარაღს: სამკალს მაშინას, საღეწს, სანიავებელს, გუთნებს და მერე აძლევს ამხანაგებს ქირით ხელ-მისაცემ ფასად.

გარნა მიწად-მომქმედთა წოდება, იმას გარდა რომ ჰხარჯავს სხვა-და-სხვა საქონელ-სავაჭროს, და, მაშასადამე, მსყიდველია, ამასთანავე უფრო მწარმოებელი და გამსყიდველიც არის. რაკი უმეტეს ნაწილად ქალაქ ადგილებზედ შორსა სცხოვრობს, მიურუებულ კუთხეებში, არ იცის, რა ვითარებაშია ბაზარი, რა უნდა და რა ეჭირვება ამ ბაზარს, ამიტომ აწარმოებს, მოჰყავს ხშირად არა ის, რაც საჭიროა, ან რასაც გასავალი აქვს, ხოლო არა აქვს ღონე გაასაღოს ის, რაც მოუყვანია, უჭირს ფული მაშინ, როცა მის საქონელს არავინ თხოულობს და მუშტარი არა ჰყავს; ამის გამო ხშირად დიდს ზარალშია. ამიტომ სინდიკატების უმეტესი ნაწილი ამ შემთხვევაშია ტვირთულობს შუა-კაცობას მწარმოებელსა და ბაზარს შორის. ზოგიერთებს მათ შორის დიდ ბაზარ ადგილებში ჰყავთ ცალკე კა-

ცები, ფიშქრები, რომელნიც ახლო უდგანან ნარდად მსყიდველებს ამა თუ იმ სავაჭროსას და მათთან იჭერენ საქმეს. საქმის დაჭერისათანავე, ატყობინებენ სინდიკატს, რომ მივყიდეთ ამასა და ამას ამდენი და ამდენი საქონელი, ამა თუ იმ ფასადან (პური, ღვინო, ვაშლი, კარტოფილი, ერბო, ზეთი, კვერცხი, ქერი, სიმინდი და სხვ.) სინდიკატი მაშინვე ყოველ ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ გადაკვეთილის რაოდენობის საქონელი გაგზავნილ იქმნას იქ, საცა საქაიროა, აგენტ-ფიშქარის წერილის თანახმად. ხანდახან ის აგენტ-ფიშქრები ჰმართავენ იმ ადგილებში, საცა თვითონ არიან, საწყობს იმისას, რაც მრავლად მოდის იქ, საცა სინდიკატი არსებობს. ნორმანდიისა, ბრეტანისა და ზოგიერთ სხვა შეერეთებულ სინდიკატებს აქვთ, მაგალითად, დიდ ბაზარ ადგილებში საკუთარნი საწყობნი ღვინისა, ერბოსი, ხილისა, ჩირეულისა, ყველისა, კვერცხისა და სხვ. და ამ გზით იცილებენ თავიდან შუამავალ ჩარჩებს, რომელნიც მწარმოებელისაგან იათად ჰყიდულობენ ყოველ-გვარ ნუშლსანოვავებს და თვით კი ძვირად ჰყიდიან იმათ, ვისაც იგი ნუშლსანოვავე ექირვება. საწყობთ მაგივრად, ზოგიერთს აგენტებს აქვთ კანტორები, საცა გამოფენილია ნიმუში ყოველ-გვარის მოსავლისა მათ რწმუნებულ სინდიკატის მაზრა-ქვეყანაში და თან სავარაუდო ფასიც ზედა აქვს თვითოეულ მოსავლის დარგს აღნიშნული იმ წლისათვის. ნავარაუდევია და აღნიშნული აგრედვე, თუ რამდენი რა მოსავლისა შეიძლება იშოვოს იმ ქვეყანაში მსურველმა. ამას გარდა სასოფლო სინდიკატები პირდაპირ აღმინისტრაციასთან და სამხედრო უწყებასთან იჭერენ საქმეს და იჯარით იღებენ მათგან მათთვის საჭირო ღვინისა, პურისა, თავისა და სხვა სურსათის ძლევეს და ამ სახით წინდაწინვე უზრუნველ ჰყოფენ სოფლის მოსავლისთვის ნაღდს და უექველს გასაღებას და ააიაფებენ მთავრობისათვის აღმინისტრაციისა და ჯარის შენახვას. ზოგიერთი სინდიკატები, რომელთაც დიდ-დიდი მაზრები აქვთ ხელთა, ცდილობენ გააძლიერონ ნაყოფიერება დედამიწისა და რაოდენობა მოსავლისა, გააუკეთესონ ხვნა-თესვის ვითარება და ამ აზრით ჰმართავენ

სანიმუშო ფერმებს, საცდელს მინდვრებს, იწვევენ სწავლულ აგრონომებს, რომელნიც იკვლევ-იძიებენ თავიანთ მაზრას, პასუხს აძლევენ ყველას, ვინც კი დაეკითხება რასმე, აძლევენ აგრედვე ხალხს რჩევა-დარიგებას, კითხულობენ საქირო ლექციებს და ასწავლიან მზნლ-მთესველთა და სოფლის მემამულეთა, თუ რამ ახალი და ან განკარგებული წესი იქმნა სადმე შემოღებული მიწად-მოქმედების საქმეში.

გარნა ყოველ ამისთანა საქმის რიგიანად და სასურველის სიერკით მოსაწყობად საქიროა სინდიკატებისათვის დიდი შეძლება და დიდი მაზრა სამოქმედოდ. ასი და ათასი კომლი ამისთანა საქმეში ვერას გახდება. ამისთანა შეძლება თითო-ოროლა სინდიკატსაც არა აქვს. უმეტესი ნაწილი მათ შორის სამასახლისოსაგან შესდგება. ბევრი-ბევრი სინდიკატშია მოქცეული მთელი მაზრა, ან უკეთეს შემთხვევაში მთლად დეპარტამენტი. ამიტომ თავის-თავად დაიბადა ის აზრი, რომ შევედროთ ერთად, ერთ-კავშირად რამდენიმე სინდიკატი, რომელთაც კი აზრი და მოქმედების საფუძველი ერთნაირი აქვთო. ამ შეერთებულმა სინდიკატებმა ამოიჩიონ ერთი გამგეობა და მან განაგოს საერთო საკავშირო საქმეები, ხელმძღვანელობა გაუწიოს მრავალს სინდიკატთა და ამხანაგობასა, რომელიც კი იმყოფება ამა თუ იმ მაზრასა და დეპარტამენტშიო; თუ საქიროა, მთელს პროვინციაში, რომელიც რამდენისამე დეპარტამენტისაგან შესდგება და, თუ გინდ, მთელს საფრანგეთში, შეძლებისა მებრო. ამ სახით დაარსდა კავშირი სინდიკატებისა, Unions Syndicals.

II

შეკავშირებული სინდიკატები, ანუ კავშირნი ამხანაგობათა, Unions Syndicales, მალე ზედ მოჰყვა ცალკე სინდიკატებსა და მათს წარმატებასა. რაკი გაძლიერდა და გაიზარდა საქმე თითოეულის სინდიკატისა, ხალხმა საქიროდ დაინახა გავრცელება საქმისა და ამ სურვილს მოჰყვა შეერთება რამდენისამე

სინდიკატისა ერთს დიდ ამხანაგობად. ერთობა შეიქმს ძლიერებასაო, ნათქვამია. უფრო ძრიელ შეუწყო ხელი ამ საქმეს „საფრანგეთის აგრონომების საზოგადოებამ“, რომელიც დიდი ხანია არსებობს საფრანგეთში და რომელსაც დიდი პატივისცემა და გავლენაცა აქვს დამსახურებული. ამ საზოგადოებასა ჰყავს 10,000 წევრი და იმ თავიდანვე მან მიიღო თვისსა მფარველობასა ქვეშე სასოფლო-სამეურნეო სინდიკატების დაარსებისა და გავრცელების საქმე დაბა-სოფლად. განსაკუთრებით ამ საზოგადოების მხნეობით და მისთა ნაწერ-ნაბეჭდთა გავლენითა და წყალობით დაარსდა 1886 წელს „კავშირი სამეურნეო სინდიკატებისა საფრანგეთში“ იმ აზრით, რომ ერთად შევეერთოთ საფრანგეთის სხვა-და-სხვა მაზრა-თემის სინდიკატები, შევისწავლოთ საქიროებანი მიწად-მომქმედის საფრანგეთისა და შემწეობა აღმოვუჩინოთ აქა-იქ გაფანტულს ამხანაგობა-სინდიკატებსაო. მისის წესდების ერთი მუხლი ასე განმარტავს ამ საზოგადოების დანიშნულებას: „ვიყოთ შუა-გული აღგილი უკვე შეკავშირებულ სინდიკატებისათვის, ისეთი აღგილი, საცა იმ სინდიკატებს შეეძლოთ გაიგონ თავ-თავიანთი ამბავი, გაიგონ და შეიტყონ ყოველივე, რაც კი შეეხება მეურნეობასა, ზენა-თესვასა და ჭირნახულის სყიდვა-გასყიდვასა; ხელი შევეწყოთ ახალ სინდიკატების გაჩენასა; ვაგროვოთ და ვაუწყოთ შეერთებულ სინდიკატებს სასტატისტიკო, საკომერციო, სააგრიკულტურო ცნობანი, როგორც საფრანგეთისანი, ისე უცხო-ქვეყნებისანი, რათა ამ სახით სოფლის მკვიდრმა იცოდეს, რა ყოფაშია დღეს საეკონომიო ვითარება საფრანგეთისა და ევროპისა; ხელი მოვუშართოთ სოფლის მეურნეობას და სოფლის წარმოებას; გავუადვილოთ მსურველს სიარული ლაბორატორიაში, დავაარსოთ მუზეუმი, კურსები და ვავრცელოთ სასოფლო-სამეურნეო შინაარსის პატარ-პატარა წიგნაკებია“.

სულ მცირე ხანში ამ სინდიკატების შემამხანაგებამ ასობით მიიზიდა მრავალი სხვა სინდიკატი და დღეს მის წევრთა რიცხვი 450,000 კაცამდეა. მმართველობა ანუ ბიურო ამ კავშირისა პარიჟშია. შიგ 50 წევრია. მათ შორის ზოგი ამორჩეუ-

ლია, ზოგიც წარმომადგენელია იმ სინდიკატებისა, რომელნიც ასე ერთად შეამხანაგდნენ საერთო კავშირის დასადებად. თვითოეული სინდიკატი აძლევს საერთო ამხანაგობას რამდენსამე პროცენტს თვისთა წევრთა წლიურის შესატანისას. ყოველ წლივ ინიშნება საზოგადო კრება, რომელსაც ესწრებიან კავშირის გამგებელნი, ყველა თავსმჯდომარენი აქა-იქ გაფანტულის სინდიკატებისა და დელეგატები, ამორჩეულნი პროვინციის უფრო შესამწევ ამხანაგობათა მიერ. საზოგადო კრება სინჯავს კავშირის მოქმედების ანგარიშს, ვარაუდობს, რას მიაქციოს შემდგომისათვის ყურადღება და მსჯელობს ყოველგვარ საეკონომიო საგნის შესახებ, რომელსაც კი რაიმე დამოკიდებულება აქვს მიწად-მოქმედებასა და სინდიკატების ინტერესებთანა. აი, მაგალითად, ერთს ამისთანა კრებაზედ რა საგნები იყო განხილული: საბაჟო ტარიფი, მოხსენება საკოოპერაციო, საკრედიტო და საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებათა დაარსების შესახებ სინდიკატებთან, მოხსენება იმის გამო, რომ სინდიკატებმა იტვირთონ ხაზინის იჯარანი და მრავალი სხვა საგანი, სოცლის ყოფა-ცხოვრებისა და საჭიროების შესახები. კრების გადაწყვეტილებანი და სჯა-კამათი იბეჭდება და ეგზავნებათ ყველა სინდიკატებს, რომელნიც ამ შეერთებულ ამხანაგობაში ჰმონაწილეობენ და რომელთა რიცხვიც ამ ეამად 500-ია. ესევე ანგარიშნი ეგზავნებათ საცნობლად პარლამენტის დეპუტატებს და მთავრობის წარმომადგენელთ. ეს შეერთებული ამხანაგობა სინდიკატებისა ცდილობს, იქონიოს თვალ-წინ ყოველი საჭიროება, მისწრაფება და ნატვრა-სურვილი სამიწად-მოქმედო საფრანგეთის უმეტესის ნაწილისა, თავი მოუკრიბოს ერთად აპნ-უსხოს ყოველივე ესე წინაშე ქვეყნისა და მთავრობისა და მით თითქმის პარლამენტის გარეშე წარმომადგენლობა და მეოხობა გაუწიოს მეურნეობას. ეს დიდი ამხანაგობა წარმომადგენელია თითქმის ნახევარ-მილიონის გამრჯელ ხალხისა და შეძლება აქვს სრულიად ცნობიერად და გონიერად, საქმის ვითარების ცხადად გათვალისწინებით იმოქმედოს კანონმდებლობაზედ, მოურჩოდეს თვისთა წევრთა სასარგებლოდ რკი-

ნის გზებს, დიდ მწარმოებელსა და დიდს მუშტარს სოფლის ჰირნახულისას, ხელმძღვანელობა გაუწიოს სასინდიკატო იჯარათა აღებისა და შესრულების საქმეს, მიჰმართოს ასე თუ ისე, სასურველის გზით, წარმოება სოფლად ამა თუ იმ მაზრისა, გააჩინოს ლაბორატარიები, მუზეუმი, სკოლები, საწყობნი საქონელ-სავაჭროსი, დააარსოს საკრედიტო საზღადოებანი და სხვ., რის განხორციელებასაც იგი ამხანაგობა უკვე შეუდგა ამ უკანასკნელს ხანს.

ამ პირველმა ცდამ სინდიკატების გაერთიანებისამ მალე იპოვა მიმბაძველნი. პროვინციის ბევრმა სინდიკატმა არ ისურვა იმ ზემოხსენებულს საზოგადო საფრანგეთის კავშირს მიჰკედლებოდა, ვაი თუ მეტის-მეტად დაეიჩრდილოთ და დაითრგუნოს ასეთის ცენტრალიზაციით ჩვენი კერძო თაოსნობაო და ამიტომ თითო-თითო მაზრისა და დეპარტამენტის სინდიკატები თავ-თავიანთთვის შეერთდნენ და შეამხანაგდნენ. 1887 წელს, მაგალითად, დრომის დეპარტამენტის 22 სინდიკატმა შეადგინეს ერთი ამხანაგობა, რომელსაც ამ ჟამად 6000 წევრი ჰყავს; აგრედვე კოტ დ'ორი დეპარტამენტის 20 სინდიკატი ერთად შეერთდნენ. ასე მოხდა ბევრგან სხვაგანაც.

მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ მაზრა-მაზრობით შედგენა საამხანაგო კავშირისა არ შეესაბამებოდა სასურველის სისრულით ბუნებრივ გარემოებათა კრებულს. ბევრგან, ორსა და სამს მაზრაში, ანუ დეპარტამენტში ერთი და იგივე ვითარება არსებობდა და სასურველი იყო, რომ, რახან შეამხანაგება იქმნებოდა, ბარემ იმ სამი-ოთხის მაზრის ანუ დეპარტამენტის სინდიკატები შეამხანაგებულეყვნენ. ასეც მოხდა ბოლოს. მთელი ქვეყანა დაიყო საგეოგრაფიო და საფისიკო ვითარების მიხედვითა, სწორედ ისევე, როგორც ძველდაც იყო განყოფილი თემ-თემად და მხარე-მხარედა. დღესაც ცხოვლად ახსოვს ხალხს საფრანგეთში ძველებური, რევოლიუციის უწინარესი დანაწილება ქვეყნისა და განსენება იმ დროინდელ თემ-მხარეთა სახელწოდებისა ეროვნულსა და სათემო მამულის მოყვარეობის გრძობას უღვიძებს. საერთო კილო ლაპარაკისა, ერთფერობა მიმა-პაპათა

ნაანდერძევისა, სიტყვიერება-სიმღერა-ლექსებისა, ერთგვარობა ჰავისა, საგეოგრაფიო და სამეურნეო ვითარებისა აახლოვებს ერთმანეთში მკვიდრთ და მათს ინტერესებს და აჩენს საიმედო ნიადაგს საეკონომიო კავშირის შესაკვრელად. ამ ბოლოს დროს ეს ადგილობრივი, სათემო მამულის-შვილობა და პატრიოტიზმი კათოლიკეთა და მონარქიელთაც კი დაიხვიეს ხელზედ და მისის შემწეობით ცდილობენ გააძლიერონ საავტონომიო სურვილი და მიდრეკილება საწინააღმდეგოდ მეტად გარადიკალურულ პარიჟის ცენტრალიზაციისა, რომელსაც უშველებელი თვისი პირი დაუღია და მზად არის ყოველივე თვით ჩაწყობას, თვით მოინელოს. აი ამ ნიადაგზედ გაჩნდა და გაიდგა მალე ფესვი რამდენმამე საკმაოდ შესამჩნევმა და დიდმა სინდიკალურმა სასოფლო-სამეურნეო კავშირმა, რომელთა შორის თითოეულმა ერთად შეაერთა და შეაამხანაგა სინდიკატები რამდენისამე დეპარტამენტისა. ამ შეერთებულ ამხანაგობათ ეწოდებათ სათემ-სახეობო სასოფლო-სამეურნეო კავშირნი, — „Unions rationnelles des Syndicats agricoles“.

პირველად ამისთანა კავშირთა შორის დაარსდა „სამხრეთ აღმოსავლეთის კავშირი“, რომელსაც მიემხრო სინდიკატები ათის დეპარტამენტისა. ამ კავშირმა გააერთიანა 65 სინდიკატი და ჰყავს 50,000-ზედ მეტი წევრი. გამგეობა მისი ლიონშია; გამგეობაშია თავსმჯდომარე, მდივანი და ოთხი წევრი; ეს გამგეობა ჰბეჭდავს სათვედათვეო ჟურნალს — საკუთარს ორგანოს კავშირისას და უგზავნის თვისთა წევრთა 12,000 ცალამდე; მუდმივი მიწერ-მოწერა აქვს თავის სინდიკატებთან, ასრულებს მათს სხვა-და-სხვა სამეურნეო საჭიროების შესახებს სურვილს, აქვს საწყობნი იარაღისა, სასუქისა და თესლეულისა; გაჰმართა ცალკე კანტორა სამეურნეო და საიურიდიო რჩევა-დარიგებისათვის და შეიმუშავა პროექტი დიდის მომხმარებელთა საზოგადოებისა და აგრედვე ურთიერთის დახმარებისა და დამზოგველთა საზოგადოებისაცა.

შეორე ამისთანა კავშირი სასოფლო-სამეურნეო სინდიკატებისა აერთებს სინდიკატებს ბურგონისა და ფრანშკონტესას.

და ეწოდება „ბურგუნდიის კავშირი“. ამ კავშირის მაზრაა ცხრა დეპარტამენტი; მიემხრო 22 სინდიკატი, რამდენიმე მწარმოებელი ამხანაგობა დაბა-სოფლისა და ჰყავს სულ 22,000 წევრი. 1892 წელს დაარსდა „ნორმანდიის სინდიკატების კავშირი“, რომელმაც მოჰხვია ხელი ხუთს დეპარტამენტს. „ჩრდილო სასინდიკატო კავშირი“ გასწვდა ოთხს დეპარტამენტს; „შუაგულ სინდიკატების კავშირმა“ გააერთიანა ათი დეპარტამენტი; „დასავლეთის სასინდიკატო კავშირმა“ განავრცელა თვისი მოქმედება ოთხ დეპარტამენტში და მიიმხრო 25 სინდიკატი; არის კიდევ „პროვანსის სინდიკატების კავშირი“, რომლის ცენტრია მარსელი, „სამხრეთ-დასავლეთის კავშირი“, რომელსაც ექვემდებრება ათი დეპარტამენტი და გამგეობა თვისი ჰყავს ტულუზაში. ბევრი კიდევ სხვაა, სულ ახალ-ახალნი კავშირნი, რომელნიც წლითი-წლამდე მრავლად არსდებიან და ძლიერდებიან. ყველას აზრი და დანიშნულება ერთი და იგივეა; განსხვავება მხოლოდ ადგილობრივის ვითარებისა და საჭიროების სხვადასხვაობით არის გამოწვეული. ზოგი მეტის წარმატებით ემსახურება ამ აზრსა და დანიშნულებას, ზოგი მცირედის წარმატებითა. ყველას სურვილი კი არის: განვაუკეთესოთ და განვაძლიეროთ წარმოება შემოსავლიანიობა სოფლის მამულისა, გავავრცელოთ სამეურნეო ცოდნა, გავადვილოთ გასაღება სასოფლო საქონელ-საეაჭროსი, გავაიადოთ სამეურნეო იარაღი და საეაჭრო, რაც მეურნესა და მიწად-მომქმედსა სჭირდება, შევამციროთ ხარჯი და ბეგარა, ბაჟი და ტარიფი, გავმართოთ იაფად ფულის სესხად გამცემი დაწესებულებანი იმავე მიწად-მომქმედის ხელისმოსანაცვლებლად, შევკრათ სოფელი ისე, რომ ცეცხლისა და საქონლის ჭირისაგან ზარალი არ მოსდიოდეს, უზრუნველყოთ მუშა-კაცი უბედურებისა, ავადმყოფობისა და მოხუცების ჟამს და სხვ. ეს სათემ-სახეობო კავშირნი, დეცენტრალიზაციის საფუძველზედ აგებულნი, ჰმოქმედებენ დამოუკიდებლად, თვითთული საკუთარ ჰავისა და საეკონომიო ვითარების მიხედვით, მაგრამ მაინცა და მაინც ეტყობათ, რომ დიდი მიზიდულება აქვთ ერთს რომელსამე საერთო, საზოგადოდ მთე-

ლის საფრანგეთისათვის დაარსებულ დედა-დაწესებულებისაკენ, რომელიც საერთო მიმართულებასა და ხელმძღვანელობას აძლევდეს ყველა კავშირსა იქ, საცა მეფობს და ბატონობს უფრო ვრცელი, ყველასთვის ერთგვარად სანუკარი, საყოველთაო საეროვნო-სამეურნეო ინტერესები. ასეთი საეროვნო-სამეურნეო დედა-დაწესებულება, რომელიც დედობას უწევს ყველა კავშირს, არის ჯერ-ჯერობით ის ზემოხსენებული „კავშირი სამიწად-მოქმედო სინდიკატებისა საფრანგეთში“, რომლის წევრდაც არიან უკეთესნი წარმომადგენელნი სამეურნეო ზრუნვა მსჯელობისა მთელს საფრანგეთში და რომლის გავლენის წყალობითაც დაარსდა უმეტესი ნაწილი სინდიკატების კავშირთა.

სათემ-სახეობო სოფლის მეურნეობის ამხანაგობათა თანა, რომელნიც ჰმოქმედობენ თავიანთ მიჯნა-სამზღვართა შორის და იძულებულნი არიან სამიწად-მოქმედო გამრჯელობის ყოველ გვარ დარგსა და კერძობას გაუძღვნენ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ რამდენიმე სპეციალი სინდიკატიცა, რომელთაც აზრადა აქვთ გააერთიანონ ესა თუ ის განსაკუთრებული დარგი მთლად საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობისა, უფრო შესამჩნევი მათ შორის არის: „სინდიკატი ღვინის დამყენებელთა“, რომელსაც 3000-მდე წევრი ჰყავს საფრანგეთის სხვა-და-სხვა მხარეში; „სინდიკატი მეაბრეშუმეთა“, დაარსებული 1887 წელს; ჰყავს 140,000-მდე წევრი, რომელნიც აბრეშუმის ქიას უვლიან და მისდევენ აბრეშუმის კეთებას; „საპომოლოგია (ხეხილის მოვლა-გაშენების) სინდიკატი“, დაარსებული 1891 წელს, როგრც სამეცნიერო, ისე სამრეწველო აზრით; მან გაავრცელა თვისი გავლენა ნ წ დეპარტამენტში, რომელიც მისდევს ვაშლის ხის გაშენებას და სიდრის წარმოებას. ამ საზოგადოებას რამდენიმე ათასი წევრი ჰყავს; აქვს განყოფილება თითოეულს დეპარტამენტში, ჰბეჭდავს სათვედათვეო ჟურნალს „სიდრი“ და ცდილობს გაავრცელოს სამეცნიერო ცოდნა ხეხილის მოვლა-მოხმარებისა, განაკარგოს სატეხნიკო წესი და ცოდნა სიდრის წარმოების ხე-

ლისა, ხილის არაყისა და იშოვოს საწყობნი და ბაზარი ყოველ ამის გასასაღებლად. ამ სამმა დიდმა და ძლიერმა სინდიკატმა უკვე დიდი ამაგი დასდო საფრანგეთის ხეხილის მოვლა-ვაშენების საქმეს, აბრეშუმის წარმოებას და ღვინის დაყენების, ღვინის ხელის დამყარება-გავრცელებას; დიდი ამაგი დასდო მით, რომ განაკარგა თვისება წარმოებისა, გაუმატა მისსა რაოდენობასა, გაადვილა საქმე მუშტრის შოენისა და საქონლის გასაღებისა, გააჩინა კრედიტი და შემწეობა მცირე მწარმოებელთათვის და, ვითა მკოდნემ, ისე იმოქმედა კანონმდებლობასა და ადმინისტრაციასზედ ზემოხსენებულ საქმეთ სასარგებლოდ და წარსამატებლად.

აღარ ავწერთ და აღარ ჩამოთვლით ათ და ოც სხვა, ნაკლებად შესაძინევ, სინდიკატს, რომელიც მისდევს სამეურნეო მოღვაწეობის სხვა-და-სხვა დარგის აღორძინებას, როგორც არის, მაგალითად, წარმოება წველა-ღღებებისა და ყველისა, საკლავ საქონლის ჯიშის მოშენებისა, თუთუნის მოყვანისა, ხილის გაჩირვა-გახმობისა, მებოსტნობა და სხვ. თვითთვეული დარგი სამეურნეო წარმოებისა ემხრობა და ეკედლება საკომუნალო, სადებარტამენტო, გინა სათემ-სახეობო ორგანიზაციას, გარნა ამასთანავე ცდილობს წილი დაიდოს იქაც, საცა მისივე გვარი დარგი წარმოებისა ჰქმნის რაიმე საზოგადო ორგანიზაციას, რათა ამ სახით ორმაგი სარგებლობა და ხეირი ჰნახოს და თან ორნაირად იქმნას დაცული. ცხადია, რომ, რაც უფრო გავრცელებულია და დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ამასა თუ იმ დარგს მიწად-მოქმედებისას, მით უფრო ძლიერ ცდილობს იგი დარგი დააარსოს ცალკე კავშირი, ანუ ამხანაგობა თვისთა მიმდევართა ერთის შუა-გულს, დედა-დაწესებულებითურთ მთელის საფრანგეთისათვის. ასეთია, მაგალითისა წარმოება, აბრეშუმის მოყვანა, ვაშლისა და სხვ. მაგრამ ეს მაინც საკმაო არ არის და იგი განსაკუთრებული წარმოება წილს იღებს აგრედვე სათემ-სახეობო სინდიკატ-ამხანაგობაშიაც, რადგანაც ამათი საეკონომიო და საზნეობო გავლენა გარემო ვითარებაზედ უფრო ახლო სწარმოებს ადგი-

ლობრივ საჭიროებისათვის, უფრო უშუა-კაცოა და სწრაფია. ეს არის, ალბად, მიზეზი იმისი, რომ უფრო გავრცელებული და აღორძინებული სინდიკატები და ამხანაგობანი ისინი არიან, რომელნიც მთელს ამა თუ იმ თემ-ხეობას შეუდგენია და რომელნიც სოფლის ყოველ-გვარ სამეურნეო საქმესა და წარმოებას ადევნებენ თვალ-ყურს; რომელთაც საზრუნველ საგნად აქვთ მთლად მიწად-მოქმედება საზოგადოდ და ყოველივე, რაც ამ მიწად-მოქმედებას უახლოვდება, ახლო ენათესავება.

III

ზემორე უკვე მოვიხსენეთ, რომ დიდის სინდიკატების ამხანაგობათა უპირველეს თვის საგნად ჰქონდათ დახმარება მეურნეობისა და სოფლის წარმოება-მრეწველობისა, მაგრამ შემდეგ უკვე აღარა სჯერდებოდნენ ამ უმთავრესსა და მართლა ყოველად საჭირო და საზრუნველსა საქმესა; აღარა სჯერდებოდნენ ამ უპირველესს თვისს მოვალეობასა და, იმის და მიხედვით, როგორც ჰმატულობდა მათი ღონისძიება და ვრცელდებოდა წრე მათის მოღვაწეობისა, ზრუნავდნენ სოფლის მკვიდრთა კეთილდღეობისათვისაცა საზოგადოდ; ჰზრუნავდნენ მით, რომ ცდილობდნენ მიეწოდებინათ საიარალო და იაფი სავაჭრო-საქონელი, საქმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური, სახლის ავეჯი; მოეწყობთ საქმე კრედიტისა, ცეცხლისა და საქონლის ჰირისაგან სოფლის შეკვრისა, ავადმყოფთა, მოხუცთა და უბედურთა შემწეობისა. უმეტესმა ნაწილმა, ცოტა თუ ბევრად, შესამჩნევ ამხანაგობათა ჩაურთეს თავიანთ წესდებაში შემდეგი მუხლი: სინდიკატი უნდა ეცადოს ყოველი ღონისძიებით მწარმოებელ და მომხმარებელ ამხანაგობათა დაარსებას, იაფის სასოფლო კრედიტის დაფუძნებას, ურთიერთის დახმარების კასის დაწესებას და ცეცხლისა და საქონლის ჰირისაგან ზღვევის შემოღებას, მოხუცთა, ავადმყოფთა და ქვრივ-ობოლთა დახმარების კასის მოწყობასა და სხვ. ზოგიერთს სინდიკატს, მართალია, ჯერ მხოლოდ თითო-ორიოლას, აზრად აქვს დააარსოს ფონდი

სოფლად სახლების აშენებისა, ისეთის სახლებისა, რომელიც სოფელ მუშათა საცხოვრებლად იყოს შესაფერი; ეს სახლები მიეცემათ საცხოვრებლად იმათ, ვისაც საკუთრება არა აქვთ. რა სოფლად და მერე საკუთრებადაც დაუმტკიცებენ, რაკი წინაღვე გადაკვეთილი დრო გავა ქირის-ძღვევისა. ამასთან ერთად, ცდილობენ შეიმუშაონ ის აზრიც, რომ შესყიდულ იქმნას მამულები, საცა კი ისყიდება, რათა ამ მამულების შეძენა შეაძლებინონ შემდეგ უმამულო მუშებს, რომელთაც სურთ ხვნათესეასა და ან სხვა-რამ სოფლურს საქმეს დაადგენ. დასასრულ, ერთი პროექტი კიდევ გაჩნდა ამ ბოლოს დროს. ამ პროექტით, უნდათ დაარსებულ იქმნას სამიწად-მოქმედო თავ-შესაფარნი, სადაც უნდა იზრდებოდნენ სოფლის ობოლნი და მცირე-წლოვანი მთხოვარანი და კარგნი და გამოცდილნი მუშენი გამოდიოდნენ.

ამ საქმად ვრცელ საეკონომიო პროგრამის მუხლთა შორის ჯერ-ჯერობით მეტის წარმატებით განხორციელდა დაარსება საკოოპერაციო და საკრედიტო საზოგადოებათა, ხოლო სხვა მუხლნი პროგრამისა ჯერ ისევ იმ ხანაშია, როცა საქმეს ისევ ცდა, შესწავლა და ქადაგება ეჭირვება.

რომ მეტად არ გაჭიანურდეს ეს წერილი, მოვიყვანთ მხოლოდ რამდენსამე მაგალითს იმისას, თუ როგორ განხორციელდა ზოგიერთი მუხლი ზემოხსენებულის პროგრამისა. ავიღოთ ნიმუშად საკავშირო სინდიკატი ქვემო-შარანტის დეპარტამენტისა. ეს სინდიკატი დაარსებულ იქმნა 1886 წელს და აზრად ჰქონდა ჩვეულებრივ შემწეობა გაეწია მიწად-მოქმედებისათვის და ეზრუნა სასოფლო სავაჭროს საქონლის სყიდვა-გასყიდვისათვის, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს საქმა არ არისო, რომ სოფელნი მკვიდრნი, დაზარალებულნი ზედან-ზედის მოუსავლობით, უფრო დიდს შემწეობასა მსაჭიროებენო; მათთვის მსაჭიროა გაუიადფეთ ცხოვრება და მიეცეთ ფული სესხად იათის სარგებლით, რათა ამ სახით ღონე ჰქონდეთ გაუძლონ გაჭირვებულს ყოფასაო. 1888 წელსა მოწოდებულ იქმნა საზოგადო კრება სინდიკატის წევრთა და ამ კრებაზედ გადასწყდა,

დაეარსათ „ქვემო-შარანტის საკოოპერაციო საზოგადოება“ წარმოებისა და მოხმარებისა“. ჩაეწერა 8 ათასი წევრი სინდიკატისა; სააქციონერო თანხა შესდგა 200,000 ფრანკი. აქციების რიცხვი იყო სულ 4000 და თითო ჰლირდა 50 ფრანკი. ამ ჟამად წევრთა რიცხვმა იმატა 12,000-მდე, თანხა აქვს 2,000,000 ფრანკი. ამ საკოოპერაციო საზოგადოების ვალია აძლიოს ყოველივე საკავშირო სინდიკატსა და მისთა წევრთ იმ ხელ-შეკრულობით, რომელიც დადებულია სინდიკატსა და საზოგადოებას შორის. სინდიკატი აძლევს საზოგადოებას თითო ფრანკს წელიწადში თვითოეულ წევრისათვის და ამიტომ ჰველა წევრნი სინდიკატისა ირიცხებიან ასოციაციის წევრად და მოგებაშიაც წილი უდევთ იმდენად, რამდენისასაც თვითოეული წევრი საქონელს იყიდის ასოციაციისაგან. ამას გარდა, საკოოპერაციო საზოგადოება მოვალეა ჰბეჭდოს თვისის ხარჯით და უგზავნოს წევრთ სათვედათვეო ანგარიში სინდიკატის მოქმედებისა, აძლიოს სადგომი გამგეობისათვის, აძლიოს ჯამაგირი მისთა წევრთა, იყოლიოს თვისის ხარჯითვე სინდიკატის აგრონომი და აძლიოს ამ აგრონომს ჯამაგირი და აქეთ-იქით სასიარულო ფული.

ამ სახით, სინდიკატი აძლევს საზოგადოებას 12,000 ფრანკს წელიწადში (თითო ფრანკს წევრზედ) და მით განთავისუფლებულია ყოველის ხარჯისაგან, რომელიც საქიროა ადმინისტრაციისათვის და ამიტომ, რაც თავისუფალი ფული აქვს, შეუძლიან ჰხარჯოს მთლად და განსაკუთრებით მეურნეობისა და მიწად-მოქმედების წარმატებისათვის თვისსა მაზრაში.

საზოგადოება ჰყიდულობს თითქმის 2 მილიონის საქონელს პირდაპირ ქარხნებიდან და იაფად აძლევს თვისთა წევრთა ყოველ-გვარ საქონელს: იმისთანასაც, რომელიც საქიროა სულ უბრალო, სოფლის მდამიო მუშისათვისაც და ყოველად გამდიდრებელთათვისაც. 2 მილიონის საეაქროსა ჰყიდულობს საზოგადოება და ამ ორის მილიონიდან 600,000 მან. მიდის ყოველ-წლივ მარტო სასუქის სასყიდლად. ლაროშელში, საცა არის გამგეობა საზოგადოებისა, აშენებულია უზარ-მაზარნი სა-

წყობნი სამეურნეო იარაღებისა, თესლეულისა, საბაკალიო სავაჭროსი, სახლის ავეჯისა, ტანთ-საცმელისა და საზოგადოდ ყოველისავე, რაც კი ეჭირვება მიწად-მომქმედს ხალხს. დეპარტამენტის სხვა-და-სხვა ადგილას საზოგადოებას აქვს 33 მაღაზია წვრილად საქონლის გასყიდვისათვის და 7 საწყობი სასუქისათვის; თითოეულს ამისთანა საწყობს განაგებს სპეციალისტი, რომელიც მოვალეა ყოველგვარი დარიგება მისცეს მსყიდველს, იმის შესახებ, თუ როგორ და რა მიწა-მამულისა და ნათესისათვის რაოდენი უნდა იხმარებოდეს იგი სასუქი. თითოეულს საწყობს სასუქისას აქვს რამდენიმე მაშინა და სამეურნეო იარაღი, რომლის ქირით წაღება შეუძლიან მსურველს; არიან აგრედვე ამ მაშინის მოხმარების მკოდნე მუშა-ოსტატნიცა. საზოგადოებას აქვს ლაბორატორია და ჰყავს აგრონომი, აქვს რამდენიმე საცდელი მიწდორი, სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკა და სინდიკატის დახმარებით ჰმართავს ლექციებინს კითხვას მეურნეობისა და სოფლის წარმოების შესახებ. რადგან ხშირია იქ საქონლის ქირი, რომელიც დიდს ზარალს აძლევს სოფელს, საზოგადოებამ შესაძლოდ დაინახა გადაეღო ნაწილი თვისის თანხისა საქონლის დასაზღვევად ქირისაგან. ამ აზრით ჯერ გადაიდა ეს თანხა ახალის 50 ფრანკიანის აქციების დაბეჭდვითა და გასყიდვით. ხოლო რათა ეს საქმე უფრო გავრცელებულიყო და გაძლიერებულიყო და მიეღო ხასიათი სრულის ურთიერთობისა, თითოეული, ვინც აზღვევებს თვისსა საქონელს, მოვალე რყო ეყიდნა თითო აქცია და მისი ღირებული ფული ნაწილ-ნაწილ გადაეხადნა ათის წლის განმავლობაში. საზოგადოების საქმე ისე კარგად წავიდა, რომ 60/0-ს აქციონერებს აძლევს სარგებელსა; ამას გარდა 3—40/0-ს აძლევს დივიდენდსა და პრემიას მომხმარებელთ და კიდევ იმდენს ლონესა ჰპოულობს, რომ ავრცელებს თვისსა ოპერაციებს, ცდილობს მოქმედება მისი გაავრცელოს ახლო-მახლო დეპარტამენტებშიც, ჰმართავს ხორბლის საწყობთა, შეიმუშავა პროექტო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა, მოახერხა, რომ საფრანკეთის ბანკის განყოფილებამ გაანადღოს, ხოლომე თამასუქებო

მისთა წევრთა სინდიკატისა და საკოოპერაციო საზოგადოების თავდებობითა და ცდილობს ახლა კიდევ შეიმუშავოს პროექტი სამიწად-მომქმედო თავ-შესაფარისა და საურთიერთო დახმარების კასისა და პენსიისა მოხუცთა და ქვრივთათვის.

ნიმუშად მოვიყვანეთ ეს კოოპერაცია, რომელიც უფრო დიდის შეძლების პატრონია, უფრო წარმატებულია და რომლის წაბაძვასაც ცდილობენ სხვა ამხანაგობანი, რომ აზრად აქვთ იმათაც განაკარგონ ვითარება წარმოებისა და ნაწარმოების გასაღებისა, გაანთავისუფლონ მიწად-მომქმედი ჩარჩებისა და სოფლის წურბელებისაგან, გააიაფონ ცხოვრება სოფლად, უზრუნველ-ჰყონ ხელ-შეუფელ სტიქიონთა მიზეზით წარმოშობილ უბედურებათაგან და ორიოდ გროშის გადაღების ღონე მისცენ ხელმოკლე კაცს შავისა და ბნელის დღისათვის: ასეთია საკოოპერაციო საზოგადოება მონპელიესა, და ლანგედოკის სინდიკატების კავშირისა, რომელსაც ჰყავს 2,000 წევრი და რომელიც თითქმის 2 მილიონ ფრანკის საქონელსა ჰყიდულობს; ასეთივე საკოოპერაციო საზოგადოებანი სამ-ოთხს სხვა დებარტამენტში კიდევ არის. უმეტესი ნაწილი დიდის შეერთებულ სინდიკატებისა და ადგა საკოოპერაციო გზას ურთიერთის დახმარებისას, ხან, არა იშვიათად, საკოოპერაციო წარმოებისასაც: სხვა-და-სხვა ადგილსა და მაზრაში, იმის-და მიხედვით, თუ რა უფრო საჭიროა, ვახშირებულია ან ერთი და ან მეორე კოოპერაცია, ან კოოპერაცია საქონლის სყიდვისა და გასაღებისათვის, ან საკოოპერაციო წარმოება, როგორც, მაგალითად, რძისა, ხორცისა, ტკბილეულისა და სხვ. ზოგან კიდევ უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს კრედიტის საქმეს, ზოგან ზღვევისა და ურთიერთის დახმარების საქმეს.

მაგრამ სყიდვა და გასყიდვა ამა თუ იმ საქონლისა, დაზღვევა ქონებისა და სესხად აღება ფულისა შეუძლიან მომეტებულ ნაწილად სოფლის მკვიდრთა იმ ნაწილს, რომელსაც აბადია რამე, ესე იგი იმ ნაწილს, რომელსაც აქვს მამული, სახლკარი, ბალ-ბოსტანი, რაიმე სახელოსნო და სხვ. საფრანგეთის დაბა-სოფლად 3 მილიონამდე ბოგანო სცხოვრობს ორისავე

სქესისა, რომელსაც ბინადრობა არა აქვს და სცხოვრობს დღიურის მუშაობითა და ან მოჯამაგირედ ღვომითა. ამისთანა ბოგანო ხალხს გასაყიდი არა აქვს-რა, თვისის მარჯვენის მეტი დასაზღვევიც არა აბადია-რა, თვისის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის მეტი, სესხადაც არავინ არას მისცემს, რადგან არავინ და არა-რა უთავდებებს. ამისთანა ხალხს სულ სხვა-გვარი დახმარება ეჭირვება. ზაფხულში, მართალია, ყოველთვის შოულობს სამუშაოს, ხოლო ზამთრობით მომეტებული ნაწილი ამისთანა ტაბარუკებისა არა იშვიათად რჩება ურაროდ და თავს აფარებს საცოდავს ქოხ-მახებში, სამიკიტნოებში, ხოლო ხან და ხან ჭერსაც ვერა შოულობს, რომ თავი შეაფაროს. მათი შვილები, მცირე-წლოვანი ყმაწვილები ათასობითა და ათი-ათასობით იზრდებიან ღვთის ანაბარად და უპატრონოდ, მოკლებულნი ყოველ-გვარს ყურადღებას; ასი-ათასობით ავად-მყოფნი სოფლად უწამლოდა და უექიმოდ არიან მიტოვებულნი და დიდ-ძალი რიცხვი მოხუცთა და დავრდომილ-დამახინჯებულთა, რომელთაც მთელი თვისი სიცოცხლე მუშაობაში გაუტარებიათ, მოწყალეებსა თხოულობენ და დიდს სიღარიბეში ამოსდით სული. სინდიკატებისა და საზოგადოდ სასინდიკატო წეს-წყობილებას აზრად აქვს გააერთიანოს ყველა წოდებანი და ჯგუფნი სოფლის მკვიდრთა საერთო, საზოგადო, ყველასთვის სანუკარ ინტერესების სახელით, მიიმხროს და მიიკედლოს ყველანი, ვისაც კი კავშირი რამ აქვს მიწად-მოქმედებასთან, გარნა ამისთანავე სინდიკატებივე და მისნი უკეთესნი წარმომადგენელნი უდილობენ ამ დიდს ტკივილსაც სოფლის ბოგანო, ხალხის უზრუნველ-ყოფისას რაიმე წამალი დასდონ, თუმცა კი ცხადად ჰგონობენ, რადგინად ძნელია ეს დიდი საქმე; ცხადად ჰგონობენ, რომ ჩვენ არ ძალ-გვიძს გადავწყვიტოთ ეს სოციალური საქმეო, მაგრამ უდილობენ კი შეუმსუბუქონ მაინც, ცოტად თუ ბევრად, ცხოვრება სოფლის ტაბარუკს ხალხს და მცირე მამულის პატრონს. ამ აზრით, ჰზრუნავენ, რომ სამუშაო არ მოაკლდეს ჯან-საღს მუშას, ხოლო შემწეობა რამ ეძლეოდეს მოხუცსა და ავადმყოფსა.

თხუთმეტზედ მეტს დეპარტამენტში სასარფლო სინდიკატებთან დაარსებულია უკვე საზოგადოებანი ურთიერთის დამხმარებისა და საპენსიო კასები, რომლებიც შემწეობას აძლევენ თავიანთ წევრთ ავთმყოფობასა და მოხუცებაში. ავადმყოფს იმის ნახევარს აძლევენ, რასაც იშოვიდნენ, მუშაობა რომ შესძლებოდათ, ხოლო მოხუცთა—იმის მესამედს, ან მეოთხედს, რასაც იშოვიდნენ მუშაობით, რომ არ მოუძღურებულებოდნენ სიბერეკაცობითა. რადგან სინდიკატებსა და სამუნიციპიო და საკომუნალო გამგეობათა შორის ერთობა და კავშირი სუფევს—მომეტებულ ნაწილად აქაცა და იქაც ერთი და იგივე ამორჩეულნი კაცნი არიან—ამიტომ ზოგიერთი სინდიკატი კომუნის თანხმობით ცდილობს საკომუნო ასე თუ ისე გამოუსადეგარ მიწებზე სრულიად უმამულო ტაბარუკი ხალხი დააბინავოს და მათი შეძენა შეაძლებინოს საკუთრებად. კომმუნებისავე დამხმარებით ზოგიერთმა სინდიკატმა შეიმუშავა პროექტი სოფლის წვრილ-წვრილი მრეწველობის აღდგენის საზოგადოებისა. ეს წვრილ-წვრილ მრეწველობა ჰგავს იმ შინათ-მრეწველობას, რომელსაც რუსეთში მისდევს სოფლის ხალხი ზოგან და რომელიც საფრანგეთში მოსპო საქარხნო მრეწველობამ. ამის გამო იქაური სოფლის ხალხი ხანგრძლივ ზამთარში დარჩა უსაქმოდ და მოაკლდა მცირეოდენი შემოსავალი, რომელსაც შოულობდა ამ გზით. სინდიკატები ცდილობენ, რომ გააჩინონ სოფლად პატარ-პატარა სამრეწველო ჯგუფ-კრებულნი, აძლიონ ფული სესხად და შეამდგომლობა გაუწიონ ქალაქის ვაჭართა და ფირმების წინაშე, რომ მათ მიერ ნაკეთები გაასაღონ. ეს ნაკეთები ხშირად ისეთის ღირსებისა და შნოებისაა, რომ ქარხნის ნაკეთებს არ დაუვარდება. რამდენიმე ამისთანა ჯგუფ-კრებული, ანუ მწარმოებელი ამხანაგობა არსებობს ზემო-მარნის, ინდრასა, ლუარასა და ტურენის დეპარტამენტში და სწნავს ფრიად შნოიანს ხახალ-კალათ-გოდრებს, აკეთებს ხისა და ქაშანურის ჭურჭელს, ჰქსოვს სხვა-და-სხვა გვარ მოსავლებს, ტილოს, ჰქარგავს და ჰკერავს მრავალ გვარს საქარგსა და საკერსა და სხვ. ამ საქმის წარსამატებლად და განსაცხოველებლად

„საფრანგეთის სოფლის მეურნეთა სინდიკატის“ დახმარებით შესდგა კომისია შინათ-მრეწველობის გამოსაკვლევად საფრანგეთში. ზოგიერთმა შეერთებულმა ამხანაგობამ სინდიკატებისა და მათთან დაარსებულმა საკოოპერაციო საზოგადოებამ გადასწყვიტა, ერთი ნაწილი ჩვენის თავისუფალის ფულისა მოვახმაროთ ხოლმე თვითოეულს სოფლის სამმართველოსთან მცირე-წლოვან ობოლთა და მაწანწალათა თავ-შესაფარ და შესავრდომებელ სავანეს დაარსებასაო. სინდიკატები თან პარლამენტის წინაშეც შუამდგომლობენ, რომ ამ სავანეთა დაარსება სავალდებულო იყოს ყოველს სოფელშიო. სინდიკატებისა და მათ შეერთებულ ამხანაგობათა უმრავლესობას დაარსებული აქვთ საკონსულტაციო კანტორებიცა, რომელსაც განაგებენ იურისტები და მკოდნე კაცები; ამათი მოვალეობაა აძლიონ სინდიკატის წევრთ საპროფესსიონალო რჩევა-დარიგება, გაარკვიონ, თუ რამ სადავიდარაბო გაუჩნდათ და ან უსიამოვნება და შეხირება მოუვიდათ, გაუწიონ მედიატორობა და, ერთის სიტყვით, ააცილონ თავიდან სოფლის ხალხს ტყუილ-უბრალო, ადამიანის გამაღარიბებელი ჩივილი სასამართლოებში. ეს სამედიატორო კომიტეტები ყველგან სწორად დააარსეს საფრანგეთის სინდიკატებმა და მალე ფეხიც მოიკიდა ამ შუაკაცობის ინსტიტუტმა. მთავრობის სასამართლოებს მოაკლდა ამის გამო სამი მეოთხედი მაინც საჩივრებისა, რომელიც გლენკაცობაში ხშირად სულ ტყუილ-უბრალო მიზეზით დაიწყება ხოლმე. ესევე კომიტეტები ავრცელებენ ხალხში სწორე და მართალს საიურიდიო მსჯელობას; თუ კომიტეტმა ვერ მოახერხა და მშვიდობით ვერ გაათავა წაკიდებულთა საქმე, იმდენად მაინც გაარკვევენ ხოლმე, რომ სასამართლოს ძლიერ უაღვილდება მისი გადაწყვეტა. თუ ვინიცობაა მომჩივანი ძლიერ ლარიზია და სიმართლე კი მისკენ არის, კომიტეტი უფასოდ ჰტვირთულობს მის დაცვას სასამართლოში.

ამ სახით, სასინდიკატო ორგანიზაცია მეურნეთა და მხენელ-მთესველთა საფრანგეთში არის ფრიალ დიდი, ვრცლად-დაწყებული, თამამად ფრთა-გაშლილი ცდა და გარჯა საზოგადოები-

სა, რომ იქნება უფრო წესიერად მოვაწყო საეკონომიო ურთიერთობა ღაბა-სოფლად, უფრო კარგი ვითარება გავაჩინო ცხოვრებისა სოფლის ხალხისათვის და უფრო მეტის სამართლიანობით დავაკმაყოფილო მისი საჭიროებანიო, ისე კი რომ დღევანდელი საეკონომიო წეს-წყობილება, დამყარებული უსწორმასწორობაზედა და ქონებათა უსამართლოდ განაწილებიზედ, არ დაირღვეს, ისევე დარჩესო. ამ საქმის მოთავეთა და თაოსანთა სანხელმძღვანელო აზრი ის არის, რომ ასეთი გარჯა თვით ჩვენც მოგვიხდება, რადგან ჩვენც საშიშროებაში ჩავცვივით, თუ განმარჯვა სოციალ-რევოლუციის პრობაგანდამა და მდაბიო ღარიბ-ღატაკმა ხალხმა გული აიყარა დღევანდელს წეს-წყობილებაზედაო. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით კიდევ ამ მეთაურთა და თაოსანთა ასულდგმულებს აზრი კაცთ-მოყვარობისა და ის ფიქრი, უკვე თან-და-თან გაძლიერებული საფრანგეთის ბედის გამგეთა შორის; რომ სამართლიანობა მოითხოვს წილი დაუღოთ კულტურის სიკეთეში ყველას თანაბრად; რომ გონებრივი უპირატესობა, ხელმწიფება და სიმდიდრე გვავალებს თითოეულს ცალკე და მთელს კრებულს საზოგადოდ ერთი წილი ჩვენი ძალ-ღონისა და თავისუფალის დროსი შევსწიროთ გონებითა და ქონებით დაჩაგრულ, უკან ჩამორჩენილ ხალხის ამაღლებასა და გაადამიანებასაო. აზრი ძმობისა და ერთმანეთობისა ყველა წოდებათა შორის თან-და-თან ფესვებს იდგამს საფრანგეთის ინტელიგენციაში და უკვე ცოტა აღარ არის ინტელიგენტებში მკურნალი, იურისტი, აგრონომი, ფინანსისტი ტენიკოსი, სოვდაგარი, მემამულე და სხვანი, რომელნიც აღარ სჯერდებიან კარგის ჯამაგირიან ადგილის შოვნასა და სიმდიდრის შეძენასა და ჰგრძნობენ სულიერს წყურვილს იმისას, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ნიჭი და ცოდნა მოვახმაროთ ხალხს და იმას ვუშველოთო. ამ აზრით გატაცებლნი სახლდებიან მუშათა უბნებში, მიყრუებულ სოფლებში, გადაკარგულ, მივარდნილ ადგილას. ესეც იმ გვარი, მდაბიო ერის სამსახურის აზრებია, რომლის შესახებაც ისე ბევრსა და ისეთის ბუნდოვანობით ლაპარაკობენ რუსეთში. ფრანგები მომეტებულ ნაწილად მოსაქმე და

ცხოვრების მცოდნე ხალხია და ამიტომ ეს აზრები იმათ იმ სა-
 მისტიკო სურვილად კი არ გადაექცათ, აბა ჩვენც გავმდაბიოვდეთ,
 გავტეტიავდეთ, დავთრგუნოთ ჩვენი ცნობიერი და შეგნებული
 ბუნება და გავიქნათ გაუნათლებელთა უსწავლეელთა სიმრავ-
 ლეშიო. პირ-იქით, იმათი სურვილი ის არის, რომ მდაბიოთა
 სიმრავლე აღვამაღლოთ კულტურულის ყოფა-ცხოვრების სრ-
 მალღემდვო, შევწიროთ იმას ყოვლადივე ჩვენი ცოდნა და გამო-
 ცდილება, შევიძინოთ ქონება და საცხოვრებელი, ავამაღლოთ
 მისი ადამიანობა, რომ ისიც ჩვენი ტოლი იყოს ყველაფრითაო,
 ტოლი და სწორი იყოს არა მარტო სიტყვით, საქმითაც, არა
 სახელითა, სახრავითაც და არც ჩვენ დავკარგოთ უფლება ფიქრისა
 და მსჯელობისა, განვითარებისა და ყველა იმ უნარის გამოჩენისა,
 რა უნარის გამოჩენაც შეუძლიან ცნობიერსა და გონიერს,
 სულით ნაწურთნს ადამიანს, იმ ნაირს ადამიანს, რომელიც
 შეპქმნა დღევანდელმა ცივილიზაციათაო.

სასინდიკატო ორგანიზაცია სოფლის ხალხისა ვრცელი
 ახპარეზია ამისთანა მოღვაწეობისათვის.

(Faint, illegible text)

... ურდამდეც სიბიძე თითოეულ ხელში უკანონო თამაშს...
... თითოეულს ცივილიზაციის განვითარებაში...
... მისი უმეტესობა...
... თითოეული...
... თითოეული...

რ ძ მ

III*)

რძის გამოსავლენის საშუალებანი

ხშირად საჭიროა რძის შედგენილების ცოდნა როგორც იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა გამოსავალი ექნება ან ერბოს ან ყველს, ისე იმისთვისაც—სალი და ნორმალურია, თუ გაყალბებულია რაიმე უცხო სხეულის შერევით და ან ნაღების მოხდით. როგორც მყიდველისათვის, ისე თვითონ გამყიდველისათვისაც საინტერესოა ცოდნა რძის ღირსებისა და ნაკლებიდან. ყოველ მასალის რიგიანად და სარგებლიანად მოხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამ მასალის ვითარება კარგად არის გაგებულ. ამისათვის ვეცდები გავაცნო მკითხველებს ყველა ის საშუალება, რაც მეცნიერებას შეუძენია რძის გამოსაკვლევიად. მაგრამ ვიდრე ამ საგანზე დავიწყებ ლაპარაკს, ურიგო არ იქნება ისიც ვიცოდეთ, რომ რძეს ერთგვარი მომზადება უნდა გამოკვლევამდე, გამოკვლევის დაწყებამდე.

როგორც უკვე ვიცით, რძე ერთგვარი სხეული არ არის; რძეში რამდენიმე სხვა-და-სხვა გვარი ნივთიერება არის, რომელთაც ერთგვარი თვისება და ერთგვარი ხასიათი არა აქვთ; ზოგი მათგანი წყალში იხსნება, როგორც შაქარი, მარილები და ერთი ნაწილი ხაჭოსი; ზოგი კი მხოლოდ ტივტივებს რძე-

*) «ზოამბე» № III.

ში და ამათ შორისაც ზოგი წყალით არის გაყენებული, როგორც ბევრი ნაწილი ხაჭოსი, და ზოგიც სრულიად განცალკევებულია, როგორც ერბოს წვეთები. ამ უქანასკნელ სხეულთა შორის ის განსხვავებაც არის, რომ მათი საკუთარი სიმძიმე ანუ მათი სიმჭირხნე ერთმანეთზე დაშორებულია. ამის გამო ცოტა ხნის შესვენებით რძე ჰკარგავს თავის ერთგვარობას, მისი შემადგენელი ნივთიერებანი შორდებიან ერთმანეთს, ცალკეედებიან: ერბო პირზე ექცევა რძეს, ნალეზად იქცევა და ცოტაოდენი ხაჭოც ილექება. ამის გამო ქურჭლის ძირში რძე ისე სუქანი აღარ იქნება, როგორც მოწველის დროს და ნალები ხომ ბევრად გადააქარბებს თავის სისუქნით.

ამისათვის პირველი და უმთავრესი პირობა ნამდვილის რძის შედგენილების გაგებისა ანალიზით და გამოკვლევით არის საანალიზო ნიმუშის კარგად აღება; საანალიზოდ აღებულ ნიმუშის შედგენილება სრულიად უნდა მიემსგავსებოდეს რძის შედგენილებას, მაშასადამე, მისი საშუალო ნიმუში უნდა იყოს. თუ საანალიზოდ ავიღებთ ან ზედაპირს ან ძირისას და ან შუაგულს, მაშინ არც ერთი მათგანი ნამდვილის რძის შედგენილებას არ გვიჩვენებს; მათ შორის დიდი განსხვავება იქნება და, მაშასადამე, ამგვარი გამოკვლევა შეცდომას დაჰბადებს და, სარგებლობის მაგივრად, დაგვაზარალებს. ამის გამო გამოსაკვლევი რძე საფუძვლიანად უნდა შეინჯდრეს და აწიას.

ანალიზის წინად რძის შენჯღრევისა და არევის საჭიროების შესაგნებად მოვიყვან აქ გიუგო შულცის გამოკვლევას ბრანსვეიგში. ამ სწავლულმა მოწველილი რძე (25 ლიტრი) კარგად აურიო, აიღო ნიმუში გამოსაკვლევად და დანარჩენი კი სოფლიდან ქალაქში გაჰზავნა. აღებული ნიმუში ადგილობრივად იყო გამოკვლეული. ქალაქში გაგზავნილი რძე მივიდა ადგილს ორს საათს შემდეგ და მაშინვე განაწილებული იყო ქურჭლის სიმაღლის დაგვარად კეც-კეცობით რამდენსამე ნაწილად; ქურჭელს ძირში გაკეთებული ჰქონდა ონკანი, ამ ონკანის შემწვობით შულცმა სხვა-და-სხვა ქურჭელში გამოუშვა თითქმის ერთგვარი საწყაო და ამ რიგად ეს რძე ექვს ნაწილად გაჰყო.

იმის მიუხედავად, რომ გზაში რძე მაინც ინჯღრეოდა, ამ ნაწილებში ერბოსა და ექსტრაქტის სხვა-და-სხვა რაოდენობა აღმოჩნდა. აი მათი შედგენილება:

	რძის წონა,	მისი სიმკვრი- ბნე.	ექსტრაქტის რაოდენობა %.
ზედაპირის რძე	3841 გრ.	1,0275	17,88 %
ამის ქვეითი	4409 —	1,0350	11,65 —
შმის ქვეითი (მესამე კეცი)	4441 —	1,0340	11,26 —
მეოთხე კეცი	4126 —	1,0355	11,28 —
მეხუთე კეცი	4193 —	1,0340	11,25 —
უკანასკნელი კეცი, ძირის რძე	4106 —	1,0355	10,75 —
წინა აღებულ ნი- მუშს, ქალაქში გამო- გზავნის დროს, ჰქონდა	— —	1,0295	12,34 —

აქედან ცხადია, რომ რძე ჭურჭელში ჩასხმის შემდეგ ძალიან განაწილდა, ნაღები ბევრი მოიგდო პირზე. როგორც ვხედავთ, ზედაპირში 17,88% ექსტრაქტია და ძირის რძეში კი მხოლოდ 10,75%. არც ერთი ამ ნაწილებისა აღარა ჰგავს თვისის შედგენილებით იმ რძეს, რომელიც სოფლიდან იყო გამოგზავნილი; ზოგი მათგანი სუქანია, ბევრი ერბო აქვს და ზოგი კი ძალიან მკლეა, თითქმის ერბო აღარა აქვს. მაშ უეჭველად საჭიროა საანალიზოდ ნიმუშის აღების დროს რძე კარგად შეინჯღრეს და აირიოს.

რძის გამოკვლევის დროს ორ მხარეს უნდა მივპყრას ყურადღება: ა) ჯერ უნდა გამოიკვლიოს ურთიერთი რაოდენობა რძის შემადგენელ ნიეთიერებათა შორის და განსაკუთრებით ერბოს რაოდენობა და ბ) უნდა გაისინჯოს—რძე ნორმალური შედგენილებისაა, თუ აქვს რამე უცხო შერეული, ე. ი. რძე გაყალბებულია თუ არა.

ა) ნორმალურის რძის გამოსაკვლევინი საშუალებანი.

რძის მრეწველობაში მარტო ქიმურ შედგენილების ცოდნას არა სჯერდებიან, საჭიროა აგრედვე იმის ცოდნაც, თუ როგორ ნაღებს იძლევა რძე და ან რამდენს ერბოს. როგორც ქვეით ვნახავთ, ხშირად ძალიან სუქანი რძე ცოტა ნაღებს და ერბოს იძლევა და, მაშასადამე, მარტო ერბოს რაოდენობის ცოდნა არა არის საკმაო; რძე უნდა გამოკვლეულ იქმნას, მისის შედგენილების გარდა, იმ მხრითაც, რა დანიშნულებაც აქვს მრეწველობაში: თუ ერბოდ გადასაკეთებელია, ამ ერბოს თვისების ცოდნა არის საჭირო; თუ ყველად არის გასაკეთებელი, — ხაჭოს რაოდენობისა და თვისებისა. მაგრამ რადგანაც ერბოა უმთავრესი და უფრო ძვირფასი ნივთიერება, რადგანაც ერბოს რაოდენობაზეა დამოკიდებული თითონ რძის ღირსება, ამისათვის რძის ამ მხრით გამოკვლევას პირველი ადგილი უჭირავს მრეწველობაში და ერბოს რაოდენობაზეა დამოკიდებული თითონ რძის ფასიც.

რძის გამოსაკვლევად მრავალ საშუალებას ჰხმარობენ, რომელთა შორისაც ზოგი ფიზიკური და მექანიკურია და ზოგიც ქიმიური.

თითქმის ყველა ფიზიკურ საშუალებას სახეში აქვს ერბოს რაოდენობა, რადგანაც ამის ცოდნა ხშირად საკმარია და კიდევ სჯერდებიან ამ ცოდნას იმ მოსაზრებით, რომ რამდენადც რძეში ბევრია ერბო, იმდენად რძე კარგია, იმდენად უფრო ბევრი იქნება სხვა ნივთიერებაც, როგორც ხაჭო, შაქარი, ექსტრაქტი და სხვანი.

ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ყველა ფიზიკური საშუალება მხოლოდ ვარაუდზეა აგებული; ნამდვილ ნივთიერებათა რაოდენობას კი არ გვიჩვენებს, არამედ სინამდვილედ ზედ კარგა დაახლოვებულს, და თუ ამის მიუხედავლად ეს საშუალებანი მაინც ძალიან გავრცელებულია, ამის მიზეზი ის არის, რომ ადვილი და ჩქარი შესასრულებელია და მათის შე-

მწეობით ნავარაუდები რაოდენობა ისეა დაახლოებული, რომ ბევრს შემთხვევაში სრულიად საკმარისია. აი რა და რა საშუალებებანია იგი საშუალებანი:

1) ნაღების რაოდენობის შეტყობა. ნაღების რაოდენობის შესატყობად ხმარობენ სხვა-და სხვა საშუალებას და სხვა-და-სხვა ჭურჭელს, რომელთა შორისაც უფრო გარცელებულია:

კრემომეტრი (ნაღების რაოდენობის ამზომი ჭურჭელი). რძე რომ რამე ჭურჭელში ჩაეახათ და რაოდენსამე ხანს დავსტავოთ ხელ-უხლებლად, უმეტესი ნაწილი მისი ერობს წვეთებისა რძის პირას ამოვა და თან ამოიტანს ცოტაოდენს ხაქოსაც (რძესაც) და ერთკეცად მოგროვდება. ასე პირზედ მოგროვილ ერობს, რძეში არეულს, ნაღებს ეძახიან ¹⁾). ძველად ამ ნაღების რაოდენობით სარგებლობდნენ რძეში ერობს რაოდენობის შესატყობად; ეგონათ, რომ ნაღებისა და ერობს რაოდენობის შორის რაიმე მტკიცე დამოკიდებულებაა და ამ ნაღების რაოდენობის მიხედვით ანგარიშობდნენ ერობს რაოდენობას იმ რძეში. სამწუხაროდ, ეს მართალი არ გამოდგა. ნაღების ტანი ანუ მისი რაოდენობა დამოკიდებულია ბევრს სხვა-და-სხვა გარემოებაზე: ნაღების რაოდენობაზე დიდი და შესამჩნევი გავლენა აქვს სითბოს: ცივი რძე გრილ ადგილს შენახული უფრო ბერ ნაღებს იგდებს, ვიდრე იგივე თბილი და თბილ ადგილს შენახული; ხშირად ისიც მოხდება, რომ ამ ორ გარემოებაში მოხდომილ ნაღებ შორის ის უფრო სუქანია, რომელიც ცივ ადგილას იქნა მოგდებული. ამას გარდა, ნაღების

¹⁾ ჩვენში ნაღებს ჰხდიან აღუღებულ რძეს და ამის გამო ჩვენებურ ნაღებში უფრო ბევრი ხაქო ურევია და მეტადრე ისეთი ხაქო, რომელიც დუღილით გასქელებულია, გამაგრებული, აღარ არის აბუბკებული და ისე აღარ იღვსება წყალში, როგორც ჩვეულებრივი, ნორმალურ მდგომარეობაში ყოფი ხაქო; ჩვენებური ნაღები საღებია, მაშასადამე, ხაქო გამაგრებულია. ყველა იმ ქვეყნებში კი, სადაც რძის მრეწველობა მაღალ ხარისხზე სდგას, და სადაც დიდი და განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ერობს მოშადებას, იქ ნაღებს აღუღლად, უმ რძეს ჰხდიან და ამის გამო ამ ნაღებს უფრო ნაზი გემო აქვს და ნაზს და არომატიანს ერობს იძლევა,

რაოდენობაზე დიდი გავლენა აქვს თითონ ხაჭოს მდგომარეობას: წინა წერილიდან უკვე ვიცით, რომ ხაჭო რძეში მთლად გახსნილი არ არის—მეტე მისი ნაწილი მხოლოდ გავლენითილია, ასე ესთქვათ გაბუბკავებული. რძის გაცხელებით ანუ გათბობით ზოგი ნაწილი ამ ხაჭოსი ჰკარგავს ამ თვისებას, უფრო სქელდება და ისე აღარ არის რძესთან შეღვსილი, როგორც აღუდებულ რძეში. ამას გარდა, ისიც არის მოსალოდნელი, რომ სხვა-და-სხვა ძროხის რძეში ეს ხაჭო სხვა-და-სხვა მდგომარეობაში იმყოფებოდეს და ამასთან ზოგ რძეში ბევრი იყოს, ზოგში ნაკლები; ზოგში უფრო კარგად იყოს შეღვსილი და ზოგში კი არა. რამდენადაც რძეში ხაჭო ცოტაა და რამდენადაც ამ ხაჭოს თვისება წყალში გახსნილ მდგომარეობას მიემსგავსება, იმდენად ადვილი იქნება ერბოს წვეთების ანუ ერბოს ბურთების პირზე ამოსვლა. პირიქით, რამდენადაც რძეში ბევრი ხაჭოა და რამდენადაც მისი თვისება შედედებულ მდგომარეობას მიუახლოვდება, რამდენადაც რძე სქელია და წებოვანი, იმდენად გაძნელებული იქნება ნაღების მოგროვება, ერბოს წვეთების გამოცლა და ზედაპირზე ამოსვლა. ამის გამო ხშირად მოხდება, რომ ორი რძე, რომელთა ერბოს რაოდენობა ძალიან დაახლოვებულია, სხვა-და-სხვა ტანის ნაღებს იძლევა მათი ხაჭოს მდგომარეობის ზედმოქმედებით.

ნაღების რაოდენობაზე არა მცირედი გავლენა აქვს რძეში თვითონ ერბოს რაოდენობასაც: ის რძე, რომელიც უფრო სუქანია, რომელიც უფრო ბევრ ერბოს შეიცავს, ნაღებსაც უფრო ერბოიანს მოიგდებს, მისი ნაღები უფრო მდიდარი იქნება ერბოთი და ამის გამო თვითონ სუქანი რძის ნაღების ტანი უფრო მცირე იქნება, თუ, რასაკვირველია, ამ ტანს ერბოს რაოდენობაზე გამოვიანგარიშებთ. მაშასადამე, შესაძლებელია მკლე და მსუქანმა რძემაც ერთის ტანის ნაღები გაიკეთოს (აქ განსხვავება მხოლოდ ერბოს რაოდენობაში იქნება).


ამ მიზეზების გამო ნაღების რაოდენობაზე გამოანგარიშებული ერბოს რაოდენობა ყოველთვის ნამდვილი არ იქნება; ამ საფუძველზე დაფუძნებული სჯა ხშირად შეცდომას გამოიწვევს.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვან აქ კირხნერის გამოკვლევას ერთისა და იმავე ძროხების რძეზე შესახებ ნაღების რაოდენობისა:

1879 წ., 6 მარტს დილით მო-	ექსტრაქტს %	ერბოს %	ნაღებს %
წველილი რძე შეიცავდა	11,94 —	3,046 —	8 —
ამავე დღეს საღამოს	11,07 —	3,044 —	6 —
7 მარტს დილით	11,32 —	3,028 —	10 —
ამავე დღეს საღამოს	11,68 —	3,013 —	7 —

როგორც ვხედავთ, ოთხსავე რძეში ექსტრაქტისა და ერბოს რაოდენობა ძალიან დაახლოვებულია ერთმანეთზე და ამის მიუხედეველად ნაღები კი სხვა-და-სხვა რაოდენობისა მოგროვებულია.

ამის მიუხედეველად მრეწველობასა და ოჯახობაში დიდად გავრცელებულია ერთგვარი ჭურჭელი, რომლის შემწეობითაც შეიძლება ნაღების რაოდენობის შეტყობა; თუმცა მისი ხმარებით ერბოს რაოდენობას ვერ შევიტყობთ და, მაშასადამე, ამ მხრით ბევრის სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, მაგრამ თითონ ნაღების რაოდენობის შესატყობად კი გამოსადეგია და ამისათვის ხშირადაც ხმარობენ. ეს ჭურჭელი მოგონილია შვეალიესგან (Chevalier) და წარმოადგენს ჭიქის ვიწრო და მაღალ სტაქანს (სურათი 8), რომელსაც სიმაღლე 20 სანტიმეტრი აქვს და სიგანე მხოლოდ 4 სანტიმეტრი. გარედან ამ სტაქანს ნიშნები აქვს დასმული (ხაზებით და ციფრებით), რომელიც მოგროვილ ნაღების რაოდენობას უჩვენებს—თითო ხაზი თითო მესედს (1/3) უჩვენებს. ნაღების ტანის შეტყობა ადვილია, რადგანაც ნაღებს მოყვითანო ფერი აქვს და ნაღებ-მოხდილს რძეს კი მოლურჯო. იმ ნიშნამდინ, სადაც



სურათი 8. შვეალიეს კრემომეტრი.

1:0 უზის ამ ჭურჭელში ეტევა 150 კ. ს. (1 1/2 დეციმეტრი) და

იქამდინ, სადაც $0-166^2/3$ კ. ს.; ამ ჭურჭელს ნაღების მზომელს ეძახიან (Cremomètre).

აი როგორ სარგებლობენ ამ ჭურჭლით ნაღების რაოდენობის შესატყობად: კარგად შენჯღრეულს და კარგად არეულ რძეს ჩაასხამენ ამ სტაქანში, ისე რომ იმისი პირი 0 ნიშანთან იყოს და გრილ ალაგას შეინახავენ (ტემპერატურა 15° უნდა იყოს); ერთი დღე და ღამე ხელ-უხლებელი უნდა იდგეს, სრულებით არ შეირხეს. ამის შემდეგ გასინჯავენ, რა ტანიცა აქვს რძის პირას მოგროვილ ნაღებს და ის იქნება ამ ნაღების რაოდენობა რძეში; მაგ. თუ ნაღებს 12 ხაზი ანუ ნიშანი უჭირავს, მაშინ ამ რძეში 12% ნაღები იქნება.


საზოგადოდ რძე 10% ნაღებს იძლევა ამ გარემოებაში, თუმცა კი ზოგიერთ შემთხვევაში $20-30\%$ -დინ აღის და ზოგიერთში კი $5-6\%$ დაიწევს.

ნაღების რაოდენობის შესატყობად ხმარობენ აგრედვე ერთგვარ მანქანას, რომელიც აშენებულია შემდეგ პრინციპზე: თუ ხელში გვიჭირავს რამდენიმე სხეული, მაგ. ტყვია, აგური და ხის ნაჭერი, რომლებსაც დაახლოვებით ერთგვარი ტანი აქვთ და სამივეს ერთად შორს გავისვრით, გავტყორცნით, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ ის სხეული უფრო შორს გაიტყორცნება, რომელიც უფრო მძიმე იყო და ყველაზე ახლო ის დაეცემა, რომელიც მათ შორის ყველაზე სუბუქი იყო, თუმცა კი სამივე სხეულის გასასროლად ერთგვარი ძალა ვიხმარეთ, ერთ დროს და ერთის ხელით გავტყორცნეთ. ესევე მოხდება, თუ ამ სხეულებს, გატყორცნის მაგივრად, ჩაყვრით რამე ჭურჭელში და დიდის სიჩქარით ჩვენს გარეშე მო დავატრიალებთ. ავიღოთ, მაგალითებრ, ჭიქის ვიწრო სტაქანი, რომელსაც პირში ყური აქვს მიბმული, შიგ ჩაყვაროთ ერთად არეული საფანტი, ქვიშა და ფიცრის ნახერხი, ყურში ამოვავათ მაგარი ბაწარი, ამ ბაწარის მეორე ბოლო ხელში დავიჭიროთ და ჩვენ გარეშე დიდის სიჩქარით დავატრიალოთ, თავს შემოვივლოთ. ამგვარი ტრიალის დროს შევნიშნავთ შემდეგს: ერთად არეული სხეულები განაწილდებიან: საფანტი სტაქნის ძირში

მოექცევა, ქვიშა შუაში და ნახერხი კი პირზე. ამასევე ვნახავთ, თუ სტაქანში სხვა-და-სხვა სიმჭირხნის ჩინტ სხეულებს ჩავასხამთ, ერთად არეულს, ვსთქვათ ვერცხლის წყალს, წყალს და ზეთს და ამავე გვარად დავატრიალებთ: ვერცხლის წყალი ძირში მოექცევა, წყალი—შუაში და ზეთი კი—პირზე. ეს მოვლენა ფიზიკაში კარგად არის ახსნილი და ჰქვიან ძალა ცენტრ-მიზიდვისა და ცენტრ-ლტოლვისა (центро-стремительная). ამ კანონის ძალით მძიმე სხეული ცენტრს უფრო შორდება, ვიდრე მსუბუქი, რომელიც თითქო უახლოვდება ამ ცენტრს. როგორც ვიცით, რძეშიც არის სხვა-და-სხვა სიმძიმის სხეულები: ერბო უფრო მსუბუქია, ვინემ წყალი და ხაქო; ამის გამო თურძეს ჩავასხამთ ამ გვარადვე სტაქანში და ღიდის სიჩქარით დავატრიალებთ, რძეც განაწილდება, მისი შემადგენარი ნივთიერებანი გაცალკევდებიან და ნაღები სტაქანის პირას მოგროვდება, ხოლო ნაღებ-მოხდილი რძე კი—სტაქანის ძირში.

ამ პრინციპზე არის აშენებული სხვა-და-სხვა სახის მანქანები, რომელთაც ცენტრიფუგებს ეძახიან; ეს მანქანები ეხლა ძრიელ არის გავრცელებული რძის მრეწველობაში და ყოველ სარძევეებში მათის შემწეობით რძეს ნაღებსა ჰხდიან ერბოს მოსამზადებლად. ჩვენ ამ მანქანებზე შემდეგ გვექნება გრცლად ლაპარაკი და ახლა კი მხოლოდ იმას ავწერთ, რომელიც ნაღების რაოდენობის შესამოწმებელია. ამისთვის ხმარობენ ფიორდის (Fjord) მანქანას, რომელიც ღიდად გავრცელებულია დანიაში, შლეზვიგ-გოლშტინიაში და რომლის შემოწეობითაც მრავალი რძის ერთად (196) გამოკვლევა შესაძლებელია. ამის მაგიერად მოგვყავს აქ სურათი ლანგეს ვერედ-წოდებულ ვიკტორია-ცენტრიფუგისა (Victoria-Centrifuge Von D-r G. Lange). მისი აგებულება სურათიდან ცხადად სჩანს (სურათი 9). ეს სურათი წარმოადგენს მანქანას სიმალეზე შუაზე გაჭრილს. აქ ვხედავთ ყირაზე დაყენებულ ღერძს (1), რომელსაც ზემოთა ბოლოზე ჩამოკმული აქვს კარგა განიერი თეფში (2) და ამ თეფშს ირგვლივ 8 კავი აქვს (3). ღერძის ქვეითი ბოლო ჩამდგარია ორკაპის შუაგულას გაკეთებულ საქუსლეში (4) და

ცოტა ზემოდ ჩამოცმული აქვს კბილჩოლორა ხრახნილი ბორბალი (5), რომელიც აქვე მყოფ ყირაზე დაყენებულ ბორბალის



სურათი 9.

ლანგეს ვიკტორია-ცენტრიფუგი.

შემწეობით შეიძლება დატრიალდეს. ამ დიდ ბორბალს (6) თავისი ღერძი აქვს (7) და ტარი (8). ღერძის თავი თვისის თევზით ჩამაგრებულია პერანგში (9), რომელსაც თვისი სახურავი (10) აქვს. თევზის კავებზე ჩამოკიდებულია რვა გძელი ლითონის მილი (11), რომელთაც ბოლო შეძერწილი აქვთ და პირში კი—ყურები კავებზე ჩამოსაკიდებლად. ამ მილებში არის ჩადგმული კრემომეტრის დაგვარი ჭურჭლები, რომლებსაც ყველი შევიწროებული აქვთ და ნიშნებით განაწილებული; თითო კრემომეტრში ჩადის 50 კ. ს. ლძე.

აი როგორ მოქმედობს ეს ცენტრიფუგი: ჯერ კრემომეტრში ჩაასხამენ კარგად არეულ რძეს, თუ ერთი რძე არის. გამოსაკვლევი (თუ მეტი ნიმუშია, მაშინ ყველა კრემომეტრს დანიშნავენ; თუ რომელიმე ცარიელი დარჩა, იმაში წყალს ჩაასხავენ, რომ ცენტრიფუგმა კარგად იტრიალოს), სახურავს დაკ-

ზურავენ და დიდის ბორბალის ტარს დაატრიალებენ; ეს ბორბალი პატარა ბორბალსაც დაატრიალებს და ამასთან ღერძსა და თეფშსა მასზე ჩამოკიდებულ კრემომეტრებით. ვიდრე ცენტრიფუგი არა ტრიალებდა, კრემომეტრები თავიანთის ყბებით, რასაკვირველია, ჩამოკიდებულნი იყვნენ, როგორც ხაზ-წყვეტილი უჩვენებს (12) და დატრიალების შემდეგ კი სხვა მდგომარეობას მიიღებენ, დაწოლილ მდგომარეობას (13). ღერძი ძალიან ჩქარა უნდა ტრიალებდეს, არა ნაკლებ 1500—1800 უნდა შემოტრიალდეს თითო წუთში. ამგვარის ტრიალით ნაღები გამოეცლება რძეს და კრემომეტრის შევიწროებულ ყელში მოგროვდება. ამ ნაღების რაოდენობას 2 გაამრავლებენ (რადგანაც 50 კ. ს. იყო აღებული) და პირდაპირ % იქნება.

ამ მანქანების ფასი სხვა-და-სხვა არის; თუ უპერანგოა, მაშინ 30—40 მანეთი ჰქირს და თუ პერანგიანია, მაშინ 100 მანეთამდინ აღის.

ამგვარის მანქანით უფრო გაადვილებულია ნაღების რაოდენობის შეტყობა და ამასთან ძალიან ჩქარაც შეიძლება შეიტყოს კაცმა შესატყობი, სულ რამდენისამე წუთის განმავლობაში. ამას გარდა, ამას ის ღირსებაცა აქვს, რომ ამგვარად მომზადებულ ნაღებში ერბოს რაოდენობა თითქმის ერთგვარია, ისეთი დიდი განსხვავება აღარ არის სხვა-და-სხვა რძის ნაღების შედგენილებაში, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ შევალის კრემომეტრით გამოკვლევის დროს.

2) ფეხერის ღაჯტოასკოპა. რძის მრეწველობაში ხშირად ჰხმარობენ ერბოს რაოდენობის შესატყობად ერთგვარ საშუალებას, რომელსაც ოპტიკურ საშუალებას ეძახიან და რომელიც, სამწუხაროდ, ერბოს ნამდვილ რაოდენობას ვერ უჩვენებს. ამის მიუხედავად ჩვენ მაინც ორიოდ სიტყვით მოვიხსენიებთ, რადგანაც ბევრ ადგილებში ხშირად ჰხმარობენ. აი ამ საშუალების საფუძველი:


როგორც ყველამ იცის, რძე გამჭვირვალი არ არის. რძის ამ თვისების მიზეზად წინად მარტო ერბო ეგონათ. რადგანაც ერბოს ბურთები ანუ წვეთები რგვალი, სფეროს ფორმისანი

არიან, ამისათვის ისინი ნებას ჯრ აძლევენ, რომ სინათლის სხივებმა შიგ გაიარონ; ყოველ სხეულს სფეროს ფორმისას ეს თვისება აქვს; მაგ. ბურუსი, როგორც ვიცით, წყალია პატარა-პატარა სფეროებად განაწილებული და ამისათვის ბურუსიან დღეს მზე არა სჩანს; მაშ ყოველი სხეული სფეროს მდგომარეობაში უკუაქცევს სინათლის სხივებს. რადგან რძეში მრავალია, თითქმის უთვალავი, ამ ერბოს სფეროები, ამისათვის რძეში თითქმის სინათლის სხივი არ გადის, რძე გამჭვირვალი არ არის. აქედან ის აზრი დაასკვნეს, რომ ვითომ რამდენადაც რძეში ბევრი იქნება ერბო, იმდენად არა-გამჭვირვალი იქნება. მართლა-და, ნაღებ-მოხდილი რძე, რომელსაც გამოცლილი აქვს ბევრი ნაწილი ერბოს სფეროებისა, უფრო გამჭვირვალია, ვიდრე ნაღებ-მოუხდელი. ამისათვის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რძის გამჭვირვალობის ხაზისის შეტყობით ერბოს რაოდენობის შეტყობაც შეიძლება ამ რძეში. სამწუხაროდ, ყველა ეს მოსაზრება მართალი არ გამოდგა, დაფუძნებულია ცრუ საფუძველზე და აი რისთვის:

რძის არა-გამჭვირვალობა დამოკიდებულია არა მარტო ერბოს რაოდენობაზე, არამედ იმაზედაც, თუ რამდენად დაწვრილებულია რძეში ერბოს წვეთები; დამოკიდებულია ერბოს სფეროების სიდიდესა და სიპატარავეზე; რამდენადაც დაწვრილმანებულია ეს სფეროები, ანუ რამდენადაც ერთი და იგივე რაოდენობა ერბოსი ბევრ სფეროებად არის დანაწილებული, იმდენად რძე უფრო არა-გამჭვირვალია. თუ ავიღებთ ორის ძროხის რძეს, რომელთა ერბოს რაოდენობაც ერთგვარია, მათში ეს რძე უფრო არა-გამჭვირვალი იქნება, რომელშიაც ერბოს სფეროები უფრო წვრილმანებია, ანუ რომელშიაც ერბოს წვეთები უფრო მრავალია. ამასთან ესეც ხომ ვიცით, რომ სხვა-და-სხვა ჯიშის ძროხის რძე სხვა-და-სხვა ტანის ერბოს სფეროებს შეიცავს.

ამას გარდა, რძის არა-გამჭვირვალობა დამოკიდებულია აგრედვე ხაჭოზედაც, რაც ბევრის სწავლულისგან არის შენიშნული; თუმცა ხაჭოს სფეროს მდგომარეობა არა აქვს, მაგრამ თითონ ნივთიერება, ხაჭო გამჭვირვალი არ არის და რძესაც ამავე თვისებას აძლევს. აქედან ცხადია, რომ ამ საოპტიკო მოვლენაზე, არა-გამჭვირვალობაზე დაფუძნებული რძის გამოსაკვლევი საშუალებანი ღირსნი არ არიან ყურადღებისა და მათის

შემწეობით ნაჩვენები ერბოს რაოდენობა ნამდვილი არ არის. თუ ამის მიუხედავად ამ საობტიკო მოვლენაზე დაფუძნებული რძის გამოსაკვლევი მანქანები მაინც გავრცელებულია, ამის მიზეზი იქ უნდა მოეძებნოს, რომ მათი ხმარება ძალიან ადვილია, მათი მოხმარება ყველას შეუძლიან; მათის შემწეობით ნაჩვენები ერბოს რაოდენობა ნამდვილი არ არის, მხოლოდ დაახლოვებულია და ხშირად ამას სჯერდებიან. ამის გამო ჩვენ აქ არ ავწერთ მრავალ იმ მანქანებს, რომლებიც ამ საობტიკო მოვლენაზეა დაფუძნებული, როგორც დასუსტ დაჯტოსკოპი, აგრედვე რემიგაჟუკისა და ფოკელისა, რადგანაც დიდი ხანია მათ აღარ ხმარობენ რძის მრეწველობაში; მკითხველების ჯურადღებას მივაპყრობ მხოლოდ ფეხედის დაჯტოსკოპს (სურათი 10), რომელიც გავრცელებულია პატარა სარძევეებსა და ოჯახობაში. ეს ლაქტოსკოპი, როგორც სურათიდანა სჩანს, წარმოადგენს მალალს ჰიქის სტაქანს, რომელიც ძირში შევიწროვებულია და იმ შევიწროვებულ ადგილში შიგ შუაგულას ჩამაგრებული აქვს თეთრი ჰიქისავე პატარა ცილინდრი. ამ ცილინდრზე დანიშნულია ხუთი თუ ექვსი შავი ნიშანი—ხაზი. თითონ სტაქანზედაც არის ნიშნები, რომლებიც მარცხენა მხარით დანიშნულია ციფრებით 10, 20, 30—ასამდინ და ხან ასოცამდინ და მარჯვენა მხარეზე კი 1, 1¹/₂, 2, 2¹/₂ ხუთამდინ ან ექვსამდინ. მარცხენა გვერდის თავში არის დაწერილი სიტყვა—**წყალი** (Wasser) და მარცხენას თავში—**ქრობა** (Fett). ამ ჰურჰლის გვერდზედ არის დახატული პატარა პიპეტი, რომელშიაც 4 კ. ს. რძე ჩადის.




სურათი 10.
ფეხედის ლაქტოსკოპი თავის პიპეტით.

არიან, ამისათვის ისინი ნებას არ აძლევენ, რომ სინათლის სხივებმა შიგ გაიარონ; ყოველ სხეულს სფეროს ფორმისას ეს თვისება აქვს; მაგ. ბურუსი, როგორც ვიცით, წყალია პატარა პატარა სფეროებად განაწილებული და ამისათვის ბურუსიან ღღეს მზე არა სჩანს; მაშ ყოველი სხეული სფეროს მდგომარეობაში უკუაქცევს სინათლის სხივებს. რადგან რძეში მრავალია, თითქმის უთვალავი, ამ ერბოს სფეროები, ამისათვის რძეში თითქმის სინათლის სხივი არ გადის, რძე გამჭვირვალი არ არის. აქედან ის აზრი დაასკვნეს, რომ ვითომ რამდენადაც რძეში ბევრი იქნება ერბო, იმდენად არა-გამჭვირვალი იქნება. მართლა-და, ნაღებ-მოხდილი რძე, რომელსაც გამოცლილი აქვს ბევრი ნაწილი ერბოს სფეროებისა, უფრო გამჭვირვალია, ვიდრე ნაღებ-მოუხდელი. ამისათვის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რძის გამჭვირვალობის ხარისხის შეტყობით ერბოს რაოდენობის შეტყობაც შეიძლება ამ რძეში. სამწუხაროდ, ყველა ეს მოსაზრება მართალი არ გამოდგა, დაფუძნებულია ცრუ საფუძველზე და აი რისთვის:

რძის არა-გამჭვირვალობა დამოკიდებულია არა მარტო ერბოს რაოდენობაზე, არამედ იმაზედაც, თუ რამდენად დაწვრილებულია რძეში ერბოს წვეთები; დამოკიდებულია ერბოს სფეროების სიდიდესა და სიპატარავეზე; რამდენადაც დაწვრილმანებულია ეს სფეროები, ანუ რამდენადაც ერთი და იგივე რაოდენობა ერბოსი ბევრ სფეროებად არის დანაწილებული, იმდენად რძე უფრო არა-გამჭვირვალია. თუ ავიღებთ ორის ძროხის რძეს, რომელთა ერბოს რაოდენობაც ერთგვარია, მათში ის რძე უფრო არა-გამჭვირვალი იქნება, რომელშიაც ერბოს სფეროები უფრო წვრილმანებია, ანუ რომელშიაც ერბოს წვეთები უფრო მრავალია. ამასთან ესეც ხომ ვიცით, რომ სხვა-და-სხვა ჯიშის ძროხის რძე სხვა-და-სხვა ტანის ერბოს სფეროებს შეიცავს.

ამას გარდა, რძის არა-გამჭვირვალობა დამოკიდებულია აგრედვე ხაჭოზედაც, რაც ბევრის სწავლულისგან არის შენიშნული; თუმცა ხაჭოს სფეროს მდგომარეობა არა აქვს, მაგრამ თითონ ნივთიერება, ხაჭო გამჭვირვალი არ არის და რძესაც ამავე თვისებას აძლევს. აქედან ცხადია, რომ ამ საოპტიკომოვლენაზე, არა-გამჭვირვალობაზე დაფუძნებული რძის გამოსაკვლევი საშუალებანი ღირსნი არ არიან ყურადღებისა და მათის

შემწეობით ნაჩვენები ერბოს რაოდენობა ნამდვილი არ არის. თუ ამის მიუხედავად ამ საოპტიკო მოვლენაზე დაფუძნებული რძის გამოსაკვლევი მანქანები მიინც გავრცელებულია, ამის მიზეზი იქ უნდა მოეძებნოთ, რომ მათი ხმარება ძალიან ადვილია, მათი მოხმარება ყველას შეუძლიან; მათის შემწეობით ნაჩვენები ერბოს რაოდენობა ნამდვილი არ არის, მხოლოდ დაახლოვებულია და ხშირად ამას სჯერდებიან. ამის გამო ჩვენ აქ არ ავწერთ მრავალ იმ მანქანებს, რომლებიც ამ საოპტიკო მოვლენაზეა დაფუძნებული, როგორც დონეს ლაქტოსკოპი, აგრედვე რეიმგაჟურასა და ფეგელისა, რადგანაც დიდი ხანია მათ აღარ ხმარობენ რძის მრეწველობაში; მკითხველების სურადლებას მივავსებ მხოლოდ ფეგელის ლაქტოსკოპს (სურათი 10), რომელიც გავრცელებულია პატარა სარძევეებსა და ოჯახობაში. ეს ლაქტოსკოპი, როგორც სურათიდანა სჩანს, წარმოადგენს მაღალს ჰიქის სტაქანს, რომელიც ძირში შევიწროვებულია და იმ შევიწროვებულ ადგილში შიგ შუაგულას ჩამაგრებული აქვს თეთრი ჰიქისავე პატარა ცილინდრი. ამ ცილინდრზე დანიშნულია ხუთი თუ ექვსი შავი ნიშანი—ხაზი. თითონ სტაქანზედაც არის ნიშნები, რომლებიც მარცხენა მხარით დანიშნულია ციფრებით 10, 20, 30—ასამდინ და ხან ასოცამდინ და მარჯვენა მხარეზე კი 1, 1½, 2, 2½ ხუთამდინ ან ექვსამდინ. მარცხენა გვერდის თავში არის დაწერილი სიტყვა—**წყალი** (Wasser) და მარცხენას თავში—**ერბო** (Fett). ამ ჰურკლის გვერდზედ არის დახატული პატარა პიპეტი, რომელშიაც 4 კ. ს. რძე ჩადის.



სურათი 10.
ფეგელის ლაქტოსკოპი თავის პიპეტით.

აი როგორ ხმარობენ ამ ქურქელს: პიპეტით აიღებენ კარგად არეულ რძეს და ჩაასხამენ სტაქანში ისე ფთხილად, რომ რძე ქურქელს გვერდებზე არ მიეცხოს და ან არ დაიღვაროს. ამას შემდეგ ამ სტაქანში ჩაასხამენ ცოტ-ცოტაობით წყალს და ყოველ მიმატების დროს შეანჯღრევენ, რომ რძეში კარგად აირიოს. წყალის მიმატებას მხოლოდ მაშინ შესწყვეტენ, როცა ხუთივე თუ ექვსივე ცილინდრზე დახატული ხაზი ცხადად გამოჩნდება; ეს ხაზები ისე უნდა გამოაშკარავდეს, რომ მათი დათვლა შეიძლებოდეს, ე. ი. ხუთივე ცხადად უნდა სჩანდეს და ამასთან, რასაკვირველია, წყალიც გადამეტებით არ უნდა იყოს მიმატებული. ამით თავდება გამოკვლევა. ახლა მარცხენა მხრით წაიკითხავენ, რამდენი წყალი იყო მიმატებული და ამის პირდაპირ მარჯვენა მხარეზე ერბოს რაოდენობას. მაგალითებრ, თუ ნიშნები მაშინ გამოჩნდა, როცა მიმატებულმა წყალმა 80 ნიშნამდინ აიწია, მაშინ იმაში 4% ერბო იქნება; თუ წყალის ტანი მხოლოდ 60 არის, მაშინ 3% ერბო და თუ 100, მაშინ 5%.

როგორც ეხედავთ, ფეზერის ლაქტოსკოპი ძალიან უბრალო მანქანა არის და ადვილი მოსახმარებელია. როგორც უკვე ვსთქვით, ეს საშუალება მხოლოდ დაახლოვებულია; ბევრმა სწავლულმა გამოიკვლია ეს მანქანა და ყველანი დარწმუნდნენ, რომ ამ ლაქტოსკოპით ნაჩვენები რიცხვი გადამატებულია სინამდვილეს და ეს ნამატი ხშირად 0,8% აღის; საშუალოდ კი ხან 0,28%-ზე უახლოვდება ნამდვილ რაოდენობას და ხან 0,8%-ზეა გადაცილებული.—თითონ ფეზერიც თანახმა არის, რომ მისი საშუალება უჩვენებს ერბოს მხოლოდ დაახლოვებულ რაოდენობას. აქედან ცხადია, რომ როცა საჭიროა ერბოს ნამდვილის რაოდენობის ცოდნა, მაშინ ფეზერის ლაქტოსკოპის ხმარება არ გამოადგება; მაგრამ იმ შემთხვევაში კი, როცა საჭიროა ერბოს დაახლოვებული რაოდენობის ცოდნა და განსაკუთრებით სხვა-და-სხვა რძეების შედარება, მაშინ ეს მანქანა ღირსია ყურადღებისა, რადგანაც ადვილი მოსახმარებელია და გამოცდილებაც მალე თავდება.

კიდევ ბევრი ამავე პრინციპზე დაფუძნებული რძის გა-
შოსაკვლევე სხვა მანქანები, რომელთა შორისაც მატელშტრა-
ხის ლაქტოსკოპი, გვისსენას საბჭე, გვერენას შაოსკოპი
და სხვანი, მაგრამ ჩვენ იმათზე არას ვიტყვით, რადგანაც ლირ-
სნი არ არიან ყურადღებისა.

3) ანკომეტრას ხმარება. როგორც წინადაცა ვსთქვით,
რძის სიმჭირხნე ჩვეულებრივ ამ რიცხვებთა შორის არის:
1,030—1,033, თუმცა იშვიათი არ არის, როცა მისი სიმჭარ-
ხნე დაიწევს 1,028-დინ და ან აიწევს 1,035-დინ. რძეს რომ
წყალი შეეფურიოთ, ამით რძის სიმჭირხნეს შევამცირებთ, რად-
განაც წყალის სიმჭირხნე უფრო ნაკლებია რძეზე და უდრის=1.
ამგვარის წყალის შერევით რძის სიმჭირხნე იმდენად უფრო
შემცირდება, რამდენადაც ბევრი წყალი იქნება მიმატებული.
პირიქით, თუ რძეს ნაღებს მოვხდით, ე. ი. ამოვაცლით ცო-
ტაოდენს და ან მთელს ერბოს, მაშინ რძის სიმჭირხნე იმატებს,
რადგანაც სუბუქი სხეული გამოეცალა (როგორც ვიცით, ერ-
ბოს-სიმჭირხნე უდრის 0,93).


ამგვარმა რძის ცვლილებამ, ერთისა თუ მეორეს მიზე-
ზით, გამოიწვია არეომეტრის ხმარება მისის ღირსების შესატ-
ყობად; თუ რძეს სიმჭირხნეს ან ძალიან შემცირება და ან მა-
ტება დაეტყო, მაშინ ამბობენ, რომ რძე ნორმალური არ არის,
გაყალბებულია ან ნაღების მოხდით და ან წყალის შერევითაო.
სამწუხაროდ, რძის სიმჭირხნე არას დროს მის ექსტრაქტის რა-
ოდენობის მაჩვენებელი არ არის; მართალია, არეომეტრს ხში-
რად ჰხმარობენ მრეწველობაში რაიმე სხეულის ექსტრაქტის
შესატყობად, როგორც ეს ვნახეთ ტკბილის გასინჯვის დროს
და ან რომელიმე სხეულის შემდგენელ ნივთიერების რაოდ-
ენობის გასაგებად, როგორც ალკოგოლი და სხვანი. არეო-
მეტრს ამ მხრით სარგებლობის მოტანა მაშინ შეუძლიან, რო-
ცა სხეული ორის ნივთიერებისაგან არის შემდგარი, მაგალითად,
წყალისა და მასში გახსნილ ნივთიერებისაგან; აგრედვე მაში-
ნაც კარგია, როცა წყალში თუმცა მრავალი სხეულია გახსნი-
ლი, მაგრამ ამ სხეულებს დაახლოებული საკუთარი წონა
აქვთ. რძე კი, როგორც ვიცით, ოთხი სხვა-და-სხვა სხეულები-
საგან შესდგება: წყალშია გახსნილი მარილი, შაქარი და ერ-
თი ნაწილი ხაჭოსი, რომელთა საკუთარი წონაც წყალზე მე-
ტია და უდრის 1,6, და შიგ ტივტივებს ერბო, რომლის წო-
ნაც წყალზე ნაკლებია. აქედან ცხადია, რომ რძის სიმჭირხნე

დამოკიდებული იქნება ამ სხვა-და-სხვა გვართა სხეულთა ურთიერთ რაოდენობაზე—თუ ხაჭომ და შაქარმა გაღამატა, მაშინ სიმჭირხნე ძალიან აიწვეს და თუ წყალმა ან ერბომ—მაშინ კი დაიწვეს. მაშ თუ რძეს მცირე სიმჭირხნე აქვს, ეს მარტო წყალის მიმატებით არ იქნება გამოწვეული, და, პირიქით, თუ სიმჭირხნე დიდია, მაშინ მარტო ნაღების მოხდა არ იქნება ამის მიზეზი.

ამას გარდა, როგორც უკვე ვიცით, თვითონ ბუნებულის რძის სიმჭირხნეც ყოველთვის ერთგვარი არ არის; სხვა-და-სხვა ძროხის რძეს სხვა-და-სხვა სიმჭირხნე აქვს და ხშირად ამ მხრით დიდად განირჩევა ერთმანეთისაგან.

ამ ორის მიზეზის გამო არეომეტრის ხმარებას დიდი სარგებლობა არ მოაქვს რძის გაყალბების შესამოწმებლად; ამაზე შემდეგ გვექნება ვრცლად ლაპარაკი და ახლა მოკლედ ავსწერთ იმ არეომეტრებს, რომლებსაც რძის მრეწველობაში ხმარობენ:

რძის სიმჭირხნის შესამოწმებლად ხმარობენ კევენის არეომეტრს. ამ არეომეტრის სურათი აქ მთლად არ მოგეყვავს, მხოლოდ მისი ღერია დახატული (სურათი 11. ა—ბ); ერთი უჩვენებს წინა პირსა და მეორე უკანას, ზურგს. ამ არეომეტრს ღერი გატყელებული აქვს (6 მილიმეტრი სიგანით) და შიგ ღერში აქვს ჩატანებული და დამაგრებული ქაღალდზე ორივე მხრით დახაზული ნიშნები; ერთი პირი ამ ქაღალდისა ყვითლად არის შეღებილი და დანიშნულია ნაღებ-მოუხდელის რძის გამოსაკვლევად და ზედ აწერია: **ნაღებ-მოუხდელი** (non ecremé); მეორე პირი ლურჯად არის შეღებილი და ზედ აწერია **ნაღებ-მოხდელი** (ecremé); ნიშნები ერთი მეორისაგან კარგად არის დაშორებული და ციფრები აქვს დასმუ-



სურათი 11.

- კევენის არეომეტრის ღერი,
 ა) წინა პირი, ნაღებ-მოუხდელი რძისთვის,
 ბ) უკანა პირი, ნაღებ-მოხდელი რძისთვის.

ლი და სახელდობრ ორი უკანასკნელი (მესამე და მეოთხე) სიმპტირის გამოხატულების რიცხვებისა; მაგ. თუ სიმპტირნე უდრის 1029, მარტო 29-თ არის დანიშნული. ამას გარდა მთელი ღერი სხვა ხაზებითაც არის განაწილებული, რომლებ შორისაც რამდენიმე წინა ნიშნებია მოქცეული. იმ პირას ინუ იმ მხარეზე, სადაც დაწერილა „ნაღებ-მოხდელი“ ასე არის ნიშნები შეჯგუფებული: 36—29, 29—26, 26—23, 23—20 და სხვანი. პირველს აწერია წმინდა, მეორეს $\frac{1}{10}$, მესამეს $\frac{2}{10}$, მეხეს $\frac{3}{10}$ და სხვანი, რაც იმასა ჰნიშნავს, რომ თუ არეომეტრი 29-ზე მეტი არ ჩაიფლო, რძე წმინდა არის, თუ ამას გადასცილდა და ამ ორთაშუა 29—26 და ან რომელსამე მიუახლოვდა; მაშინ იგულისხმება, რომ ამ რძეს $\frac{1}{10}$ წყალი აქვს მიმატებული ანუ 10%; თუ მესამემდინ ჩაიფლო, მაშინ $\frac{2}{10}$ ანუ 20% წყალი ექნება მიმატებული და სხვანი.

ზურგის ნიშნებიც სხვა-და-სხვა ჯგუფად არის შეკავშირებული და დანიშნულია ნაღებ-მოხდელ რძის გამოსაკვლევად; აქ ეს ნიშნები ასეა განაწილებული: 36₁₂—32₁₅, 32₁₅—29₁₈, 29₁₈—26, 26—23 და სხვანი; პირველს აქვს დაწერილი: წმინდა, მეორეს— $\frac{1}{10}$, მესამეს $\frac{2}{10}$ და სხვანი. თუ ნაღებ-მოხდელ რძეში არეომეტრი პირველ ნიშნებ შორის ჩაიფლა, მაშინ რძე წმინდა ყოფილა, თუ მეორე ნიშნებ შორის, მაშინ 10% წყალი ჰქონია შერეული და სხვ.

სოქსლეტმა მოიგონა ესეთივე არეომეტრი უფრო გძელის ღერით და ნიშნების რიცხვი კი შეამცირა; კევენის არეომეტრის ნიშნები იწყება 14-დან და 42 თავდება; სოქსლეტის არეომეტრის ღერზე კი ნიშნები იწყება 22-დან და თავდება 37-მით. იმ მოსაზრებით, რომ ნორმალურის რძის სიმპტირნე ამას არასდროს არ გადასცილება. არეომეტრის ღერძისა ამგვარად განაწილებით ის სარგებლობა გამოვიდა, რომ ნიშანთა შორის უფრო დიდი ადგილი არის დარჩენილი და, მაშასადამე, მათი შენიშვნა უფრო გაადვილებულია (სურათი 12).

არეომეტრის ასე ჰხმარობენ:

კარგად შენჯღრეულ და კარგად არეულ რძეს ჩაასხამენ ვიწრო და მაღალ სტაქანში და შიგთხილად ჩაასვენებენ არეომეტრს. სტაქანში ჩასხმის დროს რძე არ უნდა აქაფდეს, რადგანაც ქაფი უშლის ნიშნების წაკითხვას. როცა არეომეტრი შეჩერდება რომელსამე ნიშანზე, ასე გაუშვებენ ორიოდ წუთის განმავლობაში, რომ იმან რძის ტემპერატურა მიიღოს და შემდეგ წაკითხვენ რა ნიშანზედაცა სდგას რძის პირი—ეს იქნება მისი სიმჭირხნე; თუ ეს ნიშანი 30° -ია, მაშინ ამის სიმჭირხნე $1,030$ იქნება.

არეომეტრით გამოკვლევის დროს რძის ტემპერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს; როგორც ვიცით, სითბო რძეს ტანს ჰმატებს და სიცივე კი აკლებს—სითბო აგანიერებს რძეს და სიცივე ჰკუმშავს; გაგანიერებულ რძეს უფრო მცირე სიმჭირხნე ექნება და შეკუმშულს კი უფრო მეტი, ამისგამო არეომეტრის ნაჩვენები ნამდვილი არ იქნება. არეომეტრი მომზადებულია 15° -ნი რძისათვის და, თუ რძეს ამაზე ან მეტი და ან ნაკლები ტემპერატურა აქვს, მაშინ არეომეტრის ნაჩვენები უნდა გასწორდეს, 15° -ზე უნდა იქმნას გამოანგარიშებული. ამ გამოანგარიშების გასაადვილებლად მოვიყვან აქ ორ სქემას, რომელთაგანაც ერთი ნაღებ-მოდელი რძისთვის არის დანიშნული და მეორე ნაღებ-მოუხდელისათვის:



სურათი 12.
სოქსლეტის
არეომეტრი.

ს მ ე მ ა

ნაღებ-მოუხდელი რძის სიმკობის გასაწორებლად ტემპერატურის დავგარად.

როდესმეცხრო	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																																															
14	13,1	13,1	13,1	13,2	13,3	13,3	13,5	13,5	13,7	13,8	14	14,1	14,2	14,3	14,3	14,4	14,5	14,6	14,6	14,8	15	15,1	15,2	15,3	15,4	15,5	15,6	15,6	15,7	15,8	16	16,1	16,2	16,3	16,4	16,4	16,5	16,6	16,7	16,8	16,8	17,1	17,2	17,3	17,4	17,4	17,5	17,6	17,7	17,8	17,8	18,1	18,2	18,3	18,4	18,5	18,6	18,7	18,8	18,9	19,1	19,2	19,3	19,4	19,5	19,6	19,7	19,8	19,9	20,1	20,2	20,3	20,4	20,5	20,6	20,7	20,8	20,9	21,1	21,2	21,3	21,4	21,5	21,6	21,7	21,8	21,9	22,1	22,2	22,3	22,4	22,5	22,6	22,7	22,8	22,9	23,1	23,2	23,3	23,4	23,5	23,6	23,7	23,8	23,9	24,1	24,2	24,3	24,4	24,5	24,6	24,7	24,8	24,9	25,1	25,2	25,3	25,4	25,5	25,6	25,7	25,8	25,9	26,1	26,2	26,3	26,4	26,5	26,6	26,7	26,8	26,9	27,1	27,2	27,3	27,4	27,5	27,6	27,7	27,8	27,9	28,1	28,2	28,3	28,4	28,5	28,6	28,7	28,8	28,9	29,1	29,2	29,3	29,4	29,5	29,6	29,7	29,8	29,9	30,1	30,2	30,3	30,4	30,5	30,6	30,7	30,8	30,9	31,1	31,2	31,3	31,4	31,5	31,6	31,7	31,8	31,9	32,1	32,2	32,3	32,4	32,5	32,6	32,7	32,8	32,9	33,1	33,2	33,3	33,4	33,5	33,6	33,7	33,8	33,9	34,1	34,2	34,3	34,4	34,5	34,6	34,7	34,8	34,9	35,1	35,2	35,3	35,4	35,5	35,6	35,7	35,8	35,9	36,1	36,2	36,3	36,4	36,5	36,6	36,7	36,8	36,9	37,1	37,2	37,3	37,4	37,5	37,6	37,7	37,8	37,9	38,1	38,2	38,3	38,4	38,5	38,6	38,7	38,8	38,9	39,1	39,2	39,3	39,4	39,5	39,6	39,7	39,8	39,9	40,1	40,2	40,3	40,4	40,5	40,6	40,7	40,8	40,9	41,1	41,2	41,3	41,4	41,5	41,6	41,7	41,8	41,9	42,1	42,2	42,3	42,4	42,5	42,6	42,7	42,8	42,9	43,1	43,2	43,3	43,4	43,5	43,6	43,7	43,8	43,9	44,1	44,2	44,3	44,4	44,5	44,6	44,7	44,8	44,9	45,1	45,2	45,3	45,4	45,5	45,6	45,7	45,8	45,9	46,1	46,2	46,3	46,4	46,5	46,6	46,7	46,8	46,9	47,1	47,2	47,3	47,4	47,5	47,6	47,7	47,8	47,9	48,1	48,2	48,3	48,4	48,5	48,6	48,7	48,8	48,9	49,1	49,2	49,3	49,4	49,5	49,6	49,7	49,8	49,9	50,1	50,2	50,3	50,4	50,5	50,6	50,7	50,8	50,9	51,1	51,2	51,3	51,4	51,5	51,6	51,7	51,8	51,9	52,1	52,2	52,3	52,4	52,5	52,6	52,7	52,8	52,9	53,1	53,2	53,3	53,4	53,5	53,6	53,7	53,8	53,9	54,1	54,2	54,3	54,4	54,5	54,6	54,7	54,8	54,9	55,1	55,2	55,3	55,4	55,5	55,6	55,7	55,8	55,9	56,1	56,2	56,3	56,4	56,5	56,6	56,7	56,8	56,9	57,1	57,2	57,3	57,4	57,5	57,6	57,7	57,8	57,9	58,1	58,2	58,3	58,4	58,5	58,6	58,7	58,8	58,9	59,1	59,2	59,3	59,4	59,5	59,6	59,7	59,8	59,9	60,1	60,2	60,3	60,4	60,5	60,6	60,7	60,8	60,9	61,1	61,2	61,3	61,4	61,5	61,6	61,7	61,8	61,9	62,1	62,2	62,3	62,4	62,5	62,6	62,7	62,8	62,9	63,1	63,2	63,3	63,4	63,5	63,6	63,7	63,8	63,9	64,1	64,2	64,3	64,4	64,5	64,6	64,7	64,8	64,9	65,1	65,2	65,3	65,4	65,5	65,6	65,7	65,8	65,9	66,1	66,2	66,3	66,4	66,5	66,6	66,7	66,8	66,9	67,1	67,2	67,3	67,4	67,5	67,6	67,7	67,8	67,9	68,1	68,2	68,3	68,4	68,5	68,6	68,7	68,8	68,9	69,1	69,2	69,3	69,4	69,5	69,6	69,7	69,8	69,9	70,1	70,2	70,3	70,4	70,5	70,6	70,7	70,8	70,9	71,1	71,2	71,3	71,4	71,5	71,6	71,7	71,8	71,9	72,1	72,2	72,3	72,4	72,5	72,6	72,7	72,8	72,9	73,1	73,2	73,3	73,4	73,5	73,6	73,7	73,8	73,9	74,1	74,2	74,3	74,4	74,5	74,6	74,7	74,8	74,9	75,1	75,2	75,3	75,4	75,5	75,6	75,7	75,8	75,9	76,1	76,2	76,3	76,4	76,5	76,6	76,7	76,8	76,9	77,1	77,2	77,3	77,4	77,5	77,6	77,7	77,8	77,9	78,1	78,2	78,3	78,4	78,5	78,6	78,7	78,8	78,9	79,1	79,2	79,3	79,4	79,5	79,6	79,7	79,8	79,9	80,1	80,2	80,3	80,4	80,5	80,6	80,7	80,8	80,9	81,1	81,2	81,3	81,4	81,5	81,6	81,7	81,8	81,9	82,1	82,2	82,3	82,4	82,5	82,6	82,7	82,8	82,9	83,1	83,2	83,3	83,4	83,5	83,6	83,7	83,8	83,9	84,1	84,2	84,3	84,4	84,5	84,6	84,7	84,8	84,9	85,1	85,2	85,3	85,4	85,5	85,6	85,7	85,8	85,9	86,1	86,2	86,3	86,4	86,5	86,6	86,7	86,8	86,9	87,1	87,2	87,3	87,4	87,5	87,6	87,7	87,8	87,9	88,1	88,2	88,3	88,4	88,5	88,6	88,7	88,8	88,9	89,1	89,2	89,3	89,4	89,5	89,6	89,7	89,8	89,9	90,1	90,2	90,3	90,4	90,5	90,6	90,7	90,8	90,9	91,1	91,2	91,3	91,4	91,5	91,6	91,7	91,8	91,9	92,1	92,2	92,3	92,4	92,5	92,6	92,7	92,8	92,9	93,1	93,2	93,3	93,4	93,5	93,6	93,7	93,8	93,9	94,1	94,2	94,3	94,4	94,5	94,6	94,7	94,8	94,9	95,1	95,2	95,3	95,4	95,5	95,6	95,7	95,8	95,9	96,1	96,2	96,3	96,4	96,5	96,6	96,7	96,8	96,9	97,1	97,2	97,3	97,4	97,5	97,6	97,7	97,8	97,9	98,1	98,2	98,3	98,4	98,5	98,6	98,7	98,8	98,9	99,1	99,2	99,3	99,4	99,5	99,6	99,7	99,8	99,9	100,1	100,2	100,3	100,4	100,5	100,6	100,7	100,8	100,9

ს ქ მ ძ ბ

წალექ-მოხდოლ რძის სიმკობხნის გასასწორებლად ტემპერატურის დავგზარად.

წალექ-მოხდოლ რძის სიმკობხნის გასასწორებლად ტემპერატურის დავგზარად	ტ	ქ	მ	ძ	ბ	ი	ს	ფ	ქ	ა	ზ	ტ	ე	მ	კ	ი	ა	ბ	ი
18	17,5	17,5	17,5	17,5	17,5	17,5	17,5	17,5	17,5	18,1	18,2	18,1	18,1	18,5	18,5	19,1	19,1	19,1	19,1
19	18,5	18,5	18,5	18,5	18,5	18,5	18,5	18,5	18,5	19,1	19,2	19,1	19,1	19,5	19,5	19,9	19,9	19,9	19,9
20	19,5	19,5	19,5	19,5	19,5	19,5	19,5	19,5	19,5	20,1	20,2	20,1	20,1	20,6	20,6	21,2	21,2	21,2	21,2
21	20,5	20,5	20,5	20,5	20,5	20,5	20,5	20,5	20,5	21,1	21,2	21,1	21,1	21,6	21,6	22,3	22,3	22,3	22,3
22	21,5	21,5	21,5	21,5	21,5	21,5	21,5	21,5	21,5	22,1	22,2	22,1	22,1	22,6	22,6	23,3	23,3	23,3	23,3
23	22,5	22,5	22,5	22,5	22,5	22,5	22,5	22,5	22,5	23,1	23,2	23,1	23,1	23,6	23,6	24,3	24,3	24,3	24,3
24	23,5	23,5	23,5	23,5	23,5	23,5	23,5	23,5	23,5	24,1	24,2	24,1	24,1	24,6	24,6	25,3	25,3	25,3	25,3
25	24,5	24,5	24,5	24,5	24,5	24,5	24,5	24,5	24,5	25,1	25,2	25,1	25,1	25,6	25,6	26,3	26,3	26,3	26,3
26	25,5	25,5	25,5	25,5	25,5	25,5	25,5	25,5	25,5	26,1	26,2	26,1	26,1	26,6	26,6	27,3	27,3	27,3	27,3
27	26,5	26,5	26,5	26,5	26,5	26,5	26,5	26,5	26,5	27,1	27,2	27,1	27,1	27,6	27,6	28,3	28,3	28,3	28,3
28	27,5	27,5	27,5	27,5	27,5	27,5	27,5	27,5	27,5	28,1	28,2	28,1	28,1	28,6	28,6	29,3	29,3	29,3	29,3
29	28,5	28,5	28,5	28,5	28,5	28,5	28,5	28,5	28,5	29,1	29,2	29,1	29,1	29,6	29,6	30,3	30,3	30,3	30,3
30	29,5	29,5	29,5	29,5	29,5	29,5	29,5	29,5	29,5	30,1	30,2	30,1	30,1	30,6	30,6	31,3	31,3	31,3	31,3
31	30,5	30,5	30,5	30,5	30,5	30,5	30,5	30,5	30,5	31,1	31,2	31,1	31,1	31,6	31,6	32,3	32,3	32,3	32,3
32	31,5	31,5	31,5	31,5	31,5	31,5	31,5	31,5	31,5	32,1	32,2	32,1	32,1	32,6	32,6	33,3	33,3	33,3	33,3
33	32,5	32,5	32,5	32,5	32,5	32,5	32,5	32,5	32,5	33,1	33,2	33,1	33,1	33,6	33,6	34,3	34,3	34,3	34,3
34	33,5	33,5	33,5	33,5	33,5	33,5	33,5	33,5	33,5	34,1	34,2	34,1	34,1	34,6	34,6	35,3	35,3	35,3	35,3
35	34,5	34,5	34,5	34,5	34,5	34,5	34,5	34,5	34,5	35,1	35,2	35,1	35,1	35,6	35,6	36,3	36,3	36,3	36,3
36	35,5	35,5	35,5	35,5	35,5	35,5	35,5	35,5	35,5	36,1	36,2	36,1	36,1	36,6	36,6	37,3	37,3	37,3	37,3
37	36,5	36,5	36,5	36,5	36,5	36,5	36,5	36,5	36,5	37,1	37,2	37,1	37,1	37,6	37,6	38,3	38,3	38,3	38,3
38	37,5	37,5	37,5	37,5	37,5	37,5	37,5	37,5	37,5	38,1	38,2	38,1	38,1	38,6	38,6	39,3	39,3	39,3	39,3
39	38,5	38,5	38,5	38,5	38,5	38,5	38,5	38,5	38,5	39,1	39,2	39,1	39,1	39,6	39,6	40,3	40,3	40,3	40,3
40	39,5	39,5	39,5	39,5	39,5	39,5	39,5	39,5	39,5	40,1	40,2	40,1	40,1	40,6	40,6	41,3	41,3	41,3	41,3

აი როგორ მოიხმარება ამ სქემების ნაჩვენები: ჯერ არეომეტრით ნაპოვნ რძის სიმჭირხნეს, ანუ არეომეტრის გრადუსს იპოვნინ პირველ ვერტიკალურ წყობაში. შემდეგ რძის ტემპერატურას შეამოწმებენ ტერმომეტრით და თუ იმისი ტემპერატურა 15° -ია, მაშინ არეომეტრის ნაჩვენები გრადუსი ნამდვილი სიმჭირხნე იქნება რძისა და თუ, პირიქით, რძის ტემპერატურა ან მაღალია და ან დაბალი, მაშინ ამ ტემპერატურას ანუ ტერმომეტრის ნაჩვენებს იპოვნინ პირველ გორიზანტალურ რიგში და აქედან ჩამოიწვევენ დაბლა იმ რიგამდინ, რომელსაც თავში უზის წინად ნაპოვნი არეომეტრის გრადუსი და ამ რიგების შეხვედრასთან იქნება ნამდვილი რძის სიმჭირხნე 15° -ზე. მაგალითებრ, წარმოვიდგინოთ, რომ 20° რძეში არეომეტრმა გვიჩვენა 30° , მაშინ ნამდვილი სიმჭირხნე იქნება 31° , ანუ $1,0132$; თუ, პირიქით, რძეს დაბალი ტემპერატურა აქვს, ვსთქვათ 10° , და არეომეტრი კი მაინც ისევ 30° გვაჩვენებს, მაშინ ნამდვილი სიმჭირხნე იქნება 29° ანუ $1,029$. ამავე გვარად მოიხმარება ის სქემაც, რომელიც ნაღებ-მოხდილ რძისთვის არის დანიშნული. საზოგადოდ ცნობილია, რომ ყოველ 5° -ზე, (ტემპერატურა მაღალია თუ დაბალი 15° -ზე, სულ ერთია), არეომეტრის ნაჩვენებს ან უნდა მივმატოს და ან უნდა მოაკლდეს თითო გრადუსი.

ახლა გავარჩიოთ, რა რიგად შეგვიძლიან ვისარგებლოთ არეომეტრის ნაჩვენებით რძის ღირსების დასაფასებლად; თუმცა, როგორც წინადაცა ვსთქვით, არეომეტრი ექსტრაქტის რაოდენობას ვერ შეგვატყობინებს, მაგრამ მაინც ეს მანქანა ძალიან გამოსადეგია რძის მრეწველობაში და მისი ღირსება ორის გარემოებისაგან არის გამოწვეული: როგორც წინადაცა ვსთქვით, რძე ნაღების მოხდით და წყალის შერევით ძალიან იცვლება, მისი სიმჭირხნე ან მატულობს და ან კლებულობს და ამგვარ შეცვლას არეომეტრი დიდის სინამდვილით გვატყობინებს. ამას ისიც ემატება, რომ არეომეტრით გამოკვლევა ძალიან ადვილია და ყველას შეუძლიან მისი ხმარება, იმასაც კი ვინც გაყარჯიშებული არ არის ფიზიკურისა და ქიმიურის მანქანების ხმარებაში.

თუ მოვინდომებთ და ექსტრაქტისა და ერბოს რაოდენობის მიხედვით შევადგენთ ჩვენს მსჯელობას რძის ლირსებაზე უეჭველად შეცდომა მოგვივა, თუ მეტადრე რძე წყალ-შერეულია. როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ექსტრაქტისა და ერბოს რაოდენობა რძეში ცვალებადია, ყოველის ძროხის რძეს ერთგვარი ექსტრაქტის და ერბოს რაოდენობა არა აქვს, ზოგში ცოტაა და ზოგში კი ბევრი. ამის გამო თუ რძე ბევრს ერბოს შეიცავს, მაშინ ბევრის წყალის მიმატება შეიძლება და მაინც რძე ნორმალურის შედგენილებისა დარჩება.

სულ სხვას გვიჩვენებს რძის სიმჭირხნე: წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენა გვაქვს ისეთი რძე, რომლის სიმჭირხნეც უდრის 1,030-ს; თუ ამ რძეს მიუმატებთ 10% წყალს, მაშინ ამ რძის სიმჭირხნე ძალიან დაიწვეს და 1,0273 დადგება¹⁾. ასეთის მცირედის სიმჭირხნის რძე ძალიან იშვიათია და, მაშასადამე, საეჭვოც; ამის შესამოწმებლად რძე ქიმიურად უნდა იქმნას გამოკვლეული. თუ წყალი უფრო ბევრი შეეფურიეთ ამ რძეს, მაგ. 25%, მაშინ ამ რძის სიმჭირხნე დაიწვეს 1,024-დინ და ეს ხომ ცხადად გვიჩვენებს რძის გაყალბებას. მაშასადამე, საშუალო და მდაბალის სიმჭირხნის რძის გაშოკვლევაში არეომეტრი დიდ სარგებლობას მოგვითანს.

მაგრამ თუ ნორმალურ რძეს დიდი სიმჭირხნე აქვს, მაგალითებრ 1,033 (ამგვარი რძეც ხშირად შეგვხვდება), მაშინ ძნელი შესატყობი იქნება მიმატება წყალისა. მართლადა, ამ შემთხვევაში 1 % წყალის მიმატებით ამ რძის სიმჭირხნე დადგება 1,030 და ამგვარი რძე ხომ ნორმალურია; თუ ამის მაგიერ რძეს 25% წყალი აქვს მიმატებული, მაშინ იმისი სიმჭირხნე დაიწვეს 1,0264 და ახლა კი ცხადი იქნება რძის გაყალბება.

¹⁾ეს ადვილი შესაგნებია ამ მოსაზრებით: თუ რძეს 1,030 სიმჭირხნე აქვს, მაშინ ერთი ლიტრი ამ რძისა წონით იქნება 1030 გრამი; თუ ამას 10% წყალს მივუმატებთ, ე. ი. 100 კ. ს. (წონით 100 გრამი), მაშინ ერთი ლიტრის მაგიერ ჩვენ გვქვანება 1100 კ. ს. და ამის წონა 1130 გრამი იქნება. თუ ახლა ამ 1130 გრამს გავყოფთ რძის ტანით, ე. ი. 1100 კ. ს., მაშინ შევითყოფთ ამ ნარევის რძის სიმჭირხნეს:
$$\frac{1,130}{1,100} = 1,0273.$$

რაც შეეხება ნაღების მოხდას, მაშინ შემდეგს ვხედავთ: როგორც ვიცით, ნაღების მოხდით რძის სიმჭირხნე მატულობს. მაგალითებზე, თუ რძეს 1,030 სიმჭირხნე აქვს და იმაში 3,5% ერბო არის, ესე იგი ლიტრში 35 გრ., მაშინ ამ ერბოს ტანი იქნება (თუ ერბოს სიმჭირხნეს 0,93 მივიღებთ) 37,5 კ. ს., მაშასადამე, რძის 1000 კ. ს. ანუ ერთი ლიტრი შეიცავს 37,5 კ. ს. ანუ 35 გრ. ერბოს. თუ ამ რძეს მთლად გამოვაცლით ერბოს, მაშინ დაგვრჩება 962,5 კ. ს. ერბო-გამოცლილი რძე ანუ 965 გრამი და ახლა ამის სიმჭირხნე იქნება 1,0338. ეს სიმჭირხნე ძალიან გადამეტებულია ნორმალურის რძის სიმჭირხნეზე და ამის გამო პირდაპირ შეგვიძლიან შეუტკობლად ვსთქვათ, რომ ეს რძე გაყალბებულია ნაღების მოხდით. მაგრამ თუ ამავე რძეს მარტო 1% ერბოს გამოვაცლით, ანუ 5% ნაღებს, მაშინ ერთი ლიტრი რძიდან, რომელშიაც 35 გრამი ერბო იყო, დარჩება 970 კ. ს. რძე 25 გრამი ერბოთი და ამ დანარჩენი რძის სიმჭირხნე იქნება 1,0309—მამ ნორმალურ რძეს მიემსგავსება. თუ ამ რძეს უფრო ბევრ ერბოს ამოვაცლით, მაგ. 2 1/2%, მაშინ რძის სიმჭირხნე დადგება 1,0325 და ესლაც ხომ ნორმალური რძის სიმჭირხნეზე დაახლოებული იქნება. აქედან ცხადია, რომ ამგვარ გაყალბების შეტყობა არეომეტრით ძნელი იქნება. არეომეტრის მოხმარება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამგვარად გაყალბებულია მხოლოდ დიდის სიმჭირხნის რძე, მაგალითებზე, 1,033. ამ გარემოებაში ამ რძის სიმჭირხნე უფრო აიწევს და მიუახლოვდება 1,0339—1,0356-ს და მაშინ კი, რასაკვირველია, ცხადი იქნება გაყალბებ.

ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ამგვარად გაყალბებულ რძეს, ესე იგი ნაღებ-მოხდილს, წყალს შევურევთ, მაშინ იმის სიმჭირხნე დაიწევს და იქნება ნორმალური რძის კალაპოტშიაც ჩადგეს. ამის გამო ამ ორ გვარის ანუ ორ-მაგის გაყალბების შეტყობა უფრო გაძნელებული იქნება არეომეტრის შემწობით, მაგალ. წარმოვიდგინოთ იმისთანა რძე, რომლის სიმჭირხნეც უდრის 1,033 და ამას გამოვაცალეთ 2 1/2% ერბო—ამის სიმჭირხნე 1,0356 გადიქცევა. ახლა თუ ამ რძეს 10% წყალს

შევეურეთ, მაშინ მისი სიმჭირხნე ისევ დაიწევს 1,0323 და ნორ-
მალურ რძის სიმჭირხნეს მოიზაოვებს. მაშასადამე, თუ რომელსა-
მე რძეს თითო % ერბოს გამოცხლის შემდეგ 4% წყალს მიეუ-
მატებთ, მაშინ იმისი სიმჭირხნე სრულებით არ შეიცვლება
და, მაშასადამე, არეომეტრიც ვერას შეგვატყობინებს.

როგორც ვხედავთ, არეომეტრის ხმარებას თითქო ბევრის
სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. მაშ, რა არის მიზეზი,
რომ იმისი ხმარება მაინც გავრცელებულია? ამის მიზეზი ბევ-
რია და იმას გარდა, რომ არეომეტრი ადვილი მოსახმარებე-
ლია, ადგილობრივი რძის გამოსაკვლევადად სარგებლობის მო-
ტანაც შეუძლიან. საქმე იმაშია, რომ ხშირად წინადაც ცნო-
ბილია, რა სიმჭირხნეა აქვს რომელისამე ადგილის ანუ სოფ-
ლის ანუ ხეობის რძეს. ამ შემთხვევაში არეომეტრს დიდი სარ-
გებლობის მოტანა შეუძლიან, მაშინვე შეიძლება შევიტყოთ
გამოსაკვლევის რძის თვისება უდრის თუ არა რომელისამე
ადგილის რძეს და თუ არა, მაშინ, რასაკვირველია, ეს რძე სა-
ეჭვო იქნება და უფრო ვრცელი, ქიმიური გამოკვლევა და-
სჭირდება.

ამას გარდა, თუ რძეს გავსინჯავთ ორ სხვა-და-სხვა გარე-
მოებაში, მაშინ არეომეტრი ადვილად გვიჩვენებს რძის გაყალ-
ბებას, შეგვატყობინებს, ნაღებ-მოხდილია, თუ წყალი აქვს შე-
რეული.

მართლა-და, როგორც ზემოდ მოვიხსენეთ არეომეტრი
მხოლოდ იმისთანა რძეს ვერ შეამჩნევს გაყალბებას, რომელიც
ერთსა და იმავე დროს ორგვარად არის გაყალბებული, ესე იგი,
როცა ჯერ ცოტაოდენი ნაღები აქვს მოხდილი და შემდეგ
წყალი აქვს მიმატებული. თუ ამისთანა რძეს ჯერ ნაღებ-
მოუხდელს გავსინჯავთ არეომეტრით, შემდეგ ნაღებს მოვხდით
და ნაღებ-მოხდილ რძესაც აგრედევე არეომეტრით შევამოწ-
მებთ, მაშინ უეჭველად დავრწმუნდებით, რომ რძე გაყალბებუ-
ლია, თუ მართლა ნაცოდვილებია.

მაგალ. თუ გაშინჯულ რძეს 1,029 ან 1,030 სიმჭირხნე აქვს,
ამ რძეს ნაღების მოხდის შემდეგ უნდა ჰქონდეს 1,034—1,036

სიმჭირხნე; მაგრამ თუ წყალ-შერეულია, მისი სიმჭირხნე ამ რიცხვებამდინ არ აიწევს, უფრო დაბალი იქნება და ამ გარემოებაში, რასაკვირველია, ცხადი იქნება, რომ ამ რძეს ან ნაღები აქვს მოხდილი და წყალი შერეული და ან მარტო წყალით არის განელელებული.

4) ქიმიურა საშუალებანა. ქიმიური ანალიზი ყოველგვარ საშუალებებზე მტკიცე და უტყუარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლიან მოიხმაროს, განსაკუთრებით ოჯახობაში; აქ, ცოდნისა და ვარჯიშობის გარდა, საჭიროა სხვა-დასხვა გვარი ქიმიური აპპარატები და განსაკუთრებით ძვირად ღირებული სახმარებელი სასწორი. ამიტომ დიდი ხანია ცდილობდნენ იმისთანა საშუალება მოეგონათ, რომ ყველას შესძლებოდა მისი მოხმარება და გამოყენება და ამასთან ძვირადაც არ ღირებულებოდა. თუმცა პირველი ნაწილი ამ სურვილისაკარგად არის შესრულებული, მაგრამ, სამწუხაროდ, მეორე ჯერ ისევ სანატრელია, — ამისთვის მოსახმარებელი აპპარატები მაინც ძვირია.

რადგანაც რძეში ერბოს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისათვის ამ მხრითაც სწავლულების ცდილობა ის იყო, რომ ერბოს რაოდენობის შესატყობელი საშუალება ეპოვნათ. ამ ცდამ თავისი ნაყოფი მოიტანა.

ამისათვის ჩვენ A) ჯერ იმისთანა ქიმიურ საშუალებბთ ავიწყრთ, რომლებიც ადვილნი სახმარებელნი არიან და B) ბოლოს იმ საშუალებბათაც, რომლის შესრულებბასაც ცოდნა, გამოცდილება და სასწორი უნდა.

თუ ბოლოს მაინც ქიმიური ანალიზის აღწერასაც ვაპირობთ, ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ვინცობაა რძის მწარმოებელი ქიმიაში განვითარებულია და შეძლებაცა აქვს ქიმიური ლაბორატორია მოაწყოს, შეეძლოს უფრო მტკიცედ და უტყუარად რძის გამოკვლევა. რაც უნდა ბევრი პრაქტიკული საშუალება იყოს მოგონილი რომელისამე ნივთიერების რაოდენობის შესატყობად, მაინც წონით და, მაშასადამე, სასწორით ანალიზს ვერ დაედრება და, ეს უკანასკნელი ყოველთვის სარჩევი და სასურველია.

ა) იმ ქიმიურ საშუალებათა შესასრულებლად, რომლებითაც ერბოს რაოდენობის შეტყობა ყველას შეუძლიან და ძნელიც არ არის, მოგონილია სამი და ამ სამივეს სხვა-და-სხვა აპპარატები სჭირდება, სახელდობრ: მარშანის ლაქტობუტირომეტრი, სოქსლეტის ერბოს შესამოწმებელი არეომეტრი და ლავალის ლაქტოკრიტი.

ა) მარშანის ლაქტობუტირომეტრი (რძის ერბოს აწომელი) დაფუძნებულია იმ მოვლენაზე, რომ რძის ერბო ეთერში კარგად ეხსნება და ამ ხსნილის თვის ალკოგოლის შიმატებით ისევ გამოვეცლება და ალკოგოლ-ეთერის ნარევის პირას მოგროვდება. ამ საშუალების შესასრულებლად დიდი ხარჯი არ არის საჭირო; აქ საჭიროა მხოლოდ ერთი გძელი მილი, რომელსაც ერთი თავი შედუღებული აქვს და რამდენიმე ნიშანი აქვს და ამას გარდა ცოტაოდენი ეთერი და ალკოგოლი. ამას ჰქვია ლაქტობუტირომეტრი და მანუთზე ძვირად არ ეღირება. ამ მილს 40 სანტიმეტრამდე სიგძე აქვს და სიგანე კი 12 მილიმეტრი. როგორც სურათიდანა ხჩანს (სურათი 13). ეს მილი სამ დიდ ნაწილად არის გაყოფილი ნიშნებით, სამივეს ერთი ტანი აქვს და თითოში 10 კ. ს. ეტევა. ძირის განყოფილებაზე არის დაწერილი რძე (Lait); მეორეზე—ეთერი (Aether) და მესამეზე—ალკოგოლი (Alkohol). ერთი ნაწილი ამ უკანასკნელ განყოფილებისა უფრო დაწვრილებით არის ნიშნებით დანაწილებული და სახელდობრ ოთხი კუბიკური სანტიმეტრად იმ ხაზს ქვეით, სადაც 30 აწერია და ერთი კუბიკური სანტიმეტრი ამის ზევით. ყოველი კუბიკური სანტიმეტრი ათად არის დანაწილებული, ასე რომ ყოველ ნაწილს უდრის 0,1 კ. ს. აი როგორ ჰხმარობენ ამ ქურქელს. კარგად გამოწყული პიპეტით აიღებენ გამოსა-



სურათი 13.
მარშანის ლაქტობუტირომეტრი.

კვლევ რძეს და ამ რაქტობუტირომეტრში ჩაასხამენ; მიუმატებენ ერთს ან ორ წვეთს ძმრის სიმჟავეს ან კალიქვის ტუტეს და ამას შემდეგ 10 კ. ს. ეთერს, რომლის სიმჭირხნეც 0,725 — 0,730 უნდა იყოს. ამის შემდეგ ქურქელს კარგად დაუტობენ საცობლით და რამდენსამე წუთს ხანს კარგად შეანჯღრევენ. ამას შემდეგ ფთხილად მოჰხდიან საცობელს და მიუმატებენ 10 კ. ს. ზლკოგოლს, რომლის სიმაგრეც 91—92° უნდა იყოს; საცობელს ისევ დაუტობენ და ძალიან შეანჯღრევენ. ახლა ამ ქურქელს 10 წუთით ჩაასვენებენ თბილ, 40°-იან წყალში, აქედან გადაიტანენ 20° წყალში და როცა ამ ტემპერატურამდინ გაცივდება, მაშინ დაჰნიშნავენ რა ტანიცა აქვს პირზე მოქცეულ ერბოს და ამით გაათავებენ გამოცდას. მარშანი ქიმიურის გამოკვლევით დარწმუნდა, რომ ყოველი მეთადეი კუბიკური სანტიმეტრისა უდრის 0,0233 გრამ ერბოს და ამასთან ისიც გამოჩნდა, რომ ცოტაოდენი ერბო ეთერ-ალკოგოლის ნარევეშიაც ზრება გახსნილი; ეს ცოტაოდენი ერბო შეადგენს 0,126 გრამს, ამისათვის მთელი ერბოს რაოდენობის შესატყობად ჯერ ამ ერბოს ტანი უნდა გავამრავლოთ 0,0233 და აქედან დამდგარ რაოდენობას მივუმატოთ ეთერ-ალკოგოლში დარჩენილი ერბოს რაოდენობაც, ესე იგი 0,126 გრ. ამით შეეიტყობთ 10 კუბ. სან. რძეში მყოფის ერბოს რაოდენობას და, თუ ამას გავამრავლებთ 10-ით, მაშინ ვიპოვნით 100 კ. ს. რძის ერბოს. თუ ამასთან რძის სიმჭირხნესაც მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ვიპოვნით ერბოს რაოდენობას 100 გრამ რძეში.

მაგალითებრ, თუ ერბოს ტანს უჭირავს 12 მეთადეი კუბიკური სანტიმეტრისა, მაშინ ასე გამოანგარიშდება ერბოს რაოდენობა: ერბო = $12 \times 0,0233 + 0,126 \times 100 = 4,05$.

შმიდტმა და ტოლენსმა თავიანთ გამოკვლევით სცნეს ის გარემოება, რომ როგორც პირზე მოგრავილი ერბოს რაოდენობა, ისე ეთერ-ალკოგოლში დარჩენილი, ყოველ გამოკვლევის დროს ერთგვარი არ არის და დამოკიდებულია ერბოს რაოდენობაზე. თვითონ რძეში. ამ საფუძველზე იმათ შეადგინეს ერთი სქემა; ამ სქემის სარგებლობით საჭირო აღარ იქნება გამოანგარიშება და ამისთვის მე აქ მოვიყვან ამ სქემას:


შეადგინოს და ტოლენსის სქემა:

ერთი მე-ათედი კუბიკური სანტიმეტრის	ერბოს რაოდენობა %	მეათედი კუბიკური სანტიმეტრისა.	ერბოს რაოდენობა %	მეათედი კუბიკური სანტიმეტრისა	ერბოს რაოდენობა %	მეათედი კ. ს.	ერბოს რაოდენობა %
1	1,339%	8,5	2,869	16	4,399	23,5	7,265
1,5	1,441	9	2,971	16,5	4,501	24	7,514
2	1,543	9,5	3,073	17	4,623	24,5	7,763
2,5	1,645	10	3,175	17,5	4,792	25	8,012
3	1,447	10,5	3,277	18	4,956	25,5	8,261
3,5	1,845	11	3,374	18,5	5,129	26	8,510
4	1,951	11,5	3,481	19	5,306	26,5	8,759
4,5	2,053	12	3,583	19,5	5,483	27	9,008
5	2,155	12,5	3,685	20	5,660	27,5	9,257
5,5	2,257	13	3,787	20,5	5,837	28	9,506
6	2,359	13,5	3,889	21	6,020	28,5	9,754
6,5	2,461	14	3,991	21,5	6,269	29	10,004
7	2,563	14,5	4,093	22	6,518	29,5	10,253
7,5	2,665	15	4,195	22,5	6,767	30	10,502
8	2,768	15,5	4,297	23	7,016	30,5	10,752

ზემო-მოყვანილ მარშანის ლაქტობუტრომეტრი ამ ბოლოს დროს ცოტათი გადააკეთა გერბერმა და ისეთი ფორმა მისცა, რომ მუშაობა და ერბოს რაოდენობის აზომვა უფრო გაადვილებული და მოსახერხებელი ყოფილიყო. ამის გამო ერთი ნაწილი მილისა გააგანეირა, რომ კარგად შეიძლებოდეს რძის და ეთერის შენჯღღრევა და მეორე ნაწილი კი, ის ნაწილი, სადაც ერბო უნდა მოგროვდეს, შეავიწროვა, რომ ერბოს უფრო დიდი ტანი ჰქონდეს და იმის ზომა კარგად, უფრო ნამდვილად იყოს შემოწმებული. აი სურათი ამ ჭურჭლისა (სურათი 14). ამ ჭურჭელს ასე ჰხმარობენ: ეთერს, ალკოგოლს და რძეს ჯერ ცალ-ცალკე გაათბობენ 15°-დინ და ჭურჭელში ჩაასხამენ ჯერ 10 კ. ს. ეთერს, იქვე მიუმატებენ 10 კ. ს. ალკოგოლს და ამ ნარევს მისცემენ სამ წვეთს კენსევილის ტუ-

ტეს (ეს ტუტი ასეა მომზადებული: 32 კ. ს. კალიქვის ტუ-
ტის ხსნილი, რომლის სიმჭირხნეც 15⁰-ზე უდრის 1,34, არეუ-
ლია 225 კ. ს. ამონიაკის ტუტესთან, რომ-
ლის სიმჭირხნეც უნდა იყოს 0,93 ამავე ტემ-
პერატურისა; ამ ნარევის სიმჭირხნე ისეთივე
იქნება, როგორც წყალისა, ესე იგი=1) და ამას
შემდეგ ჩაასხამენ 10 კ. ს. კარგად არეულ რძეს.
საცობელს დაუცობენ და კარგად შეანჯღრე-
ვენ. ამ გარემოებაში ერბო უფრო კარგად და
ადვილად გამოეცლება. ეს ჭურჭელიც ძვირი
არ არის, ღირს ერთი მანეთი ანუ ცოტა მე-
ტი.—ამ ჭურჭლის ხმარება სარჩევია და კარ-
გი სარგებლობაც მოაქვს. თუმცა ლაქტობუტი-
რომეტრის ხმარების დროს ისიც მოსალოდნე-
ლია, რომ ხანდისხან ერბო კარგად არ გამოე-
ცალოს, მაგრამ ამის მიუხედედლად იმისი ხმა-
რება ძალიან აადვილებს რძის გამოკვლევას
ერბოს რაოდენობაზე, მეტადრე თუ შეიძლება
დაკმაყოფილება არა ნამდვილ, არამედ კარგად
დაახლოვებულ რაოდენობით. რადგანაც ერბოს
ძნელი გამოცლა დამოკიდებულია რძის ხაქოს
თვისებაზე, რომელიც ტუტის მოქმედებით იცე-
ლება, ამისათვის ზოგიერთნი ურჩევენ ამ გამოც-
დილების გამეორებას იმ განსხვავებით, რომ ახ-
ლა ტუტი არ იყოს მიმატებული.

ამასთან ესეც საჭიროა ვიცოდეთ, რომ ლაქ-
ტობუტირომეტრის ხმარება ამ რიგად მხოლოდ
მაშინ შეიძლება, როცა რძე ნაღებ-მოუხდე-
ლია, მაშასადამე, როცა ბლომა ერბოს შეი-
ცავს. თუ რძე ნაღებ-მოხდილია, მაშინ ეს ჭურ-
ჭელი გამოსადეგი აღარ არის; თუ რძეში ერბო 1,4⁰-ზე
ნაკლებია, მაშინ ეს ერბო აღარ მოიკრიფება ეთერ-ალ-
კოგოლის ნარევის პირზე. ამ შემთხვევაში ზოგიერთნი ურ-



სურათი 14.
გერბერ. ლაქტო-
ბუტირომეტრი.

ჩვენ ნაღებ-მოხდილ რძეში იმოდენისავე ნაღებ-მოუხდელ რძის შერევას (რასაკვირველია, ეს რძე წინად უნდა იყოს გამოკვლეული და ერბოს რაოდენობა შეტყობილი). სამწუხაროდ, ეს ხერხი ბევრ სარგებლობას არ იძლევა, მაინც ძნელია ერბოს ნამდვილის რაოდენობის შეტყობა და ამასთან ბევრი დროც იკარგება.

ბ) სოქსლეტის ანეომეტრული საშუალება რძეში ერბოს რაოდენობის შესატყობად. ეს საშუალება სოქსლეტისაგან 1879 წელს არის მოგონილი და აი თითონ რასა სწერს ამის შესახებ: „რძე, ეთერი და კალიქვის ტუტის ხსნილი აწყულის რაოდენობით რომ შევურიოთ ერთმანეთს, მაშინ ეთერი სრულიად გახსნის თავის ტანში რძეში მყოფ ერბოს და რამდენისავე ხნის შემდეგ ეთერ-ხსნილი ერბო რძეს პირზე მოექცევა. მართალია, ცოტაოდენ ეთერი რჩება რძეში, მაგრამ მისი რაოდენობა ძალიან მცირეა და მეტი ნაწილი კი, თითქმის მთელი ეთერი რძიდან ამოღებულ ერბოთი რძის პირას იქნება. ამისათვის ადვილი შესაძლებელია ამ ეთერ-ხსნილ ერბოს სიმჭირხნის შეტყობით თითონ ერბოს რაოდენობაც შევიტყოთ. ამ ეთერხსნილ ერბოს სიმჭირხნის შეტყობა ისე ადვილია, როგორც წყალ-ხსნილის ალკოგოლისა, რადგანაც ერბოსა და ეთერის სიმჭირხნეს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც წყალისა და ალკოგოლის სიმჭირხნეს შორის.


ამისათვის საჭიროა: 1) სიმჭირხნის ამომზომელი არეომეტრი და ამოწყული ჭურჭელი ეთერის, ტუტის და რძის ასაწყავად; 2) კალიქვის ტუტის ხსნილი, რომლის სიმჭირხნეც უნდა დაახლოვებით უდრიდეს $1,26-1,27$ (ამის მოსამზადებლად აიღებენ 400 გრამ კალიქვის მწვავ ტუტეს (K_2CO_3) და 870 გრამ გამოხდილ წყალში გახსნიან); 3) წყალით გაჟღენთილი ეთერი (ამისთვის აიღებენ ვაჭრობაში სახმარ ეთერს და $1/10-1/20$ წყალს მიუმატებენ, კარგად შეანჯღრევენ და შემდეგ ეთერს ცალკე ჭურჭელში ჩაასხამენ); 4) საჭიროა აგრედვე წმინდა ეთერი და 5) რაიმე ჭურჭელი, მათრათი ან გეჯა, ან ტაშტი, რომელშიაც ოთხი ან ხუთი ლიტრი წყალიც უნდა ეტეოდეს.

წყალს 17—18° ტემპერატურა უნდა ჰქონდეს (თუ ზაფხულია, მაშინ საჭიროა 17°-ნი წყალი და თუ ზამთარი, მაშინ 18°-იანი),

აი ერბოს რაოდენობას როგორ შეიტყობენ: ჯერ ასწყვენ 200 კ. ს. კარგად არეულ რძეს, რომელსაც 17° ტემპერატურა ჰქონდეს და ჩაასხამენ იმისთანა პირდასაცობ ქურქველში, რომელშიაც 300—350 კ. ს. ეტევა; აგრედვე აიღებენ 10 კ. ს. კალიქვის ტუტის ხსნილს და რძეს მიუმატებენ, კარგად შეანჯღრევენ და შემდეგ 60 კ. ს. წყალით გაქვლით ეთერსაც ჩაასხამენ; კალიქვის ხსნილსაც და ეთერსაც, რასაკვირველია, ტემპერატურა 17° უნდა ჰქონდეს. ამ ქურქველსაცობელს დაუცობენ და ერთის წუთის განმავლობაში კარგად შეანჯღრევენ და ჩასდგამენ წყალით სავსე ტაშტში (17—18°); აქაც $\frac{1}{4}$ საათის განმავლობაში ყოველ $\frac{1}{2}$ წუთში ოდნავ შეარხევენ და ამის შემდეგ ხელ-უხლებლად დასტოვებენ წყალშივე; ათიოდე წუთის განმავლობაში მთელი ეთერ-ხსნილი ერბო რძის პირას მოგროვდება. აქ, რასაკვირველია, გამოაცდინებისთვის სულ ერთია—მთელი ეთერი გამოეცლება თუ არა რძეს; ის კი საჭიროა, რომ მისი რაოდენობა საკმარისი იყოს სიმქირხნის ამოსაზომად.

ამ საშუალებების მოხმარების შესაგნებად, მოვიყვანო მთელის აპპარატის სურათს (სურათი 15); როგორც ვხედავთ, სამუხებში (1) არის ჩამაგრებული რკინის ღერი, რომელზედაც ჩამოცმულია სხვა-და-სხვა აპარატის შესაკავებელი მოწყობილობა. ერთი საკავებელი წარმოადგენს მოკაკულ მართულის ღერს, რომელსაც ორივე ბოლო დარგვალეული აქვს (2) და ამ რგოლებში ჩამაგრებულია წყალით სავსე ჭიქის მილის საცივებელი (3). ამ საცივებელს ზემოდ და ქვემოდ თითო პატარა მილი აქვს შედუღებული (4—4), რომლებზედაც კაუჩუკის მილებია ჩამოცმული და რომლების შემწვობითაც საცივებელის წყალით გავსება და დაცარიელება არის შესაძლებელი. ამ საცივებელში არის ჩამაგრებული ერთი ჭიქის მილი (5), რომელსაც ქვეთი ბოლო შევიწროებული აქვს და გატარებული საცივებელის ქვეთი საცობელში. ამ მილში ჩასვენებულია ერთგვარი არე-

ომეტრი (6) და რომ ამან მილის შვეიწროებული ბოლო არ დაპხუროს, ამ მილს იმ ადგილას, სადაც შვეიწროებულია,



სურათი 15.

სოქსლეტის აპპარატი.

მიღებული აქვს სამი თუ ოთხი კიკისავე წვეტი, რომლებიც ისეა მოღუნული, რომ არეომეტრს არ მისცენ ნება შვეიწრო-

უბულ მილამდინ ჩაეშვას, ერთის სიტყვით, როცა მილი ცარი-
ელია; მაშინ არეომეტრი ამ წვეტებზეა შეყენებული. რასაკვი-
რველია, ამას თქმა აღარ უნდა, რომ ამ მილს ზევითა პირში
საცობელი აქვს.

არეომეტრის ღერი განაწილებულია წიშნებით 43-დან და-
წყებული 66-დინ, რომლებიც უდრიან ამ რიცხვთა 0,766—0,743
შუა სიმჭირხნეს 17%-ზე; თითო გრადუსი არეომეტრისა განა-
წილებულია ნახევარ გრადუსებად. ამას გარდა ამ არეომეტრს
გაბერილ ნაწილში ჩადუღებული აქვს ცელზიუსის ტერმომეტ-
რი, რომლის შემწვობითაც შეიძლება წავიკითხოთ მეათედი
ტემპერატურის გრადუსისა.

ჭიქის მილის შევიწროებულ ბოლოზე; ჩამოცმულია კაუ-
ჩუკის მილი, რომლის მეორე ბოლოც შეერთებულია ერთ
გძელ ჭიქის მოხრილ მილთან (7) და ეს უკანასკნელი ორ-
ხვრელიან საცობელში არის გატარებული; ამ საცობლის მეო-
რე ხვრელშიაც პატარა მოკაკული მილი არის (8) და ესეც
შეერთებულია კაუჩუკის საბერველთან (9). ეს საცობელი ამ
მილებით იმ ჭურჭლისათვის არის, რომელშიაც რძე და ეთე-
რია (10). იმავე შესაკავებელ ღერზე, რომელზედაც საცივებე-
ლი არის დამაგრებული, ჩვენ ვხედავთ სამ პიპეტას: 200 კ. ს.
რძის ასაწყაად, 60 კ. ს.—ეთერისთვის და 10 კ. ს.—ტუ-
ტისთვის.

აი თვითონ გამოკვლევა როგორ უნდა მოხდეს: საცივებ-
ლის ქვეითი გვერდის მილზე ჩამოცმულ კაუჩუკის მილს წყალ-
ში ჩასდებენ და ზემო მილით წყალს ამოსწოვენ პირით, ვიდ-
რე საცივებელი მთლად არ გაივსება წყალით; ახლა ამ კაუჩუ-
ჩუკის მილების ბოლოებს ერთად შეაერთებენ პატარა ჭიქის
შასრის შემწვობით, როგორც სურათზე არის ნაჩვენები (11)
და ასე გაუშვებენ. ამას შემდეგ იმ ჭურჭელს, რომელშიაც რძე

და ეთერ-ხსნილი ერბო არის, საცობელს მოხდიან და ამის მაგივრად იმ საცობლით დაჰხურავენ, რომელშიაც მოხრილი მილები არის გატარებული და კაუჩუკის საბერველს ორჯელ-სამჯერ ხელის მოქერით შეათამაშებენ, რომ ეთერ-ხსნილი ერბო ავიდეს იმ მილში, რომელშიაც არეომეტრი არის და როცა არეომეტრი ამ ეთერ-ხსნილ ერბოში დაიწყებს ტივტივს, მაშინ ორთითა საჩქმეტელას (12) ჩამოაცობენ კაუჩუკის მილს, რომ ეთერ-ხსნილი ერბო უკან არ გადავიდეს იმავე ჭურჭელში, საიდანაც გადმოსხმული იყო. ამით თავდება გამოკვლევა; ახლა მხოლოდ არეომეტრსე წაიკითხავენ, რომელ ნიშნამდინაც არის ჩაფლული ამ ეთერ-ხსნილ ერბოში და დაჭინუნავენ.

რადგანაც ყოველის სხეულის სიმჭირხნე დიდად დამოკიდებულია ტემპერატურის მდგომარეობაზე, ტემპერატურის ამალღება ამცირებს და დადაბლება, გაცივება კი ამეტებს, ამისათვის სიმჭირხნის დანიშვნის დროს ამ ხსნილის ტემპერატურაც უნდა დანიშნოს. თუ არეომეტრის ტემპერატურა 17° ,_ს უჩვენებს, მაშინ არეომეტრის ნაჩვენები ნამდვილია და თუ ამ ტემპერატურაზე ან მაღალი და ან დაბალია, მაშინ არეომეტრის ნაჩვენები უნდა შესწორდეს, რაც ძალიან ადვილი მოსახერხებელია: ტემპერატურის ყოველ თითო გრადუსზე თითო არეომეტრის გრადუსს ან მიუმატებენ და ან გამოპრიცხავენ, რასაკვირველია, ტემპერატურის დავგარად. მაგ. თუ არეომეტრი 59° უჩვენებს და ტემპერატურა კი მხოლოდ 16° , მაშინ ნამდვილი არეომეტრის რიცხვი იქნება $59 - 1_{ს} = 57^{\circ}$,_ს; თუ ესევე არეომეტრის გრადუსი ტერმომეტრის 1° -ზეა, მაშინ არეომეტრის ნაჩვენებს უნდა მიემატოს $\frac{1}{2}$ გრადუსი და ნამდვილი იქნება $59 + 0,5 = 59^{\circ}$,_ს; რადგანაც, როგორც ვსთქვით, არეომეტრის ღერზე დაწერილია მხოლოდ ორი უკანასკნელი რიცხვი, ამისათვის ნამდვილი სიმჭირხნე იქნება 57° ,_ს მაგიერად $0,7575$ და 59° ,_ს მა-

გივრად—0,7595. არეომეტრის ნაჩვენები სიმჭირხნისათვის შედგენილია სქემა, რომელიც უჩვენებს სიმჭირხნის შესაფერ ერბოს რაოდენობას წონით (ეს სქემა ქვეით არის მოყვანილი).

ერთის ხმარების შემდეგ ჭურჭელი კარგად უნდა გაირეცხოს და გაშრეს; თუ საჭიროა ერთის გამოცდილების გარდა მეორე გამოცდილების მოხდენაც და ან მრავალისა, ამ შემთხვევაში ასე მოიქცევიან: ჯერ ახლიან საცობელს იმ მილს, რომელშიაც არეომეტრია და ორთითა საჩქმეტელასაც მოადუნებენ, რომ ეთერ-ხსნილი ერბო იმავე ჭურჭელში გადმოვიდეს, რომელშიაც წინადა იყო. დაცარიელების შემდეგ, საჩქმეტელას ისევ მოუჭერენ და მილს წმინდა ეთერით გაავსებენ; ცოტა ხნის შემდეგ ამ ეთერსაც გამოუშვებენ. ახლა ჭურჭელი უნდა გაშრეს, რაც ადვილი მოსახერხებელია: ახლიან საცობელს იმ ჭურჭელს, რომელშიაც რძე და ეთერ-ხსნილი ერბო არის, საცობელში გატარებულ გძელ მონხრილ მილს. ცოტაოდენი ეთერით გარეცხავენ და შეუერთებენ კაუჩუკის საბერველს, რომლის რაოდენიმე შეთამაშებით სრულიად გაშრება ჭურჭელი, (როგორც ვიცით, ეთერი ძალიან მალე აორთქლდება ჰაერის ჩაბერვით). ახლა ჭურჭელი შემდეგის გამოცდილებისთვის მზად არის.

ამ საშუალებით ნაპოვნ ერბოს რაოდენობა რძეში ძალიან დაახლოვებულია სინამდვილეზე და მისგან ნაჩვენები არასდროს არ გადასცილდება 0,07% შეცდომას.

უსევე ჭურჭელი ეხმარება ნაღებ-მოხდირ რძის გამოსაკვლევადაც, თუმცა კი ცოტა სხვა ნაირად. როცა რძეში ცოტა ერბოა, მაშინ, როგორც უკვე ვიცით, ეთერი მთლად არ ეცლება რძეს და ამასთან გამოცლილშიც ძალიან ცოტა ერბო გადადის; ამისთვის გამოკვლევა ძნელდება. სოქსლეტმა სცნა, რომ თუ ამისთანა რძეს ცოტაოდენი საპონის ხსნილი მიემატა, მაშინ ეთერი კარგად სცილდება და ამ ეთერში იქ-

ნება გახსნილი მთელი ერბო (აქ სახმარებელ საპონის ხსნილს ასე ამზადებენ: აიღებენ 15 გრამს სტეარინის სანთელს, 25 კ. ს. იმ კალიქვის ტუტის ხსნილს, რომელსაც ამ საშუალებისთვის ხმარობენ და რომლის მომზადებაც ზევით იყო აწერილი და ამასთან 10 კ. ს. ალკოგოლს და რამდენისამე წუთით გააცხელებენ ადუღებამდინ, ვიდრე მთელი სტეარინი არ გაიხსნება ალკოგოლის და ტუტის ნარევი და შემდეგ 100 კ. ს.-დინ შეავსებენ გამოხდილის წყალით.) გამოსაკვლევ რძეს უნდა მიემატოს 20 ან 25 წვეთი ამ საპნის ხსნილსა; მაშასადამე, აქაც აიღებენ გამოსაკვლევად 200 კ. ს. ნაღებ-მოხდილ რძეს და ისევე მოიქცევიან, როგორც წინადა იყო ნათქვამი, მხოლოდ ეთერ-ხსნილ ერბოს ამოსაზომად სხვა არეომეტრს აიღებენ, რომელშიაც ნიშნები 21—43 აქვს.

სოქსლეტის საშუალება ყოველის მხრით კარგია და ყველას შეეძლება მისი მოხმარება; სამწუხაროდ, ცოტა ძვირად ჯდება ამ საშუალებისთვის საჭირო ჭურჭლის მოპოვება— 25—35 მანეთი; თითო არეომეტრი 5 მანეთი ღირს. ამ საშუალების მეორე ნაკლულევანება ის არის, რომ ძალიან ადვილი გასატეხია და მუშაობის დროს დიდი სიფრთხილე უნდა ამას გარდა, ეთერიც ბევრი იხარჯება, რომელიც იაფიც არ არის. ამის მიუხედავად, ეს საშუალება ეხლა დიდად აზრის გავრცელებული თითქმის ყოველ სარძევეში და ყოველ ლაბორატორიაში, სადაც კი რძის გამოკვლევა საჭიროა. თუმცა ეს საშუალება უფრო ძნელი მოსახმარებელია, ვიდრე მარშენის ლაქტობუტირომეტრი, მაგრამ ვინც ისურვებს, ძალიან მალე და ადვილადაც მიეჩვევა.

ახლა აქ მოვიყვან იმ სქემებს, რომელთა შემწვობითაც შეიძლება ეთერხსნილ ერბოს სიმჭირხნით თითონ ერბოს რაოდენობის პოვნა.

ს მ მ ბ ა,

რომელიც უზენებდ ერბოს ბაოდენობას ნაღებ-მოუხდელ რძეში თოერხსნოლ ერბოს სიმკრხნის და გვარად:

საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ	საღებ	ადგენ
43	2,107	45,13	2,133	47,16	2,160	49,19	2,187	52,12	3,115	56,18	3,113	59,11	4,108
43,1	2,108	45,14	2,134	47,17	2,161	50	2,188	52,13	3,116	56,19	3,113	59,12	4,109
43,2	2,109	45,15	2,135	47,18	2,162	50,1	2,189	52,14	3,117	57	3,115	59,13	4,110
43,3	2,110	45,16	2,136	47,19	2,163	50,2	2,192	52,15	3,118	57,1	3,116	59,14	4,111
43,4	2,111	45,17	2,137	48	2,164	50,3	2,193	52,16	3,119	57,2	3,117	59,15	4,112
43,5	2,112	45,18	2,138	48,1	2,165	50,4	2,194	52,17	3,120	57,3	3,118	59,16	4,113
43,6	2,113	45,19	2,139	48,2	2,166	50,5	2,195	52,18	3,121	57,4	3,119	59,17	4,114
43,7	2,114	46	2,140	48,3	2,168	50,6	2,196	52,19	3,122	57,5	3,120	59,18	4,115
43,8	2,115	46,1	2,141	48,4	2,170	50,7	2,197	52,20	3,123	57,6	3,121	59,19	4,116
43,9	2,116	46,2	2,142	48,5	2,171	50,8	2,198	52,21	3,124	57,7	3,122	59,20	4,117
44	2,117	46,3	2,143	48,6	2,172	50,9	2,199	52,22	3,125	57,8	3,123	59,21	4,118
44,1	2,118	46,4	2,144	48,7	2,173	51	3,000	52,23	3,126	57,9	3,124	60,1	4,119
44,2	2,119	46,5	2,145	48,8	2,174	51,1	3,001	52,24	3,127	58	3,125	60,2	4,120
44,3	2,120	46,6	2,146	48,9	2,175	51,2	3,002	52,25	3,128	58,1	3,126	60,3	4,121
44,4	2,121	46,7	2,147	49	2,176	51,3	3,003	52,26	3,129	58,2	3,127	60,4	4,122
44,5	2,122	46,8	2,148	49,1	2,177	51,4	3,004	52,27	3,130	58,3	3,128	60,5	4,123
44,6	2,123	46,9	2,149	49,2	2,178	51,5	3,005	52,28	3,131	58,4	3,129	60,6	4,124
44,7	2,124	47	2,150	49,3	2,179	51,6	3,006	52,29	3,132	58,5	3,130	60,7	4,125
44,8	2,125	47,1	2,151	49,4	2,180	51,7	3,007	52,30	3,133	58,6	3,131	60,8	4,126
44,9	2,126	47,2	2,152	49,5	2,181	51,8	3,008	52,31	3,134	58,7	3,132	60,9	4,127
45	2,127	47,3	2,153	49,6	2,182	51,9	3,009	52,32	3,135	58,8	3,133	61	4,128
45,1	2,128	47,4	2,154	49,7	2,183	52	3,110	52,33	3,136	58,9	3,134	61,1	4,129
45,2	2,129	47,5	2,155	49,8	2,184	52,1	3,111	52,34	3,137	59	3,135	61,2	4,130

ს კ მ ბ ა ,

ქრომელიც უჩვენებს ერბოს რაოდენობას ნაღებ-მოხდილ რძეში ვთერხსნრილ ერბოს სიმკვრიხის და-
გვარად.

21 1	'იფავმბ -დაყ რადყს	0,00	23,9	0,32	25,7	0,44	28	0,35	30,3	0,87	32,6	1,06	34,9	1,21	37,2	1,19	39,5	1,37	41,39	1,105
21 2	'იფავმბ -დაყ რადყს	0,01	23,5	0,24	25,3	0,45	28,1	0,68	30,4	0,88	32,7	1,07	35	1,28	37,3	1,50	39,6	1,73	41,39	1,186
21 3	'იფავმბ -დაყ რადყს	0,02	23,6	0,25	25,3	0,46	28,2	0,67	30,5	0,88	32,8	1,08	35,1	1,29	37,4	1,51	39,7	1,74	42	1,197
21 4	'იფავმბ -დაყ რადყს	0,03	23,7	0,26	25,3	0,47	28,3	0,68	30,6	0,89	32,9	1,09	35,2	1,30	37,5	1,52	39,8	1,75	42,1	1,198
21 5	'იფავმბ -დაყ რადყს	0,04	23,8	0,26	25,4	0,48	28,4	0,69	30,7	0,90	33	1,10	35,3	1,31	37,6	1,53	39,9	1,76	42,2	1,199
21 6	'იფავმბ -დაყ რადყს	0,05	23,9	0,27	25,4	0,49	28,5	0,70	30,8	0,91	33,1	1,11	35,4	1,32	37,7	1,54	40	1,77	42,3	2,000
21 7	'იფავმბ -დაყ რადყს	0,06	24	0,28	25,5	0,50	28,6	0,71	30,9	0,92	33,2	1,12	35,5	1,33	37,8	1,55	40,1	1,78	42,4	2,01
21 8	'იფავმბ -დაყ რადყს	0,07	24,1	0,29	25,6	0,51	28,7	0,72	31	0,93	33,3	1,13	35,6	1,33	37,9	1,56	40,2	1,79	42,5	2,02
21 9	'იფავმბ -დაყ რადყს	0,08	24,2	0,30	25,6	0,52	28,8	0,73	31,1	0,94	33,4	1,14	35,7	1,34	38	1,57	40,3	1,80	42,6	2,03
22	'იფავმბ -დაყ რადყს	0,09	24,3	0,31	25,7	0,53	28,9	0,74	31,2	0,95	33,5	1,15	35,8	1,35	38,1	1,58	40,4	1,81	42,7	2,04
22 1	'იფავმბ -დაყ რადყს	0,10	24,4	0,32	25,8	0,54	29	0,75	31,3	0,96	33,6	1,16	35,9	1,36	38,2	1,59	40,5	1,82	42,8	2,05
22 2	'იფავმბ -დაყ რადყს	0,11	24,5	0,33	25,9	0,55	29,1	0,76	31,4	0,97	33,7	1,17	36	1,37	38,3	1,60	40,6	1,83	42,9	2,06
22 3	'იფავმბ -დაყ რადყს	0,12	24,6	0,34	26	0,56	29,2	0,77	31,5	0,98	33,8	1,18	36,1	1,38	38,4	1,61	40,7	1,84	43	2,107
22 4	'იფავმბ -დაყ რადყს	0,13	24,7	0,35	26,1	0,57	29,3	0,78	31,6	0,99	33,9	1,19	36,2	1,39	38,5	1,62	40,8	1,85		
22 5	'იფავმბ -დაყ რადყს	0,14	24,8	0,36	26,2	0,58	29,4	0,79	31,7	0,98	34	1,20	36,3	1,40	38,6	1,63	40,9	1,87		
22 6	'იფავმბ -დაყ რადყს	0,15	24,9	0,37	26,3	0,59	29,5	0,80	31,8	1,00	34,1	1,21	36,4	1,41	38,7	1,64	41	1,88		
22 7	'იფავმბ -დაყ რადყს	0,16	25	0,38	26,4	0,60	29,6	0,81	31,9	1,01	34,2	1,22	36,5	1,42	38,8	1,65	41,1	1,89		
22 8	'იფავმბ -დაყ რადყს	0,17	25,1	0,39	26,5	0,61	29,7	0,82	32	1,02	34,3	1,23	36,6	1,43	38,9	1,66	41,2	1,90		
22 9	'იფავმბ -დაყ რადყს	0,18	25,2	0,40	26,6	0,62	29,8	0,83	32,1	1,03	34,4	1,24	36,7	1,44	39	1,67	41,3	1,91		
23	'იფავმბ -დაყ რადყს	0,19	25,3	0,41	26,7	0,63	30	0,84	32,2	1,04	34,5	1,25	36,8	1,45	39,1	1,68	41,4	1,92		
23 1	'იფავმბ -დაყ რადყს	0,20	25,4	0,42	26,8	0,64	30,1	0,85	32,3	1,05	34,6	1,26	36,9	1,46	39,2	1,69	41,5	1,93		
23 2	'იფავმბ -დაყ რადყს	0,21	25,5	0,43	26,9	0,65	30,2	0,86	32,4	1,06	34,7	1,27	37	1,47	39,3	1,70	41,6	1,94		
23 3	'იფავმბ -დაყ რადყს	0,22	25,6	0,44	27	0,66	30,3	0,87	32,5	1,07	34,8	1,28	37,1	1,48	39,4	1,71	41,7	1,95		

იმ შემთხვევაში, როცა რძე ძალიან სუქანია და ეთერ-
 ხსნილ ერბოს სიმკირხნის ამოზომა შესაძლებელი არ არის
 სოქსლეტის არეომეტრით, მაგალითად, როცა რძეში ერბო 5,12%
 მეტია, მიშინ 200 კ. ს. მაგეირად იღებენ 100 კ. ს. რძეს და
 ამას 100 კ. ს. წყალს შეურევენ და არეომეტრით ნაჩვენებ
 სიმკირხნის შესაფერ ერბოს ორად გაამრავლებენ.

ვ. პეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ბუნებრივი რძის შემადგენელი ნივთიერებები
 - წყალი
 - ცხიმოვანი ნივთიერებები
 - მარილები
 - ლაქტოზი
 - პროტეინები
 - ფოსფორი
 - ვიტამინები
 - კარბონი

რძის შემადგენელი ნივთიერებების შემადგენელი ნივთიერებები
 - ცხიმოვანი ნივთიერებები
 - მარილები
 - ლაქტოზი
 - პროტეინები
 - ფოსფორი
 - ვიტამინები
 - კარბონი

რძის შემადგენელი ნივთიერებების შემადგენელი ნივთიერებები
 - ცხიმოვანი ნივთიერებები
 - მარილები
 - ლაქტოზი
 - პროტეინები
 - ფოსფორი
 - ვიტამინები
 - კარბონი

გიგლიოზრაფია

აკაკის ნაკვესები, წიგნი პირველი, შეკრებილი და გამოცემული
თ. სახოკიას-მიერ, ტფ. 1896 წ.

ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ ამ უამად, რომ წიგნების
ბეჭდვა, მეტადრე კარგის წიგნებისა, დიდს საჩუქებლობას მოგვი-
ტანს. ქვეყანა, როგორც ეტყობა, გამოფინილდება ავირობს, ყურ-
გამსკეპულია და ყოველისავე ცოდნა და გაგება უნდა. ამ სურ-
ვილს გაძლავა ეჭიჩკება, მძიერს თავ-თავის დროზე და უხვად
უნდა საზრდოს მიწოდება, ნოყიერის, მარგებლის საზრდოსი. ჩვენ-
და სამწუხაროდ, კერ ვიტყვი, რომ ჩვენი შეგნებულნი, მცოდნე
და ნასწავლნი კაცნი ამ საქმეს ჯერჯერობით უშრატლებას აქცევდნენ.
კერძო წიგნების მბეჭდველნი ძალიან ცოტანი გვეყანან და, კინც
აჩინ, ისინიც საკმაოდ მომზადებულნი არ არიან ამ მძიე და დიად
დიდ-მნიშვნელოვანის საქმისათვის. ამიტომ სიამოვნებით უნდა გე-
ტებებოდეთ ყოველ ასალს წიგნების მბეჭდველ-გამომცემელს, რომე-
ლიც კი მხნედ და შეგნებით შეუდგება ჩვენის ქვეყნის ასეთის სა-
ჭიროების დაკმაყოფილებას, გონებისა და ზნეობის საზრდოს მოზ-
დებას კრისა და საზოგადოებისათვის.

ეს აზრი მოგვივიდა იფიჩკად, როცა ზემოსსწავლული ჰატარა
წიგნი მივიღეთ. ვიფიჩკეთ, ახალი კაცი მიემატა ჩვენთა წიგნების
გამომცემელთა გუნდსაო. თ. სახოკია, რამდენადაც ვიცით, ახალ-
გაზდა კაცია, საკმაოდ მხნე, მარჯვე და შეგნებითა და მომზადები-
თაც სხვა კერძო გამომცემლებზედ, თუ არ მაღლა, დაბლა არა სდგას.
თან-და-თან გამომცემლებსაც შეიძენს და, თუ საჭირო დონისძიე-
ბაც იზრუნა, იქნება რიგინად გაუმძღვეს გამომცემლობის საქმესაო.

პირველი ნაბიჯი კი მის-მიერ გადადგომული, ფრიად უსერხული გვერანა. ჟერ ერთი რამ აკაკის ნაკვესები საიმიო ბერი არ არის. რაც მართლა მოსწრებული რამ უთქვამს ამ ოცისა და რც და სუთის წლის განმავლობაში, უკვე შეჭვრება ისეთმა მოყვარულმა ქართულის მწიგნობრობისადა და ჩვენის ნიჭიერის მწერლების ნაწერებისამ, როგორც არას ბ-ნი ლელო და დაჭბეჭდა გ.ზ. «იკერიში». ეს ნაკვესები მერე ცალკე წიგნდაც იქმნა დასტამბული სსკათა ნაკვესებთან ერთად და ყოველივე ესე ერთი პატარა წიგნი ძლივს გამოვიდა. ამ წიგნის მეათედი ნაწილი ძლივს უჭირავს აკაკის ნაკვესებს. უთუოდ, ეს გარემოება უნდა იყოს მიზეზი, რომ გამოძეგმელს აკაკის სსკა ასალის ნაკვესების გროვება დაუწევია და, რაჯო მართლა გონება-მასკილობით, ჭეშმარიტის ოსუნჯობით თქმული მტირედ უბრუნია, ჩაურთავს შიგ ბერი ისეთი ნაკვესიც, რომელიც ან უმაროლოა, ან სსკის ნათქვამი და ან უმართებულოა და სსკეუნიოდ გაშოსატანი არ არის. არა-ყოველივე, რაც უთქვამს ნაჭით მოიიღეს კაცს კერძოდ, ნაცნობთა და მეგობართა შორის, თუნდ დიდის მასკილობითაც, შესაძლოა დაიბეჭდოს და მიეცეს. საზოგადოებას ხელში. ეს არც თვით ნაკვესების ავტორისათვის არის კარგი და არც დაბეჭდველისათვის. გამოძეგმული უბირველეს ყოვლისა უნდა უფროთხილდებოდეს და პატივის-ცემით კვიდებოდეს შეითსკელს საზოგადოებას; აგრევე ავტორსაც. ჩვენის აზრით, ბ-ნმა თ. სახაკიამ არა სცა ჟურნალის პატივი არც ავტორს, რომლის კერძოდ თქმული სასუმრო, მოსწრებული, მაგრამ უმართებულ სიტუებში, ჩაურთო თავის წიგნაკში და არც საზოგადოებას. რაცა შეესება «დამატებას» ამ წიგნისას, სცა უმართებულად არიან მოსსენებულნი ზოგიერთნი ჩვენნი მწერალნი და მშრომელნი, ეს სომ სრული შეუსაბამობაა. წიგნს «აკაკის ნაკვესები» აწერია ზედ, ზედვე ჭხატა სურათი მისი და შიგ საიდგანდაც უკანონოდ ჩნდება ისეთი რამ, რაც აკაკის არ უთქვამს და რაც იმის კლამს სრულიად არ კუთვნიან.

წინასიტყვაობაც ამ წიგნაკისა არ მოკვეწანა. ისეა დაწერილი, თითქოს ბაზანი აქებს თავისს სსკონელსა: «საზოგადოებას, მასკოვსკო ტაკარო» შიგა და შიგ ასეთი ქართულიც არის: ...«რითაც კი

ღირსებიანია დღეს აკაგის ნაწიერები». ამგვარი სიტყვა: ღირსებიანი, ქართულში არ არსებობს და გამომტყუელს შეუთხუზნია; «დედა მისიღ მატეთი იყო». ვითომ აკაგემ სთქვა: მატეთიო. არა გვგონია. «მეგობარს უნდა ეთქვას, რომ მარჯვნივ ბუღბუღი უზის (ვის?) და მარცხნივ კაჭკაჭია... ეს მიმოხვება ასე უნდა გამოთქმულიყო: ...მეგობარს უნდა ეთქვას, მარჯვნივ ბუღბუღი მიზის და სსკ».

ყოველ ამას გარდა, ეს შატარა წიგნი სულ ერთი თაბახარა არც კია ბექდვისა და აბაზი კი ჭლირს.

გიორგი გვაზავა — „ბატონიშვილი ლევან“ . ტფ. 1895 წ.
 — „ლილო“ . ტფ. 1895 წ.

«ბატონიშვილი ლევანი» ვითომ ამბავია, ლექსად თქმული, ვითომ პოემაა. შინაარსი მისი ასეთია: ლევანს ცოლი ჭდალატობს და ხუთას ოქროს იღებს თვისის უნამუსობისათვის. ამ ამბავს გაიგებს ქმარი, ირონიულად დასტუქსავს ცოლს განგებ ამისათვის გამართულ ნადიმის დროს, მოატაკინებს სუთასის ოქროს, ათს შაურს მისცემს ამ ფულიდან, მეტის ღირსი არა ხარო და დანარჩენს დაუბრუნებს იმ თვისსა მეგობარს, რომელმაც გაყუადვინა ქალს ნამუსი. ეს კიდევ არაფერია, ალავერდს გადადის და ჭკოცნის კიდევ ასეთს მუსხანათს მეგობარსა. — მერე? ივითსავთ. მერე ალავერდი. მეგობარმა ჭკრა ქუსლი ცხენსა და წაჰიდა მშვიდობით, თუმცა კი ვითომ სინანულითა და სვინიდისის ქენჯნით შეჰყრობილი.

ეს განხვავთ შინაარსი ბ-ნ გვაზავას პოემისა. ეს არის მისი ფსიმოლოგია და უნარი ავტორის გულთა-მსილაობისა. ასეთს შინაარსს ფორმატ, რასაკვირველია, თვისი სკადრისი და შესაბამი აქვს. აი რაგორის ქართულითა სწერს ბატონი გვაზავა:

... და ცას გაჰყურებს მოწვეულს
 შემოდგომისა შგენებას...
 ... მამია ეშხით დამწვარი
 ეტემა სიმღელვარესა.

... და დანარჩენი, რაიცა
 იქა წარმოსთქვა ენაში,
ბაღიდან ბაღში გაიქცა...
 ... და კარგად აშეოთებულა
 შინ წამოვიდა ღამითა.
 ... თავს ძვირად ჭეფასობ, გეტყობა...

ჭეფასობ, თუ აფასებ? სადაური ქართულა!
 კმარა. მეტიც თქმა დიდი დანაშაული იქმნება ჩვენის მხრით
 ამ ჰაწია წიგნაკის შესახებ.

ენასოთ ესლა, რა არის მეორე წიგნაკი «ლილო», იმავე აუ-
 ტორისა. ეს გალექსილი ამბავი ნამდვილი ბაირონისებური ნაწარ-
 მობია და სულ ჩაილდ-ჭაროლდსა ჭეკას. სუმრობს იქით იეოს-და,
 როგორც ჩაილდ-ჭაროლდში, აქაც ვითომ გმირს კედურება მისი
 სამშობლო ქვეყანა, ესე იგი საქართველო:

მაფე (?) ამბობდნენ, რომ მასა (?)

არა სწამს არაფერიო,
 დასცილის წარსულ შრომასა,
 წინა ეჭვითა მტკერიო... და სხვ.

ვერს ჭეურობთ? «ლილოც» ისეთი სკეპტიკი ყოფილა, რო-
 გორც ჩაილდ-ჭაროლდია.

მისთვის არ არის საყდარი,
 კრძალვითა შესახებო;
 პატევ-საცემი არ არი,
 ოჯახში შესაშვებო.. და სხვ.

ზირ-წავარდნილი ბაირონიზმია. მართა ამსუდ არ ეტუობა
 «ბაირონისებურობა» ამ ნაწარმობეს.

როგორც ბაირონის ზოემბეში, აქაც გმირი სომალდით მოგზა-
 ურობს და აუტორი დიდის დაწერილებით აღგვიწერს ზღვის ღელ-
 ვასა და ფურთუნას; მეორე ბ-ნს გვაწავას აწერილი აქვს დამსხვრევა სო-
 მალდისა, ბრძოლა გმირისა ზღვის ტალღების წინააღმდეგ და გა-

დაჩვენა მისი. ერთის სიტყვით; ლილო სან კითომ დონ-ეუხსსა ჭკავს, სან—ჩაილდ-ჭარლდსა. მოგვიტეკეთ კი, მკითსკელო, ასეთი შედარება. აი როგორის ბაირონისებურის კილოთი ადგვიწერს ზღვის-დეკვას ჩვენი ავტორი:

დეღვა ზღვისა და კარისა
ზღვასავით მომღელღარისა
შესწყდა უცრად და მერე,
როცა ძლიერად ეს გული,
კვალად ტალღასა გამტეგრე:—

რადა თამარ-ღაზსკელის ავტორის პოეტური ენა, მისნი ბერ-კუტნი და რადა ეს გამტეგრე!

ვიგრძენ—ზღვაში ვარ, ვიგრძენი,
გემი რომ დაღუპულია... და სსკვა ამგვარად.

ნასსენებია საბერძნეთიცა, თუმცა კი, არკიცი, რისთკის. უთუოდ იმიტომ, რომ ბაირონობის ელფერი უფრო მეტად დასდებოდა. ბაირონმაც სომ საბერძნეთის თავისუფლებისათვის იბრძოლა და საბერძნეთის მდელოთა შორის განუტეგა სუელი! მაჰ?! ესუემრებით ბატონს გვაზავს თუ? თუ ჭკვანდეს, ბარემ უკვლავფერში ჭკვანდეს მისი პოემა ბაირონის ნაწერებს! რომ სუელი ბაირონობისა უდგას ამ პოემასაც, იჭიდგანა სისანს კიდეკ, რომ მისი გემირი, ეს მართლა «ლილო», სადღაც და რომელღაც ევროპის ქალაქში იბრძვის აჯანყებულ ერთან ერთად და დიდს გემირობას იქენს, დიდს ლომობას. მერე სასულმწიფო დარბაზშია და ისეთის მტერ-მეტყველებით ჭჭუნს, რომ იმასთან შედარებით გამბეტა და უულ-ფავრი ვისი ტიკი-ტომანანი არიან. მის მტერ-მეტყველებას შედეგად მოსდევს დამხობა სამინისტროსი. ჭნასეთ რა ამბები ყოფილა «ლილოში»? ასეთი ქართველი გემირი დაგვისურათა ავტორმა!

აი ქართულიც, რა კარგად, რა ზედ-მიწეკნით იცის ამ ბ-ნმა გიორგი გვაზავამ:

ერთი უცხო ხმებს იჭკრდა,
თვალდ—უცხო რამ მშვენებას...

როგორ იტყვდა ყური უცხო სმებს, ეგ ისეთი საიდუმლოა, რომელსაც ეკროპის მესტრონი თუ ასსნიან მსოფლოდ. საკვირველი უფრო ის არის, თოკალი როგორ იტყვდა უცხო რამ მშკენებას!

... სხივზე ბიბინი მწვანისა
 ვარღზე დახრილი ვაზები,
 კვალად შიშველა ტანისა
 თავისუფალი ხასება...

მე თქვენ მოგასსენებთ, ნამდვილი რუსთაველისებური კალმის მოსმას, შტრისის რომ ქება აღარ ითქმის!

სურვილი ცეცხლად მომედო
 მასთან ყოფნისა მაშინა,
 სურვილი—დავიმედო
 აგრე დამემშვიდებინა:

და ამ მშკენიერად გამოთქმულ ქართულს მოსდევს შემდეგი დავით გურამიშვილისებური წუობილ-სიტყვა:

„შენი სახე
 მე რომ ვნახე,
 გულმა წყნარა,
 მე მახარა:
 იმისი ვარო!“
 ოჰ, გჯეროდეს,
 შენ მხოლოდ ეს,
 ჩემო ნარნარო.

ანუ, აი, დასტებით ამ ტაებით:

ვიტირე—მაგრამ გჯეროდეს,
 მარტო სიკვდილით წვალეებით
 ვერ გამოჰხეთქდა ვეროდეს
 ცრემლსა ამ ჩემის თვალებით...

კარგი არ არის? მართლაც, ქემდებსარე სადღაც გაქცეულა და კაცს ვერ გაუგია, რა ვერ გამოჰხეთქდა ცრემლსა, მაგრამ მაინც მშკენი-

რება. გვინებ და მკერა, რომ ქვემდებარე ბორბოტს გორკეტორს
მოუზარაგს ჩვენის ასალ-მოკლენილ რუსთაველის დასასწრდილებლად.

გინდათ გიდეკ ამისთანა მარგალიტები სუფთა ქართულისა? ან
ინებეთ:

... რაც გულმა გულში მაშინა
აბინაგა და აშინა...

... და მან ჩვენს სმენას დაუწყო
ამ ცნობის საამურება...

... დღესაც შრომისა ხეგითა.

... მე მხოლოდ გულს მივიკარი

გულზედ მიკრული ფიცარი...

... გამოგველაშქრდა ბუნება...

... და საკოცნელად თბილი თმა...

კმარა. ასეთი გახლავთ ზოქმა ბ-ნის გავზავასი: არც ქართული,
არც ლექსი, არც ერთი ადგილი, რომელიც გულსა ჭხკდებოდეს. ში-
ნაარსსაც კი გერ მისკდება რივიანად კაცი. ავტორს ეტყობა მსო-
ლოდ, რომ დიდი სურვილი აქვს მაჭბამოს ბაირონს, მაგრამ, რასა-
კვირველია, ამ კანდიერის ქადლისათვის ძალა არ შესწევს. ამის შემ-
დეკ განა ნება არა გააქვს ესთქვათ, რომ ლაღია, გაბედულია არა მარტო
ნიჭით მოსილი, თვისის ძალ-ღონის მოიძებე?!...

G.

უხსოვარი მიმოხილვა

ახალი ფართი ოსმალეთში

კაი ხანია, რაც ევროპის საზოგადოებრივი მწერლობაში თანდათან უფრო და უფრო სწივად დაიწყო «სომხეთის საქმის» სსენება. მოგეხსენებათ სომხების მდგომარეობა ოსმალეთის იმ მხარეებში, სადა ისინი ქართვების მეზობლად სცხოვრობენ, ესე იგი კანისა და არზრუმის ვილაიეტებში, მეტად გაჭარბებული და სამწუხაროა. თვით სტამბოლში კი, და საზოგადოდ საეკერპიო ოსმალეთში, სომხების მდგომარეობა, როგორც თვითონ სომხთა მეთაურები ჯობაქს, ხანატრულა თურქმე, ბუკრად უფრო რიგანია, ვიდრე სადმე სსეაგან... სამაგიეროდ არზრუმისა და კანის მხარეებში მათი გასასჯირი და შევიწროება ენითაც ვერ გამოითქმის. იქ ისინი ყოველგვარ უფლებას მოკლებულნი არიან. ბერლინის კონგრესის დროს ევროპამ თანაუგრძნო მათ მდგომარეობას და მისი გაუმჯობესება მოინდომა. ბერლინის ტრაქტატის ერთმა მუხლამ (61) დიდი იმედები მისცა სომხებს, და დიდს აღტაცებაშიაც მოიყვანა ისინი, თუმცა ეს მუხლი სრულად არაკითარ რეალურ ცვლილებას არ მოასწავდა. აი ის მუხლი, თავიდან ბოლომდე, სიტყვა სიტყვით გადმოთარგმნილი დედნიდან: «პორტა პირობასა სდებს რეალობებს შერიოდოს სომხეთის მხარეებში, და დაიცვას სომხისნი ჩუქუბებისა და ქართველისაგან. პორტა უამითი-ყამად აცნობებს სასულემწიფოებს, რა და რა ღონისძიებას მიიღებს ამ აზრით». როცა ეს ტრაქტატი ბერლინისა დაიწერა და დამტკიცდა, სომხებს ის იმედი ახარებდა, ვითომ ევროპამ ოსმალეთს სომხებისთვის სრული თვით-მმართველობის (ავტონომიის) მიანიჭება დაჰპოვებო. ეს იმედი მალე გატყუ-

და: ზორტამ სრულიად უმნიშვნელო ცვლილებანი მოასდინა კანისა და აზროვნების მარჯვნივ, და ზედ ჩსირი მიატესა: მეტს მე ეკროზას როდი დაკვირებია. ამ საგანზე დიდი მეცადინეობა გასწიეს სომხებმა, დიდი ფულიც დახარჯეს დეპუტაციების გზაგანისა, მიტინგების მართვისა და გაყვების დაარსებისათვის ეკროზის სსკა-და-სსკა სატასტო ქალაქში. მათ ბევრი გულ წრფელი დამხმარეც აღმოუჩნდა, გაკლენიან მწერლებს, და ორატორებს შუა, განსაკუთრებით ინგლისში. მაგრამ ყოველივე მეცადინეობა მათი და მათის დამხმარებელთა აქამდე ფუჭად მიდის, თუმცა ისიც დიდი და ძვირფასი ბედნიერებაა სომხებისათვის, რომ მათი სსკება სშირდება არა თუ საზოლოტიკო მწერლობაში, თვით დიპლომატიკაშიც, და, მათი, კარგად-წოდებული «სომხეთის საქმე» დღეს ყოველს განათლებულ ადამიანს გატეხული აქვს მთელს დედა-მიწის ზირზე. მარტო ეს გარემოებას უშეკლებელი წარმატება და სწორედ რომ იმედის საფუძვლად უნდა დაიდოს ამკარ მდგომარეობაში მყოფ სალხისათვის...

მასიც, სომხებსაც მეცადინეობა, ვერ-ჯერობით, უსაყოფოდ რჩება-მეთქი, რადგანაც ბრწყინვალე ზორტა უარზე სდგას, და მისი ძალის-ღამბრანებელი ვი არსადანა სხანს. მარტო ინგლისი, სანდის-სანს, და ისიც ცარიელის სიტყვით, თითქო ფორმისათვის, გაასუნებს სოღმე ზორტას მის დაპირებას, სომხეთში რეფორმების შემოღების თაობაზე. ზორტა, მაშინ, ზასუსად ყოველთვის იმას ამბობს, რომ, რაც რამე რეფორმა ვცანს საჭიროდა ყველა შემოვიღე კიდევცაო, და მეტის ქმნა უსარგებლოცა და შეუძლებელიცაო. ყოველთვის, როცა სომხების თვით-მმართველობაზე ჩამოკარდება ლაზარევი, ზორტა იმას ამტკიცებს, რომ არც სომხეთი არსებობს საღმე, არც სომხებიო. ჩვენს სამფლობელოშიო, ამტკიცებს ზორტა, ერთი ისეთი ქალაქი ან სოფელი არ მოიძებნება, საცა სომხები მკვიდრთა უმრავლესობას შეადგენდნენ. ისინი ყოველგან ან ოსმალებს, ან ქურთებს, ან ბერძნებს შორის სცხოვრობენ, და ყოველგან დანარჩენ მცხოვრებლებზე ნაკლები არიან რიცხვითაო. მათთვის ჰეტონომიის მინიჭება ის იქნება, რომ ყველა სსკა ტომისა და რკულის მცხოვრებლები მათ დაუქვემდებარდნათ, ასე რომ მოვიქცეთ, გამწარე-

ბუღი ქურთები და ოსმალნი სომხებს სულ ერთიანად ამოკლეს.
 ამ პასუხითა თავდება საქმე ყოველთვის. ანგლისელი კეთილ-
 მოსურნენი უჩვეულ სოღმე სომხებს ხშირ-ხშირად ეკანსენონ თავი-
 სი საქმე და სასული ეკრაჰს, ხან საღსის მოძრაობით თვითონ
 სომხეთში, სან აჯანყებთან. მაგრამ ეს ღონის-ძიება ისეთი ადვილბ
 როდია, რომ განგებ შეიძლებოდეს მისი სმალება, თითქო ქინაქინა
 ანა და ნესტარის კერაო. რეკოლიფიკაცია, ისეთი, რომელსაც საღსის
 ბედის შეცვლა და ეკრაჰის გრძნობაზე შედმოქმედება შეეძლოს,
 განგებ ეკრაჰინ კერ გამოიწვევს, როგორც ეკრაჰინ ეკრ. მოასდგენს
 განგებ ქარიშხალს, მიწის-ძვრას, წარღვნას და სსტ. ორჯერ თუ
 სამჯერ მონიდომეს წმინდა გრძნობით გატაცებულმა ახალგაზდებმა
 წინააღმდეგობა გაწიათ ოსმალებისთვის, მაგრამ გამძვინვარებულ-
 მა მკვდაიანებმა მიწისუე მოსპეს მოძრაობა, ახალგაზდების ამოკლე-
 ტით. ამის თაობაზე ყოველთვის ბუერი გოდება. ისმოდა მწერლო-
 ხში და ზარღამენტებში, მაგრამ, კიმეორებ, საქმით ჯერ-ჯერობით
 არა გაკეთებულა-რა, და მარტო «ხმად მღალაღებელისა უდაბნოში»
 რჩება აქამდე სომხების გოდება. სულ არაჩაობას, ვიმეორებ კიდევ,
 ესერ კარგია, მაგრამ ზრატვიკულად, რეალურად, ჯერ-ჯერობით ეს,
 იმედის მეტს, არაფერს წარმოადგენს.

ზრატვიკული, რეალური რამ ამ იმედიდან მაშინ გამოვა, როცა
 იმ მასრებში, რომელთაც ძველად «დინდი სომხეთი» ერქვა, აკტო-
 ნომიური სამთავრო დაარსდება. როგორც ჩვენთვის, აგრედვე რუსეთი-
 სათის, ეს სწორედ რომ სასურველი და სანატრელი საქმეა. მაშინ
 ჩვენს მსარეს მეზობლად და მოსამზღვრედ გულურისა და ძლიერისა,
 მასთან ურჯულო ოსმალეთის მავიერ, ისეთი სამთავრო ეყოლება,
 რომლის თვით-არსებობა და ძლიერება მარტო განათლებაზე იქნება
 დამყარებული, და რომლის სასსენებელი, თუ გაუნათლებელი დარჩა,
 დედა-მიწის ზირიდან ხელ-ასლა აისოცება... ჩვენ, ქართველებს, შე-
 გვიძლია, და საფუძველიცა გვაქვს, გულსაკულად კიეთო სომხებსე
 ჩვენში; გულსაკულად კი არა, მტრულადაც რომ მოექცეთ აქ—ნება
 და უფლება გვაქვს, რადგან აქ, ჩვენს ქვეყანაში, ისინი ჩვენს უფლე-
 ბას უარყოფენ, ჩვენს ქონებას გუართმევენ. ამიტომაც აქ მათ
 წინააღმდეგ ბრძოლა, კანონდერის დარღვით, ჩვენი უფლება კი არა,

მოკალეობაც არის. მაგრამ ეს აჭაური ქიშპობა ჩვენსა და სომხებს შუა, თუ ჩვენ გონიერები ვართ, მარტო ადგილობრივ ქიშპობად უნდა ჩავთვალოთ. სომეხი საქართველოში, და სომეხი სომხეთში სულ სხვა-და-სხვა არსებად უნდა მიგვაჩნდეს. რადუნადაც ის ჩვენში უმადური და უსამართლო მოძალადეა, იმდენად თავის საკუთარს ქვეყანაში ის სიმშატიის ღირსი მებრძოლვა თვისის ენისა, რჯულისა, უფლებისა და ქვეყნის დასაცავლად. სენტიმენტალური შესუდულობაც რომ უგუგავდოთ, და მარტო საპოლიტიკო მსჯელობის თვლით შეკვდოთ ამ მის, ბრძოლას თუ არა, მეტადინებოდას სომხმანც, ჩვენი ინტერესი, როგორც მთელის რუსეთისაც, უფრო უნდა მოითხოვდეს, ვიდრე ეწინააღმდეგებოდეს—მოსდეს სომხების იმედისა და სურვილის განხორციელება. ჩვენსა და ოსმალის შუა აკტონომიური სომხეთი ის Etât-tampon-ია, რომელიც, ზოგჯერ მანც, ძველებურად, ცოტა არ იყო, შეასერებს მაცმადიანების შემოსევას...

სომეხნი რუსეთის დიპლომატიის და სარდლების მიერ ამ თავითვე ამხანიად იყენეს ცნობილნი. 1878 წლამდე რუსეთი ოფიციალურად მივარკვლობდა სომხებს ოსმალეთში, და პორტასთან ბრძოლის დროს, ყოველთვის მათის დახმარებით თუ არა, მათთან თანაგრძნობით მანც სარკებლობდა. ესეთი ურთიერთობა ორთავესთვის გამოსადეგი იყო: სომხების თანაგრძნობა რუსეთის ჯარს წარსისკენ ბრძოლას უადვილებდა, და, სამცაეოდა, რუსეთის შიშით თუ მოწიდეებით სომხებს ოსმალეთში თან-და-თან უფრო და უფრო მეტი უფლება და გავლენა ეძლეოდათ. რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ან არ გარეუფიყო სომხების ბედში, ეს ხალხი დღესაც იმ გვარსავე საბრლო მდგომარეობაში იქმნებოდა ყველგან, როგორ შიაც თავ. შატუქინამდე იყო, ესე იგი სწორად იმისთანაში, როგორ შიაც დღეს, ვთქვამთ, ქურთის ხალხია, თუ არა უარესში. ბერლინის კონგრესმა უფრო იმიტომ მოიხსენია სომხები, უფრო იმისთვის დააკლა პორტას მათის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ ევროპას სურდა, სომხების დაკმაყოფილებით რუსეთისთვის სელიდან გამოეცლია ახალი მიწები ოსმალეთის საქმეებში გაჩვევისა და ოსმალეთთან ახალ ომის გამართვისა. ყოვლად უეჭვოა, რომ ევრო-

მა მარტო იმდენად გაერკვეა სომხების ბედის გაუმჯობესებაში, მარტო იმდენად იზრუნებს და იმეცადინებს სომხების სასარგებლოდ, რამდენადაც ეკონება, რომ, თუ ხკენ არა, რუსეთი ხელს მოჭკედებს ამ საქმეს და ხელახლა ჩამოსთლის რასიმე ოსმალებს, დაიკავებს მტირე-ახისის შუა-გულ ადგილებს, როგორც ბაიანეთსა და არზრუმს, ესე იგი ხელში ჩაიკედებს ეკრპის სავაჭრო გზას სპარსეთისკენ... გონიერი პოლიტიკოსები, ვისაც კი სომხების სიკეთე უნდათ, ნიადგ სულ იმ კილოზე ჭჭადაგობენ, რომ თუ პორტამ თვითონ არ მიანიჭა თვით-მმართველობა სომხებს, ან ეკრპამ ძალად არ მიანიჭებინა მათთვის ეს სიკეთე, რუსეთს არზრუმისკენ ბულგარისა-ვით გაშლილი ექმნება გზა. თვით ინგლისის მთავრობაც ამ აზრს არ უძლავს პორტას, როცა წარუდგენს სოლმე ამა თუ იმ ნოტას სომხების სასარგებლოდ. სომეხთა მწერლები კი, სტამბოლში, თითქმის ნიადგ ისე სწერენ, ვითომ ეჭვიც არავის ჭჭანდეს, რომ სომხების საქმე და ბედი რუსეთის განსაკუთრებულ მივარეულობას ქვეშ იმყოფებოდეს. მათს მკითხველს უნდა ეკონოს, ვითომ პორტამ ერთი ფხსილიც რომ მოსტესოს რომელსამე სომეხს, მაშინვე რუსის ჯარი და გემები სტამბოლს მიადგება და დაიკავებს... მათი ინტერესი ამას ითხოვს, მართლაც.

ამ წარსულთ აიხსნება ის ვარკმობა, რომ ამ უკანასკნელ კვებში დიდი და დაუტნრომელი კიეინა ეკრპის მწერლობაში სომხების შესასება. როცა ამ მწერლობაში პირველად სმა გაკარდა, რომ სასუნში მაჭმადიანებს რამდენსამე სოფელში მთლად ერთიანად ამოუყლეთათ სომხები, მათი ცოლები გაუზტიურებიათ, მათი შვილები გამოუფატრკათ, მათა ქონება გაუტანინათ, ყველას თა-ლი და ყურადღება იმწამსვე რუსეთისკენ მიიძრათ. ზოგი გულ-ჩვილობით ცდილობდა, იქნება შეკაზრალათ როგორმე სომხები ამ სასულმწიფოსაო, ზოგი კი შინით სულ ამასა ჭფიჭობდა მარტო: გამოიკედებს თუ არა რუსეთი თაგს ამ დაჩაგრული ქრისტიანუ-თათვისაო. იყო დრო, ამ ოციოდე წლის წინად, როცა ამგვარი ამბავი შიშის ზარს დასცემდა მთელს ეკრპას. მაშინვე წარმოუდგ-ბოდა თვალ-წინ, რომ ამ ამწამსვე იფეთქებს ომი რუსეთსა და ოსმალებს შუა, და მისი ალი მყოფს ეკრპას მოედებაო. ეს ის

დრო განსაზღვრავს, როცა რუსეთს ოსმალეთის მეტი ფიქრი არა ჰქონია-რა გარეშე პოლიტიკაში, და როცა მთელი მისი ძალა თუ სურვილი მართლ სტამბოლისკენ იყო მიმართული. ამდროს რუსეთი მართლაც ერთგული და ნამდვილი მეგობრად იყო ქრისტიანობისა ოსმალეთში: ამას შიშობიანი მისი ინტერესი მოითხოვდა. რაც უფრო მეტს სიმშატიას შეიძენდა რუსეთი ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიანებისას, მით უფრო გაუადვილებოდა პორტის დასუსტება და დამარცხება: ქრისტიანობა მისი მომხრე, მისი მოკავშირე იყო ოსმალეთში, ის შინაგანი მომხრე, რომლის შემწეობითაც ეწეოდა უფრო ადვილად ვაჭრებს სოლმე ცისე... ეს დრო განჭქადა, შეიცვალა. არ გეგონოს, როგორც ზოგი სწავს რუსეთში, კითხვით რუსეთს მართლაც გული გასტკეზდეს ქრისტიანებსე, მას შემდეგ, რაც ბუღგარამი ისე უმადურად გადაუხადა სიკეთე... ამგვარ «სენტიმენტებს» პოლიტიკაში ადგილი როდი აქვს. ბუღგარების მადლობის შესამენად კი არა, ოსმალეთის დასუსტებულად გამოაცხადდა რუსეთში ომი 1877 წელს. ცელილებს სულ სსხვა, ბევრად უფრო ღრმა მიზეზი და ფესვი აქვს. უწინ, იმ დროს, რუსეთს ოსმალეთს გარდა წინააღმდეგი და მოწინააღმდეგე არაინი ჰყავდა, და თუ ჰყავდა, მართლაც ოსმალეთის, ან სტამბოლის გულისთვის ჰყავდა. არც არავითარი სსხვა სპეციფიკი მისწრაფება ჰქონდა-მეთქი მასინ რუსეთს, სტამბოლს გარდა. ესეც კი გარემოება ძირითადი შეცვლილია. რუსეთს დღეს ბევრი მოწინააღმდეგე არტუა გარშემო, და მათ შორის ორი ისეთი უდგია გარ-წინ, რომ მათთან შედარებით ოსმალეთი ბუზის ტოლად ძლიერ გამოჩნდება. სსხვა დიდა მისწრაფებანიც დაება და აღმოუჩნდა რუსეთს 1878 წლის შემდეგ. დღეს იმის თვალში სტამბოლი თითქმის ისეთივე უმნიშვნელო სრუტეა შინაგანის ზღვისა, როგორც ქერხის ან კენიჭსკის სრუტენია, აზოვის ზღვასე. ის დღეს სულ სსხვაგვარ განავალს ექებს, ფართო, გაშლილ ოკეანესკენ, ექებს კი არა, კიდეც იკეთებს, ერთს — წრდილოეთისკენ მუდმივად ნაპირად, მეორეს აღმოსავლეთისკენ — ვლადიკოსტოკში, მესამეს... სადმე სპანეთის ზღვის უბეში ან ინდოეთის ოკეანესე. ამ სსხვებზე წინ ისეთი გორიზონტები, ისეთი მომავალი გადაუშალა რუსეთს, რომელთა შედარებით ძველი სპანოლო

და სრულიად მოსწონებოდა. და რაკი მთელი თავისი ძალა თუ ენგია რუსეთში ამ ახალ მოწინააღმდეგეებს უნდა მოანდომოს, ამ ფართო საგნების განხორციელებას, რაღა თქმა უნდა, რომ მისი შესედულობა ოსმალეთზე, ოსმალეთის ქრისტიანებსზე და ოსმალეთის ბრძოლასზე ერთიანად უნდა შეტყობილიყო. ამ ცვლილების ასაწონად და დასაფასებლად საკმაო კაცმა ის გარემოება გაისინოს, თუ რა მნიშვნელობა მიეცემა ოსმალეთს რუსეთის ომის დროს სამთა კავშირთან. დემეტრე ნუ ქქინას, რუსეთს ამ კავშირთან (საგუთნო გერმანიასთან და ავსტრი-უნგრეთთან) ომი რომ აუტუდეს, მისთვის დაუფასებელი იქნება ოსმალეთის ამ ომში გაურყენელობა. თუ მასინ ბრწინებულე ზორტა ნეიტრალიტეტს არ გადუდგა, რუსეთს ადვილად შეეძლება თითქმის სრულიად უკაროთ დასტოვოს მთელი კავკასია და შავისა და აზოვის ზღვის პირები: ამთ დასაწყობლად გარეშე მტრისგან ომის დროს რუსეთს ერთი სულდათიც არ დასჭირდება და თუ გი ოსმალეთი, ამ ომის დროს, რუსეთის მოწინააღმდეგეთა შორის ჩადგა, ან გინდ მარტო საუკვოდ დაიწყო ყოყმანი, რუსეთს სულ ცოტა ორასი ათასი მეომარი მანინც დასჭირდება მის წინააღმდეგ გამოსაწეობად, შეიძლება სრულიდაც უმოქმედოთ. ის მეზობელი, რომელსაც, გაჭირების დღეს, შეუძლია ამოდუნა ჟარი მოგაცდენინოს, ან დაგახანდებინოს ალა-ალად მოსანდურებელი როდია. და რაგინდ ჰეტიკსაცემი, ან სამართლიანი იყოს სომხების მდგომარეობა, რაგინდ მსურველუ გულისათც ქსურდეს რუსეთს მათი შეკლა და დასნა, რაგინდ სსსარგებლოდ მიანინდეს მათის ქვეყნის შემენა, სულ ერთია, დღეკანდელ მდგომარეობაში უმთავრესი მისი სარგებლობა, მისი ძირეული დედა-ინტერესი მოითხოვს, რომ ზორტასთან კარგი და მეგობრული დამოკიდებულება ქქინდეს. საქმე იმ მდგომარეობაშია დღეს, რომ ზორტასთან რიგანის ურთიერთობის გულისთვის რუსეთში თითქმის სრულიდაც უნდა ამოიღოს გულიდან, გარეგნობით მანინც, თავისეფ სატრადიციო თანაგრძნობა სომხებისადმი...

მარტო სომხებს გი არ შეეხება ეს ცვლილება რუსეთის გაგარეშე პოლიტიკისა, ყველა ქრისტიანებს ოსმალეთში და ხალხანის გათომ-გუნძულზე. რაც უნდა დაჭმართოს ესლა ზორტამ თავის

ქრისტიანებს, გინდ სომხებს, გინდ ბერძნებს ან სლავებს, რუსეთი ცარიელ სიტყვების დასარჯვის მეტს კერას იკისრებს მათ დასაცვლად. როგორც ამას წინადა მისი საპოლიტიკო ინტერესი მოითხოვდა ქრისტიანობის დამცველის და მფარველის როლი ეტეირთნა ხალხე ოსმალეთის შესახებ, ისე დღეს იგივე მისი აზრებითი ინტერესი თხოვლობს, რომ ოსმალეთთან კეთილი მეგობრობა იქონიოს. დრონი მეფობენ. მილადაც რომ მოსპოს დღეს ჰორტამ ქრისტიანობა და ქრისტიანები თავის საბრძოლველში, რუსეთის ანგარიში არ აქვს წიწაღმდეგობა რამ გაუწიოს ამისათვის. ოსმალეთის საქმეებში რუსეთი მარტო მაშინ გაერევა დღეს, თუ რეგმიწეწით ეცოდინება, რომ ვინმე სხვა დიდი სამუკოა ემზადება სტამბოლის ასაღებად და დასაპრობად. მანამდე სომ ვერ ადრეა, ვერ მეტად შორსა ვართ დღეს...

ეს ცვლილება რუსეთის პოლიტიკისა და მდგომარეობისა ევლასთთვის გი არა ვერ ცხადი, არა თუ ეკროზაში, თვით რუსეთშიაც. უბრალო ხალხს გი არა, უმეტეს ნაწილს გასეთებისას უწინდებურად ჰგონია, ვითომ ამ ოცის წლის წინანდელი რუსეთი და დღევანდელი—ერთი და იგივე არსება, ერთისა და იმავე მიმართულებისა პოლიტიკაშია. ამ ოცის წლის განმავლობაში გი იმდენად შინაგანი პოლიტიკა არ შეცვლილა ამ სასულემწიფოში, რამდენადც გარეგანი გადასსვამურად. გასეთების უმეტეს ნაწილს გი ისევე ძველებურად ჰგონია, რომ დღესაც რუსეთი მთელს ეკროზას ომის აღს მოსადებს იმის გამო, რომ იერუსალიმის ტაძრის კლიტე პატრების სულიდან ბერძნის ან სომხის ბერებს გადასცეს... მარტო ამით აისნება ის გარემოება, რომ უცხოეთის გასეთებში სპირად განკებ აქვსებენ რუსეთს, სომხებს მფარველობა გაუწიო. რე თუ რუსეთი სმას არ ამოიღებს და ხელს არ გამოიღებს ამისთანა შეუარაცყოფისათვის ქრისტიანობისაო! სადღაა მისი მუდმივი მფარველობა სუსტიის და დაჩაგრულ ქრისტიანეთაო? მისკენაა დღეს მიქცეული კადრების თვალთ მთელის ქრისტიანობისა ოსმალეთშიო! თუ ესლა ეს დაჩაგრული ხალხი არ დაიხსნა რუსეთმა, გამძვინვარებულ მაცმადიანების სულიდან, ოსმალს ქრისტიანები სამუდამოდ გულს აიყრიან რუსეთს, და სხვ. და სხვა ამისთანებს განსაკუთრებით სპირად სწე.

რენ ინგლისის გაცხეთებში. თუ ამჟამის დამწერს გული მართლაც თანაგრძნობით აქვს სავსე სომხებისა და სხვა ქრისტიანებისადმი, რატომ თვით ინგლისს არ ურჩევს გამოიყენე დღეებდელი დღე და რუსეთის მაგიერ შენ გაუწიე მიფარველობა დანაგრულ ტომთა ოსმალეთში? განა მართლ რუსეთის ქრისტიანე? განა ინგლისიც ქრისტიანე არ არის? რუსეთი ევროპის უანდარბი სომ არ არის, რომ ევროპის ბრძანებით წესიერებას აღადგენდეს, ხან აქ, ხან იქ...

საქმე სულ სხვაფერივ არის. ინგლისის ესლანდელი სამინისტროს პოლიტიკა მოითხოვს, რომ რუსეთს შორს აღმოსავლეთში გაქნევა არ შეეძლოს, იქამდე, სანამ იაპონიის ერთიანად არ დაუგეტავს გორკიას სრუტეს, ესე იგი კლადიგოსტოკის, თუ ციმბირის გასაჯალს გაშლილ ოკეანესკენ. რაც უფრო მეტს მეტადინებებს რუსეთის პოლიტიკა, რომ თავი არ დამწვევდენოს იმ მსარკებში, მით უფრო და უფრო ასალ-ასალ მუგუნებს უზინსინებს ინგლისი ევროპაში, იმ იმედით, რომ იქნება პირი აქეთ გაქნევისა, და არა იაპონიისაკენა. როგორც ამ სუთი-ეჭვსიოდუ თვის წინად გერმანიის გაცხეთები თითქო განკუბ განსსკავებულს შეუქსა ჭებენდენ იაპონიის საქმეს, იმ განსრასხვით, რომ რუსეთის ჯარი და ყურადღება გერმანიას მოკაშორათ და შორს აღმოსავლეთისკენ მიემართათ, ისე დღეს ინგლისის მწერლობა შეუწვეტელ ცრემლის შადრეანს აფრქვევს საცოდავ სომხების უბედურებისათვის. ნამდვილი ნიანგის ცრემლებია მისი ქვითინი. მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, ვითომ მართლ სომხების, ან მართლ სომხების გულისთვის ჭსარჯავს ინგლისი ამ ნიანგის ცრემლებსაო. იმ განსრასხვით, რომ იქნება რუსეთმა უფრო ადვილად შეჭერს თავი საგანგებოდ მის დასაჭერად დასობილ ფინსშიო, ინგლისის პოლიტიკამ ამ უგანსკენელ თვეში ააშფოთა, სომხებს გარდა, აგრედვე ის ნაწილი ბოლგანეთის კითომ კუნძულისა, რომელიც ოსმალეთის სელშის დაჩხინილი. ინგლისის მწერლობა დღეს სწორედ იმეკარსაკე აზუბლიგაციას უგრავსა მაკედონიის შიკვიწროების გამო მაჭმადანებისაგან, როგორც სომხების შიკვიწროების გულისათვის უგრავდა ამდენს ხანს. ბულგარიაში, რომელიც სრულს საპოლიტიკო გაკლენის ქვეშ ჭუკავს ინგლისის სამინისტროს და სასახლეს, ყოველ დღე ხან აქ, ხან იქ ასალ

ასალი «მიტინგები» იკრიბება მაკედონელთა ან ვითომ მაკედონელთა. ამ ყრილობაზე აშკარად ახსოვლობენ ოსმალთა გარეკვას ევროპიდან, მაკედონიის განთავისუფლებას მსჯელობის სელიდან, მის შეერთებას ბულგარიასთან, და — შესანიშნავი ყველაზე უფრო ესაა — მეტისმეტ მსურველ ვატივიან-ტემას და სიყვარულს უცნადავენ... რუსეთს. არა ნაკლებ შესანიშნავი ამაებში ისიც არის, რომ ბულგარიას და ოსმალეთს შორის, როგორც ყველას მოესუნება, წინე-ბული ერთიერთობა და კერავის გაუგია ან ბულგარიის მთავრობა რად აძლევს ნებას ამ მიტინგების გამართვისას, ან ზოტა რატომ წმას არ იღებს და ზოტესტს არ უგზავნის სხელმწიფოებს ამ კარის შუოთის თესვისათვის. აბა, თუ გნებავთ, განგებ სცადონ სომხებმა მაგკარის მიტინგის გამართვა ან ერეკასსა და ან ტივილისში. ჯერ ერთი ეს, რომ ჩვენი მთავრობა ამის ნებას არავის არ მისცემს, ბრწეინვალე ზოტის მორიდებით. და, კინიცობა მისცა, ოსმალეთის კოსსული იმ წამსვე ნოტებითა და ზოტესტებით აგვიღებს... ნუ დავივიწყებთ, ამასთან, იმასაც, რომ ჩვენი მთავრობა სრულიად დაუმოკიდებელია ოსმალეთზე, მისი სწორით, მშინ როდესაც ბულგარიისა — ვასალია ოსმალეთისა, მისი ქვეყნადომია... ყველამ იცის, ამას გარდა, როდენად დაასლოგებული და მეკობრული ერთმანეთობა, ნიადაგ და დღესაც, ოსმალეთსა და ინგლისს შორის, როდენად გულმსურველად იცავს ყოველთვის ინგლისი ოსმალეთის სელ-შეუსებლობას და თვითარსებობას. მასწადამე, თუ დღეს ინგლისის მწერლობა და მთავრობა ამდენს ჭმეცადინეობს სომხებისა და მაკედონელების ბედისთვის, უეჭვოდ უნდა ჩავთვალოთ, რომ ამის მიზეზი და აზრი მართლ რუსეთის ჩათრევა რაიმე უანგარიშო შოოთში ოსმალეთთან. ამ შოოთს, რასაკვირველია, ავიღად დაერთვის ღედ მეორე, უარესი, — დავიდარბის ატესა სამთა კავშირთან... და ეს განზრახვა თუ აუსრულდა ინგლისს, მის ბედს მშინ მადლიც აღარ დაჭყეფს: ამასობაში იაზონია იმნარსაკე კლენტე-ბოლქომს დაადებს რუსეთის გასაკვალს გაშლილ ოკეანისაკენ, შორს აღმოავლეთში, როგორც შავს ზღვაზე ადგეს სტამბოლში; და ეს შავის ზღვის კლიტე-ბოლქომი ორის საუგუნის ბრძოლითაც კერ აუსსნიდა... ნამდვილი, უეჭვო ან-

სსა «სომხების ამიჯანისა» ეს გასლავთ და სსკა არაფერი. ინგლი-
სი სომხებს (როგორც მკეადონელებს) იმ თვალ-აბმულ ბედურად
ჭმარობს, რომლითაც მიმინოს იჭერენ სოლმე ბადეში...

გაკვევა, ვითომ, რუსეთი ამ ბადეში? არა გვგონია. ამის სს-
ფუქვლად ისა გვაჭკს, რომ აჭამდე რუსეთს თითქმის არავითარი
ეურადლება არ მიუჭვრევია სომხების სსქმისათვის. რამდენჯერაც ინ-
გლისის სსმინისტრამ მიიწვია რუსეთი მსჯელობა კიჭონით ამ
საბრალო სალსის მდგომარეობისათვისაო, რუსეთის დიპლომატიამ
მუდამ ასეთი ზსუსი შეუთვალა: მიბრძნდით, დაიწეეთ და ჩვენც
გინსლებითო. ამს გარდა, მეორე სსფუქვლად ისა გვაჭკს, რომ
უკანასკნელს თვეებში რუსეთშიაც გაიგეს იაზონის ომის მნიშვნე-
ლობა რუსეთის მომავლისთვის. ესლს რუსულს მწერლობაშიაც გა-
მოთქმება სოლმე ისეთი აზრები, როგორსაც ჩვენ აჭ ვსწერთ. მს-
გლითად შეგვიძლია მოკიუვანთ უკანასკნელი წიგნი ეურსლისა
„Русское Судорожное“, რომელშიაც ლოგი სსმინისტრო და ეო-
გელს შემთხვევაში გაგლენისი მოდგაწენი სწერენ (როგორც კასი,
სასკლდობრ). აჭ იმ აზრს ჭჭადგებენ, რა ჩვენი სსქმეა უბრალო
და უმნიშვნელო საგნებო, სვენი ისტერესი მოითხოვს კორეიას
სრუტე კიმოგოთო. ამისათვის სუკი გეომებით, მოკურნოდეთ,
იაზონისა, დავკმაროთ გინდ მთელი ჩინეთი დიკავოს, ოღონდ კი
კორეიას სრუტეს სუ დავკიკავებს, ოღონდ იჭ ერთი გაუყინავი
ზორტი დავკითმოსო და იმ ზორტიდან სმელეთის ვზა გვჭონდეს
ციმბინამდინაო. ნამდვილ ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ ეს
აზრი, აი რა გამოვს: კორეიას ჩვენ მოგვცეს იაზონიამ და მთელი
ჩინეთი დაუთმოთო, დავაკავებისოთო. როცა იმათ, რომელთაც სი-
დავ ღიად დაფელილი აჭეთ თავიანთ წინ უმადლესის მთავრობის
კარები, ამგვარა სწორე და შორს გამსჭვრეტი შესდულობა აჭეთ
დღეკანდელს მდგომარეობასე, სსეჭვლას, ღვთის მადლით, რომ რუ-
სეთი სელასლავ გაებას იმისთანა მასეში, როგორაც 1876-ში და-
უგეს მასმა მტრებმა და უგუნუნმა მომსრეებმა...

აჭედნ ის კი არ დავასკვნათ, კითხმ არავითარი იმედა არ
უნდა ჭჭონდეთ სომხებსა და მკეადონელებს, მათი მამულას დანსნი-
სა. არა. მათი სსქმე, არა თუ მარტო წმინდაა, თან ცსოკელი, უკვ-
დავა და მომავლისინცაა. მათის იმედების დავკირკვინება იმასეა
დაფუძნებული, რომ სწორე და შეურეგეკელ გზასე სდგანან: შრო-
მისა და სწავლის, მეცნიერების გზასე, მამის როდესაც ოსმალები
წარსულისკვანა ზირ-მიჭვრეული და უმეტრებაში შთანთქმული. მისი

დღე დათვლილია, ამიტომაც იმ ერთ ბედი, რომელიც მას დასა-
გრული ჭკაუდა, უტყუარი და უკვდავია. მაგრამ, რაც უფრო სარ-
წმუნოა ეს ნათელი მომავალი, მით უფრო გონიერად და წინდასე-
დულობით უნდა იქცეოდნენ ოსმალს ბერძნები, მაკედონელები,
სომხები, რომ ტყუილ-უბრალოდ არ დაჭვანტონ, უდროოდ, თა-
კიანთი ძალა და მით დასუსტდნენ «განკითხვის დღისათვის», რა-
მელიც, ადრე თუ გვიან, უსათუოდ გათენდება ოსმალეთისთვის.
მოკლებული ის დარჩება, პირნათლად ისტორიის წინაშე ის გამოვა
მასინ, ვინც ამ ბედნიერ დღისათვის უმეტეს ძალასა და ცოდნას
დაიმარაგებს, ვინც ამ დღეს უღონიერესი, უგონიერესი იქნება...
ამიტომაც ყველა უნდა კრიდოს იმ შეტდომას, რომელშიც ისგლი-
სისთანა სასულეწიფონი აგდებენ სოლმე საბრალო დასაგრულებს,
თავიანთ წუთიერ საზოლოტიკო კომბინაციების განსახორციელებ-
ლად. იმისთანა პოლიტიკოსებისათვის, როგორც პალმერსტონი,
საზოლონი, რაზბერი და სხვანი ბრძანდება, დასაგრულნი კრნი
შაიკები არიან... ნურავან დაივიწყებს, რა საიროდ გააბრიყვეს ამ კა-
ბატონებმა და რა სასტიკად დაჭსაკვეს იმსულა კრი და ქვეყანა, რა-
გორიც პოლონია. ექვსჯერ უფრო დიდი იყო ეს ტომი და ასჯერ
უფრო განათლებული, დამარაგებული და დაწინაურებული, ვიდრე მა-
კედონელები ან სომხები.—მინც კერას გასდა და მიტოვებულ იქნა
უნამუსოდ თვით იმ პოლიტიკოსებისაგან, რომელთაგანაც დასმარებისა
და შეუღლის სიტყვა ჭქმანდათ აღთქმული. მაწია ერთ, როგორც მაკე-
დონელები ან სომხები არიან ოსმალეთში, საქმე ისე უნდა დაიჭირონ,
რომ შაიკებად კი არ გასდნენ დიდრონ პოლიტიკოსების ხელში,
თვითონ თავიანთ სასარგებლოდ გადაადგმეკინ-გადმოადგმეკინონ მთ
ფეხი... ეს უგანასენელი ამბავიც ისევე სმირად მომსდარა, როგორც
წინააღმდეგეი ამისა. საქმე სულ იმაშია, ვინ იზაიკოს. მუცნიერება და
ისტორია იმას გაამტნეკეს, რომ მარტო ჯეროვანი განათლება, და-
მარაგება და განკითარება აძლევს კრს ღონეს სსვის ხელში შაიკად
არ გადაიქცეს. არა გკგონია, რომ ოსმალს სომხები ამ სანად ამ
მდგომარებაში იყუნენ. მით ვიდრე ბეკრი მერადინება სჭირით,
ვიდრე თვითონ შეიმლებათ თავიანთ იარაღად გადაჭვიონ ისგლი-
სის პოლიტიკოსები...

6. ნიკოლამე

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჭაბაძარი

1895 „მოსამბე“

თოვიური ჟურნალი

(წელწალი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

იმავე პრეტრამათ

ფასი ჟურნალისა გაზაფხვით:

	1 წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში.	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ გარედა	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოსამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩასე № 13.

წიგნას მადაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოსამბე“-ზე ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნის-თვის ათი შაჟრბი, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, ანაფერა დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მოწერით ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисо, Редакция „Моамбе“.*

ვინც წლიურ ფასს ერთბაშად შემოიტანს, მიიღებს კედლის ქართულს კალენდარს 1895 წ—სას.

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

ცოდვა

სიყვარულისა

(Crime d'amour)

რომანი

პოლ ბურჟენისი

თარგმნილი

ბრ. ყიფშიძის მიერ

ფასი 70 კაპ.

ადამი

„მ რ ა მ გ მ“

წელიწადი მეორე

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7-10. თამაზი. (224-820 გვ.)

ფასი უზრუნველად გაგზავნილი:

1 წლით 3 თვით

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 10 მან. 6 მან. 4 მან.

სახლვარ-გარე 13 მან. 7 მან. 5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანონ: პირველად—4 მან., 1 აპრილამდე—3 მ., და 1 სექტემბრამდე — 3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლოთის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქ. გარეშე ხელის-მოწერმა აღრესის გამოცვლისათვის ათი: მაჭრი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисть, Редакция „Моамბე“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთი თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებული იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს შექველად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ოლი ეგზემპლიარი უნდა აუგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირ-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდე ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ყველა ხელის მოწერთ, რომელმაც კი ჟურნალს ნომერი არ მიუვით, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმო-უგზავნონ აგრეთვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იცქენ წომრებს, რა მ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭვინია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბახიანი